

საქართველოს არქეოლოგია

სსსრ უნივერსიტეტი

თბილისი
„მეცნიერება“
1991

საქართველოს
არქეოლოგია

I

ქვის ხანა



თბილისი
„მეცნიერება“

1991

წიგნი „საქართველოს არქეოლოგია (ქვის ხანა)“ წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძველი ქვის ხანის სექტორის თანამშრომელთა კოლექტიურ ნაშრომს. იგი ძირითადად ეძღვნება საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდს — ქვის ხანას. აქვია მოცემული საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია.

ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე ამ უკანასკნელი 65 წლის მანძილზე აღმოჩენილი და შედარებით უკეთ შესწავლილი ქვის ხანის ყველა პერიოდის ძეგლების განზოგადება-წარმოჩენა. აქ მოცემულია საქართველოში ქვის ხანის არქეოლოგიური შესწავლის მოკლე ისტორია, ბუნებრივი გარემო პლეისტოცენსა და პოლოცენში, ქვის ხანის ყველა ეტაპის (ქვედა და ზედა პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი) არქეოლოგიური ძეგლები, დიდი ყურადღება ექცევა ქვის ხანის ძეგლთა კულტურულ ფენებში მიკვლეულ ფაუნისტური მასალის შესწავლას. ნაშრომში წარმოდგენილია ისეთი ძეგლებიც, რომელთა არქეოლოგიური შესწავლა არაა დასრულებული, მაგრამ წინასწარული შესწავლის შედეგად ცნობილია მათი ასაკი და კულტურული კუთვნილება.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, სტუდენტთათვის და უძველესი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

მთავარი სარედაქციო კოლეგია: ისტ. მეცნ. დოქტორი ოთ. ლორთქიფანიძე (მთავარი რედაქტორი), ისტ. მეცნ. დოქტორი ი. ჯალალანია (პასუხისმგებელი მდივანი), ისტორიის მეცნ. დოქტორი თ. მიქელაძე, ისტ. მეცნ. კანდიდატი გ. ციციტიშვილი, ისტ. მეცნ. კანდიდატი ვ. მ. ჯაფარიძე.

ტომის რედაქტორები: ნ. ბერძენიშვილი
დ. თუშაბრაძე, ი. შვილი

მთავარი რედაქტორის საბაზ

საქართველო არქეოლოგიური ძეგლებით უაღრესად მდიდარი ქვეყანაა: საქმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენს მიწა-წყალზე წარმოდგენილია კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპის ძეგლები — ქვის ხანის ადრინდელი საფეხურებიდან დაწყებული გვიან შუასაუკუნეებამდე, რასაც აგრე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა საზოგადოების ისტორიისა და განვითარების კანონზომიერებათა შესასწავლად. განუზომელია არქეოლოგიის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ძველი ისტორიის კვლევისათვისაც: ძველდმოსავლურ, ბერძნულ-რომაულ და ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში დაცული უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები არსებობდა მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის შემდგომ ხანას განეკუთვნება (ამასთან ისინიც საქმაოდ ნაკლებულია და სრულებითაც ვერ ასახავენ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ, იდეოლოგიურ და კულტურულ მოვლენებს), ამიტომაც საქართველოში ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ადრინდელი ეტაპების შესწავლა მთლიანად არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებზეა დაფუძნებული.

აღრე, დაახლოებით 3 ათეული წლის წინ, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით ჩვენს მიწა-წყალზე ადამიანთა საზოგადოების განვითარების იმ ეპოქის შესახებ, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში პირველყოფილი თემური საზოგადოების სახელითაა ცნობილი. მხოლოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიებით ვახდა ცნობილი, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ადამიანის ცხოვრება და საზოგადოების ისტორია იწყება კაცობრიობის განვითარების ადრინდელ ეტაპზე, ყოველ შემთხვევაში, ე. წ. აშელის ეპოქიდან მაინც. ამ პერიოდის ადამიანის ნაკვალევი და ცხოვრების ნაშთები, 800 ათასი წლის წინანდელ ხანას რომ განეკუთვნება, აღმოჩენილია საქართველოს მრავალ პუნქტში. ქვის ხანის საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე — ე. წ. მუსტიეს ეპოქისათვის დადგენილია პირველყოფილი ადამიანის ფართოდ განსახლება მთელს დღევანდელ საქართველოს მიწა-წყალზე; ზღვისპირეთშიც, ტყეველიან ზონასა და მალაღმთიანეთშიც. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ დროის ადამიანის, ე. წ. ნეანდრტალელის, ნაშთების აღმოჩენა (საკაეიას, ჯრუჭულის და ცუცხვათის მღვიმეებში), რასაც აგრე დიდი მნიშვნელობა აქვს უძველესი ადამიანის პროგრესული მორფოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესის შესწავლაში. მასთან ერთად, ქვის ხანის ადრინდელი ეტაპების ნაბინევის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი მრავალფეროვანი ქვისა და კაეის იარა-

ლები, ცხოველთა ძვლები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომების პირველი რწმენა-წარმოდგენები, აგრეთვე ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობათა პირველი წარმონაქმნები — პირველ-ყოფილ ჯოგს რომ უწოდებენ.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ცნობილი გახდა, აგრეთვე, ქვის ხანის განვითარებული და ფინალური სტადიების ისტორია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქისა, როდესაც ხდება ადამიანის თანამედროვე ფიზიკური ტიპის, Homo Sapiens-ის (გონიერი ადამიანის) ჩამოყალიბება და საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება — გვარის წარმოქმნა, ეგზოგამიური გვაროვნული თემების ფორმირება და ა. შ. და ა. შ. მასთან ერთად კი დეკორატიული ხელოვნების ჩასახვა, რაც პირველყოფილი ადამიანის პრიმიტიული მაგიური აზროვნებით იყო განპირობებული...

არქეოლოგიამ წარმოაჩინა, აგრეთვე, მეტად საყურადღებო ძეგლები იმ ეპოქისა, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში „ნეოლითურ რევოლუციას“ უწოდებენ. ეს ის ეპოქაა, როდესაც მიმდინარეობს მწარმოებლურ მეურნეობაზე — მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლა. ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი კარდინალური ძვრების დასაწყისი ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში საქართველოს მიწა-წყალზე ძვ. წ. X—VII ათასწლეულებით თარიღდება, მისი ფინალური სტადია კი ძვ. წ. VI—IV ათასწლეულებს განეკუთვნება და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღრესამიწათმოქმედო კულტურის სახელითაა ცნობილი. იგი მხოლოდ ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს გახდა ცნობილი და მეტად ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ჩვენს წინაშე წარმოსდგა უძველესი ბინადარი — სამიწათმოქმედო საზოგადოება, რომლის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა პრიმიტიულ მორწყვაზე დაფუძნებული მიწათმოქმედება (უპირატესად ხორბლის მოყვანა, აგრეთვე მებოსტნეობა) და მასთან ერთად მესაქონლეობაც (მსხვილი რქოსანი პირუტყვი). ამ საზოგადოების ჰოციალური სტრუქტურა ხასიათდება პატრიარქატზე გადასვლით, ტერიტორიულ-მეზობლური თემის ჩამოყალიბებითა და ცალკეულ ოჯახთა ეკონომიკური განკერძოებით, რაც უკვე პირველყოფილი საზოგადოების რღვევის სტიმულადაა აღიარებული. ამასთან ერთად არქეოლოგიური კვლევა-ძიება ავლენს უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან კულტურულ, ეკონომიკურ და ეთნიკურ ურთიერთკავშირებს წინა აზიის უძველეს სამიწათმოქმედო კულტურებთან — ძველი საქართველოს აქტიურ მონაწილეობას ძველი სამყაროს განვითარების მსოფლიო-ისტორიულ პროცესში.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე თვალსაჩინო ხდება, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ადგილობრივი საზოგადოება ადის განვითარების კიდევ უფრო მაღალ ეტაპზე, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „მეტკვარ-არაქსის“ კულტურის სახელითაა ცნობილი. ეს კულტურა ჯერ კიდევ 30-იან წლებში აღმოჩნდა და თითქმის 60-იან წლე-

ზამდე ენეოლითურ კულტურად იყო მიჩნეული. მაგრამ ამჟამად იგი ერთხმად აღრებრინჯაოს კულტურადაა აღიარებული, რომელიც ამიერკავკასიისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის, ჩრდილოეთ ირანის, აღმოსავლეთ ანატოლიის ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული.

საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენილი ამ ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად „მტკვარ-არაქსის“ კულტურა აღიარებულია განვითარებული სამიწათმოქმედო-მესაქონლე საზოგადოების კულტურად. უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში კი აღინიშნება მეტალურგიის ცალკე დარგად გამოყოფა. უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს პირველხარისხოვან წყაროს ამ კულტურის გენეზისისა და პერიოდიზაციის, არეალისა და ლოკალური ვარიანტების, ამ დროის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმების შესასწავლად. ამასთან ერთად, „მტკვარ-არაქსის“ კულტურის შესწავლა დიდმნიშვნელოვანია ქართველ ტომთა წარმოშობის პრობლემასთან დაკავშირებით, რის გამოც ახლა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კულტურის ეთნიკური ატრიბუცია არქეოლოგების, ისტორიკოსების, ლინგვისტებისა და ანთროპოლოგთა ცხოველი და საინტერესო პაექრობის საგანადაა ქცეული.

არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ წარმოაჩინა, აგრეთვე, მომდევნო ეპოქის ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულისა და II ათასწლეულის პირველი ნახევრის ე. წ. შუა ბრინჯაოს ხანის კულტურა. ამ ეპოქის ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯერ კიდევ 30-იან წლებში საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში აღმოჩენილი ბრწყინვალე ყორღანული კულტურა, რომელიც მსოფლიო არქეოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდაა ცნობილი „თრიალეთური კულტურის“ სახელით. ამჟამად ამ კულტურის განვითარების ყველა ეტაპის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილი: ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულისა და II ათასწლეულის გრანდიოზული ყორღანები — ხითა და ქვით ნაგები ვრცელი სამარხი დარბაზებითა და მეტად მდიდრული მრავალფეროვანი ინვენტარით (ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ბრინჯაოს იარაღი, შავპრილა კერამიკა), ახლად აღმოჩენილი ნამოსახლარები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ყოფისა და კულტურის შესახებ. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ განვითარების აღმაავალი ხაზით სვლას.

გვიანბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) საქართველოში აღინიშნება დიდ ტერიტორიაზე ერთგვაროვანი კულტურული არელების შექმნით (დასავლურ-ქართული ანუ კოლხური ბრინჯაოს კულტურის სახელით რომაა ცნობილი და აღმოსავლურ-ქართული თუ დასავლურ-ამიერკავკასიური), რომელნიც მოწმობენ მსხვილ პოლიტიკურ ჩამოყალიბებას. ამასთან არქეოლოგიურ მასალებში თვალნათლივია წარმოდგენილი საწარმოო ძალების (პირველ რიგში ბრინჯაოს მეტალურგიის) შემდგომი საკმაოდ სწრაფი

ტემპით განვითარება, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კიდევ უფრო სწრაფი დაწინაურება, სოციალური ღიფერენციაციისა და კლასთა წარმოქმნის პროცესები, ეთნიკურ-დემოგრაფიული ძვრები, პროტოქალაქური ტიპის მსხვილი სამოსახლოების წარმოქმნა და სხვა. ამიტომაცაა, რომ გვიანი ბრინჯაოსა და აღრერკინის ხანის შესწავლას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სახელმწიფო ორგანიზაციისა და ურბანისტული ცივილიზაციის წინამძღვრების კვლევის საქმეში.

ქართველთა და მათი მონათესავე და წინაპარ ტომთა ეს მრავალათასწლოვანი ისტორია სრულებით არ იყო ასახული წერილობით წყაროებში და მეცნიერებისათვის მხოლოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გახდა ცნობილი.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან, როგორც ცნობილია, ჩნდება პირველი ცნობები ძველ ქართველ ტომთა შესახებ ასურულსა და ურარტულ წყაროებში, ხოლო შემდეგ ბერძენ და რომაელ მწერალთა თხზულებებში. პირველი ქართული სახელმწიფოების კოლხეთისა და იბერიის შესახებ საინტერესო ცნობები შემოინახა, აგრეთვე, ძველმა ქართულმა მწერლობამ (ლეონტი მროველი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“), მაგრამ ეს წყაროები სრულებით არაა საკმარისი ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესასწავლად და აქაც მთავარ როლს არქეოლოგია ასრულებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ არსებითად არქეოლოგიურ მონაცემებზეა დაფუძნებული ისეთი კარდინალური პრობლემების კვლევა, როგორცაა ანტიკური ხანის იბერიისა და კოლხეთის პოლიტიკური სისტემები, საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაცია, ქალაქები და მათი ტიპოლოგია — ფუნქციონალური კლასიფიკაცია, ხელოსნური წარმოება და საშინაო ვაჭრობა, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან, იდეოლოგია და კულტურა და სხვ.

არქეოლოგიამ ზოგიერთ შემთხვევაში დაადასტურა წერილობითი წყაროების ცნობები, რომელთაც მეცნიერთა ერთი ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა და ახალი ხორცი შეასხა მათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპოქის შესახებ მეცნიერებს ხელთ აქვთ უმდიდრესი წერილობითი წყაროები და ეპიგრაფიკული ძეგლები, მაინც არქეოლოგიის მნიშვნელობა აქაც საკმაოდ დიდია. ამის ნათელი ილუსტრაციაა არქეოლოგთა მიერ შესწავლილი მწარმოებლური საზოგადოების (გლეხის) ყოფის ამსახველი ნამოსახლარები და სამაროვნები, წარმოების (კერამიკული, რკინის, მინის) ნაშთები, დიდკაცთა სასახლეები და სამარხი აკლდამები, ტაძრები, საზოგადოებრივი და თავდაცვითი ნაგებობანი, მრავალრიცხოვანი ქალაქები ბარსა და მთაში. ამჟამად, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იღებს.

არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამთავრობო კანონებს „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

სახელმწიფო კანონში კულტურის ძეგლთა შორის ერთ-ერთი ყველაზე საბატიო ადგილი აქვს მიჩნეული არქეოლოგიურ ძეგლებს, მის ყველა კომპონენტს უკლებლივ.

სახელმწიფო კანონში ჩამოთვლილია ყველა სახის არქეოლოგიური ძეგლი: „ნაქალაქარები, ყორღანები, ძველი დასახლებების, ციხე-კოშკების, საწარმოების, არხების, გზების ნაშთები, ძველი სამაროვნები, ქვის ქანდაკებები, კლდეზე გამოსახულებები, ძველი ნივთები, ძველი დასახლებული პუნქტების ისტორიული უბნები, კულტურული ფენები“. ყველაფერი ეს სახელმწიფოს დაცვის საგნად გამოცხადებული იმიტომ, რომ დღეს განუზომლად გაიზარდა არქეოლოგიური ძეგლების რაგორც მეცნიერული, ასევე საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამის გამოა, რომ ახალ სახელმწიფო კანონში სამშენებლო, სამელიორაციო თუ სხვა სამუშაოების დროს არქეოლოგიურ ძეგლთა წინასწარ მეცნიერულ შესწავლას და მათ დაცვა-გადარჩენას აგრე დიდი ყურადღება ექცევა: სახელმწიფო კანონის 24-ე მუხლის თანახმად, „სამშენებლო, მელიორაციული, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულების მქონე არქეოლოგიური და სხვა ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში, საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები ვალდებული არიან აცნობონ ეს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოს და შეწყვიტონ სამუშაოები“. იმავე დროს სახელმწიფო კანონის 23-ე და 24-ე მუხლების თანახმად, ზემოაღნიშნული დაწესებულებები ვალდებული არიან დააფინანსონ მშენებლობის ზონაში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების ყოველმხრივი შესწავლა.

ამრიგად, გრანდიოზულ მშენებლობათა ეპოქაში, რომლის მონაწილეც დღეს ჩვენი თაობაა. განუზომლად იზრდება არქეოლოგიის როლი თანამედროვე საზოგადოებაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს არქეოლოგიური ძეგლებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორც საქართველო, აქ ხომ ყველა კუნძული, მიწის თითოეული გოჯი საოცრად დაყურსული არქეოლოგიური ნაშთებით. ამდენად, ახალმშენებლობებზე წინასწარ არქეოლოგიური კვლევა-ძიების განხორციელება გადაუდებელი ამოცანაა. ამიტომაც, ქართული არქეოლოგია იმთავითვე დადგა თანამედროვეობის სამსახურში. ყველგან, სადაც კი დიდი თუ პატარა მასშტაბის მშენებლობაა, ყველგან, ან თითქმის ყველგან პიმიდინარეობს არქეოლოგიური კვლევა-ძიება და ეს სამუშაოები აღინიშნება უდიდესი მეცნიერული და მხატვრული მნიშვნელობის აღმოჩენებით.

ასევე ფართოდ წარმართული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად უკვე დაგროვდა უმდიდრესი და მეტად მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მოითხოვს განზოგადებას და ერთიან ასპექტში გააზრებას.

„საქართველოს არქეოლოგიის“ მრავალტომეული სწორედ მიზნად ისახავს შეაჯამოს დღემდე საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. საქართველოს ძველი ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულ მკითხველს მან უნდა მისცეს ინფორმაცია საქართველოს ისტორიულ

ტერიტორიაზე დამოწმებული არქეოლოგიური კულტურებისა და მისი შემადგენელი ელემენტების, აგრეთვე — უმთავრესი არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. მრავალტომეულში დიდი ადგილი ეთმობა სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის, გეოგრაფიული არეალების, ლოკალური ვარიანტების საკითხებს, განმსაზღვრელ ელემენტებს (სამოსახლო, სამაროვანი, წარმოების ნაშთები, საომარი და სამეურნეო იარაღები, სამკაული და ა. შ.). ცალკეული არქეოლოგიური ძეგლების დახასიათებისას წარმოდგენილია მათი აღმოჩენისა და შესწავლის ისტორია, სამოსახლოს ტოპოგრაფია, ნაგებობათა ტიპები და სამშენებლო წესები, კულტურული ფენები და მათი შემადგენელი ელემენტები, სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები, სამარხეული ინვენტარი და ა. შ.

ამ ერთიანი გეგმით (მაგრამ ცალკეული ეპოქების სპეციფიკურობის გათვალისწინებით) აისახება ყველა არქეოლოგიური ეპოქის (ქვის, ენეოლით-ადრებრინჯაოს, შუა ბრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური და შუა საუკუნეების) მატერიალური კულტურა.

წინამდებარე პირველი ტომი ეძღვნება საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების განვითარების ისტორიას, — ძირითადად ქვის ხანას.

ქვის ხანის საქართველოს არქეოლოგიისადმი მიძღვნილი ნაწილის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილების ყველა მეცნიერმა თანამშრომელმა, რომლებიც ნაშრომში შესული ძეგლების აღმოჩენის ავტორებიც არიან. ავტორებს გარკვეული დახმარება გაუწია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ჯამგემ დ. თუშაბრამიშვილმა. მის მიერ აღმოჩენილ ძეგლებს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი წინამდებარე ნაშრომში, სადაც მთავარი ყურადღება გადატანილია მონოგრაფიულად შესწავლილ და გამოქვეყნებულ ძეგლებზე, ხოლო ის ძეგლები, სადაც დადგენილია ქვის ხანის ცალკეული ნაშთები, მაგრამ არქეოლოგიური თხრით ჯერ არ არის შესწავლილი, ასეთი პუნქტები დატანილია სათანადო რუკაზე.

ქვის ხანის ძეგლთა შესწავლის პროცესში, ველზე თუ ლაბორატორიულად დამუშავების დროს, ნაშრომის ავტორებს დიდი დახმარება გაუწიეს არქეოლოგიის მომიჯნავე დარგების მკვლევრებმა: პალეონტოლოგებმა ლ. გაბუნიაძემ, ნ. ბურჩაყ-აბრამოვიჩმა და ა. ვეკუამ; გეოლოგებმა ე. წერეთელმა, გ. მაისურაძემ, პალინოლოგებმა ნ. კლოპოტოვსკაიამ, ნ. მამაცაშვილმა და აგრეთვე არქიტექტორებმა შ. კალანდარიშვილმა, ო. თორთლაძემ, დ. ქორდანიამ, თ. გერსამიამ და სხვ.

ნაშრომის საილუსტრაციო ნაწილი მოამზადეს მხატვრებმა: ა. აბრამიშვილმა, ზ. აქუბარდიამ, გ. ხოსიტაშვილმა და დ. კრაწაშვილმა.

საქართველოს ქვის ხანის ისტორიის შესახებ ასეთი ვრცელი ნაშრომის გამოქვეყნება პირველი ცდაა და, ცხადია, იგი არ იქნება უნაკლო. ამის გარდა,

ნაშრომში განხილული საკითხების ირგვლივ ზოგ მეცნიერს შეიძლება განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეს შემუშავებული. ქვის ხანის ამა თუ იმ საკითხზე სხვადასხვა აზრის არსებობა ნაშრომშიც არის წარმოდგენილი და კვლავაც აღვნიშნავთ, რომ ამ რიგის ზოგიერთი ნაკლი თვით ძეგლების თავისებურებასაც უნდა მიეწეროს; ისინი ხომ იმ დროის ადამიანთა სამეურნეო და საბრძოლო აღჭურვილობის ნაშთებია, რომელთა შესატყვისი მასალა (განსაკუთრებით ქვედაპალეოლითური) დღევანდელ, ცივილიზაციის ჩამორჩენილ ტომებშიც კი ძნელად დაიძებნება. ამდენად, შრომის იარაღების მორფოლოგიურ-ფუნქციონალური ნიშნების ზედმიწევნით დადგენა საკმაოდ რთულია და მიღებული შედეგების განზოგადებაც ხშირ შემთხვევაში საერთოდ ჰიპოთეზურია. მეცნიერული ჭეშმარიტებით მათი დადგენა ჯერ კიდევ მრავალ არქეოლოგიურ მონაცემს და ცოდნის გაფართოებას მოითხოვს. მართალია, როგორც ჩვენი, ისე უცხოელ არქეოლოგთა მიერ ამ მიმართულებით სხვადასხვა მეთოდებია შემოთავაზებული, 1. ტრასოლოგია (ქვის იარაღზე ტექნიკის კვალის დადგენა), 2. მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდი, გრაფიკული თვალსაჩინოება (პისტოგრამა-დიაგრამები) და ამ გზით ერთგვარად ხერხდება შედარებით ჭეშმარიტებასთან მიახლოება, მაგრამ აბსოლუტურიდან საერთოდ ამ დარგის არქეოლოგია ჯერ კიდევ შორსაა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ავტორები სიამოვნებით გაიზიარებენ ყველა კრიტიკულ შენიშვნას, რომელიც ნაშრომის მიმართ გამოითქმება.

ოთარ ლორთქიფანიძე

შესავალი

საპართველოში არქეოლოგიის ბანკითარების მოკლე ისტორია

სიძველეებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ძველი ნივთების შეგროვებას და მათ კოლექციონერობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ ამ სიძველეების შესწავლისა და მათი ისტორიასთან დაკავშირების ცდა გაცილებით გვიან მოხდა.

შუა საუკუნეებში ძველი, უნიკალური ნივთების საცავი საქართველოს ხელისუფალთა კარზე იყო. ეს საცავი, ალბათ, მეჭურჭლეთუხუცესის გამგებლობაში შედიოდა¹. სულხან-საბა ორბელიანი რომის მუზეუმის დათვალიერებისას იხსენებს, რომ ამგვარი ნივთების საცავი მას უნახავს მეფე ვახტანგ VI-ის კარზე, „სალაროში“². საცავ-სალაროს თბილისში, სადაც სამეფო ხაზინასთან ერთად ინახებოდა მიწაში ნაპოვნი ნივთებიც, კერძოდ, ძველი მონეტები და იარაღ-საჭურველი, იხსენებს თეიმურაზ ბაგრატიონიც — „სხვათა და სხვათა ჟამთა შინა იპოვნეს მკვდარნი ეს სახედ დაფლულნი სხვათა და სხვათა ადგილთა შინა ივერიისათა, რომელითაცა ჩვეულებანი ძველთა ქართლოსიანთანი უწყებულ არიან და არათუ მხოლოდ ძველთა ჟამთა ახალთაცა ამათ საუკუნეთა იპოვნეს რაოდენიმე მეფობასა შინა ირაკლი მეორისასა კერპთ მსახურებისა ჟამსა შინა დაფლულნი მკვდარნი და ფულნი პირთა შინა დეზულნი მათნი, და რომელნიმე რკინისა საჭურველთაგანნი დაშთომილნი განუხრწნელად იცვებოდეს სალაროსა შინა მეფის ირაკლსასა...“³. იგი იქვე დასძენს, რომ, სამწუხაროდ, 1795 წელს სპარსელების მიერ საქართველოს დედაქალაქის თბილისის აღება-დანგრევისას მეფის სასახლე და მასთან ერთად ეს საცავიც დაუბრუნებიათ და გაუძარცვეათ.

XIX საუკუნემდე საქართველოში სიძველეთა შესწავლას ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. შემოგვრჩა მხოლოდ კანტი-კუნტი ცნობები ზოგიერთი ძველის შესახებ. ეს ცნობები საინტერესოა თავისი აღწერილობითი-ფიქსაციური

1 ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 237 და 559; ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1966, გვ. 86.

2 სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში 1658—1725, ტფ., 1940, გვ. 37—38; მისივე, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928, გვ. 291.

3 თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, პეტერბურგი, 1848, გვ. 52.

ზასიათით, რადგან ზოგიერთი ძეგლი შემდგომში ან სულ განადგურდა, ან ძლიერ დაზიანდა და სახე იცვალა.

სიძველეთა აღწერა გვხვდება ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბაგრატიონისა და თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულებებში, აგრეთვე უცხოელ მოგზაურთა ნაწერებში (არქანჯელო ლამბერტი, კრისტოფორო დე კასტელი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, იოჰან ანტონ გიულდენშტედტი და სხვ.).

XIX საუკუნის საქართველოში სიძველეთა შესწავლა შედარებით უფრო სისტემურ ხასიათს იღებს. ჯერ კიდევ 1837 წელს საქართველოს საოლქო სტატისტიკურმა კომიტეტმა მიაქცია ყურადღება ისტორიული ძეგლების აღრიცხვა-დაცვის საქმეს და საამისოდ შეადგინა სპეციალური ინსტრუქცია-მითითება, რომელიც გაავრცელეს სახელმწიფო დაწესებულებებში. მასში ყურადღება ყორღანების ან მსგავსი სიძველეების გამოვლინება-აღნუსხვაზე იყო გამახვილებული⁴. ამ ინსტრუქციის შედგენაში მონაწილეობდნენ ნ. ფალაევანდიშვილი და მ. ჭილაშვილი, რომლებიც სტატისტიკურ კომიტეტში მსახურობდნენ. მ. ჭილაშვილი სიძველეთა დაცვა-შესწავლისათვის შემდგომშიც იღვწის და აქტიურობს. მისთვის, სახელმწიფო სტატისტიკური კომიტეტის თანამშრომლისა და სიძველეთა აღნუსხვა-დაცვის შესახებ ინსტრუქციის ერთ-ერთი შემდგენლისთვის, კარგად იყო ცნობილი სიძველეთა შესწავლის მამინდელი მდგომარეობა საქართველოში. ამიტომ 1856 წლის 8 დეკემბერს კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში იგი ერთ-ერთი ზირველთაგანი აღძრავს საკითხს საქართველოში ინტენსიური არქეოლოგიური გათხრების ჩატარების აუცილებლობის შესახებ⁵. სამწუხაროდ, მისი წინადადება საქართველოში ფართო არქეოლოგიური გათხრების წარმოებაზე მაშინ არ მიიღეს და ვერ განხორციელდა, რადგან ის გეოგრაფიული საზოგადოების მიერ შესასწავლი საკითხების სფეროში მყოფად არ მიიჩნიეს.

მართალია, საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მსგავსად არც სტატისტიკურ კომიტეტს ჩაუტარებია გათხრები და რაიმე მეცნიერული დასკვნები გამოუტანია (რადგან ეს არ შედიოდა მის ფუნქციებში), მაგრამ მან მაინც გარკვეული როლი შეასრულა ძეგლთა აღნუსხვა-დაცვაში, რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ამით განადგურება-გაქრობას გადაურჩა ბევრი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი. მაგრამ მართლ აღნუსხვა-დაცვით სიძველეთა შესწავლის საქმე წინ ვერ წაიწედა. ამიტომ XIX საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს სიძველეთა უფრო ფართო, მრავალ-

⁴ საქართველოს ცენტრ. სახ. ისტორიული არქივი, ფ. 16, საქ. 5433; საარქივო დოკუმენტები გამოაქვეყნა ა. იოსელიანმა — ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 369—409.

⁵ Записки общества любителей Кавказской археологии, ред. Дж. Бакрадзе, Ал. Берже, кн. I, Тифлиси, 1875, с. 17.

მხრივი შესწავლისათვის საქირო გახდა გათხრების დაწყება და ამით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა გათხრით არქეოლოგიას.

პირველი გათხრა, რომელიც მეცნიერულ მიზნებს ისახავდა, ჩატარდა 1852 წლის ზაფხულში, ქ. გორიდან დაახლოებით თხუთმეტიოდე კილომეტრზე დაცილებულ ნაქალაქარ უფლისციხეში⁶. აქ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს არქეოლოგიის პიონერი დიმიტრი კონსტანტინეს ძე მელვინეთხუცესიშვილი (1815—1878 წწ.)⁷. სამწუხაროდ, დ. მელვინეთხუცესიშვილის შესახებ ძალზე ცოტა ცნობებია შემონახული, რაც აძნელებს ამ პიროვნებაზე სრული წარმოდგენის შექმნას. მისი თანამედროვეების აზრით, „დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი ნიჭიერი კაცი იყო და საქართველოს ისტორიის დიდი მცოდნე და აღმადროძინებელი; იგი, სადაც-კი შეეძლო, ყველგან ცდილობდა საქართველოს ისტორიის სასარგებლოდ ბევრი სხვა და სხვა სამეცნიერო, საისტორიო და საარხეოლოგიო საზოგადოებათა წევრი იყო“⁸.

მაღალ შეფასებას აძლევს დ. მელვინეთხუცესიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე⁹, რომელიც ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავს მის სიბეჯითეს და იმ დახმარებას, რომელიც მისგან მიიღო¹⁰.

დ. მელვინეთხუცესიშვილმა აღწერა და შეისწავლა მრავალი საყურადღებო ძეგლი ძველი, შუაგროვა და შთამომავლობას დაუტოვა არაერთი მნიშვნელოვანი ზეღნაწერი თუ ნივთი. მან მოიარა და შეისწავლა ქართლი, იმერეთი, გურია, მესხეთი, აჭარა და სხვ. მ. ბროსესადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში დ. მელვინეთხუცესიშვილი აღნიშნავს: „მე მსურს რაც საქართველოში ძველი ეკლესიაა, თუ მონასტერი, ჯვარი, ხატი და რაზედაც ძველი წარწერილობაა, ყველა აღვწერო თვითოეულად და ნაწერიც ეგრეთ გარდმოვიღო“¹¹. იგი მოხსენებებისათვის, რომლებსაც გზავნიდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში, 1849 წელს დააჯილდოვეს აკადემიის ქების სიგელით¹².

დ. მელვინეთხუცესიშვილი მსახურობდა ქ. გორის სასამართლოში, რაც მას ხელს უშლიდა სამეცნიერო მუშაობის ფართოდ გაშლაში. ამიტომ 1851 წელს იგი გორიდან გადადის ქ. თბილისში მთავარმართებლის კანცელარიაში.

⁶ გაზ. „Кавказъ“, 1852, №№ 43, 66, 70; იხ. გ. გამყრელიძე, პირველი ქართველი არქეოლოგი, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 27, 11, 1981.

⁷ ზოგიერთი ცნობის მიხედვით გარდაიცვალა 1880 წ. იხ. ეურ. „საქართველოს კალენდარი“, რედ. ვ. გუნია, ტფ. 1895, გვ. 491; ზოგან იხსენიება, როგორც მელვინეთხუცესიშვილი; მაგ., საფლავის წარწერა.

⁸ „საქართველოს კალენდარი“, ტფ., 1895, გვ. 491.

⁹ ბიოგრაფიული ცნობები დაწერილებით იხ. შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966.

¹⁰ M. Brosset, Rapports, III, გვ. 52.

¹¹ შ. ხანთაძე, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, კრებ. „საისტორიო მოამბე“, № 6, თბ., 1952, წერილი № 2.

¹² იქვე, წერილი № 5.

სამუშაოდ, სადაც სამეცნიერო მოღვაწეობისათვის უფრო მეტი დრო რჩებოდა და მატერიალურადაც უკეთ იყო უზრუნველყოფილი. აქ მას, სხვა საქმეებთან ერთად, დაავალეს მოეწყო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა აღეწერა და შეესწავლა ისტორიული ძიძველები¹³. სამუშაო-როდ, ამ ექსპედიციებს მთავრობისაგან დაფინანსება-დახმარება მალე შეუწყდა. ამიტომ დ. მელვინეთხუცესიშვილი სამუშაოდ ისევ ქ. გორის სასამართლოს კანცელარიაში დაბრუნდა¹⁴.

1852 წლის ზაფხულში დ. მელვინეთხუცესიშვილმა მთავრობისაგან მიიღო გარკვეული თანხა და შეუდგა უფლისციხის გათხრას. მას თბილისიდან მოუწვევია მხატვარი¹⁵ და შეუძენია სათანადო აღჭურვილობა ძეგლის გათხრა-ფიქსაციისათვის. არქეოლოგიური გათხრების დროს დ. მელვინეთხუცესიშვილი აწარმოებდა სავსე დღიურს. როგორც ჩანს, იგი აპირებდა უფლისციხის გათხრების შედეგების გამოქვეყნებას¹⁶, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა, ხოლო სავსე დღიურები და მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დაიკარგა. (ჭრჭერობით არ ხერხდება მათი მიკვლევა). ამიტომ ამ გათხრების შესახებ წარმოდგენას ძირითადად გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი მოკლე ანგარიშები გვიქმნის¹⁷.

უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლა დ. მელვინეთხუცესიშვილს ზედაპირული დაზვერვებით დაუწყია — აუგეგმია ნაგებობები, რამდენიმე წარწერა აღმოუჩენია და გადმოუწერია. ამისათვის მას მოუხდა ძაღლა, ფრიალო კლდეებში ნაკვეთი ნახევრად ჩანგრეული ნაგებობების ნახვა, რაც არცთუ უსაფრთხო იყო მისთვის.

დ. მელვინეთხუცესიშვილს პირველად უფლისციხის დიდი დარბაზის გათხრა დაუწყია. გაუჭრია დაახლოებით ოთხი მეტრი სიგრძის თხრილი; აქ აღმოუჩენია სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები. დიდი დარბაზის გვერდზე ოთახში დადასტურებულა ქვევრები. მისი აზრით, დიდი დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარჩინებული პირის სასახლეს წარმოადგენდა. დ. მელვინეთხუცესიშვილს შეუსწავლია უფლისციხის შესახებ არსებული ყველა-ნაირი მასალა, კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონისა და ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები უფლისციხის შესახებ და ადგილობრივი მაცხოვრებლების ფოლკლორული გადმოცემები¹⁸. იგი ერთმანეთს ადარებს უფლისციხისა და ვარძიის კლდეში ნაკვეთ ნაგებობებს. უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლის დროს დ. მელვინეთხუცესიშვილს გაუთხრია სამარხებიც¹⁹.

13 შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, წერილი № 10.

14 იქვე, წერილი № 13.

15 Кавказъ, 1852, № 66.

16 Кавказъ, 1852, № 70.

17 Кавказъ, 1852, №№ 43, 66, 70.

18 Кавказъ, 1852, №№ 43, 70.

19 Кавказъ, 1852, № 70.

დ. მეღვინეთხუცესიშვილი გარდაიცვალა 1878 წელს და დასაფლავებულ-
ლია გორთან, სოფ. ხიდისთავში²⁰. დ. მეღვინეთხუცესიშვილის ნაწერებიდან
ჩვენამდე მოაღწია ისტორიული ხასიათის რამდენიმე ნაშრომმა („მეფობა და
ცხოვრება ირაკლი II“; „აღწერა გორის უეზდსა შინა ეკლესიებთა და მო-
ნასტერთა ზედა ღირსსახსოვარ წარწერათა სრულიად“; „ღირსსახსოვარი ლაშ-
ქრობა პირისპირ იმამი შამილისა“; „მოგზაურობა გორის უეზდის, ხიდის-
თავის უჩასტკასა შინა 1849-სა წელსა“; „მოგზაურობა და მოხილვა იმერეთისა,
1850 წელსა“ და სხვ.)²¹, ერთმა-ორმა პიესამ და ლექსებმა.

XIX საუკუნის შუა წლებისათვის საქართველოში 1832 წლის ეროვნულ-
განმათავისუფლებელ გამოსვლას მოყოლილი რეპრესიების შედეგად ჩამკვდა-
რი კულტურული ცხოვრება რამდენადმე გამოცოცხლდა. დაარსდა სამეც-
ნიერო საზოგადოებები; გაიხსნა მუზეუმი, ბიბლიოთეკა; დაიწყო პერიოდული
განოცემების დ ტამბვა, სადაც სამეცნიერო სტატიებიც იბეჭდებოდა და სხვ. ამ
პერიოდულ გამოცემებში ხშირხშირად ნახმარ სიტყვა „არქეოლოგიაში“ საკ-
მაოდ ფართო, ბევრის მომკვლ მნიშვნელობას დებდნენ, იგი ფრიად მოდურ
სიტყვად იქცა. გამოქვეყნებულ წერილებში არქეოლოგიური მასალის შეს-
წავლა და ფიქსირება ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ამ მასალის
აღწერა უმეტესად ჩართულია ან არეულ-გადახლართულია საბუნებისმეტყვე-
ლო და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მონაცემებთან.

სიტყვა „არქეოლოგიაში“²² მაშინ ძირითადად იგულისხმებოდა ყოველგვარ
სიძველეთა (წიგნების, ეკლესია-მონასტრების, ხატების, ეპიგრაფიკული ძეგ-
ლებისა და სხვ.) აღწერა-შესწავლა, ხოლო მიწისქვეშა ძეგლების მიკვლევას
კი უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან იმ
დროს არქეოლოგია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, როგორც მეცნიერე-
ბა დღევანდელი მნიშვნელობით.

ერთ-ერთი პირველი, რომელმაც რამდენადმე მიაქცია ყურადღება საქარ-
თველოს სიძველეებს, იყო საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება. მისი
განყოფილება 1850 წელს გაიხსნა თბილისში. პირველსავე სხდომაზე სხვა
საკითხებთან ერთად აღინიშნა, რომ დაარსებულმა საზოგადოებამ უნდა შე-
ქმნას მუზეუმი და არქივი²³. მისი აქტიური წევრები იყვნენ: რ. ერისთავი,

²⁰ მეღვინეთხუცესიშვილის საფლავის ქვაზე წარწერაა — „აქ განისვენებს გვაში აზნა-
ურის კოლესკი ასესორის დიმიტრი კონსტანტინეს ძისა მეღვინეთხუცესიშვილისა. იშვა
1815, მიიცვალა 6 დეკემბერს 1878 წ. დასდო ღვაწლი მამულს არხეოლოგიურის შრომით,
რომელიც გამოიცა სანკტპეტერბურღს სამეცნიერო აკადემიის მიერ“.

²¹ ნაწერები გამოუქვეყნებელია, ინახება ქ. ლენინგრადის სსკ მცნ. აკადემიის აღმო-
საველეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბროსესეულ ხელნაწერთა ფონდის H—47-ში.

²² იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, არქეოლოგია და თანამედროვეობა, თბ., 1979.

²³ საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო — „Записки Кавказского отдела
императорского русского географического общества“, გამოდიოდა 1852 — 1919 წწ. შემოკ-
ლებით „ЗКОИРГО“.

დ. ყიფიანი, პ. იოსელიანი, გ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ვ. სოლოგუბი, ა. ბერეჟი, ი. ბარტოლომეი, პ. უსლარი, მ. ჭილაშვილი და სხვ.

ახლად დაარსებულმა განყოფილებამ გადაწყვიტა თბილისში მუზეუმის მოწყობასთან დაკავშირებით საზოგადოების წევრებისათვის დაევალებინა ექსპონატების შეგროვება-კატალოგიზება და საკვლევ ექსპედიციებში მონაწილეობა. მუზეუმი გაიხსნა 1852 წლის გაზაფხულზე²⁴. მისი იმდროინდელი ადგილსამყოფელი იყო დღევანდელი ალ. ჭავჭავაძისა და ალ. გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში მდგომი სახლი²⁵. ეს იყო პირველი მუზეუმი მაშინდელ კავკასიაში. თბილისში დაარსებული მუზეუმი შედგებოდა ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და ისტორიული განყოფილებებისაგან. 1854 წლისათვის კავკასიის მუზეუმი უკვე 3300 ექსპონატს ითვლიდა²⁶. მუზეუმის საისტორიო-არქეოლოგიური კოლექციები შეავსო მიწის წიაღში აღმოჩენილმა ბეგრმა ექსპონატმა. აქ თავი მოიყარა დიდი რაოდენობის ნუნჩიზმატიკურმა მასალამ, საქურველ-იარაღის ნაშთებმა, სამკაულებმა და სხვ.²⁷

საზოგადოების მუზეუმს ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან. ერთ-ერთი მათგანი იყო სანქტპეტერბურგის „ერმიტაჟი“.

1863 წელს გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი დაიშალა. მისი კოლექციები გადაეცა თბილისში ახლად გახსნილ კავკასიის მუზეუმს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გ. რადე²⁸. ამ მუზეუმსაც, ისევე როგორც მის წინამორბედს, უფრო ეთნოგრაფიულ-საბუნებისმეტყველო ხასიათი ჰქონდა. მაგრამ აქ არც ისტორია-არქეოლოგია იყო დავიწყებული. შემდგომში კავკასიის მუზეუმის საფუძველზე დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი აღმოცენდა.

მუზეუმის დამაარსებელი გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო პლატონ იოსელიანი (1809—1875 წწ.), რომელმაც თავის დროზე საყურადღებო ქართველოლოგიური გამოკვლევები შექმნა. კერძოდ, ჩვენთვის ფრიად საინტერესოა მისი ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის შრომები, სადაც იგი ეხება საქართველოში ქალაქების წარმოშობის საკი-

²⁴ დაწვრილებით იხ. გ. ყორღანი, კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1951.

²⁵ ალ. ჭავჭავაძის ქუჩა № 5.

²⁶ См. ЗКОИРГО. Отчеты за 1854 г., с. 19.

²⁷ См. ЗКОИРГО-ში მოყვანილი ანგარიშები.

²⁸ გუსტავ რადე — გერმანელი ბუნებისმეტყველი. დაიბადა ქ. დანციგში (გდანსკი) და იქვე მიიღო განათლება. 1863 წელს იგი პირველად ჩამოვიდა საქართველოში. ერთხანს მუშაობდა თბილისის ობსერვატორიაში, მერე იმოგზაურა მდ. ენგურის, რიონისა და ცხენისწყლის სუბებში და აწარმოვა ბიოლოგიურ-გეოგრაფიული კვლევა. იგი საქართველოში დარჩა საცხოვრებლად. გარდაიცვალა 1903 წ. თბილისში. 1891 წელს მან გამოცა კავკასიის მუზეუმის ისტორია — Г. Р а д д е. Краткий очерк истории естественной Кавказского музея в первые 25 лет существования, Тифлис, 1891.

თხეზს²⁹. მისი მოსაზრებით, საქართველოში ქალაქები ძირითადად წარმოიქმნა. მთავარ მდინარეთა ნაპირებზე და მათ ძირითად შენაკადებთან; სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტებთან; ზოგჯერ რელიგიურ ცენტრებთანაც; უფრო იშვიათად თავისთავადაც, წარმოების თავისუფალი კონცენტრაციის ან ვაჭრობის განვითარების შედეგად³⁰. თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად პ. იოსელიანს მცირე მასშტაბის დაზვერვითი გათხრები უწარმოებია დღევანდელ სოფ. ყინვალთან ძველი ნაქალაქარის აღგებზე. მას აღმოუჩენია და გაუთხრია რიყის ქვის ნაგებობების ნაშთები; მოუპოვებია კერამიკისა და ლითონის ნივთების ნატეხები³¹ (სამწუხაროდ, უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ გათხრების შესახებ არ შემორჩენილა).

ჯერ კიდევ 1844 წელს (ე. ი. გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მცხეთა მიიქცევა საყოველთაო ყურადღებას) პ. იოსელიანი თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერდა, რომ მცხეთაში არის ბევრი ნანგრევი, რომელიც ჯერ არავის შეუხსწავლია³².

1867 წელს მცხეთაში მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გზის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ახ. წ. 75 წელს ამოკვეთილი ქვათილი წარწერით. შემდგომ წლებში მცხეთაშივე, სამთავროს ველზე და ბებრისციხის მიდამოებში — ისევ შემთხვევით — აღმოჩნდა უძველესი სამარხები. ამ აღმოჩენებმა გამოიწვია მთავრობის დაინტერესება მცხეთით და 1871 წელს თბილისში მცხოვრებ ავსტრიელ ნატურალისტ ფრიდრიხ ბაიერნს³³ სთხოვეს სამთავროს მიწებზე გათხრების წარმოება. აქ გაითხარა ქვის ფილებსაგან შემდგარი სამარხები, ამოღებულ იქნა კერამიკა, ლითონის

²⁹ П. Иоселиани. Туземные города, существовавшие и существующие в Грузии. Жур. Мин. Внутр. дел, 1844, с. 6; Путевые записки по Кахетии, газ. «Закавказский вестник», 1845, №№ 22, 28; Путевые записки от Тифлиса до Мухета, газ. «Кавказ», 1870, №№ 19, 24, 40, 45, 48.

³⁰ იხ. ვ. აფრასიძე, პ. იოსელიანი ქალაქების წარმოშობის შესახებ და XIX ს. ევროპის ბურჟუაზული ისტორიოგრაფია. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 1970, გვ. 52—53.

³¹ Записки общества любителей Кавказской археологии, книга I, Тифлис, 1875, с. 185.

³² П. Иоселиани. Города, существовавшие и существующие в Грузии, газ. «Закавказский вестник», 1844. №№ 1, 3, 5, 10, 12.

³³ ფრიდრიხ სამუელის ძე ბაიერნი (1817—1886 წწ.). 1849 წლიდან სიციოტლის ბოლომდე ცხოვრობდა კავკასიაში. მან გარკვეული ამაგი დასდო კავკასიის მუზეუმს, განსაკუთრებით მის საბუნებისმეტყველო განყოფილებას. 1859 წ. არარატის მთის ძირას აღმოაჩინა კავკასიაში პირველად ურარტული ლურსმული წარწერები; არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარა ყაზბეგში, ურზნისში და სხვ.

იარაღები, სამკაულები და სხვ.³⁴ ხსენებულმა ნივთებმა შემდეგ კავკასიის მუზეუმის ფონდები შეაესო. მართალია, არც საველე სამუშაოები ჩატარებულა სათანადო დონეზე და არც განათხარის ისტორიული გააზრება მომხდარა სწორად, მაგრამ თვით არქეოლოგიურმა მასალამ საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. 1885 წელს ქ. ბერლინში დაისტამბა ფრ. ბაიერნის ნაშრომი, რომელშიც სხვებთან ერთად განხილულია სამთავროს ველის სამარხებიც³⁵. 1879 წელს ფრანგი ანთროპოლოგი ე. შანტრი სამთავროშივე თხრის რამდენიმე სამარხს³⁶.

მცხეთის ამ არქეოლოგიური აღმოჩენების შემდეგ კავკასიისადმი და, კერძოდ, საქართველოსადმი ისტორიკოს-არქეოლოგთა ინტერესი კიდევ უფრო იზრდება. ამიტომ 1872 წელს თბილისში შეიქმნა კავკასიის არქეოლოგიური კომიტეტი, რომელსაც ისტორიულ-არქეოლოგიური სამუშაოების კოორდინაცია უნდა მოეხდინა კავკასიაში³⁷. მალე ეს კომიტეტი შეუერთდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებას“, რომელიც დაარსდა 1873 წელს ქ. თბილისში³⁸.

„კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ დაარსებას წინ უძღოდა გარკვეული სამზადისი. კერძოდ, 1873 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა დ. ბაქრაძის სტატია, რომლითაც ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა გასცნობოდა მის სამშობლოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების პერსპექტივებს. სტატიის სათაურია — „შესახებ კავკასიის არქეოლოგიის მოსიყვარულე საზოგადოებისა, რომლის დაფუძნებასაც აპირებენ ტფილისში“³⁹. დასაწყისში საუბარია საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის რეგიონის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობაზე; ამ მხარის გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის; შეფასებულია ისტორიული ძეგლების წარწერების ადგილი ქვეყნის წარსულის შესწავლაში. შემდეგ აღნიშნავს, რომ არქეოლოგიას ჩვენთანაც მიექცა ყურადღება და გადაწყვეტილია არქეოლოგიური საზოგადოების შექმნა, რათა „მოიყვანონ ცნობაში ძველნი სახსოვარნი, აკლდამების გათხრა, სადაცა

³⁴ Исследование древних гробницъ близъ д. Мшхета, произведенное г. Байерномъ летом 1871 г. газ. «Кавказъ», 1872, №№ 7, 8.

³⁵ F. Bayern, Untersuchungen über die ältesten gräber und schatzfunde in Kaukasien, zeitschrift für Ethnologie, 1885, Berlin, 41—45.

³⁶ E. Chantre, Recherches anthropologiques dans le Caucase, V. II, Paris-Lyon, 1886.

³⁷ კომიტეტის საქმიანობის შესახებ ცნობები იბეჭდებოდა ჟურნალ „Кавказская старина-ში“, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1872—1873 წწ. ამ ჟურნალს ქონდა სპეციალური განყოფილება „Кавказская археологическая летопись“. ამ მოყვანილი ცნობები ირთოდლე ქრისტიანული ეკლესიების აღწერილობები შეიცავს.

³⁸ Кн. Пятый археологический съездъ в Тифлисѣ (Протоколы), М., 1879, с. 34.

³⁹ „ცისკარი“ ტფ., 1873, № 3—4, გვ. 3—10; იხ. გ. გამყრელიძე, მასალები XIX ს. არქეოლოგიის ისტორიისათვის საქართველოში, საისტორიო კრებული, VII, თბ., 1977, გვ. 288—308.

მოიპოვებიან ძველის ღრობების კვდართან ჩატარებულნი ნივთები, ზედ წარწერების შეკრება და რა მოიყვანოს ყველა ეს ცნობაში, გაავრცელონ ეს ცნობები ხალხში. ამ არხეოლოგიის შეწევნა აღიდგინება კარგათ ძველის, ღრობის ხნის გამქრალის ხალხების მდგომარეობა კავკასიის მხარეს, ამ აზრს ჯერ აქომამდე არ შეხებიან, თუმცა ამას, ქვეყნის ზურგზედ, არხეოლოგიის მხრივ თითქმის უჭირავს პირველ ადვილთაგანი“. იქვე: „ეს სახსოვარნი მარტო თვალსაჩინარნი კი არ არიან, რამდენნი არიან დაფლულნი თვით მიწაში, როგორც გვარწმუნებს, მცხეთა, სადაც, რა გადათხარეს აკლამები, რამდენი ღირს შესანიშნავი ძველის ღროსანი, აღმოჩნდნენ“. რაც აღმოაჩინეს, ილუპება ჰაერის შეხებისაგანო — შეშფოთებულია დ. ბაქრაძე. მას აგრეთვე აწუხებს ის, რომ ხალხი ძველი ნანგრევების ქვეშ ხმარობს სამშენებლო მასალად და ამით ზიანს აყენებს ძეგლებს; თვის, რომ არქეოლოგიური საზოგადოების შექმნა ამიტომაც არის საჭირო — საზოგადოებამ უნდა „...მოიყვანოს ცნობაში ღირს სახსოვარნი შენობები; გაუფრთხილდეს, არავინ წაახდინოს, ფოტოგრაფიებით გადმოიღოს ისინი და იმათი მხატვრობა; გადმოიწეროს ზედ წარწერებით; შეისყიდოს სადაცა ჰპოვებს ძველი ფულები, ოქმები, მანუსკრიპტები და იმისთანა ნივთები, რომელნიცა წარმოგვიდგენენ ძველის ღროს სახსოვარსა; გადაათხრევინოს ის აკლამები, სადაცა დაინახავს საჭიროდ, და სხვა“⁴⁰.

როგორც ვხედავთ, ამ სტატიაში მომავალი არქეოლოგიური საზოგადოებისათვის დასახულია ფრიად პროგრესული აზრებით გამსჭვალული პროგრამა; დასმულია საკითხი ძეგლთა დაცვის, გრაფიკული ფიქსაციის, აღწერის, შესყიდვის და გათხრის შესახებ.

ამ საპროგრამო სტატიის ავტორი დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე (1826—1890 წწ.) „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური მოღვაწე იყო.

დ. ბაქრაძე საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობის ერთ-ერთ მთავარ გზად საქართველოს ისტორიის წყაროებისა და მასალების ძიებას თვლიდა. მას, სრულიად სამართლიანად, მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიისათვის მასალების შეგროვება ძირითადად ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების საშუალებით უნდა მოხდარიყო. ამიტომ დ. ბაქრაძე აწარმოებდა კვლევა-ძიებას სვანეთში, აჭარაში, გურიაში, მესხეთ-ჯავახეთში, სამეგრელოში, საინვილოში და სხვ.⁴¹

ეს ისტორიულ-არქეოლოგიური მოგზაურობები დ. ბაქრაძის შემუშავებული საერთო გეგმის ნაწილს შეადგენდა. მისი საერთო დიდი მიზანი მთლიან-

⁴⁰ „ცისკარი“, ტფ., 1873, № 3—4, გვ. 10.

⁴¹ Д. Бақраძе. Сванетия, газ. Кавказъ, 1861, № 1—4; Очерки Мингрелии, Самурзакани и Абхазии, газ. Кавказъ, 1860, № 48—49; Археологическое путешествие по Гурии и Аджара, СПб., 1878; Заметки о Закатальском округе, 1890, сб. ЗКОИРГО, кн. 14, вып. 1; მსავე, ბათუმის მაზრა, გეოგრაფიული ისტორიული, ენოთგრაფიული და არქეოლოგიური მიმოხილვა, „ღროება“, 1880, №№ 74, 78, 80, 82.

ნად საქართველოს სიძველეების შესწავლა იყო. ამ მიზნის მიღწევა, ბუნებრივია, მარტო ერთი მეცნიერის ძალებს აღემატებოდა. ამიტომ საჭირო შეიქმნა გარკვეული სამეცნიერო ძალების გაერთიანება. ამ დროისათვის საქართველოში მოღვაწე სამეცნიერო ძალები კარგა ხნის განმავლობაში არაორგანიზებულად, მაგრამ მაინც დიდი გულისყურით კრებდნენ და სწავლობდნენ საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან მასალებს. ამიტომ იყო, რომ არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების დაარსების იდეას მოწინავე საზოგადოება სიხარულითა და აღტაცებით შეხვდა. დაინტერესებულ წრეებში უკვე საკმაოდ კარგად იცნობდნენ ქართველ მოღვაწეებს — პ. იოსელიანის, ს. ბარათაშვილის, რ. ერისთავის, დ. ყიფიანის, გ. ორბელიანის, დ. ბაქრაძის და სხვათა საქმიანობას, რაც ნათლად ჩანდა მაშინდელ საქართველოში გამოცემული პერიოდული ორგანოების ფურცლებზე.

როგორც ზემოთაც აღენიშნეთ, 1873 წლის 23 მარტს დამტკიცდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების წესდება. დაადგინეს, რომ ეს საზოგადოება დაარსდებოდა ქ. თბილისში და მისი მიზანი იქნებოდა ძველი ნაგებობებისა და, საერთოდ, სიძველეთა გადარჩენა დანგრევა-განადგურებისაგან⁴². საზოგადოებას შეძლებისდაგვარად უნდა შეეძინა სიძველეები მოსახლეობისაგან, თვითონაც მოეპოვებინა მასალები და ყოველივე ეს მეცნიერულად შეესწავლა. ამგვარი შესწავლის შედეგები თითოეულ წევრს უნდა მოეხსენებინა კრებაზე და საზოგადოების კომიტეტის დასტურით გამოექვეყნებინა. საზოგადოებას მჭიდრო სამეცნიერო კავშირი უნდა ჰქონოდა როგორც კავკასიის, ისე რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა საზოგადოებებთან, რათა ახალი ინფორმაცია მიეღო. საზოგადოების წესდებაში აღნიშნულია, რომ ის მოაწეოს სპეციალურ ექსპედიციებს და აწარმოებს გათხრებს. საზოგადოება იმდენად მონდომებული იყო სიძველეთა არქეოლოგიური შესწავლა ინტენსიურად ჩატარებულ იყო, რომ ამ საქმისადმი ინტერესის მქონე პირთ ფულადი პრემიებითა და ქვების სიგელებით დაჯილდოებას პირდებოდა. წესდებაში აღნიშნული იყო ისიც, რომ ყველა სამეცნიერო შრომა გადაეცემოდა საჯარო ბიბლიოთეკას, ხოლო არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა გადავიდოდა საზოგადოების მუზეუმში, შემდგომში ეს მუზეუმი შეუერთდა კავკასიის მუზეუმს.

საზოგადოებას მთავრობისაგან მიეცა შრომების ბეჭდვის უფლება. ამგვარად, თბილისში გამოიცა 1875 წელს საზოგადოების პირველი წიგნი, რომელსაც რედაქტორობდნენ დ. ბაქრაძე და ა. ბერაქე. წიგნში დაიბეჭდა საზოგადოების კრების ოქმები და სამეცნიერო სტატიები. არქეოლოგიურ საზოგადოებას ჰყავდა საპატიო, ნამდვილი და დამაარსებელი წევრები; გარდა ამისა, ჰყავდათ კორესპონდენტები (უფრო პერიფერიებიდან). საზოგადოების წევრები

⁴² იხ. გ. გამყრელიძე, საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიიდან, „ცისკარი“, 1932, № 6, გვ. 137—149.

გამოცემულ კრებულებს შედევათიან ფასებში იღებდნენ. როგორც ირკვევა, საზოგადოების წევრთა რიცხვი არ იყო განსაზღვრული. მასში მონაწილეობა შეეძლოთ როგორც ადგილობრივ, ისე უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებს და ორივე სქესის წარმომადგენლებს. საზოგადოების ნამდვილი წევრი სამოცამდე კაცი იყო. იგი არსებობდა საწევროების, საქველმოქმედო შემოწირულებათა ხარჯზე და დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა. სწორედ ამ ხელმოკლეობის გამო საზოგადოებამ ვერ მოახერხა თავისი საქმიანობის ფართოდ გაშლა. მას არქეოლოგიური გათხრები თითქმის არ უწარმოებია და შემოისაზღვრა ძირითადად შიწის ზედა ისტორიული ძეგლების აღწერა-პუბლიკაციით; გამოიცა საზოგადოების შრომების სულ ორი კრებული⁴³.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების დამსახურება ქ. თბილისში რუსეთის მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის ჩატარების საქმეში. კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოება თბილისში არქეოლოგთა ამ ყრილობის ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო.

1873 წელს კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების გახსნის დღეს, კავკასიაში არქეოლოგიური კვლევა-ძიების პერსპექტივების შესახებ მოკლე მიმოხილვითი მოხსენებით გამოვიდა ა. ბერჯე (შემდეგ ეს მოხსენება დაიბეჭდა საზოგადოების პირველ კრებულში). მან აღნიშნა, რომ საჭირო იყო შავი ზღვისპირეთის არქეოლოგიური შესწავლა, რადგან აქ აღმოჩნდა ისეთი საინტერესო ნაგებობები, როგორც დოლმენები. მან აქვე დასძინა სოხუმის, ფოთისა და ბიჭვინტის მიდამოების არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობის შესახებ. შემდეგ ჩამოთვლილი აქვს ისტორიული ძეგლები, რომელთა შესწავლაც სასურველად მიაჩნდა. ესენია: დასავლეთ საქართველოში — ბედია, ნოქალაქევი, ფასისი, ოზურგეთი, ქუთაისი, ვარციხე, ონი, ზონი, შორაპანი; აღმოსავლეთ საქართველოში — სურამი, აწყური, ოძრხე, თმოგვი, ახალციხე, ახალგორი, კასპი, ბოლნისი, დმანისი, მცხეთა, ყინვალი, გრემი, ნეკრესი, უჯარმა, ქერემი და სხვ. აქვე იყო დასმული საკითხი კავკასიის მხარის არქეოლოგიური რუკის შედგენის შესახებ.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შესახებ საკითხი პირველად 1856 წელს მ. ჭილაშვილმა აღძრა, მაგრამ ამას პრაქტიკული საქმიანობა არ მოჰყოლიაო. მხოლოდ მცხეთისა და შემდგომში 1873 წელს სოფ. ურბნისის გათხრებია ცნობილი მომხსენებლისათვის⁴⁴. კავკასიის არქეოლოგიური შესწავლის ამ მოკლე მიმოხილვაში გამოორ-

⁴³ Записки общества любителей Кавказской археологии, кн. I, Тифлис, 1875; кн. II, Тифлис, 1877.

⁴⁴ А. Берже. Кавказъ в археологическом отношении, сб. Записки общества любителей Кавказской археологии, кн. I, Тифлис, 1873, с. 17—19.

ჩენილია 1852 წელს დ. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ უფლისციხეში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.

არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთ შეკრებაზე მოხსენებით გამოხსულა დ. ბაქრაძე. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარებულყო საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმე; ყურადღება გაამახვილა მომავალი გათხრების ობიექტებზე და იმაზე, თუ სად უნდა მოველოდეთ უკეთეს შედეგებს. დ. ბაქრაძემ წამოაყენა წინადადება, რომ იმ ეტაპზე უპირატესად შესწავლილიყო კავკასიის ადრეული ეპოქები, რადგან ზათ შესახებ ყველაზე უფრო ცოტა ინფორმაცია ჰქონდათ. ძველი წერილობითი წყაროების გამოყენებით მან მოგვცა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ძველი „ბერძნული კოლონიზაციის“ ისტორიული მიმოხილვა. შემდეგ იგი საგანგებოდ აღნიშნავს ორ პუნქტს — მცხეთასა და ვაშნარს. ამ პუნქტებში, მისი აზრით, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ძალიან ნაყოფიერი და საქართველოს ისტორიისათვის ბევრის მომცემი იქნებოდა. 1874 წელს დ. ბაქრაძეს ამ მოსაზრების დასასაბუთებლად სოფ. ვაშნართან (გურიაში) ჩაუტარებია არქეოლოგიური დაზვერვები. გათხრების შედეგად მოუპოვებია კერამიკის, მინის, რკინისა და ბრინჯაოს ნივთების ნატეხები. მას აქვე უნახავს ნაგებობების ნაშთები, კერძოდ, მარმარილოს სვეტის ნაწილები, აგური, კრამიტი⁴⁵.

დ. ბაქრაძის ხანგრძლივი ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგი იყო მისი მონოგრაფია — „კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები“, რომელიც დაიბეჭდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების კრებულში⁴⁶. ნაშრომში მოცემულია ძირითადად საქართველოს ქრისტიანული ძეგლების აღწერილობა და კვლევის შედეგები. ძეგლები ანბანზეა დალაგებული. მათ აღწერას თან ახლავს მეცნიერული ანალიზი, მითითებულია წყაროები, რომელთა საფუძველზეც გამოკვლევა დაიწერა. თითოეული ძეგლის აღწერას წინ უძღვის მოკლე მხარეთმცოდნეობითი მიმოხილვა იმ რეგიონისა, სადაც ეს ძეგლი მდებარეობს. ამ ნაშრომში გამოტოვებული არ არის არც ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი. დ. ბაქრაძისათვის ძეგლის დათარიღებისას მთავარია მისი არქიტექტურული სტილი. ნაშრომში სულ სამას ოცამდე ძეგლია აღწერილი და შესწავლილი. ამ მონოგრაფიისათვის 1877 წელს დ. ბაქრაძე საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების დიდი ოქროს მედლით დააჯილდოეს.

დ. ბაქრაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ცდილობდა საქართველოს ისტორიის კვლევისას გამოეყენებინა ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. მას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ისტორიის უძველესი ზანის შესასწავლად არქეოლოგიური კვლევა-ძიება იყო საჭირო. იგი „ისტო-

⁴⁵ Записки общества любителей Кавказской археологии, кн. I, Тифлис, 1873, с. 185.

⁴⁶ Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, сб. Записки общества любителей Кавказской археологии, кн. I, Тифлис, 1873, с. 19—173.

რია საქართველოში“ აღნიშნავს, რომ „...ისტორიის წინააღმდეგობა არხეოლოგია, რომ ჩვენ გამოკვლეული გვექონდეს, შეიძლება იმათ ყოფა-ცხოვრებას, დამოკიდებულებას ერთისა მეორესთან და უცხო ტომნათესაებთან შევხებიყავით; მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან ნაკლებად ვართ“. იქვე: „უიქველია, რომ ქართლ-კახეთში, იმერეთში, მესხეთში და შავი-ზღვის პირად უნდა აღმოჩნდეს მრავალი ძველი ნივთიულობა, რომელიც ნათელს მოჰქვენს ჩვენს წარსულს საუკუნოებსა“⁴⁷.

კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება დ. ბაქრაძის აქტიური მონაწილეობით აღნუსხავდა და უყურადღებოდ არ ტოვებდა კავკასიის ტერიტორიაზე შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენათა თითქმის არც ერთ ფაქტს. ამგვარად აღინუსხა ახალციხისკენ მდ. კურცხანისა და ოცხის შესართავთან სახლის საძირკველის თხრის დროს აღმოჩენილი სამი მოთეთრო ფერის პატარა დოჭი; სოფ. ნინოწმინდაში მიწაში შემთხვევით ნაპოვნი სპილენძის მახვილი; არტანუჯის ციხესთან მოპოვებული ბრინჯაოს ზარი და თიხის ქოთანის. ამ ზარს ზედ ასომთავრული წარწერა ჰქონდა; სოფ. საგურამოში და სოფ. ურბნისთან 1876 წელს შემთხვევით უპოვნიათ თიხის უინვენტარო სარკოფაგები⁴⁸. ურბნისშივე მონეტების აღმოჩენის შესახებ ცნობას გვაწვდის პ. იოსელიანი⁴⁹. თბილისში ქალთა გიმნაზიისთვის ფუნდამენტის გაჭრის დროს უპოვნიათ ბაქტრიული მონეტების განძი⁵⁰.

მცხეთის შემდეგ, იმ პერიოდში, არქეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე დიდი ინტერესი ყაზბეგის უძველესმა ნივთებმა გამოიწვია⁵¹. ამ პუნქტმა და მისმა მიმდებარე ტერიტორიამ უკვე XIX ს. სამოციანი წლებიდან მიიქცია სიძველეების მკვლევართა ყურადღება შემთხვევით ნაპოვნი ძველი ნივთებით. ცნობილია დიდი რაოდენობის შემთხვევით ნაპოვნი და საგანგებო გათხრების შედეგად მიკვლეული არქეოლოგიური მასალა დაბა ყაზბეგიდან (წინათ სოფ. სტეფანწმინდა), რომელიც გაფანტულია და ამჟამად ინახება მოსკოვის ისტორიული მუზეუმის, ლენინგრადის ერმიტაჟისა და საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში.

დაბა ყაზბეგში, ახლანდელი ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის გვერდით, სახლის საძირკველის თხრისას უპოვნიათ ბრინჯაოს ნივთები — საკინძები, სამაჯურები და სხვ. ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით ყაზბეგში ჩამოვიდა გ. ფილიმონოვი, რომელმაც 1877 წელს, ამ ნივთების აღმოჩენის ადგილის აღმოსავლეთით გაჭრა თხრილი. აქ დადასტურდა ე. წ. სხივანა საყურე, ოქროს ბალთა,

⁴⁷ დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889, გვ. 38—39.

⁴⁸ Протоколы подготовительного V археологического съезда в Тифлисе. М., 1882, с. 63.

⁴⁹ П. Иоселнани. Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, с. 66—67.

⁵⁰ Записки общества любителей Кавказской археологии, кн. 1, с. 184.

⁵¹ დაწვრილებით იხ. ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1976.

პასტის მიწები, ბრინჯაოს ჯაჭვის ნაწყვეტები, ვერცხლის თასი, სპილენძის ნიჭი, სულ ორასამდე სხვადასხვა ნივთი. გ. ფილიმონოვს მუშაობისას შემოადამდა და უმეთვალყურეოდ დატოვა გათხრების ადგილი, რომელიც მეორე დილას გაძარცული დახვდა⁵² (შემდგომ ამ გატაცებული ნივთების ნაწილი ლენინგრადის და მოსკოვის ზემოთ ხსენებულ მუზეუმებში მოხვდა).

გამთხრელის აზრით, მის მიერ ნანახი მასალა სამარხული ინვენტარი იყო. ამ სამარხს კი ის რკინის ხანის დასაწყის ეტაპს აკუთვნებდა და მიიჩნევდა ადგილობრივი მალაგანვითარებული კულტურის ნაყოფად⁵³.

ამავე ადგილის მომიჯნავე ფართობი 1878 წელს გათხარა ფ. ბაიერნმა. აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები და რკინის შუბისპირები. გამთხრელის აზრით, ეს ადგილი უნდა ყოფილიყო სალოცავი, სადაც სწირავდნენ სხვადასხვა ნივთებს. ფ. ბაიერნმა ყაზბეგის გარდა არქეოლოგიურად დაზვერა მდ. სნოს ხეობა. კერძოდ, სოფ. ჭუთაში მან გათხარა სამი სამარხი, რომლებშიც აღმოჩნდა რკინის ისრისპირები, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები და სხვ. აქვე სოფ.

ართხმოში ფ. ბაიერნს გაუთხრია კოლექტიური სამარხი, რომელიც თუმცა გაძარცული ყოფილა, მაგრამ მაინც გადარჩენილა ზოგიერთი ნივთი — ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, სამაჯურები და სხვ. ფ. ბაიერნს დაუზვერია დარიალის ხეობის თამარის ციხეც⁵⁴.

1879 წელს ყაზბეგში ჩასულა ცნობილი რუსი არქეოლოგი ა. უეაროვი, რომელსაც ფ. ბაიერნის მიერ გათხრილი მონაკვეთის სამხრეთით გაქრილ საცდელ თხრილში აღმოუჩენია სამი სამარხი და მათი მიმდებარე კულტურული ფენები. აქ უპოვიათ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ნივთები⁵⁵. 1882 წელს დაბა ყაზბეგის ჩრდილოეთით მდ. თერგის ხეობაში სოფ. გველეთთან აღმოჩენილა ძველი ნივთები, რომლებიც შემდგომ მოხვდა ლენინგრადის ერმიტაჟში.

ერთ-ერთი საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლი, რომელმაც ადრევე, კერძოდ, 1876 წელს მიიქცია ძველი ისტორიით დაინტერესებულ პირთა ყურადღება, არის ვანი (მდებარეობს მდ. სულორის და მდ. რიონის შესართავის მახლობლად). 1876 წელს გაზეთ „დროებაში“ აღნიშნულია სოფ. საჩინოში (ვანი) ახვლედიანების გორაზე სამარხებისა და ოქროს სხვადასხვა ნივთების

⁵² Г. Д. Филимонов. О доисторической культуре в Осетии. сб. Антропологическая выставка об-ва любителей естествознания, антропологии и этнографии, т. II, М., 1879, с. 26—33.

⁵³ Г. Д. Филимонов. დასახ. ნაშრომი, გვ. 26—33.

⁵⁴ F. Bayern, Untersuchungen über die ältesten gräber und schatzfunde in Kaukasien, zeitschrift für Ethnologie, 1885, Berlin, გვ. 41—45.

⁵⁵ В. Антонович. Дневник раскопок на Кавказе 1879 г., кн. V, археологический съезд, М., 1882, с. 253—255.

ხშირი აღმოჩენის ფაქტები, აქვე გამოთქმულია აზრი — „როგორც ჩანს, დიდი სიმდიდრე უნდა იყოს ამ გორაში, ვინ იცის, რამდენი ისტორიის მასალები არის ნაპოვნი და პატრონების უცოდინარობისაგან დაღუპულა და რამოდენი კიდევ იპოვება ამ გორაში“⁵⁶. ვანში ნაპოვნმა ცალკეულმა საგნებმა თავი იჩინეს ჯერ კიდევ 1848 წელს, როცა ქ. ქუთაისში გავლით მყოფ მ. ბროსეს საჩუქრად ვანში ნაპოვნი თხუთმეტობდე სანტიმეტრის სიმაღლის მამაკაცის თავის ქანდაკება მიართვეს⁵⁷. საჩუქარი მ. ბროსეს პეტერბურგში გადაუგზავნია (ნივთი ამჟამად დაკარგულია).

1880 წელს მწერალს და საზოგადო მოღვაწეს გიორგი წერეთელს (1842—1900 წწ.) ვანში ნაპოვნი ნივთების შესახებ ინფორმაცია მიუწოდებია მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტისათვის⁵⁸. ერთგვარად, ამის შედეგიც იყო აღბათ ის, რომ 1889 წელს ვანში ახვლედიანების გორაზე არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით მცირე ვახუშტის ჩაატარა მხარეთმცოდნე ა. სტოიანოვიჩმა⁵⁹. მას აქ გაუთხრია რამდენიმე სამარხი, უპოვნია ლითონის ნივთები და კერამიკის ნაშთები.

გ. წერეთელსვე 1878—80-იან წლებში არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარებია და მოუხილავს მღვიმევის გამოქვაბული (მდ. ყვირილას ხეობაში დაბა საჩხერესა და ქ. ქიათურას შორის); საჩხერესთანვე ციხე მოდინახეს გორის ფერდობზე უნახია სამარხების ნაშთები. აქ ყოფილა კერამიკისა და ლითონის ნივთები; მდ. ყვირილას ხეობაში შორაპნის ციხესთან უნახავს თიხის ძველი წყალსადენის ნაშთები: სოფ. შორაპანთან, ადგილობრივი მცხოვრებლების ვადმოცემით, რკინიგზის ხაზის გაყვანისას მუშებს შემთხვევით უპოვნიათ სამარხები, რომელთა ნივთებიც გზის მუშებს დაუტაციათ; ქ. ქუთაისში მდ. რიონის ნაპირთან ახლანდელი წითელი ხიდის ახლოს აღმოჩნდა ძველი აბანო; ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთით შემთხვევით უნახავთ ღარღვეული სამარხის ნაშთები, ხოლო თვით ბაგრატის ტაძარი ა. სტოიანოვს გაუთხრია⁶⁰.

ქუთაისშივე ახლანდელი ბაზრის მიდამოებში, სადაც წინათ ბალი ყოფილა გაშენებული, აღმოჩნდა კერამიკის ნაშთები, აღწერიდან ჩანს, რომ ეს კერამიკა „ქოლხური კერამიკა“ უნდა ყოფილიყო.

⁵⁶ „დროება“, სხეიტორელის წერილი (დავით წერეთელი — 1832—1902 წწ. მწერალი), 1876, 28 მაისი, № 52, გვ. 1.

⁵⁷ M. Brosset, Rapports..., St.-Peterburg, 1850, გვ. 4—6.

⁵⁸ Г. Церетели. Заметки о курганах и раскопках по Рионской долине, кн. V, Протоколы подг. комитета, V арх. съезд в Тифлисе, М., 1882, с. 337.

⁵⁹ ა. სტოიანოვი წარმოშობით ბულგარელი იყო. მსახურობდა ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ ბათუმის გიმნაზიაში; ეწეოდა მხარეთმცოდნეობით მოღვაწეობასაც. მან შეისწავლა ბაგრატის ტაძარი და შემდგომ სვანეთში ჩაიწერა ფოლკლორული ვადმოცემები. ვანში მის მიერ ჩატარებული ვახუშტის შესახებ ცნობა იხ. Кавказь, 1889, VII, 21, № 161.

⁶⁰ Кн. Протоколы подготовительного комитета V археологического съезда в Тифлисе, М., 1882, с. 150.

1880 წელს ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე სოფ. ჭოგნარსა და სადგურ აჯამეთს შორის მიწის სამუშაოებისას აღმოჩნდა ორი ძველი ნამოსახლარი ჯორა (ადგილი ნასაჯვარევი). აქ, კულტურულ ფენებში დადასტურდა კერამიკული ნაწარმი; ლითონის იარაღი — ცულები, დანები, ისრის პირები; ბრინჯაოს სამაჯურები და სხვ.⁶¹

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქ. სოხუმის ერთ-ერთ სკოლაში ყოფილა მცირე არქეოლოგიურ-მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი, რომელიც შემდეგ ომის საფრთხესთან დაკავშირებით ქვეყნის შიდა რაიონებში გადაუტანიათ (შემდგომში ეს ნივთები დაკარგულა)⁶².

დაახლოებით ამავე დროს ქ. სოხუმში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ნატურალისტ-ზოოლოგი და მხარეთმცოდნე ვ. ჩერნიავესკი, რომელსაც პირველს ჩაუტარებია აფხაზეთის ზედაპირული მხარეთმცოდნეობითი გამოკვლევა; უნახავს ძველი დიოსკურიის და პითიუნტის ნანგრევები. მასვე მიუწოდებია ცნობა აფხაზეთის სიძველეების შესახებ მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტისათვის. ცნობაში აღნიშნულია არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ადგილები. ესენია — ქ. სოხუმის სანაპირო დღევანდელი საზღვაო პორტის ჩრდილოეთით, სადაც ზღვის ნაპირზე პოულობდნენ ხოლმე ძვირფას ნივთებს; ინციტის ტბის სანაპირო; ბიჭვინტის ტერიტორია; მდ. წებელდის ხეობა. თვითონ ვ. ჩერნიავესკის ამ პუნქტებში გათხრები არ უწარმოებია⁶³.

1886 წელს ვ. სინოვს ქ. სოხუმში მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით, ახლანდელი რუსთაველის ბაღის დასავლეთ ნაწილში ჩაუტარებია პატარა მასშტაბის გათხრები. განათხარში აღმოჩნდა კერამიკის ნაშთები, მათ შორის ამფორის, შავ- და წითელლაკიანი ჭურჭლის ნატეხები. აქვე ნახეს ქ. ამილსის მონეტა⁶⁴.

1880 წელს სოფ. დიღომთან, იქ სადაც დიღმისწყალი უერთდება მდ. მტკვარს, მცირე გათხრები აწარმოვა ყურნალისტმა ა. ერიწოვმა. ამ ადგილზე ნაპოვნ სიძველეებს ჯერ კიდევ 1866 წელს მიუქცევია ყურადღება. ნანახი ნივთების მიხედვით ფ. ბაიერნს გამოუთქვამს აზრი, რომ ისინი სამთავროს სამარხების მონაპოვარს გაედა. ხსენებულ ტერიტორიაზე გაითხარა თერთმეტი სა-

61 Т. И. Беленько. Дневник археологической раскопки на 95-й версте Потп—Тифлисской жел. дороги, вблизи р. Квирпы, кн. V, арх. съезд, М., 1882, с. 484—495 (მაშინ ნ ეთებ გადაეზახენა მოსკოვის არქ. საზოგადოებას, ამჟამად ნივთების ადგ-ლსამყოფელი უცნობა).

62 кн. Протоколы подготовительного комитета V арх. съезда, М., 1882, с. 125.

63 В. И. Чернышевский. О памятниках Западного Закавказья, исследование которых наиболее настоятельно, кн. V, арх. съезд, М., 1882, с. 14—29.

64 В. И. Сизов. Восточное побережье Черного моря, сб. Материалы по археологии Кавказа, вып. II, М., 1889, с. 10—39.

ზარხი. მათში ძირითადად აღმოჩნდა ვერცხლის სამკაულები და თიხის კურკელი. არც ერთ სამარხში იარაღი არ დადასტურებულა⁶⁵.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოებების წინაშე ერთ-ერთმა პირველმა წამოჭრა საკითხი ქ. თბილისში არქეოლოგიური ყრილობის ჩატარების შესახებ. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა ცნობილმა არქეოლოგმა, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარემ ა. უვაროვმა⁶⁶. ჩამოყალიბდა მოსამზადებელ-საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის მუშაობასაც ხელს უწყობდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“. 1878 წელს ქ. თბილისში აირჩიეს ყრილობის მომწყობი ადგილობრივი საორგანიზაციო-მოსამზადებელი კომიტეტი დ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით. კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია — მას უნდა შეეკრიბა მასალები კავკასიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ენების შესახებ. თბილისის კომიტეტის მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდნენ — დ. ბაქრაძე, დ. ჯორბენაძე, ა. ცაგარელი, რ. ერისთავი, გ. წერეთელი, ა. კომაროვი, ა. ბერძე, ე. ვეიდენბაუმი, ფ. ბაიერნი, ა. ერიწოვი, გ. რადე და სხვ. ხალისიანად ჩაება ყრილობის მოსამზადებელ საქმიანობაში ქ. თბილისის ინტელიგენციაც. არქეოლოგიური ყრილობისათვის ეს მზადება ძლიერი ბიძგი იყო საქართველოში ჰუმანიტარული მეცნიერების, კერძოდ, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ენათმეცნიერების განვითარების საქმეში.

არქეოლოგიური ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტმა თბილისის ყრილობაზე მოიწვია ორმოცამდე ცნობილი უცხოელი მეცნიერი. მათ შორის — მონტელიუსი (სტოკჰოლმი), ვირხოვი (ბერლინი), შლიმანი (ათენი), რამბო (პარიზი), შანტრი (ლიონი), მორტილიე (პარიზი), შეფერი (პარიზი), როსი (რომი) და სხვ.⁶⁷

მეხუთე არქეოლოგიური ყრილობა გაიხსნა ქ. თბილისში 1881 წლის 3 სექტემბერს 13 საათზე, მთავარმართებლის სასახლის შენობაში, ხოლო დაიხურა 21 სექტემბერს⁶⁸. ყრილობამ ქალაქში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მას ესწრებოდა 850-მდე კაცი, რომელთაც ჰქონდათ სპეციალური საშვები და სამკერდე ნიშნები. ყრილობა დაიყო რვა განყოფილება-სექციად — პირველყოფილი საზოგადოების ძეგლები; წარმართული და კლასიკური ხანის ძეგ-

⁶⁵ А. Д. Ерицов. Раскопки на Дагском могильнике, кн. V, археологический съезд, М., 1882, с. 498—501.

⁶⁶ უვაროვ ს შესახებ იხ. Сб. Материалы для биографии и статьи по теоретическим вопросам (А. С. Уваров), М., 1910.

⁶⁷ კნ. Протоколы подготовительного V арх. съезда в Тифлисе, М., 1882, с. 135—136.

⁶⁸ ყრილობის შესახებ დაწერილებით იხ. Пятый археологический съезд в Тифлисе 8-го сентября 1881 г., М.; Труды V-го арх. съезда в Тифлисе, М., 1887; Кавказъ 1881.. №№ 198, 199, 200.

ლები; ქრისტიანული ხანის ძეგლები; აღმოსავლეთის სიძველეები (მუსლიმანური ძეგლები); ხელოვნებისა და მხატვრობის ძეგლები; ენისა და დამწერლობის ძეგლები; ლინგვისტიკა; ისტორიული გეოგრაფია და ეთნოგრაფია. სექციების სხდომებზე სულ წაითხულ იქნა 81 მოხსენება. ყრილობის მეცნიერთა მჭიდროდ აირჩიეს ა. უეაროვი, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად, დამსწრეთ მოკლედ მოახსენა მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის მიერ ჩატარებულ საქმიანობაზე. კონკრეტულად საქართველოს ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო იყო მხოლოდ მცირე არქეოლოგიური მოხსენება-ინფორმაცია ყაზბეგში და შდ. რიონის გაყოლებზე მდებარე არქეოლოგიური ძეგლების შესახებ (ძირითადად ქუთაისში). მოხსენებლებს საუბარი ჰქონდათ ყრილობის წინ ამ პუნქტებში სპეციალურად ჩატარებულ არქეოლოგიურ დაზვერვებზე, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. საყურადღებოა, რომ ამ ყრილობაზე, უკვე მეორედ, წამოიჭრა საკითხი კავკასიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური აღმოჩენების რუკის შედგენის თაობაზე⁶⁹ (სამწუხაროდ, შემდგომში ეს ჩანაფიქრი არ განხორციელებულა). ყრილობის სტუმრებისთვის სპეციალურად მოეწყო არქეოლოგიური ნივთების გამოფენა; ამასთანავე განაახლეს კავკასიის მუზეუმის ექსპოზიციები. ყრილობის წევრებისთვის მოეწყო ექსკურსიები მცხეთაში, უფლისციხეში, გელათში.

სახელი „არქეოლოგიური“ მეხუთე არქეოლოგიური ყრილობისათვის ფრიად პირობითია, რადგან მისი მუშაობის დროს სხვა მეცნიერებები უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, ვიდრე არქეოლოგია. თვით ყრილობა კავკასიაში საერთოდ ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი იყო; მაგრამ საკუთრივ საქართველოს არქეოლოგიის შესწავლისათვის, საერთოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაუმჯობესებისათვის, მისი, როგორც მეცნიერების წინსვლისათვის თითქმის არაფერი გაკეთებულა. ცნობილი ისტორიკოს-არქეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, რომ მეხუთე არქეოლოგიურ ყრილობაზე „...რატომღაც არც ბაიერნი გამოჩენილა, არც მისი მცხეთას ნამუშევარი და საერთოდ არც ჩვენში წარმოებულნი თხრის შედეგები“. იქვე — „საერთოდ, როგორც უკვე ვთქვი, გათხრითი არქეოლოგია ძალიან მცირედ იყო წარმოდგენილი თბილისის ყრილობაზე“⁷⁰. ამგვარად, ეს ყრილობა მხოლოდ იმით არის ნიშანდობლივი, რომ მან კიდევ უფრო გააღვივა კავკასიის, კერძოდ, საქართველოს სიძველეებისადმი ინტერესი.

ყრილობის შემდეგ 1881 წელს „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“ უსახსრობის გამო დაიშალა. 1881 წლის 28 ნოემბერს ამ საზოგადოების ყოფილი წევრები გაერთიანდნენ „კავკასიის ისტორიისა და არქეო-

⁶⁹ Труды V-го арх. съезда в Тифлисе, М., 1887, с. XXIII.

⁷⁰ ექვთიმე თაყაიშვილი, ჩრეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 368—369.

ლოგიის საზოგადოებაში“. ამ ახალი საზოგადოების წესდების მიხედვით გაფართოვდა მისი მოღვაწეობის არე. საზოგადოებას უნდა შეესწავლა კავკასიის ისტორია, უპირატესად მისი ისტორიის წერილობითი და ნივთიერი წყაროები; შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დაეცვა ეს ისტორიულ ძეგლ-წყაროები განადგურებისაგან; გათხრების შედეგად მოპოვებული, ან მოსახლეობისაგან შესყიდული ძველი ნივთები ბარდებოდა კავკასიის მუზეუმს (ახლასაქართველოს სახ. მუზეუმი), ხოლო ძველი ხელნაწერები თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას (ახლას რესპუბლიკური სახ. ბიბლიოთეკა)⁷¹.

ამ ახალი საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორიც იყო ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, რომელიც 1886 წლამდე ხელმძღვანელობდა მას. 1881—1885 წლების განმავლობაში მოხერხდა ნაშრომების ორი ტომის გამოცემა. აქ გამოქვეყნებული ძეგლებიდან დღევანდელი არქეოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა რამდენიმე პუნქტი, სადაც მოუპოვებიათ ზედაპირული არქეოლოგიური მასალა. ესენია ახალციხე, ახალქალაქი, სოხუმი, ახალი ათონი, ხუცუბანი, ანაკოფია და სხვ.⁷² საინტერესოა საზოგადოების შრომებში დაბეჭდილი სამხედრო მოსამსახურის პოლკოვნიკ ნ. ი. წილოსანის ინფორმაცია დილიჯანთან (ახლას სომხეთში) ჩატარებული გათხრების შესახებ.

ნ. წილოსანის აზრით, აქ აღმოჩენილი სამარხები თავისი აღნაგობით და ინვენტარით ჰგავს მცხეთის სამთავროს სამარხებს⁷³.

მალე საზოგადოების შრომების მეორე კრებულის გამოსვლის შემდეგ „კავკასიის ისტორიის და არქეოლოგიის საზოგადოება“ მისი წინამორბედი „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებასავით“ უსახსრობის გამო დაიშალა⁷⁴. საზოგადოებას არქეოლოგიური გათხრები თითქმის არ უწარმოებია.

მიუხედავად ამ საზოგადოების დაშლისა, საქართველოს სიძველეებისადმი ინტერესი მაინც არ კლებულობდა. ამას მოწმობს ტროისა და მიკენის აღმოჩენის და გამთხრელის ჰენრიხ შლიმანის⁷⁵ დაინტერესება საქართველოს შავი ზღვისპირეთით (ძველი კოლხეთი) საბერძნეთის ისტორიასთან კავშირში (არვონავტების, ოქროს საწმისისათვის კოლხეთში ჩამოსვლის ამბავი). ჰ. შლიმანს 1883 წელს არქეოლოგიური კომისიისათვის საქართველოში გათხრების ჩატარების ნებართვა უთხოვია, მაგრამ მისთვის უარი უთქვამთ⁷⁶.

71 См. Устав Кавказского общества истории и археологии, Тифлис, 1881.

72 См. Известия Кавказского общества истории и археологии, т. I, Тифлис, 1884.

73 Н. И. Циголосани. Раскопки на могильнике «Редькинъ-лагерь», Известия Кавказского общества истории и археологии, т. I, Тифлис, 1884, с. 1—3.

74 საზოგადოების დაშლის შესახებ იხ. გაზეთი Новое обозрение, 1890, 14 თებერვალი.

83. 1.

75 ბიოგრაფიული ცნობები იხ. Г. Штоль. Шлиман («Мечта о трое»), М., 1965.

76 О. Бяч. Новые материалы о Г. Шлимане, ВДИ, 1947, № 2, с. 183—185.

XIX საუკუნის ბოლოსათვის, რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი განწყობილებების გააქტიურებასთან დაკავშირებით, მთავრობის მიერ იხურებოდა ყოველგვარი საზოგადოებები, სადაც კი შეიძლებოდა ადამიანების თავმოყრა და კამათი. ამან კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების გარკვეული ჩაკედომაც გამოიწვია. ექ. თაყაიშვილის თქმით, 1887 წელს, როცა იგი პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა, თითქმის სულ მიტოვებული დახვდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ან მხრივ მხოლოდ 1889 წელი გამოირჩევა, როცა მცხეთის სიძველეებმა ისევ მიიქცია ყურადღება. უძველესი ნივთები იმჟამად ბაგინეთთან აღმოჩნდა⁷⁷. ბაგინეთში ნივთების აღმოჩენის ფაქტს ყურადღება მიაქცევს ილია ჭავჭავაძემ და დიმიტრი ბაქრაძემ. ამ უკანასკნელს ხნოვანების გამო თვითონ აღარ შეეძლო თხრის მეთვალყურეობა და თავზე დადგომა; ამიტომ გათხრების წარმოება ბაგინეთში დაავალა ექ. თაყაიშვილს და დ. ქუთათელაძეს⁷⁸.

ბაგინეთთან მუშაობა სულ სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, ზოლო შემდეგ უსახსრობის გამო შეწყდა. გათხრები, ხანმოკლეობის მიუხედავად, საინტერესო და საყურადღებო გამოდგა. გაითხარა ნაგებობა, სადაც დადასტურდა სამი სხვადასხვა ხანის ფენა-ნაგებობის ნანგრევებში აღმოჩნდა ქვათილები, ალიზი, მარმარილოს ნატეხები, მინისა და თიხის ჭურჭლის ნაშთები, სპილენძის ცული. ნაგებობის შემორჩენილ კედელზე გამოხატული ყოფილა ქალის თავი⁷⁹. ბაგინეთში მუშაობის ხელმძღვანელობა ქართველოლოგიის სწორუპოვარი მკვლევარის და დიდი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილისათვის (1863—1953 წწ.) ერთ-ერთი პირველი არქეოლოგიური გათხრა იყო⁸⁰.

მცხეთის ამ გათხრებიდან მოყოლებული საქართველოში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას სათავეში უდგება ექ. თაყაიშვილი. მცხეთის არქეოლოგიურ შესწავლას ექ. თაყაიშვილი მერეც უბრუნდება. კერძოდ, სადგურ მცხეთის დასავლეთით, არმაზისხევის მახლობლად თხრის ფილაქვით ნაგებ სამარხებს, რომლებშიაც აღმოჩნდა ყელსაბამები, ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, მინის ნელსაცხებლები და სხვ. აქვე დადასტურდა ქვიტიკირით ნაგები შენობის ნაშ-

77 ექ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 368.

78 დ. ქუთათელაძე ექ. თაყაიშვილის თანატოლი და ამხანაგი იყო, სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. მერე კერძოდ რეპეტიტორობდა თბილისში. მცხეთის ბაგინეთის გათხრების შემდეგ არქეოლოგიურ საქმიანობას აღარ დაბრუნებია. მისი ანგარიშები ბაგინეთის გათხრების შესახებ დიდხანს გამოუქვეყნებელი იყო, დაიბეჭდა მხოლოდ კრებ. ექ. თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ. 117—119.

79 დ. ქუთათელაძე, მოკლე ანგარიში, კრებ. ექ. თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ. 117—119.

80 ბიოგრაფიული ცნობები დაწერილებით ის. რ. მეტრეველი, შ. ბაღრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962.

თები და ჭურჭლის ნატეხები. სამარხები ექ. თაყაიშვილმა ზოგადად ახ. წ. I—VIII საუკუნეებით დაათარიღა⁸¹.

1896 წელს ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური კომისიის ხელშეწყობით, მცირე არქეოლოგიურ გათხრებს ატარებს მდ. სულორის ხეობაში, ვანის ახვლედიანების გორაზე და მის შესახებ გვთავაზობს რამდენიმე საყურადღებო მოსაზრებას. ახვლედიანების გორაზე მან დაადასტურა თლილი ქვის ნაგებობების ნაშთები; თიხის ჭურჭლის ნატეხები; სხვადასხვა სახის სამკაულები; მონეტები; ლითონის იარაღი და სხვ. აქ აღმოჩნდა, აგრეთვე, უცხოური მონეტები და ნივთები (ეგვიპტური, ბერძნული, რომაული). ექ. თაყაიშვილი ვანის არქეოლოგიური დაზვერვის შედეგს განიხილავს ისტორიულ ფონზე (ითვალისწინებს, აგრეთვე, აქ წინა წლებში ნაპოვნ მასალას, რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი) და უკვე იმ დროს აღნიშნავს, რომ ახვლედიანების გორაზე ძველი, ე. წ. ანტიკური ხანის ნაქალაქარის ნაშთებთან უნდა გვქონდეს საქმე; იგი უცხოური ნაწარმისა და მონეტების მიხედვით ვარაუდობს, რომ ეს ნაქალაქარი ძველ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალთან მდებარეობდა; ხოლო ნაქალაქარზე ნაპოვნი ოქროს სამკაულები ადგილობრივი წარმოებისა იყო, რადგან აქვე მდ. სულორის შენაკად საქვების ღელის ქვიშა თითქოს გარკვეული რაოდენობით შეიცავს ოქროს⁸².

1896 წელს ექ. თაყაიშვილს დასავლეთ საქართველოშივე სოფ. საჯავახოსთან (მდ. რიონის მარცხენა მხარეს — ახლა სამტრედიის რაიონში) და სოფ. ხუცუბანთან (მდ. კინტრიშის მარჯვენა ნაპირზე — ახლა ქობულეთის რაიონში) ჩატარებია არქეოლოგიური დაზვერვები. სოფ. ხუცუბნის შემთხვევითმა არქეოლოგიურმა ნაპოვნებმა ჯერ კიდევ 1879 წელს მიიქცია ყურადღება, რამაც გამოიწვია ამ პუნქტისადმი ექ. თაყაიშვილის ინტერესი. დასახელებულ პუნქტში ექ. თაყაიშვილს მიუხვედრია კულტურული ფენებისთვის, სადაც აღმოჩენილა კერამიკის ნაშთები და ლითონის რამდენიმე ნივთი. სოფ. საჯავახოს დრანდა-ღელეს არქეოლოგიური დაზვერვისას აღმოჩნდა დიდი რაოდენობის ნატეხები, რის მიხედვითაც ექ. თაყაიშვილი აქ კერამიკული სახელოსნოს არსებობას ვარაუდობს (ხუცუბანში, ვანში და საჯავახოში აღმოჩენილი ნივთები გაიგზავნა „ერმიტაჟში“)⁸³.

1901 წელს თბილისში გაიხსნა საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომლის დამაარსებელ წევრთა შორის

⁸¹ Е. Такаишвили. Краткий отчет о раскопках близ г. Мцхета, Известия Кавказского отделения Московского археологического общества, I, Тифлис, 1904, с. 79—89.

⁸² Е. Такаишвили. Церковь в Ване, в Имеретиня древности, Известия Кавказского историко-археологического института, т. II, Ленинград, 1927, с. 108—110.

⁸³ ექ. თაყაიშვილი, რჩული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 375.

იყო ექ. თაყაიშვილი⁸⁴. იგი 1905 წლიდან 1918 წლამდე ამ განყოფილების მდივანი იყო. თბილისში ამ არქეოლოგიური საზოგადოების განყოფილების დაარსების მოთავე და ხელისშემწყობი იყო ცნობილი რუსი არქეოლოგის ა. უვაროვის ქვრივი პრასკოვია უვაროვა. კავკასიის განყოფილებას ჰქონდა თავისი კრებული⁸⁵, სადაც იბეჭდებოდა საზოგადოების წევრთა ანგარიშები და ოქმები. სულ ექვსი კრებული დაიბეჭდა. გათხრითი არქეოლოგიისათვის საზოგადოებამ უსახსრობის გამო ვერაფერი გააკეთა. ის ძირითადად (ამ ტიპის სხვა საზოგადოებებოვით) მიწისზედა ძეგლების (ეკლესია-მონასტრები, წარწერები და სხვ.) შესწავლითა და გამოქვეყნებით შემოისაზღვრა.

1902 წელს არქეოლოგიური თვალსაზრისით ყურადღება მიიქცია სოფ. ბორმა მდ. ბორიმელას მარჯვენა ნაპირზე. აქ ადგილობრივი მცხოვრებლები მიწის ხენის დროს შემთხვევით წააწყდნენ მდიდრულ სამარხებს, სადაც აღმოჩნდა ოქროს და ვერცხლის სამკაულები, ჭურჭელი (განსაკუთრებით საინტერესოა ვერცხლის თასი საყურთხვეველთან მდგომი ცხენის გამოსახულებით და წარწერით), მონეტები (რომაული და პართული) და სხვ. სოფ. ბორში შემთხვევით ნაპოვნი ძვირფასი ნივთები შეისყიდა „ერმიტაჟის“ მუზეუმმა (ახლაც იქ ინახება). 1908 წელს ზემოთ ხსენებული კავკასიის არქეოლოგიის განყოფილებას ექ. თაყაიშვილი მიუვლენია სოფ. ბორში არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად, მაგრამ გასათხრელი ადგილის მიწის მფლობელთა მიერ ძვირად შეფასების გამო არქეოლოგიური გათხრა ვერ მოხერხდა⁸⁶.

1904 წელს სოფ. ციხისძირთან (ახლა ქობულეთის რაიონი) სახლის სამძიკველის გაქრის დროს აღმოჩნდა I—III საუკუნის მდიდრული ნივთები. ესენია ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ჭურჭელი, მონეტები, ამოკვეთილ გამოსახულებიანი ქვები და სხვ. (სულ ოცამდე საგანი; ინახება ლენინგრადის „ერმიტაჟში“)⁸⁷.

1908 წელს მდ. ქსნის ხეობაში სოფ. საძეგურთან (ახალგორის რაიონში) მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით იპოვნეს მდიდრული ნივთები, რომლებიც ცნობილია „ახალგორის განძის“ სახელით. სამწუხაროდ, ეს ძვირფასი ნივთები დაიტაცეს კერძო პირებმა, რომლებისგანაც შემდეგ ექ. თაყაიშვილს ნაწილი შეუტაროვებია და კავკასიის მუზეუმისთვის შეუძენია. ესენია: ოქროს საყურეები, კისრის რკალები, სასაფეთქლები, სამაჭურები, გომ-

⁸⁴ См. Уставъ Кавказскаго отдѣленія императорскаго Московскаго археологическаго общества. Тифлис, 1902.

⁸⁵ Известия Кавказскаго отдѣленія императорскаго Московскаго археологическаго общества. Тифлис, вып. I, II, III, IV, V, VI.

⁸⁶ Е. Такашвили. Серебряная чаша из с. Борн, Известия Кавказскаго отд. Мос. арх. общества, Тифлис, 1904, с. 90—91.

⁸⁷ იხ. ნ. ხოშტარია, ციხისძირი, თბ., 1962.

ბემოსგამოსახულებიანი ყელსაბამი, ბეჭდები, ვერცხლის ფიალები, ცხენის აღკაზმულობა და სხვ.⁸⁸

ამავე წელს სოფ. ახალქალაქთან (ახლა კასპის რაიონშია) მიწის სამუშაოების დროს იპოვეს ბრინჯაოს ცულები და ლითონის რამდენიმე ზოდი. ნივთები ექ. თაყაიშვილმა კავკასიის მუზეუმისთვის შეიძინა. ამ ნივთების აღმოჩენამ ექ. თაყაიშვილს ჯერ კიდევ მაშინ აქ ლითონსაღნობი სახელოსნოს არსებობა ავარაუღებინა.⁸⁹

1912 წლის ზაფხულში ექ. თაყაიშვილს მცირე არქეოლოგიური გათხრები ჩატარებია მდ. ბანისხევის და მტკვრის შესართავთან. აქ აღმოჩენილა სამარხი, რომელშიც დადასტურდა ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძები, სარდიონის მძივები და სხვ.⁹⁰ ამავე წლებში ექ. თაყაიშვილს არქეოლოგიურად დაუზვერავეს აგრეთვე საჩხერე, სადაც სპილენძის რამდენიმე ცული, სამაჯურები, საკინძები და თიხის კურკლის ნატეხები უნახავს.⁹¹

ექ. თაყაიშვილი, რომელიც ამ დროს ახლადდაარსებულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ედგა სათავეში, ცდილობდა საქართველოს მიწის წიაღში შემთხვევით ნაპოვნი არც ერთი ნივთი არ გამოპარვოდა მხედველობიდან, რათა ისინი საზოგადოების ან კავკასიის მუზეუმისთვის შეეძინა.

საქართველოს არქეოლოგიის განვითარების იმ ეტაპზე ექ. თაყაიშვილმა პირველმა გამოთქვა ზოგიერთი ფრიალ საყურადღებო მოსაზრება. ესენია: არქეოლოგიური მონაპოვრის გააზრებისას ადგილობრივი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ფაქტების მოშველიების აუცილებლობა; მოსაზრებები ვანის ნაქალაქარის შესახებ (იხ. ზემოთ); ოქროს და სხვა ლითონის იარაღისა და სამკაულების ადგილობრივი წარმოშობის შესახებ (აღრე თითქმის ყველა ლამაზ, პეწიან ნივთს შემოტანილად და უცხოურად თვლიდნენ); მიუთითა აუცილებლად შესასწავლი ძეგლები — ვანში, საჩხერეში, თრიალეთ-წალკაში, ბაგინეთში და სხვ.

1918 წელს ცნობილმა ენათმეცნიერმა ნიკო მარმა⁹² ექ. თაყაიშვილი მიიწვია მის მიერ თბილისში ახლად დაარსებულ კავკასიის ისტორიულ-არქეო-

⁸⁸ Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. V, Тифлис, 1915, с. 139—146.

⁸⁹ Е. Такайшвили. Мастерская медных топоров около Ахалкалаки Горного уезда, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, Тифлис, 1913, с. 172—173.

⁹⁰ Известия Кавказского отд. Мос. арх. общ-ва, вып. III, Тифлис, 1913, протокол № 63.

⁹¹ Е. Такайшвили. О Сачхерском кургане Шорапанского уезда, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, Тифлис, 1913, с. 167—172.

⁹² В. Зари (1864—1934 წწ.) გათხრებს აწარმოებდა ძირითადი სომხეთში — ვორნაიკი, ანი. ის და ექ. თაყაიშვილი დაახლოვდნენ ჯერ კიდევ ქუთაისში სწავლისას — იხ. ექ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 364—365; В. А. Миханкова. Николай Яковлевич Марр, М.—Л., 1949.

ლოგიურ ინსტიტუტში (ეს ინსტიტუტი ფართო პროფილის დაწესებულება იყო). ნ. მარის პეტერბურგში ხშირად ყოფნის გამო ინსტიტუტს ფაქტიურად ექ. თაყაიშვილი უძღვებოდა. ამავე პერიოდში ექ. თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ადგენს არქეოლოგიის კურსის პროგრამას და იწყებს ამ კურსის კითხვას (1921 წლამდე).

1921 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება⁹³. 1924 წლის 4 ივლისს საქართველოს მმართველობამ გააშოიბანა დადგენილება — „სიძველეთა, ბუნების და ხელოვნების ძეგლების დაცვის შესახებ“⁹⁴. ამ წლიდან მოყოლებული, სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა ნებართვის გარეშე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოველგვარი არქეოლოგიური გათხრები აკრძალა. გარდა ამისა, ყოველნაირი არქეოლოგიური აღმოჩენის მოვლა-მზრუნველობას სახელმწიფო იღებდა ხელში.

თავდაპირველად რესპუბლიკაში არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება და მოპოვებული ნივთების მოვლა-შენახვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაევალა. შემდგომში მათ შეუერთდა ახლად შექმნილი განათლების კომისარიატთან არსებული არქეოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც უფრო ხელოვნებათმცოდნეობითი პროფილის ორგანიზაცია იყო. პირველ ხანებში არქეოლოგიურ აღმოჩენებს უმეტესწილად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და დაგეგმილი, წინასწარ მომზადებული არქეოლოგიური კვლევაც არ ტარდებოდა.

⁹³ ამ პერიოდის საქართველოს არქეოლოგიის შესახებ დაწერ. იხ. გ. ლომთათიძე, ივ. ჭავჭავაძის დამახინდებული და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში, კრებ. მიმოხილველი, II, 1951, გვ. 1—36; გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952; А. М. Апакидзе. Развитие археологической науки в Советской Грузии, СА, М., 1967, № 4; ა. აფაქიძე, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა, თბ., 1972; თ. ლორთქიფანიძე, საქართველოს არქეოლოგია. საბჭოთა საქართველოს 60 წლისთაზე, საქართველოს მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის ... სერია, თბ., 1981, № 1, გვ. 162—182; М. М. Трапш. Основные результаты археологического исследования Абхазии за годы Советской власти, Труды I, Сухуми, 1970, с. 30—51; О. Лордкипანიძე. Археология в Грузинской ССР, Тбилиси, 1982; О. Бгажба, Ю. Воронцов. История изучения археологии Абхазии, Тбилиси, 1982.

⁹⁴ დაწერ. იხ. გ. ზაქარიაძე, სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებათა პირველი ნაბიჯები საბჭოთა საქართველოში, კრებ. საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხებ, თბ., 1967, გვ. 187—195.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ახალი ქართული არქეოლოგიის ფუძემდებლის გიორგი ნიორაძის⁹⁵ მიერ 1925—1931 წლებში ჩატარებული გამოხრებები კარსნისხევში, ზემო ავჭალაში, სასირეთში, დევისხვრელში, საკაქიაში და სხვ.⁹⁶ გ. ნიორაძეს პროფესიული არქეოლოგიური განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული და კარგად იცნობდა იმ ხანის საველე-არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების მოწინავე მეთოდებს. 1925 წელს იგი, უკვე დოქტორის ხარისხით, დაუბრუნდა სამშობლოს და სათავეში ჩაუდგა საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. გ. ნიორაძე ი. ჭავჭავაძის შუამდგომლობით დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად. მან საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების გადახალისების მიზნით შემოიკრიბა ძველი და ახალი თაობის სამეცნიერო ძალები (ს. მაკალათია, ვ. ჩუბინაშვილი, გ. გოზალიშვილი, ს. იორდანიშვილი, ბ. კუფტინი, ლ. მუსხელიშვილი, გ. ჩიტაია და სხვ.), რომლებიც მანინ საველე-არქეოლოგიურ კვლევას ეწეოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, ფლავისმანში, თავილონში, იყალთოში, ნოქალაქევეში, კიკეთში, წიწამურში და სხვ.⁹⁷

1925 წელს გ. ნიორაძემ გააგრძელა და განაახლა ე. თაყაიშვილის მიერ ჯერ კიდევ 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაწყებული არქეოლოგიის კურსის კითხვა. თავდაპირველად გ. ნიორაძე ძველი ისტორიის კათედრაზე მუშაობდა, ხოლო 1934 წლიდან — „მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრაზე“, რომელიც ისტორიის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა და აერთიანებდა არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სპეციალობებს. მომდევნო წლიდან ამ კათედრას გამოეყო ქართული ხელოვნების ისტორიის კათედრა და აქედან მოყოლებული ვიდრე 1938 წლამდე, მას ეწოდება წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრა. 1938 წელს კათედრას სახელი კვლავ შეუცვალეს და უწოდეს არქეოლოგიის კათედრა. არქეოლოგიის კათედრას 1951 წლამდე ხელმძღვანელობდა გ. ნიორაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრა საქართველოში პროფესიონალი არ-

⁹⁵ დანჯ. იხ. ლ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, გიორგი ნიორაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, საქართველოს მუზ. „მოამბე“ XXXV—B, თბ., 1981, გვ. 118—122.

⁹⁶ გ. ნიორაძე, კარსნისხევის სასაფლაო, თბ., 1926; მისივე, ზემო ავჭალის სამარე, საქართველოს მუზ. „მოამბე“ VI, თბ., 1931; მისივე, პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში, საქართველოს მუზ. შრომები, VI, თბ., 1933; მისივე, ქვისხანის ადამიანი საკაქიას გამოქვაბულში, თბ., 1953.

⁹⁷ ს. მაკალათია, ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, V, თბ., 1930; მისივე, საქართველოში 1920—1927 წლებში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, IV, თბ., 1928; Е. Пчелина, Археологические разведки в районе Трналетского хребта. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, V; А. Амيرانашвили, Новая находка в низовьях р. Ингуры, Тбилиси, 1935; სამწუხაროდ, წიწამურის გათხრის ანგარიშები გამოუქვეყნებელია; ნოქალაქევის გათხრის 1930—1931 წწ. ანგარიში გამოქვეყნდა — ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ლექციები ბზნანტიის ისტორიიდან, I, თბ., 1948, გვ. 188—201.

ქეოლოგების აღზრდის მთავარ კერად იქცა. ქართველი არქეოლოგების უმრავლესობა სწორედ ამ კათედრაზე დაეუფლა არქეოლოგიის საფუძვლებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თუ არქეოლოგების ახალი კადრების მთავარი სამკვლლო იყო, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი რუსუბლიკის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ძირითად საცავს წარმოადგენდა. მათ ერთმანეთთან ახლო სამეცნიერო ურთიერთობა ჰქონდათ.

1919 წლიდან კავკასიის მუზეუმს, რომელიც ჯერ კიდევ 1852 წელს იქნა დაარსებული, საქართველოს მუზეუმი ეწოდა. 1929—1930 წლებში საქართველოს მუზეუმს გადაეცა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის და სხვა კოლექციები. საქართველოს არქეოლოგიის სამსახურში ძირითადად მუზეუმის ერთი განყოფილება იდგა — წინასტორიული არქეოლოგიის განყოფილება, რომელსაც გ. ნიორაძე ხელმძღვანელობდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 1925 წლიდან გ. ნიორაძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ წარმოებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება საქართველოს ქვის ხანის ძეგლების შესწავლის საქმეში. ამ არქეოლოგიური კვლევის შედეგად საბოლოოდ დასაბუთდა, რომ ბრინჯაოს ხანის წინ საქართველოს ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანი ცხოვრობდა. ამ დრომდე კი გავრცელებული იყო აზრი, თითქოს პალეოლითური ხანის ადამიანს არ უცხოვრია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაშიც.

1926—1931 წლებში მიმდინარეობდა ქვის ხანის ადამიანის სადგომის დევისხერელის (ხარაგოულის რაიონი) გათხრები. მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე გ. ნიორაძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია, რომელიც პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო საქართველოს პალეოლითის შესახებ⁹⁸. შემდგომში დევისხერელის არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გამოქვაბულის ნატურალური ზომის მაკეტი დამზადდა, რომლითაც ფართო საზოგადოებრიობას მიეცა საშუალება ქვის ხანის ადამიანის ცხოვრებას გაეცნობოდა.

დევისხერელის გათხრებს მოჰყვა ქვის ხანის სხვა არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა. კერძოდ, 1936 წელს გაითხარა საკაყიას გამოქვაბული (თერჯოლის რაიონი)⁹⁹. 1934—1936 წლებში ითხრებოდა მღვიმევის გამოქვაბული (ჭიათურის რაიონი)¹⁰⁰, ხოლო აფხაზეთში ქ. სოხუმის მახლობლად გაითხარა იაშთხვას ქვის ხანის უძველესი სადგომი¹⁰¹.

⁹⁸ გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი დევისხერელში, საქართველოს მუზეუმის შრომები, VI, თბ., 1933.

⁹⁹ გ. ნიორაძე, ქვისხანის ადამიანი საკაყიას გამოქვაბულში, თბ., 1953.

¹⁰⁰ С. Н. Замятин. Пещерные навесы Мгвимели, близ Чхатуры, СС, 1937, № 3, М.—Л., с. 57—76.

¹⁰¹ Н. С. Замятин. Палеолит Абхазии, Труды Института Абхазской культуры, вып. X, Сухуми, 1937.

1936 წელი საქართველოში არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამ წელს კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის (წ. მარის მიერ 1918 წელს დაარსებული ყოფილი კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი) ბაზაზე ჩამოყალიბდა აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი („ენიმიკი“), რომელიც წამყვან ქართველოლოგიურ ცენტრად იქცა. ინსტიტუტში სხვა ქართველოლოგიურ დარგებთან ერთად გაიხსნა საქართველოს „არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილება“, რომელსაც 1938 წელს ცალკე გამოეყო არქეოლოგიის განყოფილება. ამ განყოფილებას შეუერთდა განათლების კომისარიატის არქეოლოგიის ინსტიტუტიც, რომლის დირექტორიც 1935—1936 წლებში გ. ნიორაძე იყო. „ენიმიკის“ არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად იმთავითვე დანიშნა გ. ნიორაძე. აქედან მოკიდებული ეს განყოფილება საქართველოში არქეოლოგიური კვლევის ძირითად კერად იქცა. განყოფილებაში შეიქმნა სათანადო სამეცნიერო-მატერიალური ბაზა, რომელიც აუცილებელი იყო ფართო, გეგმაზომიერი საველე-არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად. აქვე ამზადებდნენ ასპირანტებს არქეოლოგიის სპეციალობით.

„ენიმიკი“-ს არქეოლოგიის განყოფილების გარდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა „ვეფხისტყაოსნის“ იუბილესთან დაკავშირებით შექმნილ რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში, რომლის ხელმძღვანელი ივ. ჭავჭავიძე იყო. მუზეუმში ძირითადად შუა საუკუნეების, კერძოდ, რუსთაველის ეპოქის ამსახველი გამოფენის მოსაწყობად იყო დაარსებული¹⁰². მუზეუმმა 1936—1939 წლებში გათხრები აწარმოვა დმანისში, გუდარებსში, ბოლნისში, გეგუთში და სხვ. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა ზოლნისში აღმოჩენილი 492—493 წწ. ქვაზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა, რომელიც ერთ-ერთ უძველეს ქართულ დათარიღებულ წარწერად ითვლება. ივ. ჭავჭავიძელის გარდაცვალების შემდეგ რუსთაველის ეპოქის მუზეუმში შეუერთეს ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორს, რომელიც შემდგომ ინსტიტუტად გადააკეთეს.

აკად. ივანე ჭავჭავიძე იხსნა, ისევე როგორც სხვა ქართველოლოგიურ დარგებს, ახალ ქართულ არქეოლოგიასაც დასდო ამაგი¹⁰⁸. მან იმთავითვე სწორად განსაზღვრა და მიუთითა, რომ „არქეოლოგია ისტორიის უძველესი ხანისათვის

¹⁰² დაწვრ. იხ. ივ. ჭავჭავიძე იხსნა, რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, ვაზ. „კომუნისტი“, 1937, № 55.

¹⁰⁸ დაწვრ. იხ. გ. ლომთათიძე, ივ. ჭავჭავიძე და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში, კრებ. „მომომილელი“, II, 1961, გვ. 1—36; ალ. კალანდარიძე, ივ. ჭავჭავიძე და საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1977; ა. აფაქიძე, ივ. ჭავჭავიძე და საქართველოს არქეოლოგიის განვითარების საკითხები, „მაცნე“ ისტორიის ... სერია, 1976, № 2, გვ. 53—66.

შთავარ საგნად უნდა ჩაითვალოს¹⁰⁴, „არქეოლოგია, ვითარცა თავისი საკუთარი მეთოდების მქონე მეცნიერების დარგი, სათანადო სპეციალისტთა კვლევადიების სარბიელს შეადგენს და ჩვეულებრივ ისტორიკოსი მისი მონაპოვართ სარგებლობს ხოლმე თავისი მიზნებისათვის“¹⁰⁵.

ივ. ჭავჭავაძის საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის შესასწავლად არქეოლოგიური მონაცემების გამოყენება აუცილებლად მიაჩნდა. ჭერ კიდევ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველსავე გამოცემაში გამოყენებულია არქეოლოგიური მასალა, ხოლო ამავე წიგნის 1928 წლის გამოცემას წინ უძღვის სპეციალური ნაწილი — „კავკასიისა და ქართველების ნივთიერი კულტურა“, რომელშიც მაშინდელი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით განხილულია კავკასიის ბრინჯაოს და რკინის ხანის მატერიალური კულტურა. აქვე მოცემულია არქეოლოგიური მასალის ფოტოები და გრაფიკული ჩანახატები. წიგნის ამ ნაწილიდან კარგად ჩანს, თუ როგორ დიდ მნიშვნელობას აქუთვნებდა ივ. ჭავჭავაძის არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიურ დაყოფას და მათი გავრცელების არეალის შემოხაზვას.

გათხრით საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებში ივ. ჭავჭავაძის 1930 წლიდან მონაწილეობს, როცა იგი ნოქალაქევის (არქეოპოლისის) არქეოლოგიური შესწავლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ინიშნება¹⁰⁶. სამწუხაროდ, ნოქალაქევის გათხრები მხოლოდ ორიოდ თვე მიმდინარეობდა და მერე შეწყდა. 1936 წლიდან კი ივ. ჭავჭავაძის უფრო აქტიურად ებმება საველე არქეოლოგიურ კვლევადიებაში. იგი საერთო ხელმძღვანელობას უწევს დმანისის, გუდარჩხის, გეგუთის და ბოლნისის არქეოლოგიურ გათხრებს. ივ. ჭავჭავაძის პირველმა შეიმუშავა საქართველოში შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა, რომელიც მოკლედ ჩამოაყალიბა წერილში — „შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა“¹⁰⁷. წერილში საქართველოს ძველი კულტურის შესწავლის ერთ-ერთ საყურადღებო ამოცანად ძველი ნაქალაქარების შესწავლაა (გეგმარება, საშენი მასალა, სხვადასხვა დანიშნულების ნივთები და სხვ.) მიჩნეული. ამავე დროს იგი ყურადღებას ამახვილებს წყალსადენებისა და სარწყავი არხების შესწავლაზეც, რისი კვლევაც მაშინ სრულიად ახალი საქმე იყო.

1937 წელს ივ. ჭავჭავაძის „ენიმეცნიერების მონაპოვარი“ ბეჭდავს წერილს, რომელიც სხვა ქართველოლოგიურ დარგებთან ერთად, საპროგრამო საქართველოს არქეოლოგიისათვისაც — „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულ-

¹⁰⁴ ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, I, წიგნი, ტფ., 1908, გვ. 4.

¹⁰⁵ ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, I წიგნი, თბ., 1960, გვ. 7.

¹⁰⁶ დაწვრ. ივ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I (რედ. ნ. ზაქარაია), თბ., 1981.

¹⁰⁷ ივ. ჭავჭავაძის, შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, კომუნისტური, 1937, № 55.

ტურის ისტორიის სფეროში“, სადაც აღნიშნავს: „...აუცილებლად საჭიროა, რომ ამიერიდან არქეოლოგიური კვლევა-ძიება გარკვეული გეგმისა და მიხედვით, ისტორიული სააღმკვეთი გზების მიმართულებითა და გზათა შესაყარების გათვალისწინებით, ძველი ყველა ისტორიული ცნობების ცოდნითა და კულტურის ისტორიის მთავარი ამოცანების გადასაჭრელად ყველა მასალისადმი ჭეროვანი ყურადღების მიპყრობით წარმოებდეს“¹⁰⁸.

ივ. ჭავჭავაძის მიერ მოცემული ძირითადი გეზის მიხედვით მცხეთაში 1937 წელს დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. აქ „ენიმკიდან“ გაიგზავნა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც არმაზისხევის შესართავთან, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს აღმოაჩინა ძველი აბანოს ნაშთები. ამ აღმოჩენის გარდა მცხეთაში ყურადღება მიიქცია ახალშენებლობასთან დაკავშირებით დაზიანებულმა სამთავროს ველის ცნობილმა სამაროვანმა. აღგილობრივ ხელისუფლებას ამ ველის დასახლება განეზრახა, რაც ძველი საქართველოს ისტორიისათვის პირველხარისხოვან არქეოლოგიურ ძეგლს განადგურებას უქადდა. ამ ამბავმა კიდევ ერთხელ მიიქცია არქეოლოგთა ყურადღება და დააჩქარა გეგმავალი გათხრების დაწყება მცხეთაში. სამთავროს ველის დაზიანებული სამაროვნის საკითხი განიხილეს „ენიმკის“ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და გადაწყდა, რომ რესპუბლიკის მთავრობისათვის სამთავროს ველზე მშენებლობის შეჩერება და გათხრებისათვის საჭირო თანხა ეთხოვათ, რათა მისი არქეოლოგიურად შესწავლა მოხერხებულიყო.

ამ თხონის საფუძველზე შეიქმნა და 1938 წლის 27 ოქტომბერს მუშაობას შეუდგა „მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცია“, რომელშიაც „ენიმკის“ არქეოლოგიური განყოფილების თანამშრომლების გარდა შევიდნენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, რუსთაველის ეპოქის მუზეუმისა და ხელოვნების მუზეუმ „მეტეხის“ მეცნიერი მუშაკები, სულ თოთხმეტი კაცი. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელად დაინიშნა ივ. ჭავჭავაძის იგი ჩვეული პასუხისმგებლობით და ენერგიით შეუდგა საქსპედიციო საქმიანობას. ივ. ჭავჭავაძის ექსპედიციაში სამეცნიერო საკითხების გარდა, საორგანიზაციო-სამეურნეო საქმიანობაზეც ზრუნავდა. ამის მაგალითია მისი მიმართვა ჯანმრთელობის კომისარიატისადმი, სადაც იგი ითხოვს სისტემატურად ჩატარონ ექსპედიციის პირადი შემადგენლობის სამედიცინო პროფილაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში გასცენ სათანადო მედიკამენტები (იმ დროს მცხეთაში მალარიის ეპიდემია მძვინვარებდა).

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ყველა მუშაკის თავდადებული შრომის საფასური იყო, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი, უდიდესი მეც-

¹⁰⁸ ივ. ჭავჭავაძის მიერ, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის სფეროში, ენიმკის შოაბე, I, ტფ., 1937, გვ. 1-8.

ნიერული მნიშვნელობის აღმოჩენები. ესენია ნაგებობები, სამარხები და სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, რომლებიც საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეზე მეტყველებს იმდროინდელ საქართველოში¹⁰⁹. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია საქართველოში პროფესიონალი არქეოლოგების აღზრდის ძირითადი სკოლა გახდა. აქ არქეოლოგიური მასალის მეცნიერული დამუშავებისას და საველე-საექსპედიციო საქმიანობაში გამოიწრთო ქართველ არქეოლოგთა უფროსი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელი.

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო მუშაობის პირველი ეტაპის შეჯამება იყო კაპიტალური ნაშრომი — მცხეთა I (არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები), თბ., 1955, ავტორები ა. აფაქიძე, ა. კალანდაძე, გ. გობეჯიშვილი, გ. ლომთათიძე.

1936—1940 წლებში ხრამქვის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით (წალკის რაიონი) თრიალეთში მდიდრული სამარხ-ყორღანები გაითხარა. აქ აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის შესანიშნავი ძეგლების მთელი წყება, „თრიალეთული კულტურის“ სახელით რომ არის ცნობილი¹¹⁰. თრიალეთის და საერთოდ საქართველოს არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე ბ. კუფტინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართველთა კულტურის უძველესი ფესვები ადგილობრივ არის გადგმული¹¹¹.

1941 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენა — „თრიალეთი და მცხეთა — უძველესი ქართული კულტურული კერები“. ეს მცხეთის და თრიალეთის ბრწყინვალე არქეოლოგიური მასალის პირველი საყოველთაო-სახალხო ჩვენება იყო. მოწყობილი გამოფენა ქართული არქეოლოგიის ერთერთი მესვეურის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ენერგიული სამეცნიერო კვლევადიების შედეგი იყო¹¹². ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ ს. ჯანაშიაზე გადავიდა რესპუბლიკაში არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების საერთო ხელმძღვანელობის მთელი სიმძიმე. ს. ჯანაშიას შემდეგ კი ეს შრომატევადი საქმე აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა იტვირთა¹¹³. ჯერ კიდევ „ენიმკის“ ინ-

¹⁰⁹ დაწვრ. იხ. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, თბ., 1955:

¹¹⁰ Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.

¹¹¹ დაწვრ. იხ. Б. А. Куфтин. К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მუზეუმის შობაზე, XII—В, თბ., 1944, გვ. 291—440.

¹¹² დაწვრ. იხ. ა. აფაქიძე, ს. ჯანაშია და საქართველოს არქეოლოგია, კრებ. აკადემიკოსის ს. ჯანაშია, 1900—1947, თბ., 1949, გვ. 104—131.

¹¹³ დაწვრ. იხ. მ. დუმბაძე, ნ. ბერძენიშვილი, თბ., 1964; იხ. აგრეთვე, ნ. ბერძენიშვილი, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხისათვის, მიომხილველი, თბ., 1951, გვ. 337—347.

სტიტუტის შექმნისას, მისმა პირველმა ხელმძღვანელმა ს. ჯანაშიამ არქეოლოგიის განყოფილებას დაუსახა არქეოლოგიური კვლევის სამეცნიერო-საორგანიზაციო გეგმა, რომლის მიხედვითაც შემდგომში სამუშაოები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჩატარდა.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე გეგმაზომიერმა არქეოლოგიურმა კვლევადიებამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი ორმოცდაათიან წლებში მიიღო. ამ დროისათვის გათხრები ჩატარდა ბაკურციხეში, გრემში, რუსთავეში, დმანისში, ხოვლეში, უჯარმაში, ნადარბაზევში, თბილისში, საგარეჯოში, თეთრ წყაროში, ბოლნისში, გუდარქნში, სამშვილდეში, ურბნისში, ვანში, ვაშნარში, ეშერაში, ტყვიავში, გელათში, სკანდაში, შორაპანში, კლდეეთში, იაშთხვაში, საკაჯიაში, საგვარჯილეში, ოდიშში, თეთრამიწაში, საკაოში, საჩხერაში, ბრილში, ანაკლიაში, დაბლაგომში, ქობულეთ-ფიჭვნარში, ურეკში, ყულევეში, ბიკვინტაში, გეგუთში, ფოთში, სოხუმში და სხვ.

ჩამოთვლილი არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალის განზოგადების საფუძველზე ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ა. აფაქიძის რედაქტორობით გამოიცა „საქართველოს არქეოლოგიის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო (ავტორები: ა. აფაქიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ო. ჯაფარიძე, ნ. ხოშტარია)¹¹⁴.

1941 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტიდან ცალკე გამოყვეს ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც 1943 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახელს ატარებს. შესაბამისად, „ენიმეიში“ მომუშავე არქეოლოგები ჩაირიცხნენ ისტორიის ინსტიტუტში, რომელსაც 1964 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ეწოდა. ისტორიის ინსტიტუტს „ენიმეისაგან“ გამოყოფისას არქეოლოგიის მხოლოდ ერთი განყოფილება ჰქონდა. ამ განყოფილების ბაზაზე ინსტიტუტში შემდგომ არქეოლოგიის სექტორი შეიქმნა, რომელშიაც უკვე რამდენიმე არქეოლოგიური განყოფილება გაერთიანდა.

რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილ ახალმშენებლობებთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება სასწრაფო გადაუდებელ არქეოლოგიურ სამუშაოებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამიტომ 1977 წელს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა „არქეოლოგიური კვლევის ცენტრი“, რომელშიაც გაერთიანდა 12 განყოფილება, ასამდე მეცნიერი თანამშრომლით. ესენია: ქვის ხანის, ენეოლით-ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრეკინის, ანტიკური ხანის, ადრეული შუა საუკუნეების, შუა საუკუნეების, პალეოურბანისტიკური კვლევის, არქეოლოგიური ნუსხის, ახალმშენებლობათა არქეოლოგიის, არქეოლოგიური ტერმინოლოგიის,

114 საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები არქეოლოგიაში. „არქეოლოგიური კვლევის ცენტრი“ ამჟამად არქეოლოგიური კვლევა-ძიების მთავარ დაწესებულებას წარმოადგენს რესპუბლიკაში. მისი მეცნიერი თანამშრომლები არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ საქართველოს ყველა კუთხეში. ამ გათხრების მოკლე ასგარიშები ყოველწლიურად იბეჭდება კრებულში „საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება“.

„არქეოლოგიური კვლევის ცენტრის“ წინამორბედი დაწესებულებების არქეოლოგთა ნაშრომები ქვეყნდებოდა ჯერ „ენიშკის მოამბეში“, მერე „ისტორიის ინსტიტუტის შრომებში“ და კრებულ „მიმომხილველში“, ხოლო 1955 წლიდან ქართველ არქეოლოგებს უკვე ცალკე სისტემატური კრებული აქვთ — „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“. შემდგომ წლებში დაარსდა და სერიულად გამოიცა სხვა არქეოლოგიური კრებულებიც, კერძოდ: „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“, „ვანი“, „დიდი პიტიუნტი“, „მცხეთა“, „თბილისი“, „კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები“, „კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები“, „ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“, „არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს ახალმშენებლობებზე“, „კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები“, „უინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები“ და სხვ.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ა. აფაქიძის რედაქტორობით 1980 წ. გამოცემული პირველი რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონი.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების ძირითადი საცავი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც რესპუბლიკის უძველესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. აქ დღეს ნაყოფიერი საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს. არქეოლოგიურ თხრას აწარმოებენ მუზეუმის „არქეოლოგის“ (შუა საუკუნეების წინა) და „შუა საუკუნეების არქეოლოგის“ განყოფილებების მეცნიერი თანამშრომლები. აქვეა სპეციალური სარესტავრაციო განყოფილება, სადაც არქეოლოგიური მასალის რესტავრაცია-კონსერვაციას აწარმოებენ.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პირველი არქეოლოგიური გამოფენა თემაზე „წინაკლასობრივი საზოგადოება ამიერკავკასიაში“ მოეწყო 1934 წელს; 1937 წელს „შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის“ გამოფენა; ხოლო 1941 წელს — „თრიალეთი და მცხეთა — უძველესი ქართული კულტურული კერები“. მუზეუმის დღევანდელი მუდმივმოქმედი გამოფენა საქართველოს ყველა პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლებს მოიცავს. მუზეუმის თანამშრომლები აქვეყნებენ კრებულების სერიას — „საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“ და „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე — B“.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არქეოლოგიასა და საგამოფენო საქმიანობაში კონსულტაციას უწევს და ეხმარება რესპუბლიკის რაიონული ცენტრების და ქალაქების მხარეთმცოდნეობით და ისტორიულ-ენთოგრაფიულ მუზეუმებს (ორი მათგანი — ახალციხის და მესტიის ისტორიულ-ენთოგრაფიული მუზეუმები თავის ფილიალებად მიიღო). ესენია: თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, ფოთის, ქუთაისის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მარტვილის, ცაგერის, ხაშურის, ბორჯომის, გორის, რუსთავის, დუშეთის, სიღნაღის, თეზღვის და სხვ. აღსანიშნავია, აგრეთვე, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოსა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებების ჩატარებული სამუშაოები. ეს დაწესებულებები ხელს უწყობენ ახალ არქეოლოგიურ ძეგლთა გამოვლინებას, დაცვას და პოპულარიზაციას.

ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებათა გარდა, არქეოლოგიურ კვლევას ახორციელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი რეგიონული ინსტიტუტები. ასეთებია ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში დაარსებული დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის და ქ. ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები¹¹⁵, ხოლო 1958 წლიდან გაიხსნა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი¹¹⁶. ამ დაწესებულებებში საგანგებო არქეოლოგიური განყოფილებებია შექმნილი, რომელთა კვლევა-ძიების შედეგები იბეჭდება ხსენებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კრებულებში¹¹⁷.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ერთიან ზედამხედველობა-კოორდინაციას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს არქეოლოგიური კომისია ახდენს, რომელიც რესპუბლიკის სახელით იძლევა „ღია ფურცელს“ (გათხრის უფლებას). 1977 წელს რესპუბლიკის მმართველობამ მიიღო ახალი კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

¹¹⁵ დაწერ. იხ. Абхазский институт языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа; М. М. Трапш, Основные результаты археологического исследования Абхазии за годы Советской власти, Труды I, Сухуми, 1970, с. 30—51; Юго-Осетинский научно-исследовательский институт, книга — Академия наук Груз. ССР, Тбилиси, 1981, с. 318—325. 373—383.

¹¹⁶ დაწერ. იხ. Батумский научно-исследовательский институт, кн. АН ГССР, Тбилиси, 1981, с. 325—331.

¹¹⁷ იხ. კრებულები Известия Абхазского института истории, языка и литературы, Материалы по археологии и искусству Абхазии, «Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института», «სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები».

რომელშიც ყველა ტიპის არქეოლოგიური ძეგლი სახელმწიფოს დაცვის ობიექტად არის გამოცხადებული¹¹⁸.

საქართველოს არქეოლოგთა ყველა თაობის წვლილი და დამსახურებაა დღევანდელი ქართველოლოგიის ერთ-ერთი დარგის — საქართველოს არქეოლოგიის — საყოველთაოდ ცნობილი წარმატებები. არქეოლოგიური კვლევის შედეგად რესპუბლიკის ტერიტორიაზე დადასტურებულია ადამიანის განვითარებისა და ცხოვრების ამსახველი ყველა საფეხურის ძეგლები ქვის ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით.

ქართველი არქეოლოგები მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს წევრია (ICOM). ქართველ არქეოლოგთა შრომები იბეჭდება უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში¹¹⁹.

ასეთია, მოკლედ საქართველოში არქეოლოგიის განვითარების ძირითადი სამეცნიერო-ორგანიზაციული გზა (1980 წლამდე). საქართველოს არქეოლოგიის დღევანდელი მიღწევების და მათში ცალკეული არქეოლოგების წვლილის შესახებ იხილეთ მომდევნო თავები.

¹¹⁸ ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, რომელსაც არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვაც დაევა.

¹¹⁹ ბიბლიოგრაფია იხ.—D. Kacharava, V. Tolordava, Georgian Archaeological Literature in 1976—1980, Dialogues d'histoire ancienne, Paris, 1980, № 13.

ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორია

ადამიანის წარმოშობა და მისი ევოლუცია რამდენიმე მილიონ წელს მოიცავს. საზოგადოების განვითარების ისტორიაში ყველაზე ადრეული და ხანგრძლივი პერიოდი ქვის ხანა, რომელიც თვით ადამიანისა და მისი კულტურის განვითარების შესაბამისად — ქვის იარაღთა ტიპოლოგიური შემადგენლობისა და მათი დამზადების ტექნიკის მიხედვით, ასევე მეურნეობის ხასიათისა და სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის მიხედვით გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ცოფა შემდეგ ეპოქებად: ძველი ქვის ხანა — პალეოლითი, შუაქვის ხანა — მეზოლითი და ახალი ქვის ხანა — ნეოლითი. პალეოლითური ეპოქა თავისთავად იყოფა ქვედა და ზედა პალეოლითად. ქვედა პალეოლითის უძველესი საფეხურია ოლდუვაი, რომელსაც მოსდევს აშელი და შემდეგ მუსტიე. დანარჩენ ეპოქებში — ზედა პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი — გამოყოფენ ადრე, შუა, განვითარებულ ან ფინალურ სტადიებს.

ქვედა პალეოლითი მეოთხეული გეოლოგიური პერიოდის ორ ეპოქას — ვოლესიტოცენსა და პლეისტოცენს მოიცავს, ზედა პალეოლითი — პლეისტოცენის მეორე ნახევარს, მეზოლითი-პლეისტოცენის დასასრულსა და მეოთხეული პერიოდის თანამედროვე ეპოქას — ჰოლოცენს ემთხვევა, ხოლო ახალი ქვის ხანა მთლიანად ჰოლოცენში ვითარდებოდა.

ვინაიდან ქვის ხანის ადამიანი მკიდროდ იყო დაკავშირებული ბუნებასთან, დიდდ იყო დამოკიდებული მის გარესამყაროსთან, ამიტომ მისი კულტურის კვლევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთ საბუნებისმეტყველო დარგებთან ერთობაში, როგორცაა პალეოგეოგრაფია, გეომორფოლოგია, პალეობიოლოგია, პალეობოტანიკა და სხვ.

არქეოლოგიური და გეოლოგიური პერიოდიზაციების ურთიერთკავშირი, მეოთხეულ პერიოდში მომხდარი კლიმატური ძვრები (გამყინვარებები და გამყინვარებათაშორის ეპოქები), მათი გავლენა გეოგრაფიულ გარემოზე, ბუნებრივ პირობებზე, ადამიანთა განსახლებასა და კულტურათა თავისებურებებზე დაწვრილებით შემდეგ თავში იქნება მოთხრობილი.

საქართველო ძველთაგანვე გამოირჩეოდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, მრავალფეროვანი და ხელშემწყობი კლიმატური პირობებით. ამან, როგორც ჩანს, განაპირობა აქ ადამიანის ფართო განსახლება, რაზეც მეტყვე-

ლებს ქვის ხანის სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ტიპის სადგომების სიმრავლე.

საქართველოს ქვის ხანის ძეგლების აღმოჩენა შესწავლაში გარკვეული წვლილი შეიტანეს გასული საუკუნის მეორე ნახევრისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის რიგმა მეკლევრებმა. მათ შორის არ შეიძლება არ დავასახელოთ დიუბუა დე მონპერე, ს. სიმონოვიჩი¹, ა. უვაროვი², ა. იოაკიმოვი³, ა. ბერხაცი⁴, რ. შმიდტი. ლ. კოზლოვსკი, სტ. კრუკოვსკი⁵, ე. ფაერი⁶ და ზოგიერთი სხვა. სწორედ ამ მეკლევართა დიდი დამსახურებაა ისეთი ძეგლების აღმოჩენა და ზოგჯერ წინასწარი კვლევა, როგორცაა ვირხოვის, უვაროვისა და ბარათაშვილის მღვიმეები, გვარჯილას-კლდის, თარო-კლდის, ხერგულის-კლდის და სხვა სადგომები.

ეს იყო პირველი ნაბიჯები საქართველოში ქვის ხანის ძეგლების ძიებისა და შესწავლის თვალსაზრისით და მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, მათ კვლევას მაინც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ჩვენი მეცნიერების განვითარებაში მას ღრმა კვალი არ დაუტოვებია. ამით დასრულდა საქართველოში ქვის ხანის ძეგლების კვლევა-ძიების I ეტაპი.

მეორე ეტაპი ძეგლების კვლევის შედარებით სისტემატური ხასიათით აღინიშნება. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვის ხანის სადგომების მეცნიერულ გათხრა-შესწავლას საფუძველს უყრის და სათავეში უდგება გ. ნიორაძე. მან 1926—30 წლებში გეგმაზომიერი გათხრები ჩაატარა დევისხვრელსა⁷ და 1936—1937 წწ. საკაიასში⁸. ამას მოჰყვა ლ. სოლოვიოვის მიერ საქართველოს შავიზღვისპირეთის ზოლში ქვის ხანის იარაღების შემკველი რამდენიმე ადგილსამყოფელის მოპოვება — გვარდა, კელასური, აფიანჩა, ქვემო ლემსა, მოქვი, აზიგვარა, ჩუბურისხინჯი და სხვ.⁹ ამავე დროს ს. ზამიატინმა ქ. გაგ-

1. С. Симонович. Пшла из кремня. Изв. Кавк. отд. Русского географическо-го общества. Т. I, 1872, с. 127—128.

2. А. Уваров, Археология России, каменный период. М., 1881, I, с. 205.

3. А. Иоакимов. Выпуск из дневника археологических работ на Цалке. Изв. Кавказ. общ. ист. арх. т. I, вып. I, Тбилиси, 1882, с. 8—9.

4. С. Бернцки. Ископаемые остатки пещерного человека и пещерных животных на Кавказе. «Кавказ», № 255, 1884, 17. X.

5. Ст. Круковский. Пещера Гварджила-с-кля в Ргани. Изв. Кавказского музея, т. X, вып. 3. Тбилиси, 1916, с. 253—259.

6. Ernest Favre. 1875. Recherches géologiques dans la chaîne du Caucase. Genève. გვ. 3—4.

7. გ. ნიორაძე, 1933. პალეოლითის ადამიანი დევის ხვრელში. საქართველოს მუზეუმის შრომები. VI. თბ.

8. გ. ნიორაძე, 1953. ქვის ხანის ადამიანი საკაიას გამოქვაბულში. თბ.

9. Л. Н. Соловьев. Первобытное общество на территории Абхазии. Сухуми, 1971, с. 5—6.

რის რაიონში მოიპოვა ეშერას, გულაუთის, კალდახვარას და სხვა ქვის ხანის ნაბინარები¹⁰. ძირითადად ეს იყო ზანმოკლე ნაბინარების კვალი, მაგრამ უკვე კარგად მეტყველი იმაზე, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთი მნიშვნელოვნად იყო დასახლებული ქვის ხანაში. 1934 წ. ზამიატინმა მიაკვლია მღვიმევის კლდოვან ეხებს¹¹. რიგი აღმოჩენებისა დაკავშირებულია ალ. კალანდაძის¹², ბ. კუფტინისა¹³ და ლ. მარუაშვილის სახელებთან¹⁴ (სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში). ამის შემდეგ საველე-არქეოლოგიური სამუშაოები საქართველოს ტერიტორიაზე დროებით თითქმის მთლიანად შეწყდა.

50-იანი წლებიდან ქართული პალეოლითმცოდნეობის აღორძინება იწყება, ქვის ხანის კვლევას სათავეში ჩაუდგნენ ადგილობრივი კადრები, რომლებიც ადრე მიკვლეული ძეგლების თხრასა და შესწავლას შეუდგნენ, ამავე დროს გაშალეს ინტენსიური დაზვერვითი სამუშაოები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, რის შედეგადაც გამოვლინდა მრავალი უნიკალური პალეოლით-მეზოლითური და ნეოლითური ხანის ძეგლები. დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია 400-მდე ძველი ქვის ხანის (პალეოლით-მეზოლითი) და 50-მდე ახალი ქვის ხანის სადგომი. ძეგლთა გარკვეული ნაწილი სტრატეგიკურებულია და საყრდენ ძეგლებს წარმოადგენს. ესაა წონა, კუდარო I, III, ზიარი, წოფი, ჭრუჭულა, ორთავლა, საკაყია, აფიანჩა; ქვაქარა, ეძანი, დარკვეთი, თეთრი მღვიმე, საგვარჯილე და სხვა. ამ და კიდევ სხვა ძეგლების კვლევის შედეგები სისტემატურად ქვეყნდება ანგარიშების სახით კრებულებში: „ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“, „ПАИ“ და „АО“. გარდა ამისა, ქვის ხანის მრავალი პრობლემატიკი საკითხი განხილულია თეორიული ხასიათის ცალკეულ სტატიებში, რომლებიც ქვეყნდება როგორც ადგილობრივ პერიოდულ გამოცემებში; ისე საკავშირო და უცხოეთის ჟურნალებშიც. არაერთი მონოგრაფიული ნაშრომი მიეძღვნა საქართველოს ქვის ხანას, ამას ემატება საბუნებისმეტყველო დარგების მკვლევართა გამოკვლევებიც.

საქართველოს ყველა კუთხეზე არაა თანაბრად შესწავლილი. შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი გურია-აჭარის ტერიტორიები, კახეთი, სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, სადაც ძირითადად უქანასკნელ წლებში გამოვლინდა ძეგლთა მნიშვნელოვანი ნაწილი — დმანისი, ადგილი ფერსათი, ბავრის I—II ეხები, ბავრის მღვიმე, განდევლის მღვიმე. ჩამოთვლილ ძეგლთა მეტი წილი

¹⁰ С. Н. Замятин. Палеолит Абхазии. Тр. Ин-та Абхазской культуры. Сухуми, 1937, в. X.

¹¹ С. Н. Замятин. Пещерные навесы Мгвимеви близ Чнатур. СА, III, 1937.

¹² ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიშის მუამბე, ტ. IV, 3. თბილისი, 1939, გვ. 263—371.

¹³ Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. Т. I. Тбилиси, 1941.

¹⁴ Л. Н. Маруашвили. Зуртакетская палеолитическая стоянка в Южной Грузии и ее геологическое значение. «Природа», № 12, 1946.

და კიდევ ზოგიერთი სადგომი ჯერაც გათხრისა და შესწავლის პროცესშია. მან განაპირობა ის, რომ ისინი წინამდებარე ნაშრომში არათანაბრადაა წარმოდგენილი, ხშირ შემთხვევაში არაა მოცემული მასალის სტატისტიკური ანალიზი. რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორიაზე ახლად მოპოვებულ ძეგლებს, მათი შესწავლა ჯერ საწყის საფეხურზეა და ამიტომ ამ წიგნში სულ არაა ასახული. მოკლე ცნობები გვაქვს მოტანილი პატარა ხრამის (თრიალეთის) პეტროგლიფების შესახებ, ვინაიდან მათი ნაწილი ქვის ხანით თარიღდება, ამავე დროს ესაა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მონაპოვარი კლდეზე უძველესი გამოსახულებებისა საქართველოს ტერიტორიაზე.

ამგვარად, საქართველოში, დღეისათვის, დაწყებული ქვის ხანის უძველესი საფეხურებიდან ყველა პერიოდის ძეგლია გამოვლენილი ადრე სამიწათმოქმედო კულტურების ჩათვლით, რაც უწყვეტი ცხოვრების სურათს გვაძლევს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ადამიანის ფორმირება და შემდგომი ევოლუცია მეოთხეულ გეოლოგიურ ეპოქაში ხდება. ამ ეპოქის გეომორფოლოგია, პალეოგეოგრაფია, კლიმატური ძვრები და შესაბამისი ცვლილებები პალეობოტანიკურ და პალეოზოოლოგიურ შემადგენლობაში, ქვის ხანის ძეგლების აღმოჩენა-შესწავლის ისტორია და თვით ძეგლთა დახასიათება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით უფრო დაწვრილებით შემდგომ თავებშია განხილული.

საქართველოს გუნებრივი გარემო ქვის ხანაში

ქვის ხანა დედამიწის გეოლოგიური წარსულის ბოლო მონაკვეთის — მეოთხეული პერიოდის თანხედრილ დროდ ითვლება. ამიტომ აღნიშნული პერიოდის პალეოგეოგრაფიული ვითარების აღდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიური კვლევისათვის. მაგრამ აქვე უნდა ითქვას იმ უხერხულობის შესახებ, რასაც ქვის ხანისა და მეოთხეული პერიოდის ქრონოლოგიური თანხედრილობის აღიარება იწვევს. საქმე ის არის, რომ მეოთხეულის ხანგრძლივობა დღემდე ზუსტად არ არის განსაზღვრული. მკვლევართა ერთი ჯგუფის (ე. გრომოვი, კ. ნიკიფოროვა, ი. კრასნოვი, ე. შანცერი) მოსაზრებით, მეოთხეულის ქვედა საზღვარი ხმელთაშუა ზღვისპირეთში შესწავლილ ე. წ. ვილაფრანკის ნალექთა დასტის სხვადასხვა სტრატეგრაფიული პორიზონტების ან მათი შესატყვისი ანალოგების წარმოშობის დროს ემთხვევა (აქჩაილის ნალექთა დასტის პორიზონტები და აფშერონის დასტის საფუძველი კასპისპირეთში, მოლდავეთის, ხაზრვის, ასეუკუსის და ტამანის ფაუნისტური კომპლექსების შემცველი პორიზონტები აღმოსავლეთ ევროპის ვაკეზე და სხვ.)¹. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს მესამეული პერიოდისათვის დამახასიათებელი ჰიპარიონული ფაუნის მეოთხეულის ძუძუმწოვართა ფაუნით შეცვლის ფაქტი, რასაც პავის აცივებით ხსნიან. მეოთხეული პერიოდის ხანგრძლივობა აღნიშნული მოსაზრების შესაბამისად 1,6—3,5 მლნ წლით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში მეოთხეულის ქრონოლოგიურ ჩარჩოში ხედება პლიოცენური ხანის მნიშვნელოვანი ნაწილი (ეოპლენსტოცენი), რომელიც კაინოზოური ერის ტრადიციულად მიღებული დაყოფით მესამეულ პერიოდს განეკუთვნება.

მკვლევართა მეორე ჯგუფი (კ. მარკოვი, გ. გორეცკი, გ. ლაზუკოვი და სხვ.) მეოთხეულის პერიოდის ქვედა საზღვარს მინდელის ეპოქის დასაწყისზე ატარებს². აღნიშნული პერიოდის განმასხვავებელ ნიშან-თვისებად ამ ჯგუფის მკვლევარებს ზეწრული გამყივარების განვითარება და მისი პერიოდული გამოვლინება მიაჩნიათ. მათი მტკიცებით, მინდელის ეპოქის დასაწყისში მოხ-

¹ А. А. Величко. Природный процесс в плейстоцене. «Наука», М., 1973, с. 67—68.

² იქვე, გვ. 67.

და ძლიერი აცივება გლობალური მასშტაბით, რამაც პირველად კინოზურ ვრამი ზეწრული გამყინვარების განვითარება გამოიწვია. ეს მომენტი ემთხვევა მატუიამა-ბრიუნესის პალეომაგნიტური ეპოქების მიჯნას — დაახლოებით 0,7 მლნ წლის წინანდელ დროს. სწორედ ამ მიჯნაზე ატარებენ მეოთხეულის ქვედა საზღვარს მეორე ჯგუფის მკვლევრები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ სანამ მეოთხეული პერიოდის ქვედა საზღვრისა და, მაშასადამე, მისი ხანგრძლივობის საკითხი არ გადაიჭრება, მასთან ქვის ხანის ქრონოლოგიური თანხედრილობის დაშვება პირობითად უნდა ჩაითვალოს.

მეოთხეული პერიოდის ცალკე გეოლოგიურ სისტემად გამოყოფის და მისი ხანგრძლივობის განსაზღვრის საქმეში ბოლო ხანებში დიდი ყურადღება მიეცია ადამიანის ფენომენმა. ადამიანი მესამეული და მეოთხეული პერიოდების მიჯნაზე გაჩნდა და შემდეგში თანდათანობით გადაიქცა დედამიწის ბუნებრივი გარემოს განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. მეოთხეულის ხანგრძლივობის განსაზღვრის საქმეში ადამიანის ფენომენის მნიშვნელობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, როცა აღმოსავლეთ აფრიკაში (ოლდუვეის ხეობა — ტანგანიკაში) აღმოჩენილ იქნა ქვის ხანის უძველესი კულტურული შრეები, რომელთა აბსოლუტური ასაკი დაახლოებით 2 მლნ წლით იქნა განსაზღვრული³. როგორც ვხედავთ, ოლდუვეის კულტურული შრეების აბსოლუტური ასაკი მატუიამა ბრიუნესის პალეომაგნიტური ეპოქების მიჯნაზე ბევრად უფრო ძველია. თუ ადამიანის ფენომენს მეოთხეული პერიოდის ცალკე გეოლოგიურ სისტემად გამოყოფის მთავარ კრიტერიუმად მივიჩნევთ, მაშინ ამ უკანასკნელის ხანგრძლივობა პირობითად შეიძლება შესაბამისად გავზარდოთ, მით უმეტეს, რომ წინამდებარე ნაკვეთი ქვის ხანის ბუნებრივი გარემოს რეკონსტრუქციას ეძღვნება.

კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ქვის ხანის დღემდე მიკვლეული უძველესი ძეგლების აბსოლუტურ ასაკზე ჯერჯერობით რამდენადმე ზუსტი ცნობა არ მოგვეპოვება, რაც გარკვეულ სიძნელეებს ჰქმნის ამ ძეგლების ქვის ხანის ამა თუ იმ ეტაპისადმი მიკუთვნების საქმეში. საქართველოს ქვის ხანის ძეგლების ადგილი მეოთხეული პერიოდის ქრონოლოგიურ ჩარჩოშიც არ არის სათანადოდ დაზუსტებული. ზუსტად არ ვიცით საქართველოს ტერიტორიაზე აშელური კულტურის განვითარებას როდის ჰქონდა ადგილი, არც ის ვიცით აშელის ეპოქა მეოთხეულის „მოკლე სკალის“ ჩარჩოში თავსდება მთლიანად. თუ მისი ადრეული ეტაპები ამ ჩარჩოს სცილდება. იქნებ საქართველოს წილი აშელის წინარე ხანის არქეოლოგიური მასალის შემცველ შრეებს ინახავს, რომელთა ასაკი შეიძლება ბევრად უფრო ძველი იყოს მატუიამა-ბრიუნესის,

³ И. К. Иванова. О длительности четвертичного периода по данным палеоантропологии и абсолютной геохронологии. В сб. Основные проблемы изучения четвертичного периода. М., 1965, с. 16—28.

პალეომაგნიტური ეპოქების მიჯნაზე (0,7 მლნ წლის წინანდელი დრო). ამ ალბათობის გამორიცხვა არ შეიძლება, ამიტომ წინამდებარე ნარკვევში მიზანშეწონილად მივიჩინეთ საქართველოს ქვის ხანის ბუნებრივი გარემოს დახასიათება მეოთხეული პერიოდის ქრონო-სტრატиграფიული დაყოფის „გრძელი სკალის“ მიხედვით მოვახდინეთ. ბუნებრივი გარემოს დახასიათება ბიოგრაფიული და პალეოგლაციოლოგიური ფაქტების ანალიზის საფუძველზეა შესრულებული და ძირითადად ზოგადი დასკვნების სახით იქნება წარმოდგენილი.

კუიალნიკურ საუკუნეში (დაახლოებით 1,7—2,6 მლნ წლის წინანდელი დრო) დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობების და პირველ რიგში ჰავის და მცენარეული საფარის ხასიათზე წარმოდგენას გვაძლევს პალეობოტანიკური ფაქტების ანალიზი. აღნიშნული საუკუნის მანძილზე დასავლეთ საქართველოს მცენარეული თანასაზოგადოება ძირითადად ტყით იყო წარმოდგენილი⁴. მათააწინეთში და წინამთების ზოლში ხარობდა: მუხა, წიფელი, ნეკერჩხალი, ტირიფი, ცაცხვი, წაბლი, თელა, ძელქვა და სხვ. ფართოფოთლოვანები, რომლებთან ერთად აღინიშნებოდა სხვადასხვა გვიმრების და ზოგიერთი მარადმწვანე ჩიშების არსებობა. მათაა ზედა სარტყელში გაბატონებული მდგომარეობა წიწვიან ტყეებს ეკავა, რომელთა ძირითად კომპონენტებს ცუგა, სოჭი, ნაძვი და ფიჭვი შეადგენდა. კოლხეთის კუიალნიკური ფლორის ანალიზის შედეგების შეპირისპირება აღმოსავლეთ აზიის და ჩრდილოეთ ამერიკის ზოგ ოლქში დღემდე შემორჩენილი ასეთივე შედგენილობის ფლორის საარსებო პირობებთან მოწმობს, რომ იმ დროს დასავლეთ საქართველოში ძირითადად ნოტიო და ზომიერად თბილი ჰავა იყო გაბატონებული. იანვრის საშუალო ტემპერატურა +5—5°-ის საზღვრებში ცვალებადობდა, ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი —9°-ზე დაბლა არ ჩამოდიოდა. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი კი 1000—1500 მმ შეადგენდა⁵.

კუიალნიკის თანადროულ აქჩალილის საუკუნეში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვით იყო დაფარული. კასპიის ზღვას თანამედროვესთან შედარებით გაცილებით მეტი ფართობი ეკავა. მისი ერთ-ერთი ყურის წვერი დროდადრო, ქ. თბილისის რაიონამდე აღწევდა, კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი კი ზღვით იყო დაფარული. აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელ ბუნებრივ გარემოზე წარმოდგენას გვაძლევს პალეოფაუნისტური ფაქტები. ამ მხრივ ფრიად საინტერესო მასალა იქნა მოპოვებული მდ. ივრის ქვემო წელში — ადგილმდებარეობა ქვაბებთან. ამ რაიონში განვითარებული აქჩალილური საუკუნის თიხების, ქვიშაქვებისა და კონგლომერატების შრებში, რომელთა სიმძლავრე 300 მ-ს აღწევს, აღმოჩნდა ნამარხი ძუძუმწოვრების

⁴ И. И. Шатилова. Итоги палинологических исследований верхнеплиоценовых и плейстоценовых отложений Западной Грузии, В сб. Палинологические исследования в Грузии. Тбилиси, 1977, с. 106—236.

⁵ Н. К. Ратиани. Плиоценовые и плейстоценовые флоры Западной Грузии и их связь с современной флорой. Тбилиси, 1979, с. 236—237.

მდიდარი ძელოვანი მასალა, რომლის ანალიზის შედეგად დადასტურდა შემდეგი სახეობები: ენოტისებრი ძაღლი, აფთარი, ფოცხვერი, ხმალკბილა ვეფხვი, მაჩუზლარბა, მასტადონტი, ანაკუხი, გიგანტური დამანი, სამითთა ცხენი (ჰიპპარიონი), მარტორქა, გაშლილქიანი ირემი, შველი, რქაგრეხილი ანტილოპა, ხმალქიანი ანტილოპა, ურქო ძროხა, ფრინველებიდან — სირაქლემა და სხვა⁶. ამ ცხოველების საარსებო ეკოლოგიური პირობების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და წინამთების ზოლში იმ დროს ბინადრობდა სხვადასხვა ბიოცენოზებისათვის დამახასიათებელი ფაუნა, რომელშიც უპირატესად თბილი და ზომიერად ტენიანი ჰავის მქონე ზღვისპირა დაქაობებული ტერიტორიების და სავანის ტიპის ტყეების ბინადარნი.

აქჩალილურ საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თბილი და ზომიერად ტენიანი ჰავის არსებობას დასტურებს, აგრეთვე, მცენარეთა ნამარხი ნაშთების ანალიზი. კახეთის აქჩალილურ ნალექებში ნახული მცენარეთა ფოთლების ანაბეჭდების შესწავლით გაირკვა, რომ იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ტყეებში ხარობდა თბილი და ზომიერად ტენიანი ჰავის მოყვარული ჯიშები — მუხა, ტირიფი, ძელქვა, ვერხვი, არყი, თხილი და სხვა⁷.

აქჩალილ-კუთაისის მომდევნო გურია-აფშერონულ ხანაში (დაახლოებით 0,9—1,7 მლნ წლის წინ) ამიერკავკასიის ბუნებრივ გარემოს არსებითი ცვლილებები არ განუცდია. დასავლეთ საქართველოს გურიული საუკუნის მცენარეულის საფარი თავისი ხასიათით დიდ მსგავსებას იჩენს კუთაისის დროის მცენარეულ საფართან. იმ დროს აქ გაბატონებული იყო ტყის ლანდშაფტი მეზოფილური და ჰემიქსეროფილური ფართოფოთლოვანი ჯიშების უპირატესი მონაწილეობით (წიფელი, რცხილა, წაბლი, ძელქვა, მუხა, ცაცხვი, ნეკერჩხალი). მათთან ერთად ხარობდა ზოგიერთი თერმოფილური მარადმწვანე ჯიშები (მაგნოლია და სხვა). მათაა ზედა და ნაწილობრივ შუა სარტყელში წარმოდგენილი იყო წიწვიანი ტყეები სოჭის, ნაძვის, ფიჭვის, ცუგას, კედარის და სექვიას მონაწილეობით. გურიული საუკუნის ფლორის ანალიზი მოწმობს, რომ იმ დროს დასავლეთ საქართველოში ორი ტიპის ჰავა იყო: ნოტიო და ზომიერად თბილი ბარში და ზომიერი — მათაა შუა და ზედა სარტყელში⁸.

აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელ ბუნებრივ გარემოზე ზოგად წარმოდგენას გვაძლევს პალეოფაუნისტური ფაქტების ანალიზი. კახეთში — კოწახურის ქედის კალთაზე, აქჩალილის სართულიდან აფშერონის სართლისაკენ გარდამავალ ზოლში დალექილ წვრილმარცვლოვან ქვიშებში ნაპოვნი იქნა სამხრეთული სპილოს კარგად დაცული ჩონჩხი, რომლის დეტალური

⁶ ლ. გაბუნია, ა. ვეკუა. ქაბების გიგანტური დამანი. თბ., 1974, გვ. 3—56.

⁷ იქვე, გვ. 10—11.

⁸ Н. К. Ратнани, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

აღწერა ლ. გაბუნიას და ა. ვეკუას აქვთ შესრულებული⁹. ბრტყელშუბლა სპილოს და სტენონის ცხენის ძვლოვანი მასალა აღმოჩნდა ბედენის ქედზე (წალკის რაიონი) განვითარებულ დოლერიტულ ლავეებს შორის მდებარე ტბიური ნალექების ჰორიზონტში. ამ ნალექების ქვეშ გაწოლილი ლავეების რადიოლოგიური ასაკი $1,00 \pm 0,30$ მლნ წელი აღმოჩნდა¹⁰. დაახლოებით ანალოგიურ სტრატეგრაფიულ მდგომარეობაში ნაპოვნი იქნა ყირაფის, ჰიპარიონის, ანაკუსის ძვლოვანი ნაშთები გომარეთის პლატოზე¹¹. ზემოთ ჩამოთვლილი ცხოველების საარსებო ეკოლოგიური პირობების გათვალისწინება საბაბს გვაძლევს ვამტყიცოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში შესამჩნევად არც აფშერონულ საუკუნეში შეიცვალა ბუნებრივი გარემო. აქ კვლავ ზომიერად თბილი ჰავა და ძირითადად სავანის ტიპის ლანდშაფტი იყო განვითარებული, თუმცა პალეოფაუნისტური ფაქტების ანალიზი გარკვეულად მოწმობს, რომ აქჩალილიდან დაწყებული აფშერონული საუკუნის ბოლომდე ადგილი ჰქონდა ჰავის სუსტი და თანდათანობითი აცივების ფაქტს.

ჰავის პირობების მკვეთრი გაუარესება, როგორც უკვე აღინიშნა, მინდელის ეპოქის დასაწყისში — დაახლოებით 0,6—0,7 მლნ წლის წინ მოხდა. მინდელის ეპოქაში წარმოქმნილი სხვადასხვა სახის ნალექების (მორენები, ლიოსი, განამარხებული ნიადაგები და სხვ.) შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ აღნიშნულ ეპოქაში აცივება ორ ფაზად გამოვლინდა — მის დასაწყისში და ბოლო ეტაპზე. რადიოლოგიური დათარიღების მიხედვით, აცივების პირველ ფაზას ადგილი ჰქონდა დაახლოებით 650—660 ათასი წლის წინ. აცივების მეორე ფაზა 450—420 ათასი წლის წინ გამოვლინდა. ამ ორი ცივი ფაზის შუალედური დრო შედარებით თბილი ჰავით გამოირჩეოდა¹². აქვე უნდა ითქვას, რომ ქანების აბსოლუტური ასაკის განსაზღვრის რადიოლოგიური მეთოდები ჯერ არ არის სათანადოდ დაზვეწილი და გარკვეულ ცთომილებას იძლევიან. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ ზემოთ მოყვანილი თარიღები მიახლოებით წარმოდგენას მაინც გვიქმნიან მინდელის ეპოქის ქრონოლოგიაზე.

პალეობოტანიკური მონაცემებით ირკვევა, რომ ჰავის ცვლილებები, რასაც მინდელის ეპოქაში ჰქონდა ადგილი და რაც აშკარად გამოვლინდა ზომიერ და პოლარულ სარტყლებში, კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოსაც შეეხო, ოღონდ ამ მხარის უფრო სამხრეთული მდებარეობის გამო აცივებას აქ ნაკლები მასშტაბი ჰქონდა. დასავლეთ საქართველოს ჩაუდური ეპოქის (მინ-

⁹ ლ. გაბუნია, ა. ვეკუა, ტარიბანის ნაპირი სპილო. თბ., 1963, გვ. 3—67.

¹⁰ Л. В. Векуа, Г. М. Майсурадзе и др. Магнитохроностратиграфия позднекайнозойских вулканитов Грузии, В сб. Четвертичная система Грузии. Тбилиси, 1982, с. 3—24.

¹¹ ლ. გაბუნია, ც. ბუაჩიძე, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზებ № 1, 1970, გვ. 241.

¹² В. А. Зубаков, В. В. Кочегура. Хронология новейшего этапа геологической истории СССР — В сб. Хронология плейстоцена и климатическая стратиграфия. Ленинград, 1973, с. 39—73.

დელის შესატყვისი დრო) ფლორა ამავე მხარის კუილნიკური და გურიული ფლორების რამდენადმე გაღარიბებულ დერიატს წარმოადგენს და როგორც სისტემატიკური შემადგენლობის, ისე გენეტიკური კავშირების მიხედვით მათთან აშკარა მემკვიდრეობას ამჟღავნებს. კუილნიკური საუკუნიდან მოყოლებული ჩაუდურ ეპოქამდე დასავლეთ საქართველოს ფლორის გაღარიბების პროცესი მისი ყველაზე მეტად თერმოფილური ელემენტების თანდათანობით გადაშენების საერთო ფონზე მიმდინარეობდა. მათ ადგილს კი ზომიერად თბილ და ნოტიო ჰავას შეგუებული ელემენტები იკავებდა. კუილნიკური და გურიული საუკუნეებისაგან განსხვავებით ჩაუდაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი, თანამედროვესთან შედარებით უფრო მდიდარი შემადგენლობის წიწვიანი, შერეული და ფართოფოთლოვანი ტყეებით იყო დაკავებული. მთებში კარგად იყო გამოხატული ვერტიკალური სარტყლურობა — ფართოფოთლოვანი, შერეული, წიწვიანი ტყეების, სუბალპური და ალპური მდელოების თანმიმდევრული მონაცვლეობით (ქვემოდან ზემოთ). ფართოფოთლოვანი ტყეები წარმოდგენილი იყო მეზოფილური და ზომიერად თერმოფილური ჯიშებით (წიფელი, ცაცხვი, მუხა, რცხილა, ლაფანი და სხვა), რომელთა შორის მთავარი ედიფიკატორი წიფელი იყო. ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობზე ერთმანეთთან მონაცვლეობდნენ ჰაობისა და ჰალის ტიპის ტყეები მურყანის, ლაფანის და სხვა ჯიშების მონაწილეობით. ტყის შუა და განსაკუთრებით ზედა სარტყლები ამ დროს უმეტესად წიწვიანი ტყეებით იყო შემოსილი, რომელთა შემადგენლობაში მონაწილეობდა ცუგა, სოჭი, კედარი, ნაძვი, ფიჭვი, ტაქსოდოიმი, სექვოია კრიბტომერია და სხვა¹³.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცუგა, ტაქსოდოიმი, სექვოია და კრიბტომერია დასავლეთ საქართველოს ტყეებში ზედამეოთხეულის წინ განაშენდა. ცუგა აშეამად ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტის და წყნარი ოკეანის სანაპირო რაიონებში გვხვდება, სადაც ნოტიო და ზომიერად თბილი ჰავის პირობებში განვითარებულ მუხნარ-წიფლნარი და წიფლნარ-ნეკერჩხლიანი ტყეების შემადგენლობაში მონაწილეობს. ეს ჯიში შემორჩა აგრეთვე იაპონიის სუბტროპიკული სარტყლის ზოგ რაიონში, რომლებიც ნოტიო და თბილი ჰავით გამოირჩევიან. ასევე დიდი მანძილით არიან დაშორებული საქართველოდან ტაქსოდოიმების თანამედროვე გავრცელების არეალები. მაგალითად, სექვოია დღეს გვხვდება ჩრდილოეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპირო რაიონებში — ზომიერად ნოტიო და თბილი ჰავის პირობებში, ზ. დ. 600—1500 მ-ზე. კრიბტომერიის გავრცელების თანამედროვე არეალები იაპონიის და აღმოსავლეთ ჩინეთის სუბტროპიკულ სარტყელში — ზ. დ. 600—1200 მ-ზე მდებარეობენ. ამ არეალებში ზამთრის საშუალო ტემპერატურა 0°-ზე დაბლა არ ჩამოდის, ზაფხულისა +13

¹³ И. И. Шатнилова. დასახ. ნაშრომი, გვ. 106—113.

+20°-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური ჯამი 1000—1500 მმ შეადგენს¹⁴.

დასავლეთ საქართველოს ჩაუდური ფლორის სიღარიბე გურიულ და კუიანკურ ფლორებთან შედარებით (ზოგი თერმოფილური ელემენტის გადაშენების გამო) მოწმობს, რომ ჰავა ჩაუდაში რამდენადმე უფრო გრილი იყო, ვიდრე წინარე საუკუნეებში. ჩაუდური ფლორის ძირითადი ელემენტების საარსებო ეკოლოგიური პირობების ანალიზის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ბარში და წინამთებების ზოლში იმდროინდელი ჰავის პირობები გარკვეულ მსგავსებას იჩენდა ამავე მხარის თანამედროვე ჰავასთან. ყველაზე ცივი თვის პაერის საშუალო ტემპერატურა 4—7° იყო, ყველაზე თბილისა +23 +24°; ნალექების საშუალო წლიური ჯამი 1600—2300 მმ ფარგლებში ცვალებადობდა¹⁵.

კავკასიის მაღალმთიან რაიონებში მინდელური გამყინვარების შესატყვისი რელიეფი და ნალექები არ არის შემორჩენილი, რაც ამ გამყინვარების არსებობას აქ პრობლემატურს ხდის. როგორც აღვნიშნეთ, მინდელურ გამყინვარებას ზომიერ და მაღალ განედებში დიდი ხნის წინ ჰქონდა ადგილი და არ არის გამორიცხული, რომ მისი მოქმედების კვალი მთლიანად წაიშალა მომდევნო ხანაში განვითარებული ეროზიულ-დენუდაციური პროცესების გავლენით. თუ ზოგადი ხასიათის პალეოგრაფიული წარმოდგენებით ვიმსჯელებთ, მაშინ ამ გამყინვარების განვითარება კავკასიონის მაღალმთიან ნაწილში შეიძლება რეალობად მივიჩნიოთ. საქმე ის არის, რომ კავკასიონი იმ დროს უკვე წარმოადგენდა მაღალმთიან სისტემას, რომლის საშ. აბს. სიმაღლე ჩვენი ვარაუდით მხოლოდ 600—700 მ-ით ნაკლები შეიძლება ყოფილიყო, ვიდრე ამჟამად. თუ გავიხსენებთ მინდელის ეპოქაში ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ და პოლარულ სარტყლებში მდებარე ტერიტორიებისათვის არსებულ ბუნებრივ ვითარებას (მხედველობაში გვაქვს ჰავის მკვეთრი აცივება და ზეწრული გამყინვარების განვითარება) მაშინ კავკასიონის მაღალმთიან ზოლში გამყინვარების თუნდაც სუსტი გამოვლინება აღნიშნულ ეტაპზე ექვს არ უნდა იწვევდეს.

ჩაუდური ეპოქის ქრონოლოგია თითქმის შეუსწავლელია. ჭერჭერობით ერთადერთი თარიღი გვაქვს, რომელიც ს. ზვარბეთთან (გურიაში) განვითარებული ჩაუდური ტერასის ზღვიური ნალექების თერმოლუმინესცენტური ანალიზით არის მიღებული და 600 ± 80 ათას წელს მოიცავს¹⁶. ჩაუდის მომდევნო ძველევქსინურ ეპოქაში წარმოქმნილი ზღვიური ნალექების რადიოლოგიური ასაკი 330 ± 58 ათასი წელი აღმოჩნდა¹⁷. აღნიშნულ თარიღებზე დაყრდნობით შეიძლება ჩაუდური ეპოქის ხანგრძლივობა მიახლოებით 200—250 ათასი

¹⁴ И. И. Шатилова. დასახ. ნაშრომი, გვ. 108—113.

¹⁵ Н. К. Ратнани. დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

¹⁶ В. А. Зубаков, В. В. Кочегура. დასახ. ნაშრომი, გვ. 39—73.

¹⁷ იქვე, გვ. 39—73.

წლით განვსაზღვროთ. მაშინ ძნელი დასაჯერებელი უნდა იყოს, რომ დასაველეთ საქართველოს ჰავას ასეთი ხანგრძლივი დროის მანძილზე გარკვეული ცვლილებები არ განეცადათ. ამას მოწმობს თუნდაც ჩაუდური ზღვიური ნალექების პოლიგენეტური აგებულება. კავკასიის შავიზღვისპირა ზოლში განვითარებული ჩაუდური ზღვიური ტერასის აგებულებაში ფაუნისტურად დათარიღებული ქვიშების და ალევრიტების ფენებთან ერთად ქვარგვალცი მონაწილეობს. სტრატეგრაფიულად ჩაუდის ზღვიური ჰორიზონტი ორ ნაწილად იყოფა. ჩაუდა — 1 (აცივების ფაზა) და ჩაუდა — 2 (დათბობის ფაზა)¹⁸. აზოვის ზღვის რაიონში ჩაუდური ნალექების ჰორიზონტი მტკნარწყლოვან და ზღვიურ ნალექებთან ერთად ლიოსის და განამარხებული ნიადაგების ჰორიზონტებს შეიცავს. ჩაუდური ზღვის ფრესკული ნალექების დიატომური და პალინოლოგიური ანალიზით კი ირკვევა, რომ ამ ნალექების ზოგიერთი ფენა ზომიერად გრილი ჰავის მოყვარული ფლორის განამარხებულ ნაშთებს შეიცავს, ზოგი კი პირიქით — თბილ ჰავას შეგუებულ ზღვიურ ფლორას. როგორც ჩანს, ჰავის პირობები ჩაუდურ ეპოქაში დასაველეთ საქართველოს ტერიტორიაზეც გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა, თუმცა ამ ცვლილებებს არსებითი გამოვლენა ამ მხარის იმდროინდელ ბუნებრივ გარემოზე არ მოუხდენია.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ დროს ჰავა იყო თბილი და უფრო მშრალი. ამას მოწმობს ჭავჭავთის ზეგანზე — ქ. ახალქალაქთან აღმოჩენილი ნამარხი ფაუნის ანალიზი. ძუძუმწოვართა ძვლოვანი მასალის შემცველი ტბიური ნალექები სტრატეგრაფიული და რადიოლოგიური მეთოდების გამოყენებით ჩაუდის თანადროული ბაქოური ეპოქით არის დათარიღებული. აქ მოპოვებული ძვლოვანი მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და მთათაწინეთის ზოლში მაშინ ბინადრობდა ზუსენბორნული ცხენი, სამხრეთის სპილო, თროგონთერიუმის სპილო, მარტორქა, ჰიპოპოტამი, ირემი, ძროხა, ზაზუნა, ხალეზიანი აფთარი, ვეფხვი და სხვა¹⁹. დასახელებულ სახეობათა უმრავლესობა შედარებით მშრალი და ზომიერად ცხელი ჰავის მქონე ქსეროფიტული ლანდშაფტების — სავანების ან სავანის ტიპის ტყე-სტეპების ბინადარი უნდა ყოფილიყო. დაახლოებით ასეთივე ლანდშაფტური ვითარება აღნიშნული დროისათვის დადასტურებულია საქართველოს მომიჯნავე სომხეთისა და ანატოლიის ზეგანებზე²⁰.

კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ქვის ხანის ძეგლების აბსოლუტური ასაკი, როგორც უკვე აღინიშნა; იშვიათი გამოჩაყლისის გარდა, განსაზღვრული არ არის. არც ამ ძეგლების გეოლოგიური ასაკია ზუსტად დადგენილი, რის გამოც მეოთხეული პერიოდის ამა თუ იმ ეტაპისადმი მათი მიკუთვნების

16 П. В. Федоров. Плейстоцен Понто-Каспия, 1978, с. 3—163.

19 ა. ვეკუა. ახალქალაქის ქვედაპლესტოცენური ძუძუმწოვრების ფაუნა. 1962, გვ. 3—207.

20 იქვე, გვ. 170.

საკითხი დაზუსტებას მოითხოვს. ეს გარემოება ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი აღნიშნული ძეგლების სივრცობრივი და კორელაციური დამოკიდებულება მათი გავრცელების რაიონებში განვითარებული რელიეფის ასაკგანსაზღვრულ ფორმებთან. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილ ყველაზე ძველ-აშელურ ძეგლებზე, რომელთა შორის, მხოლოდ იაშთხვას ძეგლის გეოლოგიურ ასაკზე შეიძლება გამოითქვას გარკვეული აზრი.

იაშთხვას აშელური ძეგლი (უფრო ზუსტად, ამ არქეოლოგიური ეპოქისათვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა) აღმოჩენილია ქ. სოხუმის რაიონში განვითარებული ჩაუდური ზღვიური ტერასის ზედაპირზე, რომლის აბსოლუტური ნიშნული 90—110 მ-ია. ეს ტერასა მორფოლოგიურად კარგად არის გამოსახული აფხაზეთისა და გურია-აჭარის სანაპირო რაიონებში და თითქმის ყველგან აღნიშნულ სიმაღლეს ინარჩუნებს. ჩაუდური ზღვიური ტერასის გეოლოგიური ასაკი მინდელის ეპოქით არის დათარიღებული, რაც ამ ტერასის ამგებელი ზღვიური ნალექების რადიოლოგიური ასაკითაც დადასტურდა (600 ± 80 ათასი წელი). ადრეული აშელის ნივთიერი მასალა, ქ. სოხუმის რაიონში, უფრო დაბლა, 60—70 მ-ზე მდებარე ძველევქსინური ზღვიური ტერასის ზედაპირზეც მოიპოვება, მაგრამ აქ ეს მასალა აშკარად ზემოდან — ჩაუდური ტერასიდან არის გადმოადგილებული. ძველევქსინური ტერასის ამგებელი ზღვიური ნალექების რადიოლოგიური ასაკი 330 ± 58 ათასი წელი აღმოჩნდა (ნალექები დათარიღებისათვის აღებული იქნა სოფ. ურეკთან)²¹.

ჩაუდურ ეპოქაში შავი ზღვის დონე თანამედროვესთან შედარებით 10—20 მ-ით მაღლა იდგა²². მაშასადამე, ჩაუდური ტერასის ამგებელი ნალექების დალექვა უნდა მომხდარიყო თანამედროვე ზღვის დონიდან არაუმეტეს 20 მ-ით მაღლა და თუ ამ ნალექებით აგებული ტერასის ზედაპირი ამჟამად ზ. დ. 90—110 მ-ზე მდებარეობს, ეს, უპირველესად ყოვლისა, სანაპირო ხმელეთის ტექნიკურ აზვებებს უნდა მიეწეროს. იაშთხველ ადამიანს ჩაუდური ტერასის ზედაპირის ათვისება შეეძლო მას შემდეგ, როცა ეს უკანასკნელი ზღვის ზვირთცემის არედან გამოვიდა. აღნიშნული ტერასის ამგებელი ნალექების სტრატეგრაფია და აბსოლუტური ასაკი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, გვაფიქრებინებს, რომ მისი ზედაპირი აშელურ ადამიანს უნდა აეთვისებია ჩაუდური ეპოქის მეორე ნახევარში ან რამდენადმე უფრო გვიან მინდელ-რისის თბილი ეპოქის საწყის ეტაპზე. ამასთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ დასავლეთ ევროპაში შესწავლილი ადრეაშელური ძეგლები (სენტ-აშელი და ტერა-ამატე-საფრანკეთში, ტორალბა და ამბრონა — ესპანეთში, ვერტერსიოლოში — უნგრეთში და სხვა) მინდელის ეპოქით და ნაწილობრივ მინდელ-რისის თბილი ხანის პირველი ნახევრით არის დათარი-

21 В. А. Зубаков, В. В. Кочегура. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 39—73.

22 Д. В. Церетели. *Плейстоценовые отложения Грузии*. Тб., 1966, с. 615.

ღებულის ერთ-ერთი ამ ძველთაგანის რადიოლოგიური ასაკი კი 450 ± 43 ათასი წლით არის განსაზღვრული²³.

მინდელის ეპოქის მომდევნო მინდელ-რისის თბილ ხანაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩაუდღური ეპოქისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობები შესამჩნევად არ შეცვლილა. ფაუნისტურად დათარიღებული ძველევქსინური ნალექების პალეობოტანიკური ანალიზი მოწმობს, რომ დასავლეთ საქართველოს იმდროინდელი ფლორა შედგებოდა, როგორც თანამედროვე ისე წინამორბედი ეპოქების (კუილნიკი, გურია, ჩაუდა) ფლორათა ელემენტებისაგან, თუმცა ძველევქსინური ფლორის განვითარებაში მაინც შეიმჩნევა გარკვეული ცვლილებები. ამ უკანასკნელ შემადგენლობაში უკვე აშკარად ჩანს დასავლეთ საქართველოს თანამედროვე ფლორის ელემენტების სიჭარბე მესამეულის რელიექტებთან შედარებით. დასავლეთ საქართველოს ბარი და მთიანი რაიონები ძველევქსინურ ეპოქაში შემოსილი იყო ფართოფოთლოვანი, შერეული და წიწვიანი ტყეებით, რომლებშიც ხარობდა მუხა, ცაცხვი, რცხილა, წაბლი, წიფელი, ძელქვა, კრიპტომერია, ჭაობის კიპარისი, სექვოია, ცუგა. ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, ბევრი იყო გეიმრისნაირი²⁴. ძველევქსინური ფლორის ხასიათის მიხედვით დასავლეთ საქართველოში ჰავის პირობები ჩაუდღური ეპოქის შემდეგ რამდენადმე შესამჩნევად არ შეცვლილა. ძველევქსინურში (მინდელ-რისში) კოლხეთის ბარში და წინამთების ზოლში ჰავა თბილი და ნოტიო იყო. სავაიეროდ, მთის საშუალო და მაღალმთიან სარტყლებში ჰავის პირობები და მცენარეული საფარის განვითარება ძველევქსინური ეპოქის განმავლობაში საკმაოდ ცვალებადი ჩანს. ამას მიგვანიშნებს კუდაროს და წონას მღვიმეების აშელური ინდუსტრიის შემცველი ნალექების პალეობოტანიკური და პალეოზოოლოგიური ანალიზი.

კუდაროს და წონას მღვიმეები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საზღვარზე — მდ. რიონის და ყვირილას აუზების ზემო წელში, ზ. დ. 1500—2100 მ-ზე არიან განლაგებული და მათში დაცული მღვიმური ნალექების შესწავლით მიღებული შედეგები საქართველოს ორივე აღნიშნული ნაწილის (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს) იმდროინდელი ბუნებრივი პირობების აღდგენის მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ.

მღვიმური ნალექების პალინოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ამ რაიონში, შუააშლელი ადამიანის ცხოვრების პირველ ეტაპზე ძირითადად ფართოფოთლოვანი ტყეების (მუხა, თელა, წიფელი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, ლაფანი, წაბლი, რცხილა და სხვა) და მთის სტეპების (მარცვლოვნები, რთულყვავილოვნები, სქეროფიტული ნაირბალახოვნები) ცალკეული უბნები იყო წარმოდგენი-

²³ А. М. Долуханов. География каменного века. 1980. с. 3—115.

²⁴ К. И. Чочиева, Н. С. Мамацашвили. Данные спорово-пыльцевого анализа о древнеэвксинской флоре Гурии (Западная Грузия) — ДАН СССР, 235, 5, 1977, с. 1184—1151.

ლი²⁵. ყურადღებას იპყრობს ქსეროფიტების და განსაკუთრებით ეფედრას მონაწილეობა აღნიშნული რაიონის იმდროინდელ ლანდშაფტში. წიწვიანი ჯიშებიდან უპირატესი განვითარება ჰქონდა ფიჭვის, ნაკლები — სოჭსა და ნაძვის. ძალზედ უმნიშვნელო იყო ცუგას, მურყანის და განსაკუთრებით არყის როლი ამ რაიონის მაშინდელ მცენარეულ საფარში.

პალინოლოგიური ანალიზის შედეგები მოწმობს, რომ რიონი-ყვირილას აუზის ზემო წელში, შუააშელელი ადამიანის ცხოვრების პირველ ეტაპზე ძირითადად მთის მშრალი ტყე-სტეპი იყო განვითარებული, ხოლო ჰავა თანამედროვესთან შედარებით უფრო თბილი და მშრალი ჩანს (ჰაერის საშუალო-წლიური ტემპერატურა 4—5°-ით მაღალი იყო, ვიდრე ამჟამად)²⁶.

მომდევნო ეტაპზე კუდარო-წონას მღვიმეთა რაიონში ჰავის პირობებში და მცენარეული საფარის ხასიათი საკმაოდ მკვეთრად იცვლება. ფართოფოთლოვანი ტყეები ადგილს უთმობენ ძირითადად ფიჭვის, მურყანის და არყის ტყეებს. გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ მეზოფილური ნაირბალახოვნები, შეინიშნება, აგრეთვე, ჭაობის მცენარეულობის (ისლი და სხვა) განვითარება²⁷. ასეთი ცვლილებები მცენარეული საფარის ხასიათში იმას მიგვანიშნებს, რომ აღნიშნულ ეტაპზე მოხდა აცივება, რამაც გამოიწვია ლანდშაფტური სარტყლების დაბლა დაწევა. მღვიმეთა რაიონი იმ დროს განლაგებული უნდა ყოფილიყო სუბალპურ სარტყელთან ახლოს, რომლისათვისაც დამახასიათებელია ცივი და ნოტიო ჰავა (დაახლოებით ისეთი, როგორც ამჟამად შეინიშნება კავკასიონის სამხრეთ კალთაზე ზ. დ. 2000—2200 მ-ზე).

კუდარო-წონას მღვიმეთა რაიონში აშეღილი ადამიანის ცხოვრების ბოლო ეტაპზე შეიმჩნევა ჰავის გარკვეულწილად შერბილება და ლანდშაფტური სარტყლების შესაბამისი გადაადგილება ზემოთ. ამ ეტაპზე გაბატონებული მდგომარეობა უკვე მუქწიწვიან ტყეებს (ნაძვი, სოჭი) უკავია, ფართოფოთლოვნების როლი კი უმნიშვნელოა. აღნიშნული რაიონი ამ ეტაპზე ძირითადად ნაძვნარ-სოჭნარი ტყეების სარტყელში იყო მოქცეული, რომელიც ამჟამად დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთაზე ზ. დ. 1300—2000 მ სიმაღლეზეა განვითარებული. სავარაუდოა, რომ აქ ამ დროს ჰავა იყო ზომიერად ცივი და ნოტიო.

კუდაროს და წონას მღვიმეებში აშელური ინდუსტრიის შემკველი ნალექებიდან მოპოვებული ძვლოვანი მასალის ანალიზის მიხედვით ამ რაიონში მინდულ-რისის ეპოქაში ბინადრობდა კეთილშობილი ირემი, მღვიმის დათვი, მარტორქა, მაკაი, ზაზუნა, ზაზუნელა, გარეული თხა, მდინარის თახვი, კვერ-

²⁵ Г. М. Левковская. Палинологическая характеристика отложений в пещерах Кударо-1 и Кударо-3. — В сб. Кударские пещерные палеолитические стоянки в Юго-Осетии. М., 1980, с. 128—151.

²⁶ იქვე. გვ. 142—148.

²⁷ იქვე. გვ. 144—149.

ნა, როსომახა, მაჩვლარბი და სხვა²⁸. ეს ძუძუმწოვრები სხვადასხვა ეკოლოგიური გარემოს (მშრალი ტყესტეპები, ფართოფოთლოვანი ტყეები ნოტიო ჰავით, მუქწიწვიანი ტყეები გრილი ჰავით) ბინადარი არიან, რაც აღნიშნული ეპოქის განმავლობაში რაიონის ბუნებრივი პირობების შესამჩნევ ცვალებადობაზე მუთითებს. ზოგი მკვლევარი ითვალისწინებს რა ამ მღვიმეების საკმაოდ დიდ სიმაღლეზე მდებარეობას და მათში ზოგიერთი აშკარად სითბოსმოყვარული ცხოველის (მაკაკი, მარტორქა) ძვლოვანი მასალის განამარხების ფაქტს, შესაძლებლად მიიჩნევს, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში იმ დროს ნახევრადუდაბნოების და უდაბნოების არსებობას²⁹. ეს მოსაზრება მართებული უნდა იყოს მინდელ-რისის იმ ქრონოლოგიური მონაკვეთისათვის, რომლის დროსაც კუდაროს და წონას მღვიმეთა რაიონში თბილი ჰავა და მშრალი ტყესტეპები იყო განვითარებული.

კუდარო-წონას მღვიმეთა რაიონის წარსულის ბუნებრივი გარემოს ხასიათის დაზუსტებისათვის საჭიროა მიახლოებით მაინც ვიცოდეთ თუ რა სიმაღლეზე მდებარეობდნენ კუდაროსა და წონას მღვიმეები მინდელ-რისის ხანაში. მეთოთხეულში კავკასიონის ქედის აზვეების მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ამ მღვიმეების განლაგების რაიონს მინდელ-რისის შემდგომ დროში დაახლოებით 500 მ-ით აწევა უნდა განეცადა. მაშასადამე, კუდაროსა და წონას მღვიმეები შუაშელის ხანაში 1000—1600 მ-ზე უნდა ყოფილიყვნენ განლაგებული (ნაცვლად ახლანდელი 1500—2100 მ-ისა). კუდარო-წონას მღვიმეთა რაიონი ამჟამად ფართოფოთლოვანი ტყეებით არის შემოსილი, შუაშელის ხანაში კი აქ ჰერ მშრალი ტყესტეპები იყო განვითარებული, შემდეგ სუბალპური ლანდშაფტები, ბოლოს კი მუქწიწვიანი ტყეები.

კუდარო-წონას აშელური კულტურის დათარიღების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა უმრავლესობა ამ კულტურას მინდელ-რისის გამყინვარებათაშორისეული ეპოქით ათარიღებს, მაგრამ ბოლო ხანებში ეს მოსაზრება სადავო გახადა ვ. ლიუბინმა³⁰. ვ. ლიუბინის ვარაუდით, კუდარო-წონას შუა-აშელური კულტურის განვითარებას რის-ვიურმის გამყინვარებათაშორისულ ეპოქაში უნდა ჰქონოდა ადგილი. ამ ეპოქის ასაკი დაახლოებით 130—70 ათასი წლის წინანდელი დროის ინტერვალით არის განსაზღვრული. გამოდის, რომ ვ. ლიუბინი კუდარო-წონას შუა-აშელურ კულტურას წინამორბედ მკვლევარებისაგან განსხვავებით დაახლოებით 180—200 ათასი წლით აახლაგაზრდავებს.

²⁸ Н. К. Верещагин, Г. Ф. Барышников. Остатки мяскопитающих в восточной галерее пещеры Кударо-1. В сб. Кударские пещерные палеолитические стоянки в Юго-Осетии. М., 1980, с. 51—62.

²⁹ Л. И. Маруашвили. К вопросу о большой межледниковой эпохе плейстоцена. — Ботанический журнал, 1959, т. XLIV, № 12.

³⁰ В. П. Любим. Некоторые итоги изучения литолого-стратиграфических и био-стратиграфических показателей кударских пещер. — В сб. Кударские пещерные палеолитические стоянки в Юго-Осетии. М., 1980, с. 153—166.

აქ ინტერესმოკლებული არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ დასავლეთ ევროპაში, სადაც შესწავლილია აშელის ეპოქის კლასიკური ძეგლები, შუააშელური კულტურა მინდელ-რისით და ნაწილობრივ მისი მომდევნო რისული ეპოქით არის დათარიღებული. რისულ მყინვარულ ეპოქაში მოხდა შუააშელური კულტურის თანდათანობით შეცვლა გვიანაშელური კულტურით, რომლის განვითარება მომდევნო რის-ვიურმის თბილ ეპოქაშიც გაგრძელდა. ამასთან დაკავშირებით, საქირაა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ კულდარო-წონას რაიონში აშელელი ადამიანის ცხოვრების დროს არსებულ მცენარეულ საფარში ჯერ კიდევ ხარობდა მესამეულის რელიქტები (ცუგა, ტაქსოდუმი), რომლებიც არათუ დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, არამედ მის ბარშიც ზედა-მეოთხეულის დასაწყისისათვის უკვე გადაშენდნენ (შესაძლოა რისული გამყინვარების გავლენით). რის-ვიურმის გამყინვარებათაშორისული ეპოქა კი (რომელშიც ვ. ლიუბინი საქართველოს შუააშელურ კულტურას ათავსებს), ზედა-მეოთხეულის ხანას ეკუთვნის. ზემოთ აღნიშნული გარემოება საბაბს გვაძლევს ვარაუდი გამოვთქვათ, რომ საქართველოს შუააშელური კულტურის განვითარებას ძირითადად ადგილი ჰქონდა მინდელ-რისის ეპოქაში ან შესაძლოა შუარისის თბილ დროში (ოდინცოვური, იგივე როსლავური დრო აღმოსავლეთ ევროპის ვაკეზე, ებიგტონი — ჩრდილოეთ ამერიკაში და სხვა).

მინდელ-რისის თბილი ეპოქის დასასრულს დაიწყო გლობალური აცივება, რამაც რისული გამყინვარების (ზაალის — ევროპაში, ილიონისის ჩრდილოეთ ამერიკაში და სხვ.) განვითარება განაპირობა. ამ მყინვარული ეპოქის პალეოგეოგრაფია მის წინარე მინდელის და მინდელ-რისის ეპოქებთან შედარებით უკეთ არის შესწავლილი. რისული გამყინვარების მაქსიმალური განვითარების პომენტში გრენლანდიის და კანადის არქტიკული არქიპელაგის გამყინვარების კერებიდან მყინვარი ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ჩ. გ. 38°-მდე აღწევდა, აღმოსავლეთ ევროპის ვაკეზე კი სკანდინავიის მთებში განვითარებული მყინვარი, დნებრის ხეობაში ჩ. გ. 48—50°-მდე ეშვებოდა. რისული გამყინვარება ერთ-ერთი უმძლავრესი იყო დედამიწის ხანგრძლივი გეოლოგიური ისტორიის მანძილზე. ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიებზე განვითარებული რისული ასაკის ნალექების შესწავლით დადგენილია, რომ ჰავა ამ ეპოქაში საგრძნობ ცვლილებებს განიცდიდა, რაც ცივი და შედარებით თბილი ფაზების მორიგეობაში გამოიხატებოდა. მაგალითად, ილიონისის ძველმყინვარული სართულის შიგნით გამოყოფილია მკვეთრი აცივების სამი ფაზა (მენდონი, ჯეკსონილი და ბუფალო-ხარტი) შუალედური სუსტი დათბობით. აღმოსავლეთ ევროპის ვაკეზე კი რისული ეპოქა დნებრული და მოსკოვური მყინვარული სტადიებით და მათი გამყოფი ოდინცოვური (როსლავური) სუსტი დათბობის ინტერსტადიალით არის წარმოდგენილი³¹.

³¹ А. А. Величко. დასახ. ნაშრომი, გვ. 67—70.

კავკასიაში რისული გამყინვარების კვალი თითქმის მთლიანად არის წაშლილი მომდევნო დროში განვითარებული დენუდაციური პროცესების გავლენით (ამ გამყინვარების უტყუარი ნიშნები დაცულია ხევსურეთში — მდ. რომისწყლის ხეობაში). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რისული გამყინვარების პალეოგეოგრაფიულ ვითარებას გლობალური მასშტაბით (მხედველობაში გვაქვს ძლიერი აცივების ტენდენცია) და იმ ფაქტს, რომ კავკასიონი ამ დროს უკვე წარმოადგენდა მაღალმთიან სისტემას, მაშინ ექვის ქვეშ ვერ დაუყენებთ კავკასიაში რისული გამყინვარების გამოვლინების შესაძლებლობას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ალბათ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ დასავლეთ საქართველოს ფლორის მესამეული ელემენტების უმრავლესობა რისულ გამყინვარებას ვერ გადაურჩა, რაც ამ აპოქაში მომხდარი საკმაოდ ძლიერი აცივების შედეგად უნდა მომხდარიყო.

ჰავის ცივი და თბილი ფაზების მორიგეობა, რასაც რისი ეპოქაში ევრაზიის და ჩრდილოეთ ამერიკის ზომიერ და პოლარულ სარტყლებში ჰქონდა ადგილი, შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზებშიც გამოვლინდა. რისში ხმელთაშუა ზღვამ ორი რეგრესია განიცადა — ქვედა რისში და ზედა რისში, რომლებიც ერთიმეორისაგან შუა რისის ხანაში განვითარებული ტრანსგრესიით იყვნენ გამოყოფილი. ანალოგიური ვითარება ამ დროს შავი ზღვის აუზში აღინიშნა. პირველი რეგრესია აქ ძველექსინური ეპოქის დასაწყისში განვითარდა, მეორე — მის დასასრულს. მათ შორის ადგილი ჰქონდა პალეოუზუნლარულ ტრანსგრესიას³². ტრანსგრესიული და რეგრესიული ფაზების განვითარება ორივე ზღვის აუზში სინქრონულად მიმდინარეობდა. ზღვის დონის დაწვევა აცივებით, ხოლო ამაღლება დათბობით იყო გამოწვეული. ექვგარეშეა, რომ ჰავის ასეთ ცვლილებებს გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა საქართველოს ბუნებრივი გარემოს განვითარებაზე. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ რისის მომდევნო რის-ვიურმის ეპოქაში დასავლეთ საქართველოს ფლორის შემადგენლობაში უკვე აღარ მონაწილეობს მესამეული პერიოდის რელიქტების უდიდესი ნაწილი, რაც როგორც აღვნიშნეთ რისის ეპოქაში საგრძნობი აცივების შედეგად უნდა მომხდარიყო. კავკასიონზე საშუალო და მაღალი მთის ლანდშაფტური სარტყლები ამ დროს თანამედროვესთან შედარებით საშუალოდ 800—1000 მ-ით დაბლა იყო დაწეული.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიებზე ჩატარებული არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგად გამოთქმულია მოსაზრება, რომ რისის ეპოქაში, რომელიც დაახლოებით 300—120 ათასი წლის წინანდელი დროით თარიღდება, ადგილი ჰქონდა გვიანაშელის და ნაწილობრივ ადრეული მუსტიეს კულტურების განვითარებას³³. სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილი გვიანაშელის და ადრეული მუსტიეს ძეგლები სათანადოდ არ

³² П. В. Федоров. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 159.

³³ Стратиграфия и периодизация палеолита Восточной и Центральной Европы. — Сборник трудов, Москва, 1965, с. 7—230.

არის სტრატეფიცირებული და მით უმეტეს არც მათი აბსოლუტური ასაკებია ცნობილი.

რისი გამყინვარების მომდევნო რის-ვიურმის დროს უკვე ტიპური გამყინვარებათაშორისეული თბილი ეპოქაა (მიკულინის ეპოქა აღმოსავლეთ ევროპის ვაკეზე, საგამონისა — ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე და სხვ.) ქრონოსტრატეგრაფიული თვალსაზრისით რის-ვიურმი შედარებით უკეთ არის შესწავლილი. რადიომეტრიული მონაცემების მიხედვით, ამ ეპოქის ასაკი დაახლოებით 120—70 ათასი წლის წინანდელი დროით განისაზღვრება³⁴. დადგენილია, რომ ჰავა რის-ვიურმში თანამედროვესთან შედარებით რამდენადმე უფრო თბილი და ნოტიო იყო. რის-ვიურმში თბილი ჰავის არსებობის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია შავი ზღვის აუზში კარანგატული ტრანსგრესიის განვითარების ფაქტი³⁵. დადგენილია, რომ შავი ზღვის კარანგატული აუზის დონე 10—15 მ-ით მაღლა იდგა თანამედროვესთან შედარებით. თბილი ჰავის გავლენით ლანდშაფტის ვერტიკალური სარტყლები კავკასიონზე და აპარა-თრიალეთის ქედზე 400—600 მ-ით მაღლა იყო აწეული, ვიდრე ამჟამად.

რის ვიურმის ეპოქის ადრეულ ეტაპზე მოხდა გვიანაშელური კულტურის შეცვლა მუსტიეს კულტურით³⁶.

რის-ვიურმის გამყინვარებათაშორისი ეპოქა დასრულდა დაახლოებით 70 ათასი წლის წინ. შემდეგ დაიწყო ძლიერი აცივება, რამაც განაპირობა ვიურმული (ვალდაური — აღმ. ევროპის ვაკეზე, ვისკონსინური — ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე) გამყინვარების განვითარება. ვიურმის ქრონოლოგია და კლიმატოსტრატეგრაფია უფრო ზუსტად არის შესწავლილი მეოთხეულის სხვა გამყინვარებებთან შედარებით. ეს ეპოქა სამ ნაწილად იყოფა. აქედან ორი აშკარად გამოხატული მყინვარული ფაზაა — ვიურმი — 1, ანუ ადრეული ვიურმი (70—52 ათასი წლის წინანდელი დრო) და ვიურმი — 3, ანუ გვიანი ვიურმი (25—15 ათასი წლის წინანდელი დრო). ეს მყინვარული ფაზები ერთმეორისაგან გამოყოფილი იყო შუავიურმის სუსტი დათბობის ინტერვალით (ვიურმი — 2). ვიურმის გამყინვარების ორივე ფაზაში ევრაზიის და ჩრდილოეთ ამერიკის ზომიერი და პოლარული სარტყლების ვაკე-ტერიტორიების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მძლავრი ყინულოვანი ჩავშნის ქვეშ იყო დამარხული. აღმოსავლეთ ევროპის ვაკეზე სკანდინავიის გამყინვარების კერიდან მყინვარი ვალდაის მაღლობამდე ეშვებოდა, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში გრენლანდიიდან და კანადის არქტიკული არქიპელაგიდან დაშვებული მყინვარები დიდი ტბების რაიონამდე ჩამოდიოდნენ.

პალეოგრაფიული გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ ჰავის აცივებამ, რომლის ტენდენციაც მესამეული პერიოდის მომდევნო ხანაში შეინიშნებოდა,

34 В. А. Зубаков. В. В. Кочегура. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 39—71.

35 П. В. Федоров. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 99—110.

36 Стратиграфия и перIODИЗАЦИЯ..., с. 7—55.

თავის აპოგეას ვიურმული ეპოქის მყინვარულ ფაზებში მიაღწია. ევრაზიის და ჩრდილოეთ ამერიკის ზომიერ და პოლარულ სარტყლებში მდებარე მთიან რაიონებში ვიურმული გამყინვარების მაქსიმალური განვითარების დროს (16—18 ათასი წლის წინ) მარადი თოვლის საზღვარმა 1000—1200 მ-ით, ხოლო სუბტროპიკულ სარტყელში 700—900 მ-ით დაბლა დაიწია თანამედროვესთან შედარებით. ტროპიკებგარეშე ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე საშუალო წლიური ტემპერატურა ამ დროს 5—6°-ით, ხოლო კონტინენტურ მყინვარებთან მიმდებარე პერიგლაციალურ ზონაში (ევრაზიის და ჩრდილოეთ ამერიკის თანამედროვე ტყის და ტყე-სტეპების ზონში) — 12°-ით ნაკლები იყო ვიდრე ამჟამად³⁷. ძლიერმა აცივებამ ვიურმში მსოფლიო ოკეანის დონის რეგრესიამ გამოიწვია. ოკეანის და მასთან ერთად შავი ზღვის დონე ვიურმში (ახალევექსინური ხანა შავი ზღვის აუზში) თანამედროვესთან შედარებით დაახლოებით 100 მ-ით დაბლა იყო დაწეული.

კავკასიაში ამ დროს ჰავა იყო ცივი და თანამედროვესთან შედარებით რამდენადმე მშრალი. კავკასიონის და აპარა-თრიალეთის ქედებზე ვიურმული მყინვარებისგან შექმნილი რელიეფისა და მორენული ნალექების ანალიზი მოწმობს, რომ მარადი თოვლის საზღვარი ამ მთიან სისტემებზე თანამედროვესთან შედარებით 800—1000 მ-ით დაბლა იყო დაწეული. შესაბამისად, მთის შუა და ზედა სარტყლები დაბლა იყო დაწეული. კერძოდ, ალპური ზონის ქვედა საზღვარი; რომელიც ამჟამად კავკასიონის სამხრეთ კალთაზე საშუალოდ 2000—2400 მ-დე მდებარეობს, ვიურმის მყინვარულ ფაზებში 1200—1500 მ სიმაღლეზე გადიოდა.

ვიურმული ეპოქის მყინვარულ ფაზებთან (ვიურმი —1, ვიურმი —3) შედარებით რამდენადმე თბილი ჰავით ხასიათდებოდა შუავიურმული ინტერსტადიალი (ვიურმი —2). სუსტი დათბობის გავლენით ამ დროს მსოფლიო ოკეანეში ტრანსგრესიამ განვითარდა, რაც შავი ზღვის აუზშიც გამოვლინდა³⁸. შუა და გვიანი ვიურმის ჰავისა და განსაკუთრებით მცენარეული საფარის ხასიათზე საკმაოდ ზუსტ ცნობებს იძლევა ქ. სონუმის რაიონში მიკვლეული განამარხებული ტორფის პორიზონტის პალინოლოგიური და რადიოლოგიური ანალიზი³⁹. ჩრკვევა, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შუა ვიურმში, თანამედროვესთან შედარებით ცივი ჰავის არსებობის საერთო ფონზე ადგილი ჰქონდა სუსტი დათბობის სამ პერიოდს: 47320 ± 1050 — 42760 ± 660 ; 41200 ± 710 — 33280 ± 240 და 31650 ± 240 — 28500 ± 940 წლის წინან-

³⁷ Непреднамеренные воздействия на климат. «Гидрометиздат», Ленинград, 1974, с. 39—40.

³⁸ Ч. П. Джанелидзе. Палеогеография Грузии в голоцене. Тбилиси, 1980, с. 22—26.

³⁹ X. A. Арсланов, Н. А. Гей. К палеогеографии и геохронологии стратотипического разреза среднего и позднего вюрма Абхазии. Вестник ЛГУ, геология, география. 1987, № 4, с. 107—108.

დელი დროის ინტერვალებში. საკმაოდ მკვეთრი აცივება დაფიქსირებულია 42760 ± 660 — 41200 ± 710 და 38280 ± 240 — 31650 ± 240 წლის წინანდელ პერიოდებში.

განამარხებული ტორფნარის მდებარეობის რაიონში (ზ. დ. 120 მ) შუა ვიურმის სუსტი დათბობის ფაზებში განვითარებული იყო მურყანის, წიფლის, რცხილის და თელის ტყეები, რომლებსაც ზემოთ სცვლიდნენ სოჭისა და წიფლის ტყეები. ამ ფაზებში ჰავა იყო ნოტიო და თანამედროვესთან შედარებით ბევრად გრილი. შუა ვიურმის აცივების ფაზებში აღნიშნულ რაიონში გაბატონებული იყო მექწიწიანი (ნაძვი, სოჭი) ტყეები. ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე პირობებში ამ რაიონში კოლხური ტიპის ტყეების ფრაგმენტებია შემორჩენილი.

28500 ± 940 — 13880 ± 100 წლის წინანდელი დრო ხასიათდებოდა მკაცრი ჰავით, რომელიც თანამედროვესთან შედარებით გაცილებით ცივი და რამდენადმე მშრალი იყო ზღვისპირა ტერიტორიებზე და წინამთების ზოლში გაბატონებული იყო ფიჭვის ტყეები და ბალახეული დაჭგუფებები.

დაახლოებით 13000 წლის წინ იწყება დათბობა, მთავრდება მეოთხეული პერიოდის ბოლო გამყინვარება და დგება გამყინვარების მომდევნო თბილი ეპოქის — ჰოლოცენის გარიჟრაჟი.

ვიურმის ეპოქაში მომხდარმა ძლიერმა აცივებამ დიდი გავლენა მოახდინა ქვის ხანის ადამიანის განსახლებაზე. მკაცრი ჰავის გამო ადამიანი სტოვებს საშუალო და მაღალმთიან მხარეებს და მათ მხოლოდ ზაფხულის თბილ სეზონში იყენებს ძირითადად სანადიროდ. მუსტიეს და ზედა პალეოლითის ძეგლების განლაგების ხასიათის მიხედვით ვიურმის ეპოქაში ადამიანს მუდმივ საცხოვრებლად გამოყენებული ჰქონდა მხოლოდ საქართველოს ბარი, მთათა-წინეთის და წინამთების ზოლი. კუდარო-წონას მღვიმეთა რაიონში განვითარებული მუსტიერული ფენების აბსოლუტური ასაკი $44150 \pm \frac{2400}{1850}$ წელს შეადგენს⁴⁰. როგორც ჩანს, მუსტიერული ადამიანი საშუალო და მაღალმთიან რაიონებს პერიოდულად იყენებდა შუავიურმის ინტერსტადიალურ ხანაში, როცა ჰავა ვიურმის მყინვარულ ფაზებთან შედარებით უფრო თბილი იყო და მთის მყინვარებსაც შესაბამისად ნაკლები ფართობები ჰქონდათ.

შუავიურმულ ინტერსტადიალში მოხდა მუსტიერული კულტურის შეცვლა ზედაპალეოლითით. მუსტიეს ყველაზე გვიანდელი ძეგლები ევროპაში საშუალოდ 35000 წლის წინანდელი დროით არის დათარიღებული. ამასთან ერთად დამტკიცებულია, რომ ამ დროს აქ უკვე არსებობდა ზედაპალეოლითური კულტურა, რომლის ყველაზე ადრეული ძეგლების ასაკი 38 ათასი წლის წინანდელი დროით არის განსაზღვრული⁴¹.

⁴⁰ В. П. Любчин. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 165.

⁴¹ Стратиграфия и периодизация..., с. 7—227.

საქართველოს ტერიტორიაზე დღეისათვის 200 მეტი მუსტიეს და 130-ზე მეტი ზედაპალეოლითის ძეგლია ცნობილი⁴². ამ ძეგლების უდიდესი ნაწილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა განლაგებული. მუსტიეს და ზედაპალეოლითის ზოგიერთ ძეგლზე მოპოვებულია განამარხებული ძვლოვანი მასალა, რომლის ანალიზის შედეგები საქართველოში ვიურმული ეპოქის ჰავის პირობების შესახებ ზემოთ გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მუსტიერული ძეგლების უმრავლესობა სათანადოდ არ არის სტრატოგრაფირებული⁴³ და აბსოლუტური ასაკის განსაზღვრის მეთოდების გამოყენებით დამუშავებული. ამის გამო ჩვენ არ ვიცით არის თუ არა რომელიმე ამ ძეგლთაგანი რის-ვიურმის თბილი ეპოქის თანადროული. ვ. ლიუბინის კატეგორიული მტკიცებით, კავკასიის მუსტიერული ძეგლები ვიურმული ეპოქის პირველი ნახევრით თარიღდება⁴⁴. სხვათა შორის ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ამაგრებს ოთხი რადიოლოგიური თარიღი:

$44150 \pm \frac{2400}{1350}$ წელი (კუდარო — 1, მუსტიერული ნალექების სულ ზედა ფენა),

65000 ± 5000 წელი, კუდარო — 4, მუსტიერული ნალექები), 35000 ± 2000 წელი (ახშტირის მღვიმის მუსტიერული ფენები), 35680 ± 430 წელი (ვორონ-ცოვის მღვიმის მუსტიერული ფენები)⁴⁵.

დასავლეთ საქართველოს მუსტიერული ძეგლებიდან მოპოვებული ძვლოვანი მასალის ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა. საკაქასის მუსტიერული ფენები — დომბა, კეთილშობილი ირემი, ლოსი, შველი, მღვიმის დათვი, კავკასიური ჯიხვი, მარტორქა, გარეული ღორი⁴⁶; ორთვალა მღვიმე — მღვიმის დათვი, კეთილშობილი ირემი, ბიზონი, კავკასიური ჯიხვი⁴⁷; ცუცხვათის მღვიმის მუსტიერული ფენები — მგელი, მაჩვი, მღვიმური დათვი, ფოცხვერი, კეთილშობილი ირემი, გარეული ღორი, კავკასიური ჯიხვი, არჩვი, დომბა, გარეული ცხენი, ლეობარდი, ლოსი⁴⁸, შველიეთის მღვიმის მუსტიერული ფენები — კურდღელი, მდინარის თახვი, მგელი, მელა, მღვიმური დათვი, ტყის კვერნა, მაჩვი, ტყის კატა, გარეული ღორი, შველი, კეთილშობილი ირემი, გვიანტური

42 Д. М. Тушабрамишвили. Палеолит в Грузии. В сб. Пещеры Грузии. Тбилиси, 1981, с. 51—56.

43 იქვე, გვ. 54—55.

44 В. П. Льюбин. Мустьерские культуры Кавказа. Ленинград, 1977, с. 11.

45 იქვე, გვ. 12.

46 М. Г. Нпорадзе. Археологические работы в пещере Сакажия. Сообщ. АН Груз. ССР, 84, № 1, 1976, с. 221—224.

47 მ. ნიორაძე, ორთვალა მღვიმე. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 84, № 2, 1976.

48 А. К. Векуа. Н. С. Мамацашвили, Д. М. Тушабрамишвили. Палеолитическая фауна Цуцхватской пещерной системы. Сообщ. АН Груз. ССР, 70, № 3, 1973, с. 741—744.

ირემი, ჯიხვი, დომბა; წონას მღვიმის მუსტიერული ფენები⁴⁹, მღვიმის დათვი, მურა დათვი, მღვიმის ლომი, მგელი, მაჩვი, კურდღელი, დომბა, კეთილშობილი ირემი, გარეული ღორი, შველი (განსაზღვრა ეკუთვნის ა. ვეკუას)⁵⁰. თუ აქ მოტანილ სიაში წარმოდგენილ ცხოველთა საარსებო ეკოლოგიურ პირობებს გავითვალისწინებთ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ დასავლეთ საქართველოს ბარში და წინამთების ზოლში (სადაც მუსტიეს ეპოქის ძეგლთა უმრავლესობაა თავმოყრილი) მუსტიერული ადამიანის ცხოვრების დროს გაბატონებული მდგომარეობა ტყის ლანდშაფტს ჰქონდა.

ზედაპალეოლითის დასავლეთ საქართველოს ფაუნაში, მუსტიეს ეპოქასთან შედარებით, შეიმჩნევა ღია ან ნახევრადღია ლანდშაფტის ბინადართა წილის გარკვეული ზრდა. მაგალითად, ხერგულის კლდის მღვიმის ზედაპალეოლითის ფაუნაში დომბასთან, მღვიმის დათვთან და ტყის სხვა ცხოველებთან ერთად ბინადრობენ გარეული ცხენი, გარეული თხა; დევის ხერგელის ზედაპალეოლითის ფაუნაში ტყის ცხოველებთან ერთად ვხვდებით გარეულ თხას, ჩრდილოეთ ირემს; საკაჟიას მღვიმის — გარეულ ცხენს, ქურციქს; მღვიმევის ზედაპალეოლითურ ფენებში — გარეულ ცხენს, გარეულ თხას, გარეულ ცხვარს⁵¹; გვარჯილას კლდის მღვიმეში — გარეულ ცხვარს, ქურციქს და ა. შ.⁵² საინტერესო შედეგები იქნა მიღებული აფიანჩას მღვიმის ზედაპალეოლითური ფენების შესწავლის შედეგად. ამ ფენების რადიონახშირბადული ასაკი 17300 ± 500 წელი აღმოჩნდა, რაც მაქსიმალური აცივების მომენტს ემთხვევა. ამ დროს მდ. კოდორის აუზის ქვემო წელში ზ. დ. 460 მ-ის სიმაღლეზე (მღვიმის მდებარეობის რაიონი) განვითარებული იყო შერეული ტყეები, რომლებშიც ბინადრობდნენ გარეული ღორი, კეთილშობილი ირემი, ჯიხვი, მღვიმის დათვი და სხვა⁵³.

ზედაპალეოლითური ძეგლებიდან მოპოვებული ძვლოვანი მასალა მოწმობს, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოს ფაუნაში მატულობს ღია და ნახევრადღია ლანდშაფტის ისეთ ბინადართა რიცხვი, როგორცაა გარეული ცხენი, ქურციკი, გარეული ცხვარი და გარეული თხა. ეს ფაქტი ვიურმული გამყინვარების ბოლო ეტაპზე (ვიურმი — 3) ტყის ლანდშაფტთან ერთად მდელოს და სტეპის განვითარებაზე უნდა მიუთითებდეს, რაც მკაცრი ჰავის პირობებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

49 ა. ვეკუა, ე. გაბელაია. შავლეთის მღვიმის მუსტიერული ძეგლმწოდებელი. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები. სპელოლოგ. კრებული, 10. თბ., 1985, გვ. 65—74.

50 В. П. Ляхович. დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

51 მ. ნიორაძე, სამერცხლე კლდის მღვიმე. თბ., 1975, გვ. 192.

52 დ. თუშაბრამიშვილი. ჯრუჭულის ხეობის გამოქვაბულები. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები. სპელოლოგ. კომისიის კრებული. ტ. 1. თბ., 1963, გვ. 167—182.

53 Л. Д. Церетели, Н. В. Клопотовская, Е. И. Куренкова. Многослойный памятник Апианча (Абхазия). В сб. Четвертичная система Грузии, Тбилиси, 1982, с. 198—211.

ქველი ქვის ხანიდან ახალი ქვის ხანისაკენ გადასვლა მოხდა ზედაპალე-ისტოცენიდან ჰოლოცენისაკენ გარდამავალ ეტაპზე (დაახლოებით 10—12 ათასი წლის წინ). ამ დროს მკვეთრად შეიცვალა ჰავის პირობები, რაც საგრძნობ დათბობაში გამოიხატა. მეზოლითში ადამიანი კვლავ უბრუნდება მაღალმთიან რაიონებს, რომელიც მან ვიურმული გამყინვარების ეპოქაში მიატოვა (კუდაროს და წონას მღვიმეების მეზოლითური ფენები). აქედან მოყოლებული, ადამიანი საქართველოს ყველა ლანდშაფტურ სარტყელს ითვისებს საცხოვრებლად (სუბნივალურის და ნივალურის გამოკლებით) ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ გამყინვარების მომდევნო ხანაში (ჰოლოცენში) საქართველოს ბუნებრივ გარემოს და პირველ რიგში ჰავას არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

მეცნიერებათა

ქვედა პალეოლითი

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ქვედაპალეოლითური ძეგლები აშელისა და მუსტიეს ხანას მიეკუთვნება. მათზე აღრეული ე. წ. ოლდუვაის ან წინააშელური ეპოქის ძეგლები ჭერჭერობით არ არის აღმოჩენილი.

აშელის ხანა ქვედა პალეოლითის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია. იგი დაახლოებით ამ 1,5 მილიონი წლის წინათ დაიწყო ეოპლეისტოცენის ეპოქაში და დასრულდა დაახლოებით ამ 100 ათასი წლის წინათ პლეისტოცენის რის-ვიურმის გამყინვარებათაშორის ეპოქაში. აშელის ხანა აღრეულ, შუა და გვიან საფეხურებზე იყოფა. აღრეული აშელი მოიცავდა ეოპლეისტოცენის ნაწილს გიუნცის გამყინვარებით და ქვედა პლეისტოცენის გიუნც-მინდელის გამყინვარებათაშორის და მინდელის გამყინვარების ხანას, შუა აშელი ძირითადად მინდელ-რისსა და რისს, ხოლო გვიანი აშელი რის-ვიურმის პირველ ნახევარს. მუსტიეს ხანა მოიცავდა რის-ვიურმის გამყინვარებათაშორისი ეპოქის შუა ხანებსა და დასასრულს და ვიურმის გამყინვარების პირველ ნახევარს. იგი დაახლოებით 100 ათასი წლის წინათ დაიწყო და დასრულდა ამ 40—35 ათასი წლის წინათ. აღრეულ, შუა და გვიან აშელში ცხოვრობდნენ ე. წ. სწორად მოსიარულე ადამიანის (ჰომო ერექტუს) სახესხვაობები პითეკანთროპები, სინანთროპები, ჰაიდელბერგერები და სხვა მათი მსგავსი არქანთროპები, ხოლო აშელის დასასრულსა და მუსტიეში ნეანდერტალელები¹.

ქვედა პალეოლითის ხანის ადამიანის მატერიალური კულტურის ნაშთები დღემდე მოღწეულია ძირითადად ქვის იარაღის სახით, რომლებიც გაკეთებუ-

¹ История первобытного общества. Общие вопросы. Проблемы антропосоциогенеза, М., 1983, с. 326—345. Возникновение человеческого общества. Палеолит Африки, серия Палеолит мира, М., 1977, с. 11—106; П. И. Борисковский, Древнейшее прошлое человечества, М., 1980, с. 16—105; И. К. Иванова, Геологический возраст ископаемого человека, М., 1965, с. 5—132; В. П. Алексеев, Палеонтология земного шара и формирование человеческих рас, Палеолит, М., 1978, с. 64; Палеолит Ближнего и Среднего Востока, серия Палеолит мира, Л., 1978, с. 204—206; Ян Еллик, Большой иллюстрированный атлас первобытного человека, Прага, 1985, с. 92—93; А. Л. Монгайт, Археология Западной Европы, Каменный век, М., 1973, с. 107—126.

ლია ისეთი მაგარი ქანებისაგან, როგორცაა კაეი, კირქვა, მერგელი, ობსი-
დიანი, ანდეზიტი, ბაზალტი, იასპი, არგილიტი, პორფირიტი, კვარცი და სხვ.

ადრეული აშელის ქვის იარაღ-ხელსაწყოები ჯერ კიდევ მეტად პრიმი-
ტიულია, მაგრამ მათ განვითარებაში აშკარად შეიმჩნევა წინსვლაც წინააშე-
ლური ეპოქის იარაღებთან შედარებით. ქვის გაობა-ატეკის ანუ პირველადი
დამუშავების ტექნიკამ, კერძოდ, მისგან მჭრელი ანატეკის (ფირფიტის) მი-
ღება, რომელიც ადამიანმა ოლდუვის ეპოქაში აითვისა, აშელში უკვე საკ-
მაო განვითარებას მიაღწია. ახლა იარაღი მზადდებოდა არა მხოლოდ მთლიანი
კაქრებისა და ქვის დიდრონი ნატეხებისაგან, არამედ ხელოვნურად მიღებული
ანატეკებისაგანაც. უკვე გამოიყენებოდა ქვის მეორადი დამუშავების ტექნი-
კა ე. წ. ორმხრივი გათლა-გაჩორკნისა და ძალიან პრიმიტიული, უხეში ცალ-
მხრივი რეტუშის სახით.

ადრეული აშელის ქვის ნაკეთობათა ძირითად მასას შეადგენენ შემთხვე-
ვითი მოყვანილობის, დიდი ზომისა და მსხვილი ე. წ. კლექტონური ანატეკ-
ეები². მათ აქვთ გრძივი ღერძის მიმართ ირიბად ან პერპენდიკულარულად
განლაგებული ფართო და გლუვი დარტყმის მოედანი, რომელიც დაქანებულია
ქვედა სიბრტყისაკენ და 110° — 140° -იან ბლაგვკუთხეს ქმნის მასთან და მეტად
რელიეფური ბურცული მოზრდილი ნიჟარისებური ზადით. ბურცული ქვედა
სიბრტყეს თითქმის მთლიანად მოიცავს. მოედანს კარგად ეტყობა ნახევარ-
წრიული მოყვანილობის დარტყმის წერტილი (ზოგჯერ ორი-სამი), ხოლო
ბურცულს მისგან მომდინარე სხივისებური ბზარები. ამგვარი ანატეკეები მი-
იღებოდა კაქრებზე და მასიურ ნატეხებზე დამზადებული არაწესიერი ან მეტ-
ნაკლებად კუბისებური მოყვანილობის ტლანქი ნუკლეუსებიდან ჩამოტეხვით.
ანატეკეებისაგან მათი ერთ-ერთი ნაპირის პრიმიტიული რეტუშით შესწორე-
ბის გზით მზადდებოდა უხეში სახოკ-საფხეკი, მჭრელი, წვეტანისებური და
სხვა იარაღები. ამასთან ანატეკეები იარაღებად გამოიყენებოდა ყოველგვარი
მეორადი დამუშავების გარეშეც. კვლავ ფართოდაა გავრცელებული განიერი
და მსხვილი ფირფიტების ცალმხრივი ან ორმხრივი ატეკით წამახვილებულ
სამუშაოპირიანი უხეში საჩეხი იარაღები ე. წ. ჩოპერები და ჩოპინგები. მაგრამ
ახლა ისინი კაქრებსა და დიდრონ ნატეხებს გარდა, ნაკეთებია მასიურ კლექ-
ტონურ ანატეკეებზეც. ამ დროს ჩნდება აშელის ხანისათვის ტიპური იარა-
ღი — ხელცული. ადრეულ ეტაპზე იგი უპირატესად გაკეთებულია მთლიანი
კაქრისაგან, ხოლო უფრო იშვიათად შუაზე გაპობილი კაქრისა ან ქვის მა-
სიური ნატეხისაგან. ხელცულები უმეტესად მოგძოა და მოყვანილობით ნუ-
ქისებურს უახლოვდება. მათი ზომები 10—20 სმ შორის მერყეობს. დამუ-
შავებულია ისინი უხეში ორმხრივი გათლა-გაჩორკნით. აქვთ მსხვილი, კაქრის
კანით დაფარული ქუსლი და ოდნავ მომრგვალებული წვერი. სამუშაო გვერ-

² სახელწოდება წარმოსდგება ინგლისის ძეგლის კლექტონ-ონ-სიის სახელიდან, სადაც პირ-
ველად გამოყვეს ამგვარი ანატეკეები.

დების ნაპირები, იარაღის ფართო და სქელი ფირფიტების, ორმხრივი მონაცვლეობითი ატკეცებით დამუშავების გამო, კლაკნილი-ზიგზაგისებურია. იარაღი ჭრილში მეტწილად ორმხრივამოხნეპილია. ეს მეტად ტლანქი და საკმაოდ შიშვე ნაკეთობა თითქმის უნივერსალურ იარაღს წარმოადგენდა და გამოიყენებოდა საჩეხად, საჭრელად და სხვ.

ადრეულ აშელში ჩნდება კიდევ ერთი დამახასიათებელი, დიდი ზომის, უხეში საჩეხ-საჭრელი იარაღი — კლივერი. იგი დამზადებულია მთლიანი კაჭრების, მასიური ნატეხებისა ან ანატკეც-ანამტკერეებისაგან და ხშირად ზედნაპირზე ნაწილობრივ კაჭრის კანს ინარჩუნებს. კლივერები ძირითადად მოგროვდნენ ტრაპეციისებური, სწორკუთხედისებური და სამკუთხედისებური მოყვანილობისაა. აქვთ პარალელური ან თითქმის პარალელური გრძივი გვერდები, სწორი, მასიური, ხელის ჩასაკიდი ქუსლი და გარდიგარდმო განლაგებული სწორი ან ოდნავ ამოხნეპილი სამუშაო პირი გაფორმებული ერთი ან ორი ფართო და სქელი ფირფიტის ცალმხრივი ან ორმხრივი ატკეცით. მოგროვდნენ მოყვანილობითა და გარდიგარდმო სამუშაო პირით ეს იარაღი ნეოლითურ ცულს მოგვაგონებს. ფართოდაა გავრცელებული კლივერები აფრიკისა და ინდოეთის აშელურ ძეგლებზე, გვხვდება ისინი ევროპასა და დასავლეთ აზიაშიც.

შუა და გვიან აშელში წამყვანი მდგომარეობა კვლავ ქვის გაბობა-ატკეცის აშელ-კლექტონურ ტექნიკას უკავია. განაგრძობენ დომინირებას კლექტონური ანატკეცები. გვხვდება ამორფული ნუკლეუსები და უხეში საჩეხი იარაღები და სხვ. მაგრამ ამავე დროს ჩნდება ახალი ნიშნები, რომლებიც ტექნიკის საკმაოდ მნიშვნელოვან პროგრესზე მიუთითებენ. უმჯობესდება ქვის პირველადი და მეორადი დამუშავების ტექნიკა. იხვეწება ნუკლეუსების ფორმები და მათგან ანატკეცების ჩამოთლის წესი. ნუკლეუსებში წამყვან ადგილს შედარებით სრულყოფილი ფორმები იკავებენ. მათში გამოიყოფა ე. წ. პოლუსური (ერთფუძიანი, ორფუძიანი და მრავალფუძიანი), დისკოსებური ორმხრივი და ცალმხრივი, პრიზმისებურის მაგვარი, სამკუთხედისებური, პირამიდისებური და სხვა ტიპის ნაკეთობანი. ამ ნუკლეუსებიდან განიერი ანატკეცების გარდა შეიძლება მოგროვდეს და უფრო იშვიათად სამკუთხედისებური მოყვანილობის ფირფიტების მიღებაც.

იარაღები ძირითადად ანატკეცებზეა დამზადებული. მათ დასამზადებლად გამოყენებულია შედარებით გულმოდგინე, ანატკეცის კონტურს დაქვემდებარებული რეტუში, რომელიც ვერ აფორმებს იარაღის სამუშაო ნაწილს, ვერ აძლევს მას სასურველ სახეს და მხოლოდ უბრალოდ მიუყვება ანატკეცის გვერდის მოხაზულობას. იარაღის რეტუშირება ხდებოდა ხელჩაქეჩით, მოგროვდნენ ან მომრგვალო მოყვანილობის რიყის ქვით, ანატკეცის ნაპირზე ზემოდან მიყენებული თანამიმდევარი, ხშირი და მკვეთრი დარტყმების გზით. რეტუში ძირითადად ცალმხრივია, ორმხრივი რეტუში იშვიათად გამოიყენებოდა. შეიძლება გამოიყოს რეტუშის შემდეგი სახეები: უხეში ფართოფაეტოვანი

ციცაბო, საფხეზროვანი, ჩანატეზოვანი, დაკბილული და სხვ. გარდა ამისა, იარაღების სამუშაო პირები ფორმდებოდა ე. წ. ანკოშებით, ე. ი. ერთი ან რამდენიმე ფართო და მსხვილი ფირფიტის ატკეცის საშუალებით ნამზადის გვერდის ამოღარვით.

შუა და გვიან აშელში საგრძნობლადაა გაზრდილი იარაღების ნომენკლატურაც. მათ შორის არის სხვადასხვა ტიპის სახოკები, დაკბილული, ამოღარული და წვეტანისებური იარაღები, პროტოლიმასები, სახვრეტები და სხვ. გვხვდება ისეთი იარაღებიც, რომლებიც შემდგომ ზედა პალეოლითისათვის არის დამახასიათებელი. ასეთებია, მაგალითად, საფხეკები და სატეხ-სათლელისებური იარაღები.

ქვის დამუშავების წინსვლა-განვითარება კარგად შეიძინევა ხელცულებზეც. მათი ზომები თანდათან მცირდება. ისინი ახლა შედარებით თხელია და ხშირად დამზადებულია არა კაქრებსა, შუაზე გააბილ კაქრებსა და მასიურ ნატეხებზე, არამედ ანატკეცებზე. დამუშავებულია იარაღები გაცილებით უკეთესად, ფართო და თხელი ფირფიტების ორმხრივი ატკეცით და რეტუშით. მათი სამუშაო ნაწილი შედარებით სწორ მოხაზულობას იძენს და უფრო მკრეულია. ქრება კაქრის კანით დაფარული მასიური ქუსლი. იგი საგულდაგულოდაა გათლილ-მომრგვალებული და დამატებით შესწორებულია რეტუშით. ამასთან ხელცულების ჭგუფში უკვე გამოიყოფა მკაფიოდ განსხვავებული ტიპები: ნუშისებური, ოვალური, სამკუთხედისებური და სხვ.³

ტექნიკური პროგრესის მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვის გაბობა-ატკეცის ლევალუური მეთოდის გამოგონებას⁴. ქვის პირველადი დამუშავების ეს ტექნიკა შუა აშელში წარმოიშვა და განაგრძობდა არსებობას და განვითარებას გვიანი აშელისა და მუსტიეს ხანის მთელს მანძილზე⁵. შუა და გვიან აშელში იგი თანაარსებობდა ძველი, შედარებით პრიმიტიული პირველადი დამუშავების არალევალუური (აშელ-კლექტონური) ტექნიკის გვერდით და მხოლოდ მუსტიეს ხანაში დაიკავა წამყვანი ადგილი⁶.

რის-ვიურმის დასასრულსა თუ ვიურმის გამყინვარების დასაწყისში აშელის კულტურა მუსტიეს კულტურამ შეცვალა. ეს კულტურა დაახლოებით 60—65 ათასი წელიწადი გრძელდებოდა და როგორც ზემოთ აღინიშნა, დასრულდა ამ 40—35 ათასი წლის წინათ.

აშელის დასასრულსა და მუსტიეში გარდამავალ ხანაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება ადამიანის ფიზიკურ აგებულებაში. არქანთროპები შეცვა-

³ П. И. Борисковский. დასახ. ნაშრომი, გვ. 55—75.

⁴ სახელწოდება წარმოსდგება საფრანგეთის მუსტიეს ხანის ძველის ლევალუა-პერეს სახელისაგან, სადაც პირველად გამოიყო ამ ტექნიკით დამზადებული ნივთები.

⁵ F. Bordes, Technique levallois et Levalloisien ancien, L'Anthropologie, t. 56, № 5—6, Paris, 1953.

⁶ П. И. Борисковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 77; Г. П. Григорьев. Проблемы левалюа, МИА СССР, № 185, т. 7, М., 1972, с. 68—74.

ლეს ნეანდერტალელმა ადამიანებმა. მათი ფიზიკური აგებულება უფრო სრულ-
ცოფილი იყო ვიდრე პითეკანთროებისა, თუმცა ისინი ჯერ კიდევ ინარჩუნე-
ბდნენ ბევრ პრიმიტიულ ნიშან-თვისებებს⁷.

ამელიდან მუსტიეში გადასვლისას ცვლილება მოხდა არა მხოლოდ ადამია-
ნის ფიზიკურ აგებულებაში, არამედ მის ტექნიკაში, მეურნეობაში და ცხოვ-
რების წესებშიაც. უპირველესად ყოვლისა, განვითარების შედარებით მაღალ
დონეს მიაღწია ქვის გაპობა-ატკეცისა და მეორადი დამუშავების ტექნიკამ.
ამჟამად შეიმჩნევა ნუკლეუს-ნამზადებისა და იარაღების ზომების თანდათანო-
ბითი შემცირების ტენდენცია. ქვის პირველად დამუშავებებში წამყვანი ადგი-
ლი ლევალუაურმა ტექნიკამ დაიკავა. აღნიშნული ტექნიკის არსი მდგომარე-
ობდა ნუკლეუსის ისეთნაირად მომზადება-დამუშავებაში, რომ მისი ფორმა-
მოყვანილობა ან ატკეცის ზედაპირის დამუშავების ხასიათი წინასწარ განსა-
ზღვრავდა მისგან მისაღები მომავალი ანატკეცის სახეს. განსხვავებით არა-
ლევალუაური ნუკლეუსებისაგან, რომელთაც უპირატესად მიიღო არაწესიე-
რი მოყვანილობა ჰქონდათ, ლევალუაურები პირიქით გარკვეული და შედა-
რებით დახვეწილი ფორმით ხასიათდებოდნენ. მათში გამოიყოფა ე. წ. კუსბაკ-
ნისებური, ნალისებური, სამკუთხედისებური და სხვა ტიპის ნუკლეუსები. ამ-
გვარი ნუკლეუსებიდან პარალელური ატკეცის საშუალებით მიიღებოდა სწორ-
კუთხა, ოვალური და სამკუთხედისებური ლევალუაური ანატკეცები და ლა-
მელები, რომლებიც არალევალუაური ანატკეცებისაგან განსხვავდებოდნენ ზე-
და სიბრტყის დამუშავების პარალელური ხასიათით, სწორი პროპორციებითა
და სითხელით. ლევალუაური ნუკლეუსების ფუძეები ძირითადად რეტუსით
იყო შესწორებულ-ფაციტირებული, ამიტომ მათგან ჩამოთვლილ ანატკეცებ-
სა და ლამელებს ასეთივე დარტყმის მოედნები ჰქონდათ⁸.

ლევალუაური ტექნიკის გამოგონებამ შესაძლებელი გახადა იარაღებისა-
თვის წინასწარ ნავარაუდები მოყვანილობის ანატკეც-ნამზადების მასობრივი
წარმოება, ხოლო მათი გამოყენებით პირველყოფილ ადამიანს საშუალება მიე-
ცა მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა და გაემრავალფეროვნებინა თავისი იარაღ-
ხელსაწყოები.

მუსტიეს ხანაში გაუმჯობესდა ქვის პირველადი დამუშავების არალევა-
ლუაური ტექნიკაც. არალევალუაური ნუკლეუსები იგივე დისკოსებური, ერთ-
ფუძიანი, ორფუძიანი და სხვა ტიპისაა, მაგრამ მათი დამუშავების ხარისხი
ბევრად უკეთესია და ფორმებიც უფრო გამოკვეთილია. ახლა ამ ნუკლეუ-
სების დარტყმის მოედნებიც საკმაოდ ხშირად რეტუსითაა შესწორებული და

⁷ П. И. Борнсковский, დასახ. შრომები, გვ. 105; А. Л. Монгайт, დასახ.
-ნაშრომი, გვ. 125.

⁸ F. Bogdes., დასახ. ნაშრომი, გვ. 555—556; В. О. Люблин. К вопросу о методике
изучения нижнепалеолитических каменных орудий, МИА СССР, т. 5, М.—Л., 1965,
с. 16—49.

მათგან მიღებულ ანატკეცებს, ლევალუაურების მსგავსად, სხვადასხვა ტიპის ფაუცეტირებული ფუძეები აქვთ. ამასთან ანატკეცები შედარებით თხელი და სწორია და მათი ბურცულიც ნაკლებრელინფურია.

მუსტიეში იარაღების ორხრივი გათლა-გაჩორკნით დამზადების წესი თითქმის მთლიანად იცვლება რეტუშით დამუშავებით. გაჩნდა კონტრდარტყმითი რეტუშის ტექნიკა. ქვის გაპობა-ატყეცისა და რეტუშირებისათვის ახლა ხელჩაქუჩებთან ერთად გამოიყენებოდა ქვისა და ხის გრდემლები. აშელის ხანისაგან განსხვავებით, რეტუში საკმაოდ ნაირგვარია: ფართოფაუცეტოვანი ციკაბო, ნახევრადციკაბო, თხელფაუცეტოვანი დამრეცი, დაკბილული, ორმხრივი, გარდამავალი, ქერცლისებური, მონაცვლეობითი, დამბლაგვებელი და სხვა. მიუხედავად ამისა, რეტუში მთლიანობაში ისევ საკმაოდ უხეში, კონტურსდაქვემდებარებული ხასიათისაა და იარაღის ფორმის განმსაზღვრელად კვლავ ანატკეცის მოყვანილობა რჩება.

მუსტიეში ქვის პირველადი და მეორადი დამუშავების ტექნიკის განვითარებასა და გაუმჯობესებასთან ერთად გაიზარდა იარაღ-ხელსაწყოების რაოდენობრივი სია და გაღრმავდა მათი დიფერენციაცია. ამ ეპოქის ადამიანი 60-ზე მეტი დასახელების იარაღს იყენებდა⁹. ისინი ძირითადად ლევალუაურ და არალევალუაურ ანატკეცებსა და ლამელებზე მზადდებოდა. ყველზე დამახასიათებელი იარაღები სხვადასხვა ტიპის წვეტანები და სახოკები იყო. წვეტანებში გამოიყოფა მუსტიეური, ლევალუაური რეტუშირებული, ლევალუაური და სხვა ტიპის ნაკეთობანი, ხოლო სახოკებში სწორი, ამოხნეჭილი და ჩაზნეჭილი სამუშაოპირიანი, კონვერგენტული, ორპირა და სხვა იარაღები. წვეტანების ძირითად დანიშნულებას გაჭრა შეადგენდა, სახოკები კი უხეში საფხეკი იარაღები იყო.

მუსტიეში საკმაოდაა გავრცელებული ლიმასები, მოგრძო ოვალისებური მოყვანილობის ირგვლივ რეტუშირებული იარაღები. მათი ბოლოები შემომრგვალებული ან წაწვეტებულია და ისინი ორმაგ სახოკებსა და წვეტანებს მოგვაგონებენ. რა დანიშნულება ჰქონდათ მათ უცნობია.

ვარდა ჩამოთვლილი იარაღებისა აღნიშნულ ეპოქაში გვხვდება: ამოღარული და დაკბილული იარაღები, ორმხრივი გათლით (ბიფასური ტექნიკით) დამუშავებული პატარა ხელცულისებური იარაღები, ზურგიანი დანები, სახერცები, ბურღისებური იარაღები და სხვ. გვხვდება, აგრეთვე, ზედა პალეოლითისათვის დამახასიათებელი საფხეკები, საჭრისები და სხვ., თუმცა ისინი შედარებით გამოუსახავია და გაცილებით უხეშადაა დამუშავებული, ვიდრე გვიანი პერიოდების ამგვარივე იარაღები.

გვიან მუსტიეში პირველად ჩნდება სპეციალური ატყეცით ფუძეშემსუბუქებული სხვადასხვა ტიპის წვეტანები და მოგრძო ფოთლისებური მოყვა-

⁹ F. Bordes, Typologie du paleolithique ancien et moyen. Public. de L'Inst. de Préhist. de L'Univ. de Bordeaux. 1961.

ნილობის ორმხრივრეტულშირებული ლამელები. ფინალურ მუსტიეში საკმაოდ და წარმოდგენილი პრიზმისებური ნუკლეუსები და იარაღები მეტწილად ლამელებზეა დამზადებული. ქვის გარდა ამუშავებდნენ და იყენებდნენ ხესაც. და ცხოველის ძვალსაც. ხის იარაღების ნაშთებს დღემდის თითქმის არ მოუღწევია. რაც შეეხება ძვლის დამუშავებას, ძგი ძლიერ სუსტად იყო განვითარებული და მისგან მხოლოდ პრიმიტიული სახერტები მზადდებოდა და ისიც მეტად იშვიათად¹⁰.

ასეთია ძალიან მოკლედ აშელისა და მუსტიეს ხანის ქვის ინდუსტრიის განვითარების გზები და მათი საერთო ზოგადი ნიშნები.

დიდი ხნის მანძილზე თვლიდნენ, რომ ქვედა პალეოლითის, კერძოდ აშელისა და მუსტიეს კულტურები ყველგან სრულიად ერთგვაროვანი იყო¹¹. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ამ ეპოქების თანადროულ ძეგლებსა და ძეგლთა ჯგუფებს ახასიათებთ ადგილობრივი, ლოკალური ტექნიკურ-ტიპოლოგიური თავისებურებანი, რაც განასხვავებს მათ ერთიმეორისაგან.

ქვედა პალეოლითის სინქრონული კულტურების ლოკალური ვარიანტების არსებობა დაკავშირებული უნდა იყოს ძეგლების დანიშნულებასთან (სადგომი, სახელოსნო და სხვ), ტექნიკურ ტრადიციებთან, საიარაღოდ გამოყენებული ქანების თვისებებთან და ეთნიკურ და სხვა ფაქტორებთან.

აშელის ხანის ძეგლების ლოკალური ტექნიკურ-ტიპოლოგიური თავისებურებები ჯერჯერობით არ არის სათანადოდ შესწავლილი და ამჟამად მათ შორის მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთი განსხვავებული ნიშნების მქონე ძეგლები გამოიყოფა. ასეთებია: ძეგლები, რომლებიც ხასიათდებიან ხელცულების სიმრავლით; ძეგლები, სადაც ძირითადად ანატეკები და ჩოპერები და ჩოპინგებია წარმოდგენილი, ხოლო ხელცულები ძალიან ცოტა ან საერთოდ არ არის; ძეგლები საკმაოდ კარგად წარმოდგენილი ლევალუური ტექნიკით და ძეგლები, სადაც იგი სრულიად არ არის გამოყენებული და სხვ.¹²

მუსტიეს ხანაში ლოკალური განსხვავებანი სინქრონულ ძეგლებსა და ძეგლთა ჯგუფებს შორის უკვე მკაფიოდაა წარმოდგენილი. სადღეისოდ, საფრანგეთის ძეგლების მასალების მიხედვით, ამ კულტურის შემდეგი ვარიანტები გამოიყოფა: ტიპური მუსტიე, მუსტიე აშელური ტრადიციით, დაკბილული მუსტიე და შარანტის ტიპის (კინას და ფერასის ფაციესის) მუსტიე. თითოეული ეს ჯგუფი კიდევ ნაწევრდება და მათში შეიძლება განვასხვავოთ ლევალუური ფაციესის ლამელარული, ფაციტირებული ტიპური მუსტიე;

¹⁰ П. И. Борнсковский. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 110 — 113; А. Л. Монгайт, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 123 — 125.

¹¹ С. Н. Замятин. *О возникновении локальных различий в культуре палеолитического периода. Труды Института этнографии, Новая серия*, т. 16, М., 1951, с. 89—152.

¹² В. П. Любим. *Нижний палеолит. В книге Каменный век на территории СССР*, (МИА № 166). М., 1970, с. 19—42.

ლევალუური და არალევალუური ფაციესების დაკბილული მუსტიე და სხვ. ამასთან ლოკალური ტიპოლოგიური განსხვავებანი ჩანს თვით ამგვარი დანაწევრებული ჯგუფების შიგნითაც, მათდამი კუთვნილი ცალკეული ძეგლების ნივთიერ კომპლექსებში¹³.

ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლებში ასახულია იმდროინდელი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ესა თუ ის მხარე: ნადირობა, შემგროვებლობა და ქვის იარაღის დამზადება. ამის მიხედვით ისინი იყოფა სადგომ-სახელოსნოებად, სახელოსნოებად და სხვ. ეს მსხვილი დანაყოფები უფრო წვრილ ერთეულებად ნაწევრდება. ასე მაგალითად, სახელოსნოებს შორის გამოიყოფა ნუკლეუსების დამამზადებელი სახელოსნოები, საიარაღო ნამზადების სახელოსნოები და სახელოსნოები „მთლიანი საწარმოო ციკლით“ ე. ი. როდესაც ქვის დამუშავების ყველა პროცესი, პირველადი გაპობიდან გულმოდგინე მეორად დამუშავებამდე (რეტუსი), ადგილზე მიმდინარეობდა. სადგომ-სახელოსნოები, რომლებიც ყველაზე გავრცელებულია და ხშირად გვხვდება, იყოფა ხანგრძლივ სადგომ-სახელოსნოებად, დროებით სადგომებად, მონადირეთა ბანაკებად და სხვ. სახელოსნოებში აშკარად ჰარბობენ კაჭრები, ნუკლეუსები, ანატექტები და წარმოების ნარჩენები, მაშინ როდესაც იარაღების რაოდენობა უმნიშვნელოა. მონადირეთა ბანაკებში წარმოდგენილია მხოლოდ სანადიროდ და მოკლული ცხოველის დასაპრელ-დასანაწილებლად აუცილებელი იარაღები. ხანგრძლივ სადგომებზე გვხვდება მრავალნაირი ნივთები და ზოგჯერ კერის ნაშთები¹⁴.

ქვედა პალეოლითში ადამიანის ძირითადი საქმიანობა ნადირობა და შემგროვებლობა იყო. პირველყოფილი ადამიანი აგროვებდა მცენარეულ საკვებს (ხილს, კენკრას, თხილს, ძირნაყოფებს და სხვ.) და ნადირობდა ცხოველებსა და ფრინველებზე. მუსტიეში ამას ზოგჯერ ემატებოდა თევზაობა. ნადირობდნენ ისეთ დიდტანიან მაწოვრებზე და მხეცებზეც კი, როგორცაა სპილო, მარტორქა, მღვიმის დათვი, მღვიმის ლომი, გიგანტური ირემი, დომბა, კეთილშობილი ირემი, გარეული ცხენი და სხვ. ნადირობას ხშირად შერჩევითი ხასიათი ჰქონდა. ადამიანი მისი გარემომცველი მიდამოს ფაუნიდან იყენებდა ძირითადად იმ ცხოველებს, რომლებიც ყველაზე მეტი იყო მოცემულ ტერიტორიაზე, უფრო ხელმისაწვდომი იყო პრიმიტიული სანადირო იარაღ-ალჭურვილობით, გამოირჩეოდა დიდი ტანით და იძლეოდა ბევრ ზორცს. ნადირობდნენ არა მარტო ზორცის, არამედ ტყავისთვისაც, რომელსაც იყენებდნენ ტანის შესამოსად, ქონების დასათარავად და სხვ. ძელებს ამტვრევდნენ ტვინის ამოსაღებად. ნანადირევს ამუშავებდნენ ქვის იარაღებით: ხელტულებით, მჭრელ-

¹³ F. Bordes, *Le paléolithique dans le monde*, Paris, 1937.

¹⁴ В. П. Л ю б н и. დასახ. ნაშრომი, გვ. 19—42; მისივე, *Ранний палеолит Кавказа*, В книге, *Природа и развитие первобытного общества на территории Европейской части СССР*, М., 1969, с. 160—161.

პირიანი ანატკეცებით, საზოკებით, დანებით, წვეტანებით, სახვრეტებით და სხვ. იმ დროის ადამიანი კარგად იცნობდა სხვადასხვა ცხოველის ჩვევებს და ნადირობისას მოხერხებულად იყენებდა კიდევაც მათ თავის სასარგებლოდ. ნადირობა ატარებდა ჯგუფურ და ინდივიდუალურ ხასიათს. ეს იყო ნადირობა ალყით და ცხოველის კლდეზე გადაჩხვით; სხვადასხვა ხერხის გამოყენებით უეცარი თავდასხმა მასზე; წყლის სასმელ ადგილებში ჩასაფრება; გამოდევნება, ცხოველის დალა და შემდეგ მისი მოკვლა შუბებითა თუ ხელცულებით. იყენებდნენ, ალბათ, წნელისაგან დაწულ და ხის ტოტებისაგან დაკეთებულ მარტივ მახეებს, ხაფანგებსა და სხვ.

აშელში და მუსტიეს ხანის მეტ მანძილზე ძირითადი სანადირო იარაღი წვერწამახვილებული და შემდეგ, შესაძლოა, სიმაგრისათვის ცეცხლზე მოტარებული ხის შუბი იყო. სანადიროდ იყენებდნენ, აგრეთვე, კომბლებს, ხელკეტებსა და საფიქრებელია, ხელცულებსაც.

გვიან მუსტიეში სანადირო იარაღები არსებითად გაუმჯობესდა. გაჩნდა ქვის წვერით აღჭურვილი ხისტარიანი შუბი. შუბისპირებად გამოიყენებოდა ტარზე დამაგრების მიზნით სპეციალურად ფუძე გათლილ-შემსუბუქებული ლევალუაური და არალევალუაური წვეტანები. ქვისწვერიანი იარაღები უფრო ეფექტური იყო. მათი გამოგონებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ნადირობის წესებში და ორგანიზაციაში. შედარებით გაადვილდა ინდივიდუალური ნადირობა. სულ უფრო სრულად გამოიყენებოდა სანადირო სავარგულები. გაიზარდა სანადირო ობიექტი ცხოველების რიცხვი. ნადირობა სულ უფრო და უფრო ნადავლიანი ხდებოდა.

ქვედა პალეოლითში ძირითადი საშემგროვებლო იარაღიც ასევე წვერწამახვილებული სათხრელი ჯოხი უნდა ყოფილიყო, რომლითაც ადამიანი ძირნაყოფებსა და მცენარეთა ფესვებს ამოთხრიდა. შესაძლოა შემგროვებლობაში, როგორც სათხრელ იარაღს, ხელცულებსაც იყენებდნენ. მუსტიეში შემგროვებლობას შედარებით მაღალი დონისათვის მიუღწევია, რასაც მოწმობს ზოგიერთ ძეგლზე მცენარეული საკვების (მარცვლეულის, ძირხვენებისა და სხვ.) დასაძლუშვებელი სასრესი და სანაყი ქვების აღმოჩენა და სხვ.

აშელის ხანის ადამიანი უკვე იცნობს ცეცხლს, იცის მისი გამოყენება და შენახვა. ცეცხლის კვალი კერების სახით პირველად ადრეულ აშელში ჩნდება, მანამდის იგი არსად არ არის დამოწმებული, მაგრამ ცეცხლი ამ პერიოდში მაინც ძალიან იშვიათია. შუა და გვიანი აშელის სადგომებზე იგი საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. მუსტიეში კი ცეცხლი და კერები საყოველთაოდაა გავრცელებული, რაც საფუძველს აძლევს მეცნიერებს ივარაუდონ, რომ ადამიანს სწორედ ამ დროის დასაწყისში უნდა ესწავლა მისი ხელოვნურად მიღება ხეხვისა თუ ჩამოკვესის საშუალებით. ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებით მუსტიეში გაჩნდა ნამდვილი მღვიმური და „ლია“ საცხოვრებლები კერითა და შინამეურნეობით. ამ ეპოქის სადგომებზე კერები ხშირად

პატარა ორმოებშია გამართული, ამოვსებულია ხისა და ძვლის ნახშირით და ნაცრით და ზოგჯერ გარშემო ქვები აქვთ შემოწყობილი.

ცეცხლის ათვისება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ადამიანთა. საზოგადოების განვითარების გზაზე. მან მისცა ადამიანს მუდმივი და საიმედო დაცვა სიცივისა და მზეცებისაგან, გარკვეული როლი შეასრულა პირველყოფილი შრომის იარაღების დამზადების საქმეში და მონადირეობისა და მეფეხვობის წესების განვითარებაში; მნიშვნელოვნად გააფართოვა ადამიანის ქვების წყარო; თითქმის დამოუკიდებელი გახადა იგი კლიმატისაგან და საშუალება მისცა ფართოდ განსახლებულიყო დედამიწაზე¹⁵.

ქვედა პალეოლითელი ადამიანები დამკვიდრდნენ ცხოვრებას ეწეოდნენ და ადრეული აშელიდნის მოკიდებული საცხოვრებლად ითვისებდნენ მღვიმეებსა და ეხებს, ხოლო „ლია“ სადგომებზე ხის ძელების, ტოტების, ფოთლებისა და ცხოველის ტყავისაგან აგებდნენ ქოხებს. სამოსახლოდ ცდილობდნენ შეერჩიათ წყალთან (მდინარე, წყარო და სხვ.), საიარალო ქანების გამოსავლებთან, ნადირობისათვის მოხერხებულ ადგილებში განლაგებული და შესასვლელით მზიანი მხარისაკენ გახსნილი მღვიმეები და ეხები. ასეთსავე ადგილებს ირჩევდნენ „ლია“ სადგომების გასამართავად.

ქვედა პალეოლითში ჩაისახა შრომის სქესობრივ-საკობრივი დანაწილება. ნადირობის სისტემატური ხასიათი და დამკვიდრებული ცხოვრება ზღუდავდა ქალების მონაწილეობას ნადირობაში მამაკაცების თანაბრად, აჩქარებდა მათი საქმიანობის გამოყოფას. ქალის საზოგადოებრივი, შრომითი საქმიანობის სფეროდ იქცა საცხოვრებლის დაცვა; მუდმივი ცეცხლის მოვლა, ზრუნვა ბავშვებსა და მოხუცებზე, მცენარეული საკვებისა და საწვავის შეგროვება და სხვა სამეურნეო მოვალეობანი. მამაკაცთა შრომას უპირატესად ნადირობა წარმოადგენდა. მათვე ევალებოდათ „ლია“ სადგომებზე საცხოვრებლების გამართვა, საიარალო ნედლეულის მოპოვება და იარაღ-ხელსაწყოების დამზადება. ამავე ეპოქაში, სახელდობრ შუა აშელიდნის მოკიდებული, ხდება სახვითი ხელოვნების ჩასახვაც. ჩნდება ქვედაპალეოლითური გრაფიკის პირველი ელემენტები, კერძოდ ქვასა და ცხოველის ძვალზე გამოსახული ორნამენტული შტრიხები, გრავირებული ურთიერთპარალელური სწორი ან კლაკნილი, გადაჯვარდინებული და კუთხეების შემდგენელი სწორი ხაზებისა და სხვ. სახით¹⁶.

15 П. И. Борнсковский, *დასახ. ნაშრომ.* გვ. 80—120; В. П. Любим, *Ранний палеолит Кавказа*, с. 167; А. Н. Рогачев, *Значение и роль социальной среды в развитии культуры первобытного общества. Природа и развитие первобытного общества на территории Европейской части СССР*, М., 1969, с. 181.

16 В. П. Любим, *Нижний палеолит*, с. 19—42. *История первобытного общества. Общие вопросы. Проблемы антропосоциогенеза*, М., 1983, с. 397—403; Б. А. Фролов, *Числа в графике палеолита*, Новосибирск, 1974, с. 5.

მუსტიეს ხანის მღვიმურ ნაბინარებში გვხვდება ნეანდერტალელთა პირველი სამარხები. მიცვალებულები დამარხებულია სპეციალურად გათხრილ ორმოებში. მძინარე პოხაში, ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მწოლარე. სამარხები, როგორც წესი, დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებულთა დაკრძალვის ასეთი წესის არსებობა საფუძველს აძლევს მეცნიერებს აღნიშნული ეპოქის მეორე ნახევრიდან პრიმიტიული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ჩასახვა ივარაუდონ. მუსტიეში ჩაისახა, როგორც ჩანს, ცხოველთა კულტიც. ამის დამადასტურებლად მიაჩნიათ ზოგიერთ მღვიმურ სადგომებში ნაპოვნი, გარკვეული რიგით დაწყობილი მღვიმის დათვისა და სხვა ცხოველების თავის ქალები და სხვა ნაწილები¹⁷.

თუ როგორი იყო ქვედა პალეოლითის ადამიანთა საზოგადოების ორგანიზაციის ფორმა და სქესთა შორის ურთიერთობა ამ საზოგადოებაში, სადისკუსიო საკითხია და სადღეისოდ საბოლოოდ არ არის გარკვეული. საბჭოთა არქეოლოგების უმრავლესობა ფიქრობს, რომ აღნიშნულ ეპოქაში საზოგადოება განვითარების წინაგვაროვნულ საფეხურზე იმყოფებოდა და მისი ორგანიზაციის ფორმას უძველეს ადამიანთა „პირველყოფილი ჯოგი“ წარმოადგენდა. ადამიანები ცხოვრობდნენ 10—30 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად — „ჯოგებად“, რომელთა ურთიერთობაც წარმოების, განაწილებისა და მოხმარების საერთო პრინციპზე იყო დაფუძნებული. პირველყოფილი ადამიანების კოლექტივების სულ უფრო მეტად შემკვიდროვებას ხელს უწყობდა მეტყველება, აზროვნება და თაობათა გამოცდილების დაგროვება. აშელში მოუწესრიგებელი ქორწინება ანუ პრომისკუიტეტი უნდა ყოფილიყო, ხოლო მუსტიეში „ჯოგი“ შედგებოდა ჯგუფური ქორწინებით დაკავშირებულ ადამიანთა რამდენიმე ჯგუფისაგან. არის, აგრეთვე, მოსაზრება, რომელიც მთელი ქვედა პალეოლითის მანძილზე წყვილადი ქორწინების არსებობას ვარაუდობს. მუსტიეს ხანაში უკვე მიმდინარეობდა „პირველყოფილი ჯოგური“ ურთიერთობის თანდათანობითი კვდომის პროცესი და ნელნელ მწიფდებოდა გვაროვნული წყობილების წანამძღვრები. ეს პროცესი მთლიანად უნდა დასრულებულიყო მუსტიეს გასულსა და ზედა პალეოლითზე გარდამავალ ხანაში¹⁸.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საქართველოში წინააშელური ძეგლები ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ხოლო აშელის ხანა რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია სამივე — ადრეული, შუა და გვიანი საფეხურით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მეცნიერი ცალკეული ქვედაპალეოლითური

17 С. Н. Замятин. Очерки по палеолиту, М.—Л., 1961, с. 29—42; Г. П. Григорьев, Первобытное общество и его культура в мустье и начале позднего палеолита. Природа и развитие первобытного общества на территории Европейской части СССР, М., 1969, с. 201—202; А. Л. Монгайт. Дасახ. ნაშრომი გვ. 125—126.

18 П. И. Борисковский. Дасახ. ნაშრომი, გვ. 160—173; А. Л. Монгайт, Дасახ. ნაშრომი, გვ. 117—118.

„ლია“ ძეგლების ზედაპირული მასალებიდან, ძირითადად ტიპოლოგიური ანალიზის გზით, გამოყოფს წინააშელის (ძველი გავებით წინაშელი, პრეშელი) ხანის ნაშთებსაც, მაგრამ ამას უეჭველი ტექნიკური, ტიპოლოგიური, სტრატეგრაფიული, პალეონტოლოგიური და სხვ., დასაბუთება აკლია და დაზუსტება ესაჭიროება¹⁹. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, წინაშელით თუ პრეშელით დათარიღებული მასალები უცილობლად იმსახურებენ ყურადღებას და შემდგომ შესწავლას, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე აღმდინათა საზოგადოების ისტორიის დაწყების დროის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მთავალი კვლევის საქმეა.

ჩვენში ქვედა პალეოლითის ხანის ნაშთები პირველად ამ 60 წლის წინათ აღმოჩნდა ქ. ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთ უბანში გორა თეთრამიწაზე. აქ 1924 წელს ქვის ხანისა და მოგვიანო პერიოდების ნაშთები მოიპოვა ცნობილმა ქუთაისელმა მხარეთმცოდნემ პ. ჭაბუკიანმა. ამის შემდეგ იგი წლების მანძილზე (1924—1932 წწ.) სისტემატურად აკრებდა გორაზე ნაშთებს და აბარებდა ქ. ქუთაისის მუზეუმს²⁰. ამ მასალაში არის 2500 კაყის მუსტიერი ნივთი, რაც თეთრამიწაზე შეგროვებული მთელი კოლექციის 60%-ს შეადგენს. მართალია, აღნიშნული მონაპოვარი და მისი მნიშვნელობა თავის დროზე ვერ იქნა მეცნიერულად გააზრებული და ჯერონად შეფასებული, მაგრამ თვით აღმოჩენის პრიორიტეტი ქ. ქუთაისის მუზეუმის საინვენტარო-სააღრიცხვო ჩანაწერებით დოკუმენტირებულ ფაქტად რჩება²¹.

სადღეისოდ საქართველოში 280-ზე მეტი ქვედაპალეოლითური ე. ი. აშელისა და მუსტიეს ხანის ძეგლია გამოვლენილი. მათი გავრცელებით მკაფიოდ გამოიყოფა ექვსი ძირითადი რაიონი: I. შავიზღვისპირა ზოლი, აფხაზეთის ასსრ ტერიტორიის ჩათვლით; II რიონ-ყვირილას აუზი; III. შიდა ქართლი, ისტორიული სამაჩაბლოს ჩათვლით; IV. ქვემო ქართლი; V. ჯავახეთის მთიანეთი; VI. იორ-ალაზნის აუზი²².

19 Л. Н. Соловьев. Первобытное общество на территории Абхазии, Сухуми, 1971, с. 21—36.

20 თეთრამიწის მასალის ძირითადი ნაწილი დაცულია ქ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ხოლო ნაწილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში (კოლექციები № 1—34 და № 9—53).

21 თეთრამიწის მუსტიეს ხანის ნივთები პირველად გამოყო დ. თუმბარამიშვილმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციაში (დ. თუმბარამიშვილი, ლ. ნეზერაძე, საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური“ ძეგლის დათარიღებისათვის. მაცნე, № 4, თბ., 1971, გვ. 76—83). ცოტა მოგვიანოდ ნ. ბერძენიშვილმა შესწავლა ქუთაისის მუზეუმის კოლექცია, მუსტიერი მასალა გამოაცალკევა დანარჩენისაგან და ნაწილი კიდევაც გამოაქვეყნა (ნ. ბერძენიშვილი, ქვედაპალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბ., 1974, გვ. 3—21).

22 А. Н. Каландадзе, Разыскания по археологии доисторической Грузии. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Тбилиси, 1969, с. 13.

როგორც აშელური, ისე მუსტიეური ძეგლები მეტ-ნაკლები რაოდენობით აღმოჩენილია ექვსივე რაიონში. ქვედაპალეოლითურ ძეგლებს შორის სტრატეფიცირებული მღვიმური სადგომების რაოდენობა 25-ს არ აღემატება, დანარჩენები მღვიმისგარე ე. წ. „ღია ცის ქვეშ მდებარე“ ძეგლებს წარმოადგენდნენ. მღვიმური სადგომები დამოწმებულია I, II, III და IV რაიონებში, ხოლო „ღია“ ძეგლები ყველა რაიონში (იხ. რუკა, სურ. 1). „ღია“ ძეგლების აბსოლუტური უმრავლესობის კულტურული ფენები დაშლილია და ნაშთები მიწის ზედაპირზე, მეორად განლაგებაში გვხვდება. ამ ტიპის ერთადერთი სტრატეფიცირებული ძეგლი გამოვლენილია VI რაიონში (აშელის ხანის ძეგლი ზიარი).

საქართველოს სსრ შავიზღვისპირეთში, კერძოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აშელისა და მუსტიეს ხანის ძეგლები ამ 50 წლის წინათ იქნა მიკვლეული. ძეგლების დიდი ჯგუფი გამოვლინდა დაახლოებით 25 კმ-ის სიგანის ზღვის სანაპირო ზოლში ქ. გაგრიდან მდ. ენგურის შესართავამდე. მათი აღმოჩენა და შესწავლა დაკავშირებულია შემდგომში აფხაზეთის ქვის ხანის ცნობილი მკვლევრის, გეოლოგ ლ. სოლოვიოვის სახელთან და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის სპეციალური არქეოლოგიური ექსპედიციის 1934—1938 წლების მუშაობასთან, რომელსაც გამოჩენილი საბჭოთა არქეოლოგი ს. ზამიატინი ხელმძღვანელობდა²³.

შავი ზღვის სანაპირო ზოლის ქვის ხანის შემდგომი შესწავლის საქმეში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ნ. ბერძენიშვილს, რომლის ხელმძღვანელობითაც ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შავიზღვისპირეთის პალეოლითური ექსპედიცია 1958 წლიდან დაწყებული მთელი 25 წლის მანძილზე წარმატებით იკვლევდა აღნიშნული რაიონის ძეგლებს²⁴.

მდ. ენგურის აუზის ქვის ხანის ძეგლების ძიებაში პირველობა ეკუთვნის ალ. კალანდაძეს, რომელმაც 1936 წელს სოფლებში რუხში, ენწერსა და ღიაში მუსტიეური ნაშთების სამი ადგილსამყოფელი გამოავლინა²⁵. 1963—1970 წლებში მდ. ენგურისა და მისი შენაკადის მდ. ერისწყლის ხეობების ქვის ხანის ძეგლებს იკვლევდა ზემოხსენებული ინსტიტუტის ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის ქვის ხანის შემსწავლელი რაზმი გ. გრიგოლიას ხელმძღვანელო-

²³ Л. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 3—37; С. Н. Замятин, *Палеолит Абхазии, Труды Института Абхазской культуры*, вып. X, Сухуми, 1937, с. 3; Его же, *Очерки по палеолиту*, М.—Л., 1961, с. 67—71.

²⁴ Н. З. Берძენიშვილი, *Новые данные о палеолите Абхазии*, с. 159—181; მსივე, *აფხაზეთის მთისწინა ზოლის ქვედაპალეოლითური ძეგლები*, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VIII, თბ., 1979, გვ. 13—38.

²⁵ მასალა ინახება ქ. ლენინგრადის მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმში: კოლექცია № 5492, დაცვის № 273/654.

ბით. რაზმმა მდ. ენგურ-ერისწყლის აუზში გამოავლინა და შეძლებისდაგვარად შეისწავლა ორ ათეულამდე ქვედაპალეოლითური ძეგლი.

ამჟამად შავიზღვისპირეთში და ენგურ-ერისწყლის აუზში 100-მდე აშელური და მუსტიერური ძეგლია ცნობილი. მატერიალური კულტურის ნაშთები უმთავრესად მთა-გორებზე და რაიონში გავრცელებულ ზღვიურ და მდინარეულ ტერასებზეა მოპოვებული. ქვედაპალეოლითურ ძეგლებს შორის არის სადგომები, სახელოსნოები, სადგომ-სახელოსნოები და სხვ. მათზე უძრავი კულტურული ფენის გამოვლენის მიზნით ჩატარებულ საძიებო სამუშაოებს დადებით შედეგი არ მოუციათ და, ამრიგად, აქ მოპოვებული ქვის მასალა მთლიანად მიწის ზედაპირზეა შეგროვებული.

სანაპირო ზოლისა და ენგურ-ერისწყლის აუზის აშელის ხანის ძეგლებიდან უნდა დავასახელოთ კოლხიდა, ქიურდერე, ხეივანი, ლესელიძე, გუდაუთა, ქ. სოხუმი, გვარდა, ლეჩქოფი, აპიანჩა, ქ. გალი, ოტაპი, ღუმურში, რეჩხი I და სხვ. ყველა მათგანი აღნიშნული ეპოქის, ასაკობრივად ერთმანეთის თანადროული ან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ძეგლია. აქ ძირითადად მცირე რაოდენობის მასალებია შეგროვებული. ისინი წარმოდგენილია კირქვებს, კაჟისა და სხვა ქანების დისკოსებური, ფუძიანი არალევალუაური და ლევალუაური და სხვა სახის ნუკლეუსებით; ფართო და მასიური კლექტონური, არალევალუაური და ლევალუაური ანატეკებიტა და მათზე გაკეთებული იარაღ-ხელსაწყოებით. იარაღებში გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის სახოკები, დაკბილულ-ამოღარული ფორმები, უხეში წვეტანები, დანისებური იარაღები, ტლანქი საჩეხები (ნახ. 2, 3) და სხვ. ამასთან ჭუბურისხინჯაში, ხეივანში, აჩიგვარაში (ნახ. 1, 1), გალში (ნახ. 1, 2) და რეჩხ I-ში ნაპოვნი აშელის ტიპური იარაღები — ხელცულები.

აშელურ ძეგლებს შორის ყველაზე მდიდარი და ამავე დროს რთული ობიექტია მთა იაშთხვა თავისი შემოგარენით. იგი 1933 წელს გამოავლინა ლ. სოლოვიოვმა, ხოლო 1934 წელს პირველად შეისწავლა ს. ზამიატინმა. შემდგომ სხვადასხვა დროს მას იკვლევდნენ იგივე ს. ზამიატინი, ლ. სოლოვიოვი, ი. კორობკოვი და სხვ. კავკასიის არც ერთ ქვედაპალეოლითურ ძეგლს არ დათმობია საბჭოთა კავშირის პალეოლითის მკვლევარ არქეოლოგთა და გეოლოგთა

26 А. Н. Каландадзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 14; С. Н. Замятин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 83—97; გ. გრიგოლია, *ერისწყლის ხეობის ქვედაპალეოლითური ძეგლები*. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, II, თბ., 1978, გვ. 51—61; მისივე, *ენგურის ხეობის ქვედაპალეოლითური ძეგლები*, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VIII, თბ., 1979, გვ. 41—57.

27 Л. Н. Соловьев, *Первобытное общество на территории Абхазии*, с. 3—37; С. Н. Замятин, *Палеолит Абхазии*, с. 3—26; Его же. *Очерки по палеолиту*, с. 67—82; И. И. Коробков, *Новые находки на Яштухе*, СА, № 3, М., 1965, с. 91—99; Его же, *Итоги пятилетних исследований Яштухского палеолитического местонахождения*, СА, № 4, М., 1967, с. 194—206.

იმდენი ყურადღება, რამდენიც იაშთხვასა და მის მასალას. იგი დღესაც მათი ყურადღების არეში რჩება, მაგრამ მეტისმეტი სირთულის გამო, მაინც ვერაა ამომწურავად შესწავლილი; ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი ძეგლის სტრატოგრაფიული ვითარება; გასარკვევია მასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხიც.

იაშთხვას კვლევის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს შავი-ზღვისპირეთის პალეოლითურმა ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. თუ მანამდე მიაჩნდათ, რომ ქვედაპალეოლითელი ადამიანი მხოლოდ აქ მდებარე ზღვიურ ტერასებზე ბინადრობდა, აღნიშნული ექსპედიციის მრავალწლიანი მუშაობის შედეგად გაირკვა, რომ ძირითადი საცხოვრებელი არა მხოლოდ ტერასები, არამედ მთა იაშთხვას და მის მახლობლად განლაგებული სხვა მთა-ბორცვების თხემებიც ყოფილა და ტერასებზე ქვედაპალეოლითური ნაშთების გარკვეული ნაწილი აქედანაა მოხვედრილი.

მთა იაშთხვა მდებარეობს ქ. სოხუმის ჩრდილოეთით 3—3,5 კმ-ის დაშორებით. მისი აბსოლუტური სიმაღლე 512 მ-ია. ხუთი ათეული წლის განმავლობაში იაშთხვაზე აშელის ხანის დიდძალი ქვის მასალაა მოპოვებული. მასში გვხვდება ამ პერიოდის როგორც ადრეული და შუა, ასევე გვიანი საფეხურის ნაშთები. მასალა მიმობნეულია იაშთხვას თხემზე, ნიაღვრების მიერ ჩახრამულ სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე და მის ძირში განლაგებულ V 80—100 მ სიმაღლის ქვედაპალეოსტრუქტურ ჩაუდურ (მინდელურ) ზღვიურ ტერასაზე, რაც მიუთითებს, რომ იმ დროის ადამიანს საცხოვრებლად ათვისებული ჰქონია მთის თხემი (ნახ. 3) და ტერასაც. იგი აქ პირველად მინდელის დასასრულს ე. ი. ადრეული აშელის ხანაში დასახლებულა, როდესაც აღნიშნული ტერასა უკვე გაფორმებული იყო. იაშთხვაზე შეგროვებული მასალები გამოხატავენ ქვის დამუშავების მთლიან პროცესს და მოწმობენ, რომ პირველყოფილ ადამიანს აქ მეტად ხანგრძლივად, ათასეული წლების მანძილზე, ადრეულ, შუა და გვიან აშელში სდებია ბინა და აქვე, ადგილზე უმზადებია თავისი იარაღ-ხელსაწყოები.

იაშთხვას აშელური ნივთები დამზადებულია ადგილობრივი დანიური იარაღის უხეში კიროვანი კაჟისაგან. მათ ზედაპირები მქრქალ-მონაცრისფროდ ან თამბაქოსფრად ღრმად პატინირებული და საკმაოდ გამოფიტული, ხოლო წიბოები გადალესილი აქვთ. მასალა წარმოდგენილია არქაული ფუძიანი, კუბრისებური, პირამიდისებური, პოლიედრული (მრავალწახნაგა), დისკოსებური (ნახ. 2, 1) და სხვა სახის ნუკლეუსებით. მათი უმეტესობა გაფორმებულია მთლიან კაჭრებზე და მასიურობითა და უხეში ატკეცით ხასიათდებიან. მონაპოვრის ძირითად მასას ამ ნუკლეუსებიდან მიღებული დიდი ზომის, მოგრძო ან დაბალი, ფართო და მსხვილი (კლექტონური) ანატკეცები შეადგენენ (ნახ. 4, 1; 5, 2; 7, 3). მათი დამახასიათებელი ნიშნებია: ქვედა სიბრტყის მიმართ 110° — 140° -იანი ბლაგვი კუთხით განლაგებული ფართო, გლუვი, დაქანებული დარტყმის მოედნები და მეტად რელიეფური ბურცული მოზრდილი ნიჟარი-

სებური ზადით. მოედნებს კარგად ეტყობათ ნახევარწრიული მოყვანილობის დარტყმის წერტილი (ზოგჯერ ორი-სამიც), ხოლო ქვედა სიბრტყეს მისგან მომდინარე სხვისებური ბზარები. იაშთხვას შუა და გვიანაშელურ მასალებში გვხვდება მოგრძო სწორკუთხედისებური, სამკუთხედისებური და სხვა ტიპის ლევალუური ნუკლეუსები და გლუვ (ნახ. 5, 1) და შესწორებულ (ნახ. 6, 3) დარტყმისმოედნიანი ლევალუური ანატკეცები და მათზე დამზადებული იარაღიც.

დასრულებულ იარაღებს შორის იაშთხვაზე ყველაზე ბევრია ნაირგვარი (ჩახნექილი, ამოზნექილი, სწორი, ოპირა და სხვ.) სახოკები (ნახ. 6, 4), ამოღარული და დაკბილული ფორმები და კაყის მასიურ ანატკეც-ანამტვრევებსა და კაქრებზე დამზადებული ცალმხრივი (ნახ. 7, 1) და ორმხრივი (ნახ. 7, 2) ტლანქი საჩეხი იარაღი. ვარდა ამისა, ნაპოვნია ნისკარტისებური და დანისებური იარაღები, უხეში წვეტანები, სახვრეტები თუ ბურღისებური იარაღები და 10-ზე მეტი მთელი ხელცული და მათი ნატეხები. ხელცულებში გამოიყოფა ნუშისებური (ნახ. 8), ოვალური, მსხლისებური (ნახ. 2, 2) და სხვა მოყვანილობის იარაღი.

აღნიშნული მასალა ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით: ქვის პირველად დამუშავებაში წამყვანი ადგილი აშელ-კლექტონურ ტექნიკას უკავია, ლევალუური ატკეცის წესი იშვიათად გამოიყენება, იარაღს შორის ყველაზე ბევრია სახოკები და ამოღარული და დაკბილული (მსხვილებილა) ნაკეთობები, ბევრია უხეში საჩეხი იარაღი და ცოტაა ხელცული²⁸.

²⁸ В. И. Громов. Палеонтологическое и археологическое обоснование стратиграфии континентальных отложений четвертичного периода на территории СССР. Труды Института геологических наук АН СССР, вып. 64 (Геологическая серия № 17), М., 1948, с. 268—276; Г. Ф. Мпичник, Корреляция континентальных четвертичных отложений Русской равнины и соответствующих отложений Кавказа и Понто-Каспия, Сборник «Материалы по четвертичному периоду СССР», М.—Л., 1936, с. 23—26; Е. В. Шандер. Условия залегания и геологическая датировка Абхазского палеолита, Бюллетень комиссии по изучению четвертичного периода АН СССР, № 6—7, М., 1940, с. 97—100; С. Н. Замятин, Палеолит Абхазии, с. 8—24; Его же, Очерки по палеолиту, с. 75—83; М. З. Панпчкниа, Палеолит Армении, Л., 1950, с. 40—42; Л. Н. Соловьев, Указ. соч., с. 3—27; Его же, Новые находки шельских орудий, «Материалы по археологии и искусству Абхазии», Сухуми, 1974, с. 11—17; И. И. Коробков, Новые палеолитические находки на Яштухе, с. 91—87; Его же, Циклусы Яштуха, МИА СССР, т. 5, М.—Л., 1965, с. 76—103; Д. М. Гушабрамшвили, Палеолит в Грузии, Пещеры Грузии, 9, Тб., 1971, с. 51; Д. М. Гушабрамшвили, А. К. Векуа, Палеолит в Грузии, Четвертичная система Грузии, Тбилиси, 1982, с. 179; Н. З. Бердзенишвили, Новые данные о палеолите Абхазии, с. 159—181; მისვე, ახლად აღმოჩენილი ძველქვის ხანის ძეგლები აფხაზეთში, საქართველოში 1958 წ. წარმოებული საეპლე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოხსენების თეზისები. თბ., 1959, გვ. 6—8; აფხაზეთის მთისწინა ზოლის ქვედაპლეოლითური ძეგლები (იაშთხვა), გვ. 13—40.

იაშთხვას გვერდით მდებარეობს აშელის ხანის მეორე საყურადღებო ძეგლი მთა ბირცხი. მის თხემსა და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე საქართველოს შავიზღვისპირეთის პალეოლითური ექსპედიციის მიერ მოპოვებულია 300-ზე მეტი ქვის ნივთი. ეს ადგილსამყოფელი საინტერესოა იმით, რომ იაშთხვასა და აფხაზეთის სხვა ქვედაპალეოლითური „ღია“ ძეგლებისაგან განსხვავებით, აქ შეგროვდა აშელის მეორე ნახევრის სრულიად სუფთა ზედაპირული მასალა, რომელსაც არ ურევია არც ადრეული და არც მუსტიეური და ზედაპალეოლითური ნაშთები. ბირცხის კოლექცია შედგება კიროვანი კაჟისაგან დამზადებული, ტექნიკურ-ტიპოლოგიურად იაშთხვას ანალოგიური და ქრონოლოგიურად ნაწილობრივ თანადროული ნივთებისაგან. მართალია ბირცხზე არ არის ნაპოვნი ხელცულები, მაგრამ ნუკლეუსები, ანატყეც-ნამზადები და დასრულებული იარაღი აშელის მეორე ნახევრის იმავე ტიპებითაა წარმოდგენილი, როგორცაა მეზობელ იაშთხვაზე (ნახ. 9, 1—9; 10, 1—13). აქაც წამყვანია ქვის პირველადი დამუშავების არალევალუაური, არქაული ტექნიკა და მასალის უდიდესი უმრავლესობა აშელ-კლექტონური ხასიათისა²⁹.

შავიზღვისპირეთში მუსტიეური ძეგლები გამოვლენილია ბზიფის ეხში, აპიანის მღვიმის ქვედა ფენაში, რომლის გათხრა-შესწავლაც ახლა მიმდინარეობს და „ღია“ სადგომებზე: სოფ. კელასურში, სოფ. კალდახვარაში, ქ. ოჩამჩირეში, სოფ. ლინხში, მთა იაშთხვასა და მის შემოგარენში, სოფ. მოქეში, ქ. გალში, სოფ. ილორში, სოფ. ღუმურიშში და სხვ. მდ. ენგურისა და ერისწყლის აუზში მიკვლეულია ერთადერთი მღვიმური ძეგლი — ეწერფერდის მღვიმე, ხოლო მათი ორივე ნაპირის ტერასებზე „ღია“ ადგილსამყოფლები რეჩხი I—III, ცხირი, მუჟავა, ჭალე, ჯვარზენი, ეწერი, ჩქვალერი, ფახულანი, ეწერფერდი და სხვ.

ამ ძეგლებიდან უკეთესადაა შესწავლილი მუსტიეს ხანის სხვადასხვა ქრონოლოგიური საფეხურის მრავალრიცხოვანი მასალით წარმოდგენილი იაშთხვას ვრცელი ადგილსამყოფელი, სადაც ზოგი მკვლევარი (ი. ი. კორობკოვი) გამოყოფს ლევალუა-მუსტიეს, გვიან დაკბილულ მუსტიეს და სხვა განსხვავებული ინდუსტრიების შემცველ ცალკეულ პუნქტებს. მუსტიეური მასალები გავრცელებულია მთა იაშთხვასა და V (80—100 მ) და უფრო დაბალ ჰიფსომეტრიულ სიმაღლეებზე მდებარე (IV, III, II) ზღვიურ ტერასებზე. მათში გვხვდება კაჟის დისკოსებური (ნახ. 11, 1) და ფუძიანი არალევალუაური და ლევალუაური ნუკლეუსები, გლუვი და ფაცეტირებული სწორი და ამოზნექილი დარტყმისმოედნიანი ანატყეცები (ნახ. 11, 4) და ლამელები, სახოკები, მუსტიეური და ლევალუაური რეტუშირებული წვეტანები (ნახ. 11, 3), ნისკარტისებური იარაღები, საჭრისები (ნახ. 11, 2) და სხვა იარაღები.

²⁹ თ. ბუგიანი შვილი, სოხუმის მიდამოების ქვედაპალეოლითური ძეგლები (მთა ბირცხი), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საისტორიო კრებული II, თბ., 1971, გვ. 238—272.

შავიზღვისპირეთის და ენგურ-ერისწყლის აუზის დანარჩენ მუსტიეურ ძეგლებზე ძირითადად მცირერიცხოვანი ქვის მასალებია მოპოვებული. დაშადებულია ისინი კაყის, კაყოვანი კირქვისა და სხვა ქანებისაგან. შერგოვებულ კოლექციებში გვხვდება: დისკოსებური, მაროსებური, სამკუთხედისებური, პრიზმისებური და ფუძიანი არალევალუური და ლევალუური ნუკლეუსები, რომელთაც დარტყმის მოედნები ზმირად რეტუშით აქვთ შესწორებული; არალევალუური ანატეცები, ფაქეტირებული სწორი და ამოზნექილი დარტყმის მოედნიანი ლევალუური ანატეცები და ლამელები და სამკუთხედისებური ანატეცები; ამგვარ ანატეც-ლამელებზე გაფორმებული დასრულებული იარაღ-ხელსაწყოები. იარაღებს შორის წამყვანი ადგილი წვეტანებს უკავიათ. მათში გამოიყოფა ლევალუური რეტუშირებული, მუსტიეური, მოგრძო ფოთლისებური და ფოთლისებური ორმაგი წვეტანები. სხვა იარაღებიდან წარმოდგენილია სახოკები, საფხეკები, დანები, მინიატურული ხელცულისებური იარაღები, საჭრისები და სხვ.

აღნიშნული ცალკეული ადგილსამყოფლების მასალები ასაკობრივად მეტნაკლებად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და მოიცავენ ქრონოლოგიურ დიაპაზონს ადრეულიდან (ლიხნი, რეჩინ III და სხვ.), გვიან მუსტიემდე (კელასური, მუყავა და სხვ.) ჩათვლით. მასალების სიმცირის გამო არ ხერხდება მათი მუსტიეს კულტურის რომელიმე ტექნიკურ-ტიპოლოგიური ვარიანტისა (ტიპიური მუსტიე, დაკბილული მუსტიე და სხვ.) თუ მისი ლოკალური სახესხვაობისადმი მიკუთვნება³⁰.

ადრეული პალეოლითური ძეგლები ფართოდაა გავრცელებული ისტორიული იმერეთის ტერიტორიაზე, მდ. რიონისა და ყვირილას აუზებში. რეგიონის ქვის ხანას სამი ათეული წელიწადია იკვლევნ ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციები და თუშბარამიშვილის, ნ. ბერძენიშვილისა და მ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. ამ ექსპედიციების მიერ სხვადასხვა წლებში განხორციელებული საველე საკვლევამებო სამუშაოების შედეგად სადღეისოდ რიონ-ყვირილას აუზში 60-ზე მეტი ქვედაპალეოლითური ძეგლია აღმოჩენილი და მეტ-ნაკლები სისტრულით შესწავლილი. გამოვლენილი ძეგლებიდან 17 აშუბლის სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს მიეკუთვნება, დანარჩენი კი მუსტიეს ხანისაა. ყველა აშუბლური ადგილსამყოფელი და მუსტიეური ძეგლების უდიდესი უმრავლესობა არასტრატეფიცირებული „ლია“ ტიპისაა. სამაგიეროდ, ამავე რაიონშია თავ-

³⁰ С. Н. З а м я т н и и. Очерки по палеолиту, с. 92—98; И. И. Коробков. Итоги пятилетних исследований Яштухского палеолитического местонахождения, с. 194—206; ნ. ბერძენიშვილი, აფხაზეთის მთსწინა ზოლის ქვედაპალეოლითური ძეგლები (მთა იაშთხეა), გვ. 13—40; გ. გრიგოლია, ერისწყლის ხეობის ქვედაპალეოლითური ძეგლები, გვ. 55—61; მისავე, ენგურის ხეობის ქვედაპალეოლითური ძეგლები, გვ. 46—57.

მოყრილი მუსტიეს ეპოქის ნაშთების შემცველი 12 მრავალფენიანი მღვიმური ნაბინარი: ბრინჯაოს მღვიმე, ორმაგი ეხი, საკაჟია, ორთვალა მღვიმე, ჭრუჭულა, სამგლე კლდე, შვალეთის მღვიმე, ჭახათის ეხი და სხვ.

ქვედაპალეოლითური ძეგლების უმრავლესობა გამოვლენილია მდ. ყვირილას ხეობაში, ჭიათურის რაიონის ფარგლებში. აქ მდებარეობს აშელური (15) და მუსტიეური „ლია“ ძეგლების უმეტესობა და მღვიმური სადგომები ჭრუჭულა, ორთვალა კლდე, შვალეთი და სამგლე კლდე. „ლია“ ძეგლები განლაგებულია მდინარის ორივე სანაპიროზე, 200—250 მ შეფარდებითი სიმაღლის პლატოებზე, ხშირად კაჟის ბუნებრივი გამოსავლების ადგილზე ან მის მახლობლად. აშელური და მუსტიეური ნაშთები შეგროვებულია მიწის ზედაპირზე. ისინი აქ მოხვედრილა ნიადაგის ფენის ლოკალური გადარეცხვის შედეგად, შორს არ არის გადატანილი და თითქმის თავისი თავდაპირველი სამყოფლის ადგილზეა ნაპოვნი. დამზადებულია ნივთები ძირითადად ადგილობრივი ტურონ-სენონის იარუსის კაჟისაგან. მათთვის დამახასიათებელია ზედაპირების ღრმად პატინირება და წიბოების შედარებით ნაკლები გადაღესილობა.

მდ. ყვირილას ხეობის აშელურ ძეგლთაგან ყველაზე აღრეული და მნიშვნელოვანი მასალები აღმოჩენილია საქორიაზე. ძეგლი 1957 წელს გამოავლინა და შეისწავლა დ. თუშაბრამიშვილმა. იგი მდებარეობს სოფ. კაცხის ტერიტორიაზე, მდ. ყვირილას მარჯვენა სანაპიროს პლატოზე, ზღვის დონიდან 700 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე. აქ მოპოვებულია აშელის მეორე ნახევრისა და მუსტიეს ხანის მრავალრიცხოვანი ნაშთები. მათგან მორფოლოგიური და ტიპოლოგიური ანალიზის გზით გამოყოფილია შედარებით არქაული იერის 2200 კაჟის ნივთი, რომელიც შუა აშელის ხანით თარიღდება. აღნიშნული კოლექცია შედგება ნუკლეუსების, ანატკეების, სახოკების, წვეტანების, სახვრეტისებური იარაღების, უხეში საჩეხი იარაღებისა და ერთადერთი ხელეულისაგან.

ნუკლეუსები (330 ც.) დისკოსებური, არალევალუაური ერთფუძიანი, ორფუძიანი, სამკუთხედისებური და სხვა ტიპისაა. მათში გაცილებით ჭარბობს დისკოსებური (100 ც.) და ერთფუძიანი ნუკლეუსები. სხვები მცირე რაოდენობითაა. დამზადებულია ნუკლეუსები ძირითადად მთლიან კაჭრებზე.

დისკოსებური ნუკლეუსები მასიური, ცალმხრივ და ორმხრივდამუშავებულია. მათი დიამეტრი 4 სმ და 11 სმ შორის მერყეობს. ცალმხრივებს სამუშაო (ატკეის) ზედაპირის საპირისპირო მხარე დაფარული აქვთ კაჭრის კანით. სამუშაო ზედაპირებს კარგად ეტყობა რადიალური (ნაპირებიდან ცენტრისკენ მიმართული) ატკეის არაწესიერი მოყვანილობის ფართო და ღრმა ნეგატივები. ნუკლეუსების ირგვლივ დარტყმის მოედნის ნაპირები შესწორებული არ არის და პროფილში ზიგზაგისებურ, ტეხილ ხაზს ქმნიან. მასიურობითა და უხეში ატკეით ხასიათდებიან ერთფუძიანი ნუკლეუსებიც, რომელთა სიგრძეც 4,5 სმ და 13 სმ შორის მერყეობს. მათ ძირითადად ერთი ფართო ფირ-

ფიტის ატკეცით ან კაქრის ერთ-ერთი მხარის უბრალო გადამტერევეთ გაფორმებული გლუვი დარტყმის მოედანი აქვთ.

ანატკეცები (1700 ც.) კლექტონური და არალევალუაური ტიპისაა. ახასიათებთ დაბალი, ფართო ან მოგრძო, განიერი შემთხვევითი მოყვანილობა. მათი სიგრძე 5 სმ და 13 სმ შორის მერყეობს, სიგანე 4 სმ და 9 სმ შორის, ხოლო სისქე 1,5 სმ და 4 სმ შორის. ანატკეცებს აქვთ გლუვი, ნუკლეუსზე მეტნაკლებად უხეშად შესწორებული და კაქრის კანით დაფარული დარტყმის ჰოლდნები და რელიეფური ბურცული მოზრდილი ნიჟარისებური ზადით, რომელსაც ქვედა სიბრტყის ნახევარი ან მეტი უკავია. უდიდეს უმრავლესობას გლუვ დარტყმისმოედნიანი ანატკეცები შეადგენენ. გლუვი მოედნები ფართოა, დაქანებულია ქვედა სიბრტყისაკენ და 110° — 120° -იან ბლაგვ კუთხეს ქმნიან მასთან. მოედნებს ხშირად კარგად ეტყობა ნახევარწრიული მოყვანილობის დარტყმის წერტილი, ხოლო ბურცულს მისგან მომდინარე სხივისებური ბზარები. ანატკეცებს ზედა სიბრტყეზე აქვთ წინამორბედი უხეში ატკეცის არაწესიერი, ფართო და ღრმა ნეგატივები, ანდა იგი მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარულია კაქრის კანით. რეტუშირებულია მხოლოდ რამდენიმე ანატკეცი.

იარაღებში ყველაზე ბევრია სახოკები (50 ც.). მათ შორის გვხვდება ამოწევი, სწორ, ჩაზნექილ სამუშაოპირიანი და ორპირა იარაღები. დამზადებულია ისინი უპირატესად შესწორებულ დარტყმისმოედნიან მოგრძო ანატკეცებზე. სამუშაო პირები გაკეთებულია ცალმხრივი (ძირითადად ზედა სიბრტყის მხრიდან), კონტურსდაქვემდებარებული, უხეში რეტუშით. შედარებით ფაქიზი, ფართოფაეტოვანი რეტუშით დამუშავებულია ორიოდ იარაღი.

წვეტანები (38 ც.) დამზადებულია 4—10 სმ სიგრძისა და 2—5 სმ სიგანის მასიურ, სამკუთხედისებური მოყვანილობის, შესწორებულ დარტყმისმოედნიან ანატკეცებზე. ისინი ტლანქია და რეტუშირებულია იმდენად უხეშად, რომ დაუმთავრებელი იარაღების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

სახოკებისა და წვეტანების შემდეგ, რაოდენობით ყველაზე მეტია უხეში საჩეხი იარაღები (17 ც.), რომლებიც გადაკეთებულია დისკოსებური ნუკლეუსებიდან. მათ აქვთ შედარებით თხელი, ზიგზაგისებური სამუშაო პირი, შესწორებული პაწია ფირფიტების ატკეცით. საჩეხებს შორის გვხვდება, როგორც 5 სმ, ასევე 9—10 სმ დიამეტრის მქონე იარაღები.

სახერეტისებური იარაღი სულ 3 ცალია. დამზადებულია ისინი მოგრძო ანატკეცებზე. სამუშაო წვერი გაფორმებული აქვთ უხეში რეტუშით.

საქორიაში ნაპოვნი ერთადერთი ხელცული გადაკეთებულია დიდი ზომის კაქრის ნუკლეუსიდან, ერთ ზედაპირზე შერჩენილი აქვს კაქრის კანი, მთლიანად დაფარულია მოვარდისფრო სქელი პათინით და არქაული იერიითა და სიტლანქით გამოირჩევა. მისი სიგრძე 12,5 სმ-ია, სიგანე — 9 სმ, ხოლო სისქე ქუსლთან — 8 სმ. აქვს ცენტრალური ღერძის მიმართ ირიბად განლაგებული, რამდენიმე ფართო ანატკეცის ჩამოთლით გაფორმებული. მასიური, ბრტყელი ქუსლი. იარაღი გათლილ-დამუშავებულია ფართო და მსხვილი ფირფიტების

ორმხრივი ატყეით. სამუშაო ნაწილი რეტუშით შესწორებული არ არის. მისი ნაპირები პროფილში ზიგზაგისებურია.

ამრიგად, საქორიის ადგილსამყოფლის ინდუსტრიის ძირითადი ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნებია: ქვის პირველადი დამუშავების აშელ-კლექტონური ტექნიკა, იარაღებში სახოკებისა და წვეტანების მოჭარბება, დისკოსებური ნუკლეუსების გადაკეთებით მიღებული უხეში საჩეხი იარაღების სიმრავლე და ხელცულების სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა.

განხილული კაეის მასალის სიტლანქე, ღრმა პატინა, პირველადი და მეორადი დამუშავების პრიმიტიული ტექნიკა, დარტყმის მოედნების ხასიათი, ხელცულების გაფორმების წესი და სხვ., დამახასიათებელია შუა აშელისათვის და საქორიის აღნიშნული ეპოქისადმი კუთვნილებაზე მიუთითებს, ხოლო მოპოვებული მასალის სიმრავლე, ხასიათი და შემადგენლობა და, ძეგლის უშუალოდ კაეის საბადოსთან მდებარეობა, იმის მაჩვენებელია, რომ აქ პირველ ყოფილ ადამიანთა საქმოდ დიდი სადგომ-სახელოსნო ყოფილა.

მდ. ყვირილის ხეობის აშელის ხანის სხვა ძეგლები ამ ეპოქის გვიანი საფეხურით თარიღდება. ესენია: სოფ. კაცხის (საქორია და სარბები), სოფ. პერევისას, სოფ. ჭოყოეთის ადგილსამყოფლები და სხვ. აქ შეგროვებულია კაეის არალევალუური და ლევალუური ნუკლეუსები, კლექტონური ანატკეცები, გლუვ და ფაცეტირებულ დარტყმისმოედნიანი არალევალუური და ლევალუური ანატკეცები და მათზე დამზადებული სახოკები, წვეტანები და სხვა იარაღები. პერევისაში და ჭოყოეთში ნაპოვნია, აგრეთვე, თითო ხელცული. აღნიშნული ძეგლებისათვის დამახასიათებელი ჩანს ქვის გაბოპა-ატკეცის არალევალუური, არქაულ წესთან ერთად, ლევალუური ტექნიკის უკვე საქმოდ ფართოდ გამოყენება, იარაღებს შორის სახოკების სიმრავლე და ხელცულების გეტისმეტი სიმცირე³¹.

მუსტიეს ხანა ყვირილას ხეობაში წარმოდგენილია ადრეული, განვითარებული და გვიანი საფეხურის ძეგლებით. ადრეული პერიოდის ადგილსამყოფლები გამოვლენილია სოფ. ქილოვანში (ჩურგული და ხერგეთი), სოფ. სკინდორში (ბეხნარი, კაენარი, სილნარი და ბეხნარის თავი) და სოფ. კაცხში (ორბალი I—IV), ხოლო განვითარებული მუსტიეს ხანისაა სოფ. სკინდორში (აეები), სოფ. ნავარძეთში და სხვაგან მიკვლეული „ღია“ ძეგლები. ადრეული ძეგლების მასალებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახის არალევალუური და ლევალუური ნუკლეუსები, არალევალუური და ლევალუური ანატკეც-ლამელები, ფაცეტირებულ დარტყმის მოედნიანი სამკუთხედისებური

³¹ დ. თუ შა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ყვირილას ხეობაში, აკად. ს. ჯანაშიას სახ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII—B, თბ., 1962, გვ. 23—33; დ. თუ შა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, ყვირილის ხეობისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციების 1970—1971 წლების ძირითადი შედეგები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 10—11.

ანატყეცები და მცირე რაოდენობით კლექტონური ანატყეცები. იარაღებიდან უნდა დავასახელოთ მინიატურული ხელცულები, საჩეხი იარაღები, ორმხრივ დამუშავებული დისკოები, წვეტანები, სასოკები და სხვ. განვითარებულ მუსტიეში უხეში საჩეხი იარაღები თითქმის აღარ გვხვდება, მხოლოდ გადმონაშთის სახითაა შემორჩენილი ცალკეული დისკოები, წვეტანები და სასოკები დამუშავებულია სრულყოფილი რეტუშით; ანატყეცები შედარებით პატარა ზომებით და სითხელით გამოირჩევიან, მათი უმრავლესობა სამკუთხედიანებურია და შესწორებული დარტყმის მოედნები აქვთ; საკმაოდაა სწორი მოყვანილობის ლამელისებური ანატყეცებიც. როგორც აღრეულ, ისე განვითარებულ ძეგლებზე გაბატონებული მდგომარეობა ქვის პირველადი დამუშავების ლევალუურ ტექნიკას უკავია და მათი მასალები მუსტიეს ლევალუურ ფაციესს მიეკუთვნება³².

მდ. ყვირილას ხეობის გვიანი მუსტიეს ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია სოფ. სალიეთთან ადგილ ხვირათში გამოვლენილი „ლია“ ნაბინარი და განსაკუთრებით მღვიმე ჭრუჭულა.

ხვირათი მდებარეობს მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირზე. იგი წარმოადგენს 20 მ შეფარდებითი სიმაღლის ბორცვს. აქ 1958—1964 წლებში 250-ზე მეტი კაჟის ნივთი შეგროვდა. ეს მასალა ძირითადად წარმოადგენილია ლევალუური ნუკლეუსებით, ფაცეტირებული სწორი და ამოზნექილი დარტყმისმოედნიანი ლევალუური ანატყეცებითა და ლამელებით. ლევალუს ინდექსი 35,5%-ს უდრის, ხოლო ლამელებისა — 26%-ს, რაც მეტად მაღალი მაჩვენებელია. ძეგლზე მოპოვებულ იარაღებს შორის წამყვანი ადგილი ლევალუურ ანატყეცებსა და ლამელებზე ჩამოყალიბებულ სხვადასხვა სახის წვეტანებსა და შუბისპირებს უკავიათ. მათთვის დამახასიათებელია ნაწილობრივი და მთლიანი ორმხრივი დამუშავება. შედარებით ნაკლებია ხვირათის მასალებში სასოკები, დანები, მინიატურული „ხელცულები“ და სხვა იარაღ-ხელსაწყოები, მაგრამ ისინიც სრულყოფილი დამუშავებით ხასიათდებიან. დ. თუშაბრამიშვილი ხვირათის ადგილსამყოფლის მასალას გვიანი ლევალუა-მუსტიეს ხანით ათარიღებს³³.

ქვედაპალეოლითური მრავალფენიანი მღვიმე ჭრუჭულა მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. ქვემო ზოდთან, მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადის მდ. ჭრუჭულას მარჯვენა ნაპირზე, 600 მ აბსოლუტურ და 35—40 მ შეფარდებით სიმაღლეზე. ჭრუჭულა კირქვებში გამომუშავებული კარსტული მღვიმეა, შესასვლელით დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ნათელია და მშრალი.

32 დ. თუშაბრამიშვილი, არქეოლოგიური დაზერვები მდ. ყვირილას ხეობაში, გვ. 33.

33 დ. თუშაბრამიშვილი. მუსტიეს ხანის მასალა ხვირათიდან. საქართველოს საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXX—B, თბ., 1974, გვ. 5—19.

მისი სიღრმე 17 მ-ია, სიგანე ცენტრალურ ნაწილში — 11 მ, ხოლო სიმაღლე — 6 მ.

ჯრუჭულას მღვიმე 1958 წელს აღმოაჩინა და 1959—1966 წლებში გათხარა და შეისწავლა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დ. თუმბარამიშვილის ხელმძღვანელობით. მღვიმეში გამოვლინდა მუსტიეს ხანის მასალების შემცველი ორი კულტურული ფენა. მათი საერთო სიძლიავე 4 მ-ს აღემატება. I (ზედა) და II (ქვედა) ფენები გამოყოფილია ერთმეორისაგან 1 მ სიმაღლის სტერილური ფენით. კულტურულ ფენებში მუსტიეური მასალები წარმოდგენილია კერებით და მათი ნაშთებით, ცხოველთა ძვლებით, ადამიანის ერთი კბილით, კაჟის, არგილიტის, ანდეზიტის და სხვა ქანების იარაღ-ხელსაწყოებითა და წარმოების ნარჩენებით.

I ფენაში გამოვლინდა კერის ნაშთი და ქვებით შემოზღუდული 10 სმ სიმაღლის კერა, ხოლო II ფენაში ორი პატარა კერის ნაშთი და 10—12 სმ სიმაღლისა და 18 კვ. მ ფართობის კერა. ამ კერასთან 3,35 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ნეანდერტალელიდან თანამედროვეზე გარდამავალი საფეხურის ადამიანის, ნეანდერტალიდის ზედა საშირე კბილი. ფაუნის ნაშთების მიხედვით, ორივე ფენაში დამოწმებულია ცხოველთა შემდეგი სახეობები: მღვიმის დათვი, კეთილშობილი ირემი, დომბა, მერკის მარტორქა, შველი, გარეული ცხენი, არჩვი, აღმოსავლურ კაკასიური თხა, ზაზუნა და სხვ. ქვედა კულტურულ ფენაში გაცილებით ჭარბობს მღვიმის დათვის ძვლები, ზედაში კი წყვილჩლიქიანთა ნაშთები.

I ფენის ქვის ნივთების კოლექციაში არის: ნუკლეუსები, ქერცლისებური ანატეცები და ანამტკრევეები, ანატეცები, ლამელები, წვეტანები (ნახ. 12, 1—12), სახოკები, ლიმასები, საფხეკები, საჭრისები, დანები და კომბინირებული იარაღები. იარაღების სამუშაო პირების. გასაფორმებლად გამოყენებულია თხელფაეტოვანი დამრეცო, ნახევრადციკაბო, ორმხრივი და სხვა სახის რეტუში და სასაჭრისე ჩამონატეხებით დამუშავება. ფენაში ნუკლეუსები ცოტაა. მათში გვხვდება პოლუსური, დისკოსებური და ზედაპალეოლითურის მსგავსი პრიზმისებური ნუკლეუსები. წარმოების ნარჩენები ე. ო. ქერცლინებული ანატეცები და ანამტკრევეები უმნიშვნელო რაოდენობითაა. ნამზადებში გაბატონებული მდგომარეობა ლევალუურ ანატეცებსა და ლამელებს უკავიათ. მათთვის დამახასიათებელია რეტუშით შესწორებულ, ფაცეტირებული ამოზნექილი და სწორი დარტყმის მოედნები და მნიშვნელოვანი სიგრძე (15 სმ-მდე) და სიგანე (4—5 სმ).

განსაკუთრებით ბევრია I კულტურულ ფენაში იარაღები. ისინი მთელი მასალის თითქმის 65%-ს შეადგენენ. უდიდესი უმრავლესობა დამზადებულია ლევალუურ ლამელებსა და ანატეცებზე. წამყვანი იარაღია — წვეტანები, რომლებიც დამუშავების მაღალი ტექნიკით გამოირჩევიან. მათ შორის გვხვდე-

ზა ორმხრივდამუშავებული და შატელპერონის ტიპის დანის მსგავსი ნაკეთო-
ბები. იარაღებში რაოდენობით მეორე ადგილზეა სახოკები. მათი უმეტესობა
სწორსამუშაოპირიანია. სხვა იარაღები ცოტაა, მაგრამ ისინიც კარგადაა დამუ-
შავებული. ფენის ქვის მასალის ლევალუას ინდექსი მეტად მაღალია და 74 %-ს
აღწევს. ლამელების ინდექსი უდრის 62 %-ს, ხოლო დარტყმის მოედნების
ფაცეტირების საერთო ინდექსი 69 %-ს. მასალა ტიპური მუსტიეს ლევალუაუ-
რი ფიცისის ლამელარულ, ფაცეტირებულ ინდუსტრიას მიეკუთვნება.

I ფენაში წარმოების ნარჩენების სიმცირე და იარაღების ძალიან მაღალი
ხვედრითი წილი მიუთითებს, რომ იარაღების უმრავლესობა სხვაგან, კაჟისა
თუ არგილიტის გამოსაყვლების მახლობლად მზადდებოდა და აქ ისინი უკვე
გამზადებული მოჭკონდათ, ხოლო პატარა კერებისა და ცხოველთა ძვლების
დიდი რაოდენობით აღმოჩენა მოწმობს, რომ მღვიმე იმ დროს მონადირეთა
დროებით ბანაკს წარმოადგენდა.

ჯრუჭულას მღვიმის II კულტურულ ფენაში მრავალრიცხოვანი ქვის მასა-
ლა აღმოჩნდა. მათი უმეტესობა თავმოყრილი იყო დიდი კერის ირგვლივ. წარ-
მოების ნარჩენები აქ მთელი კოლექციის 70 %-ს შეადგენენ, რაც მოწმობს,
რომ ქვის პირველადი და მეორადი დამუშავებაც ადგილზე ხდებოდა. გამოვ-
ლენილი კერის სიმძლავრე და მის გარშემო მიმოხეული წარმოების ნარჩე-
ნების სიმრავლე გვაუწყებს, რომ II კულტურული ფენის წარმოქმნის ხანაში
ჯრუჭულას მღვიმე პირველყოფილ ადამიანთა ხანგრძლივი სადგომი ყოფილა.

II ფენაში გაბატონებულია ქვის გაბობა-ატეკვის ლევალუური ტექნიკა.
ნუკლეუსები ძირითადად ერთფუძიანი, ორფუძიანი და მრავალფუძიანია. ანა-
ტეკეც-ლამელების უმრავლესობა ლევალუურია. ანატეკეცი შედარებით მსხვი-
ლია, ხოლო ლამელები მოკლე და მასიური, მაგრამ, როგორც წესი, მათ დარ-
ტყმის მოედნები შესწორებული აქვთ რეტუშით.

იარაღებიდან II ფენაში მოპოვებულია: სახოკები (ნახ. 13, 1—3, 5—9,
11), წვეტანები (ნახ. 14, 1, 2, 5—9, 11—14), დანები (ნახ. 14, 4), საფხეკები,
ლიმასები (ნახ. 13, 4, 10), საჭრისები (ნახ. 14, 3, 10) და სხვ. მათ გასათვრამბ-
ლად გამოყენებულია მსხვილფაცეტოვანი ციცაბო, ნახევრადციცაბო, საფე-
ხუროვანი და თხელფაცეტოვანი დამრეცი ცალმხრივი რეტუში. მთლიანობაში
დამუშავების ტექნიკა I ფენასთან შედარებით არქაული და უხეშია. წამყვანი
იარაღია — სახოკები. მასიურ ანატეკეცებზე დამზადებული შედარებით არქაუ-
ლი ცალპირა, ამოზნექილი და ჩაზნექილი სახოკების გვერდით არის ლევა-
ლუურ ანატეკეც-ლამელებზე დამზადებული ცალპირა და ორპირა ფორმები.
წვეტანები II ფენაში ცოტაა, ისინი, ძირითადად, ლევალუურ ლამელებზეა
გაფორმებული. მათში გამოიყოფა ფოთლისებური, მოგრძო ასიმეტრიული და
ნაწილობრივ ორმხრივრეტუშირებული წვეტანები. სხვა იარაღები აქაც, ისევე
როგორც პირველ ფენაში ცალკეული ნაკეთობებითაა წარმოდგენილი. მეორე
ფენის ლამელების ინდექსი 25 %-ს უდრის, დარტყმის მოედნების ფაცეტი-

რების საერთო ინდექსი 61,8%-ს, ხოლო ლევალუას ინდექსი 48,6%-ს. ამრიგად, ჯრუჭულას მღვიმის II კულტურული ფენის ქვის მასალაც ლამელარული, ფაცეტირებულია და ტიპიური მუსტიეს ლევალუაურ ფაციესს მიეკუთვნება.

დ. თუშაბრამიშვილი ჯრუჭულას მღვიმის I კულტურული ფენის მასალას გვიანი მუსტიეს დასასრულით, მისი ფინალით ათარილებს, ხოლო II ფენისას ამ ეპოქის შუა ან ადრეული საფეხურით. ორივე ფენა ვიურმის გამყინვარების პირველ ნახევარში თავსდება³⁴.

მღვიმე ორთავალა კლდე (სურ. 2) მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. დიდი რგანის ტერიტორიაზე, მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადის მდ. ჭერულას ხეობაში. იგი 1973 წელს აღმოაჩინა ყვირილის აუზის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით. ძველი ითხრებოდა 1974—1975 და 1978—1979 წლებში. მისი არქეოლოგიური შესწავლა არ არის დასრულებული.

მღვიმის გათხრილი ნაწილის განივ ჭრილში გამოიყოფა 2,68 მ საერთო სიმძლავრის ცხრა ფენა. მუსტიურ მასალებს შეიცავდა ექვსი ფენა I—III და IV—VI (ნახ. 15).

ორთავალა კლდე მუსტიეში ნეანდერტალელი ადამიანის სადგომ-სახელოსნო ყოფილა. ძველის აღნიშნული ხანის ფენებში აღმოჩნდა ნუკლეუსები, ჭერცლისებური ანატკეცები, ანამტვრევები, არალევალუაური და ლევალუაური ანატკეც-ლამელები და მზა იარაღები. საიარაღო მასალად გამოყენებულია ძირითადად კაყი და კაყვანი კირქვა, იშვიათად კი არგილიტი და ობსიდიანი.

იარაღები წარმოდგენილია სახოკებით (ამოხნექილი, ჩახნექილი, სწორი, კონვერგენტული, ორმაგი და სხვ.), საფხეკებით, წვეტანებით, დაკბილული და

³⁴ დ. თუშაბრამიშვილი, არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ყვირილას ხეობაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოში 1958 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოხსენებთა თეზისები, თბ., 1959, გვ. 9; მისივე, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთების პალეოლითური ექსპედიციის ყვირილის რაზმის მიერ 1959 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1960, გვ. 11—13; ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 3—6; ჯრუჭულას ხეობის მღვიმეები, საქართველოს მღვიმეები, ტ. I, თბილისი, 1963, გვ. 7; ჯრუჭულას გამოქვაბულში 1960—1961 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები, საქართველოს მღვიმეები, ტ. III, თბ., 1963, გვ. 97—108; ნეანდერტალელი ადამიანის ნაშთი ჯრუჭულას გამოქვაბულიდან, სპელოლოგია მეორე სამეცნიერო სესია, მოხსენებთა მოკლე შინაარსი, თბ., 1962, გვ. 37—40; Г а б у н и я Л. К., Туш а б р а м и ш в и л и, Д. М. Веку а А. К., Первая находка остатков мустьерского человека на Кавказе, Вопросы антропологии, М., 1961, вып. 8, с. 161; В. П. Л ю б н и, Мустьерские культуры Кавказа, Л., 1977, с. 67—95.

ამოღარული იარაღებით, ნაწილობრივ ორმხრივდამუშავებული იარაღებით, ნატურალურ ზურგიანი დანებით, სათლეოსებური იარაღებით და სხვ. (ნახ. 16, 1—21). წამყვანი ადგილი საზოგადოებრივ უყავიათ. იარაღების დასამზადებლად გამოყენებულია ძირითადად თანამიმდევარი, ქერცლისებური და საფეხუროვანი რეტეში. ლევალუაური ნაკეთობები მცირე რაოდენობითაა. მასალა მთლიანად ტიპური მუსტიეს არალევალუაურ, არაფაქტირებულ ინდუსტრიას მიეკუთვნება. დ. თუშაბრამიშვილი წინასწარულად I—III ფენების მასალებს გვიანი მუსტიეს, ხოლო IV—VI ფენებისას განვითარებული მუსტიეს ხანით ათარილებს³⁵.

როინ-ყვირილას აუზის მუსტიეს ხანის ძეგლებს შორის მეტად თავისებური და განსაკუთრებული ადგილი უკავია ცუცხვათის მრავალიარუსიანი მღვიმეებისა და ეხების კომპლექსს ანუ ცუცხვათის მღვიმოვანს. კომპლექსი გეოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია XIX საუკუნიდან. იგი მდებარეობს ტყიბულის რაიონის სოფ. ცუცხვათთან მდ. შაბათაღელის ხეობაში. აქ კირქვებში გამოშუშავებული ათამდე კარსტული მღვიმე და ეხია. განლაგებულია ისინი შაბათაღელის ორივე ნაპირზე სართულებად, ზღვის დონიდან 260—340 მ სიმაღლეებს შორის.

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის ლ. მარუაშვილის ინიციატივითა და საერთო ხელმძღვანელობით ცუცხვათის მღვიმე-ეხთა სისტემას 1970 წლიდან მოკიდებული, წლების მანძილზე იკვლევდა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ცუცხვათის კომპლექსური ექსპედიცია, სხვადასხვა დარგის მოწვეულ მეცნიერ-სპეციალისტთა თანამონაწილეობით.

მღვიმოვანის არქეოლოგიური შესწავლა მიმდინარეობდა 1970—1971 და 1974—1976 წლებში დ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით. მეტ-ნაკლები მასშტაბის გათხრითი სამუშაოები ჩატარდა ზედა მღვიმეში, ბრინჯაოს, ბიზონის, დათვის მღვიმეებში და ორმაგ ეხში. ყველა მათგანში გამოვლინდა ცხოველების ძვლებისა და მუსტიეს ხანის ქვის მასალის შემცველი კულტურული ფენები.

ფაუნა მღვიმეების მუსტიეურ ფენებში ძირითადად წარმოდგენილია ცხოველთა შემდეგი სახეებით: მღვიმის დათვი, მურა დათვი, კეთილშობილი ირემი, გიგანტური ირემი, მერკის მარტორქა, გარეული. ცხენი, მღვიმის ლომი, პირველყოფილი ბიზონი, ტახი, მაჩვი, შველი, ფოცხვერი და სხვ. ამასთან ზედა

³⁵ დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციების 1974—1975 წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბილისი, 1977, გვ. 5—21; მისივე, ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1978—1979 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბ., 1980, გვ. 5—18.

ფენებში ყველაზე მეტია მღვიმის დათვის ნაშთები, ქვედა ფენებში კი წყვილ-ჩლიქიანები ჭარბობენ.

ტუცხვათის ქვედაპალეოლითურ ძეგლთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ბრინჯაოს მღვიმე. იგი მდებარეობს მდ. შაბათალელის შარცხენა სანაპიროზე, 18 მ შეფარდებით სიმაღლეზე და მღვიმოვანის მეხუთე სართულს წარმოადგენს. მღვიმე კლაკნული დერეფნისებურია. მისი სიღრმე დაახლოებით 100 მ უდრის. შესასვლელით გახსნილია ჩრდილოეთისაკენ და მზით მხოლოდ ნაწილობრივ ნათდება შუადღისას.

ბრინჯაოს მღვიმეში გამოვლინდა მუსტიეს ხანის 5 კულტურული ფენა, რომლებშიაც აღმოჩნდა კერების ნაშთები (II, III და IV ფენები), 12—13 წლის ნეანდერტალელის კბილი (II ფენა) და 6279 ქვის ნივთი. ზუთივე ფენის ქვის მასალა შედგება წარმოების ნარჩენების, ნუკლეუსების, სხვადასხვა სახის ანატეკე-ლამელებისა (ნახ. 17, 14) და დასრულებული იარაღებისაგან. საიარაღო მასალად გამოყენებულია ძირითადად მონაცრისფრო კაჟი, აგრეთვე არგილიტი, ანდეზიტი და ძალიან იშვიათად ობსიდიანი და სხვა ქანები.

ნუკლეუსებს შორის არის ლევალუაური (ნახ. 17, 9, 10) და არალევალუაური (ნახ. 17, 13) ფუძიანი ნუკლეუსები, დისკოსებური ცალმხრივი (ნახ. 17, 11) და ორმხრივი (ნახ. 17, 12), კუბისებური და ამორფული ტიპები. იარაღების ჯგუფში ყველაზე მრავალრიცხოვანია დაკბილული (ნახ. 17, 3, 8) და ამოდარული (ნახ. 17, 1) ნაკეთობები, შემდეგ მოდის ლევალუაური (ნახ. 17, 15—17) და მუსტიეური (ნახ. 17, 19) წვეტანები, სხვადასხვა ტიპის სახოკები (ნახ. 17, 5—7), საფხეკები, სახვრეტები (ნახ. 17, 4), ნატურალურ ზურგიანი დანები, საკრისები და სხვ. იარაღების უმეტესობა დამუშავებულია დაკბილული რეტუსით, მუსტიესათვის დამახასიათებელი ანკოშებით, მიკროამოლარკით, შვერილებით და აგრეთვე, სხვადასხვა სიღრმის მონაცვლეობითი და წყვეტილი რეტუსით. გარდა ამისა, გამოიყენებოდა შედარებით სწორი ქერცლისებური და პარალელური რეტუსი, რომლებშიაც ძირითადად სახოკები და წვეტანებია დამუშავებული.

ზუთივე კულტურული ფენის მასალებს აერთიანებს ქვის გაბობა-ატეკეის არალევალუაური ტექნიკა, არაფაცეტირებული ინდუსტრიისადმი კუთვნილება და ის, რომ ერთნაირი აქვთ ლევალუას, ლამელების, დარტყმის მოედნების შესწორების საერთო და ფაცეტირების და სხვა ინდექსები. ფენები გენეტიკურადაა დაკავშირებული ერთიმეორესთან და ასახვენ ქვის ინდუსტრიის ევოლუციის პროცესს ადრეული მუსტიედან მის გვიან პერიოდამდე. ამას მოწმობს არა მარტო ქვის პირველადი დამუშავების ტექნიკა და მასალის ტიპოლოგიური შემადგენლობა, არამედ მეორადი დამუშავების, რეტუსის ხასიათიც. აქ ადგილი აქვს არა მხოლოდ ქვის დამუშავების განსხვავებული წესების შეფარდებას, არამედ ტიპიური მუსტიეს მრავალრიცხოვანი ფორმებისა (30%-დან 40%-მდე) და დაკბილული მუსტიესათვის დამახასიათებელი დაკბილულ-ამოდარული ნაკეთობების (25%-დან 29%-მდე) თანაარსებობას. განხილული

მონაცემების მიხედვით, ბრინჯაოს მღვიმის კულტურული ფენების მასალები მიეკუთვნება ტიპური მუსტიეს ლოკალურ ვარიანტს, რომლის ძირითად თავისებურებასაც დაკბილულ იარაღთა სიმრავლე წარმოადგენს.

ბრინჯაოს მღვიმის ანალოგიური, მეტ-ნაკლები რაოდენობის მუსტიეური მასალებია მოპოვებული ბიზონისა და დათვის მღვიმეებში და ორმაგ ეხში. ყველა ძეგლის კოლექციისათვის დამახასიათებელია ქვის გააობის არალევალუური, არაფაგეტირებული ტექნიკა, ნუკლეუსების ბოლომდე გამოყენება და მათ შორის ფუძიანების მოჭარბება (ნუკლეუსების 90%-დან ჩამოთლილია მოკლე, არალევალუური ანატკეცები), ლამელებისა და ლამელისებური ანატკეცების სიმცირე, გვიანი ფენების ნამზადების შედარებითი სითხელე და სხვ. გენეტიკური კავშირი ცუცხვათის მუსტიეურ ძეგლებს შორის შეინიშნება, აგრეთვე, ქვის იარაღების ტიპოლოგიისა და მათი დამუშავების ტექნიკის შედარებისას. თიფქმის ერთნაირად არის წარმოდგენილი ყველა ძეგლზე ლევალუური ნაკეთობანი (6%-დან 9%-მდე). ტოლია სხვადასხვა ფენების სახოკებისა და დაკბილული იარაღების პროცენტული მაჩვენებლებიც. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ყოველ ძეგლზე და ყოველ ფენაში პროცენტულად თითქმის ერთნაირი რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის სახოკები და დაკბილულ-ამოღარული იარაღები. სადღეისოდ ჩვენში არ არის სხვა ძეგლები, რომ ტიპურ მუსტიესთან დაკბილული ინდუსტრიის ამ რაოდენობით (თითქმის თანაბარი) თანაარსებობა ახასიათებდეს. ქვის მეორადი დამუშავების სხვადასხვანაირი წესებისა და იარაღების ნაირგვარი ტიპოლოგიური ფორმების ასეთი შეფარდება ცუცხვათის მღვიმეების ქვის ინდუსტრიას თავისებურ იერს აძლევს. ეს თავისებურება იმდენად არსებითია, რომ დ. თუშბარამიშვილი აღნიშნულ მუსტიეურ ძეგლებს ლოკალურ რაიონად გამოყოფს ცუცხვათის მუსტიეური კულტურის სახელწოდებით.

ცუცხვათის ქვედაპალეოლითური ძეგლების კულტურული ფენების სიმძლავრე, აქ გამოვლენილი ქვის ინვენტარის რიცხვობრივი და ტიპოლოგიური შემადგენლობა და, აგრეთვე, ფაუნის ნაშთების რაოდენობა მოწმობს, რომ დათვის მღვიმე მუსტიეს ხანაში დროებითი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო, ხოლო ბრინჯაოს და ბიზონის მღვიმეები და ორმაგი ეხი ხანგრძლივ სადგომებს წარმოადგენდნენ. ხანგრძლივ სადგომებში იარაღს ადგილზე ამზადებდნენ და ამ ძეგლების მასალებში ასახულია ქვის დამუშავების ყველა სტადია, პირველადი გააობიდან სხვადასხვა ნაკეთობების საბოლოოდ დასრულებამდე.

ცუცხვათის კომპლექსში შემავალ შესწავლილ მღვიმე-ეხთაგან მეხუთე, 1971 წელს მიკვლეული, ზედა მღვიმე არ წარმოადგენს ხანგრძლივ ან დროებით სადგომს და არც მონადირეთა ბანაკს და თავისი ფუნქციით სრულიად უნიკალურია საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ ქვედაპალეოლითურ მღვიმურ ძეგლებს შორის. იგი მდებარეობს მდ. შაბათაღელის მარჯვენა ნაპირზე, 65 მ შეფარდებით სიმაღლეზე, ცუცხვათის მღვიმეთა სისტემის მე-11 იარუსზე და შესასვლელით დამხრობილია ჩრდილოეთისაკენ. მისი სიღრმე 3,20 მ-ია,

სივანე ცენტრალურ ნაწილში — 3,10 მ, ხოლო სიმაღლე დანალექი ფენების ახლანდელი ზედაპირიდან — 70 სმ. აქ გაითხარა 7 კვ. მეტრი ფართობი. კრილში გამოიყო ლითოლოგიურად განსხვავებული 8 ფენა, რომელთა საერთო სიმძლავრეც 2 მ-ს აღემატება. მღვიმეში აღმოჩნდა სხვადასხვა ცხოველების მთელი ლულოვანი ძვლები, კედლების გასწვრივ გარკვეული რიგით, სპეციალურად დაწყობილი მღვიმის დათვის თავის ქალები ქვედა ყბების გარეშე და. მეტად უმნიშვნელო რაოდენობით „ცუცხვათის მუსტიერული კულტურის“ გვიანი პერიოდის კაჟის იარაღ-ანატეკები (სულ 14 ცალი). მასში არ არის ქვის წარმოების ნარჩენები და ადამიანის „ნასუფრალ“ ცხოველთა დამტვრეული ძვლები. ყველა აღნიშნული მონაცემი ერთობლივად მიუთითებს, რომ ზედა მღვიმე ცუცხვათის მუსტიერელების მიერ ცხოველთან (უფრო მღვიმის დათვთან) დაკავშირებულ რაღაც სარიტუალო წეს-ჩვეულებების შესასრულებლად გამოიყენებოდა და საკულტო დანიშნულება ჰქონდა³⁶.

რიონ-ყვირილას აუზში ქვედაპალეოლითური ძეგლების თავმოყრის ერთ-ერთ რაიონს წარმოადგენს მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადის მდ. წყალწითელას ხეობა. აქ მდინარის ორივე სანაპიროზე ნაპოვნია ცალკეული აშელური ნივთები (ხელტული და სხვ.) და მცირერიცხოვანი მუსტიერული მასალები (ნახ. 18, 1—4), რაც გვაუწყებს, რომ პირველყოფილი ადამიანი ხეობაში უკვე ადრეულ ქვედაპალეოლითში ბინადრობდა და გამართული ჰქონდა „ღია“ სადგომები³⁷.

განსაკუთრებით საყურადღებოა მდ. წყალწითელას ხეობის სამი ქვედაპალეოლითური მრავალფენიანი ძეგლი — მღვიმეები საკაჟია და ორთვალა და. ქახათის ეხი, რომლებშიაც ასაკობრივად და კულტურულად მსგავსი მუსტიერული მასალებია გამოვლენილი.

მღვიმეები საკაჟია და ორთვალა უკვე 70 წელიწადია ცნობილია არქეოლოგებისათვის. აქ ჯერ კიდევ 1914 წელს უწარმოებიათ თხრა უცხოელ მკვლევარებს რ. შმიდტსა და ლ. კოზლოვსკის, მაგრამ ქვედაპალეოლითურ ფენებამდე ვერ ჩაუღწევიათ. 1936—1937 წლებში საკაჟიაში გათხრები ჩაატარა გ. ნიორაძემ. მღვიმეში აღმოჩნდა ზედა პალეოლითის ხანის მძლავრი კულტურული ფენა და იგი სამეცნიერო ლიტერატურაში შევიდა როგორც ამ ეპოქის ძეგლი.

ორივე მღვიმე მდებარეობს თერჯოლის რაიონის სოფ. გოდოვნის მახლობლად მდ. წყალწითელას მარცხენა ნაპირზე, მოწამეთა ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, ერთმანეთისაგან დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით, მდინარის

36 Изучение пещер Колхиды, Тбилиси, 1978, с. 5—264.

37 მ. ნიორაძე, მდ. წყალწითელას ხეობის ქვედაპალეოლითის დროის ზოგიერთი ღია სადგომის შესახებ. მოამბე 96, № 1, თბ., 1979, გვ. 209—212; ნ. ბერძენიშვილი, ქვედაპალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან, გვ. 4; მისივე, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964, გვ. 84, ტაბ. XVII.

ლონიდან 70—80 მ სიმაღლეზე. მღვიმეები კარსტულია და გამომუშავებულია კირქვებში³⁸.

საკაჟია მიხეველ-მოხვეული დერეფნისებური მღვიმეა. მისი სიღრმე 30 მ უდრის, მაქსიმალური სიგანე 4,5 მ-ია, სიმაღლე შესასვლელთან — 6 მ, ხოლო ბოლოში — 1 მ. მღვიმე გახსნილია სამხრეთ-დასავლეთით, ძირითადად მშრალია და ნათელი. 1973 წელს მის ქვედა ფენებში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეგრელოს ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (გ. გრიგოლია, მ. ნიორაძე) აღმოაჩინა მუსტიეს ეპოქის ნაშთები³⁹. გამოვლენილი ფენები 1974—1980 წლებში გათხარა და შეისწავლა ზემოხსენებული ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წყალწითელას ხეობის პალეოლითურმა ექსპედიციამ მ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. გაითხარა დაახლოებით 100 კვ. მეტრი ფართობი. ჭრილში გამოვლინდა 8 მ საერთო სიმაღლის, ლითოლოგიურად განსხვავებული 4 დანალექი შრე. მუსტიეს ხანის ნაშთები დაკავშირებული იყო ზემოდან მე-3 შრესთან, რომელიც აღნიშნული ეპოქის 6 (3a, 3b, 3c, 3d, 3e და 3f) კულტურული ფენისაგან შედგებოდა (ნახ. 19). ამ ფენებში აღმოჩნდა პლეისტოცენის ცხოველთა ძვლები, ადამიანის ნაშთები და 3000-მდე ქვის ნაქეობა⁴⁰.

საკაჟიას ფაუნაში წარმოდგენილია: მღვიმის დათვი, პირველყოფილი დომბა, კეთილშობილი ირემი, მარტორქა, შველი, კავკასიური ჭიხვი, მდინარის თახვი, ტახი, კვერნა და სხვ⁴¹. მღვიმის ქვედაპალეოლითური ფენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაბოვარს თვით მუსტიეს დროის ადამიანის ნაშთების აღმოჩენა წარმოადგენს (3a ფენა). აქ ნაპოვნი ზედა ყბის ნატეხი კბილებით. ცალკეული კბილები, ზედა კიდურის ძვლისა და თავის ქალის ფრაგმენტები ეკუთვნის პალესტინის პალეოანთროპებთან ახლოს მდგომ ნეანდერტალელ ადამიანს (სურ. 3)⁴².

³⁸ გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში. თბ., 1953, გვ. 3—27; მ. ნიორაძე, ორთვალა მღვიმე. მოამბე, 84, № 2, თბ., 1976, გვ. 502—504.

³⁹ Г. Григolia, М. Ниорадзе. Итоги работ разведочно-археологической экспедиции по изучению каменного века Мегрелии в 1973 г. ПАИ, Тбилиси, 1974, с. 9—10.

⁴⁰ მ. ნიორაძე, ახალი აღმოჩენები საკაჟიას მღვიმეში. მოამბე, 75, № 3, თბ., 1974, გვ. 749—752; მისივე, ახალი მონაცემები წყალწითელას პალეოლითის შესახებ, მოამბე, 78, № 2, თბ., 1975, გვ. 505—508.

⁴¹ А. К. Векуа, М. Г. Ниорадзе, М. С. Мамацашвили, Н. В. Деканосидзе. Палеонтологические остатки пещеры Сакажиа. Сообщения АН ГССР, 90, № 2, Тбилиси, 1978, с. 497—500.

⁴² Л. К. Габунья, М. Г. Ниорадзе, А. К. Векуа. О мустьерском человеке из Сакажиа, Вопросы антропологии, вып. 59, № 2, М., 1978, с. 154—164.

მუსტიეურ ფენებში მოპოვებული ქვის ნივთები დამზადებულია ძირითადად კაეისაგან, გამოყენებულია, აგრეთვე, არგილიტი, ბაზალტი, ქვიშაქვა, კვარცი, ქალცედონი და სხვ. ექვსივე ფენის ქვის პირველად დამუშავებაში დომინირებს ლევალუური ტექნიკა, ხოლო მეორადში — დაკბილული რეტუში.

ყველა ფენაში აღმოჩნდა წარმოების ნარჩენები, კუსბაქნისებური, მარონისებური, დისკოსებური და ერთ (ნახ. 20, 1) და ორფუძიანი და სხვა ტიპის ლევალუური და არალევალუური ნუკლეუსები; დიდი რაოდენობით ანატექეები და ლამელები, რომელთა უმრავლესობასაც ფაცეტირებული სწორი და ამოზნექილი დარტყმის მოედნები აქვს და დასრულებული იარაღ-ხელსაწყოები. კოლექციის ასეთი შემადგენლობა მოწმობს, რომ იარაღები აქვე, ადგილზე მზადდებოდა და საკაეის მღვიმე მუსტიეს ხანაში ადამიანის ხანგრძლივი სადგომ-სახელოსნო ყოფილა.

იარაღების ჯგუფი შედგება წვეტანების, დაკბილული იარაღების, სახოკეზის, დანებისა და სხვა ხელსაწყოებისაგან. დამზადებულია ისინი ძირითადად ფაცეტირებულ დარტყმის მოედნიან ანატექეებსა და ლამელებზე. წამყვანი ადგილი წვეტანებს უკავიათ, რომლებიც წარმოდგენილია ლევალუური, ლევალუური რეტუშირებული, მუსტიეური, მუსტიეური მოგრძო და სხვა ტიპებით (ნახ. 20, 6—9, 13). სახოკეზში გვხვდება სწორსამუშაოპირიანი, ამოღარული (ნახ. 20, 3, 5), ორპირა (ნახ. 20, 2), კონვერგენტული (ნახ. 20, 10, 11), ამოზნექილ-ჩანექილი და სხვა სახის ნაკეთობები. დანებს შორის გამოიყოფა მუსტიეურ ანატექეებზე დამზადებული ზურგიანი დანები და მოგრძო და ფართო ლამელებზე გაფორმებული იარაღები. დაკბილული იარაღები სერიებითაა წარმოდგენილი. ისინი უპირატესად ლევალუურ ნამზადებზეა ჩამოყალიბებული. მათ შორის არის ამოღარულ-დაკბილული (ნახ. 20, 4, 12), შვერილიანი და სხვა ფორმები. ამგვარი ხელსაწყოებისათვის დამახასიათებელია ერთ იარაღზე განსხვავებული დანიშნულების რამდენიმე სამუშაო ელემენტის არსებობა.

საკაეის მღვიმის მასალები ლევალუა-დაკბილულ (ფაცეტირებულ) მუსტიეს ინდუსტრიას მიეკუთვნება. ყველა ფენაში ლევალუს და ფაცეტირების ინდექსები მაღალია. ამასთან ზედა (3a და 3b) ფენები გამოირჩევიან ლამელების უფრო მაღალი ინდექსებით, რაც საშუალებას იძლევა ამ ფენების კოლექციები მუსტიეს ეპოქის უფრო გვიანი საფეხურით დათარიღდეს, ვიდრე დაბლა მდებარე ფენების მასალები. სულ ზედა (3a) ფენაში ლევალუურ ნამზადებზე გაკეთებულ წვეტანებთან, სახოკებთან და დაკბილულ იარაღებთან ერთად, მართალია ერთეულებში სახით, მაგრამ გვხვდება ზედაპალეოლითური იარაღებიც: დანისებური ლამელები, საჭრისები, საფხეკები, კომბინირებული იარაღები, საფხეკ-საჭრისები და სხვ. ქვედა ფენების (3c, 3d, 3e, 3f) მასალები უფრო არქაული იერისაა. ფენათა სტრატოგრაფია და თითოეული მათგანიდან მომდინარე კოლექციები საშუალებას აძლევს მ. ნიორაძეს გამოყოფს

საკაჟიას მღვიმის მუსტიურ კულტურის განვითარების ცალკეული, თანამიმდევარი ეტაპები — შუა, განვითარებული და გვიანი. მასალების მიხედვით კარგად შეინიშნება დაკბილული ქვის ინდუსტრიის თანდათანობითი განვითარება დაწყებული მუსტიეს ეპოქის მეორე ნახევრიდან, ვიდრე მუსტიედან ზედა პალეოლითზე გარდამავალ საფეხურამდე⁴³.

წყალწითელას ხეობის მეორე მრავალფენიანი მუსტიური ძეგლი ორთვალა მღვიმე გახსნილია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, საკმაოდ ნათელი და მშრალია. შესასვლელში მისი სიგანე 4 მ-ია, ხოლო სიმაღლე 2 მ. შესასვლელიდან 5 მეტრის დაშორებით იგი ორ დერეფნად იყოფა. მარჯვენა დერეფნის სიგანე 3,5 მ-ია, სიმაღლე — 1,5 მეტრი, სიღრმე კი რამდენიმე ათეული მეტრი. მარცხენა დერეფანი პატარაა და მეტად ვიწრო.

ორთვალა მღვიმე 1975—1976 და 1980—1981 წლებში გათხარა და შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წყალწითელას ხეობის პალეოლითურმა ექსპედიციამ მ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. მღვიმეში თხრის შედეგად გამოვლინდა ლითოლოგიურად განსხვავებული 4 დანალექი შრე. ამათგან მუსტიეს ხანის ნაშთებს შეიცავდა ზემოდან მე-3 შრე, რომელიც თავის მხრივ ოთხი კულტურული ფენისაგან (3a, 3b, 3c, 3d) შედგებოდა (ნახ. 21,1,2). ფენათა საერთო სიმაღლე 2 მეტრს აღწევდა.

ორთვალას მუსტიურ ფენებში აღმოჩნდა მღვიმის დათვის; ირმის, ბიზონის, ჯიხვის და სხვა ცხოველების ნაშთები და 300-მდე ქვის ნივთი. მუსტიური ქვის მასალა ოთხივე ფენაში წარმოდგენილია წარმოების ნარჩენებით, ლევალუური და არალევალუური (დისკოსებური და სხვ.) ნუკლეუსებით (ნახ. 22,1), ფაცეტირებული და გლუვდარტყმისმოედნიანი ანატეცებიითა (ნახ. 22,7) და ლამელებით და იარაღ-ხელსაწყოებით. ისინი ძირითადად კაჟისა და მზოლოდ ცალკეული ნივთებია დამზადებული ობსიდიანისა და არგილიტისაგან. იარაღებს შორის არის ლევალუურ და არალევალუურ ანატეცებსა და ლამელებზე გაკეთებული დაკბილული იარაღები (ნახ. 22,6), წვეტანები (ნახ. 22,8), სახოკები (ნახ. 22,4,5, 9,10), კომბინირებული იარაღები და სხვ.

ცალკეულ მუსტიურ ფენებში მოპოვებული მასალა ამ ეპოქის მეორე ნახევრის სხვადასხვა ეტაპს მიეკუთვნება. ნათლად ჩანს განსხვავება ზედა და ქვედა ფენების მასალებს შორის, იარაღთა ტიპებსა და მათი დამზადების ტექნიკაშიც, ზედა ფენების იარაღები უფრო სრულყოფილია და აქ კიდევაც ჩნდება (3a ფენა) ზედაპალეოლითურზე გარდამავალი ტექნიკის ნიშნები (დაწისებური ლამელები, გვერდრეტუშირებული მიკროლამელები და სხვ.), რაც ქვედა ფენებში (3c, 3d) არ აღინიშნება. საერთო, რაც ოთხივე მუსტიური ფენის

⁴³ მ. ნიორაძე. ახალი აღმოჩენები საკაჟიას მღვიმეში, გვ. 749 — 752; М. Г. Ннорадзе. Археологические работы в пещере Сакажиа. Сообщения АН ГССР, 84, № 1, Тбилиси, 1976, с. 221—224.

მასალებში შეიმჩნევა, ესაა ყველგან ლევალუური, ფაცეტირებული, დაკბილული ინდუსტრიის არსებობა.

ორთვალა მღვიმის კულტურული ფენების სტრატეგრაფიისა და ცალკეულ ფენებში მოპოვებული მასალების შესწავლის საფუძველზე მ. ნიორაძე აქაც, რსევე როგორც საქაიას მღვიმეში, გამოყოფს ლევალუა-დაკბილული მუსტიეს მეორე ნახევრის განვითარების თანამიმდევარ საფეხურებს — შუას, განვითარებულსა და გვიანს⁴⁴.

წყალწითელას ხეობის მესამე მრავალფენიანი პალეოლითური ძეგლი ქახათის დამარხული ეხი შემთხვევით აღმოჩნდა 1954 წელს ქვის კარიერის აფეთქების შედეგად⁴⁵. იგი მდებარეობს ქ. ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში, მდ. წყალწითელას მარჯვენა ნაპირზე. კარსტული ეხი გამომუშავებულია ქახათის კლდის კირქვის შვეულ კედელში, მდინარის დონიდან 11 მ შეფარდებით სიმაღლეზე, მშრალია და ნათელი. მისი სიღრმე 7 მ-ია, სიგანე — 9, ხოლო სიმაღლე — 4.

ქახათის ეხი 1960—1962 წლებში გათხარა და შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შვიზღვისპირეთის პალეოლითურმა ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. ეხში ორი კულტურული ფენა გამოვლინდა. ქვედაპალეოლითურ ნაშთებს შეიცავდა II (ქვედა) კულტურული ფენა, რომლის სიმძლავრეც 0,8 მ-ს აღწევდა. აქ აღმოჩნდა განათხარი ხარის, ტახის, მღვიმის დათვის, კავკასიური ჭიხვის, მგლის, მდინარის თახვის და სხვა ცხოველების ძვლები და მუსტიეს ხანის კაყის 500-მდე ნივთი. ქვის ნაკეთობათა კოლექცია შედგება ანატკეცების (ნახ. 23, 3, 4, 7, 8, 11; 24, 1), ლამელების (ნახ. 24,9; 25,13), დაუმთავრებელი იარაღების, წვეტანების, სახოკების, დანებისა და სხვა იარაღისაგან. ფენაში არ ჩანს ქვის პირველადი დამუშავების ნიშნები. ეხში უპირატესად საიარაღო ნამზადებია მოტანილი და შემდეგ აქვე ადგილზეა დასრულებული იარაღის დამუშავების პროცესი. ამიტომაც კოლექციაში შედარებით დიდია ფოთლისებური ანატკეცებისა და დაუმთავრებელი იარაღების რაოდენობა. დასრულებული იარაღების ყველაზე დიდ ჯგუფს (70 ც) შეადგენენ ლევალუური რეტუსირებული და მუსტიეური წვეტანები (ნახ. 23,1,2,5,6, 9,10; 24,2—8; 25,1—4,6—8,11). ზოგიერთ მათგანს ფუძე განზრახ აქვს გათლილ-შემსუბუქებული სპეციალური ატკეცით. ამგვარი წვეტანები შესაძლოა ტარზე დასაგებად იყო განკუთვნილი და შუბისპირებს წარმოადგენდა. იარაღებში მეორე ადგილზეა სახოკები (ნახ. 25,10,12), მათში გამოიყოფა ანატკეცებსა და ლამელებზე დამზადებული სწორპირა, ოვალური, ამოღარული და

⁴⁴ მ. ნიორაძე ორთვალა მღვიმე, გვ. 502 — 504; А. К. Векуа, М. Г. Ниорадзе, М. С. Мамацашвили, Н. В. Деканосидзе. Палеолитические остатки пещеры Сакажиа, с. 497—500.

⁴⁵ И. И. Сагинадзе. Погребённая пещера. «Природа» № 9, М., 1958.

სხვა ტიპის სახოკები. ძირითად იარაღთა ჯგუფში შედის, აგრეთვე, მუსტიურ ანატექეებზე და მოგრძო, განიერ ლამელებზე დამზადებული დანები (ნახ. 25,5,9). რაოდენობრივად უკანასკნელი ტიპის დანები ჭარბობს. სხვა იარაღები კოლექციაში ერთეულეებითაა წარმოდგენილი. დამუშავებულია იარაღები ძირითადად კონტურსდაქვემდებარებული დაკბილული რეტეშით.

ტიპიური მუსტიური იარაღების გვერდით მეორე ფენაში გვხვდება შედარებით განვითარებული იერის დიდი ზომის, მოგრძო, რეტეშირებული ლამელები და მუსტიურ ანატექეებზე დამზადებული მრგვალი საფხეკები, რომლებიც ტიპოლოგიურად აღარ უკავშირდებიან მუსტიეს ტექნიკას და იმავე დროს უკვე ეტყობათ ტექნიკის ახალი, ზედა პალეოლითში გარდამავალი ნიშნები.

ჭახათის ეხის მეორე კულტურული ფენის კაჟის ინვენტარი, სტრატეგრაფიული პირობების, ტიპობრივი შემადგენლობის, იარაღების დამუშავების ტექნიკის დონისა და მათი ფუნქციის გათვალისწინების საფუძველზე მუსტიეს ზანის ფინალური პერიოდით თარიღდება⁴⁶.

ნ. ბერძენიშვილი და მ. ნიორაძე თვლიან, რომ ზემოდახასიათებული სამივე ძეგლის — საკაჟიას, ორთვალას და ჭახათის ქვედაპალეოლითური ფენების გვიანი და ფინალური მუსტიეს მასალები ასაკობრივ და კულტურულ მსგავსებას ავლენენ და წყალწითელას ხეობის დაკბილული მუსტიეს ერთიან კულტურას მიეკუთვნებიან.

ამავე კულტურის ტრადიციების მატარებელი ჩანს ნ. ბერძენიშვილის მიხედვით ქ. ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთ უბანში, გორა თეთრამიწაზე გამოვლენილი „ღია“ ადგილსამყოფელის მუსტიური მასალაც. იგი ამ მასალას ჭახათის ეხის მეორე კულტურული ფენის ინვენტარის მსგავსად მიიჩნევს და მათ შორის კულტურულ-ასაკობრივ კავშირს ხედავს⁴⁷.

შიდა ქართლში, კერძოდ, ისტორიული სამაჩაბლოს ტერიტორიაზე აშეამად 70-მდე ქვედაპალეოლითური ძეგლია ცნობილი. წარმოდგენილია ისინი აშელური და მუსტიური „ღია“ და მღვიმური სადგომებით. უდიდეს უმრავლესობას მცირემასალიანი „ღია“ ადგილსამყოფლები შეადგენენ. მღვიმური ძეგლი მხოლოდ ხუთია: წონა, კუდარო I, III, IV და შავათ-ზოხი. ამათგან პირველი სამი მღვიმე მრავალფენიანია და მათ კულტურულ ფენებში აშელისა და მუსტიეს ზანის ნაირფეროვანი ნაშთებია შემონახული.

აშელის ზანის 20-ზე მეტი „ღია“ ადგილსამყოფელია გამოვლენილი სოფ. კობში. სოფ. წაღვლში, სოფ. კავთისხევში, სოფ. ცრუში, სოფ. მეტეხში, ძა-

46 ნ. ბერძენიშვილი, ქვისხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964, გვ. 3—48.

47 ნ. ბერძენიშვილი, ქვედაპალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბ., 1974, გვ. 3—21.

დინაში, თიღვაში, კალეთში, ლაშე-ბალთაში და სხვ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და უკეთესად შესწავლილი ძეგლია ლაშე-ბალთა, სადაც შედარებით მრავალრიცხოვანი და მეტად საინტერესო მასალა მოპოვებული.

ქვედა პალეოლითის ხანის „ღია“ ადგილსამყოფელი ლაშე-ბალთა 1951 წელს მიაკვლია და 1951—1955 და 1957—1958 წლებში შეისწავლა ლენინგრადელმა არქეოლოგმა ვ. ლიუბინმა. ძეგლი მდებარეობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ზნაურის რაიონში, მდ. მეტეხის ფრონეს მარჯვენა სანაპიროზე სოფ. ლაშე-ბალთის მახლობლად.

აშელური ქვის ნივთები გამოვლინდა ორ პატარა მშრალ ხევში. მათი უმრავლესობა შეგროვდა მიწის ზედაპირზე, ხოლო მცირე ნაწილი აქა-იქ ჩართული აღმოჩნდა თიხნარით შედუღებულ ქვიან-ხვინჭოვან ფენაში. მოპოვებული ნივთები დამზადებულია ანდეზიტისა და კაჟოვანი უხეში ქანებისაგან. ზედაპირები გამოხეხებული და სქელი პატინით დაფარული აქვთ. თითქმის ყველა მათგანი ძლიერ ნაგორები და წიბოებგადაღესილია, რაც მოწმობს, რომ ისინი აქ რომელიღაც უფრო მაღლა მდებარე წერტილიდან უნდა იყოს გადმოტანილი ნიაღვრების მიერ.

ლაშე-ბალთაში მოპოვებულია 200-მდე ქვის ნივთი: ნუკლეუსები (ნახ. 26,1,4). ანატკეცები (ნახ. 26,2,3,5), უხეში საჩეხი იარაღები (ნახ. 27,1), სახოკები და ანდეზიტის ბიფასები — ნუშისებური, გულისებური, ოვალური და სამკუთხედისებური მოყვანილობის ხელცულები (ნახ. 27,2; 28,1,2).

კოლექციისათვის დამახასიათებელია აშელის ხანის არქაული და შედარებით განვითარებული ტექნიკური ნიშნების მატარებელი ნაკეთობების თანაარსებობა. ასეთებია: ამორფული, დისკოსებური (ნახ. 29,1), ერთ და ორფუძიანი ნუკლეუსები (ნახ. 29,2—4), კლექტონური და ლამელისებური ანატკეცები, კაქრებზე გაფორმებული, უხეში ორმხრივი გათლით დამუშავებული მკვეთრად კლაკინილსამუშაოპირიანი ხელცულები მასიური ქუსლით და ხელცულები დამზადებული მსხვილ ანატკეცებზე, თხელი და მცირე ზომის ფაცეტებით სპეციალური დამუშავებით გასწორებული სამუშაო პირით. აღნიშნული მასალის ტექნიკურ-ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით, „ღია“ ქვედაპალეოლითური ძეგლი ლაშე-ბალთა შუა აშელის ხანით თარიღდება⁴⁸.

საკვლევი რეგიონის სამივე მრავალფენიანი მღვიმური ძეგლი წონა და კუდარო I და III მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთის მაღალ და საშუალომთიან ზოლში, შიდა ქართლის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ისტორიული სამაჩაბლოს ჭავის ადმინისტრაციულ რაიონში. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია წონას მღვიმეს. იგი განლაგებულია ზღვის დონიდან 2150 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე და ჰიფსომეტ-

⁴⁸ В. П. Любин. Нижнепалеолитические памятники Юго-Осетии, МИА СССР, № 79, т. 4, М.—Л., 1960, с. 29—63.

რიულად ყველაზე მალა მდებარე ქვის ხანის ძეგლია კავკასიაში. მღვიმე მდებარეობს ბუბას მთის სამხრეთ ფერდობზე, სუბალპურ ზონაში, ერწო-წონას წყალშემკრები ქვაბულის თავზე, მდ. ყვირილას სათავეებთან, 250—300 მ შეფარდებით სიმაღლეზე. იგი კარსტული, გვირაბისებურია, გამოშუ-შავებულია კირქვებში, მისი სიღრმე 90 მ-ია, სიგანე — 13, ხოლო სიმაღ-ლე — 15. შესასვლელით დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, საკმაოდ ნათელია და მშრალი (სურ. 4).

წონას მღვიმე 1958 წელს აღმოაჩინა და 1958—1961 და 1965, 1968 წლებ-ში გათხარა და შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის პალეო-ლითურმა ექსპედიციამ ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით. 1977 წელს მღვი-მეში დამატებითი გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ს. ჯანაშიას სახელობის სა-ქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დ. თუშ-ბარამიშვილის ხელმძღვანელობით.

ზემოხსენებული წლების მანძილზე წონას მღვიმეში, კლდოვან საფუძვლა-მდე, 6 მ სიღრმეზე გაითხარა 140 კვ. მეტრი ფართობი, სადაც კირიში ლი-თოლოგიურად განსხვავებული 11 ჰორიზონტი გამოიყო. ქვედაპალეოლითურ ნაშთებს შეიცავდნენ თანამიმდევრობით (ზევიდან ქვევით) განლაგებული, 2,40 მ საერთო სიძლიავრის მე-5—7ა ჰორიზონტები. ამთვან ყველაზე მალა მდებარე მე-5 და მე-5ა ჰორიზონტები შეადგენდნენ 1,40 მ სისქის ერთ მთლიან მუსტიერ კულტურულ ფენას, ხოლო 2 მ საერთო სიძლიავრის 6, 6ა, 6ბ და 7, 7ა ჰორიზონტები, შესაბამისად I (ზედა) და II (ქვედა) აშელურ ფენებს. სულ ქვედა, II აშელური ფენა დევს მღვიმის კლდოვან იატაკზე (ნახ. 30,1,2). აშელური და მუსტიერული ფენების შიგნით ჰორიზონტების გამოყოფა გაპირო-ბებული იყო არა მათი კულტურულ-ქრონოლოგიური, არამედ სტრუქტურულ-ლითოლოგიური სხვაობით.

წონას მღვიმის აშელურ ფენებში ნაშთები ცოტაა. თითქმის არ არის წარ-მოების ნარჩენები. მოპოვებული მასალის უმრავლესობას დასრულებული იარაღები შეადგენენ, რაც მოწმობს, რომ ქვა სხვაგან მუშავდებოდა და მღვი-მეში მხოლოდ მზა იარაღი მოქონდათ. იარაღი კარგად გამოხატულ შერჩევით ხასიათს ატარებს და ნადირობასთან დაკავშირებული გარკვეული ტიპებითაა წარმოდგენილი.

აშელის I კულტურულ ფენაში ნაპოვნია 104 ქვის ნივთი. მათ დასამზა-დებლად ძირითადად გამოყენებულია ანდეზიტი და არგილიტი, ხოლო იშვია-თად ქვიშაქვა და კაჟოვანი კირქვა. კოლექციაში არის ხელცულები, უხეში სა-ჩენი და მკრელი იარაღები (ნახ. 31,2,6,12), საბოკები (ნახ. 31,1,3—5), მკრთა-ლად დამუშავებული უხეში წვეტანები (4 ც.) და მეტად მცირე რაოდენობით ურეტუშო (5 ც.) და რეტუშირებული (9 ც.) ანატკეცები (ნახ. 31,7—11). იარა-ღებიდან ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს (47 ც.) შეადგენენ ანდეზიტის და

არგილიტის მთლიან კაქრებზე და მასიურ ახატეცებზე გაფორმებული ნუშისებური, მომრგვალო, ოვალური, გარდიგარდმო სამუშაოპირიანი ოთხ-კუთხედისებური მოყვანილობის ხელცულები. მათი სიგრძე 12 სმ და 22 სმ შორის მერყეობს, ხოლო სისქე 2,5 სმ და 6 სმ შორის (ნახ. 32; 33). ხელცულებში კარგად შეინიშნება ადრეული არქაული და მოგვიანო, უფრო განვითარებული სახის ბიფასების თანაარსებობა. ადრეული ტიპის იარაღი ცოტაა და გაფორმებულია ძირითადად მთლიან კაქრებზე; დამუშავებულია ისინი უხეშად მხოლოდ და მხოლოდ ფართო და მსხვილი ფირფიტების ორმხრივი ატეკით, აქვთ მასიური და ხშირად კაქრის ბუნებრივი კანით დაფარული ქუსლი. ჯგუფში აშკარად ჭარბობს მოგვიანო იერის ხელცულები. რომლებიც უპირატესად ანატეცებზეა ნაკეთები და საკმაოდ სრულყოფილი ფორმებით გამოირჩევიან. მათი ქუსლი გათლილ-გათხელებული და მომრგვალებულია, ხოლო სამუშაო ნაწილი შესწორებულია რეტეშით. I ფენის იარაღებიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს 25 სმ სიგრძის მონაცრისფრო ფენოვანი არგილიტის, ერთადერთი სახელურიანი წალდისებური იარაღი ე. წ. წონას ტიპის ხელცული ან წალდი (ნახ. 34), რომლის მსგავსიც, უფრო გვიან, მხოლოდ მღვიმე კუდარო I-შია აღმოჩენილი.

აშელის ხანის II კულტურულ ფენაში სულ 30 ნივთია ნაპოვნი, მათი უმეტესობა ტურონ-სენონის კაეისაა, ცალკეული ნივთები კი არგილიტისაა. კაეის ნივთები გარეგნულად, I ფენის მასალასთან შედარებით. მოგვიანო იერისაა. ფენაში სრულიად არ არის ხელცულები. მასალა წარმოდგენილია ძირითადად ანატეცებით (13 ც.) და მათზე გაფორმებული, I ფენაში აღმოჩენილის მსგავსი, ამოხეჩილ სამუშაოპირიანი სახოკებით, უხეში მკრეღი იარაღითა და წვეტანებით.

წონას მღვიმის აშელის ხანის ფენებში მოპოვებულია ნანადირეე ცხოველთა უამრავი ძვალი. ეს ცხოველებია: მღვიმის დათვი, მურა დათვი, დომბა, კეთილშობილი ირემი, შველი, მაჩვი, კურდღელი და სხვ. არის ფრინველის ძვლებიც. ძირითადი სანადირო ობიექტი მღვიმის დათვი ყოფილა, რომლის ნაშთებიც აქაური ფაუნის 90% შეადგენენ. აშელური ქვის მასალის ხასიათი და ცხოველის დიდალი ძვალი მოწმობს, რომ მღვიმე ამ ეპოქაში წარმოადგენდა არა პირველყოფილი ადამიანის მუდმივ საცხოვრებელს, არამედ მონადირეთა დროებით (სეზონურ) თავშესაფარს, სადაც ისინი ბანაკდებოდნენ მთის ცხოველებზე ნადირობის დროს.

აღ. კალანდაძე, რომელმაც ვერ მოასწრო წონას მღვიმის ქვედა პალეოლითის სათანადო სისრულით გამოქვეყნება, ითვალისწინებდა რა ორივე აშელური ფენის სტრატეგრაფიულ მონაცემებს, ქვის ინვენტარის საერთო იერს, მის ტექნიკურ და ტიპოლოგიურ ნიშნებს, ზედა (I) ფენაში განვითარებული, კარგად დამუშავებული და არქაული ტიპის ხელცულების თანაარსებობასა და აგრეთვე, იმ ფაქტს, რომ პირველი ტიპის იარაღი რაოდენობით საგრძნობ-

ლად ქარბობს მეორეს, ორივე ფენის მასალას გვიანი აშელის ხანით (არა დასასრულით ან ფინალით) ათარილებდა და სავარაუდოდ ასაკს 150—200 ათასი წლით განსაზღვრავდა, რაც თანამედროვე გეოქრონოლოგიით რის-ვიუმის გამყინვარებათაშორისი ეპოქის ადრეულ საფეხურსა და მის პირველ ნახევარს ემთხვევა.

დ. თუშაბრამიშვილი და ვ. ლიუბინი ორივე ფენის ქვის მასალას თანადროულად თვლიან და შუა აშელის ხანით ათარილებენ. ამჟამად კავკასიის პალეოლითმცოდნეობაში წონას მღვიმის აშელური ფენების მატერიალური კულტურის ნაშთების ასაკის განმსაზღვრელად მიღებულია ეს უკანასკნელი თარიღი.

წონას მღვიმეში არ არის აშელის დასასრულისა და ადრეული მუსტიეს ფენები და მუსტიეს ხანა წარმოდგენილია მხოლოდ გვიანი პერიოდით. ამ ეპოქის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ცხოველის ძვალი და სულ 71 ქვის ნივთი. ქვის ნაწარმი შედგება დასრულებული იარაღისა და ლევალუაური და არალევალუაური ანატკეც-ლამელებისაგან, რომელთა უმეტესობასაც გლუვი დარტყმის მოედანი აქვს. კოლექციის ლევალუს ტექნიკური ინდექსი 64,2-ს უდრის, ხოლო ლამელების ინდექსი 74,4-ს. იარაღი დამზადებულია ძირითადად ფიქლისაგან. გამოყენებულია აკრეთეე, არგილიტი, ანდეზიტი, იშვიათად კაჟი და მხოლოდ ერთ შემთხვევაში ობსიდიანი. კაჟისა და ობსიდიანისა მხოლოდ მაღალხარისხოვანი იარაღია. იარაღის დასამზადებლად გამოყენებული ყველა ქანი, გარდა კაჟისა და ობსიდიანისა, ადგილობრივია. რაც შეეხება ამ ორ ქანს, პირველი, როგორც ჩანს, მოტანილი უნდა იყოს იმერეთიდან, ხოლო მეორე სამხრეთ ამიერკავკასიის გაცილებით შორეული რაიონებიდან — თრიალეთიდან ან სომხეთიდან.

მუსტიეური ქვის მასალიდან 63 ცალი ანუ მთელი მონაპოვრის 88,7% დასრულებული იარაღია. ისინი აშკარად შერჩევითი ხასიათისაა და წარმოდგენილია მხოლოდ ნადირობასთან და ნანადირევის დამუშავებასთან დაკავშირებული იარაღ-ხელსაწყოებით. მათ შორის გვხვდება წვეტანები, სახოკები, დაკბილული იარაღი, საფხეკი და ზურგიანი დანები. წამყვანი იარაღია წვეტანა (26 ც.), საკმაოდაა სახოკები, სხვა იარაღი თითო-ოროლაა.

წვეტანები გაფორმებულია ძირითადად მოგრძო ლევალუაურ ლამელებზე (ნახ. 35,3) და ზოგჯერ ანატკეცებზე (ნახ. 35,1). მათში გამოიყოფა მუსტიეური, ლევალუაური რეტუსირებული და სხვ., მაგრამ არ არის ფართოფუძიან სამკუთხედისებურ ანატკეცებზე დამზადებული კლასიკური მუსტიეური წვეტანები. ყურადღებას იქცევს იარაღის დამუშავების გულმოდგინე ხასიათი, განსაკუთრებით მეტად მოგრძო (8 სმ და მეტი) ტირიფისფოთლისებურ ლამელებზე გაფორმებული წვეტანებისა, რომლებსაც თითქმის მთელი კონტური დაფარული აქვთ მაღალი თანამიმდევარი რეტუსით (ნახ. 35,4). წვეტანებში არის ერთადერთი ობსიდიანის მთლიანად ორმხრივდამუშავებული ორმაგი წვეტანა (ნახ. 35,2), რომლის მსგავსიც ძალიან იშვიათია ამიერკავკასიის მუსტიეში.

წვეტანების უმეტესობას ფუძე გათლილი, შემსუბუქებული აქვს, რაც მიუთითებს, რომ ისინი ტარზე მაგრდებოდა და შუბისპირებად გამოიყენებოდა. შუბისპირებს შორის აღსანიშნავია 1977 წელს აღმოჩენილი არგილიტის, ორმხრივდამუშავებული შუბისპირი, რომლის სიგრძეც 24 სმ-ია, მაქსიმალური სიგანე 5,2 სმ, ხოლო სისქე — 0,9 სმ.

განხილული ქვის მასალა ლევალუაური ფაციესის ლამელარულ, ტიპურ ნუსტიეს მიკუთვნება და გვიანი მუსტიეთი თარიღდება.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ მუსტიეურ ფენაში აღმოჩენილი იშვიათი და მეტად მნიშვნელოვანი მონაპოვარი — კირქვის ფილესებური ნატეხი, ერთერთ ზედაპირზე გრავირებული ჯვრისებური გამოსახულებით (სურ. 5). აღ. კალანდაძე ვარაუდობდა, რომ იგი შესაძლოა იყოს სიმბოლური ნიშანი ორი გადაჯვარედინებული ტიტისა, რომელთაც უძველესი ადამიანი იყენებდა ხახუნის გზით ცეცხლის მისაღებად, ან წარმოადგენდეს ადამიანის ფიგურის სქემატური გამოსახულების მიღების პირველ, სუსტ და ფრიად არასრულყოფილ ცდას. ქვედაპალეოლითური სახვითი ხელოვნების მსგავსი ნიმუშები, კერძოდ ცხოველის ძვალზე ამოკვეთილი ჯვრისებური გამოსახულებები ცნობილია ჩეხოსლოვაკიის ტურსკე მაშტალეს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვილენის მუსტიეური სადგომებიდან, ხოლო ქვაზე გრავირებული უნგრეთის იმავე ხანის ძველ ტატას კომპლექსიდან.

წონას მღვიმის მუსტიეურ ფენაში აღმოჩნდა იგივე ცხოველების ნაშთები, რაც აშელში. მთავარი სანადირო ცხოველი კვლავ მღვიმის დათვი იყო, თუმცა ამასთან ერთად უკვე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი წყვილჩლიქიანთა ხვედრითი წილიც.

აღნიშნულ კულტურულ ფენაში პირველყოფილი ადამიანის მიერ მხოლოდ საგანგებოდ შერჩეული, მცირე რაოდენობის მზა იარაღისა და ცხოველის მრავალრიცხოვანი ძვლების მოპოვება მოწმობს, რომ მღვიმე, ისევე როგორც აშელის ხანაში, მუსტიეშიც უძველეს მონადირეთა დროებითი თავშესაფარი ყოფილა. ისინი აქ მოდიოდნენ წელიწადის გარკვეულ დროს, მთის ცხოველებზე და ფრინველებზე ნადირობის სეზონში. ასეთ დროს, როგორც ჩანს, თან მოპქონდათ მხოლოდ და მხოლოდ სანადირო და სანადირევის გამოსაშიგნათ და დასაპრელ-დასამუშავებლად აუცილებელი იარაღი (ქვის წვერით აღჭურვილი შუბები, სახოკები, დანები და სხვ.), რომელიც ნადირობის პერიოდში არ შეიცვებოდა⁴⁹.

⁴⁹ აღ. კალანდაძე, ზემო რაჭისა და სამხრეთ ოსეთის პალეოლითური ექსპედიციის მუშაობის შედეგები 1958 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოში 1958 წელს წარმოებული საეველ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1959, გვ. 3—5; მისივე, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთების პალეოლითური ექსპედიციის 1959 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წ. საეველ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1960, გვ. 6—10; შუა კავკასიონის სამ-

ქვედაპალეოლითური მღვიმური ძეგლი კუდარო I მდებარეობს დაბა კვაისის მახლობლად, მდ. რიონის შენაკადის მდ. ჯეჯორის ე. წ. კუდაროს ხეობაში, მთა ჩასავლის სამხრეთ ფერდობზე, კოლხეთის მთიანეთის ტყის ლანდშაფტის ზედა სარტყელში. მისი აბსოლუტური სიმაღლე 1600 მ-ია, ხოლო შეფარდებითი მდ. ჯეჯორის დონიდან 240—260 მ. მღვიმე კარსტულია, გამოჩეხებულია კირქვებში, გამჟოლი ტიპისაა და შედგება ორი დერეფნისა და მათი შემაერთებული ფართო კამერისაგან. მისი საერთო სიღრმე 50 მ აღემატება. იგი გახსნილია კუდაროს ხეობისაკენ აღმოსავლეთისა და სამხრეთის ირი შესასვლელით, მშრალია და ნათელი.

მღვიმე კუდარო I 1955 წელს აღმოაჩინა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების პალეოლითურმა ექსპედიციამ ვ. ლიუბინის ხელმძღვანელობით. ძეგლი ითხრებოდა 1956—1959 და 1961 წლებში. გაითხარა სულ 100 კვ. მეტრი ფართობი (ნახ. 36,1), სადაც 6 გეოლოგიური ფენა გამოვლინდა. ამათგან I—V ფენები (ზევიდან ქვევით) შეიცავდნენ სხვადასხვა არქეოლოგიური ეპოქების ნაშთებს, ხოლო VI ფენა სტერილური იყო (ნახ. 36,2).

აშელის ხანის ნაშთები აღმოჩნდა ქვედა, მე-5 კულტურულ ფენაში, რომელიც სამ ჰორიზონტად იყოფა. მისი საერთო სიმაღლე 0,4 მ და 1,9 მ შორის მერყეობს. ფენაში გამოვლინდა საიარალო ნედლეულის (ნუკლეუსების და ნაშხალების) მარაგის შესანახი ადგილი, საწარმოო კუთხე, კერის ნაშთი, 3600 ქვის ნივთი და ცხოველის 5000 ძვალი, რაც მოწმობს, რომ აშელში მღვიმე პირველყოფილ ადამიანთა ხანგრძლივ სადგომს წარმოადგენდა. 1959

ბრეთი კალთის პალეოლითური ექსპედიციის 1960 წ. მუშაობის შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოში 1960 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგები, თბ., 1961, გვ. 3—7; შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის პალეოლითური ექსპედიციის 1961 წ. მუშაობის შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოში 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგები, თბ., 1962, გვ. 3—6; წონას გამოქვამულში წარმოებულ არქეოლოგიური თხრის წინასწარი შედეგები, სპელეოლოგთა მეორე სამეცნიერო სესია, თბ., 1962, გვ. 3—36. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 89—90; А. Н. Каландадзе. К истории изучения памятников древнепалеолитической культуры в Грузии, VII международный конгресс антропологических и этнографических наук (Москва, Август 1964), Тбилиси, 1964, с. 6; Его же, Разыскания по археологии доантиничной Грузии, с. 19—23; Цопская пещера и ее культура, Proceedings of the 4th international congress of speleology in Jugoslavia (12—23 IX, 1965), Ljubljana, 1969, с. 339—353; Д. М. Тушабрамшвили. Итоги работ Цуцхватской и Цопской археологической экспедиции за 1976—1977 гг. Археологические экспедиции государственного музея Грузии, VI, Тбилиси, 1978, с. 14—18; В. П. Любин, Мустьерские культуры Кавказа, с. 53—66; История первобытного общества, Общие вопросы, Проблемы антропосоциогенеза, М., 1983, с. 400.

წელს მე-5 ფენაში იპოვეს კომინიდიის კბილის ნატეხი. მისი შესწავლის შემდეგ გამოითქვა მეტად ფრთხილი, წინასწარული ვარაუდი, რომ კბილი სინანთროპის მსგავს არქანთროპს უნდა ეკუთვნოდეს.

კუდარო I აშელური ფენის ქვის ნივთები არალევალუური ხასიათისაა. და ძირითადად დამზადებულია ფიქლისა და ქვიშაქვისაგან. მათთვის დამახასიათებელია ზედაპირების საკმაო გამოფიტვა (განსაკუთრებით ფიქლის ნივთებისათვის), წიბოების მნიშვნელოვანი გადაღესილობა, მოყვითალო-მოვარდისფრო პატინა და მანგანუმის წინწყლების ინტენსიური ჩანართები. ფენაში მოპოვებული მასალა წარმოდგენილია კაქრებით, სხვადასხვა სახის არქაული დისკოსებური და ფუძიანი ნუკლეუსებით, ქერცლისებური ანატექცებით, ანამტკრევეებით, ფართო, გლუვი, დაქანებული დარტყმისმოედნიანი და რელიეფურ ბურცულიანი, საშუალო (4—6 სმ) და დიდი ზომის უხეში ანატექცებითა და მზა იარაღ-ხელსაწყოებით. ქვის პირველადი დამუშავებისათვის გამოყენებულია გაბობა-ატეცის არქაული, აშელური ტექნიკა, ხოლო იარაღის გასაკეთებლად ანატექცის კონტურსდაქვემდებარებული ცალმხრივი რეტუში.

იარაღ-ხელსაწყოების ჯგუფისათვის დამახასიათებელია კაქრებზე და უხეშ მასიურ ანატექცებზე დამზადებული იარაღების, მიკრო ხელსაწყოებისა და აგრეთვე, მცირე რაოდენობით ზედა პალეოლითისათვის ტიპური ზოგიერთი იარაღის თანაარსებობა. ასეთებია: ხელცულები, სახოკები, ჩოპერ-ჩოპინგები, ამოღარული იარაღები, სახოკის, წვეტანის და დაკბილული იარაღის ტიპის მიკრო ხელსაწყოები და ცალკეული პატარა საფხეკები და სატეხ-სათლელები (ნახ. 37,1—9). იარაღებში წამყვანი ადგილი სახოკებსა და ხელცულებს უკავიათ. ხელცულები ნუშისებური, გარდიგარდმო სამუშაოპირიანი ოთხკუთხედისებური, ოვალური და სხვა მოყვანილობისაა. დამზადებულია ისინი მასიურ კაქრებზე და ანატექცებზე (ნახ. 37,9), დამუშავებულია ორმხრივი გათლით და იხელფაეტროვანი რეტუშით, სამუშაო ნაწილის ნაპირები მეტწილად ზიგზაგისებურია.

აშელურ ფენაში ნაპოვნი ცხოველის 5000 ძვლიდან 3166 დიდტანიან მაწოვრებს ეკუთვნის, რაც მეტყველებს არა მხოლოდ კუდაროელი მონადირეების მაღალ პროფესიულ შესაძლებლობებზე, არამედ ნადირობისა და ხორციეული საკვების უდიდეს მნიშვნელობაზე უძველესი ადამიანების ცხოვრებაში. ფენაში დამოწმებულია მეოთხეულის ფაუნის შემდეგი წარმომადგენლები: მღვიმის დათვი, კეთილშობილი ირემი, ბიზონი, მარტორქა, მაჩვზღარბა, მაკაკა, მთის თხა და სხვ. ძირითადი სანადირო ობიექტი მღვიმის დათვი იყო.

ვ. ლიუბინი მღვიმე კუდარო I-ის მე-5 კულტურულ ფენას შუა აშელის ხანით ათარიღებს და ვარაუდობს, რომ იგი უნდა წარმოქმნილიყო თბილი და მშრალი ჰავის პირობებში, კერძოდ რის-ვიურმის გამყინვარებათაშორისი ეპოქის დასაწყისში.

მღვიმე კუდარო I-ში მუსტიეს ხანის ნაშთებს შეიცავდნენ I-II და IV ფენები. III ფენა ლითოლოგიურად განსხვავებულ სამ პორიზონტად იყოფა.

ბოლო IV ფენა ერთი ჰორიზონტითაა წარმოდგენილი (ნახ. 36,2). ოთხივე ჰორიზონტის მასალა ერთნაირია. მათში მოპოვებულია სულ 101 ქვის ნივთი და ცხოველის, ფრინველისა და თევზის დიდძალი ძვლები. გამოვლენილია, აგრეთვე, დროებითი კერების პატარა ნაცეცხლური ლაქები.

ფენებში არ არის წარმოების ნარჩენები. მაშასადამე, მუსტიეს ხანაში მღვიმე კუდარო I-ში ქვის დამუშავება არ ხდებოდა, მას სადღაც სხვაგან ამუშავებდნენ და მღვიმეში მხოლოდ მზა ნაწარმი მოჰქონდათ. ოთხივე ჰორიზონტის ინვენტარი აშკარად შერჩევით ხასიათს ატარებს. ამასვე ადასტურებს იარაღის მაღალი პროცენტი და მასალის ტექნიკური მაჩვენებლები.

კუდარო I-ის ქვის მასალაში არის ერთადერთი დისკოსებური ცალმხრივი ნუკლეუსი (ნახ. 38,18), ლევალუური და არალევალუური ანატექცები, ლამელები (ნახ. 38,1—5,14,17; 39,1—4), სამკუთხედისებური ანატექცები, წვეტანები (ნახ. 38,6,7,9,13,15,16,19; 39,5,7,9—13; 40,7), სახოკები (ნახ. 38,10—12; 39,14; 40,1—5,8), ზურგიანი დანები (ნახ. 39,6,8; 40,6,9,10), შუბისპირები, ამოღარული იარაღები და სხვ. დამზადებულია ისინი ფიქლისა და ქვიშაქვი-საგან და მხოლოდ წვეტანების ნაწილია კაეისა და ანდეზიტისა.

ანატექცე-ლამელებში გაცილებით მეტია ლევალუურები. მათ უმეტესობას ფაცეტირებული დარტყმის მოედნები აქვს. ფაცეტირების საერთო ინდექსი 67,7%-ს უდრის. მნიშვნელოვნად ქარბობენ ფაცეტირებული ამონხეილი მოედნები (60,9%). მათ შორის გვხვდება ე. წ. „უანდარმის ქუდის ტაძის“ მოედნებიც. გლუვი მოედნები ყველა სახის დარტყმის მოედნების 1/3 შეადგენენ. კოლექციის ლევალუს ინდექსი 62,2%-ს უდრის, ბოლო ლამელებისა 74,4%-ს. ამრიგად, ინდუსტრია ლევალუური, ლამელარული და ფაცეტირებული ხასიათისაა.

მზა იარაღი მთელი მონაპოვარი ქვის მასალის 70% შეადგენს. მათში წამყვანი ადგილი წვეტანებს უკავიათ. ისინი დამზადებულია მეტად მოგრძო ლამელებსა და ანატექცებზე. ტიპოლოგიურად გამოიყოფა მუსტიეური და ლევალუური რეტუსირებული წვეტანები. ქარბობს ბოლოდასახელებული იარაღი. წვეტანები მეტწილად დამუშავებულია ცალმხრივი (ზედა სიბრტყე-დან) თხელფაცეტოვანი დამრეცი და ნახევრადციცაბო რეტუსით. გვხვდება ნაწილობრივ ორმხრივდამუშავებული იარაღებიც და აგრეთვე, ტარზე დაგების მიზნით სპეციალური დანიშნულების ე. წ. ბიფასიალური რეტუსით ფუძემუშუსუბუქებული წვეტანები, რომლებიც შუბისპირებს წარმოადგენენ.

რაოდენობით იარაღებში მეორე ადგილზეა სახოკები. ისინი ცალპირა და ორპირა, სწორ და ამონხეილსამუშაოპირიანი და სხვა ტიპისაა. დამზადებულია სახოკები ანატექცებსა და ლამელებზე. დამუშავებულია ძირითადად კონტურსდაქვემდებარებული ცალმხრივი ციცაბო და ნახევრადციცაბო რეტუსით. სხვა იარაღი მხოლოდ ცალკეული ნიმუშებითაა წარმოდგენილი. ბევრია გატეხილი იარაღ-ნელსაწყო.

კუდაროს მუსტიეურ ფენებში აღმოჩენილი ფაუნის ნაშთების მიხედვით პირველყოფილი ადამიანის ძირითადი სანადირო ობიექტი მღვიმის დათვი ყოფილა. ჯარდა ამისა, უნადირაით ისეთ ცხოველებსა და ფრინველებზე, როგორცაა კეთილშობილი ირემი, ბიზონი, დასავლეთ კავკასიური თხა, მთის ცხვარი, კურდღელი, მთის ინდაური, როჭო და სხვ. ნადირობაზე არანაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კუდაროელებისათვის მეთევზეობას, რაც ფენებში ორაგულის ათეული ათასობით ძვლების მოპოვებით დასტურდება. უპიკველად ეწეოდნენ მცენარეული საკვების შეგროვებასაც.

როგორც დავინახეთ, კუდაროში არ არის წარმოების ნარჩენები და მძლავრი კერები, დამოწმებულია მხოლოდ დროებითი პატარა კერების ნაცეცხლური ლაქები და ნაპოვნია აშკარად სპეციალურად შერჩეული იარაღი და ცხოველის უამრავი ძვალი, რაც იმის მუშყყებელია, რომ მღვიმე მუსტიეს ხანაში წარმოადგენდა არა ხანგრძლივ სადგომს, არამედ პირველყოფილ მონადირეთა ბანაკს, რომელიც ფუნქციონირებდა წელიწადის გარკვეულ დროს, მთის ცხოველებზე და ფრინველებზე ნადირობისა და ორაგულზე თევზაობის სეზონის მანძილზე.

მღვიმე კუდარო I-ის მე-3 და მე-4 ფენების ქვედაპალეოლითური მასალა დიდ მსგავსებას პოულობს წონას მღვიმის თანადროულ ინვენტართან. ტექნიკურ-ტიპოლოგიური მონაცემების მიხედვით, ლევალუაური ფაციესის, ლამელარულ, ფაცეტირებულ ტიპიურ მუსტიეს მიეკუთვნება და გვიანი მუსტიეს ხანით თარიღდება⁵⁰.

მღვიმე კუდარო III მდებარეობს მთა ჩასავლის სამხრეთ ფერდობზე, კუდარო I-საგან სულ რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით. იგი 1955 წელს აღმოაჩინა ვ. ლიუბინმა. ძეგლი დროგამოშვებით ითხრებოდა 1977 წლამდე. აქ კულტურულ ფენებში შუა აშელისა და გვიანი მუსტიეს ხანის კუდარო I-სა და წონას მღვიმის ანალოგიური ნაშთებია მოპოვებული⁵¹.

წონას, კუდარო I და III მღვიმეების მუსტიეური ფენების მასალები თავისი ძირითადი მონაცემებით თითქმის იდენტურია. ისინი გვიანი მუსტიეს მიეკუთვნებიან და კულტურულ და ასაკობრივ მსგავსებას იჩენენ იმერეთის მღვიმური ძეგლის ჯრუჭულას მუსტიეური ფენების ინვენტართან. მიუხედავად

⁵⁰ В. П. Любнн. Высокогорная пещерная стоянка Кударо I (Юго-Осетия), Известия Всесоюзного географического общества АН СССР, т. 91, вып. 2, М.—Л., 1959, с. 173—183; Его же. Ранний палеолит Кавказа, с. 162; Нижний палеолит, с. 19—42; Мустьерские культуры Кавказа, с. 13—53; А. А. Зубов. О ýбe архантропа из пещеры Кударо I, в книге Кударские пещерные палеолитические стоянки Юго-Осетии, М., 1980, с. 132; Н. К. Верещагин, Г. Ф. Барышников. Остатки млекопитающих в восточной галерее пещеры Кударо I, Кударские пещерные палеолитические стоянки Юго-Осетии, с. 51—62.

⁵¹ В. П. Любнн, Г. М. Левковская. Пещера Кударо III, МИА СССР, № 185, Л., 1972, с. 25—40.

ძეგლების განსხვავებული ხასიათისა (მონადირეთა დროებითი ბანაკი, ხანგრძლივი სადგომი და სხვ.), მათთვის დამახასიათებელია მთელი რიგი საერთო, თავისებური ნიშნები: ქვის გაობა-ატკეცის ერთნაირი ტექნიკა, ხელსაწყოთა მსგავსი ტიპები, მეტად მოგრძო წვეტანები, წვეტანებისა და შუბისპირების დამუშავების იდენტური წესი, იარაღების ნაწილობრივი ორმხრივი დამუშავება და სხვ. აღნიშნული მთავარი ნიშნების მიხედვით, ვ. ლიუბინი და დ. თუშაბრა-მიშვილი ოთხივე მღვიმის მასალებს ლევალუური ტიპური მუსტიეს ერთიან ლოკალურ ვარიანტად მიიჩნევენ და ცალკე გამოყოფენ მათ კუდარო-ჯრუქულის, კუდაროს ან ჯრუქულის მუსტიეური კულტურის სახელწოდებით. დ. თუშაბრამიშვილი ამ ლოკალურ ჯგუფში აერთიანებს ყვირილის ხეობის „ღია“ ძეგლ ხვირათსაც⁵².

ქვედა პალეოლითის გავრცელების III რაიონის მუსტიეური „ღია“ ძეგლებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ვ. ლიუბინის მიერ 1955 წელს მიკვლეული და ცალკე ლოკალურ ვარიანტად გამოყოფილი ცხინვალის ტიპური მუსტიეს თვითმყოფი კულტურის ძეგლების ჯგუფი, რომლებსთვისაც დამახასიათებელია შეზღუდული ტერიტორიული გავრცელება, საიარაღო ნედლეულად ძირითადად ერთი და იგივე, გარკვეული ქანის გამოყენება და ცნობილი რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების განუმეორებელი შეფარდებითა და მეტრული და მორფოლოგიური მონაცემების თვითმყოფი ერთიანობით გაპირობებული, ინდუსტრიების თავისებური ტექნიკურ-ტიპოლოგიური იერ-სახე, რაც მკაფიოდ განასხვავებს მათ საქართველო-კავკასიის სხვა თანადროული მუსტიეური ძეგლების ინდუსტრიებისაგან.

ცხინვალის თავისებური მუსტიეური კულტურის ძეგლების ჯგუფში გაერთიანებულია, ქ. ცხინვალის შემოგარენში გამოვლენილი ექვსი „ღია“ ადგილსამყოფელი კარკუსთა-კაუ, თამარაშენი, კუსრეთი I—III და პეკინარი. ისინი მდებარეობენ ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთის მთისწინებში, მდ. დიდი ლიხვის მარჯვენა ნაპირის ტერასებზე, 900—1000 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე. მათი კულტურული ფენები დაშლილი, განადგურებულია და ქვის მასალა მიწის ზედაპირზეა მიმობნეული. შეგროვებული კოლექციების შემადგენლობის მიხედვით ადგილსამყოფლები ქვის დამუშავების მთლიანი ციკლის მქონე სადგომ-სახელოსნოების ნაშთებს წარმოადგენენ.

ექვსივე ძეგლის ინვენტარში არის: დისკოსებური და სხვადასხვა სახის ფუძიანი არალევალუური და ლევალუური (ნახ. 42,10) ნუკლეუსები (სულ 70 ც.), არალევალუური ანატკეც-ლამელები, ლევალუური ანატკეცები, სამკუთხედისებური ანატკეცები და ლამელები (ნახ. 41,7,8,10,11; 42,2—4) ლევალუური და არალევალუური ტრონკირებული (ირიბად ბოლოწაკვეთილი და

52 В. П. Любим. Мустьерские культуры Кавказа, с. 92—95; Д. М. Тушабра-мишвили. Палеолит в Грузии, с. 53—54; დ. თუშაბრამიშვილი, მუსტიეური ხანის მასალა ხვირათიდან, გვ. 18—20.

რეტუშირებულ) ანატკეცები და ლამელები, ლევალუაური წვეტანები (ნახ. 41,1—6,9; 42,6—8), ნაირგვარი სახოკები (ნახ. 41,12,13; 42,1,9), შესწორებულ და ნატურალურ ზურგიანი დანები (ნახ. 42, 5), ორნაირი ტიპის საფხეკი (ე. წ. მხრებიანი და მოგრძო ნამზადის ბოლოზე გაფორმებული), დაკბილულ-ამოღარული იარაღები, ფოთლისებური ფორმები, ნისკარტისებური და სატეხ-სათლელისებური იარაღები, ლევალუაური რეტუშირებული და მუსტიური წვეტანები, ჩოპერები, ჩოპინგები და ბიფასები. მასალა ძირითადად ადგილობრივი ანდეზიტისაა. მისგან დამზადებული ნივთების რაოდენობა ძეგლებზე 72% და 85%-ის ფარგლებში მერყეობს. გამოყენებულია, აგრეთვე, კაჟი, ფიქალი, ქვიშაქვა და ობსიდიანი.

ლევალუაური ნუკლეუსები (საშუალო ზომა 5—6 სმ) ერთფუძიანი, ორფუძიანი, სამკუთხედისებური და სხვა ტიპისაა. წამყვანი ადგილი ერთფუძიანებს უკავიათ. ნუკლეუსების 90% ცალმხრივია და ბოლომდეა უტილიზებული. ისინი გულმოდგინედაა დამუშავებული, დარტყმის მოედნები რეტუშირებულ-ფაცეტირებული, ხოლო ზურგი შესწორებული აქვთ.

ნამზადების უდიდეს უმრავლესობას, ძირითადად 5—6 სმ სიგრძის, მეორადი ატკეცის ლევალუაური სამკუთხედისებური ანატკეცები და ლამელები შეადგენენ, რომლებსაც ახასიათებთ მოგრძო პროპორციები, სწორი ან ოდნავ ამოზნექილი გვერდები და ყველაზე მეტი სიგანე ფუძესთან. ნამზადების ლევალუს ტექნიკური ინდექსები 37,7% და 44,5% შორის მერყეობს, ხოლო ლამელებისა 27,7% და 31,2% შორის. ლევალუაური და არალევალუაური ნამზადების უმეტესობას შესწორებულ-ფაცეტირებული დარტყმის მოედნები აქვთ. შესწორების საერთო ინდექსები მაღალია და 71% და 74,4%-ს შორის მერყეობს, ხოლო ფაქიზი ფაცეტირებისა 41,3% და 44,1%-ს შორის. დიდია ამოზნექილ-ფაცეტირებული დარტყმის მოედნების ხვედრითი წილი. გლუვი მოედნები უმნიშვნელო რაოდენობითაა. ანატკეც-ნამზადების ჯგუფის ერთ-ერთ თვალსაჩინო კომპონენტს წარმოადგენენ ნაირ-ნაირი ზურგიანი დანები, რომელთა შორისაც გვხვდება სრულიად თავისებური, განიკვეთში სოლისებური, სწორ და გლუვგვერდებიანი და ძალიან მასიური ზურგიანი იარაღები.

იარაღ-ხელსაწყოები მზადდებოდა რეტუშის, გათლის, ორდინარული (რიგობრივი, მომიჯნავე) და კლექტონური ამონადარების (ანკოშების) და ე. წ. ნუკლეუსისებური დამუშავების წესით ფუძის გათხელება-დავიწროვების საშუალებით. პირველადი და მეორადი დამუშავების ერთ-ერთ მთავარ მიზანს შეადგენდა აგრეთვე, იარაღების ნატურალური და წახნაგოვანი ზურგის (ტარის, სახელურის), ტორს-ჩამონატეხებისა და შვეული ანკოშების გაფორმება.

რეტუში უპირატესად ზედა სიბრტყის მხრიდან დატანილი, ცალმხრივია. მიმართავდნენ ქვედა სიბრტყის, ორივე სიბრტყისა და საპირისპირო სიბრტყეების მხრიდან რეტუშირებასაც. გამოყენებოდა ძირითადად კიდურა (ნაპირის) და ფასიალური თხელფაცეტოვანი დამრეცი და ნახევრადციცაბო რეტუში, ეპიზოდურად კი ქერცლისებური, საფეხუროვანი, ციცაბო, მთლიანი, გაბმული

და სხვ. რეტუშით მზადდებოდა სახოკები, ტრონკირებული ნაკეთობები, საფხეკები, წვეტანები, ანკოშები და სხვ. ქვედა სიბრტყის მხრიდან რეტუშირებულია მხოლოდ სახოკების, ტრონკირებული ხელსაწყოებისა და ანკოშების მცირე ნაწილი. გათლით დამუშავებულია ჩოპერები, ჩოპინგები და ბიფასები, ხოლო მომიჯნავე ანკოშებით დაკბილული (მსხვილკბილა) იარაღები. გარდა ამისა, ანკოშები გამოიყენებოდა როგორც თავისთავადი იარაღები და სხვა იარაღების სამუშაო და სატარე ელემენტების გამოსაყოფად და გასაფორმებლად.

ცხინვალის ჭგუფის ძეგლების ინდუსტრიების ტიპოლოგია, ტექნიკის მსგავსად, მკვეთრად გამოსახული ლევალუაური ხასიათისაა. კოლექციებში ტიპოლოგიური მხრივ რაოდენობრივად ყველაზე მეტია საკუთრივ ლევალუაური ურეტუშო ნაკეთობები, ლევალუაური ლამელები და წვეტანები. ლევალუას ტიპოლოგიური ინდექსები 38,8% და 46%-ს შორის მერყეობს. ურეტუშო ფორმების მეორე დიდ ჭგუფს ქმნიან სხვადასხვა სახის ზურგიანი დანები.

რეტუშირებული იარაღების ძირითად მასას შეადგენენ სახოკები, ამოღარულ-დაკბილული იარაღები, საფხეკები და ტრონკირებული ანატყეც-ლაშელები. სახოკების ინდექსები მაღალია და 21,4% და 25%-ს შორის მერყეობს. მათში გამოიყოფა სწორი, ოპირა და თავისებური კინას და შარანტის ტიპის (კუთხის განივი და საწინააღმდეგო სიბრტყეებიდან რეტუშირებული, საპირისპირო გვერდებზე განლაგებული სამუშაო პირებით) სახოკები. სხვა იარაღები — ლევალუაური რეტუშირებული წვეტანები, მუსტიეური წვეტანები, ნისკარტისებური და სატეხ-სათლელისებური ხელსაწყოები, ფოთლისებური ფორმენი, ჩოპერები, ჩოპინგები და ბიფასები თითო ან ორი-სამი ცალია. ჩამოთვლილი იარაღებიდან ბევრს ადგილობრივი, თავისი საკუთარი, განმასხვავებელი ზოგიერთი ნიშნები და თავისებურებები ახასიათებს ან ისინი სრულიად ორიგინალურია. ადგილობრივ ფორმებს მიეკუთვნება, მაგალითად, თავისებური კუთხის და მოგრძო, მასიურ ნაშაღებზე გაფორმებული კინას ტიპის სახოკები, ხოლო ადგილობრივ თავისებურებებს სხვებთან შედარებით მხრებიანი საფხეკებისათვის უპირატესობის მინიჭება, ტრონკირებული ფორმებისა და მთელი ჭგუფი ნაირგვარი ურეტუშო ზურგიანი დანების არსებობა, იარაღების ფუძის ან ბოლოს ნუკლეუსისებური დამუშავებით გათხელება, ორდინარული და კლექტონური ანკოშების ფართოდ გამოყენება და სხვ. ორიგინალურ ფორმებსა და სამუშაო ელემენტებს წარმოადგენს ზოგიერთი ნუკლეუსი, კარკუსთა-კაუს ტიპის დანა, რეტუშირებულზურგიანი დაკბილული იარაღი და სხვ.

ცხინვალის მუსტიეური „ღია“ ძეგლების ჭგუფის ინდუსტრია მთლიანად, ყველა თავისი ტექნიკურ-ტიპოლოგიური მონაცემებით, ლევალუაური ფაუნისის ლამელარული, ფაქტურებული ტიპიური მუსტიეს მეტად თავისებურ, ლოკალურ სახესხვაობას მიეკუთვნება. მისი თავისებურება გამოიხატება ურე-

ტუშო ზურგიანი დანების ფართოდ გავრცელებაში, რიგი ზედაპალეოლითური (საფხეკები, ტრონკირებული ანატკეცები, ნაწილობრივ დამუშავებულ ზურგიანი დანები) და ამოღარულ-დაკბილული ფორმების, შარანტის ზოგიერთი ელემენტისა და ერთეული ჩოპერების, ჩოპინგებისა და ბიფასების არსებობაში. აღნიშნულ ძეგლთა ჯგუფის ასაკი ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის დადგენილი, სავარაუდოდ თარიღია რის-ვიურმის გამყინვარებათაშორისი ეპოქის დასასრული ან ვიურმის გამყინვარების დასაწყისის თბილი ინტერსტადიალი ე. ი. მუსტიეს ხანის პირველი ნახევარი⁵³.

მუსტიეური სხვა „ღია“ ძეგლებიდან უნდა დავასახელოთ სოფ. ჯიჯოთაჲ (ცხინვალის რ-ი), სოფ. მორგოს (ჯავის რ-ი) და სოფ. ყორნისის (ზნაურის რ-ი) ადგილსამყოფლები, რომლებიც ცენტრალური კავკასიონის საშუალო-მთიანი ზოლის სამხრეთ ნაწილში, 1300—1500 მ აბსოლუტურ სიმაღლეებზე მდებარეობენ. ჯიჯოთაში მოპოვებულია ანდეზიტის 4 ანატკეცი, სახოკი (ნახ. 43,10) და ერთი წვეტანა (ნახ. 43,11). გვიანი ლევალუა-მუსტიეური ადგილსამყოფლის მორგოს კოლექცია შედგება ნუკლეუსების (ნახ. 43,1,2), ანატკეცების (ნახ. 43,3—5), ლამელების (ნახ. 43,6—8), საფხეკების (ნახ. 43,9) და სხვა ნივთებისაგან. მათ არ ეტყობათ გორვის კვალი, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი მეორად განლაგებაში, მაგრამ თავის თავდაპირველ სამყოფელზეა ნაპოვნი. ყორნისში შეგროვებულია მუსტიედან ზედა პალეოლითში გარდამავალი ხანის კაეს ანატკეც-ლამელები, დისკოსებური და ფუძიანი ნუკლეუსები და სხვ.⁵⁴

უკანასკნელი 8—10 წლის განმავლობაში მუსტიეური ნაშთების 20-ზე მეტი ახალი „ღია“ ადგილსამყოფელი აღმოჩნდა საკუთრივ შიდა ქართლში, ხაშურის (9), კასპის (8), დუშეთის (1) და ქარელის (3) რაიონებში, აგრეთვე, სოფ. დიღომთან და ქ. თბილისში.

საქართველოში ქვედა პალეოლითის გავრცელების IV და V რაიონები ქვემო ქართლი და ჯავახეთის მთიანეთი სხვა რაიონებთან შედარებით სუსტადაა შესწავლილი და, ცხადია, ამის გამო აქ ძეგლებიც ცოტაა გამოვლენილი.

ქვემო ქართლში ქვედაპალეოლითური ნაშთები პირველად მოპოვებულ იქნა 1957 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ხრამის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. სადღეისოდ ამ მხარეში ცნობილია აშელური და მუსტიეური მცირერიცხოვანი ნაშთების 10 „ღია“ ადგილსამყოფელი და მუსტიეს ხანის ერთი მღვიმური ძეგლი. „ღია“ ადგილსამყოფლები გამოვლენილია დაბა მადნეულთან (ყოფილი

⁵³ В. П. Л ю б н и, დასახ. ნაშრომი, გვ. 96 — 142.

⁵⁴ В. П. Л ю б н и, Нижнеспалеолитические памятники Юго-Осетии, с. 64—76; ილ. კალანდაძე, საქართველოს ტერიტორიაზე წინაგვიანული საზოგადოების ჩამოყალიბების ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 1956, გვ. 247—250.

სოფ. ვაზრეთი, ბოლნისის რ-ი), სოფ. სამშვილდესთან (თეთრიწყაროს რ-ი), სოფ. მამეისთან (მარნეულის რ-ი), სოფ. გომარეთთან, პატარა დმანისთან და ვარდისუბანთან (დმანისის რ-ი), წალკის მიდამოებში (პატარა ხრამი, დაშბაში, საბიტ-ახჩა), ხოლო მუსტიეური მღვიმური ძეგლი სოფ. წოფთან (მარნეულის რ-ი). მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია წოფის მღვიმე, რომელიც არქეოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრდა წოფის დამარხული გამოქვაბულის სახელით⁵⁵.

მღვიმე წოფი 1957 წელს აღმოაჩინა და 1957—1958 წლებში გათხარა და შეისწავლა ხრამის ხეობის ექსპედიციის წევრმა გ. გრიგოლიამ. ძეგლი მდებარეობს ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. დეხედას შენაკადის მდ. ბანასწყლის მარცხენა ნაპირზე, წოფის გორის სამხრეთ ფერდობზე, 820 მ აბსოლუტურ და 180—200 მ შეფარდებით სიმაღლეზე. წოფი კირქვებში წარმოქმნილი ნაპრაღის ტიპის მღვიმეა, რომელიც უკვე ზედა პლეისტოცენში დაქცეულა და დამარხულა. ქვედაპალეოლითელ ადამიანს მასში უცხოვრია მანამდე, სანამ რალაც უეცარმა ბუნებრივმა კატასტროფამ (ველკანის მოქმედებით გამოწვეულმა მიწისძვრამ?) არ მოსპო იგი. მღვიმე დერეფნისებურია, გახსნილია აღმოსავლეთისაკენ. მისი სიღრმე 18 მ-ია; სიგანე შესასვლელთან — 4 მ, ცენტრალურ ნაწილში — 5,60 მ, ხოლო ბოლოში — 2,80 მ. საერთო ფართობი დაახლოებით 70 კვ. მეტრს უდრის. თალი ჩაქცეულია და შემორჩენილია მხოლოდ 1,70—5 მ სიმაღლის კირქვის კედლები⁵⁶.

წოფის მღვიმეში გაითხარა 45 კვ. მეტრი ფართობი. თხრილის გრძივ და განივ ჭრილებში გამოიყო ორი კულტურული ფენა. მუსტიეურ მასალას შეიცავდა შეფერილობით განსხვავებული, სრულიად ერთგვაროვანი თიხნარის 5 პორიზონტისაგან შემდგარი, 3 მ საერთო სიძლიერის ქვედა, II კულტურული ფენა (ნახ. 44, 1,2). II ფენის ხუთივე პორიზონტის ქვის მასალა ერთმანეთის ანალოგიურია და, ამრიგად, იგი მუსტიეს ეპოქის ერთ მთლიან კულტურულ ფენას წარმოადგენს.

წოფის დამარხული მღვიმის მუსტიეს ხანის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა 2800 ქვის ნივთი, ცხოველის 478 ძვალი და კბილები, სამ-სამი ლოდით შედ-

55. ნ. ბერძენიშვილი, ხრამის ხეობის პალეოლითური ძეგლები. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, თბ., 1963, გვ. 5—12; მ. გაბუნია, თრიალეთის ქვის ხანის ახალი აღმოჩენები, მოამბე, 86, № 1, თბ., 1977, გვ. 229—231; გ. გრიგოლია, ქვემო ქართლის პალეოლითი, თბ., 1963, გვ. 19—22.

56. გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრომი, გვ. 23—39. მოსაზრებას, რომ წოფი დამარხული მღვიმური ძეგლია, მხარს უჭერს ი. გრძელოშვილიც (ი. გრძელოშვილი, წოფის ძველი ქვის ხანის სადგომის დახასიათებისათვის, ხელნაწერი, თბ., 1958). დ. წერეთელს მიაჩნია, რომ წოფი როფისებურ თხრილში გამართული „ღია“ სადგომია (დ. წერეთელი, წოფის პალეოლითური სადგომის მორფოლოგიური და გეოლოგიური დახასიათება, ხელნაწერი, თბ., 1958). „ღია“ ძეგლად თელის წოფს ვ. ლიუბინიც (В. П. Любин. Мустьерские культуры Кавказа, с. 196—197).

გენილი ორი კერა (II და V ჰორიზონტები) და სამეურნეო დანიშნულების, 30—35 სმ სიღრმის, კედლებშებოლილი გობისებური ორმო (V ჰორიზონტი).

პალეოზოოლოგიური მასალა წარმოდგენილია სტეპებისა და მთაგორიანი ლანდშაფტის ბინადარი 11 სახეობის ცხოველთა ნაშთებით. ესენია: ღომბა, გარეული ცხენი, ნამარხი ევროპული ვირი, კეთილშობილი ირემი, ბეწვიანი მარტორქა, დაღესტნის ჭიხვი, ნიამორი, დათვი, მგელი, რუხი კურდღელი და ოქოტონა. ცხოველების ნაშთების რაოდენობრივი შეფარდებით ირკვევა, რომ წიფში ნადირობას შერჩევითი ხასიათი არ ჰქონია.

ქვის ნივთების კოლექცია შედგება კაჭრების, ანამტერევეების, წარმოების ნარჩენების, ნუკლეუსების, ანატკეცებისა და დასრულებული იარაღებისაგან. ჩარლის გასაკეთებლად გამოიყენებოდა პორფირიტი, ანდეზიტ-ბაზალტი, ანგილიტი, ობსიდიანი, კაჟი და სხვ. პორფირიტისა და კაჟის ნაკეთობები ქანის ბუნებრივ ფერს ინარჩუნებენ. სხვა ქანებისაგან დამზადებული ნივთების ზედაპირები ძლიერ გამოფიტულია და ღრმადაა პატინირებული.

ნუკლეუსები (29 ც.) ამორფული, დისკოსებური ცალმხრივი და ორმხრივი, ერთფუძიანი და ორფუძიანია. დარტყმის მოედნები მომზადებული აქვთ ერთი-ორი ფართო და მსხვილი ფირფიტის ატკეცით ან რომელიმე მხარის უბრალო ვადამტვრევით. ანატკეც-ნამზადებს (1043 ც.) ახასიათებთ დაბალი, ფართო ან მოგრძო, შემთხვევითი მოყვანილობა და მასიურობა, გლუვი, ფართო და დაქანებული, 100°—110°-იანი ბლაგვი კუთხით განლაგებული დარტყმის მოედანი, რელიეფური ბურცული ნიჟარისებური ზადით, რომელიც უმეტესად ქვედა სიბრტყის ნახევარს მოიცავს და ზედა სიბრტყის არაწესიერი და რადიალური დამუშავება. შედარებით განვითარებული იერის მქონე ლამელისებური ანატკეცები მცირე რაოდენობითაა.

იარაღ-ხელსაწყოები ძირითადად ანატკეცებზეა დამზადებული. მათ შორის არის ნაირგვარი სახოკები, დანა-სახოკები, წვეტანები, დანისებური რეტუსირებული იარაღები (ნახ. 46,10), სახოკ-სახვრეტები (ნახ. 46,11) და სხვა კომბინირებული იარაღები, ნისკარტისებური იარაღები (ნახ. 45,3), სახვრეტები (ნახ. 45,11), სეგმენტისებური იარაღი (ნახ. 45,10), ობსიდიანის მოგრძო სამკუთხედისებური მოყვანილობის იარაღი, რომელსაც ზედა სიბრტყე და გვერდები მთლიანად დამუშავებული აქვს ფართოფაცეტოვანი რეტუსით, მასიური საჩხისებური და ორმხრივდამუშავებული მინიატურული ხელცულისებური (ნახ. 46,12) იარაღები, წრიული (ნახ. 46,4) და ბოლო (ნახ. 46,1,2) საფხეკები, საჭრისები და რეტუსირებული ლამელისებური ანატკეცები. იარაღებში წამყვანი ადგილი სახოკებს უკავიათ (419 ც.). ისინი სწორი (ნახ. 46,7), ამოზნექილი (ნახ. 46,8), ამოღარული (ნახ. 46,9), ორპირა (ნახ. 46,13) და სამპირა ტიპისაა. ხშირად გვხვდება ნატურალურზურგაიანი სახოკები (ნახ. 46,7) და დანა-სახოკები (ნახ. 46,3,5). ძირითადი ჯგუფის იარაღებს წარმოადგენენ წვეტანებიც (93 ც.), რომლებშიც გამოიყოფა მოკლე და ფართო სამკუთხედისებური

(ნახ. 45,1), ასიმეტრიული სამკუთხედისებური (ნახ. 45,2), ბიკაორთისებური (ნახ. 45,3), მოგრძო ტოლფერდა სამკუთხედისებური (ნახ. 45,4—6) მოყვანილობისა და ორმაგი (ნახ. 45,7—9) იარაღები. მათთვის დამახასიათებელია უხეში იერი, ბლაგვი წვერი და მასიური ფუძე. სხვა იარაღები თითო ან ორი-სამი ცალია.

იარაღ-ნამზადების უმრავლესობა დამუშავებულია ზედა სიბრტყის მხრიდან, ცალმხრივი კონტურსდაქვემდებარებული რეტუშით. ქვედა სიბრტყის მხრიდან დამუშავება მეტად იშვიათია, ხოლო ორივე სიბრტყის მხრიდან რეტუშირებულია სულ 73 იარაღი (7,7%). ორმხრივდამუშავებულია მინიატურული ხელცულისებური იარაღები, ზოგიერთი სახოკი და წვეტანა. მეორად დამუშავებაში წამყვანია საფეხუროვანი ფართოფაცეტოვანი რეტუში, გამოიყენებოდა, აგრეთვე, დაკბილული რეტუში, შედარებით ფაქიზი ფხიანი მჭრელი რეტუში (დანები), ფართო ფირფიტების ატყეცი თამოლარვა (ამოლარულ სამუშაოპირიანი სახოკები) და სხვ.

წოფის ქვედაბალოლითურ მასალაში კარგად შეინიშნება არქაული, შედარებით განვითარებული (ლამელისებური ანატეკები და სხვ.) და ზედაბალოლითური (საფხეკები და საჭრისები) ფორმების თანაარსებობა. აქ გაბატონებულია ქვის პირველადი დამუშავების არალევალუაური ტექნიკა, მასალა არალევალუაური, არაფაცეტირებულია და ადრეული მუსტიეს ხანით თარიღდება.

როგორც მზა ნაწარმის პროცენტული შეფარდებით, ასევე ტიპოლოგიითა და პირველადი და მეორადი დამუშავების პრიმიტიული ტექნიკით, წოფს კავკასიის მუსტიეს ხანის ძეგლებში პირდაპირი ანალოგიები არ ეძებნება. მათ შორის წოფი ყველაზე ადრეული და, ამასთან, მკვეთრად განსხვავებული, თვითმყოფი მუსტიეური კულტურის ძეგლია. რაც შეეხება მის დანიშნულებას, ზეორე კულტურულ ფენაში კერებისა და სამეურნეო ორმოს გამოვლენა, აღმოჩენილი ქვის მასალის ხასიათი და შემადგენლობა და ნანადირევ ცხოველთა უამრავი ძვლები მიუთითებენ, რომ წოფის მღვიმე ადრეულ მუსტიეს ხანაში პირველყოფილი ადამიანის ხანგრძლივ სადგომს წარმოადგენდა⁵⁷.

ვ. ლიუბინი და დ. თუშაბრამიშვილი წოფის ქვის ინვენტარს შარანტის ტიპის კენას ფაციესის მუსტიეური კულტურის მსგავს ინდუსტრიას მიაკუთვნებენ⁵⁸.

57. გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრომი, გვ. 39—123; გ. გრიგოლია, ა. ეეკუა, წოფის პალეოლითური სადგომი და მისი ფუნა, „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“, ტ. I. თბ., 1963, გვ. 157—161.

58 В. П. Любнин. Мустьерские культуры Кавказа, с. 196—197; Д. М. Тушабрамишвили. Палеолит в Грузии, Пещеры Грузии, 9, Тбилиси, 1981, с. 52.

ჯავახეთის მთიანეთში სულ 10-ოდე აშელისა და მუსტიეს ხანის „ლია“ ძეგლია აღმოჩენილი. 1960 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციის თანამშრომელმა გ. გრიგოლიამ აქ პირველი სამი სადგომი გამოავლინა: ახალქალაქი I და II ქ. ახალქალაქთან და კუმურდო ასპინძის რაიონის სოფ. კუმურდოსთან. მანვე ცალკეული ლევალუაურ-მუსტიეური ნივთები იპოვნა ქ. ახალციხის მახლობლად. ახალქალაქის I და II სადგომებზე მოპოვებულია აშელის მეორე ნახევრის ანდეზიტ-ბაზალტის ხელცულები (ნახ. 48,1,2), ფუძიანი (ნახ. 47,2; 48,3) და დისკოსებური (ნახ. 47,1) ნუკლეუსები, სახოკები, წვეტანისებური იარაღები და ანატკეცები, ხოლო კუმურდოში გვიანი ლევალუა-მუსტიეური ანდეზიტისა და ობსიდიანის დისკოსებური და არალევალუაური და ლევალუაური. ერთფუძიანი ნუკლეუსები, მოგრძო სწორკუთხა ანატკეცები (ნახ. 47,3,5), ლამელები, დანები, სახოკები (ნახ. 47,4; 48,4—6), მუსტიეური და ლევალუაური რეტუმირებული წვეტანები (ნახ. 48,7—9), ორმხრივდამუშავებული იარაღები და სხვ⁵⁹.

ბოლო წლებში აშელის და მუსტიეს „ლია“ ადგილსამყოფლები გამოვლინდა ფარავნის ტბის მიდამოში ჭიჭიან მთასთან. მუსტიეს ხანის ორი სადგომი აღმოჩნდა ახალქალაქის რაიონში სოფ. ხულგუმას მიწებზე და სოფ. დილისკას მახლობლად, საშუალო საუკუნეების ქართული ეკლესიის მურჯის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, აგრეთვე, ახალციხის რაიონის სოფ. ხაქვი ნაპოვნი 16,3 სმ სიგრძის ანდეზიტის აშელის მეორე ნახევრის ხელცული (ნახ. 47,6)⁶⁰.

ადრეული პალეოლითის ძეგლების გავრცელების შეეჭვსე რაიონის კახეთის (იორ-ალაზნის აუზი) ქვის ხანის კვლევას საფუძველი დაედო ამ ორი ათეული წლის წინათ, 60-იანი წლების დასაწყისიდან და დაკავშირებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ქვის ხანის შემსწავლელი რაზმის (უფროსი თ. ბუგეიანიშვილი) საველე მუშაობასთან. ამჟამად კახეთში გამოვლენილია 33 ქვედაპალეოლითური „ლია“ ძეგლი — 15 აშელის და 18 მუსტიეს ხანისა.

აშელის ხანის 12 ადგილსამყოფელი (ძველი ჩალაუბანი, დიდი ლაქბე, დიდი ტინები, არაშენდა, ქისტაური, ოსიაური და სხვ.) მდებარეობს ცივგომბორის ქედის მთისწინებსა და დაბალმთიანეთში, ხოლო სამი („კაჭუნა I“,

⁵⁹ გ. გრიგოლია, ჯავახეთის ქვედაპალეოლითური ძეგლები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 5—12.

⁶⁰ ზ. ქიქოძე, ე. ქორიძე, ფარავნის ტბის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1977 წ. ჩატარებული სამუშაოების მოკლე ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბ., 1978, გვ. 19—26; М. К. Габунция, К. С. Каландадзе, Т. В. Бугланишвили, Археологическая экспедиция Южно-Грузинского нагорья, ПАИ в 1980 г. Тбилиси, 1982, с. 5—7; О. Гамбашидзе, К. Квициладзе, А. Орджоникидзе, Отчет работы Месхет-Джავахетской археологической экспедиции, ПАИ в 1977 г. Тбилиси, 1980, с. 78—85.

„კრანხები“ და ჩამძვრალიხები). ივრის ანუ გარე კახეთის ზეგანზე. ყველა აშელური ადგილსამყოფელი ამ ეპოქის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. ისევე, როგორც მთელს საქართველოში, კახეთშიც უფრო ადრეული ძეგლები არ არის მიკვლეული, მაგრამ მხარის გეომორფოლოგიური რეგიონების, მაგ., ივრის ზეგნის ზედა პლიოცენისა და ქვედა პლეისტოცენის პალეოგრაფიული და კლიმატური პირობებისა და ლანდშაფტის ხასიათის გათვალისწინება და, აგრეთვე, ზეგანზე აღნიშნული პერიოდების მდიდარი ნამარხი ფაუნისა და ქვედა პალეოლითის შუა საფეხურის ნაშთების მოპოვება, იმის მტკიცე იმედს იძლევა, რომ აქ მოსალოდნელია არა მხოლოდ ადრეული აშელის, არამედ გაცილებით ძველი, წინააშელური ხანის ძეგლების აღმოჩენაც.

აშელური ადგილსამყოფლების უდიდესი უმრავლესობა წარმოდგენილია მცირერიცხოვანი მასალით. მათთვის საერთო დამახასიათებელი ნიშნებია ქვის პირველადი დამუშავების არქაული აშელ-კლექტონური ტექნიკა, ერთფუძიანი ნუკლეუსების მოჭარბება და ხელცულების უმნიშვნელო რაოდენობა. კახეთში სულ 4 ხელცულია ნაპოვნი. ამათგან შედარებით სრულყოფილი დამუშავებით გამოირჩევა დავითგარეჯის უდაბნოში, ადგილ ჩამძვრალხევში აღმოჩენილი. მერგელის მთლიანი კაჟრისაგან გამოთლილი ნუშისებური მოყვანილობის ხელცული (ზომა 14,6×8,3×4,5 სმ), რომელსაც სამუშაო ნაწილის ზიგზაგისებური ნაპირები შესწორებული აქვს რეტეშით, ხოლო ქუსლი საგულდაგულოდ გათლილ-მომრგვალებული (ნახ. 49). ამგვარი ხელცულები უფრო შუა და, აგრეთვე, გვიანი აშელის ხანის ძეგლების კომპლექსებში გვხვდება.

კახეთის აშელურ ძეგლთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა შუა-აშელის ხანის სტრატეფიცირებული მღვიმისგარე სახელოსნო ზიარი. იგი საქართველოში გამოვლენილი პირველი და ჭერჭერობით ერთადერთი აშელური სტრატეფიცირებული „ღია“ ადგილსამყოფელია, სადაც მრავალრიცხოვან ზედაპირულ მასალასთან ერთად აღმოჩნდა თავისი თავდაპირველი განლაგების ადგილზე უძრავად დაცული კულტურული ფენა. ძეგლი მდებარეობს გურჯაანის რაიონის სოფ. ზიართან, მდ. ივრის მარცხენა შენაკადის მდ. ლაქბის მარცხენა ნაპირზე, ციე-გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთის ზიარის განშტოების მცირედ დახრილ, ტყიან, დასავლეთ ფერდობზე, რომელსაც „დურგლიანთ მიწები“ ეწოდება. მისი აბსოლუტური სიმაღლე 900 მ-ია, ხოლო შეფარდებითი მდ. ლაქბის დონიდან 120—150 მ. ძეგლს უკავია ფერდობი და მის ზედა ნაწილში განლაგებული, დაახლოებით 80—100 მ სიგრძისა და 25—30 მ სიგანის, მინდელური ასაკის ტერასისებური მოსწორებული ზედაპირი.

ზიარი აღმოჩნდა 1965 წელს და ამავე წლიდან დაიწყო მისი შესწავლა. 1966 წელს მოსწორებულ ზედაპირზე გამოვლინდა უძრავი კულტურული ფენა, რომლის გავრცელების საზღვრებიც ემთხვევა აღნიშნულ ზედაპირს და მოიცავს დაახლოებით 2500—3000 მ² ფართობს. 1968—1972 წლებში ტყისაგან შედარებით თავისუფალ ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე გაიჭრა 96 მ² ზომის თხრილი. მთელს ფართობზე აღებულ იქნა მხოლოდ ზედა ორი დელუვიური ფენა.

ძირითად ქანამდე გაითხარა სულ 12 კვ. მეტრი (კვადრატი 4,5,6) თხრილის დასავლეთ ნაწილში, სადაც სიღრმემ 2,2 მ მიაღწია (სურ. 6,1). ქრილში გამოიყო, ქვის ხანის ნაშთების მეტ-ნაკლები რაოდენობის შემცველი, ოთხი შრე. აშელის ხანის ძირითად კულტურულ ფენას წარმოადგენს ზევიდან III, 0,80 მ სიმძლავრის ელუვიონის ფენა (სურ. 6,2), დანარჩენებში კი ქვის მასალა აქედანაა მოხვედრილი.

მოსწორებულ ზედაპირზე, კულტურული ფენის გათხრილ ნაწილში აღმოჩნდა 5000-ზე მეტი ქვის ნივთი და მხოლოდ სამი ცხოველის — გარეული ცხენის, კეთილშობილი ირმისა და ღომბას რამდენიმე ძვალი და კბილი.

ქვის მასალა მთლიანად არალევალუაურია და შედგება დიდძალი წარმოების ნარჩენების (ქერცლისებური ანატკეცები, ანატკრევეები და სხვ.), კაჭრების, ქვარგვლების (ხელჩაქეჩების?), ნუკლეუსების ნამზადების, ნუკლეუსების, ანატკეც-ნამზადებისა და მცირე რაოდენობით დასრულებული იარაღისაგან. საწარმოო ნედლეულად გამოყენებულია კაჟი, კირქვა, მერგელი და სხვა ქანები, რომელთა გამოსავლებიც ძველის ტერიტორიაზეა.

ნუკლეუსები (406 ც.) გაფორმებულია კაჭრებზე, შუაზე გაპოხილ კაჭრებზე, მასიურ ანატკეცებსა და ანატკრევეებზე. ისინი ერთფუძიანი გრძივი და განივი, ორფუძიანი, მრავალფუძიანი, ამორფული, დისკოსებური ცალმხრივი და ორმხრივი, სამკუთხედისებური, პროტოპრიზმისებური, პირამიდისებური და სხვა ტიპისაა. გაბატონებული მდგომარეობა ერთფუძიანებს უკავიათ (80,7%), რომლებშიაც განივეები ჰქარბობენ. ნუკლეუსებისათვის დამახასიათებელია ისეთი არქაული ნიშნები, როგორიცაა დიდი ზომები (8-დან 20 სმ-მდე) და მასიურობა; გლუვი, ატკეცის ზედაპირის მიმართ 50°—80°-იანი მახვილი კუთხით განლაგებული, უკუდაქანებული დარტყმის მოედნები და ამოზნექილი, კაჭრის კანით დაფარული ან არაწესიერი ზურგი. მათგან ჩამოთლილია ძირითადად ერთი-ორი ან იშვიათად რამდენიმე, ფართო და მსხვილი ანატკეცი. სამუშაო ზედაპირზე შერჩენილი ატკეცის ნეგატივები ღრმა და არაწესიერია.

ანატკეც-ნამზადებისათვის (3186 ც.) დამახასიათებელია საშუალო და დიდი ზომები (5-დან 20 სმ-მდე), მასიურობა და დაბალი ფართო ან მოგრძო, არაწესიერი მოყვანილობა. ჰქარბობს მოგრძო ფირფიტები (1967 ც.). ანატკეც-ნამზადებს აქვთ ფართო, გლუვი, დაქანებული, ქვედა სიბრტყის მიმართ 100°—140°-იანი ბლაგვი კუთხით განლაგებული დარტყმის მოედანი და მეტად რელიეფური ბურცული ნიჟარისებური ზადით, რომელიც ძირითადად ქვედა სიბრტყის ნახევარს ან მეტს მოიცავს. მოედნებს შორის წამყვანი ადგილი 120°-იანებს უკავიათ. მათ ხშირად ეტყობათ ნახევარწრიული დარტყმის წერტილი (ზოგჯერ ორიც), ხოლო ბურცულს მისგან მომდინარე სხვისებური ბზარები. პირველადი ანატკეცები, ე. ი. ისეთები, რომელთაც ზურგი მთლიანად ან ნაწილობრივ კაჭრის კანით აქვთ დაფარული, 54%-ს შეადგენენ. მეორადი

ანატექეების წილად მოდის 46%. მათი ზურგის დამუშავების ხასიათი უფრო ნაწილად არაწესიერია.

კულტურულ ფენაში აღმოჩნდა სულ 61 იარაღი: ხელცულები, მეტად მასიურ კლექტონურ ანატექეებზე დამზადებული, ორმხრივდამუშავებული უხეში საჩხები (მაგ., ერთი მათგანი $14 \times 10 \times 4,5$ სმ ზომისაა), სხვადასხვა ტიპის სახოკები (ნახ. 50,1,3), ამოღარული იარაღები (ნახ. 50,4), დაკბილული იარაღები, პროტრლიმასი (ნახ. 50,2), სახერტები, ბურღისებური და კომბინირებული იარაღები, საფხეკისებური, წვეტანისებური და შვერილიანი იარაღები.

ხელცული სამია — ორი ნუშისებურის მსგავსი (ნახ. 51; 52,1) და ერთი ოვალური (ნახ. 52,2). გაკეთებულია ისინი პატარა ზომის მთლიან კაქრებზე, სიგრძე შესაბამისად 8 სმ, 11,5 სმ და 10 სმ უდრის. დამუშავებულია ხელცულები მხოლოდ ორმხრივი გათლით და არ არის რეტეშით შესწორებული. მათი სამუშაო ნაწილის ნაპირები პროფილში ზიგზაგისებურია. ყველას აქვს კაქრის კანით დაფარული მასიური ქუსლი.

იარაღიდან ყველაზე მეტია სახოკები (ამოზნექილი, ჩაზნექილი, ორპირა და სხვ.), მეორე ადგილზეა დაკბილული (მსხვილკბილა) და ამოღარული იარაღი. სხვები ორი-სამი ან თითო ცალია. იარაღის უდიდესი უმრავლესობა დამზადებულია ანატექე-ანამტერევეებზე, ხოლო ცალკეული ხელსაწყოები შუაზე გააბილ კაქრებზე. მათი სამუშაო პირები გამოყვანილია უპირატესად ცალმხრივი, ზედა სიბრტყის მხრიდან დატანილი რეტეშით. ქვედა სიბრტყის მხრიდან დამუშავება და ორმხრივი რეტეში იშვიათია. რეტეში ძირითადად კონტურსდაქვემდებარებული ფართოფაცეტოვანი ციცაბოა. გამოიყენებოდა საფეხუროვანი და ზოგჯერ თხელფაცეტოვანი დამრეცი რეტეშიც, აგრეთვე, ცალკეული კლექტონური ან მომიჯნავე ანკოშებით (მსხვილკბილა ამოღარულ-დაკბილული იარაღი) დამუშავება და იარაღის სამუშაო ელემენტის გამოყოფა-გაფორმება ცალმხრივი (მარჯვნიდან ან მარცხნიდან) და ორმხრივი მარჯვნიდან და მარცხნიდან ამოღარვა-რეტეშირებით.

ზიარის კულტურული ფენის ინდუსტრიაში გაბატონებული მდგომარეობა ქვის პირველადი დამუშავების არქაულ აშელ-კლექტონურ ტექნიკას უკავია, ხოლო მეორად დამუშავებაში წამყვანია ფართოფაცეტოვანი ციცაბო რეტეში. ქვის მასალა ყველა თავისი ტექნიკურ-ტიპოლოგიური და მორფოლოგიური ნიშნებით მეტად ტიპურია განვითარებული ანუ შუა აშელის ხანისათვის და ამავე პერიოდით თარიღდება. რაც შეეხება გეოლოგიურ თარიღს, იგი შუა პლეისტოცენით, კერძოდ მინდელ-არისის გამყინვარებათშორისი ეპოქით განისაზღვრება.

როგორც მოტანილი აღწერიდან დავინახეთ, კულტურული ფენის კოლექცია წარმოდგენილია გარკვეული ინვენტარით: უდიდესი რაოდენობით წარმოების ნარჩენებით, ხელჩაქუჩებით, კაქრებით, ნუკლეუსების ნაშაღებით, ნუკ-

ღუესებით, ანატკეცებითა და მცირე რაოდენობის იარაღით, რომელთა შორისაც გვხვდება დაუმთავრებელი და რაიმე დეფექტის გამო, აშკარად დაწუნებული და გადაგებული ნაკეთობები. მასალის ასეთი ხასიათი გამოხატავს ქვის დამუშავების ყველა სტადიას და მოწმობს, რომ იარაღი აქვე მზადდებოდა. ქვის პირველადი გაპობა-ატკეცა და მეორადი დამუშავებაც ადგილზე რომ ხდებოდა, გარდა უამრავი ქერცლისებური ანატკეცებისა და მზა იარაღის არსებობისა, ისიც ადასტურებს, რომ ფენაში მოპოვებულია ნუკლეუსები და მთვან ჩამოთლილი ანატკეცები, რომელთა ურთიერთშეთავსებითაც აღდგენილ იქნა ზოგიერთი ნუკლეუსის პირველსახე. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ ტერასისებური მოსწორებული ზედაპირის სტრატოფიციკრებული ადგილსამყოფელი წარმოადგენს შუა აშელის ხანის ვრცელ „ღია“ სახელოსნოს მთლიანი საწარმოო ციკლით, სადაც ქვის დამუშავება, პირველადი გაპობა-ატკეციდან იარაღის საბუშაო პირის რეტუშირებაამდე, ადგილზე მიმდინარეობდა. აღმოჩენილი კაეის მასალის სიმრავლე და ნაირსახეობა კიდევ იმაზე მიუთითებს, რომ პირველყოფილ ადამიანს აქ მეტად ხანგრძლივად, მრავალი ასეული წლის მანძილზე უსაქმიანია და უკეთებია თავისი იარაღ-ხელსაწყოები.

ზიარში კულტურული ფენის გათხრით მოპოვებული მასალის გარდა, „დურგლიანთ მიწების“ ფერდობზე შეგროვდა ზედაპირული კოლექცია, რომელიც შედგება ადგილობრივი ქანებისაგან დამზადებული, ტექნიკურად და ტიპოლოგიურად ფენისეულის ანალოგიური სამასამდე ნივთისაგან. მათი ერთი ნაწილი აშკარად ტერასისებური მოსწორებული ზედაპირის კულტურული ფენიდანაა გადმორეცხილ-გადმოადგილებული, უმეტესობა კი, მართალია მეორად განლაგებაში, მაგრამ თითქოს თავისი პირველი სამყოფლის ადგილზეა მოპოვებული. როგორც ჩანს, პირველყოფილ ადამიანს მოსწორებულ ზედაპირთან ერთად ათვისებული უნდა ჰქონოდა „დურგლიანთ მიწების“ მცირედ დაქანებული ფერდობიც, სადაც, საფიქრებელია, გამართული იყო სადგომი ან შესაძლოა სადგომებიც კი. ასეთი ვარაუდის საბაბს იძლევა ფერდობზე ბევრი კარგად დაცული, სხვადასხვა სახის ნაშთების არსებობა და მათი მოპოვების ფაქტი, აქვე, სასოფლო გზის კრილის განამარხებული ნიადაგის ფენაში.

ამრიგად, კულტურული ფენისა და „დურგლიანთ მიწების“ ფერდობის ზედაპირული ქვის მასალები ერთი საწარმოო კომპლექსის ერთიან ინდუსტრიას შეადგენენ და ერთ კულტურულ-ისტორიულ და ქრონოლოგიურ ეტაპს შუა აშელის ხანას მიეკუთვნებიან.

კახეთის მუსტიეს ხანის ძეგლები მდებარეობენ ცივ-გომბორის ქედის მთისწინებსა და დაბალმთიანეთში (მელაანი, ქერემი, ბეჟანბალი და სხვ.), ივრის ზეგნის ფარგლებში (ჭაჭუნა II, მელი-ღელე, სადულა გორა, ზილიჩა, ქვემო ქედი, უდაბნო I და II და სხვ.) და მდ. ალაზნის ზემო დინების პანკისის ხეობაში, კახეთის კავკასიონის განშტოებების ფერდობებზე (საკობიანო და პანკისის ომალო). აქ მხოლოდ მცირერიცხოვანი ნაშთები და ცალკეული ნივთები მოპოვებული. ყველაზე მეტია ნაშთები დავითგარეჯის უდაბნოში, მრავალ-

წყლისხევის ხეობაში გამოვლენილი ადგილსამყოფელების უდაბნო I-ისა (51 ც.) და II-ის (39 ც.) კოლექციებში.

კახეთის მუსტიერ „ლია“ ადგილსამყოფელებზე შეგროვებულ მასალებში გვხვდება: ცალმხრივი და ორმხრივი დისკოსებური ნუკლეუსები (ნახ. 53,7), ფუძიანი არალევალუაური (ნახ. 53,6) და ლევალუაური ნუკლეუსები, არალევალუაური და ლევალუაური ანატკეცები და ლამელები (ნახ. 54,2) შედარებით პატარა, გლუვი და ფაცტირებული (ნახ. 53,5) დარტყმის მოედნებით, მუსტიერი (ნახ. 53,4) და ლევალუაური რეტუშირებული (ნახ. 53,1,3; 54,3) წვეტანები, ცალმხრივი (ნახ. 54,1) და ორმხრივი უხეში საჩეხები, სხვადასხვა ტიპის სახოკები (ნახ. 53,2), ნისკარტიხებული, ამოღარული და დაკბილული იარაღები და სხვ.

ნუკლეუს-ნამზადებისა და იარაღებისათვის დამახასიათებელია შედარებით პატარა ზომები (4—6 სმ) და ნაკლები მასიურობა. დამზადებულია ისინი ანდეზიტის, კაჟის, კირქვის, მერგელისა და სხვა ქანებისაგან. იარაღების გასაკეთებლად, აშელის ხანიდან შემორჩენილ ფართოფაცეტოვან ციცაბო რეტუშთან ერთად, გამოყენებულია საფეხუროვანი, დაკბილული, ნახევრადციცაბო, წვრილმარცვლოვანი, წყვეტილი, თხელფაცეტოვანი დამრეცი და სხვა სახის, უპირატესად ზედა სიბრტყის მხრიდან დატანილი, კონტურსდაქვემდებარებული რეტუში. ქვედა სიბრტყის მხრიდან დამუშავება და ორმხრივი რეტუში იშვიათია.

მასალების სიმციროს გამო სადღეისოდ გაურკვეველია ქვის პირველადი დამუშავების რომელი ტექნიკა იყო წამყვანი იორ-ალაზნის აუზის ამა თუ იმ მუსტიერ ძეგლზე და გართულებულია მათი ასაკის ზუსტად განსაზღვრა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მინც ხერხდება ზოგიერთი ადრეული და გვიანი საფეხურის ძეგლების გამოყოფა. მაგ., მუსტიეს ეპოქის I ნახევარს მიეკუთვნება ადგილსამყოფელები უდაბნო I და II და საკობიანო, ხოლო მის II ნახევარს ქვემო ქედი, მელაანი და ბეჟანბალი. სხვა ადგილსამყოფელების მასალები ზოგადად მუსტიეს ხანით თარიღდება⁶¹.

⁶¹ Т. В. Бугианишвили, Палеолитические памятники Йоро-Алазанского бассейна, ТКАЭ, т. I, Тбилиси, 1969, с. 26—33; Его же, Местонахождение древнекаменного века Йоро-Алазанского междуречья, Археологические открытия 1970 г., М., 1971, с. 365; Палеолитические находки в Кахети, Археологические открытия 1971 г., М., 1972, с. 456; თ. ბუგიანიშვილი, ქვის ხანის ძეგლები კახეთში, გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული III სამეცნიერო სესია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 1971, გვ. 15; მისივე, ქვედა პალეოლითის ხანის ახალი მასალები კახეთიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, თბ., 1974, გვ. 25—37. გარე კახეთის ზეგნს ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VIII, თბ., 1979, გვ. 69—88; Э. Д. Церетели, Некоторые геолого-морфологические особенности палеолитической стоянки Знар и прилегающего региона (рукопись), Тбилиси, 1971.

დაახლოებით ამით ამოიწურება ჩვენი ცნობები ზემოხსენებული ექვსი პალეორეგიონის ტერიტორიაზე დღემდე ცნობილ ქვედაპალეოლითურ ძეგლთა აღმოჩენის, ადგილმდებარეობის, ტექნიკური და ტიპოლოგიური ხასიათის, ქრონოლოგიისა და სხვ. შესახებ.

საქართველოს ქვედა პალეოლითის განხილვის დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ აშელური და მუსტიერური ძეგლების ქვის ინდუსტრიები თითქმის ყველგან გენეტიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მუსტიე განვითარებულია ადგილობრივი აშელიდან. აშელური ძეგლების ინდუსტრიების ურთიერთგანმასხვავებელი ადგილობრივი ტექნიკურ-ტიპოლოგიური თავისებურებების შესწავლა სულ ახლახანს დაიწყო, ამიტომ სადღეისოდ ამ ეპოქის კულტურის ლოკალური ვარიანტები თუ სახესხვაობები არ არის გამოყოფილი და ჭრჭერობით ცალკეული ძეგლების ან მათი ჯგუფების ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნებია მხოლოდ დადგენილი. მაგალითად, აფხაზეთის მთა იამთხვას ძეგლის აშელური კომპლექსისათვის დამახასიათებელი ჩანს აშელ-კლექტონური ტექნიკის წამყვანი ხასიათი, ლევალუური ტექნიკის იშვიათი გამოყენება, სახოკების, ამოღარული ფორმებისა და უხეში საჩეხი იარაღების სიმრავლე, ხელცულების სიმცირე და სხვ. ყვირილის ხეობის შუა აშელის ხანის ძეგლის საქორიას დამახასიათებელი ნიშნებია: აშელ-კლექტონური ტექნიკა, საჩეხებად გადაკეთებული დისკოსებური ნუკლეუსები, სახოკებისა და უხეში წვეტანების მოჭარბება და ხელცულების სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა. ამავე ხეობის გვიანი აშელის ხანის ძეგლების მასალებისათვის დამახასიათებელია ლევალუური ტექნიკის შედარებით ფართოდ გამოყენება, სახოკების სიმრავლე, ხელცულების მეტისმეტი სიმცირე და სხვ. სამხრეთ ოსეთის მღვიმური ძეგლები წონა, კუდარო I და III და „ლია“ ადგილსამყოფელი ლაშეზალთა ხასიათდებიან არალევალუური ტექნიკით და ხელცულების დომინირებით ყველა სხვა იარაღებზე. ბევრია ხელცული შიდა ქართლის სოფ. წაღვლის (ხაშურის რ-ნი) სადგომზე, არალევალუური ტექნიკა ჩანს წამყვანი და სრულიად არ არის ხელცულები აღნიშნული მხარის სოფ. კავთისხევის (კასპის რ-ნი) ადგილსამყოფლებზე. ხელცულების სიმრავლით გამოირჩევა ჭავჭავთის მთიანეთის ქიქიანი მთის ადგილსამყოფელი. აშელ-კლექტონური ტექნიკაა გაბატონებული და უხეში საჩეხი იარაღებისა და ხელცულების უმნიშვნელო რაოდენობაა წარმოდგენილი ზიარის შუა აშელურ მასალებში და სხვ.

თუ აშელის ადგილობრივი ტექნიკურ-ტიპოლოგიური თავისებურებანი მხოლოდ ახლა მოიწინებია, საქართველოს მუსტიეს ხანის კულტურის ლოკალური სახესხვაობები უკვე საკმაოდ კარგადაა გამოკვეთილი. ამ ეპოქის ძეგლებს შორის ამჟამად გამოიყოფა: ლევალუური ფაციესის ტიპური მუსტიეს

კუდარო-ჯრუჭულის კულტურა (მღვიმეები ჯრუჭულა, კუდარო I და III, წონა და „ლია“ ძეგლი ხვირათი); ცუცხვათის მღვიმეების არალევალუაური ტიპიური მუსტიეს მეტად თავისებური კულტურა; წყალწითელა-ქუთაისის რაიონის ლევალუაური დაკბილული მუსტიეს ძეგლების ჯგუფი (მღვიმეები საკაჟია და ორთვალა, ჭანათის ეხი და „ლია“ ადგილსამყოფელი თეთრაშიწა); ცხინვალის თავისებური ლევალუაური ტიპიური მუსტიეს „ლია“ ძეგლების ლოკალური ჯგუფი (კარკუსთა-კაუ, თამარაშენი, კუსრეთი I—III და ბეკვინარი) და წოფის დამარხული მღვიმის ადრემუსტიეური არალევალუაური კულტურა, რომელიც კინას ფაციესის შარანტის ტიპის მუსტიეს უახლოვდება და ჯერჯერობით სრულიად განმხოლოებით დგას.

აღნიშნულიდან გამომავალი, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მუსტიეური კულტურების განვითარება მიმდინარეობდა სამი ურთიერთდამოუკიდებელი, პარალელური ხაზით — ტიპიური მუსტიეს, დაკბილული მუსტიეს და კინას ფაციესის შარანტის ტიპის მუსტიეს ხაზით. პირველი ორი განვითარების მთავარი ხაზი ჩანს, ხოლო მესამე ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი ძეგლითაა (წოფი) წარმოდგენილი, მაგრამ მისი არსებობა სავარაუდოს ხდის საქართველოში განვითარების განსხვავებული ხაზის მქონე ანდუსტრიების შემცველი კიდევ სხვა მუსტიეური ძეგლების აღმოჩენას⁶².

საქართველოს ქვედაპალეოლითური ძეგლები მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი ბევრი ადგალობრივი განმასხვავებელი თავისებურებისა, რა თქმა უნდა, განყენებულად არ დგანან კავკასიისა და მეზობელი ქვეყნების თანადროული ძეგლებისაგან. მათი მასალები ზოგიერთ პარალელებს პოულობენ სომხეთის (სატანი-დარი, არზნი, ჯრაბერი, ლუსაკერტი და სხვ.), აზერბაიჯანის (აზიხი, გაილი, კოჩასკარი, დაშალახლი და სხვ.), კრასნოდარის მხარის (აზშტირი, ნავალიშენსკაია, მალაია ვორონცოვსკაია და სხვ.) და ჩრდილო კავკასიის (აბაძეხსკაია, ფორტეპიანკა, მონაშესკაია, ლისაია გორა და სხვ.) აშელისა და მუსტიეს ხანის ძეგლების ნივთიერ კომპლექსებში. გარკვეული მსგავსება შეინიშნება, აგრეთვე, უძველესი ოიკუმენის ორი უმნიშვნელოვანესი რაიონის წინა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის (თურქეთი, ერაყი, სარია, პალესტინა) სინქრონული ძეგლების მასალებთანაც.

როგორც ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლების მიმოხილვისას დავინახეთ, საქართველოს ტერიტორიის უძველესი ადამიანის მიერ პირველად ათვისების დრო, ჩვენი ცოდნის დღევანდელ დონეზე მთლად გარკვეული არ არის. ყველაზე ადრეული ძეგლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ახლა გაგვაჩნია,

62 В. П. Л ю б и н. Мустьерские культуры Кавказа, с. 190—201.

ადამიანი აქ ადრეული აშელის ხანაში უნდა დასახლებულიყო. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ წინააშელურ პერიოდში ადამიანს საქართველოს ტერიტორიაზე არ უცხოვრია, მაგრამ ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევა მომავლის საქმეა.

აშელისა და მუსტიეს ეპოქების მთელს მანძილზე (მინდელი, მინდელ-რისი, რისი, რის-ვიურმი და ვიურმის პირველი ნახევარი) ჩვენი ქვეყნის ტერიტორია ხასიათდებოდა განსაკუთრებით ზელსაყრელი კლიმატური პირობებით პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებისათვის და ადრეული აშელის ხანიდან მოკიდებული, იგი კიდევაც უწყვეტად იყო დასახლებული. გამონაკლისს წარმოადგენდა შიდა ქართლის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, კერძოდ, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთის მაღალმთიანი ზოლი, სადაც მდებარეობენ მრავალფენიანი მღვიმური ძეგლები წონა და კუდარი I და III. არც ერთ მათგანში არ არის წარმოდგენილი აშელის დასასრულისა და ადრეული მუსტიეს ნაშთები. ალ. კალანდაძე და ვ. ლიუბინი, რომლებმაც შეისწავლეს აღნიშნული ძეგლები, ვარაუდობენ, რომ ეს უნდა მიუთითებდეს მოცემულ პერიოდში მთაში კლიმატის გაუარესებასა და გამყინვარების დაწყებაზე, რამაც აიძულა ადამიანი მიეტოვებინა მთიანი რაიონი. იგი მხოლოდ ხანგრძლივი წყვეტილის შემდეგ, ჰაეის გათბობასთან ერთად, უბრუნდება მთას და გვიანი მუსტიეს ხანაში კვლავ ითვისებს ხსენებულ მღვიმეებს⁶³.

პირველყოფილი ადამიანის მიერ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის უკვე ადრეულ პალეოლითში ათვისება აიხსნება არა მხოლოდ კარგი კლიმატური პირობებით, დიდ როლს ასრულებდა, აგრეთვე, ბუნებრივი რესურსების განსაკუთრებული სიმდიდრე, რომელიც აუცილებელი იყო ადამიანის არსებობისა და უძველესი საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარებისათვის. პლეისტოცენში გაცილებით მეტი გავრცელება ჰქონდათ ტყეებს, ფლორა შეიცავდა ასეულობით დასახელების საკვებ მცენარეებს: ხილ-კენკროვნებს, მარცვლოვნებს, პარკოსნებს, ძირნაყოფებსა და სხვ. ფაუნა ხასიათდებოდა ცხოველთა სახეობების უფრო მდიდარი შემადგენლობით. მაშინდელი და თანამედროვე ცხოველთა სამყაროს შედარება მოწმობს, რომ უკანასკნელი ძლიერაა გაღარიბებული. ფაუნიდან გაქრნენ ისეთი დიდტანიანი მაწოვრები როგორცაა სპილო, მარტორქა, გიგანტური ირემი, ნამარხი ვირი, დომბა, გარეული ცხენი, მღვიმის დათვი და სხვ., ე. ი. ისინი, რომლებიც პალეოლითში ადამიანის ძირითად სანადირო ცხოველებს წარმოადგენდნენ.

ყოველივე ზემოთქმულით იყო გაპირობებული, რომ აშელისა და მუსტიეს ადამიანი ფართოდ განსახლებულა საქართველოს მიწაზე. მას ათვისებული ჰქონია ყველა ლანდშაფტური ზონა. უცხოვრია არა მხოლოდ მთისწინა, დაბალ და სამშალომთიან ზოლში, არამედ შეუღწევია მაღალმთიანეშიაც (რა-

⁶³ А. Н. Каландадзе. Разыскания по археологии доантичной Грузии, с. 21—23; В. П. Любим. Ранний палеолит Кавказа, с. 156.

იყო ექ. თაყაიშვილი⁸⁴. იგი 1905 წლიდან 1918 წლამდე ამ განყოფილების მდივანი იყო. თბილისში ამ არქეოლოგიური საზოგადოების განყოფილების დაარსების მოთავე და ხელისშემწყობი იყო ცნობილი რუსი არქეოლოგის ა. უეაროვის ქვრივი პრასკოვია უეაროვა. კავკასიის განყოფილებას ჰქონდა თავისი კრებული⁸⁵, სადაც იბეჭდებოდა საზოგადოების წევრთა ანგარიშები და ოქმები. სულ ექვსი კრებული დაიბეჭდა. გათხრითი არქეოლოგიისათვის საზოგადოებამ უსახსრობის გამო ვერაფერი გააკეთა. ის ძირითადად (ამ ტიპის სხვა საზოგადოებებივით) მიწისზედა ძეგლების (ეკლესია-მონასტრები, წარწერები და სხვ.) შესწავლითა და გამოქვეყნებით შემოისაზღვრა.

1902 წელს არქეოლოგიური თვალსაზრისით ყურადღება მიიქცია სოფ. ბორმა მდ. ბორიშელას მარჯვენა ნაპირზე. აქ აღვილობრივი მცხოვრებლები შიშის ხენის დროს შემთხვევით წააწყდნენ მდიდრულ სამარხებს, სადაც აღმოჩნდა ოქროს და ვერცხლის სამკაულები, ჰურჭელი (განსაკუთრებით სინტერესოა ვერცხლის თასი საკურთხეველთან მდგომი ცხენის გამოსახულებით და წარწერით), მონეტები (რომაული და პართული) და სხვ. სოფ. ბორში შემთხვევით ნაპოვნი ძვირფასი ნივთები შეისყიდა „ერმიტაჟის“ მუზეუმმა (ახლაც იქ ინახება). 1908 წელს ზემოთ ხსენებული კავკასიის არქეოლოგიის განყოფილებას ექ. თაყაიშვილი მიუვლენია სოფ. ბორში არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად, მაგრამ გასათხრელი ადგილის მიწის მფლობელთა მიერ ძვირად შეფასების გამო არქეოლოგიური გათხრა ვერ მოხერხდა⁸⁶.

1904 წელს სოფ. ციხისძირთან (ახლა ქობულეთის რაიონი) სახლის საძირკველის გაჭრის დროს აღმოჩნდა I—III საუკუნის მდიდრული ნივთები. ესენია ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ჰურჭელი, მონეტები, ამოკვეთილ გამოსახულებიანი ქვები და სხვ. (სულ ოცამდე საგანი; ინახება ლენინგრადის „ერმიტაჟში“)⁸⁷.

1908 წელს მდ. ქსნის ხეობაში სოფ. საძვეურთან (ახალგორის რაიონშია) მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით იპოვნეს მდიდრული ნივთები, რომლებიც ცნობილია „ახალგორის განძის“ სახელით. სამწუხაროდ, ეს ძვირფასი ნივთები დაიტაცეს კერძო პირებმა, რომლებისგანაც შემდეგ ექ. თაყაიშვილს ნაწილი შეუგროვებია და კავკასიის მუზეუმისთვის შეუძენია. ესენია: ოქროს საყურეები, კისრის რკალები, სასაფეთქლები, სამაჯურეები, გომ-

⁸⁴ См. Уставъ Кавказскаго отделения императорскаго Московскаго археологическаго общества. Тифлис, 1902.

⁸⁵ Известия Кавказскаго отделения императорскаго Московскаго археологическаго общества. Тифлис, вып. I, II, III, IV, V, VI.

⁸⁶ Е. Т а к а н ш в и л и. Серебряная чаша из с. Борн, Известия Кавказскаго отд. Мос. арх. общества, Тифлис, 1904, с. 90—91.

⁸⁷ იხ. ნ. ხ. ო შ ტ ა რ ი ა, ციხისძირი, თბ., 1962.

ბეზოსგამოსახულებიანი ყელსაბამი, ბეკდები, ვერცხლის ფიალები, ცხენის აღკაზმულობა და სხვ.⁸⁸

ამავე წელს სოფ. ახალქალაქთან (ახლა კასპის რაიონშია) მიწის სამუშაოების დროს იპოვეს ბრინჯაოს ცულები და ლითონის რამდენიმე ზოდი. ნივთები ექ. თაყაიშვილმა კავკასიის მუზეუმისთვის შეიძინა. ამ ნივთების აღმოჩენამ ექ. თაყაიშვილს ჭერ კიდევ მაშინ აქ ლითონსადნობი სახელოსნოს არსებობა აგარაუდებინა⁸⁹.

1912 წლის ზაფხულში ექ. თაყაიშვილს მცირე არქეოლოგიური გათხრები ჩაუტარებია მდ. ბანისხევის და მტკვრის შესართავთან. აქ აღმოჩენილა სამარხი, რომელშიც დადასტურდა ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძები, სარდიონის მძივები და სხვ.⁹⁰ ამავე წლებში ექ. თაყაიშვილს არქეოლოგიურად დაუზვერავს აგრეთვე საჩხერე, სადაც სპილენძის რამდენიმე ცული, სამაჯურები, საკინძები და თიხის ქურჭლის ნატეხები უნახავს⁹¹.

ექ. თაყაიშვილი, რომელიც ამ დროს ახლადდაარსებულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ედგა სათავეში, ცდილობდა საქართველოს მიწის წიაღში შემთხვევით ნაპოვნი არც ერთი ნივთი არ გამოპარვოდა მხედველობიდან, რათა ისინი საზოგადოების ან კავკასიის მუზეუმისთვის შეეძინა.

საქართველოს არქეოლოგიის განვითარების იმ ეტაპზე ექ. თაყაიშვილმა პირველმა გამოთქვა ზოგიერთი ფრიად საყურადღებო მოსაზრება. ესენია: არქეოლოგიური მონაპოვრის გააზრებისას ადგილობრივი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ფაქტების მოშველიების აუცილებლობა; მოსაზრებები ვანის ნაქალაქარის შესახებ (იხ. ზემოთ); ოქროს და სხვა ლითონის იარაღისა და სამკაულების ადგილობრივი წარმოშობის შესახებ (აღრე თითქმის ყველა ლამაზ, პეწიან ნივთს შემოტანილად და უცხოურად თვლიდნენ); მიუთითა აუცილებლად შესასწავლი ძეგლები — ვანში, საჩხერეში, თრიალეთ-წალკაში, ბავინეთში და სხვ.

1918 წელს ცნობილმა ენათმეცნიერმა ნიკო მარმა⁹² ექ. თაყაიშვილი მიიწვია მის მიერ თბილისში ახლად დაარსებულ კავკასიის ისტორიულ-არქეო-

⁸⁸ Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. V, Тифлис, 1915, с. 139—146.

⁸⁹ Е. Такайшвили. Мастерская медных топоров около Ахалкалаки Горпийского уезда, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, Тифлис, 1913, с. 172—173.

⁹⁰ Известия Кавказского отд. Мос. арх. общ-ва, вып. III, Тифлис, 1913, протокол № 63.

⁹¹ Е. Такайшвили. О Сачхерском кургане Шораланского уезда, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, Тифлис, 1913, с. 167—172.

⁹² ნ. მარი (1864—1934 წწ.) გათხრებს აწარმოებდა ძირითადად სომხეთში — ვორნაიკი, ანი. ის და ექ. თაყაიშვილი დაახლოვდნენ ჭერ კიდევ ქუთაისში სწავლისას — იხ. ექ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 364—365; В. А. Миханкова. Няколай Яковлевич Марр, М.—Л., 1949.

ლოგიურ ინსტიტუტში (ეს ინსტიტუტი ფართო პროფილის დაწესებულება იყო). ნ. მარის პეტერბურგში ხშირად ყოფნის გამო ინსტიტუტს ფაქტიურად ექ. თაყაიშვილი უძღვებოდა. ამავე პერიოდში ექ. თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ადგენს არქეოლოგიის კურსის პროგრამას და იწყებს ამ კურსის კითხვას (1921 წლამდე).

1921 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლი ითამაშა ცვლილებები ხდება⁹³. 1924 წლის 4 ივლისს საქართველოს მმართველობამ განაწესა დადგენილება — „სიძველეთა, ბუნების და ხელოვნების ძეგლების დაცვის შესახებ“⁹⁴. ამ წლიდან მოყოლებული, სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა ნებართვის გარეშე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოველგვარი არქეოლოგიური გათხრები აიკრძალა. გარდა ამისა, ყოველნაირი არქეოლოგიური აღმოჩენის მოვლა-მზრუნველობას სახელმწიფო იღებდა ხელში.

თავდაპირველად რესპუბლიკაში არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება და მოპოვებული ნივთების მოვლა-შენახვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაევალა. შემდგომში მათ შეუერთდა ახლად შექმნილი განათლების კომისარიატთან არსებული არქეოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც უფრო ხელოვნებათმცოდნეობითი პროფილის ორგანიზაცია იყო. პირველ ხანებში არქეოლოგიურ აღმოჩენებს უმეტესწილად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და დაგეგმილი, წინასწარ მომზადებული არქეოლოგიური კვლევაც არ ტარდებოდა.

⁹³ ამ პერიოდის საქართველოს არქეოლოგიის შესახებ დაწვრ. იხ. გ. ლომთათიძე, ივ. ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში, კრებ. მიმომხილველი, II, 1951, გვ. 1—36; გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952; А. М. Апакидзе. Развитие археологической науки в Советской Грузии, СА, М., 1967, № 4; ა. აფაქიძე, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევრასაუკუნოვანი გზა, თბ., 1972; თ. ლორთქიფანიძე, საქართველოს არქეოლოგია საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავზე, საქართველოს მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1981, № 1, გვ. 162—182; М. М. Трапш. Основные результаты археологического исследования Абхазии за годы Советской власти, Труды I, Сухуми, 1970, с. 30—51; О. Лордкипანიдзе. Археология в Грузинской ССР, Тбилиси, 1982; О. Бгажба, Ю. Воронов. История изучения археологии Абхазии, Тбилиси, 1982.

⁹⁴ დაწვრ. იხ. გ. ზაქარიაძე, სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებათა პირველი ნაბიჯები საბჭოთა საქართველოში, კრებ. საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1967, გვ. 187—195.

ამ მხრივ გამონაკლის წარმოდგენს ახალი ქართული არქეოლოგიის ფუძემდებლის გიორგი ნიორაძის⁹⁵ მიერ 1925—1931 წლებში ჩატარებული გათხრები კარსნისხევში, ზემო ავქალაში, სასირეთში, დევისხვრელში, საყაყიაში და სხვ.⁹⁶ გ. ნიორაძეს პროფესიული არქეოლოგიური განათლება ევროპაში პქონდა მიღებული და კარგად იცნობდა იმ ხანის საველე-არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების მოწინავე მეთოდიკას. 1925 წელს იგი, უკვე დოქტორის ხარისხით, დაუბრუნდა სამშობლოს და სათავეში ჩაუდგა საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. გ. ნიორაძე ი. ჭავჭავიძის შუამდგომლობით დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად. მან საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების გადახალისების მიზნით შემოიკრიბა ძველი და ახალი თაობის სამეცნიერო ძალები (ს. მაკალათია, გ. ჩუბინაშვილი, გ. გოზალიშვილი, ს. იორდანიშვილი, ბ. კუფტინი, ლ. მუსხელიშვილი, გ. ჩიტია და სხვ.), რომლებიც მამინ საველე-არქეოლოგიურ კვლევას ეწეოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, ფლავისმანში, თავილონში, იყალთოში, ნოქალაქევი, კიკეთში, წიწამურში და სხვ.⁹⁷

1925 წელს გ. ნიორაძემ გააგრძელა და განაახლა ე. თაყაიშვილის მიერ ჯერ კიდევ 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაწყებული არქეოლოგიის კურსის კითხვა. თავდაპირველად გ. ნიორაძე ძველი ისტორიის კათედრაზე მუშაობდა, ხოლო 1934 წლიდან — „მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრაზე“, რომელიც ისტორიის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა და აერთიანებდა არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სპეციალობებს. მომდევნო წლიდან ამ კათედრას გამოეყო ქართული ხელოვნების ისტორიის კათედრა და აქედან მოყოლებული ვიდრე 1938 წლამდე, მას ეწოდება წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრა. 1938 წელს კათედრას სახელი კვლავ შეუცვალეს და უწოდეს არქეოლოგიის კათედრა. არქეოლოგიის კათედრას 1951 წლამდე ხელმძღვანელობდა გ. ნიორაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრა საქართველოში პროფესიონალი არ-

⁹⁵ დაწვრ. ის. დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, გიორგი ნიორაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, საქართველოს მუზ. „მოამბე“ XX XV—B, თბ., 1981, გვ. 118—122.

⁹⁶ გ. ნიორაძე, კარსნისხევის სასაფლაო, თბ., 1926; მისივე, ზემო ავქალის სამარე, საქართველოს მუზ. „მოამბე“ VI, თბ., 1931; მისივე, პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში, საქართველოს მუზ. შრომები, VI, თბ., 1933; მისივე, ქვისხანის ადამიანი საყაყიას გამოქვაბულში, თბ., 1953.

⁹⁷ ს. მაკალათია, ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, V, თბ., 1930; მისივე, საქართველოში 1920—1927 წლებში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, IV, თბ., 1928; E. Пчелына, Археологические разведки в районе Триалетского хребта. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, V; А. Амиранашвили, Новая находка в низовьях р. Ингури, Тбилиси, 1935; სამწუხაროდ, წიწამურის გათხრის ანგარიშები გამოუქვეყნებელია; ნოქალაქევის გათხრის 1930—1931 წწ. ანგარიში გამოქვეყნდა — ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, I, თბ., 1948, გვ. 188—201.

ქეოლოგების აღზრდის მთავარ კერად იქცა. ქართველი არქეოლოგების უმრავლესობა სწორედ ამ კათედრაზე დაეუფლა არქეოლოგიის საფუძვლებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თუ არქეოლოგების ახალი კადრების მთავარი სამკვდლო იყო, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ძირითად საცავს წარმოადგენდა. მათ ერთმანეთთან ახლო სამეცნიერო ურთიერთობა ჰქონდათ.

1919 წლიდან კავკასიის მუზეუმს, რომელიც ჯერ კიდევ 1852 წელს იქნა დაარსებული, საქართველოს მუზეუმში ეწოდა. 1929—1930 წლებში საქართველოს მუზეუმს გადაეცა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის და სხვა კოლექციები. საქართველოს არქეოლოგიის სამსახურში ძირითადად მუზეუმის ერთი განყოფილება იდგა — წინაისტორიული არქეოლოგიის განყოფილება, რომელსაც გ. ნიორაძე ხელმძღვანელობდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 1925 წლიდან გ. ნიორაძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ წარმოებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება საქართველოს ქვის ხანის ძეგლების შესწავლის საქმეში. ამ არქეოლოგიური კვლევის შედეგად საბოლოოდ დასაბუთდა, რომ ბრინჯაოს ხანის წინ საქართველოს ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანი ცხოვრობდა. ამ დრომდე კი გავრცელებული იყო აზრი, თითქოს პალეოლითური ხანის ადამიანს არ უცხოვრია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაშიც.

1926—1931 წლებში მიმდინარეობდა ქვის ხანის ადამიანის სადგომის დევისხვრელის (ხარაგოულის რაიონი) გათხრები. მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძვლებზე გ. ნიორაძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია, რომელიც პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო საქართველოს პალეოლითის შესახებ⁹⁸. შემდგომში დევისხვრელის არქეოლოგიური მონაცემების საფუძვლებზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გამოქვეყნების ნატურალური ზომის მაკეტი დამზადდა, რომლითაც ფართო საზოგადოებრიობას მიეცა საშუალება ქვის ხანის ადამიანის ცხოვრებას გაეცნობოდა.

დევისხვრელის გათხრებს მოჰყვა ქვის ხანის სხვა არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა. კერძოდ, 1936 წელს გაითხარა საკაჟიას გამოქვაბული (თერჯოლის რაიონი)⁹⁹. 1934—1936 წლებში ითხრებოდა მღვიმევის გამოქვაბული (კიათურის რაიონი)¹⁰⁰, ხოლო აფხაზეთში ქ. სოხუმის მახლობლად გაითხარა იაშთხვას ქვის ხანის უძველესი სადგომი¹⁰¹.

⁹⁸ გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში, საქართველოს მუზეუმის შრომები, VI, თბ., 1933.

⁹⁹ გ. ნიორაძე, ქვისხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში, თბ., 1953.

¹⁰⁰ С. Н. Замятин. Пещерные навесы Мгвмелли, близ Чнатуры, СЛ, 1937, № 3, М.—Л., с. 57—76.

¹⁰¹ Н. С. Замятин. Палеолит Абхазии, Труды Института Абхазской культуры, вып. X, Сухуми, 1937.

1936 წელი საქართველოში არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამ წელს კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის (ნ. მარის მიერ 1918 წელს დაარსებული ყოფილი კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი) ბაზაზე ჩამოყალიბდა აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი („ენიმიკი“), რომელიც წამყვან ქართველოლოგიურ ცენტრად იქცა. ინსტიტუტში სხვა ქართველოლოგიურ დარგებთან ერთად გაიხსნა საქართველოს „არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილება“, რომელსაც 1938 წელს ცალკე გამოეყო არქეოლოგიის განყოფილება. ამ განყოფილებას შეუერთდა განათლების კომისარიატის არქეოლოგიის ინსტიტუტიც, რომლის დირექტორიც 1935—1936 წლებში გ. ნიორაძე იყო. „ენიმიკის“ არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად იმთავითვე დაინიშნა გ. ნიორაძე. აქედან მოკიდებული ეს განყოფილება საქართველოში არქეოლოგიური კვლევის ძირითად კერად იქცა. განყოფილებაში შეიქმნა სათანადო სამეცნიერო-მატერიალური ბაზა, რომელიც აუცილებელი იყო ფართო, გეგმაზომიერი საველე-არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად. აქვე ამზადებდნენ ასპირანტებს არქეოლოგიის სპეციალობით.

„ენიმიკი“-ს არქეოლოგიის განყოფილების გარდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა „ვეფხისტყაოსნის“ იუბილესთან დაკავშირებით შექმნილ რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში, რომლის ხელმძღვანელი ივ. ჭავჭავიძე იყო. მუზეუმში ძირითადად შუა საუკუნეების, კერძოდ, რუსთაველის ეპოქის ამსახველი გამოფენის მოსაწყობად იყო დაარსებული¹⁰². მუზეუმმა 1936—1939 წლებში გათხრები აწარმოვა დმანისში, გუდარებში, ბოლნისში, გეგუთში და სხვ. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა ზოლნისში აღმოჩენილი 492—493 წწ. ქვაზე ამოკვეთილი ასომთავრულ წარწერა, რომელიც ერთ-ერთ უძველეს ქართულ დათარიღებულ წარწერად ითვლება. ივ. ჭავჭავიძის გარდაცვალების შემდეგ რუსთაველის ეპოქის მუზეუმში შეუერთეს ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორს, რომელიც შემდგომ ინსტიტუტად გადააკეთეს.

აკად. ივანე ჭავჭავიძე იმთავითვე როგორც სხვა ქართველოლოგიურ დარგებს, ახალ ქართულ არქეოლოგიასაც დასდო ამაგი¹⁰⁸. მან იმთავითვე სწორად განსაზღვრა და მიუთითა, რომ „არქეოლოგია ისტორიის უძველესი ხანისათვის

¹⁰² დწვრ. იხ. ივ. ჭავჭავიძე, რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, გაზ. „კომუნისტი“, 1937, № 55.

¹⁰⁸ დწვრ. იხ. გ. ლომთათიძე, ივ. ჭავჭავიძე და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში, კრებ. „მიმოხილველი“, II, 1961, გვ. 1—36; ალ. კალანდაძე, ივ. ჭავჭავიძე და საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1977; ა. აფაქიძე, ივ. ჭავჭავიძე და საქართველოს არქეოლოგიის განვითარების საკითხები, „მაცნე“ ისტორიის... სერია, 1976, № 2, გვ. 53—66.

შთავარ საგნად უნდა ჩაითვალოს¹⁰⁴, „არქეოლოგია, ვითარცა თავისი საკუთარი მეთოდების მქონე მეცნიერების დარგი, სათანადო სპეციალისტთა კვლევადიების სარბიელს შეადგენს და ჩვეულებრივ ისტორიკოსი მისი მონაპოვართ სარგებლობს ხოლმე თავისი მიზნებისათვის“¹⁰⁵.

ივ. ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის შესასწავლად არქეოლოგიური მონაცემების გამოყენება აუცილებლად მიაჩნდა. ჯერ კიდევ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველსავე გამოცემაში გამოყენებულია არქეოლოგიური მასალა, ხოლო ამავე წიგნის 1928 წლის გამოცემას წინ უძღვის სპეციალური ნაწილი — „კავკასიისა და ქართველების ნივთიერი კულტურა“, რომელშიც მაშინდელი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით განხილულია კავკასიის ბრინჯაოს და რკინის ხანის მატერიალური კულტურა. აქვე მოცემულია არქეოლოგიური მასალის ფოტოები და გრაფიკული ჩანახატები. წიგნის ამ ნაწილიდან კარგად ჩანს, თუ როგორ დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა ივ. ჯავახიშვილი არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიურ დაყოფას და მათი გავრცელების არეალის შემოხაზვას.

გათხრით საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებში ივ. ჯავახიშვილი 1930 წლიდან მონაწილეობს, როცა იგი ნოქალაქევის (არქეოპოლისის) არქეოლოგიური შესწავლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ინიშნება¹⁰⁶. სამწუხაროდ, ნოქალაქევის გათხრები მხოლოდ ორიოდვე თვე მიმდინარეობდა და მერე შეწყდა. 1936 წლიდან კი ივ. ჯავახიშვილი უფრო აქტიურად ებმება საველე არქეოლოგიურ კვლევადიებაში. იგი საერთო ხელმძღვანელობას უწევს დმანისის, გუდარჩხის, გეგუთის და ბოლნისის არქეოლოგიურ გათხრებს. ივ. ჯავახიშვილმა პირველმა შეიმუშავა საქართველოში შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა, რომელიც მოკლედ ჩამოაყალიბა წერილში — „შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა“¹⁰⁷. წერილში საქართველოს ძველი კულტურის შესწავლის ერთ-ერთ საყურადღებო ამოცანად ძველი ნაქალაქარების შესწავლაა (გეგმარება, საშენი მასალა, სხვადასხვა დანიშნულების ნივთები და სხვ.) მიჩნეული. ამავე დროს იგი ყურადღებას ამახვილებს წყალსადენებისა და სარწყავი არხების შესწავლაზეც, რისი კვლევაც მაშინ სრულიად ახალი საქმე იყო.

1937 წელს ივ. ჯავახიშვილი „ენიმკის მოამბეში“ ბეჭდავს წერილს, რომელიც სხვა ქართველოლოგიურ დარგებთან ერთად, საპროგრამო საქართველოს არქეოლოგიისათვისაც — „ჩვენნი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულ-

104 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, წიგნი, ტფ., 1908, გვ. 4.

105 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I წიგნი, თბ., 1960, გვ. 7.

106 დაწერ. იხ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I (რედ. ნ. ზაქარაია), თბ., 1981.

107 ივ. ჯავახიშვილი, შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, კომუნისტური, 1937, № 55.

ტურის ისტორიის სფეროში“, სადაც აღნიშნავს: „...აუცილებლად საჭიროა, რომ ამიერიდან არქეოლოგიური კვლევა-ძიება გარკვეული გეგმისდა მიხედვით, ისტორიული სააღმკვეთი გზების მიმართულებითა და გზათა შესაყარების გათვალისწინებით, ძველი ყველა ისტორიული ცნობების ცოდნითა და კულტურის ისტორიის მთავარი ამოცანების გადასაჭრელად ყველა მასალისადმი ჭეროვანი ყურადღების მიპყრობით წარმოებდეს“¹⁰⁸.

ივ. ჭავჭავაძის მიერ მოცემული ძირითადი გეზის მიხედვით მცხეთაში 1937 წელს დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. აქ „ენიმკიდან“ გაიგზავნა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც არმაზისხევის შესართავთან, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს აღმოაჩინა ძველი აბანოს ნაშთები. ამ აღმოჩენის გარდა მცხეთაში ყურადღება მიიქცია ახალშენებლობასთან დაკავშირებით დაზიანებულმა სამთავროს ველის ცნობილმა სამაროვანმა. ადგილობრივ ხელისუფლებას ამ ველის დასახლება განეზარა, რაც ძველი საქართველოს ისტორიისათვის პირველხარისხოვან არქეოლოგიურ ძეგლს განადგურებას უქადდა. ამ ამბავმა კიდევ ერთხელ მიიქცია არქეოლოგთა ყურადღება და დააჩქარა გეგმაზომიერი გათხრების დაწყება მცხეთაში. სამთავროს ველის დაზიანებული სამაროვნის საკითხი განიხილეს „ენიმკის“ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და გადაწყდა, რომ რესპუბლიკის მთავრობისათვის სამთავროს ველზე მშენებლობის შეჩერება და გათხრებისათვის საჭირო თანხა ეთხოვათ, რათა მისი არქეოლოგიურად შესწავლა მოხერხებულყო.

ამ თხოვნის საფუძველზე შეიქმნა და 1938 წლის 27 ოქტომბერს მუშაობას შეუდგა „მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცია“, რომელშიაც „ენიმკის“ არქეოლოგიური განყოფილების თანამშრომლების გარდა შევიდნენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, რუსთაველის ეპოქის მუზეუმისა და ხელოვნების მუზეუმ „მეტეხის“ მეცნიერი მუშაკები, სულ თოთხმეტი კაცი. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელად დაინიშნა ივ. ჭავჭავაძე. იგი ჩვეული პასუხისმგებლობით და ენერგიით შეუდგა საქსპედიციო საქმიანობას. ივ. ჭავჭავაძე ექსპედიციაში სამეცნიერო საკითხების გარდა, საორგანიზაციო-სამეურნეო საქმიანობაზეც ზრუნავდა. ამის მაგალითია მისი მიზართვა ჭანმრთელობის კომისარიატისადმი, სადაც იგი ითხოვს სისტემატურად ჩაატარონ ექსპედიციის პირადი შემადგენლობის სამედიცინო პროფილაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში გასცენ სათანადო მედიკამენტები (იმ დროს მცხეთაში მალარიის ეპიდემია მძვინვარებდა).

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ყველა მუშაკის თავდადებული შრომის საფასური იყო, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი, უდიდესი მეც-

¹⁰⁸ ივ. ჭავჭავაძე, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის სფეროში, ენიმკის მოამბე, I, ტფ., 1937, გვ. 1—8.

ნიერული მნიშვნელობის აღმოჩენები. ესენია ნაგებობები, სამარხები და სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, რომლებიც საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეზე მეტყველებს იმდროინდელ საქართველოში¹⁰⁹. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია საქართველოში პროფესიონალი არქეოლოგების აღზრდის ძირითადი სკოლა გახდა. აქ არქეოლოგიური მასალის მეცნიერული დამუშავებისას და საველე-საექსპედიციო საქმიანობაში გამოიწრთო ქართველ არქეოლოგთა უფროსი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელი.

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო მუშაობის პირველი ეტაპის შეჯამება იყო კაპიტალური ნაშრომი — მცხეთა I (არაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები), თბ., 1955, ავტორები ა. აფაქიძე, ა. კალანდაძე, გ. გობეჯიშვილი, გ. ლომთათიძე.

1936—1940 წლებში ხრამქვის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით (წალკის რაიონი) თრიალეთში მდიდრული სამარხ-ყორღანები გაითხარა. აქ აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის შესანიშნავი ძეგლების მთელი წყება, „თრიალეთული კულტურის“ სახელით რომ არის ცნობილი¹¹⁰. თრიალეთის და საერთოდ საქართველოს არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე ბ. კუფტინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართველთა კულტურის უძველესი წესები ადგილობრივ არის გადგმული¹¹¹.

1941 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენა — „თრიალეთი და მცხეთა — უძველესი ქართული კულტურული კერები“. ეს მცხეთის და თრიალეთის ბრწყინვალე არქეოლოგიური მასალის პირველი საყოველთაო სახალხო ჩვენება იყო. მოწყობილი გამოფენა ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი მესვეურის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ენერგიული სამეცნიერო კვლევებით შედეგი იყო¹¹². ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ ს. ჯანაშიაზე გადავიდა რესპუბლიკაში არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების საერთო ხელმძღვანელობის მთელი სიმძიმე. ს. ჯანაშიას შემდეგ კი ეს შრომატევადი საქმე აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა იტვირთა¹¹³. ჯერ კიდევ „ენიმკის“ ინ-

¹⁰⁹ დაწვრ. იხ. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, თბ., 1955.

¹¹⁰ Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триаleti, Тбилиси, 1941.

¹¹¹ დაწვრ. იხ. Б. А. Куфтин. К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქართველოს სახ. მეზუუმის მოაზებე, XII—В, თბ., 1944, გვ. 291—440.

¹¹² დაწვრ. იხ. ა. აფაქიძე, ს. ჯანაშია და საქართველოს არქეოლოგია, კრებ. აკადემიკოსი ს. ჯანაშია, 1900—1947, თბ., 1949, გვ. 104—131.

¹¹³ დაწვრ. იხ. მ. დუმბაძე, ნ. ბერძენიშვილი, თბ., 1964; იხ. აგრეთვე, ნ. ბერძენიშვილი, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხისათვის, შიშო-შხილველი, თბ., 1951, გვ. 337—347.

ისტიტუტის შექმნისას, მისმა პირველმა ხელმძღვანელმა ს. ჯანაშიამ არქეოლოგიის განყოფილებას დაუსახა არქეოლოგიური კვლევის სამეცნიერო-საორგანიზაციო გეგმა, რომლის მიხედვითაც შემდგომში სამუშაოები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჩატარდა.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე გეგმაზომიერმა არქეოლოგიურმა კვლევადიებამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი ორმოცდაათიან წლებში მიიღო. ამ დროისათვის გათხრები ჩატარდა ბაკურციხეში, გრემში, რუსთავეში, დმანისში, ხოვლეში, უჯარმაში, ნადარბაზევში, თბილისში, საგარეჯოში, თეთრ წყაროში, ბოლნისში, გუდარეხში, სამშვილდეში, ურბნისში, ვანში, ვაშნარში, ეშერაში, ტყვიავში, გელათში, სკანდაში, შორაპანში, კლდეეთში, იაშთხვაში, საკაჯიაში, საგვარჯილეში, ოდიშში, თეთრამიწაში, საკაოში, საჩხერეში, ბრილში, ანაკლიაში, დაბლაგომში, ქობულეთ-ფიჭვნარში, ურეკში, ყუღევეში, ბიჭვინტაში, გეგუთში, ფოთში, სოხუმში და სხვ.

ჩამოთვლილი არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალის განზოგადების საფუძველზე ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ა. აფაქიძის რედაქტორობით გამოიცა „საქართველოს არქეოლოგიის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო (ავტორები: ა. აფაქიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ო. ჯაფარიძე, ნ. ხოშტარია)¹¹⁴.

1941 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტიდან ცალკე გამოყვეს ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც 1943 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახელს ატარებს. შესაბამისად, „ენიმეო“ მომუშავე არქეოლოგები ჩაირიცხნენ ისტორიის ინსტიტუტში, რომელსაც 1964 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ეწოდა. ისტორიის ინსტიტუტს „ენიმეისაგან“ გამოყოფისას არქეოლოგიის მხოლოდ ერთი განყოფილება ჰქონდა. ამ განყოფილების ბაზაზე ინსტიტუტში შემდგომ არქეოლოგიის სექტორი შეიქმნა; რომელშიაც უკვე რამდენიმე არქეოლოგიური განყოფილება გაერთიანდა.

რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილ ახალმშენებლობებთან დაკავშირებით ვაიზარდა მოთხოვნილება სასწრაფო გადაუდებელ არქეოლოგიურ სამუშაოებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამიტომ 1977 წელს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა „არქეოლოგიური კვლევის ცენტრი“, რომელშიაც გაერთიანდა 12 განყოფილება, ასამდე მეცნიერი თანამშრომლით. ესენია: ქვის ხანის, ენეოლით-ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური ხანის, ადრეული შუა საუკუნეების, შუა საუკუნეების, პალეოურბანიტიკური კვლევის, არქეოლოგიური ნუსხის, ანალმშენებლობათა არქეოლოგიის, არქეოლოგიური ტერმინოლოგიის,

¹¹⁴ საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები არქეოლოგიაში. „არქეოლოგიური კვლევის ცენტრი“ ამჟამად არქეოლოგიური კვლევა-ძიების მთავარ დაწესებულებას წარმოადგენს რესპუბლიკაში. მისი მეცნიერი თანამშრომლები არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ საქართველოს ყველა კუთხეში. ამ გათხრების მოკლე ახგარიშები ყოველწლიურად იბეჭდება კრებულში „საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება“.

„არქეოლოგიური კვლევის ცენტრის“ წინამორბედი დაწესებულებების არქეოლოგთა ნაშრომები ქვეყნდებოდა ჟერ „ენიმკის მოამბეში“, მერე „ისტორიის ინსტიტუტის შრომებში“ და კრებულ „მიმომხილველში“, ხოლო 1955 წლიდან ქართველ არქეოლოგებს უკვე ცალკე სისტემატური კრებული აქვთ — „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“. შემდგომ წლებში დაარსდა და სერიულად გამოიცა სხვა არქეოლოგიური კრებულებიც, კერძოდ: „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“, „ვანი“, „დიდი პიტიუნტი“, „მცხეთა“, „თბილისი“, „კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები“, „კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები“, „ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“, „არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს ახალშენებლობებზე“, „კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები“, „ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები“ და სხვ.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ა. აფაქიძის რედაქტორობით 1980 წ. გამოცემული პირველი რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონი.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების ძირითადი საცავი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც რესპუბლიკის უძველესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. აქ დღეს ნაყოფიერი საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს. არქეოლოგიურ თხრას აწარმოებენ მუზეუმის „არქეოლოგიის“ (შუა საუკუნეების წინა) და „შუა საუკუნეების არქეოლოგიის“ განყოფილებების მეცნიერი თანამშრომლები. აქვეა სპეციალური სარესტავრაციო განყოფილება, სადაც არქეოლოგიური მასალის რესტავრაცია-კონსერვაციას აწარმოებენ.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პირველი არქეოლოგიური გამოფენა თემაზე „წინაქრისტიანული საზოგადოება ამიერკავკასიაში“ მოეწყო 1934 წელს; 1937 წელს „შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის“ გამოფენა; ხოლო 1941 წელს — „თრიალეთი და მცხეთა — უძველესი ქართული კულტურული კერები“. მუზეუმის დღევანდელი მულტიმომკმედი გამოფენა საქართველოს ყველა პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლებს მოიცავს. მუზეუმის თანამშრომლები აქვეყნებენ კრებულების სერიას — „საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“ და „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე — B“.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი არქეოლოგიასა და საგამოფენო საქმიანობაში კონსულტაციას უწევს და ეხმარება რესპუბლიკის რაიონული ცენტრების და ქალაქების მხარეთმცოდნეობით და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებს (ორი მათგანი — ახალციხის და მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმები თავის ფილიალებად მიიღო). ესენია: თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, ფოთის, ქუთაისის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მარტვილის, ცაგერის, ხაშურის, ბორჯომის, გორის, რუსთავის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის და სხვ. აღსანიშნავია, აგრეთვე, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოსა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებების ჩატარებული სამუშაოები. ეს დაწესებულებები ხელს უწყობენ ახალ არქეოლოგიურ ძეგლთა გამოვლინებას, დაცვას და პოპულარიზაციას.

ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებათა გარდა, არქეოლოგიურ კვლევას ახორციელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი რეგიონული ინსტიტუტები. ასეთებია ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში დაარსებული დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის და ქ. ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები¹¹⁵, ხოლო 1958 წლიდან გაიხსნა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი¹¹⁶. ამ დაწესებულებებში საგანგებო არქეოლოგიური განყოფილებებია შექმნილი, რომელთა კვლევა-ძიების შედეგები იბეჭდება ხსენებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კრებულებში¹¹⁷.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ერთიან ზედამხედველობა-კოორდინაციას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს არქეოლოგიური კომისია ახდენს, რომელიც რესპუბლიკის სახელით იძლევა „ღია ფურცელს“ (ვათხრის უფლებას). 1977 წელს რესპუბლიკის მმართველობამ მიიღო ახალი კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

¹¹⁵ დაწვრ. იხ. Абхазский институт языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа; М. М. Трапш, Основные результаты археологического исследования Абхазии за годы Советской власти, Труды I, Сухуми, 1970, с. 30—51; Юго-Осетинский научно-исследовательский институт, книга — Академия наук Груз. ССР, Тбилиси, 1981, с. 318—325. 373—383.

¹¹⁶ დაწვრ. იხ. Батумский научно-исследовательский институт, кн. АН ГССР, Тбилиси, 1981, с. 325—331.

¹¹⁷ იხ. კრებულები Известия Абхазского института истории, языка и литературы, Материалы по археологии и искусству Абхазии, «Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института», „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“.

რომელშიც ყველა ტიპის არქეოლოგიური ძეგლი სახელმწიფოს დაცვის ობიექტად არის გამოცხადებული¹¹⁸.

საქართველოს არქეოლოგთა ყველა თაობის წვლილი და დამსახურებაა დღევანდელი ქართველოლოგიის ერთ-ერთი დარგის — საქართველოს არქეოლოგიის — საყოველთაოდ ცნობილი წარმატებები. არქეოლოგიური კვლევის შედეგად რესპუბლიკის ტერიტორიაზე დადასტურებულია ადამიანის განვითარებისა და ცხოვრების ამსახველი ყველა საფეხურის ძეგლები ქვის ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით.

ქართველი არქეოლოგები მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს წევრია (ICOM). ქართველ არქეოლოგთა შრომები იბეჭდება უცხოეთის სამეცნიერო-კულტურულ ნაშრომებში¹¹⁹.

ასეთია, მოკლედ საქართველოში არქეოლოგიის განვითარების ძირითადი სამეცნიერო-ორგანიზაციული გზა (1980 წლამდე). საქართველოს არქეოლოგიის დღევანდელი მიღწევების და მათში ცალკეული არქეოლოგების წვლილის შესახებ იხილეთ მომდევნო თავები.

¹¹⁸ ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, რომელსაც არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვაც დაევა.

¹¹⁹ ბიბლიოგრაფია იხ.—D. Kacharava, V. Tolordava, Georgian Archaeological Literature in 1976—1980, Dialogues d'histoire ancienne, Paris, 1980, № 13.

ჰვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორია

ადამიანის წარმოშობა და მისი ევოლუცია რამდენიმე მილიონ წელს მოიცავს. საზოგადოების განვითარების ისტორიაში ყველაზე ადრეული და ხანგრძლივი პერიოდია ქვის ხანა, რომელიც თვით ადამიანისა და მისი კულტურის განვითარების შესაბამისად — ქვის იარაღთა ტიპოლოგიური შემადგენლობისა და მათი დამზადების ტექნიკის მიხედვით, ასევე მეურნეობის ხასიათისა და სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის მიხედვით გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იყოფა შემდეგ ეპოქებად: ძველი ქვის ხანა — პალეოლითი, შუაქვის ხანა — მეზოლითი და ახალი ქვის ხანა — ნეოლითი. პალეოლითური ეპოქა თავისთავად იყოფა ქვედა და ზედა პალეოლითად. ქვედა პალეოლითის უძველესი საფეხურია ოლდუვაი, რომელსაც მოსდევს აშელი და შემდეგ მუსტიე. დანარჩენ ეპოქებში — ზედა პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი — გამოყოფენ ადრე, შუა, განვითარებულ ან ფინალურ სტადიებს.

ქვედა პალეოლითი მეოთხეული გეოლოგიური პერიოდის ორ ეპოქას — ეოპლეისტოცენსა და პლეისტოცენს მოიცავს, ზედა პალეოლითი — პლეისტოცენის მეორე ნახევარს, მეზოლითი-პლეისტოცენის დასასრულსა და მეოთხეული პერიოდის თანამედროვე ეპოქას — ჰოლოცენს ემთხვევა, ხოლო ახალი ქვის ხანა მთლიანად ჰოლოცენში ვითარდებოდა.

ვინაიდან ქვის ხანის ადამიანი მკვიდროდ იყო დაკავშირებული ბუნებასთან, დიდად იყო დამოკიდებული მის გარესამყაროსთან, ამიტომ მისი კულტურის კვლევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთ საბუნებისმეტყველო დარგებთან ერთობაში, როგორცაა პალეოგეოგრაფია, გეომორფოლოგია, პალეობიოლოგია, პალეობოტანიკა და სხვ.

არქეოლოგიური და გეოლოგიური პერიოდიზაციების ურთიერთკავშირი, მეოთხეულ პერიოდში მომხდარი კლიმატური ძვრები (გამყინვარებები და გამყინვარებათაშორის ეპოქები), მათი გავლენა გეოგრაფიულ გარემოზე, ბუნებრივ პირობებზე, ადამიანთა განსახლებასა და კულტურათა თავისებურებებზე დაწვრილებით შემდეგ თავში იქნება მოთხრობილი.

საქართველო ძველთაგანვე გამოირჩეოდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, მრავალფეროვანი და ხელშემწყობი კლიმატური პირობებით. ამან, როგორც ჩანს, განაპირობა აქ ადამიანის ფართო განსახლება, რაზეც მეტყვე-

ლებს ქვის ხანის სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ტიპის სადგომების სიმრავლე.

საქართველოს ქვის ხანის ძეგლების აღმოჩენა შესწავლაში გარკვეული წვლილი შეიტანეს გასული საუკუნის მეორე ნახევრისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის რიგმა მკვლევრებმა. მათ შორის არ შეიძლება არ დავასახელოთ დიუბუა დე მონპერე, ს. სიმონოვიჩი¹, ა. უეაროვი², ა. იოაკიმოვი³, ა. ბერ-ჯაკი⁴, რ. შმიდტი. ლ. კოზლოვსკი, სტ. კრუკოვსკი⁵, ე. ფავრი⁶ და ზოგიერთი სხვა. სწორედ ამ მკვლევართა დიდი დამსახურებაა ისეთი ძეგლების აღმოჩენა და ზოგჯერ წინასწარი კვლევა, როგორცაა ვირხოვის, უეაროვისა და ბარათა-შვილის მღვიმეები, გვარჯილას-კლდის, თარო-კლდის, ხერგულის-კლდის და სხვა სადგომები.

ეს იყო პირველი ნაბიჯები საქართველოში ქვის ხანის ძეგლების ძიებისა და შესწავლის თვალსაზრისით და მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, მათ კვლევას მაინც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ჩვენი მეცნიერების განვითარებაში მას ღრმა კვალი არ დაუტოვებია. ამით დასრულდა საქართველოში ქვის ხანის ძეგლების კვლევა-ძიების I ეტაპი.

მეორე ეტაპი ძეგლების კვლევის შედარებით სისტემატური ხასიათით აღინიშნება. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვის ხანის სადგომების მეცნიერულ გათხრა-შესწავლას საფუძველს უყრის და სათავეში უდგება გ. ნიორაძე. მან 1926—30 წლებში გეგმაზომიერი გათხრები ჩაატარა დევისხვრელსა⁷ და 1936—1937 წწ. საკაიუში⁸. ამას მოჰყვა ლ. სოლოვიოვის მიერ საქართველოს შავიზღვისპირეთის ზოლში ქვის ხანის იარაღების შემცველი რამდენიმე ადგილსამყოფელის მოპოვება— გვარდა, კელასური, აფიანჩა, ქვემო ლემსა, მოქეი, აჩიგვარა, ჩუბურისხინჩი და სხვ.⁹ ამავ დროს ს. ზამიატინმა ქ. გავ-

1 С. Симонович. Пила из кремня. Изв. Кавк. отд. Русского географического общества. Т. I, 1872, с. 127—128.

2 А. Уваров. Археология России, каменный период. М., 1881, I, с. 205.

3 А. Иоакимов. Выписки из дневника археологических работ на Цалке. Изв. Кавказ. общ. ист. арх. т. I, вып. 1, Тбилиси, 1882, с. 8—9.

4 С. Бернацкий. Ископаемые остатки пещерного человека и пещерных животных на Кавказе. «Кавказ», № 255, 1884, 17. X.

5 Ст. Круковский. Пещера Гварджила-кде в Грузии. Изв. Кавказского музея, т. X, вып. 3. Тбилиси, 1916, с. 253—259.

6 Ernest Favre. 1875. Recherches géologiques dans la chaîne du Caucase. Genève. გვ. 3—4.

7 გ. ნიორაძე, 1933. პალეოლითის ადამიანი დევის ხვრელში. საქართველოს მუზეუმის შრომები. VI. თბ.

8 გ. ნიორაძე, 1953. ქვის ხანის ადამიანი საკაიუს გამოქვაბულში. თბ.

9 Л. Н. Соловьев. Первобытное общество на территории Абхазии. Сухуми, 1971, с. 5—6.

რის რაიონში მოიპოვა ეშერას, გულაუთის, კალდახვარას და სხვა ქვის ხანის ნაბინარები¹⁰. ძირითადად ეს იყო ხანმოკლე ნაბინარების კვალი, მაგრამ უკვე კარგად მეტყველი იმაზე, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთი მნიშვნელოვნად იყო დასახლებული ქვის ხანაში. 1934 წ. ზამიატინმა მიაკვლია მღვიმევის კლდოვან ეხებს¹¹. რიგი აღმოჩენებისა დაკავშირებულია ალ. კალანდაძის¹², ბ. კუფტინისა¹³ და ლ. მარუაშვილის სახელებთან¹⁴ (სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში). ამის შემდეგ საველე-არქეოლოგიური სამუშაოები საქართველოს ტერიტორიაზე დროებით თითქმის შეწყდა.

50-იანი წლებიდან ქართული პალეოლითმოკლდნობის აღორძინება იწყება, ქვის ხანის კვლევას სათავეში ჩაუდგნენ ადგილობრივი კადრები, რომლებიც ადრე მიკვლეული ძეგლების თხრასა და შესწავლას შეუდგნენ, ამავე დროს გაშალეს ინტენსიური დაზვერვითი სამუშაოები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, რის შედეგადაც გამოვლინდა მრავალი უნიკალური პალეოლით-მეზოლითური და ნეოლითური ხანის ძეგლები. დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია 400-მდე ძველი ქვის ხანის (პალეოლით-მეზოლითი) და 50-მდე ახალი ქვის ხანის სადგომი. ძეგლთა გარკვეული ნაწილი სტრატეფიცირებულია და საყრდენ ძეგლებს წარმოადგენს. ესაა წონა, კუდარო I, III, ზიარი, წოფი, ჯრუჭულა, ორთვალა, საკაჟია, აფიანჩა, ქვაპარა, ეძანი, დარკვეთი, თეთრი მღვიმე, საგვარჯილე და სხვა. ამ და კიდევ სხვა ძეგლების კვლევის შედეგები სისტემატურად ქვეყნდება ანგარიშების სახით კრებულებში: „ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“, „ПАИ“ და „АО“; გარდა ამისა, ქვის ხანის მრავალი პრობლემატიკი საკითხი განხილულია თეორიული ხასიათის ცალკეულ სტატიებში, რომლებიც ქვეყნდება როგორც ადგილობრივ პერიოდულ გამოცემებში, ისე საკავშირო და უცხოეთის ჟურნალებშიც. არაერთი მონოგრაფიული ნაშრომი მიეძღვნა საქართველოს ქვის ხანას, ამას ემატება საბუნებისმეტყველო დარგების ჰეკლევართა გამოკვლევებიც.

საქართველოს ყველა კუთხეზე არაა თანაბრად შესწავლილი. შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი გურია-აჭარის ტერიტორიები, კახეთი, სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, სადაც ძირითადად უქანასკნელ წლებში გამოვლინდა ძეგლთა მნიშვნელოვანი ნაწილი — დმანისი, ადგილი ფერსათი, ბავრის I—II ფხები, ბავრის მღვიმე, განდევლის მღვიმე. ჩამოთვლილ ძეგლთა მეტი წილი

¹⁰ С. Н. Замятин. Палеолит Абхазии. Тр. Ин-та Абхазской культуры. Сухуми, 1937, в. X.

¹¹ С. Н. Замятин. Пещерные навесы Мгвимеви близ Чнатур. СА, III, 1937.

¹² ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენოქის მოამბე, ტ. IV, 3. თბილისი, 1939, გვ. 263—371.

¹³ Б. А. Куптин. Археологические раскопки в Триалети. Т. I. Тбилиси, 1941.

¹⁴ Л. Н. Маруашвили. Зуртакетская палеолитическая стоянка в Южной Грузии и ее геологическое значение. «Природа», № 12, 1946.

როგორი იყო ჰავა ზედაპალეოლითში საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ვიურმის გამყინვარების მეორე ნახევარს ემთხვევა?

მკვლევართა ნაწილი არსებული პალეობიოლოგიური მონაცემების საფუძველზე, როგორცაა: მაგ., ლოსის, გარეული თხის, არჩვის, პრომეთოსის მემინდვრიას, როსომახას, მცირე აზიის ომანას და სხვ. ნაშთების არსებობა საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებში, ვარაუდობს, რომ იმ დროისათვის ჰავა დღევანდელთან შედარებით უფრო ცივი უნდა ყოფილიყო, ხოლო მყინვარებიც უფრო მნიშვნელოვნად იყვნენ განვითარებული. ასეთ ვითარებაში, ცხადია, მაშინდელ ცხოველთა ვერტიკალური განაწილებაც სხვაგვარად იქნებოდა წარმოდგენილი, ადგილი უნდა ჰქონოდა ლანდშაფტური ზონების ვერტიკალურ გადაადგილებას⁶¹. მსგავსი მოსაზრებაა გამოთქმული ამ ბოლო ხანს ტოლონ-კლდის მღვიმის (ქიათურის რ-ნი) ზედაპალეოლითურ ძეგლზე აღმოჩენილი მღრღნელების ნაშთების კვლევის შედეგადაც⁶².

არსებობს სხვა ავტორთა რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებაც, კერძოდ: ნ. ვერუშაგინის აზრით, არ არსებობს პლეისტოცენისა და ჰოლოცენის საზღვარზე ვერტიკალური ლანდშაფტური ზონების გადაადგილების მტკიცებინს მყარი საფუძველი. ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოს ხეობების ზედა ნაწილში დღესაცაა გარეული თხების არსებობისათვის ხელსაყრელი პირობები, ხოლო ომანას, პრომეთოსის მემინდვრიისა და სხვ. მღრღნელთა ძვლები — შესაძლოა ფრინველის (მაგ. ზარნაშოს) მიერ იყოს შემოტანილი მღვიმეებში, გამორიცხავს მტკიცების საფუძველს ერთ ლანდშაფტურ ზონაში ცხოველთა ორი განსხვავებული ეკოლოგიური ტიპის (მაღალმთიანის და მეზოფილურის) არსებობის შესახებ⁶³. დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური ფაუნის შემადგენლობაში ძირითადად ტყეველიანი ლანდშაფტის წარმომადგენელთა არსებობა, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ სიცივის მოყვარულ ცხოველ-

⁶¹ Н. С. Смирнов. О некоторых млекопитающих Западного Закавказья в каменном веке, Известия Азербайджанского университета, № 3, Баку, 1923—1924, с. 148—149; გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი დევისერელში, თბ., 1933, გვ. 35; В. И. Громов. Палеонтологическое и археологическое обоснование стратиграфии континентальных отложений четвертичного периода на территории СССР (млекопитающие, палеолит), Труды Института геологических наук, вып. 64, геологическая серия, № 17, 1948, М., с. 266; გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკვიას გამოქვაბულში, თბ., 1953, გვ. 52; დ. თუშაბრამიშვილი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960, გვ. 46; Д. М. Тушабрамишвили. Палеолит Грузии, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVII—В, თბ., 1984, გვ. 23.

⁶² А. Т. Мусхелишвили, Т. К. Мешвелиани. Новые данные о фауне грызунов верхнего палеолита Западной Грузии (Тогон клде). აკად. ს. ჯანაშას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXIX—В, თბ., 1987, გვ. 44.

⁶³ Н. К. Верещагин. Млекопитающие Кавказа, М.—Л., 1959, с. 121—122.

სხვაეულთა სახეები

ცხრილი 1

	დეფსერეულო		სამერტხელე კლდე		საკაფია		მეფემეო		გვარჩილას კლდე			
	ვენძარყ გუდენძენ	ვენძარყ აძაყენი	ვენძარყ გუდენძენ	ვენძარყ აძაყენი	ვენძარყ გუდენძენ	ვენძარყ აძაყენი	ვენძარყ გუდენძენ	ვენძარყ აძაყენი	ვენძარყ გუდენძენ	ვენძარყ აძაყენი	%	
											ვენძარყ აძაყენი	ვენძარყ გუდენძენ
ზარბი— <i>Insectivora</i>	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბარნაცი— <i>Erinaceus europaeus</i>	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბეგებულბი— <i>Carnivora</i>	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბელ— <i>Canis lupus</i>	1	1,0	—	—	14	1,5	—	—	3	1,8	—	—
ბელ— <i>Vulpes vulpes</i>	—	—	—	—	5	0,5	—	—	—	—	—	—
ბეჭინი ღაფი— <i>Ursus spelaeus</i>	23	22,8	7	2	18	1,9	3	1	3	0,7	—	—
ბეჭინი ღაფი— <i>Ursus arctos</i>	—	—	—	—	7	0,7	2	—	—	—	—	—
ბეჭი— <i>Meles meles</i>	—	—	—	—	2	0,2	1	—	—	—	—	—
ბეჭინი— <i>Mustela sp.</i>	—	—	—	—	3	0,3	—	—	—	—	—	—
ბოსიბაბი— <i>Gulo gulo L.</i>	—	—	—	—	1	0,1	1	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Felis sp. (cf. lynx. L.)</i>	—	—	—	—	3	0,3	—	—	—	0,6	—	—
ბეჭინი ღაფი— <i>Felis spelaea</i>	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბეჭინი ღაფი— <i>Rodentia</i>	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Castor fiber</i>	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Hystrix</i>	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Mesocricetus aurat. Wat.</i>	4	4	2	2	1	1	1	—	3	1,8	1	31
ბეჭეჭეჭი— <i>Promethomys schaposhnikovi Sat.</i>	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Ungulata</i>	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Equus sp.</i>	—	—	—	—	3	1,7	1	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Sus scrofa ferus</i>	30	29,7	10	4	83	8,9	4	—	21	12,7	3	5
ბეჭეჭეჭი— <i>Capra cylindricornis</i>	17	16,8	4	2	193	20,8	5	—	—	—	—	35
ბეჭეჭეჭი— <i>Cervus elaphus</i>	—	—	—	—	2	0,2	1	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Alces sp.</i>	2	2,0	1	1	3	0,3	—	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Capreolus capreolus</i>	—	—	—	—	113	12,2	4	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Capra cylindricornis</i>	16	15,8	5	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Capra sp.</i>	2	2,0	1	—	2	0,2	1	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Rupicapra rupicapra</i>	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბეჭეჭეჭი— <i>Ovis cf. ammon</i>	6	5,9	3	159	94	5	432	46,5	46	27,7	7	209
ბეჭეჭეჭი— <i>Bos sp. (Bison)</i>	—	—	—	—	170	100	12	931	169	100	23	1532
ბეჭეჭეჭი	101	100	34	170	100	12	931	100	44	169	100	23

ს. კ. ლ.

თა სახეები, როგორცაა: ბეწვიანი მარტორქა, მამონტი და ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელი ცხოველები ფაუნის შემადგენლობაში არაა წარმოდგენილი, ა. ვეკუას საშუალებას აძლევს გამოთქვას მოსაზრება, რომ მთელი პლეისტოცენის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში გაბატონებული იყო ნოტიო და ზომიერად თბილი ჰავა⁶⁴.

როგორი იყო საქართველოში ბინადარი ზედაპლეოლითელი ადამიანის შრომის იარაღ-ხელსაწყოები, როგორი იყო მათი დამზადების ტექნიკა?

იარაღის დასამზადებლად ძირითადად გამოყენებული ყოფილა ტურონ-სენონური იარუსის მოთეთრო, მონაცრისფრო, მოყავისფრო და მოვარდისფრო კაჟი⁶⁵. ზედაპლეოლითელი იარაღისათვის იყენებდნენ ობსიდიანსაც, რომელთა შორის გამოირჩევა შავი ფერის გამჭვირვალე, შებოლილი, აგრეთვე, მოწითალო ფერის და შავზოლებიანი⁶⁶. კაჟიცა და ობსიდიანიც საკმაოდ მაგარ, ფიქვ და იარაღების მისაღებად ადვილად დასამუშავებელ ქანებს წარმოადგენენ. მათ დასამუშავებლად, როგორც აღვნიშნეთ, ზედაპლეოლითელი იყენებდა გათლით, ატკეცით, წნევით და ე. წ. კონტრდარტყმის ტექნიკას. ცნობილია, რომ ქვის ინდუსტრიის დახასიათებისას ყურადღება ექცევა ქვის როგორც პირველად, ასევე მეორად დამუშავებას, ტიპოლოგიურ დახასიათებას. ქვის პირველადი ატკეცვის ტექნიკის დახასიათებლად საყურადღებოა ნუკლეუსები, შემდეგ კი მისგან ატკეცილი ლამელა-ანატკეცები და წარმოების ნარჩენები.

ნუკლეუსების დასამზადებლად კაჟის კონკრეციების ან ლინზების გათლის შედეგად მიიღებოდა ბუნებრივქერქიანი ანატკეც-ანამტკრეცები, რომლებიც ხშირად გვხვდება საქართველოს ზედაპლეოლითურ ძეგლებზე. ნუკლეუსები, საიდანაც დარტყმის ან წნევის საშუალებებით ხდებოდა ლამელე-

⁶⁴ Д. М. Тушабрамишвили, А. К. Векуа. Палеолит в Грузии, Четвертичная система Грузии, Тбилиси, 1982, с. 188—191.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ კლიმატურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება ჩვენს შორეულ წინაპარს საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მრავალი ფაქტის დაკრძობასა და მათ კომპლექსურად გაანალიზებას საჭიროებს.

როგორც მეთოთებს ჭ. ჯანელიძე (წინამდებარე ნაშრომი) დასავლეთ საქართველოს ბარში და მთების წინა ზოლში ეიურმული გამყინვარების ბოლო ეტაპზე (ეურმი III) ტყის გვერდით ტყე-ველისა და სტეპის ლანდშაფტებიც ყოფილა განვითარებული, რაც, ალბათ, მკაცრი პავის არსებობით იყო განპირობებული.

⁶⁵ აღნიშნული კაჟი გვხვდება დასავლეთ საქართველოს ზედაცარტულ კორქეებში ძარღვებისა ან ცალკეული ბუდობების სახით. მაგ., ზესტაფონის რ-ში, ჭიათურის რ-ში ცნობილია კაჟის ბუდობები კაცხ-სალიეთში, — იხ. პ. გამყრელიძე, ს. ჩიხელიძე, ძირულის ხეობის ნაწილის გეოლოგიისათვის, საქართველოს გეოლოგიის ინსტიტუტის მოამბე, თბ., 1933, ტ. I, ნაკვ. 2, გვ. 94.

⁶⁶ შავი ფერის ობსიდიანი აღმოჩენილია ჟავახეთში გოდერძის უღელტეხილზე. მოწითალო ფერის ობსიდიანის ბუდობები ცნობილია სომხეთში, მისი ბუდობები წალკაშიცაა მიკვლეული და სხვ.

ბისა და ანატკეცების მიღება, მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით იყოფიან: პრიზმული მოყვანილობის (ერთი ან ორ ფუძიანები), კონუსური, სოლისებური, ფანქრისებური, ამორფული, უტილიზებული, დისკოსებური და სხვ. მათი სიგრძე 4—9 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო დიამეტრი 3—6 სმ-ია. გვხვდება ე. წ. მიკროლითური ნუკლეუსებიც, რომელთა სიგრძე 3,5 ს-ს არ აღემატება, ხოლო დიამეტრი 2,5 სმ-ია.

ნუკლეუსებს ფუძე კარგად აქვთ მომზადებული. არიან ნუკლეუსები, რომელთა დარტყმის მოვლანი მათი სხეულისადმი პორიზონტალურია, ზოგის კი მეტ-ნაკლებად ირიბადაა დაქანებული. გვხვდება ისეთი ნუკლეუსებიც, რომელთა დარტყმის სიბრტყე არასამუშაო, მეორე, უკანა მხარისაკენ უაღრესად მკვეთრადაა დაქანებული და ნუკლეუსის სამუშაო ზედაპირთან მახვილ კუთხეს ქმნის, რის გამოც ფუძე ძალზე ვიწროა. თუ პრიზმული, სოლისებური და კონუსური მოყვანილობის ნუკლეუსებიდან პერპენდიკულარული დარტყმით ან დაწოლით ხდებოდა ფირფიტების ატკეცვა, დისკოს მოყვანილობის ნუკლეუსებიდან კი, რომლებიც მუსტიეს ეპოქიდანაა შემორჩენილი და რომლებიც ზედაპალეოლითის ადრეულ ძეგლებშიცაა წარმოდგენილი, ანატკეცებს აატკეცდნენ ნუკლეუსის ცენტრისაკენ რადიალურად მიმართული დარტყმების საშუალებით.

ქვის ატკეცვის ტექნიკა მაღალია, ზედაპალეოლითური ნუკლეუსების ნეგატივები თხელია და არაღრმა. ატკეცვის შედეგად მიღებული წახნაგები არარელიეფურია, წიბოები პარალელურადაა განლაგებული, რაც თხელი და ვიწრო ლამელების ატკეცვაზე მიუთითებს. სწორედ ამგვარი ლამელებია ძირითადად კარგად წარმოდგენილი საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებზე. რაც შეეხება ზედაპალეოლითური ეპოქის ადრეული ძეგლების ნუკლეუსებს, მათზე ნეგატივები უფრო ღრმაა და რელიეფურადაცაა გამოსახული, მართალია, ზედაპალეოლითის ნუკლეუსებისათვის გლუვი დარტყმის ფუძეებია დამახასიათებელი, მაგრამ გვხვდებიან ისეთი ნუკლეუსებიც, რომელთაც ფუძეები რეტუშით აქვთ შესწორებული, რაც დამახასიათებელია ზედაპალეოლითის ადრეული ძეგლებისათვის.

ანატკეცებისა და ლამელების სიგრძეც, ბუნებრივია ნუკლეუსების ზომებთანაა ურთიერთკავშირში. თუმცა, ხშირად, ძეგლებზე გვხვდება ისეთი ფირფიტებიც, რომელთა სიგრძე თითქმის ორჯერ აღემატება ნუკლეუსების სიგრძეს, რაც სავსებით ბუნებრივია.

საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებზე მასალის თითქმის 50% ანატკეც-ანატტრევეებს უკავიათ. მათ შორის გამოიყოფიან: კაქარზე ამტვრეული თავები, რომელთაც ზურგის მხარე ამობურცული და კაქრის კანით დაფარული აქვთ; კაქრის გვერდებიდან ამტვრეული ანატკეცები, რომლებიც მიიღებოდნენ კაქრის ნუკლეუსად მომზადების, ანუ კაქრის გათლის პროცესში, ნუკლეუსებიდან მიღებული ანატკეცები, რომელთაც არ გააჩნიათ კაქრის ქერქი. ანატკეცებს აქვთ სამკუთხედისებური, ან მომრგვალო მოყვანილობა, არიან

მოგრონი ან მოკლე, მათ არასწორი, თხელი და ბასრი გვერდები აქვთ. — ანატკეცების ნაწილს გვერდებზე ემჩნევათ მეორადი დამუშავების (რეტუშის) ნიშნები. მათ უმრავლესობას შერჩენილი აქვთ დარტყმის მოედანი, ზურგის მხრიდან ანატკეცებს სხვადასხვა სახის ფირფიტების ატკეცვის კვალი ატყვიათ, ხოლო მუცლის მხრიდან — ატკეცვის ბურცული. ზოგიერთ ანატკეცს დარტყმის სიბრტყე შესწორებული აქვს. ანატკეცთა ზომები სხვადასხვაა. დიდი ზომის ანატკეცების სიგრძე 8,5—12,5 სმ-მდეა, საშუალო ზომის ანატკეცების — 5,5—8 სმ, ხოლო მცირე ანატკეცებისა 3,5—5 სმ-ია. მოიპოვებიან ნუკლეუსების განახლებისა და შესწორების შედეგად მიღებული ანატკეცები, ქერცლისებური ანატკეცები და სხვ.

ზედაპალეოლითური ლამელები ხასიათდებიან საკმაოდ სწორი მოყვანილობით. კაჭრის კანი მთლიანად აქვთ შემოცლილი. გვხვდებიან როგორც ორფერდა, ასევე სამფერდა და მრავალფერდა ლამელები. ლამელებს სწორი, თხელი და მჭრელი ნაპირები ახასიათებთ. მათი სიგრძე 5,5—10—12 სმ-ს შორის მერყეობს, სიგანე 2—3 სმ-ს აღწევს. გვხვდება მიკროლამელებიც, რომელთა სიგრძე 2—5 სმ-ს შორის თავსდება, ხოლო სიგანე 5—7 მმ-ია⁶⁷. ნუკლეუსებიდან ლამელების ატკეცვა ხდებოდა როგორც დარტყმის (შედარებით დიდი ზომების), ასევე წნევითი ტექნიკის გზით (მცირე ზომების). სწორწახნაგა ლამელების არსებობა ზედაპალეოლითურ ძეგლებში ატკეცვის ტექნიკის გაუმჯობესებაზე მიუთითებს. თუ ლამელებისა და ანატკეცების ერთი ნაწილი დამოუკიდებელ იარაღებად იხმარებოდნენ, ნაწილი კი იარაღის დასამზადებლად გამოიყენებოდა.

ზედაპალეოლითური იარაღების მისაღებად ფართოდაა გამოყენებული სხვადასხვა სახის რეტუში, რაც ქვის მეორადი დამუშავებით მიიღებოდა და წნევითი ტექნიკის გაუმჯობესებით იყო გაპირობებული. გვხვდება მაღალი, ციცაბო ან დაბალი, დამრეცი, სწორი, მძივისებური, ფაქიზი, მცოცავი, დაკბილული, ჩატეხილი, სიგლუვის მომცემი, დამაჩლუნგებელი ან თანამიმდევრული გამაფხიანებელი და სხვ. სახის რეტუში⁶⁸.

⁶⁷ როგორც ცნობილია, ლამელებისა და ანატკეცების დასახასიათებლად მიღებულია ნაშაღის სიგრძისა და მისი სიგანის შეფარდებების გარკვეული მნიშვნელობის კრიტერიუმები. A. Leroi-Gourhan, G. Bailloud, A. Chavaillon, A. Laming-Emperaire, Le préhistoire, Paris, 1966, p. 13; D. Sonneville-Bordes, Le paléolithique supérieur en Périgord. Bordeaux, Delmas, 1960, t. I. p. 20; I. Tixier, Typologie de l'épipaléolithique en Maghreb, Paris, 1963, p. 38.

⁶⁸ გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი დევისსერელში, თბ., 1933, გვ. 41; ალ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, გვიანი (ზედა) პალეოლითი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, გვ. 104; მ. გაბუნია, გვიანპალეოლითურ ქვის იარაღთა მეორადი დამუშავების ტექნიკა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ზოგიერთი საკითხისათვის, მაცნე, № 1, 1985, გვ. 122—129; A. Leroi-Gourhan, G. Bailloud, ... დასახ. ნაშრომი, გვ. 15; Michel N. Brezillon, La dénomination des objets de pierre taillée, Paris, 1968, p. 106—24.

საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებში კარგადაა წარმოდგენილი იარაღთა ტიპოლოგიური შემადგენლობა, რაც მათ მრავალმხრივ დანიშნულებაზე მიუთითებს (იხ. ცხრილი № 2, ზედაპალეოლითურ იარაღთა ზოგადი ნომენკლატურული სია)⁶⁹.

ქვის ინდუსტრიის ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური შემადგენლობა, აგრეთვე, ტიპოლოგიურ-ტექნიკური მაჩვენებლები აშკარად მოწმობენ, რომ საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლები ამ ეპოქის სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებიან. ჩანს, რომ ზედა პალეოლითის დასაწყისიდან მეზოლითამდე კულტურის განვითარება პროგრესული გზით მიმდინარეობდა, რაც ასაკობრივად ზედაპალეოლითის სხვადასხვა პერიოდებისათვის დამახასიათებელი ქვი-სა და ძვლის იარაღთა დამზადების ტექნიკაში გამოვლინდა. ეს საშუალებას გვაძლევს ქრონოლოგიურად ერთიმეორეს დაეცილოთ აღმოჩენილი კომპლექსები და ზედაპალეოლითური ხანის განვითარების თანამიმდევრობა შევნიშნოთ.

1935 წელს ს. ზამიატინმა, იმ დროისათვის მცირე მასალების გამოყენებით, საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის განვითარებაში ერთგვარი კანონზომიერება დაადგინა. კაეის ინვენტარზე დაყრდნობით იგი აღმავალი საფეხურების გამოყოფას ქვის დამუშავებაში შენიშნული პროგრესული ელემენტების გამოვლინებით ცდილობდა⁷⁰. საქართველოს ზედა პალეოლითისათვის ს. ზამიატინმა შეიმუშავა ქრონოლოგიური სქემა⁷¹, რომელსაც საფუძვლად ედო ზედაპალეოლითური მასალებისათვის დამახასიათებელი ტექნიკურ-მორფოლოგიური ნიშნები. ს. ზამიატინმა ძეგლები სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაყო. I ჯგუფში, რომელსაც ადრეული უწოდა, მოათავსა ზედაპალეოლითური ძეგლები: ხერგულის კლდე, თარო კლდე; II ჯგუფში — შუა —

⁶⁹ საქართველოს ზედაპალეოლითურ იარაღთა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, მათი შესაბამისი ქართული ტერმინოლოგია პირველად შეიმუშავა გ. ნორაძემ. შემდგომი იგი კიდევ უფრო შეავსეს ალ. კალანდაძემ, ნ. ბერძენიშვილმა, დ. თუშაბარაშიშვილმა. მ. გაბუნის მიერ შედგენილი ზედაპალეოლითური იარაღების ტიპოლოგიური სია, რომელიც 89 ერთეულს შეიცავს, თვით ავტორის აზრით უფრო მეტ დაზუსტებას და დახვეწას მოითხოვს (მ. გაბუნია, ექანის ეხის ქვის ინვენტარის სტატისტიკური მეთოდით შესწავლის შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბ., 1974, გვ. 55—58; მისივე, თრიალეთის მეზოლითური კულტურა, თბ., 1976, გვ. 60—61). ამჟამად ჩვენს მიერ მუშავდება ზედაპალეოლითურ იარაღ-ხელსაწყოთა ტიპოლოგიური სია, სადაც ასახვას პოუვებს ყველა იმ იარაღთა ძირითადი ტიპები, რომლებიც დღემდე მიკვლევლია საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებზე.

⁷⁰ ალ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, გვიანი (ზედა) პალეოლითი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 100.

⁷¹ С. Н. Замятин. Новые данные по палеолиту Закавказья, Советская этнография, № 2, М.—Л., 1935, с. 116—118; Его же, Палеолит Западного Закавказья, Сборник Музея антропологии и этнографии, XVII, М.—Л., 1957, с. 432—499.

გაერთიანა საკაეია, უეაროვის მღვიმე⁷², ბნელი კლდე, დევისხვრელი, მღვიმევი; III ჯგუფში — გვიანი — მოათავსა გვარჯილას კლდე. საქართველოს ზედა პალეოლითურ ძეგლთა ზამიატნიისეული პერიოდიზაცია მიღებულია ცნობილ მეცნიერთა მიერ⁷³, იგი დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას⁷⁴. ცხადაა, აღნიშნული სქემა უკვე დღეისათვის მოითხოვს შემდგომ დეტალიზაციას. ბევრი ახალი ძეგლის აღმოჩენა დღის წესრიგში აყენებს მისი ახლებურად გადასინჯვის, მისი ახალი ძეგლებით შევსების საკითხს. ახალი აღმოჩენების საფუძველზე ნ. ბერძენიშვილმა გამოაქყო საქართველოს ზედა პალეოლითის საწყისი ეტაპი, რითაც ს. ზამიატნიის სქემის I ჯგუფი ახალი ძეგლებით წარმოდგინა⁷⁵. I ჯგუფში ხერგულის კლდესა და თარო კლდესთან ერთად მან მოათავსა საგვარჯილეს მღვიმის ქვედა ფენა⁷⁶, ჭახათი⁷⁷ და სვანთა სვანეს მღვიმე⁷⁸. ნ. ბერძენიშვილი ზედა პალეოლითის საწყისი სტადიის ორ — ადრეულ და გვიან — ფაზას გამოაქყოფს⁷⁹. საქართველოს ზედაპალეოლითური და მეზოლითური ძეგლები აღ. კალანდაძეს, ასევე, ს. ზამიატნიის ქრონოლოგიური სქემის შესაბამისად აქვს წარმოდგენილი⁸⁰. სქემაში რამდენადმე ცვლილება შეიტანა დ. თუშაბრამიშვილმა. მან გვარჯილას კლდე, რომელიც III ჯგუფში შემავალ ძეგლს მიეკუთვნებოდა, მოათავსა II და III ჯგუფის ძეგლებს შორის „...ვინაიდან იგი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ბარმაქსიზმის და ზურტაკეთის პალეოლითურ სადგომებს, რომელიც ს. ზამიატნიის III ჯგუფში ჰქონდა გაერთიანებული, და წარმოდგენს II ჯგუფიდან III ჯგუფში

⁷² დღეისათვის ჩვენთვის უცნობია მღვიმის ადგილმდებარეობა.

⁷³ Б. Б. Плотровский. Археология Закавказья, Л., 1949, с. 21—29; А. А. Формозов. Каменный век и энеолит Прикубанья, М., 1965, с. 45—49. და სხვ.

⁷⁴ Г. П. Григорьев. Верхний палеолит, в кн. Каменный век на территории СССР, М., 1970, с. 50; Н. О. Бадер. Поздний палеолит Кавказа, в кн. Палеолит СССР, Археология СССР, М., 1984, с. 275—280; ზისივე, Варианты культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезолита, Советская археология, № 4, 1965, с. 4—11; X. A. Амрханов. Верхний палеолит, Прикубанья, М., 1986; მ. ნიო რ ა ძ ე, სამეცნიერო კლდე მღვიმე, თბ., 1975, გვ. 82—93.

⁷⁵ ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964, გვ. 48—64.

⁷⁶ ნ. კილაძე (იგივე ნ. ბერძენიშვილი), მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი საგვარჯილე, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 561—567.

⁷⁷ ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის..., თბ., 1964.

⁷⁸ ნ. ბერძენიშვილი, გ. გრიგოლია, შავიზღვისპირეთის პალეოლითური ექსპედიციის 1966 წლის საველე მუშაობის ანგარიში, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVI სამეცნ. სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევები შედეგებისადმი, თბ., 1967, გვ. 5—11.

⁷⁹ ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის... გვ. 77—79.

⁸⁰ აღ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

გარდამავალ საფეხურს⁸¹. უფრო მოგვიანებით კი, დ. თუშაბრამიშვილმა ცალკე მეოთხე ჯგუფიც გამოყო, სადაც გააერთიანა მეზოლითური ხანის ძეგლები⁸². ამრიგად, დ. თუშაბრამიშვილის მიერ შემოთავაზებული ძველი ქვის ხანის ძეგლების ქრონოლოგიური სქემა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: I ადრეულ ჯგუფში გაერთიანებულია ხერგულის კლდე, საგვარჯილე I, ოქუმი I⁸³, სვანთა სავანე, ტოლონ კლდე (ქვედა ფენა), ძუძუანა (V—VII ფენები) და სხვ.; II შუა ჯგუფში — მღვიმევი, საკაჟია, დევისხვრელი, ძუძუანა (I—IV ფენები), საგვარჯილე II, ბნელი კლდე, სამერცხლე კლდე, სარკეს ფარდული და სხვ.; III გვიან ჯგუფში — გვარჯილას კლდე, სამგლე კლდე (ზედა ფენა), საგვარჯილე III, ცივი მღვიმე (ქვედა ფენა), კეპ-ბოლაზი (აფიანჩა) და სხვ.; IV ჯგუფში — მეზოლითური ძეგლებია გაერთიანებული — ჭახათი (ზედა ფენა), ქვაჭარა, ზურტაყეტი, ეძანი, იაშთხვა, ჯამპალი და სხვ.⁸⁴ აღნიშნული სქემის ადრეულ ჯგუფში გააერთიანა ლ. წერეთელმა, აგრეთვე, აფიანჩას მღვიმის IV კულტურული ფენის მასალები⁸⁵, ხოლო თ. მეშველიანმა — ტოლონ კლდის⁸⁶.

საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების ცალკეულ სტრატиграფიულ ჯგუფებში მოთავსების თაობაზე განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული ი. კოზლოვსკის, რომელიც ძეგლებს ხუთ სტრატиграფიულ ჯგუფში აერთიანებს⁸⁷. ი. კოზლოვსკი უარყოფს ს. ზამიატინის კონცეფციას ზედაპალეოლითის ადრეული სტადიის გამოყოფის შესახებ თარო კლდისა და ხერგულის

⁸¹ დ. თუშაბრამიშვილი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960, გვ. 158.

⁸² Д. М. Тушабрамишвили, Палеолит Грузии, Пещеры Грузии, Тбилиси, 1981, с. 55; Д. М. Тушабрамишвили, А. К. Векуа, Палеолит в Грузии, Четвертичная система Грузии (к XI международному конгрессу ИНКВА), Тбилиси, 1982, с. 183—184.

⁸³ Б. ბერძენიშვილი ოქუმი I-ის მასალებს გვიანი ზედაპალეოლითით ათარიღებს და გვარჯილას კლდესთან ერთად ერთ ჯგუფში ათავსებს. Н. З. Бердзенишвили, Г. П. Хубутия, Пещерная палеолитическая стоянка Окуми I, Материалы по археологии и искусству Абхазии, Сухуми, 1974.

⁸⁴ Д. М. Тушабрамишвили, Палеолит Грузии, საქართველოს სახელმწიფო მეზუემის მოამბე, XXXVII — В, 1984, გვ. 24 — 25.

⁸⁵ Л. Д. Церетели, Н. Р. Мгеладзе, Раскопки пещеры: Аппаича, ПАИ в 1979 году, Тбилиси, 1982, с. 16.

⁸⁶ თ. მეშველიანი, ტოლონ კლდის ზედაპალეოლითური ები, საქართველოს სახ. მეზუემის მოამბე, ტ. XXXV—В, 1981, გვ. 75.

⁸⁷ Ianusz K. Kozłowski, Gorny paleolit w krajach zakaukaskich i na Bliskim Wschodzie, Cz. II, Periodizacja gornego paleolitu Zachodnich Krajow zakaukaskich, Swiatowit, t. XXXIII, Warszawa, 1972, s. 7—47.

კლდის მასალების მიხედვით⁸⁸ და აღნიშნავს, რომ ამ ძეგლებიდან მომდინარე მასალები წარმოადგენენ განვითარებული ზედა პალეოლითისა და მუსტიუ-რი — შუა პალეოლითური — მასალების აშკარად არევის ფაქტს. მას შესაძლებლად მიაჩნია ზედა პალეოლითის ადრეულ სტადიაში საგვარჯილეს ქვედა ფენის მასალების მოთავსება, რამდენადაც ისინი კარგად წარმოაჩენენ ზედა-პალეოლითის საწყის ეტაპს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე⁸⁹. იგი საგვარჯილის მასალებს მიაკუთვნებს მის მიერ გამოყოფილ I სტრატეგრაფიულ ჯგუფს, რომლებსაც უკავშირებს შუა ვიურმის პერიოდს და აღნიშნავს, რომ მასალები წარმოადგენენ უტყუარ ავტოქტონურ გადასვლას შუა პალეოლითიდან ზედა პალეოლითზე⁹⁰.

თ. მეშველიანი იზიარებს ი. კოზლოვსკის მოსაზრებას და მის მსგავსად, ისიც, თარო კლდეს, ხერგულის კლდეს და სვანთა სავანეს არ მიაკუთვნებს ზედა პალეოლითის ადრეულ ეტაპს, ვინაიდან თვლის, რომ ძეგლები შეიცავენ ძველი ქვის ხანის ორი სხვადასხვა პერიოდის (მუსტიე, გვიანი — ზედა პალეოლითი) არეულ ფენებს⁹¹. თ. მეშველიანი ამ უკანასკნელ ხანს შეიცვალა, აგრეთვე, თავისი მოსაზრება ტოლონ-კლდის მასალების ადრეულ ჯგუფში მოთავსების შესახებაც, აღნიშნა, რომ მასალები, ასევე, არეული ფენებიდან მომდინარეობენ⁹².

თარო კლდე რომ საქართველოს ადრეზედაპალეოლითის ძეგლთა შორის ვერ გაერთიანდება, ეს ადრეც აღნიშნა ე. ვექილოვამ⁹³. საქართველოს ზედა პალეოლითურ ძეგლებზე მოპოვებული მიკროიარაღების კორელაციის გზით გაირკვა, რომ თარო კლდე მეორე ჯგუფის ძეგლებთან შედარებით მიკროიარაღების უფრო მაღალ ინდექსს იძლევა⁹⁴. ამავ დროს სტ. კრუკოვსკის მიერ თარო კლდეში გავლებული საძიებო თხრილიდან მომდინარე მასალებში შერეულია გეომეტრიული მოხაზულობის იარაღებიც. შესაძლოა, რომ ის მასალა,

⁸⁸ I. K. Kozłowski, Gorny paleolit w krajach zakaukaskich i na Bliskim Wschodzie. Cz. I Geochronologia i zagadnienie początków gornego paleolitu, w Problemy Archeologii Bliskiego Wschodu. Prace Komisji Archeologicznej oddziału PAN w Krakowie, Krakow, 1970, s. 121 — 142.

⁸⁹ I. K. Kozłowski, Gorny paleolit... cz II, Światowit, t. XXXIII, Warszawa, 1972, s. 13.

⁹⁰ I. K. Kozłowski, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

⁹¹ Т. К. Мешвеллиани. О раннем этапе верхнего палеолита Западной Грузии, археологическая экспедиция, ахлагзорда меклеварთა VI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1986, გვ. 121.

⁹² Т. К. Мешвеллиани. О раннем этапе..., გვ. 116.

⁹³ Е. А. Векшлова. Стоянка Сюрень I и ее место среди верхнепалеолитических памятников Кавказа, МИА, III, М.—Л., 1957, с. 317.

⁹⁴ М. Д. Гвоздовер. О культурной принадлежности позднепалеолитических памятников Нижнего Дона, Вопросы антропологии, вып. 27, М., 1967, с. 87.

რომელიც ს. ზამიატინის აქვს განხილული, მომდინარეობენ სხვადასხვა ფენებიდან, მითუმეტეს, რომ ჩვენ არაფერი ვიცით ფენების სტრატოგრაფიული ვითარების შესახებ. ამდენად, დღეისათვის, თარო კლდე, მის მთლიანად შესწავლამდე, საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საკითხისათვის საყრდენ ძეგლად ვერ გამოდგება. დ. თუშაბრამიშვილი, ასევე, თარო კლდეს საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლთა ქრონოლოგიური სქემის არც ერთ ჯგუფში არ მიუჩენს ადგილს⁹⁵.

რაც შეეხება ხერგულის კლდეს და სვანთა სავანეს, მღვიმეებში ამ 20-ოდე წლის წინათ ჩატარებულმა გეგმაზომიერმა არქეოლოგიურმა გათბრებმა ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით დაადგინა ძეგლთა ფენების სტრატოგრაფია, კულტურული ფენებიდან მომდინარე ქვის მასალების შესწავლამ კი ავტორს საშუალება მისცა ხერგულის კლდე და სვანთა სავანე ზედაპალეოლითის ადრეულ ჯგუფში მოეთავსებინა*.

როგორც აღინიშნა, ს. ზამიატინის მიერ გამოყოფილი და აღწერილი საქართველოს ზედა პალეოლითის განვითარების საფეხურები თავის მნიშვნელობას დღემდე ინარჩუნებს.

რა არის ის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების ცალკეული ჯგუფებისათვის (ადრე, შუა, განვითარებული) მიკუთვნება.

საქართველოს ზედაპალეოლითურ კომპლექსებში ძირითადი განსხვავება იარაღთა დამზადების ტექნიკით, მათი ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური შემადგენლობით გამოიხატება.

ადრეული ჯგუფის ძეგლებში ქვის დამუშავების ტექნიკა მრავალ ადრე-ზედაპალეოლითურ და მუსტიურ ხანისათვის დამახასიათებელ იერს ატარებს. ზედა პალეოლითის სხვა ჯგუფის ძეგლებთან შედარებით მათ ახასიათებთ ქვის ატეცვის შედარებით დაბალი ტექნიკა. მართალია, ამ ეტაპზე პრიზმული ნუკლეუსების მიღებისა და მისგან სწორი მოყვანილობის ფირფიტების ატეცვის ტექნიკა უკვე არსებობს, მაგრამ ნუკლეუსებშიც გვხვდებიან ისეთნი, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ ზედა პალეოლითისათვის დამახასიათებელი სწორი, პრიზმული მოყვანილობა. ზედა პალეოლითისათვის დამახასიათებელ ლამელებთან და მათზე ნაკეთებ იარაღებთან ერთად გვხვდება მუსტიეს ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები დამზადებული ტლანქ ანატეცებზე. ესენია: წვეტანები, სახოკები, დაკბილული იარაღები. ზედაპალეოლითისათვის დამახასიათებელი საფხეკები, საჭრისები მზადდებოდნენ როგორც ანატეცებზე, ასევე ლამელებზე. გვხვდებიან ლამელებზე ჩამოყალიბებული მარტივი ფორმის საფხეკები, რომელთაც გვერდებზე რეტეში არ გასდევთ. ად-

⁹⁵ Д. М. Тушабрамишвили. Палеолит Грузии..., с. 24—25.

* Н. З. Бердзенишвили. К вопросу о начальной стадии верхнего палеолита Грузии, Каменный век Средней Азии и Казахстана, Ташкент, 1972.

რეული ჯგუფის ძეგლებისათვის დამახასიათებელია მრავალწახნაგა (ფაცუ-ტიანი) საჭრისები, იშვიათია გვერდსაჭრისები. შეინიშნება საჭრისთა მრავალ-რიცხოვნება საფხეკებთან შედარებით (3:1; 2:1) ფართოდაა წარმოდგენილი ნუკლეუსისებური იარაღები, ჩნდებიან სათლელისებური იარაღები, გარდი-გარდმო ბოლორეტუშირებული ლამელები, შატელპერონის და გრავეტის ტიპის დანები, იშვიათია ზურგ და გვერდდაბლაგვებული მიკროლამელები — ჩასართები, რომლებიც მომდევნო ეტაპის ძეგლებს ახასიათებთ. მიკროწვეტა-ნები — მიკროლამელები ციკაბო რეტუშით დამუშავებულნი — ძალზედ იშვია-თია, ან თითქმის არ გვხვდებიან. ღარიბადაა წარმოდგენილი ძვლის იარაღე-ბიც და სხვ.

როგორც უკვე აღინიშნა, უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე საქარ-თველოში აღმოჩენილი ძველი ქვის ხანის ახალი ძეგლები ზამიატინისეული პერიოდინჯაციის დაზუსტების საშუალებას იძლევიან. განსაკუთრებით ეს პირ-ველი ჯგუფის ძეგლებს შეეხება, როგორცაა საგვარჯილე I, სვანთა სვანე, ხერგულის კლდე და სხვ.

ს ა გ ვ ა რ ჭ ი ლ ე⁹⁶ — ქვის ხანის მრავალფენიანი ძეგლი — მდებარეობს თერჯოლის რაიონის, სოფ. ძევრში, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. ძევრულასა და შავი წყალის სამხმრზე ჩაკეტილ კარსტულ ხეობაში. ხეობის და-სავლეთ მხრიდან აღმართულია სეფარეთის მთა, აღმოსავლეთით — კვახწერის მთა, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან — აფიცხებული. ხეობის შიგნით ვერტი-კალურად დაშვებულ ზედა ცარცის კირქვიერ ქანებში გამომუშავებულია მრავალი კარსტული მღვიმე და ეხი. საგვარჯილეს მღვიმე ხეობის მარცხენა ნა-პირზე აღმართულ კვახწერის მთის თითქმის შუა წელში მდებარეობს. 1951 წელს ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ქვის ხანის ნაშ-თების შემცველი კულტურული ფენების არსებობა დაადგინა, ხოლო 1952 წელს ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ძეგლი კიდევაც გათხარა, მღვიმის ცენტრალურ ფართობზე და მის წინ მდებარე ფერდობზე დაღეილი კულტურული ფენების სტრატოგრაფიული ვითარება მთელი სისრულით გა-მოავლინა⁹⁷.

საგვარჯილე მდ. ძევრულას კალაპოტიდან 18,5 მ სიმაღლეზე, ხოლო ზღვის დონიდან 220 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მღვიმის სიგანე შესასვლელთან 37 მ

⁹⁶ ნ. კ ა ლ ა ძ ე (ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი), მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარ-ჯილე“, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 561—567. ი. გ რ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საგვარჯილეს სტრატოგრაფიისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკადე-მიის მოამბე, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 569—575.

⁹⁷ 1951—52 წლებში ძევრულას ხეობაში ფართო სამუშაოები წამოიწყო ტყიბულქისის მშენებლობამ, რამაც აუცილებელი გახდა საგვარჯილეს დროულად გათხრა. ხეობაში მშენებ-ლების მიერ სამანქანო გზის გაყვანა საგვარჯილეს კულტურულ ფენებს განადგურებით ემუქ-რებოდა. ამის გამო ექსპედიცია ერთი წლის განმავლობაში უწყვეტლევ მუშაობდა ველზე.

უდრის. მისი უდიდესი სიგრძე 13 მეტრია. მღვიმის ბუნებრივი მოხაზულობით მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი კლდეში უფრო ღრმადაა შეჭრილი, სადაც ჭერის სიმაღლე 22 მ აღწევს. სამხრეთი მიმართულებით მღვიმე თანდათან ვიწროვდება და შემდეგ მისი ჭერი მახვილი კუთხით უერთდება იატაკს (სურ. 8). გათხრების შედეგად სამ დიდ უბანზე გამოვლინდა ძირითადად ოთხი კულტურული ფენა; ძველი ქვის ხანის, რომელიც 5 ფენის სახითაა წარმოდგენილი; ახალი ქვის ხანის; ენეოლითური და გვიანი დროის⁹⁸. 13 მეტრი სისქის დანალექებში, რომლებიც 26 გეოლოგიური ფენების სახითაა წარმოდგენილი⁹⁹ (ნახ. 55), გამოიყოფა 5 ზედაპალეოლითური კულტურული ფენა, რომელთა ლითოლოგიური შემადგენლობა ძირითადად ერთგვაროვანია. ფენები შექმნილია ხანგრძლივი დროის განმავლობაში კირქვების გამოფიტვა-დაშლის შედეგად შევსებული თიხამიწების დელუვიური ნალექებით. მღვიმის იატაკის ცალკეულ უბნებზე დადგენილია ალუვიური ნალექებიც. კულტურული ფენები ერთმეორისგან გამოიყოფა სტერილური ფენებით. როგორც სტრატეგრაფიული მონაცემებით, ისე არქეოლოგიური ნაშთების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საგვარჯილეს ყველაზე უძველეს დანალექ ფენას წარმოადგენს პეხუთე ფენა (13 მ სიღრმეზე). ფენაში აღმოჩნდა ზედა პალეოლითის ყველაზე უფრო ადრინდელი საფეხურისათვის დამახასიათებელი კაყის იარაღები და მუსტიეური ელფერის იარაღებიც¹⁰⁰ (ნახ. 56—58). ინვენტარში ნათლად ჩანს მუსტიეური და ზედაპალეოლითური წარმოების წესების ერთდროულად არსებობა. მუსტიეური ტექნიკით ნაკეთები იარაღები დომინირებენ: იარაღთა კომპლექსებში სპარბობს მუსტიეური იარაღები: საბოკები, მუსტიეური წვეტანები დამახასიათებელი დარტყმის სიბრტყითა და შესაბამისი ბურცულით (ნახ. 57₂, 3, 6, 7), ნუკლეუსები (ნახ. 56_{1,2}). ფენაში გვხვდება მუსტიეურ ანატრეცზე დამზადებული ზედაპალეოლითური იარაღები — საჭრისები (ნახ. 57₁), საფხეკები (ნახ. 57₄₋₅). ე. ი. უკვე გაჩენილია პროგრესული ელემენტები და შემზადებულია საფუძველი ზედა პალეოლითის უფრო განვითარებული კულტურის შესაქმნელად. მოპოვებული საფხეკები, უხეში საჭრისები, მოგრძო, გვერდობადაცეხული ფირფიტები და სხვა „ორინიაკოიდული“ სახის იარაღები (ნახ. 56₃, 4; 5, 6, 7) ზედაპალეოლითური კულტურის დასაწყისს მოასწავებს¹⁰¹ (ნახ. 58₁₋₁₀). ზედაპალეოლითური იარაღები უფრო სრულყოფილი სა-

⁹⁸ ნ. ბერძენიშვილი, ზედა პალეოლითი, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 38.

⁹⁹ სტრატეგრაფიულ კრილში კულტურული ფენები მინიშნებულია რომელიც ციფრებით, სტერილური და სხვა გეოლოგიური ფენები არაბულით.

¹⁰⁰ ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითლას ხეობაში, თბ., 1964, გვ. 77—78.

¹⁰¹ Н. З. Бердзенишвили. К вопросу о начальной стадии верхнего палеолита Грузии, Каменный век Средней Азии и Казахстана, Ташкент, 1972.

ხეობით წარმოდგენილია საგვარჯილეს IV—II პალეოლითურ ფენებში¹⁰². ზედაპალეოლითის კულტურულ ფენებში ძელის მრავალ იარაღთან ერთად მოპოვებულია მეოთხეულ ცხოველთა ძვლოვანი მასალაც: გარეული თხა (Capra sp.), კეთილშობილი ირემი (Cervus elaphus), ველური ცხენი (Equus caballus), ბიზონი (Bos sp.), მგელი (Canis lupus)¹⁰³ და სხვ. გარდა ამისა, ზედაპალეოლითის თითქმის ყველა კულტურულ ფენაში აღმოჩნდა იმ დროის კერა და მინერალური საღებავების ნაშთები. საგვარჯილეს გვიან ზედაპალეოლითურ ფენაში აღმოჩენილია, აგრეთვე, ძვლისაგან ნაკეთები ხელოვნების ნიმუშები (ნახ. 59. ნახ. 60). საგვარჯილეს მე-5 ფენის მასალებთან ქვის დამუშავების ტექნიკის ცალკეული ნიშნებით ახლო კავშირშია სვანთა-სავანის მასალები.

სვანთა-სავანე მღებარეობს ქ. სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით 40 კმ დაშორებით მდ. ამტყელისა და ჯამპალის შესაყარში, მდინარის ზედაპირიდან 30 მ-ის სიმაღლეზე (სურ. 9), აფხაზეთ-სვანეთის გზაზე გამართულ ხილთან¹⁰⁴. ძეგლი აღმოჩნდა (1958 წ.) და გაითხარა (1963—1966 წწ.) შავი-ზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ნ. ბერძენიშვილი, გ. გრიგოლია)¹⁰⁵ (ნახ. 61). მღვიმეში დაღეჭილი ოთხი ფენიდან პალეოლითური ნაშთები აღმოჩენილია მე-2 ფენაში, რომელიც ძირითადად კირქვის ფენას წარმოადგენს (ნახ. 62). აღნიშნულ ფენაში ქვის იარაღებთან და წარმოების ნაშთებთან ერთად მოპოვებულია მეოთხეული პერიოდის ცხოველთა ძვლოვანი მასალაც¹⁰⁶. ფაუნისტური ნაშთების საფუძველზე დადგენილია ცხოველთა შემდეგი სახეები: მღვიმის დათვი (Ursus spelaeus L.), შურა დათვი (Ursus arctos L.), ჯიქი (Panthera sp.), ღობა (Bison sp.), ჯიხვი (Capra caucasica Güld), შველი (Capreolus capreolus), ირემი (Cervus elaphus).

სვანთა-სავანეში ხულ ქვის ნაწარმის 4504 ერთეულია აღმოჩენილი. იარაღის დასამზადებლად გამოყენებულია მერგელი (2267 ც.), კაჟი (1994 ც.), გვხვდება რიყის ქვის ნაშთებიც (227 ც.), ობსიდიანი კი რამდენიმე ცალია.

ქვის ინდუსტრია ორი სხვადასხვა პერიოდის — ზედაპალეოლითური და მუსტიეური — სახითაა წარმოდგენილი. დამახასიათებელია ორი ტიპის ნუქ-

102 ალ. კალანდაძე, გვიანი (ზედა პალეოლითი)..., გვ. 102. აღნიშნული ფენების მასალები ჯერ კიდევ სათანადო შესწავლას მოითხოვენ.

103 ნ. ბერძენიშვილი, საგვარჯილეს მღვიმური საღობო და მისი უძველესი კულტურული ფენები, თბ., 1964.

104 ადგილობრივი მცხოვრებნი მღვიმეს უწოდებენ „Сванская гостиница“-ს. ძველად ამ გზით მიმავალი სვანები მღვიმეს იყენებდნენ დროებით შესასვენებლად — სავანედ.

105 ნ. ბერძენიშვილი, გ. გრიგოლია, შავიზღვისპირეთის პალეოლითური ექსპედიციის 1966 წ. საეველ მუშაობის ანგარიში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1966 წლის საეველ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1967, გვ. 3—11.

106 პალეონტოლოგიური მასალები განსაზღვრა ა. ვეკუამ.

ლუესები — დისკოსებური (მუსტიეური) და პრიზმისებური (ზედა პალეო-ლითური) (ნახ. 63, 64-4). ლამელათა ატეკვის ტექნიკა დაბალ დონეზე ყოფილა. იშვიათია სწორი და მრავალწახნაგა ლამელები. მათი დიდი ნაწილი მსხვილია და წელში გაღუნული (ნახ. 65, 6), გვხვდება ზურგიანი დანები მიღებული ნუკლეუსის განივი ანატეკებიდან (ნახ. 66), იარაღთა დიდი ნაწილი დისკოსებური ნუკლეუსებიდან მიღებულ ანატეკებზეა ჩამოყალიბებული. სევანთა-სავანის მზა პროდუქცია მრავალტიპიანობით არ ხასიათდება, სამაგიეროდ თითოეული იარაღის ტიპი დამზადებულია სერიულად. საჭრისები 208 ცალია (ქვის ინვენტარის 4,89%), საფხეკები — 36 ცალი (ქვის ინვენტარის 0,75%). საფხეკ-საჭრისების ამგვარი რაოდენობრივი შეფარდება ძეგლის ასაკთან უნდა იყოს დაკავშირებული, რაც მის ადრეზედაპალეოლითურობაზე უნდა მიუთითებდეს. საჭრისების 80% მუსტიეური ტიპის ანატეკ-ანამტერე-ვებზე არის გაფორმებული, დანარჩენი 20% ტიპიური ზედაპალეოლითურია. ასევეა საფხეკებიც (ნახ. 65, ნახ. 66). აქ აღმოჩენილი კაყის ფოთლისებური და ირგვლიერეტუშირებული მსხვილი დანები ზედა პალეოლითის ადრეული პერიოდის იარაღად უნდა ჩაითვალოს (ნახ. 66). ზედაპალეოლითური კაყის ინვენტარი წარმოდგენილია სახვრეტების, დაკბილული იარაღების, გვერდობ-ლაგველი მიკროლამელების და სხვადასხვა მიკროიარაღების სახით. ადრე ზედაპალეოლითურ ასაკზე მიუთითებს მიკროიარაღების ტიპოლოგიური შემადგენლობა და მათი დამუშავების ტექნიკის დაბალი დონე. სევანთა-სავანისათვის სრულიად უცნობია გვიანზედაპალეოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელი ე. წ. გრავეტის ტიპის იარაღები. ამავე დროს, მზა პროდუქციაში ტიპოლოგიურად წამყვანია ზედაპალეოლითური იარაღები. იარაღთა მთელი რაოდენობიდან (392 ც.) მუსტიეური მხოლოდ 14 ცალია.

მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ აქ ქვის დამუშავების ტექნიკაში შერწყმულია მუსტიეური და ზედაპალეოლითური წესები, მაგრამ ისე, რომ პირველი დაქვემდებარებული აქვს მეორეს. ამგვარად, ეს ძეგლი ჩვენი ქვეყნის ადრეული და გვიანი პალეოლითის მკიდრო კავშირის მოწმეა¹⁰⁷. როგორც ძეგლის ავტორები მიუთითებენ, სევანთა-სავანის კოლექციის მუსტიეური იერის ნაწარმი მონაცრისფრო და შედარებით უხარისხო კაყიდან არის დამზადებული, ხოლო ზედაპალეოლითური იარაღების უმრავლესობის დასამზადებლად კარგი ხარისხის მოვარდისფრო-მოწითალო ფერის კაყია გამოყენებული¹⁰⁸.

107 ნ. ბერძენიშვილი, გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრომი, გვ. 3—11.

108 ნ. ბადერი თელის, რომ მალახარისხოვანი მოწითალო ფერის კაყისაგან დამზადებული ნაწარმი, რომელიც კარგად გამოიყოფა კოლექციაში, მღვიმეში არსებული ზედა პალეოლითის ბოლოსა და მეზოლითის დასაწყისის ფენის კუთვნილება უნდა იყოს — Н. О. Бадер. Поздний палеолит Кавказа, Поздний палеолит СССР, Археология СССР, М., 1984, с. 277.

საქართველოს ზედაპალეოლითის ადრეულ ძეგლად მიჩნეულია, აგრეთვე, ხერგულის კლდე, რომელიც მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. ვაჰევში, სოფლის ცენტრიდან ორიოდე კმ-ით დაშორებულ მდ. ხერგულას ხეობაში (სურ. 10), მდინარის დონიდან 20 მ სიმაღლეზე, ხეობის ორივე სანაპიროს კირქვებში გამომუშავებულია მრავალი კარსტული მღვიმე და კლდოვანი ეხი. 1917 წელს პოლონელმა არქეოლოგმა სტ. კრუკოვსკიმ ხერგულას ერთერთ მღვიმეში აღმოაჩინა ზედაპალეოლითური ნაშთები¹⁰⁹. ამ მასალის მცირე ნაწილი კიდევაც აისახა არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში და იგი ჩაითვალა საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის ადრეულ ძეგლად¹¹⁰. სტ. კრუკოვსკის შემდეგ ძეგლზე დიდხანს აღარავის უმუშავია; მუზეუმში დაცული მასალა კი, მოკლებული იყო სავალე დოკუმენტაციას და დიდხანს უცნობი იყო თვით მღვიმის ზუსტი ადგილმდებარეობაც¹¹¹.

1967 წელს, ე. ი. პირველი აღმოჩენიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ძეგლის ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად და კულტურული ფენის სტრატиграფიული ვიზირების გასარკვევად, ხერგულას ხეობაში მოკლევადიანი სავალე სამუშაოები წაატარა¹¹². ექსპედიციამ მომდევნო წლებში (1968—1973 წწ.)¹¹³ კიდევაც გათხარა ძეგლი (ნახ. 67). ხერგულას კლდის სივანე შესასვლელში 4 მეტრია, სიგრძე 31 მ-ს უდრის. მღვიმის ცენტრალურ თხრილში და მის წინ მდებარე ფერღობზე ხერგულას უკანასკნელ ტერასამდე აღმოჩნდა მძლავრი კულტურული ფენა. მღვიმეში დალექილი ფენებიდან პალეოლითური ნაშთების შემ-

მასალების ერთი ფენიდან მომდინარეობის შესახებ ექვს გამოთქავს თ. მეშველიანი — Т. К. Мешвеллани. О раннем этапе верхнего палеолита Западной Грузии, კრ. არქეოლოგიური ძიებანი, ახალგაზრდა მკვლევართა VI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1986, გვ. 113—114.

საკირაო ძეგლის მონოგრაფიული შესწავლა, რაც საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ სენთა-სავანის ფენათა სტრატиграფია, ძეგლის კულტურულ-ქრონოლოგიური ადგილი.

¹⁰⁹ მასალები დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში. იხე. № 2926.

¹¹⁰ С. Н. Замятнии. Новые данные по палеолиту Закавказья, Советская этнография. 1935, № 2; მისევე, Палеолит Западного Закавказья, Сб. МАЭ, XVII, М.-Л. 1957, გვ. 448—453 და სხვ.

¹¹¹ 1935 წ. ს. ზამიატინის მოუხილავს ხერგულას ხეობა და თვით მღვიმის სურათიც გადაუღია, მაგრამ მკვლევარი მაინც არ უფიქრა დარწმუნებულად, რომ სტ. კრუკოვსკიმ სწორედ ამ მღვიმეში მიაკვლია პალეოლითურ ნაშთებს.

¹¹² გ. დოჩანაშვილი, ხერგულას კლდეში 1967—68 წწ. მუშაობის შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბ., 1974, გვ. 38—51.

¹¹³ ბ. ბერძენიშვილი, საქართველოს ზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის შედეგები, სავალე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს. მოკლე ან-

ცველი მხოლოდ მე-2 ფენა აღმოჩნდა. მოპოვებულია ზედა პალეოლითის დიდიძალი მასალა (28000-მდე ერთეული) და მეოთხეულის ცხოველთა ძელოვანი ნაშთები, რომლებიც შემდეგ სახეობებს განეკუთვნებიან: მღვიმის დათვი (*Ursus spelaeus*), მურა დათვი (*Ursus arctos*), კვერნა (*Mustela sp.*), მაჩვი (*Meles meles*), ბიზონი (*Bison priscus*), კავკასიური ჯიხვი (*Capra caucasica*), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), კავკასიური ლოსი (*Alces alces*), შველი (*capreolus capreolus*), გარეული ღორი (*Sus scrofa L.*), მგელი (*Canis lupus*), კურდღელი (*Lepus europaeus*);¹¹⁴.

ქვის ინვენტარის 5,7% იარაღ-ხელსაწყოა, დანარჩენი 94,7% წარმოების ნაშთებს განეკუთვნება. მთელი ეს მასალა საფუძველს იძლევა თვალი გავადევნოთ ქვის იარაღის წარმოების პროცესს — კაჭრიდან დაწყებული მზა პროდუქციამდე. რაც მოწმობს, რომ იარაღების დამუშავება მღვიმეში ადგილობრივ მიმდინარეობდა, ე. ი. ხერგულის კლდე განეკუთვნება პალეოლითელთა საცხოვრის-სახელოსნო ძეგლთა ტიპს. კაქის ინვენტარი ძირითადად ზედა პალეოლითურია (ნახ. 68, ნახ. 69). შეინიშნება მუსტიური ტრადიციებიც. მაგ., 959 ნუკლეუსიდან 8,9% პრიზმულია, 5,8% — კონუსური, 4,3% — სოლისებური, ხოლო მუსტიური — 7,4%. ნუკლეუსების დიდი ნაწილი ამორფულია. ლამელები (სულ 5 181 ც.) ძირითადად პრიზმულია. იარაღების კომპლექსებში სქარბობს საფხეკები (536 ც.) და ტიპობრივადაც მრავალნაირია. შედარებით მცირეა საჭრისების კომპლექსი (281 ც.) და მრავალტიპიანობით არ ხასიათდებიან. აქვეა წარმოდგენილი გრავეტის ტიპის წვეტანები (40 ც.) და მიკროიარაღები მოგრძო ფორმის. არქაული იერის კაქის იარაღი 149 ცალია, აქედან 106 სახოკია, წვეტანა 43 ცალია.

ნუკლეუსებისა და იარაღების რიცხვობრივი შეფარდება და მათი ტიპოლოგიური შემადგენლობა ნათლად მოწმობს, რომ ხერგულის კლდე ქვის ხანის იმ სტადიის ძეგლია, როდესაც უკვე მნიშვნელოვნადაა დაწინაურებული ზედაპალეოლითური ინდუსტრიის წესები და წინა პერიოდიდან ტრადიციულად მომდინარე წესს უკვე დაკარგული აქვს წამყვანი ადგილი. ამას მოწმობს აგრეთვე იარაღთა კომპლექსში გრავეტის ტიპის წვეტანების ათეულობით არსებობა, რომელიც ზედა პალეოლითის ზოგადი ნომენკლატურით შუა და გვიან-

გარიშები, თბ., 1973, გვ. 3—7. Н. З. Бердзенишвили. Основные итоги полевых работ Причерноморской археологической экспедиции, ПАИ в 1972 г. Краткие сообщения, Тбилиси, 1973, გვ. 3—7; გ. დოჩანაშვილი, ხერგულის კლდეში ჩატარებული არქეოლოგიური მუშაობის შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს. მოკლე ანგარიშები, თბ., 1973, გვ. 12—15; Г. П. Доцанашвили. Итоги археологических работ в верхнепалеолитической пещере Хергулис клде, ПАИ в 1972 году, Краткие сообщения, Тбилиси, 1973, с. 11—14.

¹¹⁴ პალეონტოლოგიური ნაშთები შეისწავლა ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩმა.

ნი ორინიაციის იარაღთა შემადგენელი ნაწილია. ამდენად, ხერგულის კლდე საჭარტველოს ზედაპალეოლითური კულტურის ადრე საფეხურს განეკუთვნება¹¹⁵.

ზედაპალეოლითის საყურადღებო ნაშთებია აღმოჩენილი ჭიათურის რ-ნის სოფ. შუქრეთში მდებარე კლდოვან ეხში, რომელსაც ადგილობრივ ტოლონ კლდე ს უწოდებენ. ძეგლი 1968 წელს აღმოაჩინა და იქ არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით¹¹⁶. ძეგლი მდებარეობს ჭავჭავეთის ხეობის მდ. დიორის მარცხენა შენაკადი ღელის მარცხენა ნაპირზე, შესართავიდან 150 მ დაშორებით, ღელის ზედაპირიდან დაახლოებით 10—15 მ სიმაღლეზე. ეხის სიგანე 40 მ-ია, სიმაღლე — 2—3 მ, ხოლო სიგანე — 10 მ. საძიებო თხრილში მიკვლეული იყო ორი სხვადასხვა პერიოდის (მუსტიეური და ზედაპალეოლითური) ამსახველი მასალები: მუსტიეური ნუკლეუსები, წვეტანა, სახოკი, გვიანზედაპალეოლითის დროის იარაღები: საჭრისები (6 ც.), საფხეკები (7 ც.), როგორც ოვალურ და სწორსამუშაოპირიანი, ისე ამოღარული, გრავეტის ტიპის დანები და ზურგდაბლაგვებული მიკროიარაღები (6 ც.), შატელპეტრონის ტიპის მსგავსი დანა და სხვ., წარმოების ნარჩენები. საძიებო თხრილში აღმოჩნდა ძელი-საგან ნაკეთები სხვადასხვა ტიპის 7 სადგისი და ფრავმენტებად ქცეული ცხოველთა ძვლები. პამოთქვა მოსაზრება, რომ ტოლონ კლდის მასალის ასაკის შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ჭერჭერობით ძნელია, ვინაიდან გაურკვეველია სტრატეგრაფია. შესაძლებელია, ძეგლი სხვადასხვა პერიოდის ფენების შემცველია, ხოლო საძიებო თხრილიდან მომდინარე მასალა კი ერთმანეთში არეული. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი კომპლექსი ზედა პალეოლითს განეკუთვნება¹¹⁷.

1972—1973 წლებში ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ. თუშაბრამიშვილი) სტრატეგრაფიის დადგენის მიზნით სამუშაოები ჩაატარა ტოლონ კლდეში. კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა ფაუნის სახეობები: გარეული ცხენი (*Equus caballus* L.), მაჩვი (*Meles meles* L.),

¹¹⁵ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 4—6; გ. დოჩანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხერგულის კლდის სტრატეგრაფიისა და მასალების დათარიღების თაობაზე არის გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებაც; см. Т. К. Мешвеллиანი. О раннем этапе верхнего палеолита Зап. Грузии, არქეოლოგიური ძიებანი, ახალგაზრდა მკვლევართა VI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1986, გვ. 112—113, რომელიც მეტი დამაყრებლობით უნდა დასაბუთდეს. ძეგლის მონოგრაფიული შესწავლა კი, მასალის დათარიღების საკითხზე მეტი სიზუსტით ლაპარაკის საშუალებას მოგვცემს.

¹¹⁶ დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1968—1969 წწ. ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. II, თბ., 1971, გვ. 15.

¹¹⁷ იქვე.

მღვიმური ღობი (*Pantera spelaeus* G.), ტახი (*Sus scrofa* L.), პირველყოფილი ხარი (*Bison priscus* Boj), კავკასიური ჯიხვი (*Capra caucasica* G.) და სხვ. გამოითქვა მოსაზრება, რომ მოპოვებული ქვის ნაწარმი, წინასწარი მონაცემებით, ახლოს დგას საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის ადრეული საფეხურის ძეგლებთან — ხერგულის კლდეტან და სხვ. მასალებთან¹¹⁸. ტოლონ კლდის შემდგომი სტაციონალური გათხრების საფუძველზე, რომელიც 1973—74 და 1977 წლებში ჩატარდა¹¹⁹, დადგინდა ძეგლის შემდეგი სტრატეგრაფია: I. ჰუმუსური ფენა; II. თიხნარი ღია-მოყვითალო ფერის კირქვის ჩანართებით, შეიცავს ზედაპალეოლითური დროის კულტურულ ნაშთებს; III. მშრალი კირქვის ღორღის ფენა, რომელიც სტერილიურია.

II კულტურულ ფენაში 3038 ც. ქვის ნაწარმი მიკვლეული. მასალის დიდი ნაწილი — 85% წარმოების ნაშთებს ეკუთვნის, ხოლო შხა იარაღები 15%-ს შეადგენენ (ნახ. 70). კაყის ნუკლეუსი 76 ცალია (ნახ. 70₃, 4), წამყვანია. ერთფუძიანი და ორფუძიანი პრიზმული ნუკლეუსები. იარაღთა დიდი ნაწილი — 127 ც. — (50%-ზე მეტი) ზედაპალეოლითურ საჭრისებს განეკუთვნება, საფხეკი მხოლოდ 60 ცალია (25,4%), საჭრისები და საფხეკები ძირითადად ანამტერეკ-ანატკეცებზეა ჩამოყალიბებული (ნახ. 70₅₋₁₀, 12, 17), მცირეა ლამელაზე ნაკეთები იარაღი. აქვია მოპოვებული 23 ცალი რეტუშირებული მიკროლამელა (ნახ. 70₂₁₋₂₈), გრავეტის ტიპის დანები (4,7%), სათლელისებური იარაღები, დანები, კომბინირებული იარაღები, სახვრეტები (0,8%) და სხვ.

ტაპიურ ზედაპალეოლითურ ნაშთებთან ერთად ერთეულის სახით აღმოჩენილია მუსტიური იარაღებიც, წვეტანები (ნახ. 70₂₀), სახოკები (ნახ. 70₁₁). მოპოვებულია ძვლის იარაღებიც (15 ც.), სადგისები, სახვრეტები (ნახ. 70₁₃₋₁₆).

ტოლონ კლდეში აღმოჩენილ ფაუნისტურ ნაშთებს შორის გამოიყოფა მღრღნელების ძვლებიც, რომლებიც ბუნებრივი გარემოს ცვლილებების კარგ მაჩვენებლებს წარმოადგენენ¹²⁰. დ. თუშაბრამიშვილმა ტოლონ კლდის უძრავი კულტურული ფენიდან მომდინარე მასალები ზედა პალეოლითის ადრეულ საფეხურს მიაკუთვნა¹²¹.

¹¹⁸ დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1972—1973 წწ. ჩატარებული სამუშაოების ძირითადი შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, IV, თბ., 1975, გვ. 15.

¹¹⁹ თ. მეშველიანი, ტოლონ კლდის ზედაპალეოლითური ები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXXV—B, თბ., 1981, გვ. 65.

¹²⁰ A. T. Мусхелишвили, Т. К. Мешвеллиани, Новые данные о фауне грызунов верхнего палеолита Западной Грузии (Тогон клде), საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXXIX-B, თბ., 1987, გვ. 42—44.

¹²¹ დ. თუშაბრამიშვილი, დასახ. ნაწარმი, გვ. 15; Д. М. Тушабранишвили, Палеолит Грузии, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXXVII—B, თბ., 1984, გვ. 24.

ასევე ტოლონ კლდის მასალები თ. მეშველიანმა ადრე ზედაპალეოლითის მრავალი ნიშნის მიხედვით, როგორცაა საქრისების სიმრავლე, ერთი ტიპის საფეკთა არსებობა, არქაული ტექნიკის არსებობა და სხვ. სენთა-სავანეს დაუახლოვა და ადრე ზედაპალეოლითის ძეგლთა ჯგუფს მიაკუთვნა¹²². უფრო მოგვიანებით, ავტორმა შეიცვალა მოსაზრება ტოლონ კლდის ადრე ზედაპალეოლითით დათარიღების თაობაზე და თვლის რომ, მსგავსად ხერგულის კლდისა და სენთა-სავანისა, ტოლონ კლდეშიც საქმე უნდა გვექონდეს არეულ ფენებთან¹²³. ამ უკანასკნელ ხანს ერთ-ერთ სტატიაში თ. მეშველიანი მიუთითებს, რომ დღეისათვის ტოლონ კლდეში ისამი განსხვავებული ლითოლოგიური ფენებიდან მხოლოდ ზედა ორი შეიცავს კულტურულ ნაშთებს. ზედა — ჰუმუსის ფენა დარღვეულია და მასალა არეულია, ხოლო მეორე ფენის მასალები ზედა პალეოლითის ადრეული ეტაპით თარიღდებიან¹²⁴.

ზედა პალეოლითის ადრეული პერიოდის მასალები აღმოჩნდა, აგრეთვე, აფიანჩას მღვიმეში¹²⁵. აფიანჩა (კეპ-ბოლაზი) მდებარეობს მდ. კოდორის ხეობაში, წებელდიდან სამხრეთით 5 კმ მანძილზე, მთა აფიანჩას ფერდობის ძირში, ზღვის დონიდან 450 მ სიმაღლეზე. ძეგლი 1940 წელს აღმოაჩინა ლ. სოლოვიოვმა, რომელმაც თითქმის 7 მ საძიებო თხრილში ნეოლითური, მეზოლითური და პალეოლითური (ზედა პალეოლითი, მუსტიე) მასალების შემცველი შვიდი გეოლოგიური ფენების არსებობა დაადგინა¹²⁶.

1974 წლიდან მღვიმეში გათხრებს აწარმოებდა შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით¹²⁷, ხოლო 1978

122 თ. მეშველიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

123 Т. К. Мешвеллиани. О раннем этапе..., გვ. 116. ტოლონ კლდეში არქეოლოგიური სამუშაოები ჯერ არ დამთავრებულა, მომავალში იქ ჩატარებული გათხრები მკვლევართ ძეგლის ასაკის დადგენის საშუალებას მისცემს.

124 А. Т. Мусхелишвили, Т. К. Мешвеллиани. Новые данные о фауне грызунов верхнего палеолита Западной Грузии (Тогои клде), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXIX — В, თბ., 1987, გვ. 42.

125 Я. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская, Е. И. Куренкова. Многолопный памятник Аппанча (Абхазия), Четвертичная система Грузии, Тбилиси, 1982, с. 198—212.

126 Л. Н. Соловьев. Значение археологического метода для изучения карста северной части Черноморского побережья Кавказа, В кн.: Вопросы карста на юге Европейской части СССР, К., 1956, с. 60—66; Л. Н. Соловьев. Верхнепалеолитическая стоянка грота Кеп-Богаз в Абхазии. В сб. Пещеры Грузии, Тбилиси, 1978; Его же, Памятники каменного века Абхазии. Тбилиси, 1987, с. 18—26.

127 Н. З. Бердзенишвили, М. К. Габуния, Л. Д. Церетели, Г. П. Хубутня. Итоги полевых работ Причерноморской археологической экспедиции, ПАИ в 1974 году, Тбилиси, 1976, с. 5—6; Н. З. Бердзенишвили, Л. Д. Церетели. Результаты работ Причерноморской археологической экспедиции, Полевые археологические исследования в 1975 году, Тбилиси, 1979, с. 4—6.

წლიდან ძეგლს შეისწავლის კოდორის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია ლ. წერეთელის ხელმძღვანელობით¹²⁸.

გათხრების შედეგად მღვიმეში ექსპედიციის მიერ გამოყოფილ ერთმანეთისაგან განსხვავებული 9 ლითოლოგიური ჰორიზონტიდან მე-7, რომელიც წარმოადგენს მუქ ნაცრისფერ სუსტად შეცემენტებულ თიხნარს, კირქვის ჩანართებით (60—70%) — სიმაღლეზე 1.0—1.3 მ, შეიცავს ზედა პალეოლითის ადრეული სტადიის მასალებს¹²⁹. აღნიშნული ჰორიზონტის (IV კულტურული ფენა) ზედაპალეოლითურ ნუკლეუსებს შორის (პრიზმული, სოლისებური და სხვ.) ერთეულების სახითაა დისკოსებური ნუკლეუსები. მრავლად მოიპოვებიან საჭრისები, რომელთა შორის უარბობენ მრავალწახნაგა და გვერდსაჭრისები. არქაული ფორმებიდან აღსანიშნავია მასიურ ანატექეებზე ჩამოყალიბებული ოვალური სახოკები, მალალი საფხეკები. მოპოვებულია ანატექეებზე დამზადებული მარაოს მოყვანილობის სამუშაოპირიანი საფხეკები, ოვალურ-სამუშაოპირიანი საფხეკები ჩამოყალიბებული გვერდრეტუშირებულ ლამელებზე, ლამელებზე და ანატექეებზე დამზადებული სახვრეტები, კომბინირებული იარაღები და სხვ. ფენაში მიკვლეულია წვეტანები. ერთეულის სახით მოიპოვება გრავეტიტისებური და ამოღარულ-დაკბილული იარაღები. ფენაში ნაპოვნი მრგვალი, ბრტყელი ქვის გახვრეტილი საკიდი, აგრეთვე გახვრეტილი კბილი პირველყოფილი ადამიანისგან მათ სამკაულად გამოყენებაზე მიუთითებენ¹³⁰. მასალის ხასიათი, კოლექციაში ზედაპალეოლითურ იარაღებთან ერთად სახოკების, წვეტანების არსებობა და სხვ. ლ. წერეთელს საშუალებას აძლევს აფიანჩას მე-IV ფენის (მე-7 ლითოლოგიური ჰორიზონტი) მასალები ხერგულის კლდის და სევანთა-სავანის¹³¹ მასალებს დაუახლოვოს და აფიანჩას მღვიმის აღნიშნული ფენა ზედა პალეოლითის ადრეულ სტადიას მიაკუთვნოს¹³².

¹²⁸ Л. Д. Церетели, Н. Р. Мгеладзе. Раскопки многослойной пещерной стоянки Аппанча, ПАИ в 1978 году, Тбилиси, 1981, с. 10—17.

¹²⁹ Л. Д. Церетели, Н. Р. Мгеладзе. Раскопки пещеры Аппанча, ПАИ в 1979 году, Тбилиси, 1982, с. 12—16; Л. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская, Е. И. Куренкова, Многослойный памятник Аппанча (Абхазия), Четвертичная система Грузии, Тбилиси, 1982, с. 199—200; 204—206; L. D. Tsereteli, Le peuplement ancien dans la vallée de Kodori, L'Homme de Néandertal, vol. 8. La Mutation, Liège, 1988, p. 211—224; Л. Д. Церетели. Древнейшее расселение первобытного человека в Кодорском ущелье (Причерноморье Грузии), в сб. Colloque international, L'Homme de Neandertal, Centenaire de la découverte de L'Homme de Spy, Domaine provincial de Wegimont, L'Université de Liège, 1986, p. 222—248.

¹³⁰ Л. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская, Е. И. Куренкова. Многослойный памятник Аппанча..., с. 205.

¹³¹ Н. З. Бердзенишвили. К вопросу о начальной стадии верхнего палеолита Грузии, Каменный век Средней Азии и Казахстана, Ташкент, 1972.

¹³² Л. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская..., Многослойный памятник..., с. 206.

საქართველოს ზედაპალეოლითის ქრონოლოგიური სქემის პირველი ჯგუფისაგან განსხვავებით, მეორე ჯგუფის ძეგლებში ქვის დამუშავების ტექნიკა უფრო სრულყოფილია. ნუკლეუსები სწორი მოყვანილობით ხასიათდებიან, თითქმის აღარ გვხვდებიან დისკოს მოყვანილობის ნუკლეუსები. პირველი ჯგუფის ძეგლებში წარმოდგენილი ზედაპალეოლითურ იარაღთა ტიპები აგრძელებენ განვითარებას. იშვიათია უხეში საფხეკები. სხვადასხვა ტიპის სამუქ-შაობირიანი საფხეკები წარმოდგენილია როგორც მოკლე, ასევე მოგრძო ლამელების ბოლოზე, რომელთა პარალელური გვერდების კიდევებს ზოგჯერ ვასდევს რეტუში, კარგადაა წარმოდგენილი ლამელარული ტექნიკა, რომელმაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ფაქიზი, დახვეწილი ფორმის იარაღების წარმოებას. კვლავინდებურად განაგრძობენ არსებობას ნუკლეუსისებური ფორმის იარაღები, მრავალწახნაგა საჭრისები, თუმც მათ გვერდით მთელი სერიების სახით წარმოდგენილია ირიბად ან გარდიგარდმო რეტუშირებული კუთხის და გვერდ-საჭრისები, გვხვდება შუალა საჭრისებიც. ყველა გვხვდებიან დაკბილული იარაღები, სხვადასხვა ტიპის სახვრეტები, სათლელები, გარდიგარდმო რეტუშირებული ლამელები და სხვ. მეორე ჯგუფის ძეგლთათვის დამახასიათებელია გვერდდაბლაგვეული ჩასართი მიკროლამელების და მიკროწვეტანების ახალი ტიპების არსებობა. გვხვდებიან გრავეტის ტიპის წაგრძელებული წვეტანები სწორი, ერთი ან ორი დაბლაგვეული გვერდით, შატელპერონის ტიპის წვეტანები, რომელთაც ცალი მორკალული გვერდი დაბლაგვეული რეტუშით აქვთ დამუშავებული. ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ტიპის მიკროწვეტანები, მათ შორის დაბლაგვეულგვერდებიანი და ირიბად რეტუშირებული ფუძით, რეტუშით ბოლოშესწორებულნი და მუცლის მხრიდან გარდიგარდმორეტუშირებულნი, მუცლის მხრიდან რეტუშით ბურცობათილი, ნემსისებურნი და სხვ. გვხვდებიან გეომეტრიული მოყვანილობის მიკროლითური იარაღები: ასიმეტრიული სამკუთხედები, დაბალი სეგმენტები. ადრეული ჯგუფის ძეგლებთან შედარებით უკეთაა წარმოდგენილი ძვლისა და რქის იარაღები. მათი უმრავლესობა სადგისები და სახვრეტებია. გვხვდება ძვლის შუბისპირებიც. ზოგ მათგანზე შემორჩენილია წრიული კდეული ხაზები.

ზედა პალეოლითის განვითარებული (შუა) ეტაპის ძეგლებზე ძვლის მრავალ იარაღთან ერთად აღმოჩენილია რქის მიწის საჩიჩქნ-სათხრელი იარაღებიც (საკაყია. საგვარჯილე მე-2 ფენა), რომელთაც ეტყობათ გამოყენების კვალი. იარაღის ბოლოები გაბრტყელებული და გადალესილია და სხვ.

მოკლედ დავახასიათოთ მეორე ჯგუფში გავრთიანებული ძირითადი ზედაპალეოლითური ძეგლები: დევისხვრელი, საკაყია, მღვიმევი, სამერცხლე კლდე, შუქთანა და სხვ.

დასავლეთ საქართველოში (ხარაგოულის რ-ნი) სოფ. ლაშესა და ხარაგაულს შორის, იქ, სადაც მდ. ჩხერიმელა ეიწრო და ღრმა ხეობას ქმნის, მდებარეობს დ ე ვ ი ს ხ ვ რ ე ლ ი. მღვიმე მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მისი

დონიდან 80 მ, ხოლო ზღვის დონიდან 340 მ სიმაღლეზეა გამოქმუშავებული კირქვის ზოლში. იგი 1926 წელს აღმოაჩინა და იქ ხუთი წლის განმავლობაში არქეოლოგურ გათხრებს აწარმოებდა გ. ნიორაძე¹³³.

მღვიმის შესასვლელი ოვალური მოყვანილობისაა და სამხრეთ-დასავლეთისკენაა მიმართული, რის გამოც იგი კარგადაა განათებული. მღვიმე მშრალია. მისი სიგანე შესასვლელთან 5 მეტრია, სიმაღლე — 4, ხოლო სიგრძე 40 მ-ს აღწევს (ნახ. 71). გათხრების შედეგად მღვიმის სტრატეგრაფიულ კრილში 1,20 სმ სიმძლავრის 4 ფენა გამოვლინდა (ნახ. 72). აქედან მე-3 ფენა — მოყავისფრო თიხნარი კირქვის ნატეხებისა და ალაგ-ალაგ ნახშირის და ნაცრის შემცველი, რომლის სიმძლავრე 0,45 მ-ია — ზედაპალეოლითური ღროისაა¹³⁴. ფენა შეიცავდა როგორც ქვის იარაღებს და მათი წარმოების ნარჩენებს (10121 ც.), ასევე მეოთხეული პერიოდის ცხოველთა დამტკრეულ და დამწვარ ძვლებს. ფაუნისტური მასალის შესწავლის შედეგად ცხოველთა შემდეგი სახეები დადგინდა¹³⁵: მღვიმის დათვი (*Ursus spelaeus*), განათხარი ხარი (*Bos sp.*), ჩრდილოეთის ირემი(?) (*Rongifer sp. (?)*), კეთალშობილი ირემი (*Cervus elaphus*), გარეული თხა (*Capra sp.*), ქურციკი (*Rupicapra tragus*), გარეული ღორი (*Sus scrofa ferus*), გელი (*Canis lupus L.*). ჩრდილოეთის თაგვი (*Mesocricetus koenigi*).

ღვეისხვრელის ქვის კოლექცია ძირითადად ამ მიდამოებში არსებულ მოვარღისფრო და ნაცრისფერი კაჟისაგან შედგება. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ობსიდიანიც, რომელიც შორი ადგილიდან უნდა იყოს მოტანილი¹³⁶.

ქვის მთელი მასალის 93,7% წარმოების ნაშთებს განეკუთვნება, იარაღებს კი, 6,2% უკავია. ქვის დამუშავების ტექნიკა და იარაღთა ტიპები აშკარად ზედაპალეოლითურია.

მღვიმის კულტურულ ფენაში 200 ცალი სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსია მოპოვებული (ნახ. 73). მათ შორისაა: პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიანი (56 ც.) (ნახ. 73₁, ა), ორფუძიანი (32 ც.) ნახ. 73₂₋₃, ვ, ზ, მ), კონუსური (3 ც.) (ნახ. 73₆, ა), ამორფული (27 ც.), უტილიზებული (3 ც.), უხეში (29 ც.) და სხვ. ანატაკეც-ანამტკრევთა რიცხვი 3748 ცალია, რომელთა შორის ბევრია კაჭრის კანიანები, ხოლო სხვადასხვა სახის ლამელების რიცხვი 5506 ცალს აღწევს.

¹³³ გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი ღვეისხვრელში, თბ., 1933; Г. К. Ниорадзе. Палеолит Грузии, Труды II-ой международной ассоциации по изучению четвертичного периода Европы, вып. V, М.—Л., Новосибирск, 1934, с. 219—229.

¹³⁴ ტაბულაზე ფენათა თანამიმდევრობა ლათინური ასოებითაა აღნიშნული.

¹³⁵ ოსტეოლოგიური ნაშთები შესწავლეს გ. ნიორაძემ, აგრეთვე მ. პავლოვამ და ვ. გრომოვამ.

¹³⁶ კოლექცია ღვეისხვრელიდან №№ 21—32, № 91—32 დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში.

დევისხვრელის მღვიმის კოლექციაში 729 ცალი სხვადასხვა სახის იარაღია, რომლებიც ჩამოყალიბებული არიან როგორც ლამელებზე, ასევე ანატკეცებზე. მათ მისაღებად ძირითადად გამოყენებულია ატკეცვითი და წნევითი ტექნიკა. ძალზედ იშვიათად ჩანს, აგრეთვე; გათლილი ტექნიკის ნიშნებიც. იარაღთა შორის პირველი ადგილი საფხეკებს უკავია (268 ც.) (ნახ. 74). მათი პროცენტული შეფარდება იარაღთა საერთო რაოდენობასთან 42,8%-ია. ისინი სხვადასხვა ჯგუფებად იყოფიან: ოვალურსამუშაოპირიანი (100 ც.) (ნახ. 74₁, 2, 9, 14, 16), მომრგვალო ფორმის ბრტყელი (18 ც.) (ნახ. 74₁₁, 13), ჩაღარულ-ამოღარულსამუშაოპირიანი (17 ც.) (ნახ. 74_{3,8}), ამოღარული (3 ც.), თავჩაღარმავებული (6 ც.), თავსწორრეტეშირებული (11 ც.) (ნახ. 74₄), მაღალი ფორმის (27 ც.) (ნახ. 74₅₋₇), ნისკარტისებური (22 ც.), მშვილდის ფორმის (4 ც.), ნავისებური (11 ც.) (ნახ. 74₁₀), ორმაგი (8 ც.), (ნახ. 74₁₂, 17), ოთხკუთხა მოყვანილობის (3 ც.) (ნახ. 74₁₅), სხვადასხვა ფორმისა (16 ც.). გვხვდება, აგრეთვე, ნამზადი საფხეკებისათვის (22 ც.). იარაღებიდან მეორე ადგილზე საჭრისებია წარმოდგენილი (ნახ. 75). მათი საერთო რაოდენობა 121 ცალია. დევისხვრელის ადამიანი საჭრისების გასაკეთებლად უმთავრესად იყენებდა სქელ ლამელებს და იშვიათად ნუკლეუსის მსგავს ნამტერევეებს. საჭრისები შემდეგ ჯგუფებად იყოფიან: ცალწახნაგა მარტივი (22 ც.) (ნახ. 75_{1,2}), ცალწახნაგა გარდიგარდმო თავრეტეშირებული (11 ც.) (ნახ. 75₆₋₇), ცალწახნაგა თავირბრეტეშირებული (13 ც.) (ნახ. 76₈). საჭრისთა აღნიშნულ ჯგუფებს შორის გამოიყოფიან: სწორი, ირიბი და კუთხის საჭრისები; ორწახნაგა შუალა (13 ც.) (ნახ. 75₉), მრავალწახნაგა (8 ც.) (ნახ. 75₁₁, 15), ორმაგი (19 ც.) (ნახ. 75₁₀, 12-14) და სხვ. აღსანიშნავია შალაშინები (43 ც.), სათლელისებური იარაღები (54 ც.), შატელპერონის ტიპის მშვილდწვეტები (15 ც.) (ნახ. 76₁), გრავეტის ტიპის დანები (38 ც.) (ნახ. 76₂, 3), გრავეტის ტიპის მსგავსი დანები (15 ც.) (ნახ. 76₄, 5), მიკროლითები (40 ც.) (ნახ. 76₉₋₁₅, 22-26), რეტეშირებული ლამელები (ნახ. 76₆₋₈), შუბისპირები (2 ც.) ქვასახვრეტები (17 ც.) (ნახ. 76₁₆, 17), კომბინირებული იარაღები (13 ც.). დევისხვრელში აღმოჩნდა, აგრეთვე, რიყის ქვის მოგრძო იარაღი, რომელიც ჩაქუჩის მაგივრად იხმარებოდა, ქვის გრდემლი, რიყის ქვის სასროლი ქეები და სხვ. ქვის იარაღების გარდა, რქისა და ძვლის იარაღებიცაა მიკვლეული. ესენია: კომპრესორი, სადგისები (11 ც.) და სხვ. (ნახ. 76₁₈₋₂₁). საყურადღებოა დათვის კბილი, რომელსაც ფესვი შემოხაზულ-ჩაღარმავებული აქვს. შესაძლოა, კბილი ავგაროზის დანიშნულებით იხმარებოდა. საინტერესო მონაპოვარს წარმოადგენს პირველყოფილი ადამიანის ქვედა ყბის ფრაგმენტის პოვნა, რომელსაც ორი საძირე კბილი აქვს შერჩენილი.

ზედა პალეოლითის განვითარებული პერიოდით თარიღდებიან საკაქიას მღვიმის მასალები, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ზედა პალეოლითის შუა საფეხურის ძეგლებს შორის.

საკაქიას მღვიმე¹³⁷ მდებარეობს სოფ. გოდოვანში (თერჯოლის რ-ნი), მდ. წყალწითელას მარცხენა ნაპირზე, მდინარის დონედან 80—90 მ-ის, ხოლო ზღვის დონედან 250 მ-სიმაღლეზე.

მღვიმის შესასვლელი ოვალური მოყვანილობისა და სამხრეთ-დასავლეთით არის მიმართული (სურ. 11). სიგანე შესასვლელთან 4,5 მეტრია, სიმაღლე — 5 მ, ხოლო სიგრძე დაახლოებით 30 მეტრს უდრის. ძეგლი 1914 წელს მიაკვლიეს რ. შმიდტმა და ლ. კოზლოვსკიმ და მცირე მასშტაბის გათხრითი სამუშაოებიც ჩაატარეს, მღვიმეს კი გერმანელი მეცნიერის რ. ვირხოვის სახელი უწოდეს¹³⁸. მოპოვებული მასალა, რომელიც ქ. ლენინგრადში, სსრკ მეცნ. აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ქვის ხანის ფონდშია დაცული (საინვენტ. № 3264, № 5254), რ. შმიდტმა ზედა პალეოლითის ერთი გარკვეული პერიოდით — ორინიაკით — დაათარიღა¹³⁹.

სამწუხაროდ, მათი გათხრებიდან არ ირკვევა ფენათა სტრატეგრაფიული სურათი, არაფერია ცნობილი მღვიმის კრილების შესახებ. მასალები მოკლებულია სავსე დოკუმენტაციას. მღვიმურ დანალექებში კულტურული ნაშთების გავრცელების შესახებ ერთადერთი მითითება არის საერთო ეტიკეტებზე, საიდანაც ირკვევა, რომ მთელი მასალა დაყოფილია სამ ჯგუფად: I კერა, II კერა, წითელი ფენა. ამვე დროს ეტიკეტებიდან გაურკვეველია მიეკუთვნება თუ არა I და II კერები წითელ ფენას, თუ მათი გამოყოფა გამოწვეული იყო კრილში მათი განსხვავებული სტრატეგრაფიული მდგომარეობით. თუმცა რ. შმიდტისა და ლ. კოზლოვსკის მიერ მოპოვებული მასალების სამ ჯგუფად დაყოფა მათი რეგისტრაციისა და შემდგომი დაცვისას შემონახული იყო, ს. ზამიატნიჩი საკაქიას მღვიმის პალეოლითური ნაშთების სამივე ჯგუფის მასალების დახასიათებისას აღნიშნავდა: „.....როგორც იარაღთა ტიპების, ასევე იარაღთა ცალკეული ტიპების რაოდენობრივი შეფარდების მიხედვით მონაპოვართა სამივე ჯგუფი სრულიად ერთგვაროვანია ... ნათლად ჩანს, რომ საქმე უნდა გვექონდეს ერთ კულტურულ ფენასთან“¹⁴⁰.

1936—1937 წლებში საკაქიას მღვიმეში¹⁴¹ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა გ. ნიორაძე, რის შედეგადაც აღმოჩნდა ძალზედ საინტერესო და

¹³⁷ საკაქიას მღვიმე პირველი ძეგლია კავკასიაში, სადაც აღმოჩნდა ზედაპალეოლითური დროის კულტურული ნაშთები.

¹³⁸ ჩატარებული გათხრების შესახებ ცნობას ეკითხულობთ ერთ-ერთ გერმანულ გამოცემაში. Korrespondenz-Blatt der Deutschen Gesellschaft für Anthropologie, Ethnologie und Urgeschichte, Braunschweig, 1919, რომელშიც 1918 წელს რ. შმიდტის მიერ ელურტემბერგის ანთროპოლოგიურ წრეში წაკითხული მოხსენების „Russland in diluvialer Vorzeit“ მოკლე შენაარსია დაბეჭდილი.

¹³⁹ M. Ebert, Realexikon der Vorgeschichte, Berlin, 1926, s. 263.

¹⁴⁰ С. Н. Замятин. Палеолит Западного Закавказья, Сборник МАЭ, XVII, 1957, М.—Л., с. 466.

¹⁴¹ გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაქიას გამოქვაბულში, თბ., 1953.

მდიდარი ზედაპალეოლითური მასალა¹⁴². დადგინდა მღვიმის ფენათა სტრატოგრაფია, მათი სტრუქტურული შემადგენლობა. ჭრილში გამოვლენილი ხუთი ფენიდან (სურ. 12) მე-4 ფენა, რომლის სისქე 0,30—0,40 მ-ია, ზედაპალეოლითური ეპოქის ნაშთების შემცველია (მღვიმის სტრატოგრაფიულ ჭრილში ზედაპალეოლითური დროის ერთი კულტურული ფენის შესახებ მიუთითებდა ს. ზამიატინიცი, რომელსაც საშუალება ჰქონდა 1934 წელს მოენახულებია მღვიმე და გასცნობოდა ფენათა სტრატოგრაფიასაც)¹⁴³.

ქ. ლენინგრადში დატულ საკაიას მღვიმის ზედაპალეოლითურ მასალებს პოლონელი არქეოლოგი ი. კოზლოვსკი სამი სხვადასხვა პერიოდის ამსახველ კომპლექსებად ჰყოფს¹⁴⁴ და საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების ცალკეული სტრატოგრაფიული ჯგუფების გამოყოფის საფუძვლად იყენებს¹⁴⁵. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ი. კოზლოვსკის ამგვარ შეხედულებებს, ვინაიდან მის მოსაზრებებს ეწინააღმდეგება, როგორც ბოლო წლებში საკაიას მღვიმეში ჩატარებული სამუშაოები და იქ დადასტურებული სტრატოგრაფიული ჭრილი¹⁴⁶ (ნახ. 19), ასევე არქეოლოგიური მასალებიც. საკაიას ზედაპალეოლითური კოლექციის სამ ცალკეულ ჯგუფად დაყოფის უსაფუძვლობაზე მიუთითებს, აგრეთვე, ნ. ბადერი¹⁴⁷ და სხვ.

საკაიას მღვიმის ზედაპალეოლითურ ფენაში დიდი რაოდენობით იყო მიკვლეული ფაუნისტური მასალა¹⁴⁸, რომელიც საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ ცხოველთა სახეები, რომლებზედაც ნაღირობდა საკაიელი¹⁴⁹. ესენია ჩლიქოსნებიდან: დომბა (*Bos sp.*), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), ლოსი (*Alces sp.*), შველი (*Capreolus sp.*), ქურციკი (*Rupicapra sp.*), ჯიხვი (*Capra cylindricornis*), გარეული ღორი (*Sus scrofa ferus*), გარეული ცხენი (*Equus sp.*); მტაცებელთაგან: მღვიმის დათვი (*Ursus spelaeus*), მურა დათვი (*Ur-*

¹⁴² მასალები დატულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში, ინვენტარის № 2--55.

¹⁴³ С. Н. Замятин. Палеолит Западного..., с. 469.

¹⁴⁴ I. K. Kozłowski, Zur Stratigraphie der Grotte Sakaia und ihre Bedeutung für die Chronologie des Jungpaläolithikums Georgiens, *Jahresschrift für Mitteldeutsche Vorgeschichte*, t. 53, Halle, 1969, s. 157 — 166.

¹⁴⁵ I. K. Kozłowski, Gorny paleolit w krajach zakaukaskich i na Bliskim Wschodzie, cz. II, *Periodyzacja górnego paleolitu zachodnich krajów zakaukaskich*, Swiatowit, t. XXXIII, Warszawa, 1972, s. 10 — 11.

¹⁴⁶ მ. ნორაძე, საკაიას მღვიმე (სტრატოგრაფიისათვის), ძეგლის მეგობარი, თბ., 1973, გვ. 21—26; М. Г. Норадзе, Археологические работы в пещере Сакакиа, საქართველოს სსრ მეც. აკად. მოამბე, ტ. 84, № 1, 1976, გვ. 221 — 224.

¹⁴⁷ Н. О. Бадер. Поздний палеолит Кавказа, Палеолит СССР, Археология СССР, М., 1984, с. 278.

¹⁴⁸ რ. შმიდტის კოლექტაში არ მოიპოვება არც ცხოველთა ძვლის ნაშთები და არც ძვლის იარაღები.

¹⁴⁹ ძელოვანი მასალა განსაზღვრეს ე. ბელიაევამ და ვ. გრომოვმა.

sus arctos), გელი (Canis lupus), მელია (Vulpes sp.), მღვიმის ლომი (Felis spelaea), ფოცხვერი (Felis sp. Lynx), კვერნა (Mustela sp.), მაჩვი (Meles sp.); მღრღნელებიდან—წავი (Castor fiber), მაჩვზღარბი (Hystrix).

საკაეიას აღმოჩენილი ქვის იარაღების, დაუმუშავებელი დანისებური ლამელების, ნუკლეუსების, სხვადასხვა ზომის კაეის ანატეც-ანამტერევეების და სხვ. რიცხვი 16712 ცალია. კაეის მასალის 82,6% წარმოების ნაშთებს უკავია, 17,4% — მზა იარაღებია. იარაღთა დასამზადებლად გამოყენებულია ობსიდიანიც, კვარცი, თიხაფიქალი და სხვ. ქვის იარაღთა დამუშავება მალალ დონეს აღწევს. იარაღთა მისაღებად გამოყენებული ტექნიკა და სხვადასხვა სახის რეტუში — პალეოლითელი ადამიანის დიდ დაოსტატებას უნდა მოწმობდეს. „ორინიაკოიდული“ ნიშნები, რაც ზედა პალეოლითის ადრეული პერიოდის ძეგლებიდან არის მიღებული, აქ სრულყოფილი სახითაა წარმოდგენილი.

კოლექციაში ნუკლეუსების საერთო რაოდენობა 198 ცალია (ნახ. 77), რომლებიც შემდეგ ჯგუფებად იყოფიან: პრიზმული ერთი და ორფუძიანი, კონუსის მოყვანილობის, სოლისებური, ბრტყელი, ამორფული, უტილიზებული და სხვ. ნუკლეუსებიდან ფირფიტების ატეცის ტექნიკა მალალია. ანატეც-ანამტერევეებიც (6410 ც.) სხვადასხვა ჯგუფად იყოფა: კაქარზე ამტერეული თავები, კაქრის გვერდებიდან ამტერეული ანატეცები, ნუკლეუსებიდან მიღებული ანატეცები, ნუკლეუსების განახლებისა და შესწორების შედეგად მიღებული ანატეცები, შალაშინის თავის გადანამტერევეები, სამწახნაგა ანატეცები, ქერცლისებური და სხვ. კოლექციებში გვხვდება აგრეთვე ქვედა-პალეოლითური იერის ანატეცები და უხეში ანამტერევეებიც (13 ც.). სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლამელათა რაოდენობა 7136 ცალია. დანისებურ ლამელებს კაქრის კანი თითქმის მთლიანად შემოცლილი აქვთ და ხასიათდებიან საკმაოდ სწორი მოყვანილობით. მათი უმრავლესობა ორი ან სამფერდაა. მოიპოვება მრავალფერდა ლამელებიც. ლამელებს სწორი, თხელი და მჭრელი ნაპირები გააჩნიათ, რომელთა სიგრძე 2 სმ-დან 8 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო სიგანე 0,5 სმ-დან 3 სმ-მდეა. გვხვდებიან ზურგისა და მუცლის მხრიდან გვერდრეტუშირებული ლამელებიც. რეტუში ზოგჯერ მთლიანად გასდევს ლამელის გვერდს, ზოგჯერ კი — ნაწილობრივ. გვხვდება გვერდამოლარული ლამელებიც (ნახ. 81. 22—25). ლამელების უმრავლესობას შერჩენილი აქვს დარტყმის მოედანი და შესაბამისი ბურცობი.

იარაღთა შორის გვხვდება საფხეკები (906 ც.) (ნახ. 78): ოვალურ სამუშაობირიანი (ნახ. 78. 1—6), ფართო ოვალურსამუშაობირიანი ბრტყელი (ნახ. 78. 7—8), ჩადარულ-ამოლარულსამუშაობირიანი (ნახ. 78. 18), ირიბსამუშაობირიანი (ნახ. 78. 9—11), თავსწორრეტუშირებული (ნახ. 78. 12, 13), მალალი ფორმის (ნახ. 78. 14, 19), ნისკარტისებური, დაკბილულსამუშაობირიანი, ირგვლივ რეტუშირებული (ნახ. 78. 15), ორმაგი საფხეკები (ნახ. 78. 16—17. 20, 21), უხეში და სხვ.

საფხეკების შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი საჭრისებს უკავიათ (ნახ. 79) (1934 ცალი). გვხვდებიან: მარტივი საჭრისები (ნახ. 79. 1), თავგადამტვრეული გვერდწახნაგა (ნახ. 79. 2—4), ცალწახნაგა, გარდიგარდმო თავრეტუშირებუ-ლი (ნახ. 79. 5—6), ცალწახნაგა თავირიბრეტუშირებული საჭრისები (ნახ. 79. 7—9), შულა (ნახ. 79. 10,11), მრავალწახნაგა (ნახ. 79. 12, 13), ორმაგი (ნახ. 79. 14) და სხვ.

სხვა იარაღებიდან გვხვდება სათლელისებური იარაღები (181 ც.) (ნახ. 80. 1, 2), შალაშინები (49 ც.) (ნახ. 80. 3—6), სახვრეტები (117 ც.), კომბი-ნირებული იარაღები (112 ც.) (ნახ. 79. 15) და სხვ. კოლექციაში აღსანიშნავია ჰელოცივი რეტუშით ორთმხრივდამუშავებული დაფნის ფოთლისა (ნახ. 80. 8) და ტირიფის ფოთლის (ნახ. 80. 7) მსგავსი იარაღები¹⁵⁰, აგრეთვე ყუნწგამო-ყვანილი ისრისწვერი (ნახ. 80. 9), რომელიც ზედა პალეოლითში მშვილდ-ისრის ხმარებაზე უნდა მიგვანიშნებდეს¹⁵¹, გვხვდება აგრეთვე დაკბილული იარაღი, რომელიც ქვედაპალეოლითურ ანატექცხეა ჩამოყალიბებული (ნახ. 80. 10).

საკაეიას ზედაპალეოლითურ მასალაში მნიშვნელოვანი სახითაა წარმოდ-გენილი მიკროიარაღები (ნახ. 81). გვხვდება გვერდდაბლაგვებული მიკრო ლამელები (ნახ. 81. 1—5, 7), რომლებიც თავის მხრივ გაფორმების დეტალე-ზითა და ზომების მიხედვით იყოფიან სერიებად. მათ შორის შედარებით უფ-რო დიდები დამუშავების ტექნიკის თვალსაზრისით უახლოვდებიან თავდაბლა-გვებულ გვერდსაჭრისებს; შედარებით უფრო მცირე ზომისანი — ჩვეულებ-რივ ზურგდაბლაგვებულ მიკროლამელებს, რომელთა რიცხვი კოლექციაში დიდია. თავზურგდაბლაგვებული ფირფიტების გარდა კოლექციაში გვხვდება სხვადასხვა სახის მშვილდწვეტები. კარგადაა წარმოდგენილი შატელპერონისა (ნახ. 81. 15—19) და გრავეტის ტიპის და მათი მსგავსი დანები (ნახ. 81. 8—12), გრავეტწვეტანები (ნახ. 81. 13. 14), აგრეთვე სხვადასხვა მოყვანილობის პატარა ნემსისებური წვეტანები, თუ სახვრეტები. გვხვდება ე. წ. დაბალი, სიმეტრიუ-ლი და ასიმეტრიული სემემენტები (ნახ. 81. 6), სამკუთხა გეომეტრიული მიკ-როლითები (ნახ. 81. 21) და სხვ. (ნახ. 81. 20).

ძელის იარაღებიდან (109 ც.) წამყვანი ადგილი სადგისებს უკავიათ. აღ-სანიშნავია აგრეთვე სათხრელი ჯოხებისა და წერაქვის ან თოხისმაგვარი რქის იარაღების აღმოჩენა (ნახ. 82).

საკაეიას მღვიმის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა პალეოლითელი ადამიან-

150 ს. ზამიატნიჩი თვლის, რომ იარაღები მუსტიურ ეპოქას უნდა განეკუთვნებოდნენ, რომლებიც საკაეიას ზედაპალეოლითელს მღვიმის გარეთ უნდა ეპოვა და შემოეტანა მღვიმეში. С. Н. Замятнин. Палеолит Западного Закавказья..., გვ. 477. იარაღების მუსტიურის ასაკით დათარიღება სავსებით შესაძლებლად მიიჩნია დ. თუშაბრამიშვილსაც.

151 გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი..., გვ. 82.

ნის თავის ქალას ნაშთებიც: შუბლის, თხემისა და კეფის ძვლები, რომელთა აღდგენამ გამოავლინა ადამიანის დოლიხოცეფალური ტიპი¹⁵².

ზედა პალეოლითის განვითარებული საფეხურის ძეგლს განეკუთვნება მღვიმევის ეხი, რომელიც მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. მღვიმევიში, ჭიათურის რკინიგზის სადგურიდან ორიოდე კმ დაშორებით, მღვიმევის ყოფილი მონასტრის (XIII ს.) გასწვრივ აღმართულ კირქვიერი კლდის ქვედა იარუსებში. პალეოლითური ნაშთების არსებობა ეხში პირველად 1934 წელს დაადგინა ს. ზამიატინმა¹⁵³, ხოლო 1940 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის ექსპედიციამ პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით, რომელშიც მონაწილეობდა ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), ეხში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა. გათხრების შედეგად მღვიმევის ეხის ცენტრალურ ნაწილში ზედა პალეოლითის დროის კულტურული ფენა გამოვლინდა (ნახ. 83) და კაჟისა და ობსიდიანის დიდძალი მასალა (50321 ერთეული) აღმოჩნდა¹⁵⁴ (ნახ. 84 — ნახ. 87). მასალის დიდი ნაწილი წარმოების ნარჩენებს განეკუთვნება. ჩანს, რომ ქვის იარაღების დამუშავება ეხში ადგილობრივ მიმდინარეობდა. კაჟის ინვენტარში კარგად ჩანს წარმოების პროცესის მთელი ციკლი. შემონახულია: კაჟის კაჭრიდან ნუკლეუსის გამოკოპიტების, ნუკლეუსიდან ლამელების ატკეცის და ლამელებიდან იარაღების დამზადების დროს შექმნილი წარმოების ნარჩენები. დიდია ნუკლეუსების (453 ც.) და ლამელების (15171 ც.) რიცხვი. ნუკლეუსები ძირითადად ზედაპალეოლითურია — პრიზმული, კონუსური, სოლისებური და ფანქრისებური. გვხვდება ამორფულიც. რეტუშირებული ლამელების რიცხვი 305 ცალია.

იარაღების 60% ლამელებიდანაა ნაკეთები, მათგან უდიდესი ნაწილი საფხეკებია (827 ც.), რომლებიც ტიპობრივად მრავალნაირია: თავსწორრეტუშიანი, თავირიბრეტუშიანი, ორმაგი, თავამოღარული, ირგვლივრეტუშიანი, მაღალი ფორმის, ნავისებური და სხვ. საფხეკებთან შედარებით მცირეა საჭრისები (411 ც.), რომელთაგან 163 ც. ლამელებზეა დამზადებული. ისინი ხასიათდებიან მრავალტიპიანობით, სჭარბობს მარტივი კუთხის საჭრისები — 14,3% და შუალა საჭრისები — 11,3%. 21 ც. საჭრისი მიკროლითურია. იარაღების 3,3% კომბინირებულია, ე. ი. ორი ფუნქციის მქონეა, გვხვდებიან საფხეკ-საჭრისები, საჭრის-სახვრეტები და სხვ. სახვრეტები 57 ცალია, მრავალფერო-

¹⁵² გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი..., გვ. 84, სურ. 109, 110.

¹⁵³ С. Н. Замятин. Пещерные навесы Мгвнмели, близ Чхатуры (Грузия), Советская археология, III, 1937, М.—Л., с. 57—76.

¹⁵⁴ ნ. კილაძე, მღვიმევის პალეოლითური ნაშთები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XII—B, თბ., 1944, გვ. 279—290; მისივე, მღვიმევის პალეოლითური ნაშთები, ისტორიის მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1948.

მასალები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში, ჩეხ. № 12—44.

ვანია ზურგდაბლაგვებული მიკროლამელები, მიკროიარალები — (212 ც.), კარგადაა წარმოდგენილი მიკროწვეტანები, ჩასართი იარალები.

მღვიმევის ქვის ინვენტარში გვხვდება აგრეთვე 13 ც. გეომეტრიული მოყვანილობის მიკროლითური იარაღი. აქედან 3 ც. ტოლფერდა სამკუთხედი, 9 ცალი ასიმეტრიულია და 1 ცალი სეგმენტია, აქვეა 91 ცალი გრავეტის ტიპის იარაღი.

ნანადირევ ცხოველთა მრავალრიცხოვანი ძვლოვანი მასალის შესწავლის შედეგად დადგენილია ცხოველთა შემდეგი სახეები: პირველყოფილი ხარი (*Bos sp.*), გარული ცხენი (*Equus caballus L.*), გარეული თხა (*Capra sp.*), გარეული ცხვარი (*Ovis sp.*), მღვიმის ლომი (*Felis spelaea Gold f.*), მგელი (*Canis lupus L.*) და სხვ.

მღვიმევის ეხში მოპოვებულია, აგრეთვე, 23 ც. ცხოველის ძვლისა და რქის იარაღები: სახვრეტები, სადგისები, ხელშუბისპირები და სხვ.

მღვიმევის ეხის მასალები ზედა პალეოლითის საეპოიდ განვითარებული ნიშნებით ხასიათდებიან. ამას მოწმობს, როგორც იარაღთა დამუშავების წესები და მათი ტიპოლოგიური შემადგენლობა, აგრეთვე საფხეკ-საჭრისების რაოდენობრივი შეფარდებაც (2:1). აშკარად ჩანს, რომ მღვიმევი ზედა პალეოლითის იმ საფეხურს განეკუთვნება, როდესაც ადამიანს უკვე შესწევს უნარი მეურნეობის ამა თუ იმ დარგისათვის სპეციალური და უფრო მარჯვედ მოსახმარი იარაღი შექმნას.

მეორე ჯგუფის ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება საამერცხლე კლდეც. მღვიმეს 1962 წ. მიაკვლია და საძიებო თხრილი გააგლო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი დ. თუშაბრამიშვილი)¹⁵⁵. 1963—1964 და 1966 წლებში მღვიმეში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი (ხელმძღვ. მ. ნიორაძე), რის შედეგადაც მოპოვებული იყო ადრებრინჯაოსა და ძველი ქვის ხანის ნაშთები¹⁵⁶.

სამერცხლე კლდე მდებარეობს სოფ. დარკვეთისა და ქვედა ზოდის გამყოფი ხევის ზოლში, მდ. ქრუჭულას მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 600 მ, ხოლო მდ. ქრუჭულას ზედაპირიდან 12—13 მ-ის სიმაღლეზე (სურ. 13). იგი წარმოადგენს დიდ კარსტულ ღრმულს, რომელსაც ოვალური მოყვანილობის წინხედი აქვს (სურ. 14). მღვიმე გამკოლია. მისი სიგრძე რამდენიმე ასეული მეტრია. მღვიმე გადის სოფ. დარკვეთში, სადაც ის მიწის ზედაპირზე ამოდის ჭის სახით. სიგანე შესასვლელ ნაწილში 12 მეტრია, სიმაღლე — 15 მ (ნახ.

¹⁵⁵ დ. თუშაბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ 1962 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები, საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტი, სამეცნიერო სესია, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1963, გვ. 3—5.

¹⁵⁶ მ. ნიორაძე, სამერცხლე კლდის მღვიმე, თბ., 1975.

86). სტრატეგრაფიულ ქრილში 7 ფენა გამოვლენილი, რომელთა საერთო სის-
ქე 3 მეტრია (ნახ. 89). მე-2, მე-3 და მე-4 ფენები შეიცავენ ადრეული ბრინ-
ჯოს პერიოდის კულტურულ ნაშთებს, მე-6 ფენაში ზედაპალეოლითური ეპო-
ქის ნაშთებია მიკლეული, ხოლო მე-7 ფენა ქვედა პალეოლითის ეპოქის ერ-
თელ ნაშთებს შეიცავდა.

მღვიმის ზედაპალეოლითურ ფენაში, რომელიც წარმოადგენს 0,45—0,70 მ
სისქის მოყვითალო თიხნარს, ქვიშანარეკს, ღორღის, მარგანეცისა და ლოდე-
ბის ჩანარებით, პირველყოფილი ადამიანის კერა და საინტერესო არქეო-
ლოგიური მასალაა მოპოვებული¹⁵⁷.

მასალებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ფაუნისტურ ნაშთებს უკავია,
რომლებიც შედარებით სითბოსმოყვარულ ფორმებს განეკუთვნებიან. ესენია:
მცირე აზიის ომანა (*Mesocricetus auratus* Wat); მულა (*Vulpes, vulpes*), მღვიმის.
დათვი (*Ursus spelaeus*), ცხენი (*Equus caballus*), კავკასიის ჯიხვი (*Capra cauca-
sica* Güld), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*); ღომბა (*Bison* sp.). აღნიშ-
ნულ ცხოველებს უნდა ეცხოვრათ ზომიერი ჰაის, ტყე და ტყეველიანი ლანდშაფტის
პირობებში¹⁵⁸.

არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია კაქის, ობსიდიანის იარაღ-ანა-
ტყეცების (2342 ც.) და ძვლის იარაღების (10 ც.) სახით. ქვის მთელი მასა-
ლის 9,3% -ს მზა იარაღ-ხელსაწყოები შეადგენენ, დანარჩენი 90,6% წარმოების
ნაშთებს განეკუთვნება. გვხვდება კაჭრები (2 ც.), ნუკლეუსები (11 ც. —
4,7%), რომელთაგან გამოიყოფა: პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიანი და
ორფუძიანი ნუკლეუსები (ნახ. 90.1—6), კონუსის მოყვანილობის (ნახ. 90.8),
სოლისებური (ნახ. 90.7), დისკოსებური, უტილიზებული (ნახ. 90.9, 10),
უხეში და სხვ., ანატყეც-ანამტყრევეები სხვადასხვა სახისა (1136 ც.), ლამელები
(874 ც.) (ნახ. 91.1—7, 13, 14, 16, 17), რომელთაგან გამოიყოფიან 12—15 სმ.
სიგრძის დანისებური ლამელები (ნახ. 91.1, 2) და სხვ. იარაღებიდან აღსანიშ-
ნავია სხვადასხვა ტიპის საფეხეები (86 ც.) (ნახ. 92), საჭრისები (82 ც.) (ნახ.
93), სათლელისებური იარაღები (16 ც.) (ნახ. 91.8), შალაშინები (16 ც.) (ნახ.
91.10), სახვრეტი (1 ც.) (ნახ. 91.15), სახვრეტისებური იარაღები (5 ც.), თავ-
ზურგდაბლაგვებული ლამელა (ნახ. 91.12), კომბინირებული იარაღები (7 ც.)
(ნახ. 91.9, 11) და სხვ. ძვლის იარაღებიდან გვხვდება სადგისები (4 ც.) (ნახ.
94.1—4), სახვრეტები (2 ც.) (ნახ. 94.5—6), შუბისპირები (2 ც.) (ნახ. 94.7, 8),
საპრიალებლები (2 ც.) (ნახ. 94.9, 10).

ს ა მ ე რ ც ხ ლ ე კ ლ დ ი ს ზედაპალეოლითური მასალა ქრონოლოგიურად
დევისხვრელის, საკაქიას, მღვიმევის და სხვ. მასალებთან დგას ახლოს, რაზე-
დაც მეტყველებს იარაღთა ტიპებისა და მათი დამუშავების ტექნიკის მსგავსე-

¹⁵⁷ მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში, ინვ.
№ 154—970.

¹⁵⁸ მ. ნ. ი. რ. ა. ძე, სამერცხლე კლდე და მისი ფაუნა, მაცნე, თბ., 1967, № 4.

ბა. მსგავსების მიუხედავად, სამერცხლე კლდის მასალები საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების მასალებთან შედარებით განსხვავებულ იერს ატარებენ. კერძოდ, სამერცხლე კლდეში მოიპოვება დიდი ზომის (15 სმ სიგრძის) ვიწრო დანისებური ლამელები სწორი და ბასრი ნაპირებით და მათზე ჩამოყალიბებული საფეხეები, რაც სხვა ზედაპალეოლითურ ძეგლებზე არ შეგვხვდებოდა. ამ უქანასკნელთაგან განსხვავებით, სამერცხლე კლდეში არ აღმოჩენილა გრავეტისა და შატელპერონის ტიპის დანები, ზურგდაბლაგვებული მიკროლამელები, გეომეტრიული ფორმის მიკროლითები, რის გამოც ძეგლი საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის განვითარების საერთო ხაზიდან თითქოს განცალკევებით დგას. ამ მხრივ საინტერესო სურათი გამოვლინდა ძუძუნას მღვიმეშიც, სადაც მიუხედავად მიკროლამელების დიდი რაოდენობით არსებობისა, მათზე დამზადებული იარაღები და საერთოდ გვერდდაბლაგვებული მიკროლამელები უმნიშვნელო რაოდენობით 2%-ითაა წარმოდგენილი, მაშინ, როცა სხვა ძეგლებში მათი რიცხვი გაცილებით დიდია¹⁵⁹. ეს ორი ძეგლი ამ ნიშნით საქართველოს სხვა ზედაპალეოლითური ძეგლებისაგან განსხვავდებიან და რამდენადმე განცალკევებით დგანან. ამრიგად, სამერცხლე კლდე, ძუძუნას მღვიმესთან ერთად, მათი თავისებურების გამო (გრავეტის ტიპის დანებისა და ზურგდაბლაგვებული მიკროიარაღების თითქმის არარსებობა, გეომეტრიული მოყვანილობის იარაღების არარსებობა), ცალკე ლოკალურ ჯგუფად ან დამოუკიდებელ არქეოლოგიურ კულტურად გამოიყოფა¹⁶⁰.

სამერცხლე კლდის მასალების აღნიშნულ თავისებურებას ზოგი ავტორი ძეგლის ადრეულობით ხსნის¹⁶¹, რასაც ეწინააღმდეგება კოლექციის მთლიანი

¹⁵⁹ დ. თუ შაბრაშიშვილი, ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ 1966 წ. ჩატარებული საველე-არქეოლოგიური სამუშაოების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბ., 1967, გვ. 12—15; Д. М. Тушабрамишвили, А. К. Векуа. Палеолит в Грузии, Четвертичная система Грузии, Тбилиси, 1982, с. 185.

¹⁶⁰ Д. М. Тушабрамишвили. Итоги работ в Квирцальском ущелье, Археологические открытия в 1967 г., М., 1968, с. 298—299; М. Г. Ниорадзе. О некотором своеобразии верхнепалеолитической культуры Грузии, в кн. Каменный век Средней Азии и Казахстана, Ташкент, 1972; შ. ნიორაძე. სამერცხლე კლდის მღვიმე და დასავლეთ საქართველოს ზედა პალეოლიტი, თბ., 1975, გვ. 96—97; Д. М. Тушабрамишвили. Палеолит в Грузии, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, თბ., 1981, გვ. 56; Д. М. Тушабрамишвили, А. К. Векуа. Палеолит в Грузии, Четвертичная система Грузии, Тбилиси, 1982, с. 185; Д. М. Тушабрамишвили. Палеолит Грузии, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX XVII — В, თბ., 1984, გვ. 26—27.

¹⁶¹ I. K. Kozłowski. Gorný paleolit w krajach zakaukaskich i na Bliskim Wschodzie, cz. II. Periodyzacja górnego paleolitu zachodnich krajow zakaukaskich, Swiatowit, t. XXXIII, Warszawa, 1972, s. 10; Т. К. Мешвеллиანი. О раннем этапе верхнего палеолита Западной Грузии, археологические ძიებანი, ახლგაზრდა მკვლევართა VI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1986, გვ. 122.

შემადგენლობა, იარაღთა ხასიათი, ქვისა და ძვლის დამუშავების ტექნიკა.

ზედაპალეოლითური დროის საინტერესო მასალებია მიკვლეული ძ უ ძ უ ა - ნ ა ს მღვიმეში.

მღვიმეს 1966 წ. მიაკვლია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ. თუშაბრამიშვილი)¹⁶². ძველზე სისტემატური გათხრები 1966—1975 წწ-ში წარმოებდა¹⁶³.

ძუძუნა მღებარეობს სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე (ქიათურის რ-ნი), ნიკრისის ღელის მარჯვენა ნაპირზე, მისი ზედაპირიდან 10—15 მ სიმაღლეზე. მღვიმის შესასვლელი ოვალურია, მისი განი 22 მ-ია, სიმაღლე — 12—13 მ, სიგრძე რამდენიმე ათეულ მეტრს აღწევს (სურ. 15). გათხრების შედეგად ძუძუნას მღვიმის განივ და გრძივ ჭრილებში კარგად გამოიკვეთა 8 ფენა, აქედან 7 ზედაპალეოლითური ფენა (მეორედან მეერე ფენის ჩათვლით) (ნახ. 95). ფენათა საერთო სიმაღლე 3,5 მეტრია. სტერილური შრე ფენებს შორის არსად არ შეიმჩნევა. გათხრების შედეგად მოპოვებულია დიდი რაოდენობით პალეოლითური მასალა, რომელიც კაყის ათასობით ნუკლეუსის, ანატეც-ანამტერევეების, ლამელების, სხვადასხვა დანიშნულების იარაღებისა და ფაუნისტური ნაშთების სახითაა წარმოდგენილი. მოპოვებულია, აგრეთვე, ძვლის იარაღებიც. ფაუნისტური მასალა ცხოველთა შემდეგი სახეებითაა წარმოდგენილი: მღვიმის დათვი (*Ursus spelaeus*), მურა დათვი (*Ursus arctos*), პირველყოფილი ღომბა (*Bos priscus*), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), დასავლეთ კავკასიური ჯიხვი (*Capra caucasica*). გარეული ცხენი (*Equus caballus*) და სხვა. ფაუნა პლეისტოცენურია და თითქმის არ განსხვავდება საქართველოს ზედაპალეოლითური ხანის სხვა ძველების ფაუნისაგან¹⁶⁴. ძუძუნას მღვიმის ზედაპალეოლითური დროის ფენებში მოპოვებული ქვის მასალის დაახლოებით 92% წარმოების ნაშთებს უკავია, ხოლო 8% — იარაღებს¹⁶⁵ (ნახ. 96 — ნახ. 101). იარაღის დასამზადებლად ძირითადად კაყია გამოყენებული. ნუკლეუსებიდან

¹⁶² დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, I, თბ., 1969, გვ. 3.

¹⁶³ ძუძუნას მღვიმეში სხვადასხვა წლებში ჩატარებული სამუშაოების შესახებ იხ. დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (I—V), თბ., 1969, 1971, 1974, 1975, 1977 წწ. მღვიმის ზედაპალეოლითური დროის სხვადასხვა ფენის მასალები ტაბულაზე მოცემულია ერთად — დ. თუშაბრამიშვილი, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971, ტაბ. III—VIII.

¹⁶⁴ ფაუნისტურ მასალებს შეისწავლის ო. ბენდუქიძე.

¹⁶⁵ მასალის დახასიათება ცალკეული ფენების მიხედვით, აგრეთვე მათი ტექნიკური თუ იარაღთა პროცენტული მონაცემები მოგვცა დ. თუშაბრამიშვილმა — ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972—73 წლებში ჩატარებული სამუშაოების ძირითადი შედეგები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები — IV, თბ., 1975, გვ. 3—21.

გვხვდება: პრიზმული ერთფუძიანი, ორფუძიანი ნუკლეუსები, კონუსისმაგვარი, სოლისებური, უტილიზებული, უხეში, ამორფული, ლევალუური ერთფუძიანი, დისკოიდალური და სხვ.

ლამელებს შორის დიდი რაოდენობითაა ვიწრო, დანისებური, საკმაო რაოდენობით გვხვდება დამუშეშავებული მიკროლამელებიც.

იარაღების დიდი ნაწილი ნაკეთებია მასიურ ლამელებსა და ანატკეცებზე. ასეთ, შედარებით უხეშ, ფირფიტებზე ნაკეთები იარაღების რიცხვი ქვედა ფენებში მნიშვნელოვნად მეტია. ყველა ფენაში დასრულებულ იარაღებს შორის (როგორცაა: საფხეკები, საჭრისები, დანები და სხვ.) წამყვანი ადგილი საფხეკებს უკავიათ. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას მეურნეობის გარკვეული დარგის (ტყავისა და ხის დამუშავება და სხვ.) დაწინაურებით. საფხეკებს შორის გამოიყოფიან: ოვალურსამუშაობრიანი, სწორსამუშაობრიანი, ამოღარული, შალალი ფორმის, მიკროლითური, მრგვალი ფორმის, ორმაგი, უხეში და სხვ. გვხვდება სახოკები. საყურადღებოა ფართო ოვალურსამუშაობრიანი საფხეკი, რომელიც ნაწილობრივ ორმხრივია დამუშავებული (ნახ. 97.4).

საჭრისებიდან გამოირჩევიან: ცალწახნაგა მარტივი, ცალწახნაგა გარდი-გარდმო თავგადამტკრეული, ცალწახნაგა გარდიგარდმო თავრეტუშირებული, თავიობრეტუშირებული, ორწახნაგა, შუალა, მრავალწახნაგა, ორმაგი და სხვ. სხვა იარაღებიდან აღსანიშნავია: შალაშინები, სათლელისებური, კომბინირებული, დანისებური იარაღები, სახვრეტები, ძვლის სადგისები, რეტუშორები და სხვ. გვხვდება მუსტიეური წვეტანაც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძუძუნას მღვიმის პალეოლითურ ფენებში არ აღმოჩენილა გეომეტრიული მოყვანილობის არც ერთი მიკროლითური იარაღი, ხოლო, როგორც უკვე აღინიშნა, ზურგდაბლაგვებულ მიკროლამელებისა და გრავეტის ტიპის დანისმაგვარი იარაღების რიცხვი მცირეა. ძალზე მცირეა მათი პროცენტული მაჩვენებელიც (2%), რაც ძეგლის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს, მის გარკვეულ თავისებურებას წარმოადგენს. ძეგლის თავისებურებას განსაზღვრავს, აგრეთვე, ორმხრივდამუშავებული იარაღების აღმოჩენაც (საფხეკები, დანა). სწორედ ამის გამო აღნიშნავს დ. თუშაბრამიშვილი, რომ კოლექციაში უმნიშვნელო რაოდენობის გრავეტისა და მისი მსგავსი იარაღების, დიდი რაოდენობის სოლისებური ნუკლეუსებისა და მისგან ატკეცილი მიკროლამელების შეთავსება არქაულ ნუკლეუსებთან და იარაღებთან ერთად, აგრეთვე კოლექციაში ნაწილობრივ ორმხრივდამუშავებული იარაღების არსებობა — წარმოადგენს ძუძუნას ზედაპალეოლითური ინვენტარის თავისებურებას. ეს დამახასიათებელი თავისებურება საშუალებას იძლევა ძუძუნისა და სამერცხლე კლდის მღვიმის მასალები გამოვეყოთ დამოუკიდებელ არქეოლოგიურ კულტურებად¹⁶⁶.

¹⁶⁶ Д. М. Туш а б р а м и ш в и л и. Палеолит Грузии, საქართველოს სახ. მუზეუმის შობაზე, XXXVII — В, თბ., 1984, გვ. 27.

ძეძუნას მღვიმის ცალკეულ ფენებში აღმოჩენილი მასალის შესწავლა, იარაღების პროცენტული შეფარდება, მათი ფორმა-მოყვანილობა და დამუშავების ტექნიკა საფუძველს აძლევს დ. თუშაბრამიშვილს, მღვიმის ქვედა ფენები (V—VII) წინასწარულად ზედა პალეოლითის ადრეული პერიოდით დაათარილოს და საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების ქრონოლოგიური სკემის I (ადრეული) ჯგუფში მოათავსოს, ხოლო ზედა — (I—IV) ფენები განვითარებული საფეხურით დაათარილოს და სკემის II (შუა) ჯგუფში მოათავსოს¹⁶⁷.

კიათურის რ-ში ზედაპალეოლითური ეპოქის შუა პერიოდის მასალები მიკვლეულია, აგრეთვე, სარეკის ეხში, რომლის აღმოჩენა 1959 წელს ასევე დ. თუშაბრამიშვილის სახელთანაა დაკავშირებული¹⁶⁸. ძეგლი მდებარეობს მდ. ჭრუჭულას მარცხენა ნაპირზე, სოფ. სარეკის ტერიტორიაზე, მდინარის დონიდან 15 მ სიმაღლეზე. არქეოლოგიური გათხრები სარეკის ეხში 1959—1960 წლებში მიმდინარეობდა¹⁶⁹. გამოვლინდა ფენათა შემდეგი სტრატოგრაფია: I ზედაპირული ნაცროვანი ღორღოვანი ფენა 0,5 მ სიმძლავრის, II მშრალი თიხები, კირქვული ღორღის მცირე ჩანართით, პალეოლითური ნაშთების შემცველი 0,15—0,20 მ სიმძლავრის; III კირქვის დედაქანი. პალეოლითურ ფენაში აღმოჩნდა როგორც კაყის ინვენტარი, ასევე ცხოველთა და ფრინველთა ძვლები. დადგენილია ცხოველთა შემდეგი სახეები: ღომბა (*Bos sp.*), შველი (*Capreolus sp.*), გარეული ღორი (*Sus scrofa*), მურა დათვი (*Ursus arctos*), კვერნა (*Mustela sp.*), ტყის კატა (*Felis sp.*), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), კავკასიის ჯიხვი (*Capra caucasica*) და სხვ. კულტურულ ფენაში აღმოჩენილი იარაღ-ხელსაწყოებს, მასალის საერთო რაოდენობასთან (794 ც.) შეფარდებით 9,7% უკავია. დანარჩენი 90,3% — წარმოების ნაშთებს განეკუთვნება. ანატექც-ანამტერევი 514 ცალია, აღმოჩნდა ლამელები — 200 ც., რომლებიც ხასიათდებიან სწორი პარალელური გვერდებით. ამგვარი ლამელების მისაღებად გა-

167 დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1972—1973 წლებში ჩატარებული სამუშაოების ძირითადი შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები — IV, თბ., 1975, გვ. 13; Д. М. Тушабрамишвили. Палеолит в Грузии, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, სპელოლოგიური კრებული, თბ., 1981, გვ. 55—56; Д. М. Тушабрамишвили, А. К. Векуа. Палеолит в Грузии, Четвертичная система Грузии, Тбилиси, 1982, с. 183—185; Д. М. Тушабрамишвили. Палеолит в Грузии, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVII—B, თბ., 1984, გვ. 24—25. ძეძუნას მღვიმის მონოგრაფიულმა შესწავლამ შესაძლოა დააზუსტოს ძეგლის კულტურული თავისებურება და ქრონოლოგია.

168 დ. თუშაბრამიშვილი, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთების პალეოლითური ექსპედიციის ყვირილის რაზმის მიერ 1959 წ. ჩატარებული სავსე სამუშაოების შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წ. შედეგებისადმი, თბ., 1960, გვ. 14.

169 დ. თუშაბრამიშვილი, ჭრუჭულის ხეობის მღვიმეები, ტ. I, 1963, გვ. 178.

შოიყენებოდა პრიზმული და კონუსური ნუკლეუსები, რომელთა რაოდენობა 5 ც-ია კოლექციაში. იარაღებიდან სარეკის ეხში ყველაზე დიდი რაოდენობით: შატელპერონის და გრავეტის მაგვარი წვეტანებია—32 ც., რომლებიც დვერს-სერელში, საკაიამშიც გვხვდება, საფხეკები 27 ც., ჭარბობს ლამელაზე ნაყეთები იარაღები (19 ც.), რომლებიც ზედაპალეოლითური დროის მეორე ჯგუფის ძველ-ბისთვისაა დამახასიათებელი. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი საქრისე-ბი (5 ც.), გვერდრეტუშირებული მიკროლამელები 9 ც., სახვრეტები — 7 ც., რომლებიც თავწაწვეტილ ლამელებს წარმოადგენენ რეტუმის საშუალებით: ჩამოყალიბებული სამუშაო წვერით. სარეკის ეხის კოლექცია იარაღთა ტიპე-ზის და დამუშავების ტექნიკის ხასიათის მიხედვით ახლოს დგას საკაიას მღვი-მის მასალებთან¹⁷⁰.

სარეკის ეხის კოლექციასთან ახლოს დგას სამგლე კლდის ზედა-პალეოლითური ხანის ქვის ინვენტარი. სამგლე კლდის მღვიმე მდებარეობს კიათურის რაიონის სოფ. ქვემო ზოდის ტერიტორიაზე, მდ. ჯრუჭულის მარ-ჯვენა ნაპირზე, კანიონისებური ხეობის ამგებ კირქვის მასივში, მდინარის ზედა-პირიდან 33—35 მ სიმაღლეზე. ძეგლი 1962 წ. აღმოაჩინა საქართველოს სა-ხელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ. თუშაბრა-მიშვილი)¹⁷¹, ხოლო 1963—67 წწ. ექსპედიციამ მღვიმეში არქეოლოგიური გა-თხრები ჩატარა. გამოვლენილია ზედა და შუა (მუსტიერული) პალეოლითური ხანის ადამიანთა ცხოვრების კვალი, როგორც კულტურული ნაშთების შემცვე-ლი ფენების (მუსტიე), ისე მიწის ზედაპირზე და ჰუმუსოვან ფენაში სტრა-ტიფიციკრებას მოკლებული ზედაპალეოლითური მასალების სახით¹⁷². მღვიმეში ზედაპალეოლითური ფენის გამორეცხვა-განადგურების ფაქტი დადასტურდა 1983 წელს მცირე მოცულობის სამუშაოების წარმოების დროსაც. ზედაპალეო-ლითური კოლექცია, რომელიც კარგად წარმოაჩენს ზედაპალეოლითური მასა-ლის ქვის გაბობის და მეორადი დამუშავების ტექნიკას, 226 ნივთისაგან შედ-გება, აქედან: 185 ც. წარმოების გადანაყარია, ხოლო სხვადასხვა სახის იარაღ-თა რაოდენობა 41 ცალს უდრის (18,1%). იარაღთა შორის წამყვანი ადგილი, სარეკის ეხის მსგავსად, ზურგდაბლაგეებულ მორკალულ დანებს უკავიათ — 22 ც., რეტუშირებული ანატკეცები 6 ცალია, საფხეკი—4 ც., რეტუშირებული ჰიკროლამელა — 3 ც., თითო ცალია რეტუშირებული ლამელა, სახვრეტი, ხერ-ხისებური იარაღი, დუბლირებული იარაღი, ძვლის სადგისი და მახათი. კოლექ-

¹⁷⁰ ლ. წერეთელი, დ. თუშაბრამიშვილი, სარეკის ეხის ზედაპალეოლითური ნაშთები, ძეგლის მეგობარი, № 37, თბ., 1975, გვ. 64.

¹⁷¹ ლ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ 1963 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წ. სავე-ლე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (ქვისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლები), თბ., 1964, გვ. 6.

¹⁷² ნ. თუშაბრამიშვილი, ზედაპალეოლითური მასალები სამგლე კლდის მღვიმიდან, საქართველოს სახ. მუზეუმის შოაბე, XXXIX—B, თბ., 1987, გვ. 33—41.

ციაში არ მოიპოვება საქრისები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა სამგლე კლდე მონადირეთა თავშესაფარსაც კი წარმოადგენდა¹⁷³. მასალის შესწავლა საშუალებას აძლევს ნ. თუშაბრამიშვილს გამოთქვას მოსაზრება, რომ სამგლე კლდის ზედაპალეოლითური კოლექცია, სარეკის ეხის, დევისხვრელისა და საკაეიას ზედაპალეოლითური ინვენტარის გვერდით შეიძლება მოვათავსოთ და მივაკუთვნოთ საქართველოს ზედაპალეოლითური მღვიმური ძეგლების შუა, — განვითარებულ ჯგუფს, ე. ი. დავათარილოთ ორინიაკის მეორე ნახევართ¹⁷⁴.

ზედა პალეოლითის განვითარებული პერიოდის მასალები იყო მიკვლევული, აგრეთვე, კიათურის რაიონში მდ. საძალისხევის ხეობაში. 1946 წ. გ. ნიორაძემ¹⁷⁵ სოფ. სვერიდან ორი, ხოლო კიათურიდან 12 კმ-ის დაშორებით, მდ. საძალისხევის მარცხენა ნაპირზე მიაკვლია კარსტული წარმოშობის მღვიმეს, რომელიც მდინარის დონედან 120 მ სიმაღლეზე მდებარეობს. სამწუხაროდ, მღვიმეში დაღეჭილი მეოთხეული კულტურული ფენა, ადგილობრივ მცხოვრებთ მღვიმედან გამოუსუფთავებიათ და საყანე მიწების გასანოყიერებლად გამოუყენებიათ. მღვიმის წინ, სახნავი ფართობის მიწის ზედაპირზე გ. ნიორაძეს შეუგროვებია ყანაში მოზნეული მნიშვნელოვანი რაოდენობის ქვის ნაწარმი და ცხოველთა დამტკრეული და ნახევრად დამწვარი ძვლები, რომლებიც განეკუთვნება ღომბას (*Bos sp.*), გარეულ ღორს (*Sus scrofa*) და ირემს (*Cervus elaphus*). ზედაპალეოლითურ ინვენტარს (კაეის ნუკლეუსები, ანატექეები, ლამელები, საფხეკები, საჭრისები და სხვ.) გ. ნიორაძე ორინიაკის ეპოქით ათარიღებს და მათ მსგავსებას პოულობს დევისხვრელისა და საკაეიას მასალებთან¹⁷⁶.

ზედა პალეოლითის განვითარებული ეტაპის (მეორე ჯგუფის) ძეგლებში უკვე გვხვდება სხვადასხვა სახის სამკაულები და ხელოვნების ნიმუშები. მღვიმევის ეხში აღმოჩენილია ძვლის თხელი ფირფიტებიდან დამზადებული ოვალური მოყვანილობის გულსაკიდი. საგვარჯილეში (მე-3 ფენა) აღმოჩენილია ტალკის თხელი ფირფიტებიდან დამზადებული ცხოველის კბილის მოყვანილობის და ბოლოში მომრგვალებული გულსაკიდები და იმავე ტალკიდან ნაკეთები მცირე ზომის გულსაკიდი, დაკუთხული ნახაზებით შემკული (ნახ. 59. 3. 4).

ხელოვნების ნიმუშებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საგვარჯილეში (მე-3 ფენა) აღმოჩენილი ცხოველის ლულოვანი ძვლის მოგრძო ნატეხიდან გა-

173 ნ. თუშაბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

174 იქვე.

175 დ. თუშაბრამიშვილი, პროფ. გ. ნიორაძე და საქართველოს პალეოლითი, წგ. გიორგი ნიორაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989.

176 გ. ნიორაძე, საძალისხევის პალეოლითური ნაშთები, ხელნაწერი, გვ. 1—45. იხილება გ. ნიორაძის პირად არქივში.

მოქანდაკებული თევზის მეტად რეალისტური ფიგურა (ნახ. 59. 1). თვალის ადგილას ორივე მხრიდან გამჭოლი ნახვრეტი აქვს გაკეთებული. როგორც ჩანს, ზედაპალეოლითელი ამ გამოსახულებას გულზე იკიდებდა და თევზაობის დროს თან ატარებდა, როგორც ავეგაროზს.

საკიდად, ამულეტად ან სამკაულად გამოყენებული ცხოველის კბილები აღმოჩენილია, აგრეთვე, დევისხვრელის და საკაჟიას მღვიმეებში¹⁷⁷.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სავარჯილეში (მე-2 ფენა) აღმოჩენილი ზღვიური მოლუსკების (*Turritella*) ნიჟარები (სურ. 16), რომლებიც მათ ზედა, მსხვილ, ნაწილში გახვრეტილია (ნახ. 60). ეს ნიჟარები ერთად ასხმული ეფექტურ სამკაულს ქმნიან. ნიჟარების სამკაულად გამოყენების ფაქტი ცნობილია უნგრეთში, იპოლის მარცხენა ნაპირზე მდებარე სცობის ზედაპალეოლითურ ნაბინარზე¹⁷⁸. ტურიტელებისაგან შედგენილი სამკაული ალბად გვარის ბელადის ყელსაბამს თუ წარმოდგენდა. კლდეზე გრაფიკული გამოსახულების, როგორც ხელოვნების ნიმუშის არსებობას ადასტურებდა ს. ზამიატინი მღვიმევის ერთ-ერთ ეხში¹⁷⁹.

საქართველოს ზედაპალეოლითის გვიანი პერიოდის — მესამე ჯგუფის — ძეგლებში ქვის ატეკვის ტექნიკა თავის სრულყოფას აღწევს. დანისებური ლამელები, შესაბამისად ნუკლეუსებიც, უფრო ვიწრო და მოგრძო პროპორციებისაა. არსებობს განაგრძობენ ზედაპალეოლითურ იარაღთა ტრადიციული ტიპები. საგრძნობლად შემცირებული ნუკლეუსისებური ფორმის იარაღების, მრავალფაფეტიანი საჭრისების რაოდენობა. კარგად არიან წარმოდგენილი ლამელებზე დამზადებული ბოლო საფხეკები, საფხეკები მოკლე ლამელებზე (ნაშადის სიგანე სჭარბობს სიგრძეს), მცირე ზომის მრგვალი საფხეკები, მიკროსაფხეკები. ერთეულების სახითაა ე. წ. ორინიაკული საფხეკები. ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი საჭრისები, რომელთა შორის ჰარბობენ გვერდისა და კუთხის საჭრისები თავსწორ და თავიობრეტუმირებულ ლამელებზე დამზადებული, ხშირია ხოწები — პატარა სათლევები თხელ ანატეკებსა და ლამელებზე ჩამოყალიბებული. სრულყოფილი სახითაა წარმოდგენილი და მრავალფეროვნება ახასიათებთ მიკროწვეტანებს და ჩასართებს. მომძლავრებული ჩანს მიკროინდუსტრია. მთელი ჯგუფებია წარმოდგენილი ცალ ან ორგვერდრეტუმირებულ, თავგვერდრეტუმირებულ, ზურგდაბლაგვებული მიკროლამელებისა. ამ ეტაპზე ჩნდებიან ე. წ. გვარჯილას კლდის ტიპის წვეტა-

¹⁷⁷ როგორც მიუთითებდა გ. ნორაძე, დევისხვრელსა და საკაჟიასში აღმოჩენილი კბილები უფრო მაკიური დანიშნულებით გამოიყენებოდა, ვიდრე სამკაულად.

¹⁷⁸ M. Gabori, Paläolithische Schnecken, Depots von Szob, Acta Archaeologica, Academiae Scientiarum Hungaricae, Budapest, 1969, t. I—IV, s. 3—11.

¹⁷⁹ С. Н. Замятин. Пещерные наветсы Мгвнмевн, близ Чнатуры (Грузия). Первые следы наскальной палеолитической графии в Закавказье, Советская археология, № 3, 1937, с. 57—75.

წები. ფაქიზადაა ნაკეთები კაყის მიკროიარაღები, დაბალი გეომეტრიული ფორმის ჩასართი იარაღები. მიკროლითებში ჭარბობს სეგმენტისებური ფორმის ჩასართები, სამკუთხედები. წინა საფეხურის ძეგლებთან შედარებით მაღალ დონეზეა ასული ძელისა და რქის დამუშავება, იარაღებიც უფრო მრავალფეროვანია, გვხვდებიან: ხელშუბისპირები, ისრისპირები, სადგისები, სახვრეტები, გახვრეტილუწწიანი ნემსები, მახათები, ჩნდება ჭვილი (პარპუნი), ე. წ. „მეთაურის კვერთხი“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპის და რუსეთის ტერიტორიის ზედაპალეოლითურ ძეგლებთან შედარებით, ძელის ნაწარმის სიმცირე, ხოლო ხელოვნების ნიმუშების თითქმის არარსებობა, საქართველოს ზედა პალეოლითის ძეგლების ზოგად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს¹⁸⁰.

ზედა პალეოლითის გვიანი პერიოდის ძეგლს მიეკუთვნება გვ ა რ ჯ ი ლ ა ს კ ლ დ ი ს მღვიმე.

ძეგლი მდებარეობს სოფ. დიდი რგანის ტერიტორიაზე (ჭიათურის რ-ნი), მდ. ჭერულის ხეობაში, მის მარჯვენა ნაპირზე, სადაც მას ერთვის პატარა ლეუ. მღვიმე მდ. ჭერულას დონიდან 15 მ სიმაღლეზეა. მისი შესასვლელი სეგმენტის ფორმისაა და სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიმართული. მღვიმის სიგანე შესასვლელთან 14 მეტრია, სიმაღლე 3,5—4 მ აღწევს, ხოლო სიგრძე 30,5 მ-ია (სურ. 17).

გვარჯილას კლდეს 1916 წ. მიაკვლია და ნაწილობრივ გათხარა სტ. კრუკოვსკიმ¹⁸¹. მან მღვიმეში 6 მ სისქის 11 ფენა დაადგინა. პირველი, მეათე და მეთერთმეტე ფენები კულტურულ შრეებს წარმოადგენენ, რომლებიც შეიცავენ მრავალრიცხოვან ქვისა (კაყი, თხისდიანი) და ძელის იარაღებს, წარმოების ნაშთებს, ფაუნისტურ მასალას¹⁸². 1953 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის რგანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (აღ. კალანდაძე, დ. თუშაბრამიშვილი) გააგრძელა სამუშაოები გვარ-

¹⁸⁰ საქართველოს ზედა პალეოლითის ქრონოლოგიური სკემის ცალკეული ჩუქურთმების დახასიათება მოცემული აქვს ბერკეველას: С. Н. Замятнин. Палеолит Западного Закавказья, Сборник МАЭ, XVII, Л., с. 432—499; ბ. ბერკევიშვილი, ზედა პალეოლითი, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 35—53; დ. თუშაბრამიშვილი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960; აღ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, გვიანი (ზედა) პალეოლითი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I თბ., 1970, გვ. 95—118; Г. П. Григорьев. Верхний палеолит. Каменный век на территории СССР, М., 1970, с. 43—63; მ. ბორაძე, სამერტლე კლდის მღვიმე და დასავლეთსაქართველოს ზედა პალეოლითი, თბ., 1975, გვ. 81—112; Н. О. Бадер. Поздний палеолит Кавказа, Палеолит СССР, Археология СССР, М., 1984, გვ. 272—301 და სხვ.

¹⁸¹ С. Круковский. Пещера Гварджилас клде в Ргани, Известие Кавказского музея, т. X, вып. 3, Тифлис, 1916, с. 253—259.

¹⁸² კოლექტია დატულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში, სინვენტარო № 232—16. კრუკოვსკისეული მასალა მოკლებულია საველე დოკუმენტაციას, ახლავს ზოგადი ხასიათის სავსე ეტიკეტები.

ჯილას კლდის მღვიმეში¹³³. სტრატეგრაფიულ ჭრილში გამოვლენილი ლითოლოგიურად განსხვავებული 6 გეოლოგიური ფენა ორ კულტურულ ფენადაა წარმოდგენილი (მე-2, მე-4 გეოლოგიური ფენები) (ნახ. 102). მიუხედავად იმისა, რომ I და II კულტურული ფენები ერთმანეთისაგან 3,40—3,50 მ სისქის სტერილური შრითაა გამოყოფილი, მაინც მათში მოპოვებული კულტურული ნაშთები ძირითადად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, არც იარაღ-ხელსაწყოთა მოყვანილობით და არც დამუშავების ტექნიკის თვალსაზრისით. ვერ ხერხდება I და II კულტურული ფენების ინვენტარის ერთმანეთისაგან გამოცალკევება და მათ შორის ეპოქალური განსხვავების დაქვარა¹³⁴. მღვიმეში მოპოვებული ფაუნისტური მასალა ცხოველთა შემდეგ სახეებს განეკუთვნება¹³⁵: ღობა (*Bison sp.*), განათხარი ხარი (*Bos taurus*), გარეული თხა (*Capra sp.*), შველი (*Capreolus capreolus*), ჭურციკი (*Rupicapra tragus Gray*), ირემი (*Cervus elaphus*), მურა დათვი (*Ursus cf. arctos L.*), მღვიმის დათვი (*Ursus spelaeus*), გარეული ღორი (*Sus scrofa L.*), მგელი (*Canis lupus*), ციმბირის მჩვი (*Gulo gulo L.*), ზღარბი (*Erinaceus sp.*), კერწა (*Mustela nivalis L.*). პრომეთეოსის თაგვი (*Prometheomys schaposchnikovi Sat.*), ჩრდილოეთის თაგვი (*Mesocricetus Koenigi Sat subsp.*). გვარჯილას კლდეში ძირითადად გვხვდება სუბალპური და ალპურ ზონებში გავრცელებულ ცხოველთა ნაშთები, აგრეთვე, სიცივის მოყვარული ცხოველები (პრომეთეოსის თაგვი, ციმბირის მჩვი). აღნიშნულ ცხოველთა ნაშთების არსებობა გვარჯილას კლდის ფაუნას ერთი მხრივ მაღალმთიან, ალპურ დაღს ასვამს, ხოლო, მეორე მხრივ, ახლოს აკავშირებს აპიერკავკასიის ზედაპალეოლითურ ფაუნასთან.

გვარჯილას კლდის მღვიმის კულტურული ფენების გვიანი ზედა პალეოლითით დათარიღების საფუძველს იძლევა I და II კულტურულ ფენებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ქვისა და ძვლის ნაწარმი, რომლებიც ერთ მთლიან კომპლექსს წარმოადგენენ (სულ 26000 ერთეული). იარაღის დასამზადებლად ძირითადად გამოყენებულია კაჟი, რომლის ბუდობები მღვიმიდან 3 კმ-თაა დაშორებული. იარაღები მთელი მასალის 6,8%-ს შეადგენს, წარმოების ნაშთებს კი 93,1% უკავიათ, ნუკლეუსებად მომზადებული კაჭრები 23 ც. აღმოჩნდა (ნახ. 103. 1). ნუკლეუსები 950 ც. (ნახ. 103. 2), რომელთა შორის სკარბობენ პრიზმული და კონუსური ნუკლეუსები. 23000 ც. სხვადასხვა ფორმისა და ზომის ანატაკეცი და დანისებური ლამელებია დამუშავების ნიშნის გარეშე, რომელთა შორის გამოირჩევიან ვიწრო და მოგრძო. პროპორციების მქონე ლამელები (ნახ. 103. 3, 4, 7), დამუშავებული ქვის იარაღები 1784 ცალია. იარაღთა კომპლექსი სამ ჯგუფად იყოფა: I სამონადირეო და საბრძოლო

133 დ. თუ შაბრაშიშვილი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960.

134 დ. თუ შაბრაშიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

135 პალეოზოოლოგიური მასალა შეისწავლეს ნ. სმირნოვა და ლ. გაბუნიაძე.

იარაღები; II შინამოხმარების იარაღები; III იარაღების დასამზადებელი იარაღები (ქვის გრდემლები, ხელკულები, რეტუშორები). იარაღებს შორის საფხეკებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ (972 ც.), რომელთა შორის გამოირჩევიან: ოვალურსამუშაოპირიანები (ნახ. 103. 5, 8, 9), ჩამოყალიბებული როგორც ანატეკებზე, ასევე წაგრძელებულ სწორ ლამელებზე, ამოღარული საფხეკები, თავიობრეტუშირებული საფხეკები (ნახ. 103. 6), მრგვალი (ნახ. 103. 11), მაღალი, ნავისებური, მიკროლითური საფხეკი (ნახ. 103. 10) და სხვ. მნიშვნელოვნად კლებულობს საჭრისების რაოდენობა (76 ც.). გამოიყოფიან: ზარტივი ცალწახნაგა (ნახ. 104. 1, 2), გარდიგარდმო თავგადამტვრეული ცალწახნაგა საჭრისები (ნახ. 104. 3), თავიობრეტუშირებული ირიბი (ნახ. 104. 4), შუალა საჭრისები (ნახ. 104.11), მრავალწახნაგა ორმაგი და სხვ. გვხვდება წუკლეთუს-საჭრისებიც (ნახ. 104. 5,6); კომბინირებული იარაღები (26 ც.) — ძირითადად საფხეკ-საჭრისის სახითაა წარმოდგენილი (ნახ. 104. 7—11). გვხვდება სხვადასხვა ტიპის დანები (334 ც.), რომელთა შორის სჭარბობს გრავეტის ტიპის. აღსანიშნავია „რგანული“ ტიპის დანები (ნახ. 105. 4). სხვადასხვა ფორმის სახვრეტები (124 ც.) (ნახ. 105. 6,7; ნახ. 106. 4—6), შალაშინები (7 ც.) (ნახ. 105. 3), ხერხები (6 ც.) (ნახ. 105. 5), ისრისპირები (13 ც.) (ნახ. 106. 1—3), შუბისპირი (ნახ. 105. 2), ზურგდაბლაგეხული მიკროლამელეზი (142 ც.), გეომეტრიული მოყვანილობის მიკროლითები (83 ც.) (ნახ. 106. 7—13), რომლებიც ძირითადად სეგმენტების სახითაა წარმოდგენილი¹⁸⁶.

კაჟის იარაღთა შორის საყურადღებოა „გვარჯილას ტიპის“ კაჟის დანა-ჩანჩლის მავგარი (ნახ. 105. 1) და იარაღები, რომლებიც, ალბათ, ისრისპირებს წარმოადგენდნენ (ნახ. 106. 1—3). მათი ორივე გვერდი ციცაბო რეტუშითაა დაბლაგეხული, სამუშაო ნაწილი კი წამახვილებულია და ფაქიზადაა დამუშავებული. იარაღთა ეს სერია ფორმითა და დამუშავებით განსხვავდება დანარჩენი იარაღებისაგან.

გვარჯილას კლდეში მოპოვებულია ძვლის 125 ც. ნაწარმი (ნახ. 107). ძვლის დამუშავება მაღალ დონეს აღწევს. იარაღებიდან აღსანიშნავია: სადგისები (ნახ. 107. 3—11, 13—18), შუბისპირები, ხელშუბისპირები (ნახ. 107. 12), საპრიალებლები (ნახ. 107. 2), რეტუშორები, ნემსები, ჰვილთი და სხვ.

გვარჯილას კლდის მღვიმეში ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია მსხვილფეხა საქონლის 1,3 სმ სისქის ნეკნის ძვლის საინტერესო ნივთი (ნახ. 107. 1), რომლის ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული. იგი შეიძლება წარმოადგენს „მეთაურის კვერთხის“ ფრაგმენტს, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონოდა და შუბისპირის ან ისრისპირის ზროში მოსარგებად და დასამაგრებლად გამოიყენებოდა, რასაც ხელს უწყობს,

¹⁸⁶ აღსანიშნავია, რომ გეომეტრიულ მიკროლითებს სრულყოფილი ფორმა არ გააჩნიათ, გამოჩენის წარმოადგენს რამდენიმე სეგმენტი და სამკუთხა ფორმის იარაღები.

ერთი მხრივ, საგანგებო ნახვრეტი, ხოლო, მეორე მხრივ, ორმაგ შუბისპირთა და ისრისპირთა შვიდ-შვიდი გამოსახულება ორივე ზედაპირულ სიბრტყეზე¹⁸⁷.

როგორც მიუთითებს დ. თუშაბრაშიშვილი, ნივთზე ორნამენტი არ წარმოადგენს უბრალოდ დეკორატიულ მოტივს, არამედ მას განსაზღვრული, შესაძლებელია, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა¹⁸⁸.

აღნიშნული ნივთისა და მასზე გამოსახული ორნამენტის შესახებ ი. კიკვიძე აღნიშნავდა: „რა დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა ნივთს, იქნებოდა იგი მეთაურის კვერთხი თუ ისრისპირის ზროში მოსარგები, მისი საკულტო ხასიათი აშკარაა... ორმაგი ისრისპირის მსგავსი ნაკაწრები ასტრალური შინაარსის უნდა იყოს და შვიდ ცთომილს უნდა გამოსახავდეს... გვარჯილას კლდის ადამიანს გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონოდა ციურ სხეულებზე, მზის სისტემაზე. შეიძლება დავუშვათ, რომ მნათობნი უკვე გაღმერთებულნი არიან და რიცხვი შვიდი საკრალურია“¹⁸⁹ და იქვე დაასკვნის, რომ გვარჯილას კლდეში ნათენი მეთაურის კვერთხის ფრაგმენტი მყარი საბუთი ჩანს ჩვენში უკვე ძველი ქვის ხანის დასასრულისათვის კოსმოგონიურ შეხედულებათა და სოლარულ რწმენათა განვითარების დასაჩანად. ადამიანი არჩევს შვიდ მნათობს, თაყვანს სცემს მას და რიცხვი შვიდის მაგიურ ძალაში დარწმუნებულია¹⁹⁰.

მსგავსი მონაპოვარი კავკასიის პალეოლითური სადგომებიდან ჭერჭერობით უცნობია. აღმოჩენილია, აგრეთვე, სამკაულებად გამოყენებული კბილები (ნახ. 106. 14,15).

გვარჯილას კლდის კოლექციაში, დამზადების ტექნიკის თვალსაზრისით, ისეთი რთული იარაღების არსებობა, როგორცია ისრისპირები თუ ხელშუბისპირები, სხვადასხვა სახის საფხეკები, მშვენიერი დანები, სეგმენტები, ქვილთები, ნემსები, „მეთაურის კვერთხი“ და სხვ. მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გვარჯილას კლდეში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი ქვისა და ძვლის დამუშავებაში საკმაოდ დახელოვნებული ყოფილა. იარაღების უმრავლესობა დამზადებულია დიდი ზომის, სწორი მოყვანილობის ფირფიტებზე, თითქმის ყველა იარაღი მშვენიერადაა ჩამოყალიბებული და დამუშავებულია ზედა პალეოლითისათვის დამახასიათებელი სრულყოფილი რეტუსით¹⁹¹.

გვარჯილას კლდის მასალები ერთი მხრივ მსგავსებას იჩენს განვითარებული ზედაპალეოლითური დროის მასალებთან, თუმცა მათთან შედარებით ახალგაზრდად გამოიყურება და დევისხვრელის, საკაქიასა და მღვიმევის პალეოლითური ძეგლების განვითარების მომდევნო საფეხურს და მათ უშუალო

187 დ. თუშაბრაშიშვილი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960, გვ. 82—83.

188 დ. თუშაბრაშიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

189 ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 153.

190 იქვე, გვ. 154.

191 დ. თუშაბრაშიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

გაგრძელებას წარმოადგენს. სწორედ ამის გამო დ. თუშაბრამიშვილმა გვარჯილას კლდე საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლებისათვის შემუშავებული ქრონოლოგიური სქემის შესაშვ (გვიანი) ჯგუფის ძეგლებს შორის მოათავსა¹⁹².

გვიანი ზედა პალეოლითის ძეგლს განეკუთვნება აგრეთვე ოქუმი I (სურ. 18). მღვიმე 1964 წელს მიაკვლია საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, არქეოლოგიური გათხრები 1972 წლამდე გრძელდებოდა¹⁹³. მღვიმე მდებარეობს მდ. ოქუმის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 300 მ, ხოლო მდინარის დონიდან 11 მ სიმაღლეზე, სოფ. ოქუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით (გალის რ-ნი), სოფლის ცენტრიდან 4 კმ-ის დაშორებით. მღვიმის შესასვლელი აღმოსავლეთისკენაა მიქცეული, სიგანე შესასვლელთან 7 მეტრია. სიმაღლე 3 მეტრი, ხოლო სიგრძე — 11 მ. მღვიმეში ოქუმი I გათხრების შედეგად ზედაპალეოლითური ხანის 5 კულტურული ფენა გამოვლინდა. ქვიშაში დადგენილი 8 გეოლოგიური ფენიდან მე-4—8 ფენები ზედაპალეოლითის დროის ფენებია (ნახ. 108), რომელთა საშუალო სიმძლავრე 1,5 მ-ია. ათასობით კაყის იარაღი და წარმოების ნაშთები მიუთითებს იმაზე, რომ აქ ადამიანს ხანგრძლივად უცხოვრია¹⁹⁴. ოქუმის მღვიმე მდიდარი გამოდგა მეოთხეულის ცხოველთა ნაშთებით. დადგენილია 15-მდე ცხოველთა სახეობა¹⁹⁵: ჯიხვი (*Capra cylindricornis*), არჩვი (*Rupicapra rupicapra* L.), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), პირველყოფილი დომბა (*Bos* sp.), გარეული თხა (*Capra* sp.), მღვიმის დათვი (*Ursus spelaeus*), მურა დათვი (*Ursus arctos*) და სხვ. საყურადღებოა, რომ ოქუმის მღვიმეში შეინიშნება მთის ზონისა და დაბლობი რელიეფისათვის დამახასიათებელ ცხოველთა თანაარსებობა, რაც გვიანპლეისტოცენში ამ მხარის ლანდშაფტის ვერტიკალური ზონალობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის¹⁹⁶.

¹⁹² Д. М. Тушабрамишвили, А. К. Векуа. Палеолит в Грузии, Четвертичная система Грузии. Тбилиси, 1982, с. 184; Д. М. Тушабрамишвили, Палеолит Грузии, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVII — В, თბ., 1984, გვ. 24 — 25.

¹⁹³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს, თბ., 1973, გვ. 3—7; Н. З. Бердзенишвили, Г. П. Хубутия. Пещерная палеолитическая стоянка Окуми I, Материалы по археологии и искусству Абхазии, Сухуми, 1974.

¹⁹⁴ გ. ხუბუტია, ოქუმის მღვიმეში 1969—1970 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაობა სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, თბ., 1971, გვ. 14—15; გ. ხუბუტია, ოქუმის მღვიმე I-ში ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში; საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წ. მოკლე ანგარიშები, თბ.: 1973, გვ. 7—11.

¹⁹⁵ ფაუნისტური მასალა განსაზღვრა ნ. ბურჩაყ-აბრამიშვილმა.

¹⁹⁶ გ. ხუბუტია, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

კაყის ნაკეთობას შორისაა: სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსები, ანატეც-ანა-მტკრევეები, ლამელები, იარაღთა ტიპებიდან წამყვანია საფხეკეები, საჭრისები, გვხვდება სახვრეტები, გრავეტის ტიპის დანები, მიკროლითური იარაღები მრავალნაირობით გამოირჩევა. ოქუმის კაყის ინვენტარი, თავისი ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნებით, ზედაპალეოლითური კულტურის საკმაოდ განვითარებულ საფეხურზე მიუთითებს (ნახ. 109), სადაც ძირითადად იარაღის წარმოების ლამელარული ტექნიკაა წარმოდგენილი. ამავე დროს, ქვედა კულტურულ ფენაში (მე-8 ფენა) შეინიშნება გვიანი მუსტიესათვის დამახასიათებელი ტექნიკური წესით დამუშავებული იარაღები და მათი წარმოების ნარჩენები¹⁹⁷. შესაძლოა, სტრატეგრაფიულად სხვადასხვა დონეზე მდებარე და სტრუქტურული შემადგენლობითაც მეტნაკლებად განსხვავებულ ნალექებში აღმოჩენილი ნაშთები ზედა პალეოლითის სხვადასხვა ასაკს განეკუთვნოს¹⁹⁸. ცხადია, ძეგლის სრულყოფილად შესწავლა ამ საკითხზე მეტი საზუსტით მსჯელობის შესაძლებლობას მოგვცემს.

ზედა პალეოლითის გვიანი პერიოდის მასალებია მიკვლეული ა ფ ი ა ნ ჩ ა ს მღვიმის მე-3 კულტურულ ფენაში, რომელიც მე-4 და მე-5 ლითოლოგიურ პერიონტებს აერთიანებს¹⁹⁹. მასალებიდან აღსანიშნავია: კაყის ნუკლეუსები, ძირითადად — კონუსის ფორმის; იარაღებიდან საფხეკეები დანისებურ ლამელებზეა დამზადებული, რომელთაც გვერდის გასწვრივ რეტეში დაუყვებათ, ხოლო სამუშაო პირი ოვალური ან მომრგვალო აქეთ; სახვრეტები, საჭრისები დამზადებულია აგრეთვე ლამელებზე. გავრცელებულია გრავეტისებური მიკროწვეტანები, გვერდრეტეშირებული და გვერდდაბლაგვებული მიკროლამელები. გეომეტრიული ფორმის იარაღებიდან მხოლოდ ასიმეტრიული სამკუთხედებია წარმოდგენილი. აღმოჩენილია ძვლის სადგისები, ნემსები და სხვ. ლ. წერეთელი მესამე კულტურული ფენის მასალებს, რომლებიც ტიპოლოგიურად ახლო დგანან გვარჯილას კლდისა და ცივი მღვიმის²⁰⁰ (Γ ფენის) მასალებთან, ზედა პალეოლითის ფინალურ სტადიას მიაკუთვნებს²⁰¹.

აფიანჩას მღვიმის ზედა პალეოლითის ფინალური სტადიის ფენისათვის

¹⁹⁷ ალბათ ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ დ. ლუშბარამიშვილმა ოქუმი I ადრეზედაპალეოლიტურ ძეგლთა ჯგუფში გაერთიანა. იხ. Д. М. Тушабрамишвили, А. К. Векуа. Палеолит в Грузии, Четвертичная система Грузии, Тбилиси, 1982, с. 183.

¹⁹⁸ გ. ხუბუტია, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

¹⁹⁹ Л. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская, Е. И. Куренкова. Многослойный памятник Аппанча (Абхазия), Четвертичная система Грузии, Тбилиси, 1982, с. 203.

²⁰⁰ Л. Н. Соловьев. Об итогах археологических раскопок в гроте Хупыишпахва (Холодный грот) в 1960 г. — Труды Абхазского института языка, литературы и истории, вып. 31, 1961.

²⁰¹ Л. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская..., დასახ. ნაშრომი, გვ. 204.

²⁰² Л. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская, Е. И. Куренкова. დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

(მე-4, მე-5 ლითოლოგიური პორიზონტები) არსებობს რადიონახშირბადის თარიღები: ესენია: ძვლის მასალის შესწავლის შედეგად მე-5 პორიზონტისათვის — 17300 ± 500 წ. (ГИН—2565)²⁰², ხოლო ნახშირის შესწავლის შედეგად მე-4 პორიზონტისათვის — 14640 ± 350 (ИГАН—ИГАН—630)²⁰³. თუ მივიღებთ მხედველობაში აღნიშნულ თარიღებს და გავითვალისწინებთ კულტურული ფენის სიმძლავრეს (95 სმ), შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ფენის წარმოქმნა უკავშირდება დაახლოებით XVII—XIV ათასწლეულებს ჩვ. წ. აღრიცხვამდე²⁰⁴.

ზედაპალეოლითური დროის კულტურული ფენაა დადასტურებული თეთრ მღვიმეშიც, რომელიც სოფ. ხომელში (წყალტუბოს რ-ნი), კურორტ წყალტუბოს ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ დაშორებით, ზღვის დონიდან 100 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მღვიმე კარსტული წარმოშობისაა (სურ. 19), გამომუშავებულია ქვედა ცარცულ კირქვებში. იგი წარმოადგენს მიწისქვეშა დახშულ სივრცეს, რომლის ფართობი 2000 მ²-ია და შედგება ერთიმეორისაგან სტალაგმიტ-სტალაქტიტებით გამოყოფილი დარბაზებიდან, რომელთა თაღოვანი ქერი და კედლები დაფარულია თეთრად მოელვარე კალციტის ნალენთებით (აქედანაა წარმომდგარი მღვიმის სახელწოდება).

თეთრ მღვიმეში არქეოლოგიური გათხრები 1974 წლიდან დაიწყო²⁰⁵. 1974—1975 წლებში ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ალ. კალანდაძე, ხოლო 1976 წლიდან — კ. კალანდაძე. მღვიმეში დადგენილია 2 კულტურული ფენის — ზედაპალეოლითური და ენეოლითური — არსებობა. ზედაპალეოლითური ნაშთები სტრატეგრაფიული ქრისტის მე-4 ფენაში აღმოჩნდა, რომელიც მღვიმის თანამედროვე იატაკიდან დაახლოებით 3 მ სიღრმეზე მდებარეობს. გაითხარა ფენის მხოლოდ 20 მ² ფართობი (ნახ. 110), ენეოლითური ნაშთები კი მე-2 ფენაშია მიკვლეული. ზედაპალეოლითურ ფენაში აღმოჩენილია, როგორც შრომის იარაღები და მათი დამუშავების დროს წარმოქმნილი ნაშთები, ასევე ცხოველთა მრავალი ძვალი. ძვლოვანი მასალის თითქმის 80% მღვიმურ დათეს (Ursus spelaeus) განეკუთვნება. გარდა ამისა, დადგენილია ცხოველთა სხვა სახეებიც. ესენია: კეთილშობილი ირემი (Cervus elaphus), ბოზონი (Bos sp), მგელი (Canis lupus), მაჩვილარბი (Hystrix), კურდღელი.

²⁰² Л. Д. Церетели, Древнейшее расселение первобытного человека в Кодорском ущелье (Причерноморье Грузии), Colloque international L'Homme de Neandertal, Centenaire de la découverte de L'Homme de Spy, Domaine provincial de Wegimont, 1986, Belgique Université, de Liège, გვ. 228.

²⁰⁴ იქვე.

²⁰⁵ А. Н. Каландадзе, К. С. Каландадзе. Белая пещера, Археологические исследования на новостройках Советской Грузии, 1976; კ. კალანდაძე, ა. ვეკუა, მ. ჩხიკვაძე, ახალი პალეონტოლოგიური მონაპოვრები თეთრი მღვიმიდან, მოამბე, ტ. 96, № 3, თბ., 1979; К. С. Каландадзе. Четвертый сезон археологических работ в Белой пещере, Археологические открытия, М., 1977.

პალეოლითურ ფენაში მოპოვებულია ქვისა და ძვლის შემდეგი იარაღები (ნახ. 111); საჭრისები 4 ც. (ნახ. 111. 30. 31), საფხეკები 3 ც. (ნახ. 111. 29), კომბინირებული იარაღი (ნახ. 111,2), სახერგტი (ნახ. 111.28), ნუკლეუსები (ნახ. 111. 24—27), კაჟის სხვადასხვა ლამელები და ანატკეცები 30 ც. (ნახ. 111.8—23) და ძვლის საღვისები 6 ც. (ნახ. 111.3—7). იარაღთა ტიპოლოგიური შემადგენლობა და მათი დამუშავების ტექნიკა ზედაპალეოლითურია²⁰⁶.

ფენათა სტრატиграფიული კრილიდან გამოირკვა, რომ მღვიმეში ზედაპალეოლითელთა ცხოვრების შემდეგ მღვიმის თალი ჩაქეულა, შესასვლელი ჩაუკეტია და მღვიმე დახშულა. უფრო მოგვიანებით კი მომძლავრებულ ნიაღერებს მღვიმეში ჩაუტანია თიხები, ამრიგად, ათასწლეულების მანძილზე მღვიმეში შექმნილია 1;5 მ სიომძლავრის სტერილური ფენა. დიდხანს აქ ადამიანის ცხოვრებისათვის საჭირო პირობები აღარ არსებულა. თეთრ მღვიმეში ცხოვრება განახლებულა ენეოლითის ხანაში, რომლის ნაშთები მღვიმის მძლავრ კულტურულ ფენაშია აღმოჩენილი²⁰⁷.

ასეთია ზოგადად ზედაპალეოლითური დროის იმ ძირითად ძეგლთა დახასიათება, რომლებიც საშუალებას იძლევიან გამოეთქვათ მოსაზრება, რომ საქართველოში ზედაპალეოლითური ტექნიკის წესების ჩასახვა მუსტიურ პერიოდში ხდება და მისი შემდგომი განვითარება ხანგრძლივი და უწყვეტი პროგრესული გზით მიემართება. ქვის ინდუსტრიის განვითარების ეს პროცესი ვლინდება სამი დიდი პერიოდის (აღრე, განვითარებული, გვიანი ზედა პალეოლითი) სახით, ზოლო ზედა პალეოლითის გვიან პერიოდში ტექნიკის განვითარების მაღალმა დონემ და განსაკუთრებით, მიკროინდუსტრიის დაწინაურებამ კი საფუძველი შეამზადა ქვის ხანის მომდევნო ეპოქის — მეზოლითური — კულტურის შექმნისათვის.

წარმოების ტექნიკის ასეთი თანმიმდევრობითი განვითარება ნათლად მოწმობს, რომ ზედაპალეოლითური კულტურა ადგილობრივ ჩაისახა და განვითარდა, რაც, ცხადია, არ გამორიცხავს სხვადასხვა ქვეყნების პალეოლითურ კულტურებთან კონტაქტებს, მათთან სიახლოვეს და ურთიერთზეგავლენას.

საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის უწყვეტი, პროგრესული გზით მიმდინარეობის შესახებ მიუთითებენ მკვლევარნი.

დასავლეთ საქართველოს ძეგლების შესწავლის საფუძველზე ს. ზამიატინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს ზედა პალეოლითი ხასიათდება მნიშვნელოვანი თავისებურებით, რაც გამოიხატება შემდეგში: ზედა პალეო-

²⁰⁶ სამწუხაროდ, მასალის კულტურულ-ქრონოლოგიური ადგილის შესახებ საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლთა შორის დამატებითი რაიმეს თქმა დღეისათვის არ ხერხდება.

²⁰⁷ А. Н. Каландадзе, К. С. Каландадзе, А. К. Векуа, З. М. Чумбуридзе, С. В. Кинцурашвили, Ш. И. Каландаршвили, Итоги работ Цхалтубской археологической экспедиции, ПАИ в 1976 году, Тбилиси, 1979, с. 15—17; К. С. Каландадзе, Л. Д. Небиеридзе, Ш. И. Каландаршвили, О. В. Кинцурашвили, Итоги работ Цхалтубской археологической экспедиции, ПАИ в 1979 году, Тбилиси, 1982, с. 25—29.

ზედადლეულითერ იარალთა ზოგადი ნიმუშაგერეულ სა*

№	იარალთა ტიპები	სეანთა საეანე		ტოლონ კელე		ბერეულს კელე		დევისბერეული		სამერსელე კელე		მდებეე		საკაეა		გეარქოლს კელე		რაოლეწმობა		სელ %%	
		ბერე	%%	ბერე	%%	ბერე	%%	ბერე	%%	ბერე	%%	ბერე	%%	ბერე	%%	ბერე	%%	ბერე	%%	ბერე	%%
1	საბეკეე	37	7,7	60	21,2	561	35,4	268	37,1	86	24,5	827	41,4	905	31,3	500	472	972	39,5		
2	საკოლე	219	15,9	124	43,8	281	17,7	121	16,7	82	23,4	411	20,6	934	32,2	45	31	761	3,1		
3	კომბინირებული იარალები	7	1,5	8	2,82	121	7,6	13	1,8	7	1,99	46	2,3	64	2,2	16	10	26	1,1		
4	საბერეები	50	10,5	2	0,7	212	13,3	17	2,3	6	1,7	57	2,9	13	0,4	40	84	121	5,03		
5	შალამები	3	0,6	1	0,3	30	1,8	40	5,9	16	4,5	11	0,5	49	1,7	4	3	7	0,3		
6	რეკომბინირებული ლამელეები	48	10,1	35	12,4	98	6,1	115	15,9	132	37,6	305	15,3	215	7,4	220	227	447	18,1		
7	ბერესბერეული იარალები					36	2,3							40	1,4		6				
8	სათელეებური იარალები	11	2,3	4	1,4	16	1,01	54	7,5	16	4,5	8	0,4	181	6,2						
9	გატეკბერინის ტაბის იარალები	2	0,4					10	1,4					73	2,5		1				
10	გრავეტს ტიპის იარალები			11	3,9	40	2,5	27	3,7			91	4,6	106	3,6	100	143	243	9,9		
11	მეოთხეული იარალები	85	17,8	31	10,95	21	1,3	49	6,8	1	0,3	212	10,6	300	10,3	220	244	464	18,8		
12	გეომეტრიული მიკროლი-ფები							2	0,1												
13	მუხბობრები	1	0,2					2	0,3					9	0,31	15	68	83	3,4		
14	მისობორები							2	0,3					2	0,06	1		1	0,04		
15	მესტეფური საბოები	8	1,7	3	1,1	106	6,7	2	0,3	3	0,8	4	0,2	1	0,03	6	7	13	0,52		
16	მესტეფური წვეტანები	3	0,6	3	1,1	43	2,7					3	0,15	2	0,06						
17	სამეხსებური იარალები	3	0,6	1	0,13	21	1,3			2	0,6	1	0,05								
სულ		477		283		1591		723		351		1993		2897		1167	1296	2463			

* სათა მდებეული იარალთა ძირითადი ტიპები, რომელთა რიცხობრივი მაჩვენებლები, შესაძლოა, მომავალში კარგი უფრო დაზუსტდეს.

ლითის ადრეულ საფეხურზე მუსტიეური ფორმების არსებობა, ორინიაკის-ბური იერის კაჟის ინვენტარის დიდი ხნით შემონახვა, რომელიც უშუალოდ მიკროლითური ტექნიკით იცვლება; იარაღთა ტიპების, როგორცაა: სათლელები — *pièce écaillée*, ნუკლეუსისებური ფორმის იარაღები. შალაშინები — *Rabot*, ნუკლეუს-საფხეკები — დიდი ხნით შემონახვა, სხვადასხვა ასაკის ზედაპალეოლითური კაჟის იარაღთა ურთიერთმსგავსება, იარაღთა ტიპების ერთგვარობა, არარსებობა იმ მკვეთრი ქრონოლოგიური გამიჯნულობისა (ორინიაკი, სოლუტრე, მადლენი), რაც დასავლეთ ევროპის ზედა პალეოლითს ახასიათებს, მიკროლითური იარაღების ადრე გაჩენა²⁰⁸ და სხვ. საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის ქვის იარაღების დამუშავების ტექნიკაში შენიშნულ თავისებურებაზე მიუთითებდა ალ. კალანდაძე, როდესაც აღნიშნავდა, რომ ქვედა პალეოლითიდან ნანადერძები თუ ზედა პალეოლითში გაჩენილი იარაღის ესა თუ ის ფორმა ამ პერიოდს მეტ-ნაკლები სახეცვლილებით დასაწყისიდან-დასასრულამდე გასდევს, ასევე გვიანი საფეხურისათვის დამახასიათებელი და განსაზღვრული ელემენტი ჯერ კიდევ ადრეულ საფეხურზე იჩენს თავს. ეს კარგად ჩანს, ერთი მხრივ, მრავალწახანაგა საჭრისების და ნუკლეუსისმაგვარი იარაღების დეგრადაციის, ხოლო, მეორე მხრივ, მიკროიარაღების ვრცელი განვითარების მაგალითზე²⁰⁹. ნ. ბადერი დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებს, მეტ-ნაკლები რაოდენობრივი შეფარდებით, ნუკლეუსისებური იარაღების, მრავალწახანაგა და სხვ. საჭრისების, ბოლოკიდურა საფხეკების, სხვადასხვაგვარი მიკროწვეტანების, ჩასართების, დაბალი ასიმეტრიული სამკუთხედების, სეგმენტების და სხვ. არსებობის საფუძველზე, ამიერკავკასიურ ან იმერეთის ზედაპალეოლითურ კულტურაში აერთიანებს და მათ შორის გენეტიკურ კავშირს ხედავს²¹⁰. საქართველოს ზედა პალეოლითის სხვადასხვა ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლების ერთიმეორესთან გენეტიკური კავშირის შესახებ მიუთითებს დ. თუმბრაშიშვილი²¹¹, რომელიც აღნიშნავს, რომ ზედა პალეოლითის ადრეული ჯგუფის ძეგლებმა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მუსტიეური კულტურებისაგან განიცადეს ევოლუ-

²⁰⁸ С. Н. Замятнин, Новые данные по палеолиту Закавказья, СЭ, № 2, М., 1935, с. 116—123; Его же, Пещерные навесы Мгвимеви, близ Чнатуры, СА, Ш. М., 1936, с. 57—76; Его же, Палеолит Западного Закавказья, Сб. Музея антропологии и этнографии, XVII, М.—Л., 1957, с. 432—499.

მსგავსი თავისებური ნიშნებით ახასიათებს საქართველოს ზედა პალეოლითს დ. თუმბრაშიშვილიც. იხ. დ. თუმბრაშიშვილი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960, გვ. 155.

²⁰⁹ ალ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, გვიანი (ზედა) პალეოლითი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, გვ. 112.

²¹⁰ Н. О. Бадер. Варианты культуры Кавказа в конце верхнего палеолита и мезолита, Советская археология, № 4, 1965, с. 3—16.

²¹¹ Д. М. Тушабрамишвили, А. К. Векуа. Палеолит в Грузии, Четвертичная система Грузии. Тбилиси, 1982, с. 185; Д. М. Тушабрамишвили. Палеолит Грузии. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XXXVII — В, თბ., 1984, გვ. 27.

კია. მაგ., ხერგულის კლდე და მისი მსგავსნი, სადაც დიდია რაოდენობა იარაღთა დაკბილული ფორმებისა, როგორც ჩანს, უნდა განვითარებულიყვნენ ცუცხვათის კულტურის (დაკბილული მუსტიე) ძეგლებისაგან, ძუძუნა და მისი მსგავსნი კი ჭრუჭულის მღვიმის მუსტიეური კულტურისაგან²¹². საქართველოში ზედაპალეოლითური კულტურის განვითარება რომ უწყვეტი პროგრესული გზით მიმდინარეობდა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს²¹³.

როგორც უკვე აღინიშნა, არქეოლოგები, საქართველოს და საერთოდ კავკასიის ზედაპალეოლითურ კულტურას განიხილავდნენ ხმელთაშუაზღვა-აფრიკის ოლქის ლოკალურ კულტურასთან კავშირში²¹⁴. ჯერ კიდევ 30-იან წლებში ს. ზამიატინმა დასავლეთ საქართველოს ძეგლები კასიის კულტურას²¹⁵ (ჩრდილო აფრიკის პალეოლითი) დაუახლოვა²¹⁶. ა. ფორმოზოვმა გამოთქვა ს. ზამიატინის საწინააღმდეგო აზრი და აღნიშნა, რომ ამგვარი შეხედულება გაუგებარს ხდის ა/კავკასიის პალეოლითის თავისებურებას²¹⁷. უარყოფდა რა კავკასიის ზედა პალეოლითისა და კასიის კულტურების ურთიერთმსგავსებას ა. ფორმოზოვს შესაძლებლად მიაჩნია კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ძეგლების სიახლოვე და აღნიშნავს, რომ კავკასიის პალეოლითის ერთობა ჩანს მხოლოდ სირიის, პალესტინისა და ერაყის გვიანპალეოლითურ სადგომებთან, სადაც ვხვდებით კავკასიის ძეგლებისათვის დაქანასიათებელ ნეკლეუსისებურ იარაღებს, ხოლო სოლიტრეული ფორმები

²¹² Д. М. Тушабраишвили, А. К. Векуа, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 185; Д. М. Тушабраишвили, *Палеолит Грузии, Верхний палеолит и мезолит*, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ХХVII — В. თბ., 1984, გვ. 27. საქართველოს ადრეზედაპალეოლითური ძეგლების წარმომავლობის შესახებ განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული გ. გრიგორიევს, რომელიც მათ წარმოშობას სოკი — ალუკის რაიონის დაკბილული მუსტიეს კულტურის ძეგლებს უკავშირებს (იხ. Г. П. Григорьев. *Верхний палеолит*, в кн. *Каменный век на территории СССР*, М., 1970, с. 49).

²¹³ Б. ბერძენიშვილი, ზედა პალეოლითი, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 41; ალ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, გვიანი (ზედა) პალეოლითი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 112.

²¹⁴ С. Н. Замятин. *О возникновении локальных различий в культуре палеолитического периода, Происхождение человека и древнее расселение человечества*, М., 1951, с. 131—136; Н. О. Бадер. *Историко-культурные области верхнепалеолитического и мезолитического времени в Восточном Средиземноморье*, Автореферат (канд. ист. наук), М., 1965; В. А. Рапов. *Палеолит Переднеазиатских нагорий, Палеолит Ближнего и Среднего Востока*, Л., 1978, с. 240.

²¹⁵ R. Vaufrey, *Stratigraphie Capsienne*, Swiatowit, t. XVI, Warszawa, 1936, pp. 15 — 34.

²¹⁶ С. Н. Замятин. *Новые данные по палеолиту Закавказья*, СЭ, № 2, 1935, М., с. 116—123.

²¹⁷ А. А. Формозов. *О «капсийском характере» палеолита Кавказа*. Краткие сообщения Института этнографии АН СССР, вып. XXX, 1958, с. 159—165.

მსგავსად საქართველოსი — იქაც არ არსებობენ²¹⁸. საქართველოს ადრეზედა-პალეოლითურ ძეგლებს და კაქსიის კულტურის პალეოლითურ ძეგლებს შორის მსგავსებას გამოირჩეხავს აგრეთვე დ. თუშაბრამიშვილი²¹⁹. ნ. ბერძენიშვილი უარყოფდა საქართველოს ზედა პალეოლითისა და კაქსიის კულტურების მსგავსებას და აღნიშნავდა, რომ საქართველოს პალეოლითის კულტურას ტერიტორიულად უფრო ახლო მდებარე აღმოსავლეთის ქვეყნების ქვის ხანის მასალებში უნდა მოეუძებნოთ მსგავსება²²⁰. საქართველოს ზედაპალეოლითის ინვენტარის ახლო ანალოგებს ა. ფორმოზოვი სირიის, პალესტინის, ერაყის ძეგლების მასალებთან პოულობს²²¹.

საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების მსგავსად, ზოგიერთი მუს-ტიურთი ნიშნის დიდი ხნით შემონახვა, განვითარებული ორინიაკული ტრადიციები, მიკროლითური იარაღების ადრე წარმოშობა დაადგინა დ. გაროდიმ მულარეთ-ელ-ვადის მღვიმეში²²², რ. ნევილმა ელ-კიამის და ერკ-ელ-ამირის მღვიმეში²²³, ა. რუსტმა — იაბრუდში²²⁴, რ. სოლიცკიმ — შანიდარში²²⁵ და სხვ.

ნ. ბადერი აერთიანებს რა კავკასიის, პალესტინისა და ერაყის კულტურებს, ამავე დროს იგი მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ზედა პალეოლითის კულტურებს შორის ზოგიერთ სხვაობებსაც შენიშნავს²²⁶.

ნ. ბადერი მკაცრიად გამოყოფს ერთმანეთისაგან შავიზღვისპირეთისა და შუა რუსეთის, კავკასიისა და ყირიმის ზედაპალეოლითურ ძეგლებს²²⁷ და კავ-

218 A. A. Формозов. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 163; მისივე, *Этнокультурные области на территории Европейской части СССР в каменном веке*, М., 1959, с. 51.

219 დ. თუშაბრამიშვილი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1966, გვ. 164.

220 ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964, გვ. 62.

221 A. A. Формозов. *Каменный век и энеолит Прикубанья*, М., 1965, с. 51.

222 D. A. E. Garrod and D. M. A. Bate, *The Stone Age of Mount Carmel, Excavations at Wady el Mughara*, Oxford, 1937, გვ. 118—119.

223 R. Neuville, *La Paléolithique et le Mésolithique du Désert de Judée*, Archives de L'Institut de Paléontologie Humaine, Mémoire 24, Paris, 1951.

224 A. Rust, *Die Höhlenfunde von Iabrud (Syrien)*, Neumünster, 1950.

225 R. S. Soleski, *A Shanidar Cave, a Palaeolithic site in Northern Iraq*. Smithsonian Report for 1954, Washington, 1955; R. S. Soleski. *The 1956—1957 Season in Shanidar (Iraq)*, Sumer, vol. XIV, № 1—№ 2, Washington, 1958; P. C. Солецки. Уровни обитания в среднепалеолитических отложениях пещеры Шанидар в Северном Ираке, XI конгресс ИНКВА (Международный союз по изучению четвертичного периода). Тезисы докладов, т. II, М., 1982, с. 265—266.

226 Н. О. Бадер. Различия между верхнепалеолитическими культурами Закавказья и Ближнего Востока, *Археология Старого и Нового света*, М., 1966, с. 135—142.

227 Н. О. Бадер. О соотношении культуры верхнего палеолита и мезолита Крыма и Кавказа. *Советская археология*, 1961, М., № 4, с. 9—25.

კასიაში კულტურის სამი ვარიანტის — ამიერკავკასიის (იმერეთის), გუბის და ჩოხის — არსებობაზე მიუთითებდა²²⁸.

ეს ვარიანტები ზედა პალეოლითის ბოლოს და მეზოლითის დასაწყისში ჩამოყალიბდნენ, მანამდე კი მთელი კავკასიის კულტურა, მახლობელი აღმოსავლეთის კულტურასთან ერთად, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ერთიან ისტორიულ-კულტურულ პროვინციაში შედიოდა²²⁹.

ნ. ბერძენიშვილი უარყოფდა რა ორინიაკის კულტურის შემდეგ დასავლეთ საქართველოსა და წინა აზიის ზედაპალეოლითური კულტურების ურთიმსგავსებას, როგორც ქვის დამუშავების ტექნიკის, ასევე იარაღთა ტიპების და ძელის იარაღთა წარმოების თვალსაზრისითაც, აღნიშნავდა, რომ საქართველოს ზედა პალეოლითის კულტურის რიგის თანამიმდევრობა უფრო ახლოა ცენტრალური ევროპის ზედა პალეოლითთან. ამავე დროს საქართველოს ზედა პალეოლითი, სხვა ქვეყნების პალეოლითთან მსგავსების მიუხედავად, ავლენს თავის რეგიონალურ ხასიათს²³⁰.

საქართველოს ზედაპალეოლითურმა კულტურამ განვითარების ხანგრძლივი პროცესი განვლო, რომელშიც კულტურის განვითარების სხვადასხვა ქრონოლოგიური ეტაპი გამოიყოფა. ამ მხრივ, ე. ი. განვითარების მსვლელობით, საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლები თითქმის უფრო ახლო კავშირს ავლენენ დასავლეთ ევროპის ზედაპალეოლითური კულტურის წრესთან. ამავე დროს გარკვეული მსგავსება შეინიშნება ახლო აღმოსავლეთის კულტურის წრესთანაც, განსაკუთრებით, მისი პირველი ეტაპის ძეგლებთან (მეირუმბის, ქსარ-აკილის, ელ-ვადის და სხვა)²³¹, რომლებიც ასევე დიდხანს ინარჩუნებენ მუსტიეური ტექნიკის ტრადიციებს და ასევე ადრე იწყებენ მიკროიარაღების დამზადებას. წინა აზიის და ამიერკავკასიის ზედა პალეოლითის მსგავსება და სიახლოვე კ. ამირხანოვის აზრით, გამოწვეული უნდა იყოს არა მხოლოდ ამ კულტურათა კონტაქტებით, არამედ მსგავსება კულტურებს შორის მისი აზრით, შესაძლებელია აიხსნას გენეტიკური ნათესაობის ფაქტორითაც²³². იგი აღნიშნავს, რომ წინა აზიის, ამიერკავკასიის და ჩრდილო კავკასიის ზედა პალეოლითი ქმნის ერთიან არქეოლოგიურ ზონას, რომელიც ყველგან ხასიათდება: ინდუსტრიის ორინიაკულ-პერიგორდიული ხასიათით, სოლუტრეული,

228 Н. О. Бадер. Варпаны культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезолита, Советская археология, 1964, № 4, с. 3—16.

229 ალ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, გვიანი (ზედა) პალეოლითი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 113.

230 ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964, გვ. 80.

231 И. П. Коробков. Палеолит Восточного Средиземноморья, в кн. Палеолит Ближнего и Среднего Востока, Л., 1978, с. 142—154.

232 Х. А. Ампрханов. Верхний палеолит Прикубанья, М., 1986, с. 98.

სელეტური და საერთოდ იარაღის ორმხრივი დამუშავების ტრადიციების არარსებობით, ნაწარმის მორფოლოგიაში მუსტიეური ნიშნების დიდხანს არსებობით, იარაღთა აღრეული მიკროლითიზაციით და გეომეტრიზაციით, ძვლის ნაწარმის სიღარიბით²³³ და სხვ. დასავლეთ საქართველოსა და წინა აზიის ზედაპალეოლითური დროის არქეოლოგიურ კულტურებს შორის საერთო მსგავსი ნიშნები (ორინიაკული ხასიათი, მუსტიეური გადანაშთები, სოლუტრეული ეტაპის არარსებობა და სხვ.) საშუალებას გვაძლევს თავიანთი იერით ერთმანეთისაგან განსხვავებული დამოუკიდებელი არქეოლოგიური კულტურები განვითარების ერთ დიდ ზონას მივაკუთვნოთ და აღვნიშნოთ, რომ საერთო ჩარჩოების შიგნით ისინი ქმნიან სრულიად დამოუკიდებელ ისტორიულ-კულტურულ ჯგუფებს.

ამრიგად, საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლები ქმნიან ადგილობრივ ჩამოყალიბებულ თავისებურ მონოლითურ კულტურას, დასაშვებია ვარაუდი, რომ ზედაპალეოლითის განვითარების ხანგრძლივ პროცესში ტერიტორიულად ახლომდებარე ქვეყნების პალეოლითელთა კონტაქტებმა გარკვეული გავლენა მოახდინა ერთი ქვეყნიდან მეორეში კულტურების შეღწევასა²³⁴ და თავისებური კულტურის ჩამოყალიბებაზე.

საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის თავისებურება ჯერ კიდევ ამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ აღნიშნა გ. ნიორაძემ²³⁵. დღეს ეს საკითხი მეტი ფაქტობრივი მასალებით ზუსტდება. ალბათ, მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიება უფრო მეტ შუქს შეიტანს, როგორც ამ საკითხში ასევე საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების პერიოდიზაციის საკითხების კვლევისას.

²³³ X. A. Амирханов, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

²³⁴ დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურისა და აზოვის მხარის სტეპური კულტურის სიახლოვეზე მიუთითებს მ. გვოზდოვერი, კამენაია ბალკასა (როსტოვის მახლობლად) და საქართველოს ზედა პალეოლითის განვითარებული საფეხურის მასალების ქვის დამუშავების ტექნიკურ ტრადიციებში ბევრი საერთოს დადგენის საფუძველზე იგი კულტურებს შორის უშუალო, მჭიდრო კონტაქტების შესახებ აღნიშნავს (იხ. М. Д. Гвоздовер. О культурной принадлежности позднепалеолитических памятников Нижнего Дона, Вопросы антропологии, вып. 27, М., 1967, с. 82—101, с. 94—95.

²³⁵ გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი დევისხერელში, თბ., 1933, გვ. 78.

მეხუთე თავი

მეზოლითი

XIX საუკუნის 70-იან წლებში შეედმა მეცნიერმა ტორელმა გამოყო ახალი, პალეოლითიდან ნეოლითში გარდამავალი ეპოქა — „მეზოლითი“¹. ესაა ტექნიკურ-ეკონომიკური ფაზა, რომლის მანძილზე ხორციელდება გადასვლა ქვის ხანის ერთი დიდი მონაკვეთის, პალეოლითის წარმოების წესიდან და მეურნეობის ძირითადი სახეებიდან თვისებრივად ახალ-ნეოლითური წარმოების წესზე და მეურნეობის ისეთ სახეებზე, როგორცაა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ამგვარად, ესაა ხანა მნიშვნელოვანი გარდატეხისა ქვის ხანის ადამიანის კულტურის ისტორიაში.

მეზოლითი დედამიწის სხვადასხვა უბანში სხვადასხვანაირად თარიღდება. მაგალითად, ევროპაში იგი ჩვ. წ. ა-მდე IX—VI ათასწლეულებს მოიცავს, ახლო აღმოსავლეთში — ჩვ. წ. ა-მდე X—VII ათასწლეულებს². საქართველოს მეზოლითიც შედარებითი ქრონოლოგიით XII—IX ათასი წლის წინ ფარგლებში უნდა თავსდებოდეს. მეზოლითის დასაწყისი ერთდროულად დედამიწის გეოლოგიურ ისტორიაშიც გარდატეხის მომენტს ემთხვევა, გარდამავალ ხანას პლეისტოცენიდან პოლოცენში. ამ დროს ბუნებაში დიდ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი; კერძოდ, დაიწყო ჰაეის საყოველთაო დათბობა, მყინვარების უკან დახვევა, მარადიული თოვლის ხაზის ვერტიკალური გადანაცვლება, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები ხმელეთის ძუძუმწოვრების ფაუნის შემადგენლობაშიც: ამოწყდა ბეწვიანი მარტორქა, მამონტი და სხვ. აგრძელებენ არსებობას ცხენი, ბიზონი, ლოსი, კეთილშობილი ირემი, გარეული ღორი, ჯეირანი, მელა, მგელი და სხვ. თანდათან ჰავა კიდევ უფრო რბილი და მშრალი გახდა, ხოლო 12—9 ათასი წლის წინ უკვე გამყინვარების შემდგომ კლიმატურ ოპტიმუმს მიაღწია, რასაც მოჰყვა ყინულოვანი პერიოდის ფლორისა და ფაუნის დამახასიათებელი ელემენტების საბოლოოდ გაქრობა; ჩრდილოეთ განედებში უფრო ტყის ბიოტოპები გავრცელდა, სამხრეთში კი ტყე-სტეპების და შესაბამისად განაწილდა ხმელეთის ფაუნაც. ბუნებრივ გარემოსა და, სა-

¹ მეზოლითი — ბერძნული სიტყვიდან mesos — შუა და lithos — ქვა.

² А. Л. Монгайт. Археология Западной Европы. М., 1973. с. 172.

ერთოდ, ცხოველთა სამყაროში მომხდარმა ამ გარდაქმნებმა შესატყვისი ცვლილებები გამოიწვია ადამიანის კულტურის ისტორიაშიც.

როგორც ვხედავთ, მეზოლითელ ადამიანს, წინა პერიოდებთან შედარებით, უფრო ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მოუხდა ცხოვრება. ამის მანიშნებელი უნდა იყოს ის ცნობილი ფაქტიც, რომ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მეზოლითური სადგომები აღმოჩენილია როგორც მღვიმეებსა და ეხებში, ისე ზეგნებსა და ტერასებზე, მაშინ როდესაც ზედაპლეოლითელ ადამიანთა ნაბინარები უპირატესად, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, მყუდრო ხეობებში შექმნილ მღვიმეებში გვხვდება და მისი ღია სადგომებზე ცხოვრების ნიშნები მეტად იშვიათია.

მეზოლითური ეპოქის თავისთავადობა და დამოუკიდებლობა არქეოლოგთა საკამათო საკითხად იქცა. თუ სპეციალისტთა ერთი ნაწილი მას ზედაპლეოლითის უშუალო გაგრძელებად, ბოლო ეტაპად მიიჩნევს (გ. ბონჩ-ოსმოლოვსკი, ს. ბიბიკოვი, ა. კალანდაძე, ვ. გოროდცოვი, ა. როგაჩოვი), არანაკლებ ავტორიტეტული ავტორების მეორე ჯგუფი (მ. ვოევოდსკი, ა. ფორმოზოვი, ნ. გურინა)³ მეზოლითს გამოპყოფს როგორც ცალკე ეპოქას.

ზოგი მკვლევარი მეზოლითის გამოყოფის ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევს ან მხოლოდ იარაღთა ტიპოლოგიურ თავისებურებებსა და მეურნეობის ხასიათს, ან მხოლოდ ეკოლოგიურ-კლიმატოლოგიურ, პალეონტოლოგიურ და სოციალურ მომენტებს⁴. უთუოდ, ყველა ჩამოთვლილი კომპონენტის მხოლოდ ერთად, კომპლექსურად გათვალისწინება იძლევა საშუალებას წარმოვიდგინოთ მეზოლითი როგორც გარკვეული, შედარებით ხანმოკლე, მაგრამ ფრიალ მნიშვნელოვანი საფეხური საზოგადოებისა და მისი მატერიალური კულტურის ისტორიაში.

მეზოლითს ახლო კავშირი აქვს მის წინამორბედ და მომდევნო საფეხურებთან. თუ მის ადრე საფეხურს მეტი აქვს საერთო ზედაპლეოლითთან. მისი მოგვიანო სტადიისათვის უფრო ნეოლითური ელემენტების სიჭარბეა დამახასიათებელი. ყოველივე ეს საკმაოდ აძნელებს მისი ქვედა და ზედა საზღვრების დადგენას, ზედა პალეოლითისაგან და ნეოლითისაგან მისი განმა-

³ А. Н. Рогачев. Некоторые вопросы изучения эппалеолита Восточной Европы. МИА СССР № 126, 1966, с. 9—13; А. Н. Каландадзе. Разыскания по археологии доантичной Грузии. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Тбилиси, 1969; А. А. Формозов. О термине «мезолит» и его эквивалентах. СА № 3, 1970, с. 6—12; М. В. Воеводский. Мезолитическая культура Восточной Европы. КСИИМК. XXXI, 1950.

⁴ S. K. Kozłowski. Introduction to the History of Europe in Early Holocen. In: the Mesolithic in Europe. Warszawa, 1973; П. М. Долуханов. Мезолит: экологический подход. КСИА 194, М., 1977; И. М. Ермолова. Формирование мезолитической культуры в связи с природной средой; აქვე: Д. Я. Телегин. О критериях выделения мезолитических памятников на Юго-западе Европейской части СССР.

შხვევებელი საერთო ნიშნების ზუსტად გამოყოფას. მეზოლითში მკაფიოდ ჩანს პატერიალური კულტურის უწყვეტი და თანდათან განვითარება გვიანი პალეოლითიდან მოყოლებული ნეოლითამდე; ჩანს, რომ მისი აღმოცენება ზედა პალეოლითში ხდება და რომ მეზოლითის წიაღშივე წარმოებს ნეოლითისათვის დამახასიათებელი კულტურის ელემენტების ჩასახვა-განვითარება.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მეზოლითური ძეგლები (სურ. 20) საგვარჯილე, ჭახათი, წონა, კუდარო, ქვედი, ქვაჭარა, იაშხვა, ზურტაკეტი, აპიანა, ედანი, სელო, ჭერმუხი და სხვ., საფუძველს გვაძლევს თვალი გავადევნოთ იარაღების წარმოების ტექნიკის თანდათანობით განვითარების პროცესს და ცალკეული ძეგლების იარაღთა ტიპოლოგიურ შემადგენლობაში ასაკობრივი სხვაობის ნიშნებიც კი დავადგინოთ, კერძოდ, ის გარემოება, რომ ერთი რიგის ძეგლებისათვის დამახასიათებელია ძალაში შესულ მიკროლითურ ტექნიკასთან ზედაპალეოლითური ტრადიციების მქონე ინვენტარის თანაარსებობა, ხოლო მეორე რიგის ძეგლებში გაბატონებულია მიკროლითური ტექნიკა, ზედაპალეოლითური ფორმები გადმონაშთის სახით გვხვდება და უკვე ისახება ნეოლითური ხანისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი იარაღის ტიპი. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს განვიხილოთ მოცემული ძეგლების ასაკი კონკრეტულ ქრონოლოგიურ ასპექტში და მსგავსი თუ განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით ისინი მეზოლითური ეპოქის სხვადასხვა, ადრეულ თუ გვიანდელ ეტაპს მივაკუთვნოთ.⁵

განვიხილოთ საქართველოს ძირითადი მეზოლითური ძეგლები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ს ა გ ვ ა რ ჯ ი ლ ე ს მღვიმე ძეგლი მრავალფენიანია და წარმოდგენილია ზედაპალეოლითის, მეზოლითის, ნეოლითის, ენეოლითისა და ფეოდალური ეპოქის შესატყვისი ფენებით⁶.

მეზოლითური ფენა შედგება მოყვითალო ფერის თიხა-მიწებისაგან, კირქვის დაკუთხული ქვებისა და ერთეული ლოდების ჩანართებით. ფენაში მოპოვებულ იქნა კაეის მრავალრიცხოვანი ნაწარმი — 18480 ერთეული (ნახ. 112. 1—30) და პალეონტოლოგიური მასალა. აქედან იარაღების საერთო რაოდენობა რეტუმირებული ლამელების ჩათვლით 1107 ცალია (6%), დანარჩენი კი წარმოების ნაშთებია 17373 ც. წარმოების ნაშთებში გვხვდება სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსები — 316 ც — 1,9%. ნუკლეუსებში წამყვანი ფორმებია

⁵ რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს მთიანეთში ბოლო ხანებში აღმოჩენილ სადგომებს — ბავრის ეხებს, ბავრისა და ვანდეგილის მღვიმეებს — მათ შესახებ ჭერჭერობით მწირი ცნობები მოგვეპოვება, ამიტომ მეზოლითური ძეგლების მიმოხილვისას მათ არ ვეხებით.

⁶ ნ. კილაძე-ბერძენიშვილი, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, „მომამბე“, XIV, № 9, თბ., 1953.

კონუსური (23%), პრიზმული (17%) და ბრტყელი (11%). გვხვდება 6% სო-
ლისებური ნუკლეუსიც. დანარჩენ ჯგუფებს შეადგენენ უტილიზებული, დაუ-
სრულებელი, ამორფული ნუკლეუსები და ნუკლეუსთა გვერდების ჩამონატე-
ხები. საგვარჯილეს მღვიმეში არის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ანატყეც-
ანამტერევეები — 13966 ც. მასალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ლამე-
ლები — 3260 ც. მთელი კომპლექსის — 17,64%. აქედან 440 ცალი 13,49%
დამუშავებული ლამელებია, რომელთა შორის წამყვანია ნაწილობრივრეტუ-
შიანი ლამელები 160 ც. — 36,36% და გვერდდაბლაგვეული 134 ც — 30,45%;
საკმაოდ დიდია დაკბილული ლამელების რიცხვიც — 81 ცალი — 18,40%,
თავამოღარულ ლამელებს სულ 3,40% (15 ც.) უჭირავს.

რეტუშიანი ლამელების გარდა იარაღები წარმოდგენილია საფხეკების
დიდი რაოდენობით — 322 ც., საჭრისებით — 135 ც., სახვრეტებით — 47 ც.
დიდი რაოდენობითაა გრავეტები — 103 ც. გეომეტრიულ ფორმებში გამოი-
ჯთვა 13 ცალი ასიმეტრიული სამკუთხა ჩასართი და 27 ც. სეგმენტისმაგვარი
ჩასართი. ექვს-ექვსი ცალია ქუსლამოღარული ისრისწვერი, შალაშინი და კომ-
ზინირებული იარაღები.

ჩამოთვლილ იარაღთაგან, როგორც ვხედავთ, პროცენტულად წამყვანია
საფხეკები და საჭრისები (შესაბამისად — 29,08% და 12,19%). გეომეტრიუ-
ლი ფორმები 3,6%-ს შეადგენს, ხოლო გრავეტისნაირი იარაღები 9,3%-ია.

დამუშავების ხასიათისა და ტიპოლოგიური შემადგენლობის მიხედვით სა-
გვარჯილეს კომპლექსი ნ. ბერძენიშვილისა და ზ. წერეთლის მონაცემებით მე-
ზოლითის საწყისი საფეხურით თარიღდება, სადაც კარგადაა წარმოდგენილი
ზედაპალეოლითიდან მეზოლითურ ეპოქაში გარდამავალი საფეხური.

აღმოჩენილი ისრის წვერების არსებობის ფაქტი და მიკროლითურ იარაღ-
თა სიმრავლე ნათელს ხდის, რომ ისინი ძირითადად მონადირეობას მისდევდ-
ნენ. ამაზევე მეტყველებს აქ მოპოვებულ ცხოველთა ძვლებიც: მურა დათვი
(*Ursus arctos*), შველი (*Capreolus capreolus*), კეთილშობილი ირემი (*Cervus
elaphus L.*), კავკასიური ჭიხვი (*Capra Caucasica Guld*), გარეული ცხენი (*Equus
sp.*).

ქ ა ხ ა თ ი ს კ ა რ ს ტ უ ლ ი მ ღ ვ ი მ ე. გათხრების შედეგად აქ გამოვ-
ლინდა 3 მ სიმძლავრის ფენა, რომელც თავისი შეფერილობითა და სტრუქ-
ტურით 5 პორიზონტად იყოფა და ქრონოლოგიურად ორ სხვადასხვა პერიოდს
(მესტიე, მეზოლითი) მიეკუთვნება.

I—III პორიზონტები (სიმძლავრე 1,75 მ) წარმოდგენენ მოყვითალო
ფერის თიხა-მიწებს კირქვის ღორღის მინარევით და ნ. ბერძენიშვილის მიხედ-
ვით ერთ კულტურულ ფენას (მეზოლითი) განეკუთვნება⁷ (ნახ. 113, 1—33).

⁷ ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში. თბ., 1964.

ამ ფენაში მოპოვებულია 722 ცალი ქვის იარაღ-ანატყეცი და 950 ცალი ცხოველთა ძვალი. იარაღთა დასამზადებელ ძირითად ნედლეულს წარმოადგენს კაჟი, ერთეულის სახით გვხვდება ობსიდიანიც. წარმოების ნაშთებში გამოიყოფა ორფუძიანი პრიზმული ნუკლეუსები — 22 ც., ანატყევე-ანატყეცები — 387 ც., სხვადასხვა სახის ორ და სამფერდა ვიწრო მოგრძო მოყვანილობის ურეტუმო ლამელები — 199 ც. იარაღთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განსხვავებული სახის საფხეკებს — 73 ც., რომელთა შორის გამოირჩევა ლამელისებურ ანატყეცებზე და ლამელებზე დამზადებული კიდურა საფხეკები. საჭრისებში (14 ცალი) გამოიყოფა სამი ტიპი — შუალა, დუბლირებული და კუთხის საჭრისები. სახვრეტები 8 ცალია. აღსანიშნავია გვერდრეტუმიანი მიკროლამელები — 36 ცალი და კაჟის გვერდამოღარულ თხელ მოგრძო ლამელაზე დამზადებული ისრის წვერი. მასალაში, აგრეთვე, გვხვდება ლამელაზე ნაკეთები მოგრძო მოყვანილობის სეგმენტისნაირი იარაღი, რომლის სიგრძე 2 სმ-ს არ აღემატება.

თავისი ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნებით ნ. ბერძენიშვილი ამ ფენას მეზოლითური ეპოქის დასაწყისით ათარიღებს⁸.

პალეონტოლოგიური ნაშთებიდან ნ. ბურჩაჟ-აბრამოვიჩის განსაზღვრით აქ წარმოდგენილია ცხოველთა შემდეგი სახეები: პირველყოფილი ძროხა (*Bos sp. primigenius*), კეკასიის ჯიხვი (*Capra sp. Caucasica*), გამოქვამულის დათვი (*Ursus spelaeus R.*), მელა (*Vulpes vulpes*), მგელი (*Canis lupus U.*), გარეული ღორი (*Sus scrofa ferrus L.*).

წონას მღვიმე. როგორც წინა თავებიდან შევიცნეთ, აქ მეზოლითურ ხანას მეორე ფენა განეკუთვნება (ნახ. 114, 1—16; სურ. 21). იგი წარმოდგენილია მოყვითალო ფერის თიხა მიწითა და კირქვიერი ღორღით (სიმძლავრე 40—45 სმ).

წონის მღვიმის ქვის ინვენტარში წარმოების ნაშთებსა და დაუმუშავებელ ლამელებთან ერთად გვხვდება მიკროსაფხეკები, სახვრეტები და საჭრისები დამზადებული ორფერდა მიკროლამელებზე, რომელთაც გვერდი და თავი რეტუმით დაბლაგვული აქვს. მიკროლამელების დიდი ნაწილიც ზურგდაბლაგვულია, ზოგი კი თავირბრეტუმიანია. მათი ზომები 3—4 სმ-ს შორის მერყეობს. აქვე არის ასიმეტრიული სამკუთხა და სეგმენტისებური ჩასართები. გამოვლენილი კაჟის ინვენტარი ტექნიკა-ტიპოლოგიური მონაცემების საფუძველზე თარიღდება ადრე მეზოლითური ეპოქით⁹.

ქვედის მღვიმე მდებარეობს ონის რაიონში, მდ. ჭეჯორის მარცხენა შენაკადის მდ. ქვედრულას მარცხენა ნაპირზე, ბოკონას მთის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიქცეულ დაახლოებით 30—40 მ

⁸ ნ. ბერძენიშვილი. დასახლებული ნაშრომი, გვ. 45.

⁹ А. Н. Калапидадзе. Цонская пещера и ее культура, *Actes IV-e Cis.* 4—5, 1969, გვ. 345.

'ისქის კირქვის კარსტულ ზონაში, ზღვის დონიდან 1500 მ სიმაღლეზე. შესასვლელის სიგანე 8 მეტრს არ აღემატება. სიმაღლე 8,5 მ-ია.

1959 წელს ქვედის მღვიმეს მიაკვლია კავკასიონის სამხრეთ კალთების არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით.

1974 წელს, მრავალი წლის ინტერვალის შემდეგ, ქვედის მღვიმეში კვლავ განახლდა არქეოლოგიური სამუშაოები ლ. წერეთლის ხელმძღვანელობით. გათხარა 35 მ² ფართობი¹⁰.

კულტურული ფენების თანმიმდევრობით თხრამ ცხადი გახდა, რომ ქვედის მღვიმეში სხვადასხვა ეპოქის ადამიანთა ცხოვრების ნაშთია დარჩენილი, სახელობრ, ადრეფეოდალური, ბრინჯაო-ენეოლითური და მეზოლითური ხანისა.

მეზოლითს მეოთხე კულტურული ფენა განეკუთვნება. ესაა მოყვითალო ფერის დორდნარევი თიხნარი. მისი სიმძლავრე 45—55 სმ-ს უდრის (ნახ. 114. 17—30; ნახ. 115.2). აქ მოპოვებულია სულ 50 ცალი კაეის ინვენტარი. მიუხედავად სიმცირისა, მისი ტიპოლოგიური შემადგენლობა საკმარისად კარგად შეტყვევებს ძეგლის ასაკზე და ხასიათზე. აქ მოპოვებული თხელწიბოიანი კვერდრეტუშინი და თავირბრეტუშირებული მიკროლაშები — 5 ც., მეზოლითური ეპოქისათვის დამახასიათებელი თავსწორრეტუშინი მიკროსაფხეკეზი — 12 ც., სამკუთხა მოყვანილობის 4 სმ სიგრძის თხელ ლამელისებურ ანატეკეებზე დამზადებული საჭრისები — 2 ც., სახერტი — 1 ც.; სხვადასხვანაირი სახის ლამელები — 4 ც., ანამტრევეები — 23 ც., და რიყის ქვისაგან ატეკილი ლამელები — 3 ც. (ნახ. 114. 17—24) საშუალებას იძლევიან დავათარილოთ იგი ადრე მეზოლითით. სადგომი დროებითია, რაზეც შეტყვევებს მცირერიცხოვანი ფაუნის ნაშთებიც. გარეული თხა (*Capra sp.*), მგელი (*Canis lupus L.*), შველი (*Capreolus capreolus L.*).

იაშთხვის მღვიმური ნაბინარი მდებარეობს სოხუმის რაიონში, ქ. სლხუმიდან 7—10 კმ-ის დაშორებით, მთა იაშთხვის დასავლეთი ფერდობის შუა ნაწილში, მდ. გუმისთის მარცხენა ნაპირზე ზღვის დონიდან 300 მ სიმაღლეზე¹¹.

იაშთხვის მღვიმე 1958 წელს აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. 1959, 1960, 1962 წლების გათხრების შედეგად გაირკვა, რომ მღვიმეში დაღეჭილი ფენების სიმძლავრე აღწევს

¹⁰ ალ. კალანდაძე, ლ. წერეთელი, საქართველოს შუა მთიანეთის ზოგიერთი მეზოლითური ძეგლი. საიუბილეო კრებული, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი, თბ., 1976.

¹¹ ლ. წერეთელი, შავიზღვისპირეთის მეზოლითი. თბ., 1973, გვ. 81; ლ. წერეთელი, პალეოლითელი ადამიანის ერთი ხანმოკლე ნაბინავი გამოქვაბულის შესახებ. „მაცნე“ № 4, თბ., 1966.

1,40 მ-ს (ნახ. 115.1). სტრატეგრაფიულ ჭრილში 4 ლითოლოგიური პორიზონტი იქნა დადგენილი. მეზოლითური მასალა შეესაბამებოდა ჰუმუსქედა პორიზონტს. ესაა კირქვის ღორღნარევი მოყვითალო თიხნარი. ეს ფენა შეიცავდა მხოლოდ 15 ცალ კაეის დასრულებულ იარაღს. მიუხედავად კომპლექსის ასეთი სიღარიბისა, იარაღებში გამოიყოფა გრავეტისნაირი მიკროწვეტანები (5 ც.) და გვარჯილის კლდის ტიპის წვეტანები (2 ც.), — გვერდრეტუშიანი მიკროლაშქლები (4 ც.), სახვრეტები (2 ც.), თავგვერდრეტუშიანი ჩასართები (2 ც.) (ნახ. 114,31—45).

იაშთხვას ეს კომპლექსი თავისი მორფოლოგიური ნიშნებით ადრე მეზოლითის განეკუთვნება. მცირე რაოდენობის კაეის ინვენტარი და ფაუნისტური მასალა, რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ მღვიმური დათვის ძვლებით, მოწმობენ, რომ იაშთხვის კარსტული ნაბინარი დროებით სადგომს წარმოადგენდა¹².

ქვაჭარის მღვიმე მდებარეობს ს. წებელდის ჩრდილო-აღმოსავლეთით მისგან 4 კმ დაშორებით სოფ. ყაღის მიდამოებში, ზღვის დონიდან 750—753 მ, ხოლო ქვაჭარის მშრალი ხეობიდან დაახლოებით 250—300 მ სიმაღლეზე. ხეობა შექმნილია დროებითი ღვარების ეროზიული მოქმედების შედეგად. მღვიმე განვითარებულია ძლიერ დანაპრალიანებული და საკმარისად მკერძივი ზედა ცარცის ბრექჩიული კირქვების მასიურ წყებაში (სურ. 22).

მღვიმეში შესასვლელი თალისებურია და პირით დამხრობილია აღმოსავლეთისაკენ; საერთო სიღრმე 90 მეტრია, მაქსიმალური სიმაღლე 1,80 მ-მდეა. მღვიმის შესასვლელიდან დაახლოებით 60 მ-ის დაშორებით წარმოქმნილია კარსტული კა.

ქვაჭარის მღვიმური ნაბინარი აღმოაჩინა 1958 წელს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი)¹³ და შეისწავლა იგი ლ. წერეთელმა¹⁴. ძეგლი ითხრებოდა ხუთი საველე სეზონის განმავლობაში. სტრატეგრაფიულ ჭრილში გამოვლინდა ლითოლოგიურად განსხვავებული 6 ფენა, საერთო სიმაღლით 1,60—2 მეტრამდე. II—III და IV ფენებში მოპოვებული ნაშთები განეკუთვნება მეზოლითის ერთ გარკვეულ ფაზას (ნახ. 116. 1,2).

ქვაჭარაში აღმოჩენილი კაეის იარაღ-ხელსაწყოები და წარმოების ნაშთები დაახლოებით 1443 ერთეულს შეადგენენ. მზა იარაღთა ნაწარმი მთელი მასალის საერთო რაოდენობის 36,9%-ია, დანარჩენი კი წარმოების ნაშთია — 63,1%.

¹² ლ. წერეთელი. დასახელებული ნაშრომი.

¹³ Н. З. Бердзенишвили. Новые данные о палеолите Абхазии. Труды Абхазского института языка, литературы и истории. Сухуми, 1960, вып. XXX.

¹⁴ ლ. წერეთელი, მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში. თბ., 1973.

ქვაპარის ქვის ინვენტარის დასამზადებლად გამოყენებულია ტურონ-სენონის ჯიშის კაეი, რაც მრავლად მოიპოვება ქვაპარისა და მის მოსაზღვრე ადგილებში არსებულ კირქვებში. იარაღები უმეტესად ნაყეთებია თხელ ლამელვებზე ან ლამელისებურ ანატკეცებზე, იშვიათად გვხვდება მსხვილ ანატკეცებზე დამზადებული იარაღები (ნახ. 117. 1—59; ნახ. 118. 1—36).

მღვიმის ცალკეულ შრეებში აღმოჩენილი კაეის მასალის ერთ-ერთი მთავარი და საერთო ნიშანია მკაფიოდ გამოსახული მიკროლოთური ტექნიკა. ამავე დროს, ამ ფენების კაეის მასალებს შორის განსხვავება თითქმის არ შეიმჩნევა და ყველა ფენა ერთი და იგივე იარაღთა სახეებითაა წარმოდგენილი.

ნუკლეუსები მცირე რაოდენობითაა (14 ც.)—%. ნუკლეუსების ძირითადი ნაწილი კონუსურია, არის პრიზმული და ბრტყელი ფორმისაც. საფხეკი სულ 65 ცალია — მთელი მასალის 4,5%. მათი ძირითადი ნაწილი ლამელვებზე ან ლამელისებურ ანატკეცებზეა დამზადებული. საჭრისი 26 ცალია და მთელი მასალის 1,9%-ს შეადგენს. ისინი უმეტესად სწორ და ვიწრო ლამელვებზე დამზადებული კუთხის საჭრისებს წარმოადგენენ. გადმონაშთის სახით გვხვდება ზედა პალეოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელი მრავალფაცეტიანი საჭრისებიც.

ქვაპარაში ფორმათა მრავალსახეობით გამოირჩევა სახვრეტები (96 ცალი) — მთელი მასალის 6,7%. ზედაპალეოლითურ ძეგლებთან შედარებით ამ იარაღების რაოდენობა გაზრდილია და ზომები შემცირებული, ზოგიერთი მათგანი დამზადებულია მცირე ზომის გვერდრეტეშირებულ ლამელვებზე.

ქვაპარის მღვიმის კაეის ინვენტარიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მცირე ზომის გრავეტისნაირი იარაღები (4,2%) და გვერდრეტეშიანი ლამელვები (12,7%). მათი ზომები 2—4 სმ-ს შორის მერყეობს.

ასევე მნიშვნელოვანია აქ აღმოჩენილი ე. წ. გვარჯილას კლდის ტიპის წვეტანები (24 ც.) — 1,7%.

ეს იარაღები ჩამოყალიბებულია 3—5 სმ სიგრძის ვიწრო ლამელვებზე. რომელთა ორივე სიგრძივი გვერდი მთლიანად დამუშავებულია „პერპენდიკულარული“ რეტუშით. ამ იარაღებს, როგორც მომრგვალო ბოლოში, ისე წვერთან მუცლის მხრიდან ეტყობა „მკოცაეი“ რეტუშით დამუშავების კვალი. იგი გვხვდება ქვაპარაში, იაშთხევაში, ეძანში, ჩოხში. ს. ზამიატინისა და მ. პანიჩკინას მოსაზრებით, ამ სახის იარაღებს ისრის წვერებად იყენებდნენ. ნ. ზადერი ამ სახის იარაღებს იმდენად დამახასიათებლად თვლის გვარჯილას კლდისთვის, რომ მათ გვარჯილას ტიპის წვეტანას უწოდებს¹⁵. სამკუთხედისებური იარაღები 13 ცალია — 1%. აღსანიშნავია, რომ შავიზღვისპირეთის მეზოლითური ძეგლები მაინცდამაინც არ გამოირჩევიან ამ სახის იარაღთა სიმრავლით.

¹⁵ Н. О. Бадер. Варианты культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезолита. М., № 4. СА, 1965, с. 9.

ასევე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სეგმენტისმაგვარი იარაღებიც 3 ც. — 0,15% და ლამელაზე დამზადებული გვერდამოღარული მცირე ზომის. ასრის წვერები 5 ც. — 0,4%.

როგორც მღვიმეში აღმოჩენილი კაეის მასალიდან ჩანს, იარაღთა კომპლექსი ზედაპალეოლითურ ძეგლებთან შედარებით საკმაოდ განვითარებულია, ზოგიერთი ზედაპალეოლითური ფორმები, როგორცაა შალაშინები, საფლევები, მაღალი საფხეკები, შატელპერონის ტიპის დანები, ნუკლეუს-საჭრილები აქ აღარ გვხვდება.

ქვაჭარაში მოპოვებული ქვის იარაღ-ხელსაწყოები და წარმოების სხვა ნაშთები იძლევა საფუძველს ვამტიციოთ, რომ ამ მასალაში არეკლილია საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის ძირითადი ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნები და, აგრეთვე, შეიმჩნევა ზოგი მისგან განსხვავებული პროგრესული ელემენტები, როგორცაა: ფორმების უფრო დახვეწა, მიკროტექნიკის პროცენტული ზრდა (64%), ახალი ფორმების გაჩენა, — მრგვალი ფორმის მიკროსაფხეკები, მიკროლამელებზე დამზადებული მარტივი ირიბი საჭრისები, ორგვერდრეტუშიანი მიკროწვეტანები, ისრის წვერები და თავბოლოგვერდრეტუშიანი ლამელები (ჩასართები), რომლებიც ტრაპეციების პროტოტიპებად შეიძლება ჩაითვალოს.

კაეის ინვენტართან ერთად ქვაჭარაში გვხვდება ძვლისა და რქის ნაკეთობანი — 24 ცალი (ნახ. 119. 1—13). ასეთებია: სადგისები (10 ც.), ხელშუბისპირები (11 ც.), საპრიალებლები (2 ც.) და ნიჩბისნაირი რქის იხრალი ორივე მხრიდან გადაღესილ-გაპრიალებული. მისი საერთო სიგრძე 30 სმ-ს აღწევს, სამუშაო პირის სიგრძე კი 8 სმ-ია. რქის მოღუნულ თავზე შეიმჩნევა ზედაპირის ძლიერი გადაღესილობა-გაპრიალება, რაც იარაღის ხანგრძლივ გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს. ქვაჭარაში აღმოჩენილი ნიჩბისნაირი იარაღი განსხვავდება საქართველოს ტერიტორიაზე ზედა პალეოლითში არსებულ რქის იარაღებიდან (დევისხერელი, აფიანჩას მე-7 ჰორიზონტი), სადაც ის უფრო მარტივი ფორმისაა და მათ ზომებშიაც დიდი სხვაობაა. ქვაჭარაში ასეთი რქის იარაღის აღმოჩენა შესაძლოა იმის მათუწყებელია, რომ ქვაჭარელი ადამიანი უკვე ეჭიდება მიწას მისი დამუშავების მიზნით. ე. ი. სავარაუდოა, რომ რქის იარაღი განეკუთვნება იმ დროის შრომის პროცესს, როდესაც ფეხს იკიდებს მიწათმოქმედება.

ამრიგად, ქვაჭარის კომპლექსში ზედა პალეოლითისაგან განსხვავებული ზემოთ ჩამოთვლილ იარაღთა ახალი ტიპების არსებობა და ძვლის ნაკეთობათა ტიპოლოგიური შემადგენლობა საშუალებას იძლევა ქვაჭარის ქრონოლოგიური ასაკი ადრე მეზოლითით განისაზღვროს¹⁶.

ქვაჭარის მღვიმეში აღმოჩენილი ძვლის ხელშუბისპირების შედარებითი სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ აქ ძირითადად მონადირენი ბინადრობდნენ;

¹⁶ ლ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, 1973, გვ. 70.

ამასვე ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ კაცის იარაღთა ტიპოლოგიური შემადგენლობა და მეოთხეულის ცხოველთა მრავალი ნაშთი (1345 ერთეული). პალეონტოლოგმა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა აქ დაადგინა მეოთხეული ფაუნის შემდეგი სახეები: გამოქვაბულის დათვი (*Ursus spelaeus* Rosenm), წაბლისფერი დათვი (*Ursus arctos* L.), ჯიქი (*Felis pardus* L.), მელა (*Vulpes vulpes* L.), მგელი (*Canis lupus* L.), ვეფხვი (*Panthera tigris* L.), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus* L.?), კავკასიის ჯიხვი (*Capra Caucasica* Guld.), ნიაბორი (*Carpa Severtzovi* Menzb), შველი (*Capreolus capreolus* L.), გარეული ცხვარი (მუფლონი) — (*Ovis c. ophion* BL.), ომანა (*Cricetus cricetus* L.).

ქვაპარის ძვლოვანი მასალის განსაზღვრასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნამარხი ადამიანის (*Homo sapiens*) ორი ქვედა ყბის აღმოჩენა¹⁷ (სურ. 23).

ამრიგად, ქვაპარის მეზოლითურ სადგომში ნაპოვნ ცხოველთა ძვლების მეტი ნაწილი თანამედროვე ფაუნის წარმომადგენელია გამოქვაბულის დათვის გამოკლებით და გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და კლიმატურ ვითარებაზე, რომელიც არსებულა მეზოლითში¹⁸.

ჯ ა მ პ ა ლ ი ს ე ხ ი მდებარეობს კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მდ. ანტყელისა და ჯამპალის შესაყარიდან 230 მ-ის დაშორებით. ეხი გამომუშავებულია კირქვის მასივში, ხეობის მარცხენა ნაპირზე, მდინარის დონიდან 60 მ სიმაღლეზე. ზღვის დონიდან 300 მ-ზე. ეხის სიგანე 6,20 მ-ია, სიგრძე — 4 მ, შესასვლელთან სიმაღლე 2,30 მ-ს უდრის. სიღრმეში კი მისი სიმაღლე თანდათანობით მცირდება და 60 მ-მდე დადის. შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარესაა მიმართული (სურ. 24).

ჯამპალის ეხს მიაკვლია შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1966 წ. (ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი). 1967 წ. ეხი მთლიანად გათხარა და შეისწავლა ლ. წერეთელმა¹⁹.

გათხრილ ფართობზე (26 მ²) ფენათა განლაგების სტრატეგრაფიული კრილი შემდეგია (ნახ. 120, ნახ. 121—2):

1. ჰ უ მ უ ს ი — მოშავო-მონაცრისფრო თიხები, ღორღის სუსტი ჩანართით, მცირე რაოდენობით არქეოლოგიური ნაშთების შემცველი, სისქე 81 სმ.
2. მოშავო-მონაცრისფრო ფენა კირის ღორღით შემკვრივებული. ამ ფენამ მოგვცა ძირითადი მეზოლითური მასალა, სიმძლავრე 10—15 სმ.
3. დედაქანი კირქვის.

მეზოლითური მასალა ძირითადად თავმოყრილი იყო შესასვლელთან, ცენტრალურ ნაწილში და, აგრეთვე, კერის მიდამოებში.

¹⁷ განსაზღვრა პალეონტოლოგმა ლ. ვაბუნამ.

¹⁸ ლ. წერეთელი, ზოგიერთი ოსტეოლოგიური ნაშთების შესახებ. მაცნე, თბ., 1969.

¹⁹ ლ. წერეთელი, კიდევ ერთი მეზოლითური ძველი საქართველოს ზღვისპირეთში. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. VI, თბ., 1974.

ჯამალის ეხში მოპოვებული მასალა სულ 390 ერთეულს შეადგენს (ნახ. 122,1—31), აქედან 66 ცალი ცხოველთა ძვლების ფრაგმენტებს განეკუთვნება. აღმოჩენილი მცირერიცხოვანი ნაშთების საფუძველზე და თვით ეხის მცირე მოცულობის გამო დგინდება, რომ იგი მუდმივ საცხოვრებლად მოუხერხებელი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ეხი დროებით სადგომს წარმოადგენდა.

ჯამალის ეხში გვხვდება სხვადასხვა სახის, ზომისა და ფორმის ანატკეც-ანამტკრევეები 159 ც. — მთელი მასალის 49,1%; ზოგიერთ მათგანს ეტყობა გამოყენების კვალი. მასალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სხვადასხვა სახის ურეტუშო ლამელები 105 ც. — 32,4%. ლამელათა უმრავლესობა თავგადამტკრეულია. ნუკლეუსები სულ 3 ცალია — 0,9%. ესაა კონუსური და პრიზმული ნუკლეუსები, ჰორიზონტალური დარტყმის მოედნით. მათი სიმაღლე 2—3 სმ-ს შორის მერყეობს.

კეის იარაღთა შორის ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს საფხეკებს — 35 ც. (10,8%). ეს იარაღები ძირითადად დამზადებულია მიკროანატკეცებზე. ასევე გვხვდება საფხეკები ლამელის ბოლოზე დამზადებული. ლამელებს გვერდებიც დამუშავებული აქვს. ეხში 5 ც. — 1,5% საქრისია, ისინი უმეტესად ლამელისებური ანატკეცების ბოლოებზეა დამზადებული, აქედან ერთი მრავალფაცეტიანია. კოლექციაში სულ 6 ცალი — 1,9% სახვრეტია, ექვსივე ანატკეცზე დამზადებული. ჯამელის ეხში გვხვდება გეომეტრიული მოყვანილობის მიკროიარაღებიც: — სეგმენტი 1 ც. (0,3%) და ტრაპეცია 3 ც. (0,9%). გვერდებდაბლაგვებული მიკროლამელა მხოლოდ ოთხი ცალია — 1,2%, მათი ზომები 2—4 სმ-ს შორის მერყეობს. აქვე არის თავირიბრეტუშირებული ლამელა — 1 ც. და 1 ცალი ძვლის სადგისი. ჯამალში არ არის დიდ ანატკეცებზე დამზადებული იარაღები, ისეთები როგორც ქვაჭარაში გვხვდება, იარაღები. მკროლითურია, მატულობს მიკროანატკეცებზე და ლამელათა ბოლოებზე დამზადებულ საფხეკთა რაოდენობა (27 ც.). სეგმენტთა ფორმები უფრო დახვეწილია, ჩნდება ტრაპეციები, რომლებიც საქართველოს ადრემეზოლითური ეპოქის შესატყვის ძეგლებში არ ჩანს. ჯამალის ეხში არქეოლოგიურ იარაღებთან ერთად გვხვდება ფაუნისტური მასალა. პალეონტოლოგმა ა. ვეკუამ დაადგინა ცხოველთა შემდეგი სახეები: კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus L.*), მურა სათვი (*Ursus arctos L.*), გარეული ღორი (*Sus scrofa*).

ჯამალის ეხში აღმოჩენილი ფაუნის შემადგენლობა ძირითადად თანამედროვე ცხოველთა სახეობას იმეორებს.

როგორც მასალის აღწერამ დაგვანახა, ჯამალის ეხში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანის კულტურა განვითარებული მიკროლითური ინდუსტრიის მატარებელია. ამავე დროს მთელი კომპლექსის ტექნიკურ ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით ჯამალის ეხის ასაკი განვითარებული მეზოლითით განისაზღვრება²⁰.

²⁰ ლ. წ ე რ თ ე ლ ი, მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში. თბ., 1973, გვ. 106.

ზურტაკეტის ეხი. მდებარეობს სოფ. ყარაბულაღში (დმანისის. რ-ნი), მდ. ყარაბულაღის მარჯვენა ნაპირზე. სადგომი გაჭრილია დოლერიტებში, რომლებიც სამ ტერასად მიუყვებიან მდინარის ნაპირს. ამ დოლერიტულ-ტერასაზე მცირე სიმძლავრის (50-ოდე სმ) ტბური ნალექებია მოქცეული. სადგომი მდებარეობდა პირველ ჭალისზედა ტერასაზე, რომელიც ახლა უკვე დანგრეული კლდოვანი ეხის ძირს წარმოადგენს.

1945 წელს გეომორფოლოგიური დაკვირვებების დროს ეს ძეგლი აღმოაჩინა ლ. მარუაშვილი და იგი მუსტიერული ეპოქით დაათარიღა²¹. აღნიშნულ დათარიღებას კრიტიკულად მიუდგნენ ს. ზამიატინი, ნ. ბერძენიშვილი და დ. თუშაბრამიშვილი, რომლებმაც უფრო დასაბუთებულად სცნეს ზურტაკეტის მეზოლითური ხანისათვის მიკუთვნება²².

ზურტაკეტის სტრატეგრაფიული პირობების გარკვევისა და გეგმაზომიერად გათხრის მიზნით ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა 1966—1967 წლებში მოაწყო ექსპედიცია ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. ძეგლი უშუალოდ გათხარა და მონოგრაფიულად შეისწავლა მ. გაბუნია²³.

გათხრების შედეგად სტრატეგრაფიულ ჭრილში გამოჩნდა 6 ლითოლოგიური შრე, რომელთაგან მესამე — მოწითალო ფერის გამკვრივებული, ოდნავ თხანარევი ქვიშების შრე, სიმძლავრით 43—80 სმ, წარმოადგენს კულტურულ ფენას (ნახ. 121—1). იგი 386 ერთეულ ქვის ნაწარმს შეიცავს. აქედან 365 ც. — 94,5% სხვადასხვა სახის ლამელები და წარმოების ნაშთებია და 21 ც. — 5,4% დასრულებული იარაღი. ქვის ნაწარმის უმეტესი ნაწილი შავი ფერის ობსიდიანისაა. მხოლოდ 8 ცალია წითელძარღვიანი ობსიდიანისაგან (2%), 9 სხვადასხვა ფერის კაქისა (2,3%), 4 ეგზემპლარი ბაზალტის (1%), 1 რქეულას ჭიშის ქვისაგან (0,2%).

ზურტაკეტში 15 ცალი ნუკლეუსია. ესაა პრიზმული (6 ც.), კონუსური (2 ც.), ბრტყელი (4 ც.) და მიღუული (3 ც.). ყველა ნუკლეუსი მცირე ზომისაა, აქვთ ჰორიზონტალური და ორიოდ შემთხვევაში დაქანებული დარტყმის მოედანი.

ყველაზე დიდი სერიითაა ამ სადგომში წარმოდგენილი ლამელები. მათი რაოდენობა 162 ეგზემპლარს შეიცავს — მთელი კომპლექსის 42%, ესაა

²¹ Л. И. Маруашвили. Зуртакетская палеолитическая стоянка в Южной Грузии и ее геологическое значение «Природы» № 12, 1946.

²² С. Н. Замятин. О возникновении локальных различий в культуре палеолитического периода. Труды Института этнографии. Новая серия, 1951, т. XVI; დ. თუშაბრამიშვილი. ქვემო ქართლის პალეოლოგიური ექსპედიციის ქვის ხანის რაზმის დღიურები, 1962; ნ. ბერძენიშვილი. ხრამის ხეობის პალეოლითური ძეგლები. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, 1963.

²³ მ. გაბუნია, თრიალეთის მეზოლითური კულტურა, თბ., 1976.

დაკბილული და გვერდამოღარული (12 ც.), თავირბრეტუშიანი (1 ც.), 44 ცალი უსწორმასწორო ურეტუში ლამელა. ჩამოთვლილი ლამელების ზომები ვარიირებენ — სიგრძე 3 და 4,5 სმ-ს შორის, სიგანე 1 და 1,3 სმ შორის. აქვეა ხუთი ცალი მოზრდილი, 5—7 სმ სიგრძის და 1,8—2 სმ სიგანის ლამელა.

კოლექციაში მიკროლამელები 70 ეგზემპლართაა წარმოდგენილი, მთელი ლამელების 43,20%. აქედან 29 ც. რეტუშიანია — 9 ცალს აქვს ფაქიზი რეტუში ცალ გვერდზე, ხოლო 20 ცალს კი დამაბლაგეებელი, რომელიც ხშირად გასდევს ლამელის გვერდს და ლამელის მომრგვალებულ ბოლოსაც.

ანატექც-ანამტერევი 96 ცალია.

ზურტაკეტის იარაღთა ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენენ საფხეკები — 12 ც. (57%), 9 საფხეკი დამზადებულია მიკროლითურ ანატექცზე. სჭარბობენ თავირბრეტუშიანი საფხეკეები. სამუშაო პირი მათ გამოყვანილი აქვთ ფართო ციკაბო რეტუშით. არის გვერდის საფხეკეც (1 ც.), ნუკლეუს-საფხეკეც (1 ც.) და მარაოსებური საფხეკეც (1 ც.).

საჭრისები 2 ცალია — 9,5%, ერთი საფხეკე-საჭრისის ჩათვლით, რომელიც მცირე ზომის ანამტერევეზეა დამზადებული და მეორე მარტივი კუთხის საჭრისისა ვაკეთებული მცირე ზომის ლამელაზე.

ზურტაკეტის მასალაში წარმოდგენილია ასევე ორი სახვრეტი, ორივე ლამელაზე დამზადებული.

გეომეტრიული იარაღებიდან მხოლოდ ერთი ტრაპეციაა. აქვე გვხვდება ორი ცალი ხოწი (ნახ. 123. 1—32).

ამგვარად, ზურტაკეტის სადგომი თავისი ქვის ინვენტარის ხასიათის მიხედვით სეზონურ სადგომს წარმოადგენს.

თავისი ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნებითა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე იგი მეზოლითური ეპოქის შუა საფეხურს განეკუთვნება.

ზურტაკეტის ნაბინარში ძუძუმწოვრების შედარებით ღარიბი, მაგრამ საკმაოდ მრავალფეროვანი ფაუნა, დაწვრილებით შეისწავლეს ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩმა და ო. ბენდუქიძემ. ამის შედეგად ფაუნის შემადგენლობაში დადგენილია შემდეგი სახეობანი: გარეული ცხენი (*Equus caballus* L.), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral* Ogilby), ბიზონი (*Bison of bonasus* L.), კავკასიის ჯიხვი (*Carpa cylindricornis* Blith?), მუფლონი (*Ovis cf. ophion* Blyth?), კულანი (*Equus of. hemionus*), გარეული ცხენი (*Equus of. Przewalskii* Pol), კურდღელი (*Lepus europaeus*), მემინდვრია (*Arvicola aff. arvalis* vall.), მეჭვიშა (*Meriones* sp.), ყურბიანი ზღარბი (*Hemiochinus auritus calligoni* Sat.).

ძუძუმწოვრების გარდა ზურტაკეტიდან აღინიშნა კიდევ სამი ფრინველი: ჩიბისი (*Vanellus vanellus* L.), იხვი კულსადგისა (*Anas acuta* L.) და კაკაბი (*Alectorius kakelik* Falc.).

ამ ფაუნისტურ კომპლექსს, როგორც ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩი და ო. ბენდუქიძე ასკენიან, შუალედური ადგილი უჭირავს გვიანი პალეოლითისა და

ნეოლითის ფუნას შორის. აქ წარმოდგენილია ორი ეკოლოგიური დაჯგუფება, რომელთა შორის აშკარად სპარბობს სტეპებისა და ტყიანი სტეპების ბინადართა ნაშთები²⁴.

ცივი მღვიმე მდებარეობს გულრიფშის რაიონში, ბაგადის მთის დაბლობზე, კოდორის ხეობის მარჯვენა ნაპირზე, მდ. კოდორისა და ჯამბალას შესართავთან, მდ. დონიდან 55—60 მ-ის სიმაღლეზე. მღვიმე გამომუშავებულია ცარცის მასიურ ვადაკრისტალურ კვარციან კირქვებში. მღვიმის სიგანე შესასვლელთან — 9 მ-ს აღწევს, სიღრმეში კი თანდათანობით მცირდება.

ცივი მღვიმე აღმოაჩინა 1959 წელს დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლ. სოლოვიოვი. 1960—61 წლებში მანვე ჩაატარა აქ არქეოლოგიური გათხრები (ნახ. 124)²⁵.

მღვიმეში ლ. სოლოვიოვმა დაადგინა სამი კულტურული ფენა — ზედა პალეოლითი, მეზოლითი და ნეოლითი (ნახ. 125).

II ფენას ავტორი ლითოლოგიურად ყოფს სამ ჰორიზონტად B₁, B₂, B₃. ამ ჰორიზონტებში გვხვდება ძვლის ჭვილთები დამზადებული ბრტყელ საკმარად სქელ ძვლის ლეროზე, რომელთა ზედაპირიც ორივე მხრივ მშვენიერადაა დამუშავებული და შემკულია სიგრივ ამოკაწრული სწორი ხაზებით. კბილანები განლაგებულია ლეროს ორივე გვერდზე; ბოლო ნაწილში კი საკმარად დიდი ნახვრეტი აქვს. აღსანიშნავია, რომ აქ აღმოჩენილი ჭვილთები საერთოდ საკმარად კარგადაა დამუშავებული და ნაკლებად დაზიანებულიცაა. ყურადღებას იპყრობს სახვრეტი, დამზადებული მცირე ზომის გრავეტისნაირ იარაღზე და თვით გრავეტისნაირი წვეტანები; ბევრია კუთხის საჭრისი. ამავე ფენაშია შალალი ფორმის სეგმენტები და ერთი-ორი ცალი გვერდრეტუშირებული ლამელა. არის მცირე ზომის ურეტუშო ლამელებიც. აღსანიშნავია, რომ მეტად თავისებურ ჯგუფს ქმნის რიყის ქვისაგან ატკეცილი ლამელები. ზემოთ აღნიშნულ იარაღებთან ერთად ჩნდება ტრაპეციები. აღნიშნული ფენა ა. ფორმოზოვმა²⁶ და თვით სოლოვიოვმა²⁷ დაათარიღეს გვიანი მეზოლითით (ნახ. 124 ბ 1—14).

ფაუნისტური ნაშთებიდან აქ აღმოჩენილია კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral* Ogibly), გარეული თხა (*Capra* sp.), ქურციკი (*Capreolus*

²⁴ Н. И. Бурчак-Абрамович, О. Г. Бендукидзе. Фауна эппалеолитической стоянки Зуртакети. Сообщения АН ГССР, 55, № 3, 1963.

²⁵ Л. Н. Соловьев. Об итогах археологических раскопок в гроте Хушышпшаха в 1960 г. Тр. Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулна, вып. XXXII, Сухуми, 1961.

²⁶ А. А. Формозов. Из истории передвижений групп первобытного человека в эпоху мезолита, СА, № 4, 1963, с. 171.

²⁷ Л. Н. Соловьев. დასახ. ნაშრომი, 1960, გვ. 191—195.

capreolus), გარეული ღორი (*Sus scrofa ferrus*), მგელი (*Canis lupus*), მელა (*Vulpes vulpes L.*), ჯირანი (*Gazella sp.*), კურდღელი (*Lepus europaeus L.*), მურა დათვი (*Ursus arctos L.*), ბევრია თევზის (ორაგული) ძვლის ფრაგმენტი.

ამ ძეგლზე აღმოჩენილი ქვისა და ძვლის იარაღის ხასიათი და ფაუნის-ტური ნაშთები აშკარად მეტყველებს, რომ მისი მეურნეობის წამყვან დარგს მონადირეობასთან ერთად მეთევზეობა წარმოადგენდა.

დარკვეთის ეხი მდებარეობს ქიათურის რაიონში, მდ. ყვირილის მარცხენა პირველ კალისზედა ტერასაზე, კანონისებური ხეობის კირქვის მასივში, მდინარის თანამედროვე დონიდან 5 მ სიმაღლეზე. შესასვლელი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (სურ. 25).

1968—72 წწ. ეს სადგომი გათხარა და შეისწავლა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ლ. ნებიერიძემ, რომელიც დარკვეთის რაზმს ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელმძღვანელი დ. თუმბრაშიშვილი)²⁸.

დარკვეთის ეხის ყველაზე ადრეულ ფენას (ზევიდან V ფენა) ავტორი გვიან მეზოლითს მიაკუთვნებს. იგი მდებარეობს 0-ის ხაზიდან 2,10 მ სიღრმეზე. უშუალოდ 1 მ სისქის ღორლიანი (სტერილური) ფენის ქვეშ, რომელზედაც ალაგ-ალაგ დიდი ლოდები იყო ჩამოწოლილი. სტრუქტურულად ეს ფენა წარმოადგენდა დაახლოებით 30—33 სმ სისქის სხვადასხვა სიმკვრივის ნაცროვან შრეს, რომელიც საკმაო რაოდენობით შეიცავდა კაჟისა და ობსიდიანის იარაღებს, წარმოების ნარჩენებს და ცხოველის ძვლებს (ნახ. 126).

დარკვეთის მეზოლითურ ფენაში აღმოჩენილი მასალა შეიცავს 287 ერთეულს, აქედან 68 ცალი დასრულებული იარაღია, დანარჩენი 219 ერთეული კი წარმოების ნარჩენს განეკუთვნება, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ანატეც-ანამტერევებითა და ნუკლეუსებით.

ეხში აღმოჩენილი მასალის ტიპოლოგიური შემადგენლობა შემდეგია: ნუკლეუსები — 4 ც. პრიზმისა და კონუსისებური ძალიან დახვეწილი ფორმის, ანატეცები — 15 ც., ლამელები — 222 ც., რომელთაგან 14 ნაწილობრივ რეტუსირებული მიკროლამელაა, გვხვდება აგრეთვე 4 ც. დაკბილული ლამელა და 4 ც. გვერდდაბლაგვეული. აქვეა ასიმეტრიული სამკუთხედები — 8 ც., ტრაპეციები — 2 ც., საფხეკები — 10 ც., საჭრისები — 17 ც., სახვრეტები — 2 ც., თითო-თითო ცალი სახოკი, კომბინირებული იარაღი, საჩეხი, საწაფი და სხვ. (ნახ. 127. 1—31).

ძვლის იარაღები ცოტაა (2 ც.) ისინი წარმოდგენილია ფრინველის ძვლისაგან დამზადებული სახვრეტ-სადგისითა და რქის გახეხილ-გაპრიალებული წვეტიანი იარაღით. მეხუთე ფენაში არსებული იარაღების ზოგიერთი ტიპი,

²⁸ ლ. ნებიერიძე. დარკვეთის შრავალფენიანი ეხი. თბ., 1978.

როგორცაა მოკლე ლამელისებურ ანატკეცებზე დამზადებული კიდურა საფხეკები, რიყის ქვის იარაღები — სანაყისა და შურდულის ქვის სახით, ზემოთ ჩამოთვლილ იარაღთა ტიპებთან ერთად ლ. ნებიერიძეს საშუალებას აძლევს ეს ფენა გვიანი მეზოლითით დაათარილოს²⁹.

ამავე ფენის თარიღისათვის საყურადღებო მასალებს იძლევა აგრეთვე აღმოჩენილი ფაუნა: კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral ogibli*), შველი (*Capreolus capreolus*), დათვი (*Ursus*), გარეული ტახი (*Sus scrofa ferrus*), გარეული თხა (*Capra sp.*), ყველაზე ღლი რაოდენობით აქ ნაპოვნია კეთილშობილი ირმის (*Cervus elaphus*), შელის (*Capreolus capreolus*) და გარეული ღორის (*Sus scrofa ferrus*) ძვლები. როგორც ჩანს, ცხოველთა ამ სახეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დარკვეთილი ადამიანის სამეურნეო ყოფაში³⁰.

ე ძ ა ნ ის ე ხ ი (ბარმაქსიზი) მდებარეობს დაბა წალკის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე. ეხი ხეობის ფუძიდან 20—25 მეტრის სიმაღლეზეა, ხოლო ზღვის დონიდან 1600 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს, მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სადგომის სიგანე 6—7 მეტრია, უდიდესი სიღრმე — 3 მ, სიმაღლე — 1 მეტრამდე (სურ. 26).

ეს სადგომი 1936 წ. აღმოაჩინა ბ. კუფტინმა. მეორე ზომის საღაზვერვო თხრილში მოპოვებული მასალიდან (10 000 ც.) მან მხოლოდ ოციოდე იარაღი გამოაქვეყნა და წინასწარულად ძეგლი მეზოლითური ასაკით დაათარილა³¹.

1963—64 წწ. ეძანის სტრატეგრაფიული პირობების გარკვევისა და გეგმაზომიერად გათხრის მიზნით ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხრამი ხეობის არქეოლოგურმა ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ჩაატარა სამუშაოები სადგომის ტერიტორიაზე. ძეგლი გათხარა და მონოგრაფიულად შეისწავლა მ. გაბუნიაშვილმა³².

არქეოლოგიურმა გათხრებმა ეძანში შრეთა შემდეგი თანმიმდევრობა გამოავლინა (ზემოდან ქვემოთ):

1. კორდოვანი ფენა 2—3 სმ სიმძლავრის;
2. მოშავო-მოყავისფრო თიხნარი, საკუთრივ კულტურული ფენა. მისი სიმძლავრე 20—40 სმ-ის ფარგლებში მერყეობს.

3. ვაღამწვარი, უთუოდ ვულკანური ლავის ნაკადთან კონტაქტის გამო, მოწითალო-მოყვითალო ფერის დედაქანი. სიმძლავრე 15—20 სმ (ნახ. 129).

ეძანის გათხრის შედეგად მოპოვებულ იქნა ქვის მეტად მრავალფეროვანი მასალა, რომელიც 21 628 ერთეულს შეადგენს.

მასალა ძირითადად ობსიდიანისაა — 93,3%, დანარჩენი კი კაყი და იასპია. 21 628 ერთეული ქვის მასალიდან მხოლოდ 1910 ცალია დასრულებული

²⁹ ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, 1978.

³⁰ Ibid.

³¹ Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, 1941, т. I.

³² მ. გაბუნია, პალეოლითური ნაშთები ეძანის გამოქვაბულიდან, „მაცნე“ № 5, თბ., 1964; მ. გაბუნია, თრიალეთის მეზოლითური კულტურა, თბ., 1976.

იარაღი (მთელი მასალის 8,78%) და 19 718 ცალი — წარმოების ნაშთია (91,1%). ეძანის ნუკლეუსებში (სულ 173 ც. წარმოების ნაშთების 0,87%) გამოიყოფა: პრიზმული (39 ც. — 24,2%), ფსევდოფანქრისებური (23 ც. — 13,2%), კონუსური (27 ც. — 4,6%), ბრტყელი (42 ც. — 24,2%), სოლისებური (11 ც. — 6,9%), დისკოსებური (8 ც. — 4,6%). ყველა ნუკლეუსი მცირე ზომისაა, მათი მეტი წილი — 23 ც. ორფუძიანია, 18 ც. ერთფუძიანი და 7 ც. სამფუძიანია. მოედნები უმეტესად დაქანებული აქვთ (ნახ. 129. 1—12).

ეძანის ქვის ინვენტარის ძირითად, ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს ლამელები შეადგენენ — 3778 ც. (17,46%). აქედან 3050 ც. (80,73%) რეტუშიანი, ხოლო 728 ც. (19,26%) ურეტუშო ლამელაა. რეტუშიან ლამელებში წამყვანია თავირბრეტუშიანი 146 ც. (4,78%), გვერდდაბლაგვეული 180 ც. (5,90%), გვერდრეტუშიანი ფაქიზი და შემღწევი რეტუშით 100 ც. (3,27%), დაკბილული 30 ც. (0,98%), გვერდ და თავამოღარული 61 ც. (2%). ჩამოთვლილ ლამელათა უმრავლესობა მცირე ზომისაა და მიკროლითური.

ურეტუშო 728 ლამელიდან 416 ცალი (57,14%) მიკროლითურია და 108 ც. (14,83%) მცირე და საშუალო ზომის (ნახ. 130.1—23, ნახ. 131. 1—3, 5—10, 18—24; ნახ. 132 1—5).

ეძანის იარაღებში 369 ცალი (19,31%) საფხეკია. მათგან ოვალურსამუშაოპირიანი 52,57%-ია, თავირბრეტუშიანი — 12,73%, თავსწორრეტუშიანი — 4,87%, თავამოღარული — 4,60%, მაღალი — 5,42%, მრგვალი — 4,06%. აქვეა 4,60% დვბლირებული და 3,52% ნუკლეუსისებური საფხეკი. დანარჩენი ტიპები — მარაოსებური, გვერდის, ნისკარტისებური — ერთეულების სახითაა წარმოდგენილი. საფხეკების უმეტესობა 186 ცალი (50,40%) ლამელებზეა დამზადებული, 95 ც. (25,74%) ანატკეცებზე, 51 ც. (13,82%) ლამელისებურ ანატკეცებზე, 13 ც. (3,52%) ნუკლეუსზე, 24 ც. (6,50%) ანამტკრეცზე (ნახ. 133. 1—19).

ეძანის ეხის საჭრისები 276 ერთეულს შეადგენს (მთელი იარაღების 14,45%). მათგან ჰარბობს სხვადასხვა სახის რეტუშით დამუშავებულ ლამელებზე დამზადებული საჭრისები (168 ც. — 60,85%), მეორე ადგილზეა ანატკეცებზე დამზადებული საჭრისები (79 ც. — 28,62%), საჭრისთა მცირე ნაწილი კი ანამტკრეცებზეა ნაკეთები (26 ც. — 9,42%), 2 ცალიც ასიმეტრიულ სამკუთხედზე და ერთი ნუკლეუსზე. საჭრისებში წამყვანია ირიბი — 25,72%, სწორი — 26,8% და კუთხის 19,92%; შუალა და ორმაგი საჭრისები ათ-ათ პროცენტს შეადგენს, ხოლო მრავალფაცეტიანი 7,24%-ია (ნახ. 131, 25, 26, 28; 133. 20—28).

ეძანის კოლექციაში 18 (0,94%) სეგმენტია, ძირითადად დაბალი და მოგძო მოყვანილობის. ტრაპეციები და ტრაპეციისებური ჩასართები 35 ცალი (1,83%). გეომეტრიული ფორმიებიდან წამყვანი ჩანს სამკუთხა ჩასართები — 356 ცალი, რომელთაგან 3 ც. ტოლფერდა სამკუთხედი (ნახ. 132. 27—28) და 353 ცალი (18,63%) კი ასიმეტრიული (ნახ. 131. 11—17; ნახ. 132. 29.—

32). აქვე გვაქვს ერთი ოთხკუთხა გეომეტრიული ფორმის ჩასართი — პარალელოგრამი (ნახ. 132. 26).

უნდა აღინიშნოს, ასევე, გრავეტიცებური და მიკროგრავეტიცებური წვეტანების (40 ც. — 29,0%), სახვრეტებისა და ბურღისებური იარაღების (57 ც. — 2,98%) არსებობა. აქვეა ოციოდე სხვადასხვა სახის ისრისპირი და შუბისპირისებური იარაღი (ნახ. 134. 1—21).

ეძანში წარმოდგენილია 57 ც. (2,98%) ხოწი და შემორჩენილია ნუკლეუს-იარაღებიც 16 ც. (0,83%) (ნახ. 131. 27. 29—31).

ამ სადგომის იარაღთა მნიშვნელოვანი ნაწილი ზურგის მხრიდანაა დამუშავებული, თუმცა ხშირია მუცლის მხრიდან დამუშავებული ლამელა-იარაღებიც. რეტუშის სახეებიდან წამყვანია დამაბლაგველები.

ეძანში გვაქვს ერთადერთი ძვლის იარაღი — ჯეირნის რქის რეტუშორი და რამდენიმე რიყის ქვის გრდემლი და ხელჩაქუჩი.

სხვადასხვა სახის ანატყე-ანამტვრევებისა და ქერცლისებური ანატყე-ცების სიჭარბე — 19 718 ცალი (91,1%) იმაზე მეტყველებს, რომ ეძანის ეხი ძირითადად სადგომ-სახელოსნოს წარმოადგენდა.

ეძანის კომპლექსის ტიპოლოგიურ-სტატისტიკური და შედარებითი ანალიზის საფუძველზე იგი განვითარებული მეზოლითით თარიღდება³³.

ეძანის ნაბინარი ღარიბია ძუძუმწოვრებით. პალეონტოლოგ ა. ვეკუას განსაზღვრით, აქ შემდეგი სახეობანი გვხვდება: კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), ჯეირანი (*Gazella sp.*), კნჯარი (*Equus hemionus*), ძროხა (*Bos sp.*), და გარეული ღორი (*Sus scrofa ferrus*).

მიუხედავად თავისი ფრამენტულობისა, ამ ფაუნის მიმოხილვა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მეზოლითურ დროს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში უმთავრესად ნახევრადსტეპური პირობები იყო გაბატონებული, მაგრამ ამასთან ერთად, საკმაოდ ყოფილა გავრცელებული მთისა და ჭალის ტყეები. შედარებით დაშორებულ ბიოტოპს წარმოადგენდა მალალმთიანი კლდოვანი ლანდშაფტი; ჰავე უნდა ყოფილიყო ზომიერად თბილი და შედარებით მშრალი.

ეძანის გარემოს აღდგენის ამგვარ ცდას მეტ-ნაკლებად ადასტურებს სპორებისა და მტვრის ანალიზის მონაცემები, ჩატარებული პალეობოტანიკოს ი. შატილოვას მიერ.

აფიანჩის მღვიმე მდებარეობს კოდორის აუზში (გულრიფშის რაიონი), სოფ. წებელდის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, მთა აფიანჩის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობის ძირზე, ზღვის დონიდან 455 მ სიმაღლეზე (სურ. 27). მღვიმე შექმნილია კირქვის მასივში. კირქვები გამარმარილოებულია, შეიცავს წვრილმარცვლოვან კალცის შრეებს და კაყის კონკრეციებს.

³³ მ. გაბუნია, დასახ. ნაშრომი, გვ. 57—68.

მღვიმე განვითარებულია ადაგუას მშრალი, დახშული დეპრესიული თეი-
ნებების მქონე ხევის მარჯვენა მხარეზე, ფსკერიდან დაახლოებით 5—10 მ
სიმაღლეზე³⁴.

მღვიმის შესასვლელი თალისებურია, დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლე-
თისაკენ. მისი სიმაღლე 15 მ-ს აღწევს, სიგანე 23 მ-ია, სიღრმე კი — 11 მ.

აფიანჩის მღვიმეს (კეპ-ბოლაზი) პირველად მიაკვლია 1940 წელს ლ. სო-
ლოვიოვმა და მცირეოდენი სადაზვერვო გათხრები მანვე ჩაატარა³⁵.

1975 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ
მღვიმეში კვლავ ჩაატარა გათხრითი სადაზვერვო სამუშაოები³⁶. არსებითად
ძველის შესწავლამ სისტემატური ხასიათი მიიღო 1978 წლიდან კოდორის ხეო-
ბის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ლ. წერეთ-
ლის ხელმძღვანელობით.

აფიანჩის მღვიმის ფართობი 276 მ²-ია. გათხრილია 68 მ²—6 მ სიღრმეზე.
იგი მრავალფენიანია და შეიცავს ნეოლითური, მეზოლითური, ადრე, შუა და
გვიან ზედაპალეოლითური და მუსტიეური ეპოქის შესატყვის მასალებს.

მეზოლითური, მეორე კულტურული ფენა შედგება ორი ლითოლოგიური
ჰორიზონტისაგან. I წარმოდგენილია ღია ყავისფერი თიხნარით — კირქვის
დაკუთხული ქვებისა და ერთეული ლოდების ჩანარებით, სუსტადაა შეცემენ-
ტებული, სიმძლავრე — 65—75 სმ; II ჰორიზონტი წარმოადგენს ღია ყავის-
ფერ თიხნარს, რომელიც დაკუთხულ ქვებს შეიცავს. ფენის შუა ნაწილში ნა-
ცრის თხელი ლინზებია სუსტად გამოხატული, რომელშიც ნახშირის წვრილი
მარცვლებია დაკროვილი. სიმძლავრე 35—40 სმ-ია.

მეზოლითის გვიანი საფეხურის ნაშთები აფიანჩაში უშუალოდ ადრენეო-
ლითური ფენის მომდევნო ქვედა შრეში აღმოჩნდა. ასეთი თანმიმდევრობითი
კავშირი ბუნებრივი ნალექებისა და არქეოლოგიური ნაშთებისა იმის მანიშნე-
ბელია, რომ მასალა მღვიმეში უძრავ მდგომარეობაში იყო შემონახული, რაც,
იავის მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია აფიანჩის ნაშთების ქრონოლოგიური
კლასიფიკაციისათვის (ნახ. 135).

აფიანჩის მღვიმის მეზოლითურ ფენაში აღმოჩენილია სხვადასხვა სახის
ქვის ნაწარმი 2593 ერთეულის ოდენობით. აქედან მხოლოდ 651 ცალია იარა-
ღი (მთელი მასალის 26%) და 1483 ცალი წარმოების ნაშთია, რომელთაგან
66,64%-ს ანატკეცები შეადგენენ და 5,12% პრიზმული და კონუსური ნუქ-
ლეუსები. ქვის ნაწარმის 31%-ს, ე. ი. 459 ც. შეადგენენ ლამელები და მათი
ფრაგმენტები (პროცენტი აღებულია წარმოების ნაშთებიდან). სწორ და მე-

³⁴ ე. წერეთელი, აფიანჩის მღვიმის გეოლოგიური თავისებურებანი.

³⁵ Л. Н. Соловьев. Верхнепалеолитическая стоянка грота Кеп-Богаз в Абха-
зии. В сб. «Пещеры Грузии», т. 7, Тбилиси, 1956.

³⁶ Н. З. Бёрдзенишвили, Л. Д. Церетели. Полевые археологические
исследования в 1975 г. Тбилиси, 1979.

ტად სიმეტრიულ ფორმებთან ერთად გვხვდება უხეში ასიმეტრიული ლამელებიც, ზოგიერთ მათგანზე შეიმჩნევა მთლიანი, ანუ ნაწილობრივი რეტეში. ლამელებში წამყვანია მიკროლითური ეგზემპლარები (329 ც. — 85,40%). კოლექციაში ჩანს მიკროანატექცებსა და ლამელებზე დამზადებული საფხეკები (45 ც. — 1,74%), რომელთა შორისაც განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მეზოლითური ეპოქისათვის დამახასიათებელი მცირე ზომის თავიბრეტე-შირებული საფხეკები (16 ც. — 0,67%). საჭრისთა შორის (23 ც. — 0,89%) უძეტესობა კუთხისაა. ყურადღებას იპყრობს სახერტები (10 ც. — 0,39%), დამზადებული პატარა კარგად გამოყვანილ ანატექცებზე. გვხვდება ძვლის იარაღები: საღვსები (11 ც. — 0,42%), საპრიალებელი, ლულოვანი ძვლის ფრაგმენტზე დამზადებული გახვრეტილი ნივთი, შესაძლებელია, გულსაკიდად გამოიყენებოდა. ძეგლის თარიღისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს აქ მოპოვებული მოგრძო სახის გეომეტრიული ფორმის იარაღები: სეგმენტები (18 ც. — 0,69%), ასიმეტრიული სამკუთხედები (2 ც.—0,07%) და ორგვერდ-დამუშავებული ტრაპეციები (6 ც. — 23%), აქვეა წარმოდგენილი რიყის ქვის იარაღები და მათი ანატერევე-ანატექცები (47 ც. — 1,8%).

აფიანჩის მღვიმის მეორე კულტურულ ფენაში (II და III ჰორიზ.) აღმოჩენილი იარაღები (სეგმენტები და ტრაპეციები) ძირითადად დამახასიათებელია გვიანი მეზოლითური ეპოქის შესატყვისი ძეგლებისათვის³⁷ (ნახ. 136. 1—30). ამ თარიღს კიდევ უფრო ნათელს ხდის აქ არსებული გეომეტრიული ფორმის იარაღთა ტიპობრივ-რაოდენობრივი შეფარდება. კლბულობს სამკუთხედების საერთო რაოდენობა და მატულობს ტრაპეციები, მკვეთრადაა გამოხატული იარაღთა მიკროლითური ხასიათი.

აფიანჩის მღვიმის მეზოლითური ფენა კაქის ინვენტართან ერთად შეიცავდა პალეონტოლოგიურ ნაშთებსაც. მოპოვებული მასალა დაკავშირებულია იქ მცხოვრებ ადამიანთა საქმიანობასთან. ძირითადად აქ თბილი და ზომიერი ჰავისთვის დამახასიათებელი ცხოველთა ნაშთებია აღმოჩენილი. მასალის უმეტესი ნაწილი ძუძუმწოვრებს განეკუთვნება: კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), გარეული ტახი (*Sus scrofa ferrus*), მურა რათვი (*Ursus arctos*), შველი (*Capreolus capreolus*), და სხვ. ძვალი ძლიერ ფრაგმენტალურია, ჰარბობს გარეული ტახის ძვლის გრაგმენტები. ფრინველთაგან აღსანიშნავია: გარეული მტრედი (*Columba palumbus*). ჩვეულებრივი კირკიტა (*Cerchneis tinnunculus* L.), თფრკულა ყურბი (*Habiaetus ablicibla* L.), ჭობტი (*Bobo burbo* L.), და კავკასიური როჭო (*Lururus mbokosiemuczi* Czcz) (ფაუნა განსაზღვრა პალეონტოლოგმა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა).

აქ აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ფაუნისტური მასალის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მონადირეობა მათთვის საარსებო საშუალებათა მოპოვების

37. Д. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская, Е. Куренкова. Много-слойный памятник Аппача (Абхазия). Четвертичная система Грузии. Тбилиси, 1982.

ერთ-ერთი წყაროა. ამავე ძეგლზე მოპოვებული ძვლის ქვილით, ასიმეტრიული სამკუთხედები, დაბოლოს თევზის მრავალი ძვალი (ორაგული, კალმახი, წვერა) ნათელყოფენ, რომ მათ სამეურნეო ყოფაში მონადირეობასთან ერთად მეთევზეობასაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა³⁸.

ს ე ლ ო და ჯერმუხის ლია საღვომებს მიაკვლია ალ. კალანდაძემ 1952 წ³⁹. ძეგლები მდებარეობენ შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ჯერმუხისა და სელოს მთები წარმოდგენენ სურამის ქედის სამხრეთ ფერდის განშტოებას, მდ. ლიანვისა და აღმოსავლეთ ფრონეს წყალგამყოფი ქედის ამაღლებულ უბნებს. მათგან ჯერმუხის ქედის აბსოლუტური მაჩვენებლები 1687 მ-ს აღწევს, ხოლო მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით 9 კმ-ის დაშორებით სელოს ქედის ჰიფსომეტრიული მაჩვენებელი 1129 მეტრამდე დაბლდება.

ჯერმუხისა და სელოს მთაზე მოპოვებული მასალები (117 ერთეული) წარმოდგენილია სხვადასხვა სახის იარაღებით, მათი ნამუშალებით და წარმოების ნარჩენებით.

საიარაღე მასალად ძირითადად გამოყენებულია თეთრი ან შავი, უფრო მეტად კი ვარდისფერი კაჟი, რომლითაც მდიდარია შუა კავკასიონის სამხრეთ კალთები. ერთეულების სახით გვხვდება ობსიდიანიც⁴⁰.

სელოსა და ჯერმუხში აღმოჩენილი მასალის ტიპოლოგიური შემადგენლობა შემდეგია: ნუკლეუსები — 5 ც., ესაა ძირითადად ბრტყელი (3 ც.) და პრიზმისებური (2 ც.) მცირე ზომის ნუკლეუსები. არის სხვადასხვა ფორმის ანამტერე-ანატყეცები — 72 ცალი, რომელთაგან ზოგიერთს შერჩენილი აქვს დარტყმის ბურცობი. ლამელები 20 ეგზემპლართაა წარმოდგენილი, აქედან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გვერდამოღარული და დაკბილული ლამელები (ნახ. 137. 1—23).

სელოსა და ჯერმუხის მთაზე აღმოჩენილ მასალებში არის საჭრისებიც (3 ც.), რომელთაგან ერთი ცალი თავირიბრეტუშიან ანატყეცზეა დამზადებული. საფხეკების უმეტესობაც (სულ 12 ც.) სწორ ან თავგვერდამოღარულ ანატყეცებზეა დამზადებული. იარაღები უპირატესად მუცლის მხრიდანაა დამუშავებული დამრეცი მსხვილფაცეტისანი რეტუშით. გეომეტრიული ფორმებიდან გვხვდება თითო სეგმენტი, ლეკალო და ტოლფერდა სამკუთხედი. აღმოჩენილი მასალა ძირითადად ერთგვაროვანია და თავისებური, რაც გამოიხატა მცირე

³⁸ აფიანის მღვიმე ჯერ გათხრის და შესწავლის პროცესშია (გათხარია ფართობის მხოლოდ მესამედი ნაწილი), ამიტომ აქ მოტანილი წარმოების ნაშთების და იარაღთა პროცენტული მონაცემები არაა სრული და საბოლოო.

³⁹ ალ. კალანდაძე, სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1952, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1952 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა ძეგლის შედეგებისადმი. თეზისები, 1953, გვ. 8—9.

⁴⁰ В. П. Л ю б и н. Первые сведения о мезолите горного Кавказа. ავტორი სელოს მოიხსენიებს როგორც ძარას. სინამდვილეში სელო მთის სახელწოდებაა, ხოლო ძარა კი სოფლისა, რომელსაც ეს მთა ეკუთვნის. ამიტომ მართებულად მიგვაჩნია ლიტერატურაში იგი დარჩეს სელოს სახელწოდებით, ისე როგორც ეს აქვს ალ. კალანდაძეს.

ზომის უფორმო ანატექცების განსაკუთრებით ფართო გამოყენებაში. ესაა ძირითადად განიერფაცეტისანი რეტუშით ამოღარული იარაღები. ეს თავისებურება მათ განასხვავებს საქართველოს სხვა ცნობილ მეზოლითური ძეგლებისაგან და აახლოვებს ჩრდილოეთ კავკასიის სადგომებთან ფიჭიჩინსა და ნაგუთნისთან. მიუხედავად ამ თავისებურებებისა, საერთო ტიპოლოგიური შემადგენლობითა და ტექნიკური ნიშნებით იგი მეზოლითის დასასრულზე მივითითებს⁴¹.

როგორც ამ მიმოხილვიდან ჩანს, აღრეული ჯგუფის ძეგლებისათვის დამახასიათებელია გრავეტისნაირი იარაღების ფართო გავრცელება: ქახათი, საგვარჯილე, წონა, ქვედი, ქვაჭარა, იაშთხვა, განსაკუთრებით ბევრი ჩანს ამ ტიპის იარაღი საგვარჯილესა და ქვაჭარაში. ასევე ხშირია აღნიშნულ კომპლექსებში გვერდობლაგული ლამელები და მიკროლამელები; გავრცელებულია სხვადასხვა ტიპის სახვრეტები და მიკროსახვრეტები (ქვაჭარა, იაშთხვა, ქვედი, საგვარჯილე). საფხეკების გავრცელებულ ფორმებთან ერთად, ერთეულების სახით გვხვდება მრგვალი მიკროსაფხეკებიც (თუმცა მომდევნო ეპოქის მრგვალი მიკროსაფხეკებისაგან ჯერ კიდევ განსხვავებული). საკმაოდაა დაკბილული ლამელები. ლამელებში დიდი ადგილი უჭირავთ ურეტუშო. ბასრგვერდებიან მიკროლამელებს, ადგილი აქვს ისრისწვერების მრავალფეროვნებას და ზედა პალეოლითთან შედარებით ფორმათა სრულყოფას. გეომეტრიული ფორმის მიკროლითები ცოტაა. ისინი წარმოდგენილია ასიმეტრიული სამკუთხედებით (ქახათი, საგვარჯილე, წონა, ქვაჭარა) და დაბალი მოგრძო სეგმენტებით (საგვარჯილე, ქახათი, ქვაჭარა). ტრაპეციები არც ერთი სადგომში არ გვხვდება, თუმცა ქვაჭარასა და წონაში არის ისეთი თავბოლო და ცალგვერდობლაგული მიკროლამელები (სწორკუთხედები); რომლებიც ტრაპეციების პროტოტიპებად შეიძლება ჩაითვალოს⁴² (ნახ. 118. 23—26). აქვეა რიყის ქვის იარაღები (გრდემლები, ხელჩაქუჩები). ნუკლეუსებიდან გავრცელებულია ბრტყელი, პრიზმულკონუსური.

ყველა ჩამოთვლილ ძეგლს კიდევ ის აერთიანებს, რომ ქვის დამუშავების ტექნიკაში მიკროლიტიზაციის ტენდენცია აქ უფრო აშკარად ვლინდება, ვიდრე გვიანი პალეოლითის მიწურულს. ამ უკანასკნელთან განსაკუთრებული მსგავსება ჩანს გვერდრეტუშიანი ლამელების დამუშავებაში, რომელთა მნიშვნელოვან წილს გვერდზე ფაქიზი, მძივისებური რეტუში დაუყვება. აქ ჩამოთვლილ იარაღთა ცალკეული ტიპი ზედაპალეოლითურ კომპლექსებთან შე-

⁴¹ ალ. კალანდაძე, ლ. წერეთელი. საქართველოს შუამოიანეთის ზოგიერთი მეზოლითური ძეგლი. საიუბილეო კრებული ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი.

⁴² ლ. წერეთელი. მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, 1937, გვ. 105. მიძღვნილი. თბ., 1976; В. П. Любин. Первые сведения о мезолите Горного Кавказа (Осетия). У истоков древних культур. Эпоха мезолита. М.—Л., 1966.

დარებით (დევისხვრელი, საკაჟია, მღვიმევი, გვარჯილას კლდე) უფრო დახვეწილია და განვითარებული, ხოლო ზოგი ისეთი ფორმა, რომელიც მრავლად გვხვდება ზედა პალეოლითში — მაღალი საფხეკები, მრავალფუტეტიანი საკრისები, შალაშინები. სათლევები, ნუკლეუს-იარაღები, შატელპერონის ტიპის დანები (ეს უკანასკნელი საერთოდ ნაკლებადაა დამახასიათებელი საქართველოს ძეგლებისათვის) მცირე რაოდენობით გვხვდება, ან სულ ქრება.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი ძეგლების კავშირი ზედაპალეოლითურ კომპლექსებთან, მიუხედავად მათი ტიპოლოგიურ, რაოდენობრივ და ტექნიკურ ნიშნებში განსხვავებისა, მაინც საკმაოდ აშკარაა. ყოველივე ეს მეტყველებს ამ სადგომთა ქრონოლოგიურ სიახლოვეზე გვიან ზედაპალეოლითურ ძეგლებთან და მათი მეზოლითური ეპოქის ადრეული საფეხურით დათარიღების შესაძლებლობაზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ქრონოლოგიური ჯგუფის ძეგლებისათვის დამახასიათებელია ძვლის იარაღების შედარებითი სიჭარბე — საკმაოდ ხშირია ძვლის ღარიანი შუბისპირები, სადგისები, საპრიალებლები, ხელშუბის პირები. განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს ჭეიხანის რქის ნიჭბისნაირი (მიწის საჩიქნი) იარაღის აღმოჩენა ქვაპარაში (ნახ. 119. 13). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი განსხვავდება ფორმით და ზომით საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ზედაპალეოლითურ სადგომებში მოპოვებული რქის იარაღებისაგან (დევის ხვრელი, საკაჟია, საგვარჯილე)⁴³.

მომდევნო საფეხურზე მეზოლითურ კომპლექსებში უკვე შეინიშნება მიკროტექნიკის როლის შემდგომი ზრდა. იარაღები კიდევ უფრო მცირე ზომის ხდება და მათი შეფარდებითი რიცხვიც მატულობს. გვხვდება მიკროსაფხეკებ-ლაშელისებური ანატექციების ბოლოზე, ანატექციებზე დამზადებული. ნუკლეუსები მიკროლითურია, ძირითადად პრიზმული, კონუსური, ბრტყელი და, რაც მთავარია, ჩნდება ტრაპეციები. ამ საფეხურის შესაბამის ძეგლებად შეიძლება დავასახელოთ ჯამპალი და ზურტაკეტი, თუმცა ორივე სადგომი, სამწუხაროდ, მცირერიცხოვან, არასრულ კომპლექსს შეიცავს. მიუხედავად მასალის ამ სიმცირისა, ორივე ეს სადგომი ზემოჩამოთვლილი ნიშნებით ხასიათდება და ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში თავსდება (აქვე უნდა დავძინოთ, რომ ზურტაკეტი, ჯამპალთან შედარებით, თითქოს ოდნავ უფრო ახალგაზრდაა). ეს ქრონოლოგიური ჯგუფი რამდენადმე გარდამავალი ჩანს ადრეულ და გვიან მეზოლითის შორის.

შედარებით უკეთ გამოიკვეთა გვიანმეზოლითური კულტურა (ცივი მღვიმე, ეძანი, დარკვეთი, აპიანა, სელო, ჯერამუხი), რომელსაც ახასიათებს საფხეკების სიჭარბე, მიკროლითური მრგვალი საფხეკების რაოდენობის ზრდა (ზოგიერთი ეგზემპლარი უკვე იმდენად დახვეწილია, რომ ნეოლითური ეპოქისათვის ძალიან დამახასიათებელ ამ რიგის იარაღებს იმეორებს). ყურადღებას

⁴³ ლ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74—75.

აქცევს, საფხეკებთან შედარებით, საქრისების სიმცირე, იარაღთა მეტი ნაწილი დამზადებულია ლამელზე, საკმაოდ გვხვდება ლამელისებური ანატეკები. ნუკლეუსებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია კლაინდებურად პრიზმული და კონუსური ფორმები, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უფრო დახვეწილია და უფრო მცირე ზომის; პარალელურად ზოგ სადგომში საკმაოდ გავრცელებას პოვებს ბრტყელი და ფსევდოფანქრისებური ნუკლეუსები (ეძანი). ფართოდაა გავრცელებული გვერდდაბლაგვული ლამელები და მიკროლაამელები, ტიპური გრავეტების არსებობა მხოლოდ შემთხვევით ხასიათს ატარებს. ბევრია ურტუშო მიკროლაამელები და თავბოლო გადამტკრეული ლამელები, ხშირად გამოყენების კვალით; ასევე გავრცელებულია თავრეტუშოანი და დაკბილული ლამელები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეზოლითის წინა საფეხურთან შედარებით გეომეტრიული ფორმების ინტენსიური გავრცელება — სეგმენტები და ტრაპეციები მატულობენ როდენობრივად, ზოგან ჭარბობს ასიმეტრიული სამკუთხედები (ეძანი) და გვხვდება ტოლფერდა სამკუთხედებიც (ეძანი, სელო, ჯერმუხი).

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს მეზოლითური ძეგლები შეიძლება პირობითად გავაერთიანოთ სამ ქრონოლოგიურ ჯგუფში, რომელთაგან პირველი ადრე მეზოლითის მოიცავს. ამ ჯგუფს მიეკუთვნება: საგვარჯილე, ჭახათი, წონა, ქვედი, ქვაჭარა, იაშთხვა. მეორე, ნაკლებად გამოკვეთილი, ადრე მეზოლითიდან გვიან მეზოლითზე ჯარდამავალ საფეხურს შეესაბამება. იგი მხოლოდ ორი ძეგლითაა წარმოდგენილი — ჯამპალითა და ზურტაქეთით. მესამე ჯგუფი, რომელიც აერთიანებს დარკვეთის, ცივი მღვიმის, აფიანის, ეძანის, სელოსა და ჯერმუხის სადგომებს, გვიანმეზოლითურ საფეხურს შეადგენს. ქრონოლოგიური ჯგუფების ეს თანამიმდევრობა, ვფიქრობთ, აშკარად მოწმობს, რომ მეზოლითი არ წარმოადგენს აქ შემთხვევით მოსულ ადამიანთა უსახო ან სხვა ადგილიდან გადმონერგილ კულტურას, რომ იგი ადგილობრივი ზედა პალეოლითიდან იღებს საწყისებს და ასახავს მოცემულ მხარეში მეზოლითელთა შედარებით ხანგრძლივი და უწყვეტი ცხოვრების მიმდინარეობას.

ამ საერთო სურათიდან რამდენადმე განსხვავებული ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მეზოლითი. ჯერ თუნდაც ის, რომ ამ მხარეში მხოლოდ სულ ცოტა ხნის წინ (2 წელი) იქნა გამოვლენილი ზედაპალეოლითური ძეგლი და მეზოლითიუ წარმოდგენილია მხოლოდ ორი სადგომით — ეძანითა და ზურტაქეთის არასრული კომპლექსით, შესაბამისი კულტურის წარმომავლობის საკითხზე დაბეჭითებით მსჯელობის საშუალებას არ იძლევა, თუმცა მიუხედავად მისი თავისებურებებისა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ამ ზოლის მეზოლითის კავშირი ზოგადად ზედა პალეოლითთან აქაც თვალნათლად ჩანს.

ამგვარად, მეზოლითის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა იარაღთა ფორმების დაპატარავება, მიკროტექნიკის ფართო გავრცელება და გაბატონება, რაც უთუოდ ჩასართების ტექნიკის განვითარებით იყო შეპირო-

ბებული, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს ნადირობის, როგორც მეურ-
ნეობის მნიშვნელოვანი დარგის, საგრძნობ გართულებასთან.

როგორც ვიცით, ამ დროს ბუნებაში მომხდარ ლანდშაფტურ-კლიმატური
პირობების ცვლილებასთან ერთად ხდება მცენარეული საფარის შესაბამისი
გარდაქმნა, რასაც, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა საგრძნობი ცვლილებები
ცხოველთა კომპლექსების შემადგენლობაშიც. მეზოლითურ ეპოქაში ძირითა-
დად სანადირო ობიექტებს წარმოადგენდნენ უკვე კეთილშობილი ირემი, მუფ-
ლონი, გარეული ცხენი, ჯიხვი, ჯეირანი, კანჯარი, მგელი, მელა, კურდღელი,
გარეული ღორი. ამ ცხოველებზე ნადირობა უფრო ინდივიდუალურ ხასიათს
ატარებს და უფრო რთულიცაა, რასაც უნდა გამოეწვია ნადირობის ხერხების
სრულყოფა და, ბუნებრივია, იარაღების სათანადო შეცვლა. ნადირობის უფრო
ფუნქციური ხერხების მიგნება უთუოდ იყო შედეგი ხანგრძლივი ძიებისა, რო-
მელსაც უნდა გაეპირობებია ჩასართების ტექნიკის ძლიერი განვითარება და
ამ უკანასკნელით კი მიკროტექნიკის თვისებრივ-რაოდენობრივი ზრდა. ამგვა-
რად, ჩვენშიც დასტურდება ის საკმაოდ აღიარებული დებულება, რომ იარა-
ღების მიკროლიტიზაცია, ადამიანის სამეურნეო საქმიანობის საერთო პროგ-
რესთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ჩვეულებრივ, მეზოლითში საქმე გვაქვს უკვე კულტურათა ისეთ დანა-
წევრებასთან, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება ვრცელ ტერიტორიაზე ერთი
რომელიმე გავლენის დადგენა. აქ უფრო ხერხდება განვითარების მხოლოდ
შედარებით ხანმოკლე ფაზების გამოყოფა. რომელიმე ერთი უბნის ძეგლისა-
თვის დადგენილი საერთო ნიშნები ზოგჯერ ძნელია (თუ შეუძლებელი არაა)
მიუხედავად სხვა უბნის სინქრონულ ძეგლებს. მაგალითისათვის საქმარისია
დავასახელოთ, რომ ა. რუსტმა მხოლოდ სირიის ერთი უბნის მეზოლითში გა-
მოყოფა ხუთი კულტურა: სკიფტური, ნებეკური, სავარაუდო გვიანი კაფსიური,
ფალიტიური და ქვედა ნატუფიური, ამავე დროს სკიფტური, ნებეკური და
ფალიტიური კულტურებისათვის ავტორი ვერ პოულობს ტიპოლოგიურ ექვი-
ვალენტებს არათუ ახლო აღმოსავლეთის სხვა უბნებში, არამედ თვით სირიის
ტერიტორიაზე⁴⁴. ეს გამოწვეულია უთუოდ იმით, რომ მეზოლითში კიდევ
უფრო ინტენსიური ხდება ქვის ხანის ადამიანთა ფართო განსახლება, რასაც
არ შეიძლება არ მოჰყოლოდა ვიწრო ლოკალური კულტურების წარმოშობა
და შედარებით უფრო მჭიდრო შეკრული სოციალური ორგანიზაციების —
ტომობრივი გაერთიანებების ჩამოყალიბება.

ჩანს, ამითაა გაპირობებული ლოკალურ მეზოლითურ კულტურათა სიჭარ-
ბე და ამით აიხსნება ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ვლინდება მე-
ზოლითური კულტურის არანაკლებ სამი მეტ-ნაკლებად გამრავლებილი ლოკა-
ლური ჯგუფის არსებობა. პირველი მათგანი მოიცავს სამხრეთ-აღმოსავლეთ

⁴⁴ A. Rust, Höhlenfunde von Jabrud (Syrien), 1950.

საქართველოს და წარმოდგენილია ორი სადგომით — ეძანითა და ზურტაკეტით. მეორე, ყველაზე ვრცელი ჯგუფი, გამოიყოფა საქართველოს შავიზღვისპირეთში, უმთავრესად აფხაზეთის ტერიტორიაზე. მას მიეკუთვნება იაშთხვა, ჯამპალი, ქვაჭარა, ცივი მღვიმე, აფიანჩა. მესამე ლოკალური ჯგუფის ძეგლები თავმოყრილია მდ. რიონის ზედა და შუა წელის აუზში, უმთავრესად იმერეთის, რაჭისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ამ ჯგუფის ძეგლებია: ქვედი, წონა, საგვარჯილე, ჭახათი.

პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია ისეთი საერთო ნიშნები, როგორცაა სხვადასხვა სახის მიკროლამელების, თავიობრეტუმიანი და ზურგდაბლაგვეული ლამელების, მიკროწვეტიანების განსაკუთრებული სიჭარბე და მრავალფეროვნება. საკმაოდაა გავრცელებული ამ ჯგუფში ასევე ანატაკეებზე დამზადებული მცირე ზომის საფხეკები; უნდა აღინიშნოს იაარალთა დამუშავების ტექნიკის სიახლოვეც. ის განსხვავებული ნიშნები, რაც ამ ჯგუფში შემაჯავალ ორ ძეგლს ეძანსა და ზურტაკეტს შორის შეინიშნება (ეძანში გეომეტრიული ფორმების განსაკუთრებული სიჭარბე, საფხეკთა ზოგიერთი ფორმის ზურტაკეტისაგან განსხვავებული ჰაბიტუსი), უნდა მიეწეროს ზურტაკეტის კომპლექსის არასისრულეს და ეძანისა და ზურტაკეტის განსხვავებულ ქრონოლოგიურ ადგილს მეზოლითის ფარგლებში.

მეორე ლოკალური ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებად უნდა ჩაითვალოს სახვრეტთა ფორმების მრავალფეროვნება და სიჭარბე, გრავეტი-სებური წვეტანებისა და მიკროწვეტანების სიმრავლე; გაცილებით ნაკლები რაოდენობით გვხვდება გეომეტრიული მიკროჩასართები და არც მიკროლითები გამოირჩევა მრავალფეროვნებით. მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ ლოკალურ ჯგუფშიც თავმოყრილია მეზოლითის სხვადასხვა საფეხურის (აღრე, შუა და გვიანი) ძეგლები და ისეთი ნიშნები, როგორცაა, ქვედისა და იაშთხვისაგან განსხვავებით ჯამპალში ტრაპეციების გაჩენა, ცივი მღვიმესა და აფიანჩაში გეომეტრიული ფორმების ტიპობრივი ცვლილებები და რაოდენობრივი ზრდა, საფხეკ-საჭრისთა პროცენტული თანაფარდობა, მრგვალი საფხეკების ფორმების გაუმჯობესება და უფრო ინტენსიური გავრცელება, საერთოდ, იაარალთა ზომების თანდათან შემცირება, სტადიალურ მაჩვენებლებად გვევლინება.

მესამე ჯგუფში თითქოს რამდენადმე შეთავსებულია საქართველოს შავიზღვისპირეთის მეზოლითური კულტურის ნიშნები თრიალეთის შესაბამისი კულტურის თავისებურებებთან. კერძოდ, აქ, ვიდრე შავიზღვისპირეთში, აშკარად უფრო გავრცელებულია ანატაკეებზე დამზადებული მცირე ზომის საფხეკები, ზურგდაბლაგვეული ლამელები, მეტია გეომეტრიული ფორმები, განსაკუთრებით ასიმეტრიული სამკუთხედები და სხვ., ხოლო თრიალეთის ლოკალური ჯგუფისაგან განსხვავებით, შავიზღვისპირეთში ჭარბადაა სახვრეტები და გრავეტი-სებური წვეტანები, მიკროლითების მრავალფეროვნება კი ნაკლებად შეიმჩნევა, აქაც ისევე, როგორც I და II ლოკალურ ჯგუფებში, გაერთიან-

ნებულია მეზოლითის ფარგლებში სხვადასხვა საფეხურის ძეგლები და უნდა განვასხვავოთ ქრონოლოგიური სხვაობის მაჩვენებლები კულტურული თავისებურებების აღმნიშვნელი ელემენტებისაგან.

როგორც ჩანს, მეორე და მესამე ლოკალური ჯგუფები საკმაოდ მკიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, პირველი კი უფრო განცალკევებულია. ამ განსხვავებას ხაზს ისიც უსვამს, რომ პირველი ლოკალური ჯგუფის იარაღებისათვის ძირითად მასალას ობსიდიანი წარმოადგენს, ხოლო მეორესა და მესამესათვის — ტურონულ-სენონური კაჟი.

რაც შეეხება მეზოლითური დროის ღია სადგომებს, სელოსა და ჯერმუხს, ეს ორი ძეგლი იარაღთა კომპლექსების ტიპოლოგიური შემადგენლობით და თვით იარაღთა დამზადების ტექნიკით რამდენადმე განმსოლოებით დგას და ამიტომაც ძნელად უკავშირდება აღნიშნულთაგან რომელიმე ლოკალურ ჯგუფს.

უნდა ვიფიქროთ, რომ თრიალეთის მეზოლითის განსხვავება აფხაზეთის მეზოლითური კომპლექსებისაგან აიხსნება უმთავრესად წარმოება-მეურნეობის შესაბამისი თავისებურებებით, რაც, თავის მხრივ, შეპირობებული უნდა ყოფილიყო ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს მკვეთრი განსხვავებით.

დასავლეთ საქართველოს მეზოლითურ ძეგლებში დადგენილი ფაუნისტური კომპლექსები შეიცავს ცხოველთა შემდეგ სახეობებს: წაბლისფერი დათვი, ჯიქი, მელა, ვეფხვი, კეთილშობილი ირემი, კავკასიის ჯიხვი, გარეული ღორი, ჭეირანი, მგელი, კურდღელი, ომანა, ნიამორი, მუფლონი.

ამ რეგიონის ადრემეზოლითურ კომპლექსებში გვხვდება ასევე მღვიმისდათვიც (ქვაჭარა, იაშთხვა, ქახათი), რაც მოწმობს ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში ამ ცხოველის არსებობისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების დიდხანს შემორჩენას (რამდენადაც ჩვენ ვიცით, მღვიმის დათვს არსად სხვაგან საქართველოს ტერიტორიაზე მეზოლითურ დრომდე არ უარსებია). ეს ფაუნისტური კომპლექსი ძირითადად იმაზე მეტყველებს, რომ ამ დროს აქ უმთავრესად ტყის ლანდშაფტის პირობები უნდა ყოფილიყო გაბატონებული, რასაც ადასტურებს, სხვათა შორის, პალინოლოგიური ანალიზიც⁴⁵.

განსხვავებული სურათი გვაქვს საქართველოს აღმოსავლეთ რაიონების მეზოლითისათვის, გამოქვაბულის დათვის აღმოჩენის არც ერთი ფაქტი არ ყოფილა აქ დადასტურებული, ხოლო ფაქტობრივი მასალით დადგენილი ფაუნისტური კომპლექსისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს ბიზონის, გარეული ღორისა და კეთილშობილი ირმის გარდა, პრევევალსკის ცხენის ტიპის ცხენის, კულანის, კავკასიის ჯიხვის, მუფლონის, კურდღლის, მემინდვრისა და მქვივიშის არსებობა, რაც შედარებით მშრალი ჰავის პირობებსა და გაშლილ სივრცეებზე მიგვითითებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეზოლითურ დროს აღმოსავლეთ საქართველოში უმთავრესად ნახევრად სტეპური პირობები იყო

45 Л. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская, Е. А. Куренкова.

გაბატონებული, მაგრამ ამასთან ერთად საკმაოდ ყოფილა გავრცელებული მთისა და ქალის ტყეებიც. შედარებით დაშორებულ ბიოტოპს წარმოადგენდა მალაშთიანი კლდოვანი ლანდშაფტი (კავკასიის ჭიხვის საბინადრო)⁴⁶.

აღნიშნული ფაუნისტური კომპლექსის ზოგიერთი წარმომადგენელი, ცხადია, საქართველოს ორივე რეგიონის (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო) პოპულაციის სანადირო ობიექტს წარმოადგენდა, რაც უკვე თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ნადირობას ამ მეზოლითური მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში მეტად მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. რა თქმა უნდა, ამასვე ადასტურებს შესაბამის კომპლექსებში ისრისწვერებისა და შუბისპირისებური იარაღების არსებობა. მაგრამ ზოგიერთი სადგომის მასალა ცხადყოფს მეთევზეობის მნიშვნელოვან როლს. მაგალითად, აფიანჩის მღვიმეში თევზის საპერ იარაღებთან (ჰვილთი, სამკუთხედები, საწაფი) ერთად საკმაოა იქტიოფაუნის ნაშთებიც (განსაკუთრებით თვალსაცემია ორაგულის და კალმახის ძვლების სიჭარბე). ასევე წამყვანი უნდა ყოფილიყო ეს დარგი ცივი მღვიმელისთვისაც (ჰვილთი, სამკუთხედები და იქტიოფაუნა).

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ეძანის სადგომში თუმცა თევზების ნამარხი ნაშთები არ გვხვდება, რაც ამ რაიონში საერთოდ ძვლების განამარხებისათვის არახელსაყრელი პირობებით უნდა აიხსნას (ამიტომაც, უთუოდ, რომ აქ ძუძუმწოვრების ნაშთებიც ძალიან ფრაგმენტულია და იშვიათი), მაგრამ ასიმეტრიული სამკუთხა მიკროჩასართების არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება უთუოდ მეტყველებს აქ მეთევზეობის განსაკუთრებულ განვითარებაზე.

საქართველოს მეზოლითში მეურნეობის განსხვავებული ტიპების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ასევე ცალკეული რაიონისათვის დამახასიათებელმა სპეციფიკურმა ეკოლოგიურმა პირობებმა და, რა თქმა უნდა, ამ პირობების საკმაო წანგრძლივობამ (საწარმოო იარაღთა დამზადებაში ტრადიციული ხერხების გამომუშავება ერთბაშად არ ხდება).

საქართველოს მეზოლითური ძეგლები, როგორც წესი, განლაგებულია ზეობებში, მალაშთიან ადგილებში და ყოველთვის ამა თუ იმ მდინარის აუზს უკავშირდება, თუმცა ზოგჯერ თვით მდინარისაგან საკმაოდ მოშორებითაა. ასეთია მაგალითად, ქვაქარა, რომელიც მდინარეს დიდადაა დაშორებული. მაგრამ ამ მღვიმის უპირატესობა ალბათ ის იყო, რომ სასმელი წყალი თვით მღვიმეში მოედინებოდა, ხოლო მის ახლოს ხშირი ტყე მდებარეობდა. ტყით იყო გარშემორტყმული იაშთხვას ეხიც. ყოველივე ამან განაპირობა ამ ორი სადგომის მობინადრეების სამეურნეო ყოფა — ისინი ძირითადად მონადირეობას მისდევდნენ, რაზედაც ნათლად მეტყველებს იარაღთა შესაბამისი კომპლექსები (ისრისწვერები, შუბისპირები და სხვ.). ცივი მღვიმის და აფიანჩის მდინარის

⁴⁶ მ. გაბუნია, დასახ. ნაშრომი, 1976, გვ. 26—27.

ახლოს მდებარეობამ, როგორც ჩანს, განსაზღვრა ამ მღვიმეების მობინადრეთა მეურნეობის ძირითადი სახეც — მეთევზეობა.

ამგვარად, მეზოლითური კულტურის შავიზღვისპირეთის ლოკალურ ჯგუფში მეურნეობის ხასიათის მიხედვით მეტ-ნაკლებად მკვეთრად გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: მონადირეობისა და მეთევზეობის.

თრიალეთელი ადამიანის მეურნეობის წამყვან დარგსაც, ალბათ, მეთევზეობა წარმოადგენდა, თუმცა მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა ნადირობასაც. როგორც პირველი, ისე მეორე და მესამე ლოკალური ჯგუფების სამეურნეო ყოფისათვის არ უნდა ყოფილიყო უცხო შემგროვებლობაც. ამაზე მეტყველებს თუნდაც ზემოთ უკვე ნახსენები რქის ნიჩბისნაირი იარაღი ქვაჭარიდან და დაკბილული ლამელების საკმაო რაოდენობა, რაც შეიძლება ვიფიქროთ, გარეულ მარცვლეულ მცენარეთა მოსაპყრელად, მოსათიბავად გამოიყენებოდა.

თუ შევადარებთ საქართველოს მეზოლითურ ძეგლებს მეზობელი და უფრო შორეული რეგიონების თანადროულ კულტურებს, შევნიშნავთ, რომ ცალკეული ლოკალური ჯგუფის ფარგლებში აქ მობინადრე მოსახლეობამ მეზოლითის სხვადასხვა ეტაპზე საწარმოო ძალთა განვითარების შესატყვისი დონისა და ბუნებრივი გარემოს თავისებურებათა შესაბამისად შექმნა საკმაოდ თვითმყოფადი ლოკალური კულტურა, რომელშიც ვერ გამოვრიცხავთ ზედაპალეოლითური ინდუსტრიის ადგილობრივი ტრადიციების გავლენასაც.

პ ა ტ რ ო ზ ლ ი ფ ე ბ ი

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში დაბა წალკას 10 კმ-ით დაშორებულ მდ. პატარა ხრამის (მდ. ქციის მარჯვენა შენაკადი) ვიწრო ხეობაში მეოთხე ლავური ნაკადის ფუძეში განვითარებულია მღვიმეები, რომელთა შორის მოქცეულ მონაკვეთში კლდის გაშიშვლებულ ზედაპირზე ხავსისა და მღიერების ქვეშ თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი მ. გაბუნია) 1976 წელს იპოვნა კლდეზე ამოკაწრული ნახატები. ესაა პირველი აღმოჩენა საქართველოში ამ რიგის ძეგლებისა. აქაა უმთავრესად ცხოველთა გამოსახულებების ნაკაწრი ნახატები, კერძოდ, ირმების, ცხენების, აქლემების, გველების, ფრინველების, ზოგიერთი გაურკვეველი ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებები. აქვე გვხვდება ასევე მზის, ცხოველთა პარციალური და ჰიბრიდულ ცხოველთა გამოსახულებები და მონადირის — მშვილდისრიანი კაცუნების კონტურები (ნახ. 140). სულ ასამდე ნაკაწრი-ნახატია აღმოჩენილი. ნატეხები მცირე ზომისაა (2,5 და 18—19 სმ შორის), ნაკაწრები ვიწროა 1—2 მმ სიგანისა და ასეთივე სიღრმისა (ნახ. 138 1, 2 ა, ბ., ნახ. 139 ა., ბ, გ.). ამ ნახატების დიდი უმრავლესობა მოკლებულია დინამიურობას. ცხოველები უმეტესად სტატიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ყველა ნაკაწრი-ნახატი, გარდა კაცუნებისა, პროფილშია გამოსახული.

თრიალეთის პეტროგლიფების შესრულების ტექნიკისა და სტილის, მხატვრული და შინაარსობრივი მხარეების, გამოსახულ ცხოველთა სახეების, ნახატთა დაცულობის, ჟანგვისა და პატინის ინტენსივობის მიხედვით გამოიყოფა ამ პეტროგლიფების რამდენიმე ქრონოლოგიური ჯგუფი. პირველი — ყველაზე არქაული გვიან ქვის ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. ესაა ზოგიერთი ირმის გამოსახულება, ირემი მახეში, ცხენი მახეში, ჰიბრიდული გამოსახულებები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თრიალეთის ირმისა და შვლის პარციალური გამოსახულებები (ნახ. 138—2 ა. ბ.) და შველი (ნახ. 138 ა 1) თავისი შესრულების რეალისტური მანერით შესაძლოა ჩამოთვლილთაგან უადრეს საფეხურს (მეზოლითურ ხანას) შეესაბამებოდეს⁴⁷.

47 მ. გაბუნია, ა. ვეკუა. პატარა სრამის პეტროგლიფები, 1980.

ნეოლითი

ნეოლითის ეპოქა წარმოადგენს თვისებრივად ახალ საფეხურს პირველ-ყოფილი საზოგადოების განვითარებაში. მისი ისტორიული არსი მდგომარეობს იმ ძირეულ ცვლილებებში, რომლებიც მოხდა წარმოების იარაღების დამზადების წესში, მეურნეობაში, ყოფასა და საზოგადოებრივ წყობაში. მაგრამ ამ ცვლილებებიდან ყველაზე არსებითია ის, რომ ნეოლითურმა საზოგადოებამ შექმნა და განავითარა მწარმოებლური მეურნეობის დარგები, რითაც საფუძველი ჩაუყარა კაცობრიობის შემდგომ პროგრესულ განვითარებას.

ნეოლითურმა ტომებმა წარმოების განვითარებაში მოახდინეს თვისებრივი ძვრები. განავითარეს ქვის ინდუსტრია, ისწავლეს ქვის მაგარი ქანებისაგან ხეხვისა და გაპრიალების გზით იარაღების დამზადება, ქვის გახვრეტა, გაჩნდა იარაღების ახალი სახეები: ხელსაფქვავეები, თოხისებური, ბარისებური, წერაქვისებური იარაღები, სამკელი დანები, ხერხები, საწაფები, ცულები, სატეხები, სათლელები და სხვ. ნეოლითური ტომები დაეუფლნენ მეთუნეობას, დაიწყეს მარცვლეულის ველური ჯიშების კულტივირება, მოიშინაურეს გარეული ცხოველები და საფუძველი ჩაუყარეს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას.

კავკასიის რეგიონებიდან ნეოლითი ყველაზე უკეთ შესწავლილია დასავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში. უკანასკნელი წლების კვლევა-ძიების შედეგად აქ მნიშვნელოვნად გაიზარდა შესწავლილი ძეგლების რაოდენობა. სადღეისოდ ისინი უკვე მოიცავენ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ პროვინციას (სურ. 28).

ნეოლითური კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში ჯერჯერობით სუსტადაა გამოვლენილი. ამ რეგიონის სამიწათმოქმედო კულტურის ყველაზე ადრეულ ძეგლებად დიდხანს ითვლებოდა „მტკვარ-არეზის“ კულტურის ნამოსახლარები. 60-იანი წლების შუა ხანებში აღმოჩენილმა „მტკვარ-არეზის“ წინარეპერიოდის — შულავერ-შომუთეთეს კულტურის ძეგლებმა, რომლებსაც

მეცნიერთა ერთი ჯგუფი ნერლითს¹, ხოლო მეორე — ენეოლითს² მიაკუთვნებდა, შუქი მოპფინეს ადრესამიწათმქმედო ტომთა კულტურას. ახალადმოჩენილი კულტურის ეპოქალური კუთვნილების შესახებ კამათი არქეოლოგიურ ლიტერატურაში დღემდე ზრძელდება. აღნიშნული საკითხის გადაჭრაში გარკვეული როლი უნდა შეასრულოს უკანასკნელ წლებში სამხრეთ საქართველოში უკვე აღმოჩენილმა, ჯერჯერობით კვლევის პროცესში მყოფმა ახალმა ნეოლითურმა ძეგლებმა³. მათ გამოქვეყნებამდე კი, საქართველოს ნეოლითური კულტურის დახასიათებისას ვიფარგლებით დასავლეთ საქართველოს რეგიონით.

ნეოლითური ძეგლები განსხვავებული ტომოგრაფიით ხასიათდება. ღია ნამოსახლარების სახით ისინი გვხვდება შვიზღვისპირა ზოლში, მთისწინა ბორცვებსა და ტერასებზე; იმ რეგიონებში კი, სადაც ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლეოდა, ადამიანი ბუნებრივ თავშესაფარს — მდინარეთა ხეობების ეხებას თუ მღვიმეებსაც ეტანებოდა.

ჩამოთვლილი ძეგლების დიდი ნაწილი ღია ნამოსახლარებია, რომელთა უმრავლესობაზე კულტურული ფენები დარღვეულია. გამონაკლის წარმოადგენს უძრავი ნეოლითური ფენების შემცველი მრავალფენიანი მღვიმეები და ეხები კარგად დაცული სტრატეგრაფიით — ცივი მღვიმე, აფიანჩა, დარკვეთი და ერთფენიანი ღია ნამოსახლარები ნაწილობრივ უძრავი კულტურული ფენებით (ჩხორთოლი, ხორში, მელაური). დასავლეთ საქართველოს ღია ნამოსახლარებზე საცხოვრებელი ნაგებობის მკაფიო კვალი არ შემორჩენილა. მხოლოდ ფრაგმენტული მასალა (ხორში, ანასეული I, II, ჩხორთოლი, ქობულეთი, დარკვეთი IV) იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ეს ნამოსახლარები ხასიათდებოდნენ თიხით შეღესილი, წნული ნაგებობებით, რომლის შიგნით ცხოვრობდა საერთო კერის მქონე გვაროვნული ჯგუფი.

დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლების შესწავლის საფუძველზე, ნეოლითურ კულტურაში სადღეისოდ უკვე შესაძლებელია განვითარების სამი

1 ო. ჯაფარიძე, ა. ჯაფახიშვილი. უძველესი მიწათმქმედო მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბ., 1971; А. И. Джавахишвили. Строительное дело и архитектура поселений южного Кавказа V—III тыс. до н. э. Тбилиси, 1973; თ. კილუჩაძე. აღმოსავლეთ ამერკავკასიის ადრესამიწათმქმედო კულტურის პეროლიზაცია, თბ., 1976.

2 К. Х. Кушнарєва, Т. Н. Чубинишвили. Древние культуры южного Кавказа. (V—III тыс. до н. э.), Л., 1970; Т. Н. Чубинишвили. К древней истории Южного Кавказа, Тбилиси, 1971; Р. Б. Аразова. Каменные орудия эпохи энеолита Азербайджана. Автореферат кандидатской диссертации. Баку, 1974; И. Г. Нариманов. Культура древнейшего земледельческо-скотоводческого населения Азербайджана (эпоха энеолита VI—IV тыс. до н. э.), Тбилиси, 1982.

3 Д. Д. Гоголия. Квемо-Картлийская археологическая экспедиция 1979—1980 гг. ПАИ в 1980 г., Тбилиси, 1982, с. 16—17.

4 იქვე.

ძირითადი საფეხურის გამოყოფა (ადრეული, შუა და გვიანი). ასევე უკვე ხერხდება ნეოლითის წინა საფეხურიდან ე. ი. გვიანი მეზოლითიდან ადრენეოლითზე გარდამავალი ეტაპის გამოყოფა. ამ პერიოდის ძეგლებს განეკუთვნება კინტრიშის ნამოსახლარები (ხუცუბანი, ქობულეთი).

ქვემოთ დავახასიათებთ აღნიშნული საფეხურების წამყვან ძეგლებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

კინტრიშის ნამოსახლარები (ხუცუბანი, ქობულეთი) მდებარეობენ სოფლების ქობულეთისა და ხუცუბნის საზღვარზე, მდ. კინტრიშის მარჯვენა ნაპირის დაახლოებით 5 მ სიმაღლის ტერასაზე. ნამოსახლარები აღმოაჩინა 1959 წელს არქეოლოგმა ი. გრძელიშვილმა ქობულეთის რაიონში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების დროს.

1960—1962 წლებში საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი) ანასეულის რაზმმა (ხელმძღვანელი ლ. ნებიერიძე) კინტრიშის ნამოსახლარებზე ჩაატარა სადაზვერვო გათხრები და შეკრიბა ზედაპირული მასალა⁵. 1967—1974 წლებში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის ქვის ხანის შემსწავლელმა რაზმმა (ხელმძღვანელი ს. გოგიტიძე) გააგრძელა დაზვერვითი სამუშაოები, რის შედეგადაც ს. ხუცუბანსა და ს. ქობულეთში მოიპოვა ახალი მასალები, ხოლო ს. ქობულეთში აღმოაჩინა უძრავი კულტურული ფენა⁶.

ქობულეთის ნამოსახლარის მასალებს აჭარის ძეგლებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დღეისათვის ეს კოლექცია 5261 ერთეულს ითვლის. ამასთანავე საინტერესოა, რომ ქობულეთის უძრავი და ხუცუბნის დარღვეული ფენებიდან მომდინარე მასალები ზედმიწევნით ანალოგიურია. აღნიშნული ერთგვაროვნების გამო, კინტრიშის ნამოსახლარების ქვის ნაწარმს ერთობლიობაში განვიხილავთ.

ხუცუბნისა (ნახ. 141. 1—40) და ქობულეთის (ნახ. 141. 40—62) ნამოსახლარების ქვის ინდუსტრია ძირითადად კაყისა და ობსიდიანის მასალითაა წარმოდგენილი, კაყის მცირე რაოდენობრივი უპირატესობით. ქვის დამუშავების ტექნიკას მიკროლითური ხასიათი აქვს. იარაღების უმრავლესობა ლამელებზეა ნაკეთები. ყურადღებას იქცევს დახვეწილი მოყვანილობის პრიზმისებური, კონუსისებური და ფანქრისებური ნუკლეუსები. დიდი რაოდენობითაა სწორწახნაგა დანისებური, ხშირად გვერდრეტუშიანი ლამელები. მათ შორის არის რამდენიმე ბლაგვზურგა მიკროლამელაც. კომპლექსის იარაღთა წამყვანი ტიპე-

5 ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებიერიძე, ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 7—16; ლ. ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1972; ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბ., 1977, გვ. 14, 52.

6 წინამდებარე თავის ტაბულებზე მოცემული საილუსტრაციო მასალა ამოღებულია ცალკეული ძეგლების მითითებული პუბლიკაციებიდან.

ბია საქრისები და საფხეკები. საქრისები ძირითადად წარმოდგენილია ლამე-
ლებზე ნაკეთები მარტივი ცალმხრივი, მარტივი ორმხრივი და თავრეტუშიანი
საქრისების სხვადასხვა სახეობებით. საფხეკებში გამოიყოფა ლამელუბსა თუ
თხელ ლამელისებურ ანატექეებზე დამზადებული — მომრგვალო, ოვალური,
მალალი, ორმაგი, ამოლარული, თავირბ და თავეწორრეტუშიანი სამუშაო პი-
რის მქონე იარაღთა ქვეჯგუფები. დანარჩენი იარაღები კოლექციაში რაოდე-
ნობრივად ნაკლებია და წარმოდგენილია სახერეტებით, დაკბილული იარა-
ღებით, ხოწებით, დანებით, სამკელი დანების ჩასართებით, ისრისმაგვარი და
კომბინირებული იარაღებით. გეომეტრიული ფორმის მიკროლითები ნამოსახ-
ლარებს არ ახასიათებს. რიყის ქვის იარაღებიდან ხუცუბანში ნაპოვნია შურ-
დულის ქვა და საწაფი, ხოლო ქობულეთში მხოლოდ შურდულის ქვები (ნახ.
141).

ქობულეთის ნამოსახლარის უძრავ კულტურულ ფენაში ნაპოვნი იყო ბო-
ძების საყრდენი ორმოები, მათი განლაგების საფუძველზე იქმნება აზრი, რომ
აქ საცხოვრებელ ნაგებობას ოთხკუთხა ფორმა უნდა ჰქონოდა?

კინტრიშის ნამოსახლარების ქვის დამუშავების ტექნიკისა და იარაღების
ტიპოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ძეგლები დიდ სიახლოვეს იჩენენ
გვიანმეზოლითურ კომპლექსებთან და თავისი ფესვებით მჭიდროდ უკავშირ-
დებიან მათ. ამავე დროს მათ გვიანმეზოლითურთან შედარებით განვითარების
გარკვეული გზა აქვთ გავლილი და მსგავსებას იჩენენ ადრენეოლითურ კომ-
პლექსებთან, თუმცა მათთან შედარებით არქაულად გამოიყურებიან. ძეგლების
შედარება ცხადყოფს, რომ კინტრიშის ნამოსახლარებს შუალედური ადგილი
უჭირავს გვიანმეზოლითურსა და ადრენეოლითურ კომპლექსებს შორის. თუ
აქვე გვიანსენებთ დარკვეთის ეხის სტრატეგრაფიას და იმასაც, რომ დარკვეთის
ეხის გვიანმეზოლითურ (V ფენა) და ადრენეოლითურ (IV ფენა) ფენებს შორის
გვაქვს ერთი მეტრი სისქის სტერილური ფენა, მაშინ უსაფუძვლო არ იქნება
დაშვება, რომ კინტრიშის ნამოსახლარები შესაძლოა შეესაბამებოდეს ამ
სტერილური ფენის შესაბამის ქრონოლოგიურ მონაკვეთს. ეს მით უმეტეს
უნდა იყოს შესაძლებელი, რომ კინტრიშის ძეგლები როგორც ქრონოლოგიუ-
რად, ისე ტიპოლოგიურად კარგად თავსდება გვიანმეზოლითსა და ადრენეო-
ლითს შორის და საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ დასავლეთ საქარ-
თველოში გვიანმეზოლითიდან ადრენეოლითზე თანდათანობითი გადასვლის
ერთიან უწყვეტ პროცესს.

შესწავლილი ადრენეოლითური ძეგლების რიცხვი სადღეისოდ დასავლეთ
საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა. ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ თუ
მათი რაოდენობა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს სამიოდე ძეგლით — ცივი
მღვიმის I ფენა, ანასეული I და მასთან ქრონოლოგიურად ახლო მდგომი კინ-

სტრუქტურის ნამოსახლარებით განისაზღვრებოდა, ახლა დასავლეთ საქართველოში უკვე გვაქვს მრავალფენიანი ძეგლები — დარკვეთის ეხი და აფიან-ჩანს მღვიმე, ადრენეოლითის უძრავი კულტურული ფენებით. თუ აქამდე ადრენეოლითის გამოყოფა მხოლოდ ტიპოლოგიური და შედარებითი ანალიზის საფუძველზე ხდებოდა, აღნიშნული ძეგლების აღმოჩენის შემდეგ მის გამოყოფას სტრატოგრაფიული მონაცემებიც დაედო საფუძვლად. ზემოაღნიშნულის გარდა, ადრენეოლითური საფეხურის დასახასიათებლად გვაქვს, აგრეთვე, ღია ნამოსახლარები — ხორში, მელიოური, ზემო ლემსა, მათგან პირველ ლარზე ნაწილობრივ უძრავი ფენები იყო მიკვლეული.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია 1977 წელს ფარავნის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ კლდოვან ეხში — „ფარავან II-ში“ (ს. ჩოდიონოვიკის მახლობლად) გვიანმეზოლით-ადრენეოლითური იერის მქონე მასალისა⁸ და ქვემო ქართლში, დმანისში, მდ. მამავერას მარჯვენა ნაპირზე ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარის აღმოჩენა⁹.

პირველი ძეგლები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდა დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ კულტურაში განვითარების ადრეული და გვიანი საფეხურების გამოყოფა, იყო ანასეულში აღმოჩენილი, ერთმანეთისაგან 1 კმ დაშორებული, ქრონოლოგიურად განსხვავებული, ორი ნეოლითური ნამოსახლარი — ანასეული I და ანასეული II.

ნამოსახლარები მდებარეობენ ქ. ოზურგეთის სამხრეთ-დასავლეთით 1 კილმეტრში მდებარე ანასეულის ბორცვებზე. მათგან ანასეული I განლაგებულია ცენტრალურ ბორცვზე, სადაც ამჟამად მეტეოსადგურია მოთავსებული, ხოლო ანასეული II ცენტრალური ბორცვის სამხრეთით, უშუალოდ მის მომიჯნავე, ოდნავ მომცრო ბორცვზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „მიწის. ციხეს“ უწოდებს. ანასეულის ბორცვები გარშემორტყმულია მდინარეებით: სამხრეთ-აღმოსავლეთით მათ ესაზღვრება მდ. აჭარისწყალი, ჩრდილო-დასავლეთით — მდ. ბუყუა, დასავლეთით — მდ. ლეჩუმა, სამხრეთით — მდ. ჩოლოქი. ეს ნამოსახლარები აღმოაჩინა და მათზე ზედაპირული მასალა შეკრიბა ადგილობრივმა მხარეთმცოდნემ; ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ვ. შარკოვსკიმ.

1950, 1955 წლებში გამოქვეყნდა პირველი ცნობები ანასეულში ნეოლი-

⁸ ზ. ქიქოძე, ი. ქორიძე. ფარავნის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1977 წ. ჩატარებული სამუშაოების მოკლე ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, 1978, გვ. 23.

⁹ Д. Д. Гоголия. დასახ. ნაშრომი, გვ. 16—17.

თური ნაშთების. აღმოჩენის შესახებ¹⁰. 1956—1959 წლებში აღ. კლანდაძის ზღომძღვანელობით აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ნეოლითის შემსწავლელმა რაზმმა (ხელმძღვანელი ლ. ნებიერიძე) აწარმოვა არქეოლოგიური დაზვერვები და საცდელი გათხრები ანასეულის ნამოსახლარებზე (ანასეული I, II).

1960 წლიდან ანასეულის ნეოლითური რაზმი შევიდა საქართველოს შავი-ზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის შემადგენლობაში (ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი).

ანასეული I ნამოსახლარზე იარაღების დასამზადებელ მასალად ძირითადად ობსიდიანი გამოიყენებოდა, შედარებით იშვიათად კაჟი და რიყის ქვის ქანები. ძეგლზე მოპოვებული 4 044 ერთეული ნაქეთობიდან 3 160 ერთეული ობსიდიანისაა, 800 — კაჟისა, 59 — რიყის ქვისა. ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო მზა იარაღები, დაუმთავრებელ-დაზიანებული ცალები, ნაშადები, აგრეთვე, მათი დამზადებისას წარმოქმნილი წარმოების ნარჩენები¹¹.

ობსიდიანისა და კაჟის ნაწარმს მიკროლითური და განვითარებული ლამელური ტექნიკა ახასიათებს. კინტრიშის ნამოსახლართა მსგავსად, იარაღების წამყვან სახეებად აქაც საჭრისები და საფხეკეები რჩება. საჭრისები სიმრავლითა (160 ც.) და ფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდება: ისინი დამზადებულია თხელ, სწორ დანისებურ მიკროლითურ ან საშუალო ზომის ლამელების გვერდებსა და კუთხეებზე ირიბი, კუთხის ან ხიწვიანი სასაჭრისე ჩამონატეხების მეშვეობით. მათი უმრავლესობა მარტივი ფორმებითაა წარმოდგენილი (ნახ. 142. 22, 24—27, 29), კოლექციაში 120 საფხეკია, მათაც ფორმების მრავალგვარობა ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ იარაღთა ეს სახეობა საგანგებოდ გამოირჩევა დახვეწილი ფორმებით და საგულდაგულოდ დამუშავებით (ნახ. 142. 12—21). მათ შორის განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიყოფა მომრგვალო და მიკროლითურ საფხეკთა სერია. ნამოსახლარზე მრავლადაა (710 ც.) ნაპოვნი სხვადასხვა სახის დანისებური ლამელები, რომელთა მეორადი დამუშავებით მიიღებოდა განსხვავებული დანიშნულების იარაღები. მათ შორის განსაკუთრებით გამოიყოფა ლამელის განიკვეთების, გვერდრეტუშიანი, გვერდამოღარულ და მიკროლითური ლამელათა ჯგუფები. ლამელური ტექნიკის განვითარების აშკარა მაჩვენებელია სწორწახნაგა დანისებური ლამელების ატკეცვისა და მათი მეორადი დამუშავების ხარისხის გაუმჯობესება. რეტუში ლამელებზე უმეტესად დამრეცია. წვრილფაცეტიანი, იარაღებზე კი ხშირად მომაღლო,

¹⁰ ი. ჯ ა ვ ა რ ი ძ ე. დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVI—B, 1950, გვ. 110; Н. В. Хонштария. Археологические исследования в Уреки. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიასთვის, ტ. I, 1955, გვ. 71.

¹¹ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე. აღრენოლითური ხანის ნაშთები ანასეულიდან. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1963; მისივე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972.

„მცოცავი“ რეტუშის სახეს იღებს. კომპლექსი არ ხასიათდება გეომეტრიულ მიკროლითების სიჭარბით, ისინი წარმოდგენილია მხოლოდ ათიოდე ორფერდ-დამუშავებული ტრაპეციით. ასევე შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის კომბინირებული (13 ც.) და ხერხისებური (20 ც.) იარაღი, სახვრეტი (4 ც.), დანა (2 ც.), რეტუშორი (3 ც.): თითო ეგზემპლართაა წარმოდგენილი წვეტანისებური იარაღი და ცალფრთიანი ისრისპირი. მეზოლითური ტრადიციების გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს რამდენიმე ბლაგვზურგა ლამელა (ნახ. 142, 23, 31, 36).

იარაღების ძველი ფორმების დახვეწასთან ერთად ჩნდება სრულიად ახალი სახის იარაღები — რიყის ქვის სხვადასხვა ქანებისაგან. გახეხვა-გაპრიალეზის გზით დამზადებული ცული (3 ც.), სატენ-სათლელი (3 ც.), საპრიალეზელი (6 ც.), სახეზი (25 ც.) (ნახ. 143). შურდულის ქვა (17 ც.), გრდემლი (3 ც.), ჩაქუჩები და თოხისებური იარაღი. ნამოსახლარს კერამიკა არ ახასიათებს.

ანასეულის კომპლექსისა და მათზე ადრე აღმოჩენილი ნეოლითური ძეგლების (ოდში, კისტრიკი) ერთობლივი, ტიპოლოგიურ-შედარებითი შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ანასეული I სახით შეგვემატა მანამდე უცნობი, მეზოლითური ტრადიციების მქონე ადრენეოლითური ხანის ძეგლი.

ადრენეოლითური ეპოქის შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დარკვეთის მრავალფენიან ეხს. იგი პირველი ძეგლია კავკასიაში, რომელზედაც უძრავი ადრენეოლითური ფენა აღმოჩნდა. გარდა ამისა, მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია იმის გამო, რომ მასზე, ჭერჯერობით ერთადერთ ძეგლზე ამიერკავკასიაში, დადასტურდა შინაური ცხოველების ძვლები (ძეგლის ადგილმდებარეობა იხ. გვ. 259, ხედი — სურ. 25, ჭრილი ნახ. 127).

ძეგლი აღმოაჩინა ყვირილას ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი დ. თუშაბრაძეშვილი). 1968—1972 წლებში გათხრებს აწარმოებდა ისტორიის ინსტიტუტის ნეოლითის შემსწავლელი რაზმი (ხელმძღვანელი ლ. ნებერიძე), რომელიც ყვირილას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის შემადგენლობაში მუშაობდა. ძეგლი მონოგრაფიულადაა შესწავლილი¹².

ადრენეოლითური ფენა სტრატოგრაფიულ ჭრილში ზევიდან რიგით მეოთხეა და წარმოადგენდა 25—27 სმ სისქის ლორღნარეე ნაცროვან ფენას, რომლის ქვედა ნაწილში ნაპოვნია კერის ნაშთი.

IV ფენის მასალა სულ 1035 ერთეულითაა წარმოდგენილი, მათგან 1025 ერთეული ქვისაა, 10 იარაღი კი ძვლისა (ნახ. 145, 2—7) (მასალის საერთო რაოდენობაში არ არის ნაგულისხმევი ცხოველთა მრავალრიცხოვანი ძვლები). იარაღების დასამზადებელ მასალად ძირითადად კაჟი გამოიყენებოდა, მცირე რაოდენობით რიყის ქვა და ობსიდიანი.

12 ლ. ნებერიძე, დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბ., 1978.

კაეის ინდუსტრია ხასიათდება ლამელური და მიკროლითური ტექნიკით: ლამელებს კომპლექსში წამყვანი ადგილი უჭირავს (204 ც.). სქარბობს დანი-სებური სწორწახნაგა ლამელები (124 ც.). მათი სიგრძე 2,5—7,5 სმ, ხოლო სიგანე 0,5—1 სმ შორის მერყეობს. გეომეტრიული ფორმის მიკროლითები წარმოდგენილია მხოლოდ ორფერდამუშავებული ტრაპეციებით (16 ც.), (ნახ. 145.20—23) მიკროიარალებიდან დამახასიათებელია მომრგვალო მიკრო-საფხეკები და მიკროსაჭრისები. კოლექციაში სულ 28 საფხეკი და 17 საჭრისია (ნახ. 144). დანარჩენი იარაღები ერთეულებითაა წარმოდგენილი. ასეთებია: სახვრეტი, დაკბილული, წვეტანისებური და ასტამისებური იარაღები, რეტუ-შორი, შალაშინი და სხვ. კოლექციაში დიდი რაოდენობითაა წარმოების ნარ-ჩენები (768 ერთეული). ისინი წარმოდგენილია კონუსური, ფანქრისებური და პრიზმული ფორმის ნუკლეუსებით, რომელთა უმრავლესობა ცალმხრივია გამოყენებული (25 ც.) (ნახ. 145.8—14) და მრავალრიცხოვანი სხვადასხვა-სახის კაეის ანატეც-ანამტერევი (728 ერთ.).

ჩიყის ქეის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები კოლექციაში ცოტაა. აქ ნაპოვნი იყო მხოლოდ ერთადერთი მთელი ცული (ნახ. 145.1), სატეხ-სათლე-ლების ფრაგმენტები და მოგრძო, ოვალური ფორმის ხელსაფქვევის ფრაგმენტი. კერამიკა IV ფენას არ ახასიათებს.

პალეონტოლოგმა ო. ბენდუქიძემ დარკვეთის ეხის მრავალრიცხოვანი ძელოვანი მასალის შესწავლის შედეგად გაარკვია, რომ ეხის მცხოვრებლებს უკვე ადრენეოლითურ ხანაში მოშინაურებული ჰყავდათ: ძროხა (*Bos taurus* — 5/2), ღორი — (*Sus domesticus* — 47/5), წერილფეხა რქოსანი საქონელი (*Ovis* aut *Capra* — 17/3) და ძაღლი (*Canis familiaris* — 1/1) როგორც ირკვევა, ყვე-ლაზე უკრბად ღორის ძელები იყო წარმოდგენილი. გარეული ცხოველების ძელებიდან აღსანიშნავია შველის (*Capreolus capreolus* — 179/8), ირმის (*Cervus elap- hus* — 66/2), გარეული ღორის (*Sus scrofa* — 53/1), გარეული თხის (*Capra* sp — 1/1), არჩვის (*Rupicapra rupicapra* — 3/1), მღრღნელებისა (*Rodentia* — 28/10) და ფრინველთა — (7/6) სხვადასხვა სახეობები.

შემდეგი ძეგლი, რომელზედაც უძრავი ადრენეოლითური ფენა აღმოჩნდა, იყო ა ფ ი ა ნ ჩ ა ს მ ღ ვ ი მ ე. მისი ზედა ფენა (I) ადრენეოლითს მიეკუთვნე-ბა¹³ (ნახ. 146). მასალებში წამყვანი ადგილი უჭირავს წარმოების ნაშთებს, რომელთა შორის მრავლადაა ანატეც-ანამტერევი. ნუკლეუსები წარმოდგე-ნილია ფანქრისებური, კონუსისებური, ბრტყელი და პრიზმული ფორმებით. იარაღთა წამყვანი სახეებია საფხეკები და საჭრისები. საფხეკები მზადდებოდა როგორც ლამელებზე, ასევე ანატეცებზე, მათში ყველაზე მკაფიო სერია მიკ-როსაფხეკებია: საჭრისები მცირე ზომისაა — კუთხისა და გვერდის. მიკრო-

¹³ Л. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская, Е. И. Куренкова. Много-слойный памятник Аппача (Абхазия). Четвертичная система Грузии. К XI ИНКВА. М., 1982, Тбилиси, 1982, с. 198.

იარაღებს შორის წამყვანი ადგილი სამგვერდდამუშავებულ ტრაპეციებს უჭირავს. სევმენტები ერთეულების სახითაა. არის, აგრეთვე, სამგვერდდამუშავებული მოვრძო სწორკუთხედები. აღსანიშნავია ზურგდაბლაგული, ცხვირმოხრილ ლამელაზე დამზადებული იარაღი, რომელიც სამკელ დანადაა მიჩნეული¹⁴. ნაპოვნია ბურღისებური იარაღი (ნახ. 146:1—16).

რიყის ქვისაგან დამზადებული იარაღები მცირე რაოდენობითაა კოლექციაში (ნახ. 146:19—21). ამასთანავე, მკაფიო ნეოლითური იარაღები აქ არ არის. არის მხოლოდ ორმხრივნახეი, ასტამისებური იარაღის ნატეხი და ღარიანი იარაღის ფრაგმენტი. მაგრამ, ამის მიუხედავად, მასალა მოწმობს ახალი ეპოქის დასაწყისს. ძელის იარაღებიდან აღსანიშნავია ეშვისაგან დამზადებული თოხისებური იარაღი და ანკესი. კერამიკა ამ ფენას არ ახასიათებს.

მ ე ლ ო უ რ ი ს ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი მდებარეობს წყალტუბოს ჩრდილოეთით დაახლოებით 15 კმ მანძილზე მდ. სემისწყლის (გუბისწყლის შენაკადი) მარცხენა, საკმაოდ მაღალ, პლატომაგვარ ტერასაზე, ზღვის დონიდან 350 მ სიმაღლეზე. ნამოსახლარს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სამგურალის ქედი, ჩრდილო-დასავლეთიდან მდ. სემისწყლის ხეობა, სამხრეთიდან — მღერისწყალი. ნამოსახლარის ტერიტორია წარმოადგენს თავისებურ „განკიდულ ტერასას“, რომელიც აღმოსავლეთის ყელით ქედს უკავშირდება, დანარჩენი სამი მხრიდან კი შემოსაზღვრულია ღრმა ხეობებითა და ხეეებით. მელოურის ნამოსახლარი აღმოაჩინეს და მასზე ზედაპირული მასალა შეკრიბეს წყალტუბოს ნორჩმა მხარეთმცოდნეებმა პედაგოგ ო. კინწურაშვილის ხელმძღვანელობით. 1976 წლიდან მელოურის ნამოსახლარი წყალტუბოს მხარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმ. აღ. კალანდაძე) კვლევის ობიექტად იქცა და იმავე წელს მასზე ჩატარდა პირველი საძიებო სამუშაოები — შეიკრიბა ზედაპირული მასალა, რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდა კიდევ¹⁵. 1977 წლიდან კი წყალტუბოს არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელმ. კ. კალანდაძე) შეიქმნა ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების შემსწავლელი რაზმი (ხელმ. ლ. ნებიერიძე), რომლის ძირითადი მიზანი იყო აღნიშნული ნამოსახლარის არქეოლოგიური შესწავლა¹⁶. 1977—1982 წწ. მელოურის ნამოსახლარზე მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები, რომლის დროსაც თანამედროვე ნიადაგის ფენის ქვეშ აღმოჩნდა უძრავი კულტურული ფენა — განამარხებული ჰუმუსი (ნახ. 147). კულტურულმა ფენამ მოგვცა

14 Л. Д. Церетели, Н. Б. Клопотовская, Е. И. Куренкова. Много-слойный памятник Апанча (Абхазия). Четвертичная система Грузии. К XI ИНКВА, М., 1982, Тбилиси, 1982 ст.

15 აღ. კალანდაძე, ქვის ხანის ნამოსახლარები მელოურიდან. „მცნე“, თბ., 1978, № 4, გვ. 64—79.

16 К. Каландадзе, Н. Бердзенишвили, Л. Небнеридзе и др. Краткие итоги Цхалтубской археологической экспедиции ПАИ в 1977 г. Тбилиси, 1980, с. 15—20.

წამოსახლარის გადახნულ ფართობზე მოპოვებულის ანალოგიური მასალა. მელოურის წამოსახლარის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მისი სახით გვაქვს ადრენეოლითური ხანის ძეგლი.

იარაღების დასამზადებლად ძირითადად კაყი და რიყის ქვა იყო გამოყენებული. იაშვითად ხმარობდნენ ობსიდიანს. კერამიკა წამოსახლარზე აღმოჩენილი არ ყოფილა.

მელოურის კაყის ნაწარმის მთავარი თავისებურება მკაფიოდ გამოხატული მიკროლითური ხასიათია. ძეგლს ახასიათებს მიკროიარაღების სიჭარბე. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გეომეტრიული ფორმის მიკროლითების — ორფერდამუშავებული ტრაპეციებისა (ნახ. 148. 5—13) და მიკროსაუხევეების (ნახ. 148.18) სიმრავლე. ეს იარაღები კოლექციის წამყვანი ფორმებია. მელოურის კომპლექსი, აგრეთვე, ხასიათდება დაკბილული იარაღების დიდი რაოდენობით. მათში ერთიანდება ნამგლისებური და ხერხისებური იარაღები (ნახ. 148.33,35). მრავლადაა სხვადასხვა სახის ლამელა — გვერდრეტუშიანი, თავისწორი და თავირბრეტუშიანი. შედარებით პატარა სერიებითაა წარმოდგენილი საჭრისები, დანები; სახოკები, ასტამისებური და სათლელ-სატეხისებური იარაღები (ნახ. 148). რიყის ქვის იარაღები წარმოდგენილია ცულებით, სატეხებით, სათლელებით, ჩაქუჩებით, სალესებით, ხელაფქვეისა და შურღულის ქვებით (ნახ. 149); დიდი რაოდენობითაა წარმოების ნარჩენები — ნუკლეუსები, ანატეკე-ანამტერევეები, კაპრები; ნახევარფაბრიკატები, დაზიანებული იარაღები. წარმოების ნარჩენების სიმრავლე მოწმობს, რომ იარაღების დასამზადებელი სახელოსნო წამოსახლარის ტერიტორიაზე ყოფილა.

მასალის შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლა მოწმობს, რომ მელოურის კომპლექსი მიეკუთვნება ანასეული I-ის ტიპის ღია ადრენეოლითურ წამოსახლართა რიცხვს.

ადრენეოლითური ხანის საცხოვრებელი ნაგებობის გეგმაზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ხორშის ნამოსახლარი. იგი მდებარეობს ცხაკაის რაიონის ს. ხორშში, მდ. მალაკონის მარცხენა ნაპირის 20 მ სიმაღლის ტერასაზე, ზღვის დონიდან 132 მ სიმაღლეზე. ძეგლი აღმოაჩინა და შეისწავლა 1974—81 წლებში სამეგრელოს ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. გრიგოლიას ხელმძღვანელობით¹⁷.

წამოსახლარზე მიკვლეული იყო 30—35, ზოგ შემთხვევაში 35—42 სმ სისქის, უძრავი კულტურული ფენა. მასში გამოვლენილია დაახლოებით 20—25 სმ დიამეტრის მქონე ბოძების საყრდენი ცილინდრული ორმოები, რომელთა შიგნითაც ვერტიკალურად ჩადგმული იყო ქვები. ორმოების განლაგების მიხედვით გაირკვა, რომ ნაგებობას სწორკუთხა გეგმა ჰქონია (ნახ. 150.1), წამოსახლარზე დადასტურებული იყო სამი ნაგებობის კვალი. ყველა მათგანი

¹⁷ Г. К. Григолия, Н. Мгеладзе. Предварительные результаты работ археологической экспедиции, изучающей памятники каменного века Самегрело. ПИИ в 1977 г., Тбилиси, с. 13—15.

დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ორი ნაგებობის ფართობი დაახლოებით ტოლია: 1. $3,90 \times 3,15$ მ; 2. $3,90 \times 3,05$ მ; მესამე ნაგებობა უფრო მოზრდილია — $4,80 \times 4,0$ მ. ნაგებობის გადახურვა უნდა დაყრდნობოდა 10 ბოძს — სამ-სამი ბოძი სიგრძივ და განივ ხაზზე და ყოველი ნაგებობიდან 1 მეტრში კიდევ ერთი ბოძი, რომელიც ნაგებობას უკავშირდებოდა (ნახ. 150.1). ზორშის ნამოსახლარის უძრავ ფენაში, ნაგებობის იატაკის დონეზე ნაპოვნი იყო ოვალური ფორმის ხელსაფეკავის ზედა და ქვედა ქვეები, კერის ოვალური ორმოები. ფენაში ნაპოვნი იყო საბეგვლები, მაკროლითური ტექნიკით დამუშავებული წერაქვისებური იარაღები, სათლელეები (ნახ. 150.1—4), დაკბილული იარაღები. გეომეტრიული იარაღები ძირითადად ტრაპეციებიტაა წარმოდგენილი. ზორშის ნამოსახლარს, ისევე როგორც ყველა ადრენეოლითურ ძეგლს კერამიკა არ ახასიათებს. მას გ. გრიგოლია ნეოლითის პირველი ნახევრით ათარიღებს¹⁸.

აფხაზეთის ადრენეოლითური ხანის ღია ნამოსახლარები ჯერჯერობით მხოლოდ ს ო ფ . ზ ე მ ო ლ ე მ ს ი ს კომპლექსიტაა ცნობილი. ნამოსახლარი მდებარეობს გულრიფშის რაიონში, ზემო წებელდაში, მდ. კოდორის ხეობაში—ზღვის დონიდან 560 მ სიმაღლეზე.

ძეგლის გათხრას აწარმოებდა 1968, 1976 წლებში აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია ი. ვორონოვის ხელმძღვანელობით¹⁹.

ზემო ლემსას ნამოსახლარზე კულტურული ფენები დარღვეული აღმოჩნდა. მასზე ადრენეოლითური კოლექცია (500 ერთ.) მოპოვებული იყო მოგვიანო მასალებთან ერთად. იარაღების დასამზადებელ მასალად ძირითადად კაყს, იშვიათად ობსიდიანსა და რიყის ქვას იყენებდნენ. ობსიდიანის იარაღები დამზადების ტექნიკითა და ფორმებით არ განსხვავდება კაყისაგან.

კაყისა და ობსიდიანის ნაწარმი ხასიათდება ლამელური ტექნიკით და გეომეტრიული ფორმის მიკროლითებით. კოლექციაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია დამუშავებისა და გამოყენების კვალის მქონე ლამელები. მათში აღსანიშნავია თავგამოყვანილ ლამელათა სერია, რომელიც დამახასიათებელია აგრეთვე აფხაზეთის გვიანნეოლითისათვის.

გეომეტრიულ მიკროლითებსაც აქ კისტრიციასათვის დამახასიათებელი იერი აქვს. ისინი წარმოდგენილია ძირითადად დიდი ზომის ორფერდ-დამუშავებული ტრაპეციებით (ნახ. 151.6—8), არის მოგრძო სამფერდ-დამუშავებულიც. სეგმენტები შედარებით ნაკლებია და ხასიათდება მოგრძო და მოკლე ფორმებით (ნახ. 151.11—12). საფხეკებში გამოიყოფა ლამელებსა და ანატეკებზე დამზადებული კიდურა, მომრგვალო, მიკროლითური და მასიუ-

¹⁸ Г. К. Григолия, Н. Мгеладзе. *დასახ. ნაშრომი*.

¹⁹ Ю. Н. Воронов. Раскопки раннеолитического поселения в пос. Верхняя Лемса (Щебельда). ПАИ в 1976 г. Тбилиси, 1979, с. 20—27.

რი საფხეკები. საჭრისები ნაკეთებია ლამელზე, ანატკეცებსა და ნუკლეუსების ნატეხებზე. ლამელზე დამზადებულ ცალბეში არის მარტივი და თავრეტუშირებული ფორმები. სახვრეტები და დაკბილული იარაღები შედარებით ცოტაა. ნუკლეუსების (ნახ. 151,1—5) წამყვანი ფორმაა კონუსური და პრიზმული. ისინი ცალი მხრიდანაა ძირითადად გამოყენებული. მკაფიო სერიას ქმნიან მიკრონუკლეუსები, რომლებშიც გამოიყოფა აგრეთვე კონუსური და პრიზმული ფორმები (ნახ. 151.3,4).

რიყის ქვის იარაღები ცოტაა. აღსანიშნავია სათლელი (ნახ. 151.24), მოგრძო სახეხები, ქვიშაქვის სახეხი და რიყის ქვები ამოღარვის ნიშნებით. ნამოსახლარზე აღრეული კერამიკა არ აღმოჩენილა.

ადრენეოლითურ კოლექციებს შორის ყველაზე მცირერიცხოვანია ს. ხ ე ე-ში (ჩოხატაურის რ-ნი) მდ. გუბაზოულისა და სატობის ღელის შესაყართან მდინარის მარჯვენა ტერასაზე (ზღვის დონიდან 260 მ) მოპოვებული მასალა.

ძეგლი აღმოაჩინა 1976 წელს არქეოლოგიური დაზვერვებისას წყალტუბოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ²⁰ (ხელმ. კ. კალანდაძე). ნამოსახლარზე უძრავი კულტურული ფენები არ დადასტურდა. მასზე მოპოვებული იყო შემდეგი მასალა: კაქრები (2 ც.), ნუკლეუსები (9 ც.), ანატკეცები (19 ც.), ლამელები (25 ც.); ლამელისებური ანატკეცები (8 ც.), საჭრისები (6 ც.), სახვრეტ-საფხეკები (5 ც.). ერთეულებითაა წარმოდგენილი დანა-საფხეკი, გვერდამოღარული იარაღი, თავრეტუშირებული ლამელა, თავამოღარული ლამელა (ნახ. 152).

რიყის ქვის მხოლოდ სამი ნივთია ნაპოვნი: ხელსაფქვავის ზედა ქვა, მოგრძო სახეხ-სანაყი და დაზიანებული იარაღის ფრაგმენტი, ნამოსახლარს კ. კალანდაძე ადრენეოლითის ხანით ათარიღებს²¹.

ზემოთ მოტანილი ძეგლების ქვის დამუშავების ტექნიკის, იარაღთა ტიპოლოგიისა და სხვა არქეოლოგიური მონაცემების ერთობლივი შესწავლა იძლევა დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითური ხანის დახასიათების შესაძლებლობას.

ადრენეოლითური ხანის ქვის ინდუსტრიის ეპოქალური თავისებურება იარაღების დასამზადებელ ტრადიციულ ნედლეულთან — კაქთან და ობსიდიანთან ერთად ახალი ნედლეულს — ქვის სხვადასხვა ქანების (რიყის ქვის, ბაზალტის, არგილიტის და სხვ.) გამოყენება და მათგან მანამდე სრულიად უცნობი ტექნიკით — გახეხვა-გაპრიალებით იარაღების დამზადება. აღნიშნული ტექნიკისა და ნედლეულის სიახლემ განაპირობა იარაღთა ახალი ფორმების წარმოქმნა. ჩნდება ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული ცულები, სატეხები, სათლელები, ჩაქუჩები, საპრიალებლები, სახეხები, ხელსაფქვავეები, შურდულის ქვები, საბეგველები, საწაფები, თოხი-

²⁰ К. С. Каландадзе, М. К. Габуния. Цхалтубская археологическая экспедиция. ПАИ в 1980 г., Тбилиси, 1982, с. 12.

²¹ იქვე, გვ. 13.

სებური იარაღები. აღნიშნული ცვლილებები ქვის დამუშავების ტექნიკასა და იარაღთა ტიპოლოგიაში ეპოქალურია და განასხვავებს ამ კომპლექსებს გვიან-მეზოლითურისაგან. დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითური ღია ნამოსახლარების ქვის ინდუსტრიას ახასიათებს შემდეგი საერთო, ზოგადი ნიშნები: ადრენეოლითური ხანის კაჩისა და ობსიდიანის ნაწარმი ხასიათდება მიკროლითური და ზედმიწევნით განვითარებული ლამელური ტექნიკით. სწორწახნაგა დანისებური ლამელების მნიშვნელობის ზრდამ განაპირობა მათი ატკეცივისა და ნუკლეუსების მომზადების ხარისხის გაუმჯობესება. ადრენეოლითურ ნამოსახლარებზე გეომეტრიული მიკროლითები ძირითადად ორფერდამუშავებული ტრაპეციებითაა წარმოდგენილი, თუმცა სხვადასხვა ძეგლებში მათი პროცენტული შეფარდება განსხვავებულია. აღნიშნული ძეგლების ერთ-ერთი თავისებურებაა საფხეკების სიმრავლე და ფორმების მრავალგვარობა, რამელთა შორის რელიეფურად გამოიყოფა მომრგვალო მიკროსაფხეკების სერია. ხშირად ამ იარაღების სამუშაო პირი დამუშავებულია მაღალი „მკაცავი“ რეტუსით. ძვლის, რქისა და ხის დამუშავების გაზრდილი მოთხოვნებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ადრენეოლითში საჭრისების სიმრავლე. აღნიშნული იარაღები უპირატესად ლამელებზე მზადდებოდა. ხმარებიდან ვამოდის მრავალფაფეტიანი და შუალა საჭრისები. შედარებით პატარა სერიებითაა წარმოდგენილი სახვრეტ-ბურღები, დანები, დაკბილული და ასტამისებური იარაღები. უმჯობესდება იარაღების მეორადი დამუშავების ხარისხი, ვითარდება და იხვეწება მათი ფორმები. იარაღის სამუშაო პირის გასაფორმებლად ფართოდ იყენებენ წნევეთ რეტუსს. ძვლის ინვენტარი წარმოდგენილია სადგისებით, ნემსებით, საპრიალებლებით, რქის მიწის სათხრელებით. საქართველოში ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ უკერამიკო ადრენეოლითური ძეგლები.

არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ადრენეოლითური ეპოქის მცხოვრებთა მეურნეობა ძირითადად დამყარებული იყო მითვისებითი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებზე. კერძოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ნადირობას. პირველ რიგში, ამას მოწმობს დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითურ ფენებში (დარკვეთი, აფიანჩა, ცივი მღვიმე) ნაპოვნი მრავალრიცხოვანი გარეული ცხოველების ძვლები. მათი საშუალებით ირკვევა, რომ ნადირობის ძირითადი ობიექტი ყოფილა გარეული ღორი, კეთილშობილი ირემი, შველი, გარეული თხა, ცხვარი და დათვი. პოლოცენის დასაწყისში მთელს კავკასიაში საყოველთაოდ იყო გავრცელებული გარეული ღორი, შველი, კეთილშობილი ირემი და სხვა გარეული ცხოველები. დღევანდელთან შედარებით უფრო ფართო არეალი ჰქონდა კავკასიურ ჩინვსა და შველს. გარეული ცხვარი გავრცელებული იყო გამყინვარების შემდგომ პერიოდში მთელი კავკასიის ზეგნებზე. მისი გადაშენება გვიან პოლოცენში მო-

ხდა ანთროპოგენული ფაქტორის წყალობით²². გარეული ღორი კი ბინადრობდა მდინარეთა ხეობების კალებში, ბუჩქნარებსა და მთისწინეთის წიფლისა და ნუხის ტყეებში²³.

გამყინებების შემდგომმა ეკოლოგიურმა ცვლილებებმა, პოსტგლაციის ზრდამ გვიანმეზოლით-ადრენეოლითის ხანაში, რაც მთავარია ანთროპოგენულმა ფაქტორებმა შეამცირა დიდი ჯოგური ცხოველების რაოდენობა და მათი გავრცელების არეალი. ყოველივე ამან გამოიწვია ნადირობის შესაძლებლობების შემცირება. ამიტომ მსხვილფეხა ჯოგურ ცხოველებზე ნადირობა შეიცვალა წვრილფეხა ჯოგურ ცხოველებზე ნადირობით, რასაც უპირატესად ინდივიდუალური ხასიათი მიეცა²⁴. დასავეთ საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების ფაუნისტური ნაშთების დიდი ნაწილი მსხვილ ჩლიქოსნებზე (*Ungulata*) მოდის კერძოდ: დომბაზე (*Bos sp.* *Bison*), კეთილშობილ ირემზე (*Cervus elaphus*) და გარეულ ცხენზე (*Equus sp.*). შედარებით მცირერიცხოვანია შველის (*Capreolus sp.*), ქურციკის (*Rupicapra sp.*), კავკასიური ქიხვის (*Capra cylindricornis*) და გარეული ღორის (*Sus scrofa ferrus*) ძვლები. მტაცებელი (*Carnivora*) ცხოველების ნაშთებიდან ყველაზე მეტი რაოდენობა მღვიმის დათვზე (*Ursus sp.*) და მგელზე (*Canis lupuis*) მოდის²⁵.

კავკასიის მეზოლითური ძეგლების ფაუნისტური ნაშთების შედარება ზედაპალეოლითურთან აშკარად გვიჩვენებს ნადირობის ობიექტის ცვლილებას. თუ ზედაპალეოლითში ნანადირევის ყველაზე დიდი პროცენტი მსხვილჩლიქოსნებზე მოდიოდა, გვიანმეზოლითში მდგომარეობა იცვლება. მატულობს წვრილჩლიქოსანთა მნიშვნელობა, როგორც ნადირობის ობიექტისა. დომბას ნაშთები თითქმის აღარ გვხვდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარეულ ღორს, კეთილშობილ ირემს, შველსა და გარეულ ცხვარს. კავკასიისა და ყირიმის გვიანმეზოლითურ ძეგლებში წვრილჩლიქოსანთა შორის უპირატესობა გარეული ღორის ძვლებს ეკუთვნის.

საინტერესო ფაქტია, რომ ქსეროფიტული ფაუნის შექრა თითქმის არ შეეხო დასავეთ საქართველოს, სადაც პალინოლოგიური მონაცემების თანახმად, შეიმჩნეოდა ლანდშაფტური პირობების გარკვეული კონსერვატიულობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ადგილობრივი ხერხემლიანების ფაუნის უცვლელობას²⁶.

პალეონტოლოგიური, პალინოლოგიური და გეოლოგიური მონაცემების

22 И. К. Верещагин. Млекопитающие Кавказа (История формирования фауны), М., 1953.

23 იქვე, გვ. 235.

24 А. А. Формозов. Этнокультурные области на территории Европейской части СССР в каменном веке, 1959.

25 მ. ნიორაძე. სამერცხლე-კლდის მღვიმე, თბ., 1975, გვ. 38. ტაბ. 2.

26 О. Г. Бендукидзе. Голоценовая фауна позвоночных Грузии. Кандидатская диссертация.

საშუალებით ირკვევა, რომ კავკასიის ადრეპოლოცენში შედარებით თბილი ჰავა იყო და გავრცელებული იყო თანამედროვესთან ახლო მდგომი ფაუნა²⁷.

პალეოზოოგეოგრაფიულმა მონაცემებმა ცხადყო, რომ ცხოველთა ეს სახეები გვიანმეზოლითიდან მოყოლებული, ამ რეგიონში დღემდე ბინადრობენ და გადაშენდნენ მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ანთროპოგენული ფაქტორის წყალობით.

ინდივიდუალური ნადირობის განვითარებამ გვიანმეზოლითში წარმოქმნა თავისებური წინამძღვრები შემდგომ ეპოქაში ცხოველთა მოშინაურებაზე გადასასვლელად. აღნიშნულმა ცვლილებებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს მონადირულ მეურნეობაზე. შემცირებული ნადირობის შესაძლებლობები ვეღარ აკმაყოფილებდნენ მზარდი მოსახლეობის მოთხოვნებს. წარმოიშვა გარკვეული წინააღმდეგობა ნადირობის მოთხოვნილებასა და შესაძლებლობას შორის, რამაც გამოიწვია მონადირული მეურნეობის კრიზისი. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ძიება დაიწყო თვით მონადირული მეურნეობის წიაღში, რამაც ადრენეოლითელი ადამიანი მიიყვანა ზოგიერთი ცხოველის მოშინაურების ცდებამდე, რაც შემდგომ მეცხოველეობაში გადაიზარდა.

დასავლეთ ამიერკავკასიის ზედაპალეოლითში უკვე აშკარად დასტურდება გარეულ ცხოველთა ის სახეები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დასდებოდა ადრენეოლითის ხანაში ცხოველთა მოშინაურებას.

მიუხედავად ნადირობის დიდი როლისა, საქართველოს ადრენეოლითში უკვე გვაქვს მეცხოველეობის დამადასტურებელი პირველი ოსტეოლოგიური მასალა. დარკვეთის მრავალფენიანი ეხის ადრენეოლითურ (IV) ფენაში გარეული ცხოველების, მრავალრიცხოვან ძვლებთან ერთად ნაპოვნი იყო შინაური ცხოველების ძვლებიც — ძროხა (*Bos taurus*), ღორი (*Sus domesticus*), წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (*Ovis aut Capra*) და ძაღლი (*Canis familiaris*). ახალი ოსტეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, რომ დარკვეთის მცხოვრებლებს უკვე ადრენეოლითში მოშინაურებული ჰყავდათ, როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი და ძაღლი. შინაურ ცხოველებს შორის უპირატესობა ღორს ენიჭებოდა. ამის მაჩვენებელია მათი ძვლების შედარებითი სიმრავლე. მეცხოველეობის ადრეულ სტადიაზე სრულიად ბუნებრივია ამ ცხოველის მოსაშენებლად დასავლეთ საქართველოს ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში (კარგად განვითარებული ტყის მასივები, და მათში წიფლისა და მუხის ჭიშვების სიმრავლე) აგრეთვე თვით მისი ზოგიერთი თვისებების (ადვილი მოსაშინაურებელი, იოლი გამოსაკვები, დიდი ნამატის მქონე) გამო მას გარკვეული უპირატესობა მინიჭებოდა. ხოლო რაც შეეხება მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან საქონელს, წარმოებითი მეურნეობის სა-

²⁷ В. И. Громов. Палеонтологическое и археологическое обоснование стратиграфии континентальных отложений четвертичного периода на территории СССР, Тр. Ин-та геол. наук, вып. 64, сер. 17, 1948, с. 233, 247.

წყის საფეხურზე მათთვის შესანიშნავი საკვები ბაზა უნდა შეექმნა ნამოსახლარების მიკრორაიონებში (ზემო იმერეთი) მდებარე დარკვეთ-ზოდისა და ითხვისის მთისძირა პლატოების საძოვრებს.

აღნიშნული მასალა მოწმობს, რომ მითვისებითი ეკონომიკის წიაღში განვითარებული მონადირული მეურნეობის ბაზაზე ადგილობრივ იქმნებოდა საფუძველი ცხოველთა მოშინაურებაზე გადასასვლელად.

შინაურ ცხოველთა ძვლები უკვე ცნობილია წინა აზიის (ბელტი, ხოტუ)²⁸, შუა აზიის (დამ-დამ-ჩემე)²⁹, ბალკანეთისა (არგისა-მაგულა³⁰) და ასევე ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძეგლების მეზოლითური ფენებიდან. აღნიშნული ფაუნა ნაპოვნია უკერამიკო, კაყის მიკროლითებიანი ინდუსტრიის მქონე ძეგლებში.

დარკვეთის შინაურ ცხოველთა კომპლექსის მსგავსი შედგენილობის (ხარი, ცხვარი, თხა, ღორი) მქონე კომპლექსები დადასტურებულია ყუბანისპირეთის მღვიმე კამენომოსტსკაიას ნეოლითურ ფენაში³¹, ყირიმში-ტაშ-აირ I-სა და ზამილ-ყობა II-ის ნეოლითურ ფენებში³², აზოვისპირეთში მდ. მოლოჩნაიაზე კამენნაია მოგილასთან აღმოჩენილ ნეოლითურ ნამოსახლარზე³³, დნეპრისპირეთში (შულაევის კუნძული)³⁴, სამხრეთ ბუგის (მიკოლინა ბროიაცა)³⁵ ნეოლითურ ფენებში, დნესტრზე — ნამოსახლარ სოროკა 2, სოროკა 5-ში³⁶.

კავკასიური ნეოლითური ძეგლებიდან მომდინარე ფაუნისტური კოლექციები ჩერკეზობით მცირერიცხოვანია (დარკვეთი, კამენომოსტსკაია) და საშუალებას არ იძლევა ვიმსჯელოთ ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და დასავლეთ ამიერკავკასიის მესაქონლეობის ურთიერთმიმართების საკითხებზე.

ადრენეოლითელი ტომების მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შემგროვებლობას. დასავლეთ საქართველოს გეოკლიმატური პირობები — თბილი და ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, საკვებად გამოსაყენებელ მცენარეთა მრავალრიცხოვანი სახეები, მარცვლეული კულტურების ენდემური ჯიშები, ქმნიდნენ პირობებს რთული შემგროვებლობის განვითარებისათვის. ამაზე მეტყველებს ცივი მღვიმის (B₁ ფენა) ადრენეოლითურ ფენაში გარეული

²⁸ C. Coon. *Cave Explorations in Iran 1949*, Philadelphia, 1951.

²⁹ Г. Е. Марков. Грот Дам-дам-чешме II в Восточном Прикаспии. СА, 2, 1960.

³⁰ Milošić, Voessneck, Hof. 1962.

³¹ А. А. Формозов. Каменный век и энеолит Прикубанья. М., 1965.

³² Е. А. Дмитриева. Фауна крымских стоянок Зампиль-Коба II и Таш-аир I. — МИА, № 91, 1961.

³³ В. Н. Даниленко. Неолит Украины. Киев, 1969.

³⁴ იქვე.

³⁵ იქვე.

³⁶ В. Н. Маркевич. Неолит Молдавии. Автореферат канд. дисс. М., 1968.

ლოძის დანახშირებული მარცვლების აღმოჩენა³⁷. ნამოსახლარ ფენებში ამ მარცვლეულის პოვნა აქ მოსახლეთა მეურნეობაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის მაჩვენებელი უნდა იყოს. როგორც ჩანს, ამ მცენარის კულტივირების დრო აღრენეოლითის ხანაზე მოდის. უნდა ვიფიქროთ, რომ ნეოლითის ხანაში იგი უკვე დაწყებულია, რადგან, როგორც ცნობილია, მცენარის მორფოლოგიური ცვლილებებისათვის საჭიროა ხანგრძლივი დრო და მისი მრავალი თაობის გამოყვანა. ენეოლითში³⁸ (არახლო I) ეს მცენარე უკვე კულტივირებული ჩანს.

საქართველოს აღრენეოლითურ ნამოსახლარებზე (ცივი მღვიმის N₁ ფენა, დარკვეთი IV, ანასეული I, აფიანჩა I) ნაპოვნი სამეცლი დანების ჩასართები³⁹. ხელსაფეკვაეები, სახეხები, შესაძლოა, ემსახურებოდა როგორც შემგროვებლობას, ასევე პირველი სამიწათმოქმედო პროდუქტების დამუშავებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღომი დასავლეთ საქართველოში ისტორიულად დამოწმებული კულტურაა. მართებული უნდა იყოს მოსაზრება⁴⁰, რომ ღომი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი იმ კულტურათაგანი, რომელიც სათავეს უდებს მიწათმოქმედებას დასავლეთ საქართველოში. ცივი მღვიმის მასალების საფუძველზე ლ. სოლოვიოვი სამართლიანად შენიშნავს, რომ აღრენეოლითში ადგილი უნდა ჰქონოდა მიწათმოქმედების პირველ ცდებს, რომ ამ მასალაში შეიძლება დაგინახოთ მითითება მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლისა⁴¹. მოტანილი მასალა იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მითვისებითი მეურნეობის წიაღში, ფართოდ განვითარებული შემგროვებლობის ბაზაზე, უნდა მომხდარიყო თანდათანობითი გადასვლა მიწათმოქმედებაზე.

საქართველოს გვიანმეზოლით-აღრენეოლითური მასალები მოწმობენ, რომ ამ პერიოდის მეურნეობაში დიდ რაოდენობაში ენიჭებოდა მეთევზეობას. ამ ეპოქის ნამოსახლარების უმრავლესობა მდებარეობს მდინარეთა ტერასებზე და მდინარისპირა მღვიმეებსა თუ ეხებში. აქ მოზინადრე გვაროვნულ ჯგუფებს უნდა გამოეყენებინათ მდინარის რესურსები. ამაზე უნდა მეტყველებდეს ცივი მღვიმის გვიანმეზოლით-აღრენეოლითურ ფენებში დიდი რაოდენობით ორაგულისა

³⁷ Л. Н. Соловьев. Об итогах археологических раскопок в гроте Хупшунуш-хва. Тр. Абхазского ИЯЛИ, XXXII, 1961.

³⁸ ტ. ჩუბინიშვილი. ახალი მასალები ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. „ძეგლის მეგობარი“, № 33, 1973, გვ. 19.

³⁹ ანასეული I-ის კოლექციის ტრასეოლოგიური შესწავლის დროს აღმოჩენილი იყო სამეცლი დანების ჩასართები. იხ. Г. Ф. Коробкова, К. М. Эсакия. Первые жатвенные ножи Кавказа (ხელნაწერი).

⁴⁰ ნ. კილაძე-ბერძენიშვილი. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილი“. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 562—566; ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1977, გვ. 17.

⁴¹ Л. Н. Соловьев. დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

და სხვა წვრილი თევზების ძეგლების, კვილთისა (ცივი მღვიმე, აპიანჩა) და საწაფის (დარკვეთის ეზი V, ხუცუბანი) პოვნა. სათევზაო იარაღებს უნდა ეკუთვნოდეს გვიანმეზოლითურ ძეგლებში ნაპოვნი ასიმეტრიული სამკუთხედები⁴² (დარკვეთი V, ცივი მღვიმე, ეძანი). მეთევზეობასთან დაკავშირებული ნივთიერი საბუთები მოწმობს მეურნეობის ამ დარგის განვითარებას და დიფერენციაციას. თევზის ჭერა უნდა წარმოებულყო კვილთებით, ანკესისებური იარაღითა და ბალით.

ამგვარად, ახალი მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლა განხორციელდა გვიანმეზოლით-ადრენეოლითში ფართოდ განვითარებული მითვისებითი მეურნეობის ბაზაზე წარმოქმნილი მეურნეობის ახალი დარგების — მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების მეშვეობით. ადრენეოლითში ჩასახულმა მწარმოებლურმა ურთიერთობამ თანდათანობით იწყო განვითარება აღმავალი ხაზით, რის შედეგადაც დასავლეთ საქართველოს შუა და გვიანნეოლითში უკვე გვაქვს მკაფიო ძეგლები განვითარებადი მწარმოებლური ეკონომიკით.

წინა აზიისა და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის უკერამიკო ნეოლითის, კერძოდ ადრე და შუა ნეოლითის ეტაპის ძეგლები გაერთიანებულია უკერამიკო ნეოლითის სტადიად, რომელსაც „უკერამიკო“ ან „წინაკერამიკული“ ნეოლითს უწოდებენ. აღნიშნულის საფუძველზე გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნებოდა საქართველოს უკერამიკო ნეოლითის ძეგლებიც ამგვარად გაერთიანებულიყო.

საქართველოს ნეოლითური ძეგლების კვლევის დღევანდელ ეტაპზე უკერამიკო ნეოლითური ძეგლების საერთო მასიდან უკვე გამოყოფილია შედარებით ადრეული და მოგვიანო ძეგლების ჯგუფები, რომლებმაც წარმოაჩინეს უკერამიკო ნეოლითური ძეგლების ქრონოლოგიური არაერთგვაროვნება და მათი ევოლუცია ადრეულიდან ნეოლითის გვიანი, ე. ი. კერამიკიანი ნეოლითის საფეხურისაკენ.

აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა მასალის გამოწვლილვითი შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლა. გარდა ამისა, თუ ნეოლითის ადრე და შუა ეტაპის ძეგლებს „უკერამიკო“ ან „წინაკერამიკული“ ნეოლითის სახელწოდებით ერთ ჯგუფში გავაერთიანებთ, მაშინ გვიანი ნეოლითის ძეგლების სახელწოდებაც შესაბამისად უნდა შეიცვალოს — „კერამიკული“ ნეოლითით. ტერმინები „ადრეული“ და „გვიანი“ უფრო კარგად ასახავენ კულტურის განვითარებას დროში ვიდრე ტერმინებში „კერამიკიანი“ და „უკერამიკო“ ან „წინაკერამიკული“. მით უმეტეს, ცნობილია, რომ კერამიკის არსებობა ნამოსახლარზე ყოველთვის არ იყო ქრონოლოგიის მაჩვენებელი, ზოგიერთ შემთხვევაში ის კულტურის სპეციფიურობის მაჩვენებელიც იყო. მაგალითად, ცნობილია, რომ მესაქონლე ტომთა კულტურას ხშირად კერამიკა არ ახასია-

42 С. Н. Бибиков. Раскопки в мавесе Фатьма-Коба, КСИИ, т. 8, Киев, 1950.

თებდა მოგვიანო პერიოდებშიც კი. ამიტომ გაუმართლებელი უნდა იყოს ტერ-
მინ ადრენეოლითის შეცვლა „უკერამიკო“ ან „წინაქერამიკული“ ნეოლითით.
ტერმინ „უკერამიკოს“ ვხმარობთ, როგორც ადრენეოლითური კულტურის
ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშანს.

ნეოლითის შუა საფეხური დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით მხო-
ლოდ ლუმურიშისა და ვალი I-ის ნამოსახლარებითაა წარმოდგენილი. უფრო
სწორად, ისინი უმეტესად ადრენეოლითიდან გვიანნეოლითზე გარდამავალი
ნიშნების მქონე ძეგლებია, მათში კარგად აისახა ადრენეოლითისათვის დამა-
ხასიათებელი ნიშნების შემდგომი განვითარება გვიანნეოლითისაკენ. ქრონო-
ლოგიურად მათ შუალედური ადგილი უჭირავთ ადრე და გვიანნეოლითურ ძეგ-
ლებს შორის.

ლუმურიშის ნამოსახლარი მდებარეობს ქ. ვალის ჩრდილოეთით
11 კმ მანძილზე მდ. ოქუმის მარცხენა ნაპირის მესამე ტერასაზე, ზღვის დო-
ნიდან 415 მ სიმაღლეზე. ძეგლი ითხრებოდა 1969—1973 წლებში საქართვე-
ლოს შავიზღვისპირეთის ქვისხანის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვა-
ნელი ნ. ბერძენიშვილი), ნეოლითური რაზმის მიერ (რაზმის უფროსი კ. კა-
ლანდაძე)⁴³.

ტერასის ოდნავ შემალღებულ მონაკვეთებში მიკვლეული იყო ოვალურად
განლაგებული შვიდიოდე ნასახლარის ნაშთი, რომელთა შორის მანძილი 200—
300 მ იყო. აქ შესაძლოა ნეოლითური სოფლის ნაშთთან გვეკონდეს საქმე⁴⁴.

ნამოსახლარის კულტურული ფენის ზედა ნაწილი დარღვეული იყო, ქვე-
და კი ნაწილობრივ უძრავ მდგომარეობაში იყო გადაარჩენილი. მისი საერთო
სიმაღლე 45—60 სმ-ს უდრიდა. იარაღების დასამზადებელ მასალად უპირა-
ტესად კაეს იყენებდნენ, შედარებით იშვიათად რიყის ქვას, ობსიდიანს, ბა-
ზალტსა და არგილიტს.

ლუმურიშის ნამოსახლარზე მოპოვებული მრავალრიცხოვანი კოლექციიდან
(19 223 ერთეული) მასალის დიდი უმრავლესობა (17 923 ერთეული) წარმოე-
ბის ნარჩენებს ეკუთვნის. ისინი წარმოდგენილია კაჭრებით (24 ც.), ანატკეც-
ანამტკერევეებით (16 834 ც.) და სხვადასხვა სახის ნუკლეუსებით (1065 ც.), რო-
მელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი პრიზმულ, ბრტყელ და კონუსისებურს
უჭირავს. კოლექცია ხასიათდება ურეტუშო და მეროადი დამუშავების მქონე
ლამელების დიდი სერიებით (სულ 2 137 ც.).

იარაღებიდან წამყვანი ადგილი საფხეკებს უჭირავს (426 ც.). ნამზადის
ჯასიათის მიხედვით მათში გამოიყოფა: ვიწრო ლამელების ბოლოზე, მომრგვა-
ლო ანატკეცებზე და განიერ ლამელისებურ ანატკეცებზე დამზადებული საფხე-

43 კ. კალანდაძე. ლუმურიშის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1970 წელს ჩატარებულ
სამუშაოთა შედეგები. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. V, თბ.,
1973, გვ. 125—139.

44 კ. კალანდაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 128.

კები, რომელთა მომრგვალო სამუშაო პირი დამრეცი თანამიმდევრული ან ნაწილობრივი რეტუშითაა გამოყვანილი.

რაოდენობის მიხედვით შემდეგ ადგილზეა საქრისები (278 ც.), მათი უმრავლესობა ლამელზეა დამზადებული, შედარებით ნაკლებია ლამელისებურ ანატექეებზე ნაკეთები ცალები. სამუშაო პირის მიხედვით მათში გამოიყოფა მარტივი ცალმხრივი, მარტივი ორმხრივი, თავრეტუშისანი ცალმხრივი და თავრეტუშისანი ორმხრივი საქრისების ჯგუფები.

კომპლექსის დანარჩენი იარაღები წარმოდგენილია სახოკებით (125 ც.), გეომეტრიული ფორმის მიკროლითებით (100 ც.), დანებით (96 ც.), სახვრეტებით (62 ც.), რეტუშორებით (44 ც.), დაკბილული (34 ც.) და კომბინირებული იარაღებით (32 ც.), ანატექეებით (16 ც.), ასტამებით, შალაშინებით (8 ც.), „ხოწებით“ (7 ც.), და სხვ. (ნახ. 153). რიყის ქვის იარაღები უმეტესად წარმოდგენილია ხეხვის ტექნიკით დამზადებული ნაკეთობებით, შედარებით იშვიათია გაპრიალების ტექნიკით შესრულებული ცალები. მათგან აღსანიშნავია ცულები (11 ც.), სატეხ-სათლელები (10 ც.), სახეხ-სასარესები (10 ც.), თავბოლოწამახვილებული წერაქვისებური იარაღები (15 ც.), თონისებური იარაღი, შურდულის ქვები (3 ც.), სალესები (14 ც.). დადასტურებულია ქვის ამოღარვისა და გახვრეტის ცდის ორიოდ შემთხვევა (ნახ. 154).

ლუმურიშის მასალა აშკარად გვიჩვენებს გარდამავალ ნიშნებს იარაღთა დამუშავების ტექნიკასა და ფორმებში. ყველაზე ნათლად იგი ჩანს გეომეტრიული მიკროლითების მაგალითზე. კერძოდ, თუ ადრენეოლითისათვის დამახასიათებელია ორფერდამუშავებული ტრაპეციები, ლუმურიშში მათთან ერთად უკვე გვხვდება სამფერდამუშავებული ტრაპეციებიც და საცმოდ დახვეწილი ფორმის სეგმენტებიც, რომლებიც როგორც ცნობილია აუცილებელი ელემენტია გვიანნეოლითური ძეგლებისა⁴⁵. უნდა აღვნიშნოთ, რომ გვიანნეოლითისათვის დამახასიათებელი, გეომეტრიულ მიკროლითებში ყველაზე გვიანდელი ფორმები — ზურგათილი მალაი ტრაპეციები და ზურგათილი მალაი სწორკუთხედები ლუმურიშს არ ახასიათებს.

გარდამავალი ნიშნები კარგად ჩანს ლუმურიშის რიყის ქვის იარაღების ტიპოლოგიური შედარებისას წინმავალ და მომდევნო საფეხურის ძეგლებთანაც ადრენეოლითურ ნამოსახლარებთან შედარებით, ლუმურიშში მატულობს რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების რაოდენობა და ნაირსახეობა. უმჯობესდება მათი დამუშავების ხარისხი. რიყის ქვის იარაღებს — ცულებს, სატეხ-სათლელებს, ჩაქუჩებს უჩნდებათ გვერდითი წახნაგები და წიბოები. აღნიშნული ელემენტები ადრენეოლითური რიყის ქვის იარაღებზე არ გვხვდება, გვიანნეოლითური ძეგლებისათვის კი ფართოდაა დამახასიათებელი.

⁴⁵ ლ. ნ ბ ი რ ი ძ ე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ. 73.

როგორც ვხედავთ, გვიანი ნეოლითისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი უკვე ლუმურიშის ტიპის ძეგლებში ისახება, შემდეგ კი გვიანნეოლითში ფართო განვითარებას აღწევს.

ლუმურიშის ნამოსახლარს კერამიკა არ ახასიათებს. ამ ნიშნით იგი უახლოვდება ადრენეოლითურ ძეგლებს და განსხვავდება გვიანნეოლითურისაგან.

ლუმურიშის კომპლექსის მოკლე ტიპოლოგიური დახასიათებაც კი ნათლად უკვიჩვენებს, რომ იგი ადრენეოლითიდან გვიანნეოლითზე გარდამავალ საფეხურს მიეკუთვნება.

გარდამავალი საფეხურის ნიშნები შედარებით სუსტადაა გამოხატული გალი I-ის ნამოსახლარზე. ეს შესაძლებელია ნაწილობრივ იმიტაც იყოს გამოწვეული, რომ კოლექციის საკმაოდ დიდი ნაწილი სადღეისოდ ჭერჭერობით შეუსწავლელია. ჩვენი მსჯელობა ემყარება 1977 წ. მოპოვებული შედარებით მცირერიცხოვანი კოლექციის მონაცემებს⁴⁶. ამიტომ, დღესდღეობით, გალი I-ის კომპლექსების ერთობლივ შესწავლამდე შესაძლებელია მხოლოდ წინასწარული მოსაზრებების გამოთქმა.

გალი I ნეოლითური ნამოსახლარი მდებარეობს ქ. გალის ჩრდილოეთით 8 კმ მანძილზე ს. გალში; მშრალი ხევის — ჭუბურწყარის მარცხენა ნაპირის ტერასაზე, ზღვის დონიდან 72 მ სიმაღლეზე. ნამოსახლარი აღმოაჩინა არქეოლოგმა გ. ხუბუტიამ, რომელმაც 1973 წელს მასზე შეკრიბა მრავალრიცხოვანი ზედაპირული მასალა. ნამოსახლარს 1974 წელს სწავლობდა საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი) ერთ-ერთი რაზმი (რაზმის უფროსი მ. გაბუნია). სადაზვერვო გათხრებისა და ზედაპირული მასალის შეგროვების შედეგად მოპოვებული იყო 9 578 ერთეული მასალა (ნახ. 155, 156).

1977 წელს აღნიშნულმა ექსპედიციამ ნამოსახლარზე ისევ განახლა სადაზვერვო სამუშაოები (რაზმის უფროსი კ. კალანდაძე), რომლის შედეგადაც დამატებით მოპოვებულ იქნა 2000-მდე ნივთი. კულტურული ფენები ნამოსახლარზე მთლიანად დარღვეული აღმოჩნდა.

გალი I ნამოსახლარის კაჯის ინდუსტრიის (ნახ. 155. 1—29) მთავარი დამახასიათებელი ნიშანია განვითარებული ლამელური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები, რომლებიც წარმოდგენილია ძირითადად ორფერდამუშავებული ტრაპეციებით, თუმცა ერთეულების სახით უკვე ჩნდება სეგმენტებიც. ნუკლეუსების წამყვანი ფორმაა კონუსური — დანისებური ლამელების ატაკევის კვალით. მკაფიო სერიას ქმნის თავრეტუშიანი ლამელები. მათში ვხვდებით თავირბ, თავსწორ და თავამოღარულ ცალებს. საჭრისები დამზადებულია ვიწრო და მოკლე ლამელების გვერდებზე. მომრგვალო, მიკროლითური საფხეკები უკვე აღარ არის ამ ჯგუფის იარაღებში წამყვანი. აქ სჭარბობს თხე-

⁴⁶ Н. З. Бердзенишвили, К. С. Каландадзе, Г. Хубутни. Неолитическое поселение в Гальском районе. ПАИ в 1977 году, Тбилиси, 1980, с. 20—22.

ლი ანატკეცებისა თუ ლამელისებური ანატკეცების ბოლოებსა და გვერდებზე დამზადებული მომრგვალო ან სწორსამუშაოპირიანი საფხეკები. რიყის ქვის ხახხილი იარაღები შემდეგი სახეებითაა წარმოდგენილი: ცულები, სახეხები, ხელსაფქვავის ქვა, შურდულის ქვები, იარაღების სახენ-საპრიალებლები, ორ-მხრივამოღარული სახრელის ტიპის. ნიეთი, მაკროლითური ტექნიკით ათლი-ლი წერაქვისებური იარაღი და სხვ. (ნახ. 155. 31—36; ნახ. 156).

ქ. კალანდაძე ვალი I ნამოსახლარს შუა ნეოლითის საფეხურს აკუთვნებს. გვიანნეოლითური საფეხურის დამახასიათებელი კომპლექსური ნეოლითური ძეგლების საერთო მასიდან დღესდღეობით ჯერჯერობით ისევე მასალის ტიპოლოგიურ-შედარებითი ანალიზისა და გამორიცხვის მეთოდის საფუძველზე გამოიყოფა, რადგან დღემდე არ არის აღმოჩენილი გვიანნეოლითური ფენების შემცველი სტრატეგრაფიული მრავალფენიანი ძეგლები.

გვიანნეოლითური ძეგლები გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს შთისწინა ბორცვოვან და ზღვისპირა ზოლში ღია ნამოსახლარების სახით. მღვიმეებსა და ეხებში ისინი ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. აღნიშნული საფეხურის ძეგლებს მიეკუთვნება შემდეგი ნამოსახლარები: ოდიში, ურთა (ზუგდიდის რ-ნი), კისტრიკი (გუდაუთის რ-ნი), ანასეული II, გურიანთა (მაჩარაძის რ-ნი), მამათი (ლანჩხუთის რ-ნი), მახვილაური (ბათუმის რ-ნი), ჩხორთოლი (გალის რ-ნი).

ოდიშის ნამოსახლარი კავკასიის პირველი ნეოლითური ძეგლია, რომლის აღმოჩენამ საბოლოოდ დაადასტურა კავკასიაში ნეოლითური კულტურის არსებობა. იგი აღმოაჩინა 1936 წელს არქეოლოგმა ალ. კალანდაძემ⁴⁷. ნამოსახლარი მდებარეობს ქ. ზუგდიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 კმ მანძილზე, ს. ოდიშში, მდ. ჟუმას მარჯვენა ნაპირის თავსწორ ზეგანზე, ზღვის დონიდან 273 მ სიმაღლეზე. იგი ცნობილი გახდა, როგორც მეზოლითური და ნეოლითური ფენების შემცველი ძეგლი⁴⁸, თუმცა არქეოლოგი ნ. ხოშტარია მას. იმთავითვე ერთფენიანად მიიჩნევდა და აღრენეოლითით ათარიღებდა⁴⁹. მოგვიანებით იგივე მოსაზრება გამოთქვა ა. ფორმოზოვმა⁵⁰. იმის გამო, რომ ოდიშის ნამოსახლარზე კულტურული ფენა დარღვეული იყო, ნეოლითის ქრონოლოგიურ ჩარჩოში მისი მდებარეობისა და ფენათა რაოდენობის საკითხი დიდხანს გადაუწყვეტელი რჩებოდა. მხოლოდ ანასეულში ნეოლითის ორი სხვადასხვა საფეხურის (აღრეული და გვიანი) ძეგლების (ანასეული I, II) აღმოჩენისა და შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ოდიში გვიანნეოლითური

⁴⁷ ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიშის მოამბე, ტ. IV, 3, თბ., 1939.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ Н. В. Хоштария. Археологические разведки в бассейне р. Ингури, 1940 (пруконись).

⁵⁰ А. А. Формозов. Из истории передвижения группы первобытного человека в эпоху мезолита, СЭ, № 1, 1953, с. 171; Его же. Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА, 102, 1962, с. 147—148.

ხანის ერთფენიანი ძეგლია⁵¹. აღნიშნული დაადასტურა ადღერის რაიონის სოფ. ქვედა შილოვკაში ოდიშის ტიპის ნამოსახლარზე უძრავი ფენის პოვნამაც.

სადღეისოდ ცნობილ ამიერკავკასიის ძეგლებს შორის ოდიში ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო და მრავალმხრივი კომპლექსია⁵². მასალის საერთო რაოდენობა 5050 ერთეულს უდრის. იარაღების ძირითადი ნაწილი დამზადებულია კაჟისა და რიყის ქვის სხვადასხვა ქანებისაგან. შედარებით მცირე რაოდენობითაა გამოყენებული ობსიდიანი. მასალის ურთიერთშეფარდება ასეთია: კაჟი — 4 200, რიყის ქვა — 380, ობსიდიანი — 300 ერთ., კერამიკა — 480 ფრაგმენტი.

ოდიშის კოლექციაში რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა წარმოების ნარჩენები. ოსინი წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმისა და ზომის მრავალრიცხოვანი ანატყეც-ანამტვრევებით (1 820 ერთ.), პრიზმისებური, კონუსისებური და ფანქრისებური ნუკლეუსებით, მრავლადაა ნუკლეუსის ნალევები და დაზიანებული ცალები, ნუკლეუსას შესწორების შედეგად მიღებული სიგარძივი და განივი ანატყეცები, თითო-ოროლა ბრტყელი, სწორკუთხა და დისკოს ფორმის ნუკლეუსები (სულ 219 ერთ.).

კაჟის მასალის დიდ ნაწილს შეადგენს სხვადასხვა ფორმის, ზომის და დამუშავებით ერთმანეთისაგან განსხვავებული ლამელების მრავალრიცხოვანი ჯგუფები (1 542 ერთ.). იარაღებს შორის რაოდენობის მიხედვით წამყვანი ადგილი საჭრისებს უჭირავს (103 ერთ.) (ნახ. 157. 9—16). მათი დიდი ნაწილი ლამელებზეა დამზადებული, თუმცა არის ანატყეცებზე დამზადებული ცალებიც. ლამელებზე ჩამოყალიბებულ საჭრისებში გამოიყოფა მარტივი და თავრეტუშინი საჭრისების ჯგუფები, მარტივ საჭრისებში კი ცალმხრივი და ორმხრივი საჭრისების ქვეჯგუფები. ორმხრივი ბევრად ნაკლებია ცალმხრივზე. თავრეტუშინი საჭრისებში გვაქვს თავსწორრეტუშინი და თავირბრეტუშინი საჭრისების ჯგუფები. ანატყეცებზე დამზადებულ საჭრისებში გვხვდება მარტივი და თავრეტუშინი, საჭრისთა ჯგუფები.

ოდიშის საფხეკეები არ ხასიათდებიან დახვეწილი ფორმებით და ბეჯითი დამუშავებით (75 ერთ.) (ნახ. 157. 3—8). მათი უმრავლესობა დამზადებულია მასიური ანატყეცების ბოლოზე, რომლებსაც სამუშაო პირი გამოყვანილი აქვთ მსხვილფაცეტისანი რეტუშით. საფხეკეების დიდ ნაწილს ოვალური სამუშაო პირი აქვს, მცირეს კი სწორი. კოლექციაში არის ამოღარული საფხეკეებიც.

⁵¹ ლ. ნ. ბ. ი. რ. ი. ძე. „მიწის ციხის“ ნეოლითური სადგომი ანასეულში (ოზურგეთის რ-ნი). მოხსენების ანოტაცია. ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XI სამეცნიერო კონფერენცია. 1960 წ.; მისივე, „მიწის ციხეზე“ ნეოლითური რაზმის მიერ 1962 წლის მუშაობის შედეგები. სესია მიძღვნილი 1962 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. 1963 წ. მოხსენებათა ანოტაციები; მისივე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, 33-81.

⁵² ლ. ნ. ბ. ი. რ. ი. ძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. გვ. 47—56.

სახვრეტები (31 ც.) ორი სახისაა მიკროსახვრეტები და გრძელი სახვრეტები (ნახ. 18. 33—38). კოლექციაში არის დაკბილული (47 ც.), დანიხებული იარაღები (28 ც.), ისრისპირები (2 ც.) და კომბინირებული იარაღები (6 ც.). გეომეტრიული ფორმის მიკროლითები წარმოდგენილია ორფერდამუშავებული ტრაპეციებით (18 ც.), სეგმენტებით (5 ც.) და მაღალი, ზურგათილი სწორკუთხედებით (3 ც.) (ნახ. 157. 22—28).

რიყის ქვის იარაღები ოდიშის კოლექციის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია (სულ 671 ც.) (ნახ. 158). მათ შორის არის როგორც გახეხილ-გაპრიალებული, ასევე ორმხრივათილი, ტლანქად ნახები, მთელი და დაზიანებული იარაღები. რიყის ქვის იარაღებს შორის ყველაზე მრავლადაა ცულები (64 ც.). მოყვანილობის მიხედვით მათში გამოიყოფა: ორმხრივლესილი გვერდწახნაგიანი, ორმხრივლესილი უწახნაგო და „წაკეთილი“ ცულები. რიყის ქვის დანარჩენი იარაღები წარმოდგენილია სატეხ-სათლევების (21 ც.), ხელჩაქურჩების (33 ც.), საბეგველების, სახეხების (81 ც.), სანაყების (5 ც.), ფილთაქვების საპრიალებლების (2 ც.), ხელსაფქვაეების (5 ც.) ბარისებური იარაღის (2 ც.) ჯგუფებითა და ცალკეული იარაღებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ე. წ. მაკროლითური, ანუ ორმხრივი ათვის ტექნიკით დამზადებული იარაღები (136 ც.). მათ შორის გამოიყოფა წერაქვისებური და შუბისებური მაკროლითები (ნახ. 159). კოლექციაში გვაქვს დაზიანებული გახვრეტილი იარაღის ორი ფრაგმენტი. არის, აგრეთვე; ერთი იარაღი გახვრეტის ნიშნებით. საყურადღებოა, რომ ასეთ დიდ კოლექციაში იარაღის გახვრეტის მხოლოდ ორი შემთხვევაა და ერთი ცდა. ამასთანავე, გახვრეტილი იარაღების ფორმა უცხაო კომპლექსისათვის. ოდიშის ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით იყო ნაპოვნი რიყის ქვის დაზიანებული იარაღების ნაწილები (134 ც.), ბევრია უხეშად გათლილი და ნაწილობრივ გახეხილ-გაპრიალებული, დაუმთავრებელ იარაღთა ცალები და ნამზადები.

ოდიშის ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით იყო ნაპოვნი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (480 ერთ.). კერამიკული მასალის სიმრავლის მიუხედავად, ჭურჭლის ფორმაზე მსჯელობა მხოლოდ ცალკეული ნაწილების მიხედვით გვიხდება. ფრაგმენტების შესწავლიდან ირკვევა, რომ ოდიშის ნამოსახლარს ახასიათებდა სწორკედლა, ბრტყელიძირა, უყურო, პირგადაშლილი, ხელით ნაძერწი ქილისებური მოყვანილობის ჭურჭლები. თიხა — მოვარდისფრო-მონაცრისფრო — სუსტადაა გამომწვარი, მასში ჰარბადაა შერეული კირისა ქარსის და კვარცის ნამცეცები. ზოგიერთი ჭურჭელი შემკული ყოფილა „წიწვისა“ თუ „თავთავისებური“ ორნამენტებით, რომლებიც ჭურჭლებზე უმეტესად ვერტიკალური მწკრივების სახითაა განლაგებული. ზოგიერთი ჭურჭლის ბაჟო სწორი ან გლუვია, ზოგიერთის კი სხვადასხვა სახის ღრმულებითაა დაქდეული, გვაქვს, აგრეთვე, ტეხილხაზიანი ჭურჭლის პირებიც (ნახ. 160).

ოდიშის ნამოსახლარი ტიპიური გვიანნეოლითური ძეგლია⁵³. ოდიშის ტიპის მეორე გვიანნეოლითური ძეგლი — კისტრიკის ნამოსახლარი — მიკვლეული იყო განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოში — ზღვისპირა ტერასაზე, ქ. ჟუდაუთაში. ღელე კისტრიკის მარჯვენა ნაპირზე.

ძეგლი აღმოაჩინა 1941 წელს ა. ლუკინმა და ლ. სოლოვიოვმა. ოდიშის მსგავსად, კულტურული ფენა აქაც დაზიანებული იყო, ხოლო მასალა — მიწის ზედაპირზე მიმოხედილი. მისი შეგროვებისა და საცდელი თხრილების საშუალებით, ა. ლუკინმა კისტრიკში საკმაოდ დიდი ნეოლითური კოლექცია შეკრიბა და გამოაქვეყნა. იგი ამ ძეგლს ერთფენიანად მიიჩნევდა და ნეოლითის ხანით ათარილებდა⁵⁴.

კისტრიკის ნეოლითური კოლექცია დასავლეთ ამიერკავკასიის ერთ-ერთი უველადი დიდი კომპლექსია. მარტო ა. ლუკინმა აქ მოიპოვა 13 500 ერთეული.

კომპლექსი დიდი რაოდენობით შეიცავს კაყის, ობსიდიანისა და რიყის ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებულ იარაღ-ხელსაწყოებს და მათი წარმოების ნარჩენებს, მოპოვებულია თიხის ჭურჭლის მცირერიცხოვანი ნაშთებიც.

კაყისა და ობსიდიანის მასალის განხილვისას პირველ რიგში ყურადღებას იქცევს იარაღების დამუშავების მიკროლითური ტექნიკა. დიდი რაოდენობითაა გეომეტრიული ფორმის მიკროლითები. ისინი წარმოდგენილია ორგვერდდამუშავებული სიმეტრიული და ასიმეტრიული ტრაპეციებით, რკალდაბლაგვებულ სეგმენტებითა და მძალი, ზურგათლილი ტრაპეციებით. აღსანიშნავია, რომ გეომეტრიული მიკროლითების უმრავლესობა ორმხრივდამუშავებულია (ნახ. 161. 2—14).

კისტრიკის კაყის იარაღებიდან (ნახ. 161. 2—26) პირველ რიგში აღსანიშნავია ანატეკეზე ჩამოყალიბებული, ოვალურსამუშაოპირიანი მომრგვალო და მიკროლითური საფხეკები, ლამელის გვერდებზე დამზადებული ცალმხრივი და ორმხრივი საჭრისების ჩგუფები და ქვეჩგუფები, რომლებიც ძირითადად იმეორებენ ოდიშისა და ანასეულის II-ის ფორმებს. ბევრია ლამელებზე და ანატეკეებზე დამზადებული სახვრეტ-ბურღებიც. მრავლადაა დანისებური ლამელები, რომელთა შორის ვხვდებით გვერდრეტუმიან, გვერდამოღარულ, თავსწორრეტუმიან, თავიბრეტუმიან და ურეტუშო ლამელებს, მათ დიდ ნაწილს გამოყენების კვალი ეტყობა.

წარმოების ნარჩენები წარმოდგენილია კონუსისებური და პრიზმისებური ნუკლეუსებით (ნახ. 161.1) ბევრია კაყის კაჭარი და სხვადასხვა ფორმისა და ზომის ანატეკე-ანამტკრევი.

კისტრიკის კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილია ქვის სხვადასხვა ქანე-

⁵³ ლ. ნე ბი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი.

⁵⁴ Л. А. Лукин. Неолитическое селище Кистрик близ Гудаут. СА, XII, 1950,

ბისაგან გახეხვა-გაპრიალებისა და ორმხრივი ათლით, ე. წ. მაკროლითური ტექნიკით დამზადებული იარაღები. მათგან აღსანიშნავია გახეხილ-გაპრიალებული ცულები, რომლებიც წარმოდგენილია ორმხრევამობურცული, ბრტყელი, წიბოიანი, უწიბოო, გრძელი და „წაკვეთილი“ ფორმებით. მათ უმრავლესობას სამუშაო პირი გახეხილ-გაპრიალებული აქვს, ყუა კი ხშირად მოკოდვის ტექნიკითაა დამუშავებული. კოლექციაში ბევრია, აგრეთვე, სხვადასხვა ფორმისა და ზომის სატეხ-სათლეები, რომლებსაც ხშირად მომრგვალო ან ტრაპეციის მოყვანილობის განივკვეთი აქვს. მრავლადაა საწაფები, ხელჩაქუჩები, ზელსაფქავის ფრაგმენტები, სახეხები, საბეგველები, შურდულის ქვეები. ყოველ მათგანს ეტყობა გამოყენების კვალი (ნახ. 161.27,28; ნახ. 162.1—7; ნახ. 163.1—7).

კოლექციისათვის დამახასიათებელია ორმხრივი ათლით დამზადებული იარაღები, რომელთა შორის არის როგორც წერაქვისებური, თიხისებური და შუბისებური იარაღები, ასევე სხვადასხვა იარაღთა ნამზადებიც. ნამოსახლარზე ნაპოვნია ბუნებრივი რიყის ქვები, რომლებსაც ეტყობა ხეხვის, დარტყმების თუ სხვა სახის გამოყენების კვალი. ბევრია, აგრეთვე, დაზიანებული იარაღების ნაწილი, რომელთა თავდაპირველი ფორმის გარკვევა ჭირს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ა. ლუქინის გამოუქვეყნებელ კოლექციაში ნაპოვნი რომისებური ფორმის, ორმხრივდამუშავებული ისრისპირი (ნახ. 161.30).

კისტრიკის კერამიკა ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, მათი აღდგენა არ ხერხდება. ცალკეული ნაწილები მოწმობენ, რომ ჭურჭელი ხელით ნაქარწი, ბრტყელია, სწორკედლა, უყურო, პირგადაუშლელი ქილისებური ფორმისა უნდა ყოფილიყო. კეცი სუსტად და არათანაბრადაა გამოიწვარი, ხოლო ცომში შეიმჩნევა სილის მინარევეები, ორნამენტი და პირის დაქდევა ამ ჭურჭლებს არ ახასიათებდა (ნახ. 163.8—10).

შემდეგი გვიანნეოლითური ძეგლი, რომლის აღმოჩენამაც განსაკუთრებული როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს ნეოლითის პერიოდიზაციის შემუშავებაში, იყო ანასეული II. ძეგლი შესწავლილია და გამოქვეყნებული⁵⁵.

ანასეული II ნამოსახლარზე მოპოვებული კოლექცია დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ კომპლექსებს შორის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანთაგანია. მოპოვებული მასალის საერთო რაოდენობა 12310 ერთეულს უდრის. ანასეული I-ისაგან განსხვავებით, აქ უკვე გვაქვს სამეთუნეო ნაწარმი — თიხის ჭურჭლის 3700 ფრაგმენტი. ქვის მასალა წარმოდგენილია 8610 ერთეულით. მათგან 7252 ერთეული კაქისაა, 1090 ერთეული — ობსიდიანისა, 168 ერთეული კირიყის ქვისა.

⁵⁵ ლ. ნე ბ ი რ ი ძ ე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. გვ. 29—47: 71—88.

ქვის მასალის დიდი ნაწილი წარმოდგენილია იარაღების დამზადების შედეგად მიღებული წარმოების ნარჩენებით (6 339 ერთ.) — კონუსისებური, პრიზმისებური და ფანქრისებური ნუკლეუსებით (სულ 48 ც.), კაჟის კაჭრებით (11 ც.), ანატკეც-ანამტკერევებით (6 260 ც.). ანატკეცებში გამოიყოფა კაჭრის კანიანი, ნუკლეუსიდან ატკეცილი და მათი შესწორებისა და განახლების შედეგად მიღებული ანატკეცები.

სხვადასხვა სახის ლამელები 1 240 ერთეულს შეადგენს. მოყვანილობისა და დამუშავების მიხედვით მათში გამოიყოფა: დანისებური, მიკროლითური, თავრეტუშნიანი, გვერდრეტუშნიანი, ბლაგვზურგა, ლამელის განივკვეთები და ლამელის თავები (ნახ. 164).

ანასეული II-ის იარაღებს შორის საჭრისები ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი (147 ც.). უმრავლესობა ლამელებზეა დამზადებული. ჩამუშაო პირის ხასიათის მიხედვით მათში გამოიყოფა მარტივი და თავრეტუშნიანი საჭრისები, რომლებიც თავის მხრივ იყოფა მარტივი ცალმხრივი, მარტივი ორმხრივი, თავრეტუშნიანი ცალმხრივი და თავრეტუშნიანი ორმხრივი საჭრისების ქვეჯგუფებად (ნახ. 164. 11—17).

მიუხედავად იმისა, რომ ანასეული II-ის კომპლექსი რაოდენობით სამჯერ აღემატება ანასეული I, მასში საფხეკების რაოდენობა საგრძობლად კლებულობს (66 ც.). უნდა აღინიშნოს, რომ იარაღთა ეს ჯგუფი არ გამოირჩევა ფორმების მრავალფეროვნებითა და ბეჭითი დამუშავებით. მათი უმრავლესობა დამზადებულია საშუალო ზომის მოკლე ანატკეცებზე. ჩამუშაო პირის მოყვანილობისა და ნამზადის ხასიათის მიხედვით, მათში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: ოვალურსამუშაოპირიანი, მიკროლითური, ამოღარული და ნისკარტი-სებური საფხეკები (ნახ. 164. 18—25) სახვრეტები ანასეული II-ის მასალებში დიდი სერიებითაა წარმოდგენილი (79 ც.). მათი ერთი ნაწილი ჩამოყალიბებულია ლამელებზე, მეორე კი ანატკეცებზე. მათში გამოიყოფა წვეტანისებური და წვერგამოყვანილი სახვრეტები (ნახ. 164. 26—30).

ისრისპირები ძირითადად ორი ტიპისაა: სამკუთხა მოყვანილობის ყუნწიანი (1 ც.), სწორფრთიანი და ორმხრივდამუშავებული ფრთამოღარულები (2 ც.) (ნახ. 164. 36—38). გერმეტრიული ფორმის მიკროლითები (ნახ. 164. 39—56). წარმოდგენილია ორფერდამუშავებული (21 ც.) და სამგვერდდამუშავებული ტრაპეციებით (71 ც.), სეგმენტებით 76 ც.) და მაღალი, ზურგათლილი სწორკუთხედებით (40 ც.). კოლექციაში გვხვდება კომბინირებული (2 ც.) და ხერხისებური იარაღი, შალაშინები (2 ც.), რეტუშორები (2 ც.), ნამზადები (40 ც.).

ანასეული II-ის ნამოსახლარზე კაჟისა და ობსიდიანის გარდა, ფართოდ იყენებდნენ ქვის სხვადასხვა ქანებს (170 ც.). კოლექციაში დიდი რაოდენობითაა რიყის ქვისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალბული იარაღები (ნახ. 165) და მათი წარმოების ნარჩენები. მრავალადა სხვადასხვა ფორმისა და ზომის ცული და მათი ნაწილი (75 ც.). მოყვანილობის მიხედვით მათში შემ-

დეგი ჯგუფები გამოიყოფა: ორმხრივლესილი გვერდწახანაგაიანი ცულები (29 ც.), ორმხრივლესილი უწახნაგო ცულები (8 ც.) და „წაკვეთილი“ ცულები (9 ც.). სათლელები წარმოდგენილია ზურგამობურცული (8 ც.) და ბრტყელი სათლელებით (8 ც.). რიყის ქვის იარაღები წარმოდგენილია, აგრეთვე ხელჩაქუჩებით, სახეხებით (31 ც.), შურდულის ქვებით (14 ც.), სახეხ-საპარალებლებით (სულ 6 ც.), ნამზადებით (8 ც.).

ანასეული II-ის კერამიკულ კომპლექსს მრავალფეროვნებითა და რაოდენობით, კავკასიის ნეოლითურ ძეგლებს შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად ფრაგმენტების სიმრავლისა, ჭურჭლის მთლიანი აღდგენა არ ხერხდება. ჭურჭლის ცალკეული ფრაგმენტების შესწავლიდან ირკვევა, რომ ისინი ეკუთვნოდა სწორკედლა, ბრტყელძირა, უყურო. პირგადაუმლეულ, ხელნაძერწ ქილისებურ მოყვანილობის ჭურჭლებს. თიხის ნაკეთობების დასამზადებლად იყენებდნენ ჩვეულებრივ, წითლადწვად საჭურჭლე თიხას, რომელიც ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. უხეში და მსხვილმარცვლოვანი კეცი გადანატეხში უთანაბროა, თიხაში მრავლადაა კირის, კვარცისა და ქარსის მინარევები. მათი შერევა უნდა მომხდარიყო ნოყიერი თიხების გამკლევების მიზნით, ჭურჭლის გაშრობისა და გამოწვის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ანასეული II თიხის ჭურჭლის მნიშვნელოვანი ნაწილი შემკული იყო „წიწვისებური“, „თავთავისებური“ (100-მდე ფრაგმენტი), ღრმულებიანი (27 ფრაგმენტი), ტალღისებური (17 ფრაგ.), ტეხილხაზიანი (17 ფრაგ.), ირიბქდეებიანი (6 ფრაგ.), რელიეფური 5 (ფრაგ.) და კოპებიანი ორნამენტით (26 ფრაგ.). სკარბობდა „წიწვისებური“, „თავთავისებური“ სახეები. ორნამენტის აღნიშნული ელემენტების სხვადასხვაგვარი განლაგება, სიხშირე, მანძილი მათ შორის ქმნიდა მრავალრიცხოვან ვარიანტს და ერთი შეხედვით ახალ სახეებს (ნახ. 166. 1—12).

ოდიშის ტიპის გვიანნეოლითურ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება გურიანთის ნამოსახლარის მცირერიცხოვანი, მაგრამ მკაფიო კოლექცია, რომელიც მიკვლეული იყო გურიანთის თემის (ოზურგეთის რ-ნი) ს. ციხისფერდში, მდ. სეურდუმის მარჯვენა ნაპირის ბუნებრივ ბორცვზე (ზღვის დონიდან 25 მ სიმაღლეზე). 1963 წელს ძეგლი აღმოაჩინა და გათხარა აკად. ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის ექსპედიციის (ხელმ. აკად. ნ. ბერძენიშვილი) ქვის ხანის შემსწავლელმა რაზმმა (ხელმ. ნ. ბერძენიშვილი). ძეგლი მონოგრაფიულადაა შესწავლილი და გამოქვეყნებული⁵⁶.

გათხრებისა და ზედაპირული მასალის შეგროვების შედეგად მასზე მოპოვებული იყო სულ 729 ერთეული. მასალა მათგან 531 ერთეული ქვისაა, 198 კი, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებია. იარაღების დასამზადებელ მასალად ძირითადად კაჟი და რიყის ქვა, იშვიათად ობსიდიანია გამოყენებული. ქვის მასალა

⁵⁶ ლ. ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ. 56—61.

წარმოდგენილია მზა იარაღებით (74 ერთეული) და მათი დამზადებისას მიღებული წარმოების ნარჩენებით (376 ერთ.). წარმოების ნარჩენებში გვხვდება კაეის კაქრები, კონუსისა და პრიზმის ფორმის ნუკლეუსები (12 ც.), ანატკეც-ანამტერევეები (361 ც.), მრავლადაა სხვადასხვა სახის ლამელები (81 ც.). იარაღები წარმოდგენილია საფხეკებით (8 ც.), საჭრისებით (9 ც.), სახერტებით (7 ც.), კომბინირებული იარაღებით (2 ც.). გეომეტრიული ფორმის მიკროლითებში (სულ 10 ც.) გამოიყოფა ორფერდ და სამფერდამუშავებული ტრაპეციები, რკალდაბლაგებული სეგმენტები და მალალი, ზურგათლილი სწორკუთხედები (ნახ. 167). რიყის ქვის იარაღებში ვხვდებით ოდიშისა და ანასეული II-ის ტიპის ცულებს (7 ც.), სატენ-სათლელებს (2 ც.), ჩაქურებს (4 ც.), სახეხებს (9 ც.), სანაყს, მაკროლითს (2 ც.), თოხისებურ იარაღს და შურდულის ქვებს (4 ც.) (ნახ. 168. 1—5).

გურიანთის ნამოსახლარზე მრავლადაა ნაპოვნი თიხის ჭურჭლის სხვადასხვა ნაწილები (198 ფრაგ.), რომელთა აღდგენა არ ხერხდება. თუმცა ცალკეული ნაწილების მიხედვით მაინც შესაძლებელი ხდება მათი ფორმის მიახლოებით აღდგენა. გურიანთისათვის, ანასეული II-ისა და ოდიშის მსგავსად, დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქილისებური მოყვანილობის, ბრტყელძირა, სწორკედლა, პირგადაღშლელი, უყურო ჭურჭელი, რომლის კეცი სუსტად და არათანაბრად იყო გამომწვარი და დიდი რაოდენობით შეიცავდა კირის, კვარცისა და ქარსის მინარევებს, ზოგიერთი ჭურჭლის პირი შემკული იყო ღრმულებითა და ირიბი ქდებით, კედლები კი „წიწვისებური“ თუ „თავთაგისებური“ ან ღრმულებიანი ორნამენტით (ნახ. 167. 25—31).

ოდიშის ტიპის ნეოლითურ ძეგლებს შორის მამათის კოლექცია ყველაზე მცირერიცხოვანია (230 ერთ.). მამათის ნეოლითური ნამოსახლარი მდებარეობს ლანჩხუთის რაიონში ს. მამათის ბოლოს, კოხას უბანში, მდ. სუფსას მარჯვენა ტერასაზე. ძეგლი აღმოაჩინა 1962 წელს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ნეოლითურმა რაზმმა (ხელმძ. ლ. ნებიერიძე). 1963 წელს მასზე ჩატარდა მცირე დაზვერვები, რის შედეგადაც მოპოვებული იყო ქვის მასალისაგან (63 ც.) და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან შემდგარი კოლექცია⁵⁷ (ნახ. 169). კაეის ნაწარმი წარმოდგენილია: საფხეკით, სახერტებით, ორფერდამუშავებული ტრაპეციით, მალალი, ზურგათლილი სწორკუთხედით, ანატკეც-ანამტერევეებით და კაქრებით. რიყის ქვის იარაღებიდან ნაპოვნია გახეხილ-გაპრიალებული ცულის ნაწილები, სახეხ-სასრესები, შურდულის ქვები, სალესები. თიხის ჭურჭლის აღდგენა არ ხერხდება, მაგრამ ცალკეული ნაწილების მიხედვით შესაძლებელი ხდება მათ ფორმაზე მსჯელობა. ფრაგმენტები უნდა ეკუთვნოდეს ქილისებურა ფორმის, ბრტყელძირა, სწორკედლა, ხელით ნაძერწ ჭურჭლებს. თიხაში ურევია კირი, ქარსი და კვარცი.

57 ლ. ნებიერიძე: დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

მამათის კომპლექსის შესწავლა გეინვენებს, რომ იგი მიეკუთვნება ოდიშის ჯგუფის ძეგლებს, განსაკუთრებით კი, დიდ სიახლოვეს იჩენს ანასეულისა და გურიანთის ნამოსახლარების მასალებთან.

აჭარის გვიანნეოლითური ძეგლები დღესდღეობით წარმოდგენილია ერთადერთი ძეგლით — მახვილაურის ნამოსახლარით. იგი შედგება რეობს ქ. ბათუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 8 კმ დაშორებით, ს. მახვილაურის (ხელეჩაურის რ-ნი) ბორცვზე მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე (ბორცვის სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 5—6 მ).

ნამოსახლარი აღმოჩენილი იყო 1968 წელს ბათუმის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვების დროს. 1968—71 წწ. მასზე მოკლევადიანი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა. ძეგლი შეისწავლა და გამოაქვეყნა ს. გოგიტიძემ. იგი მახვილაურის ნამოსახლარს ოდიშის ტიპის ძეგლების ჯგუფს აკუთვნებს და გვიანნეოლითით ათარილებს⁵⁸.

კულტურული ფენა ნამოსახლარზე დარღვეულია. გათხრებისა და ზედაპირული მასალის შეგროვების შედეგად მოპოვებულია 2000 ერთეული მასალა. მათგან 429 ერთეული კაქისაა, 98 — ობსიდიანისა, 643 — რიყის ქვისა და 116 ერთეული — ბაზალტისა.

კოლექცია წარმოდგენილია შემდეგი სახის წარმოების ნარჩენებითა და ქვის ნაწარმით: ნუკლეუსებითა და მათი ნატეხებით (18 ც.), ანატეცე-ანამტერეებით (282 ც.), ლამელების (144 ც.) სხვადასხვა ჯგუფებით: თავბოლო-გადამტერეული, ლამელის თავები, გვერდრეტუშიანი, გვერდამოდარული, ბლაგვზურგა და სხვ. მათგან 89 ცალი კაქისაა, 35 ცალი კი ობსიდიანისა. საჭრისები მცირე რაოდენობითაა და არ გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით (11 ც.). საფხეკები ძირითადად დამზადებულია კაქისა და ობსიდიანის ლამელებზე, ანატეცეებსა და ანამტერეებზე, თუმცა არის ბაზალტის ანატეცე-ანამტერეებისაგან დამზადებული ცალებიც (სულ 22 ც.). გეხვდება, ავრეთვე. კომბინირებული იარაღები (4 ც.), სახოკები (8 ც.), დაკბილული იარაღები (2 ც.), ისრისპირები (4 ც.), სახვრეტები (7 ც.), გომეტრიული ფორმის მიკროლითებიდან გვაქვს ორფერდ- (7 ც.) და სამფერდამუშავებული ტრაპეციები (11 ც.), სეგმენტები (7 ც.), მაღალი, ზურგათლილი სწორკუთხედები (7 ც.) (ნახ. 170). მახვილაურის მცხოვრებნი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყენებდნენ რიყის ქვისა და ბაზალტის იარაღებს (ნახ. 171). მათგან აღსანიშნავია: ცულეები (10 ც.) — ორმხრივლესილი, გვერდწახნავიანი, ყუამოკოდილი; სათლეები (16 ც.) — ზურგამობურცული, ორმხრივამობურცული და ბრტყელი; სატეხები (7 ც.) — ოვალურგანივკვეთიანი წიბოიანი, ცალმხრივ და ორმხრივ ამობურცული და უწიბოო; სასრესები, მაკროლითები (6 ც.), საწაფები (465 ც.) — ორმხრივამოდარული და ცალმხრივამოდარული (ნახ. 170. 23—24), შურდულის ქვები (113 ც.), სახეხ-საპრიალებლები (37 ც.), ხელსაფქვეის

58 ს. გოგიტიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 69—110.

ფრაგმენტები (8 ც.), საბუგველები, სანაყები, საჩეხები (ნახ. 170. 23—24. ნახ. 171).

მახვილურის კერამიკა (435 ც.) ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ცალკეული ნაწილების შესწავლიდან ირკვევა, რომ ისინი ეკუთვნოდნენ ხელით ნაძერწ, მოვარდისფრო-მოყვითალოდ გამომწვარ. ბრტყელძირა, უყურო, უორ-ნამენტო, ქილისებური მოყვანილობის ჭურჭლებს, რომლის კეცი ჰარბად შეიცავს ქვიშის მინარევებს.

ჩხორთოლის ნეოლითური ნამოსახლარი მდებარეობს ქ. ვალის ჩრდილო-დასავლეთით ოციოდე კმ-ზე, მაღალ, უნაგირისებურ ზეგანზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 200 მ. ნამოსახლარი თხრებოდა 1971—1977 წწ.⁵⁹ საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმ. ნ. ბერძენიშვილი, რაზმის უფროსი კ. კალნადაძე). შესწავლილი იყო დაახლოებით 130 მ² ფართობი, რის შედეგადაც 60—70 სმ სიმაღლის ერთი კულტურული ფენა დადასტურდა, რომელიც ფიზიკურად და მასალის რაოდენობით ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი ჰორიზონტისაგან შედგებოდა. ფენის ზედა ჰორიზონტი — ჰუმუსი, დარღვეული აღმოჩნდა, ხოლო ფენის მომდევნო ორი ჰორიზონტი — მოშავო ნიადაგი და მონაცრისფრო თიხნარი ნაწილობრივ უძრავად იყო გადაჩენილი.

ნამოსახლარზე გამოვლენილი იყო მრავალგეგმიანი საცხოვრებლის იატაკი, კერები, სამეურნეო ორმოები, რიყის ქვებით შემოწყობილი ბოძების საყრდენი ღრმულები და ნაცროვან ფენაში ჩართული ძვლოვანი მასალა.

კავკასიის ნეოლითურ ძეგლებს შორის ჩხორთოლის კოლექცია დღესდღეობით ყველაზე დიდია (დაახლოებით 22 024 ერთ.). ჩხორთოლის იარაღები ძირითადად კაჟისა და რიყის ქვისაგანაა დამზადებული, იშვიათად გვხვდება ობსიდიანის, არგილიტისა და ბაზალტისაგან ნაკეთები ცალებიც.

კოლექციაში დიდი რაოდენობით არის წარმოების ნარჩენები — კაჭრები (25 ც.) სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსები (700 ც.), ანამტკრევეები (787 ც.), ანატკეცები (5600 ც.), რეტუშიანი და ურეტუშო ლამელები (3 135 ც.), საჭრისები (406 ც.), საფხეკები (154 ც.), სეგმენტები და ტრაპეციები (188 ც.), საზოკები (82 ც.), დაკბილული იარაღები (48 ც.), სახერტები, თავამოღარული და გვერდამოღარული ლამელები, კომბინირებული იარაღები (15 ც.), შუბისპირი (2 ც.), ისრისპირი (1 ც.), ხოწები (6 ც.), შალაშინები (4 ც.), სათლელები (7 ც.), რეტუშორები (14 ც.) და სხვ. (ნახ. 172. 1—22).

რიყის ქვის იარაღებიდან წარმოდგენილია ცულები (51 ც.), სასრეს-სანაცები (124 ც.), ხელჩაქუჩები (7 ც.); სახეხ-საპრიალებლები (5 ც.), სატეხ-სათლელები (6 ც.), ხელსაფქვავის ფრაგმენტები (23 ც.), საწაფები (3 ც.), მიწის

⁵⁹ კ. კალნადაძე. ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971—73 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, 1974, გვ. 176—187.

საჩინქნები (10 ც.), თოხისებური იარაღი (2 ც.), შურდულის ქვეები (3 ც.), სალესები (7 ც.). ბადროსებრი ქვეები (21 ც.), საჩეხები (6 ც.), ამოღარული ქვეები (3 ც.), ორმხრივამოღარული ნივთი (2 ც.) (ნახ. 178. 20). კერამიკა ერთადერთი ფრაგმენტითაა წარმოდგენილი (ნახ. 173).

განხილულ ძეგლებს გარდა დასავლეთ საქართველოდან ცნობილია, აგრეთვე, სხვა ნეოლითური კომპლექსებიც (ცივი მღვიმე I, ურთა და სხვ.), რომლებიც არასრული პუბლიკაციის გამო ვერ მოხვდნენ წინამდებარე ნაშრომში. ასევე სადღისოდ ჯერ კიდევ შეუსწავლელია მრავალი პუნქტი ნეოლითური იერის მქონე მასალით.

აღნიშნული ძეგლებისა და ადრენეოლითური კომპლექსების ტიპოლოგიურ-შედარებითა შესწავლამ, აგრეთვე წინა აზიისა და ყირიმის სტრატეგრაფიული, ეტალონური ძეგლების მონაცემების გათვალისწინებამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ დასავლეთ საქართველოს მთისწინა ბორცვოვან და შავიზღვისპირა ზოლში გავრცელებული აღნიშნული ძეგლები ეკუთვნიან ერთგვაროვან და თავისებურ გვიანნეოლითურ კულტურას⁶⁰.

დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლების (ადრე და გვიანი) ერთობლივი, ტიპოლოგიურ-შედარებითი შესწავლისა და გამორიცხვის მეთოდის მოშველიებით დადგენილია გვიანნეოლითის ეპოქალური ნიშნები⁶¹. მათ რიგს მიეკუთვნება განვითარებული მიკროლითური ტექნიკა, გეომეტრიული ფორმის მიკროლითების სიჭარბე და რაც მთავარია, წინა ეპოქებისათვის უჩვეულო მასალის მრავალფეროვნება. კერძოდ, მათ ახასიათებს ორ- და სამფერადამუშავებული ტრაპეციები, რკალათილი და რკალდაბლაგველი სეგმენტები, „მკოცავი“ წნევითი რეტუშით ზურგათილი მალაღი ტრაპეციები და ზურგათილი მალაღი სწორკუთხედები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათვან უკანასკნელები საკუთრივ გვიანნეოლითური ფორმებია. მკაფიო, მანამდე უჩვეულო სერიებს ქმნიან სახვრეტ-ბურღები, ზურგისანი დანები და დაკბილული იარაღები. წინა ეპოქებთან შედარებით უფრო დიდი და დახვეწილი ჯგუფებითაა წარმოდგენილი თავრეტუშისანი დანა-საფხეკები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საფხეკების დამუშავებასა და ფორმებში მომხდარი ცვლილებები. წინა საფხეკებთან შედარებით, გვიანნეოლითური საფხეკები ხასიათდება შედარებით უხეში დამუშავებით (მსხვილფაცეტისანი რეტუშში), დაუხვეწავი ფორმებითა და ნამზადის ხარისხის გაუარესებით.

გვიანნეოლითური ძეგლები ხასიათდება რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალე-ბული იარაღების სიჭარბითა და ფორმების მრავალფეროვნებით. რიყის ქვის იარაღებზე (ცულები, სატეხ-სათლელები, ჩაქუჩები) გვერდითი წახნაგები და წიბოები ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშნად იქცა. ამავე რიგის ნიშნებს მიეკუთვნება წერაქვისებური და შუბისებური მაკროლითები, ბარისებური

⁶⁰ ლ. ნებეგირიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

⁶¹ იქვე, გვ. 81.

იარაღი, გვერდწახნაგიათი ცულები და სატეხსათლებლები, ხელსაფქვავეები, სახეხეები, ქვიჩები, საბეგველები, გრდემლები, შურდულის ქვეები და სხვა.

ქვის დამუშავების ტექნიკის სიახლეთა რიგს ეკუთვნის „მოკოდვის“ ტექნიკა. ფართოდ იყენებდნენ იარაღების გაპრიალებისა და გაპრიალება-„მოკოდვის“ კომბინირებულ ტექნიკას.

ეპოქალური ნიშნებს მიეკუთვნება მეთუნეობის გაჩენა. თიხის ჭურჭელი გვიანნეოლითურ ძეგლებში წარმოდგენილია ხელით ნაძერწი, ქილისებური ფორმის, სწორკედლა, ბრტყელძირა, უყურო, პირგადაუშლელი, არათანაბრად გამომწვარი ნაკეთობით, ზოგ შემთხვევაში სუსტი გაპრიალების კვალით, ზოგჯერ ტალღოვანი, უფრო ხშირად კი სწორი ან სხვადასხვაგვარი ჭდეებიანი და ღრმულეებიანი ბაკოთი. ჭურჭლები შემკული იყო „წიწვისებურ-თავთავისებური“ ორნამენტით. იშვიათად გვხვდება კომპისებური მინაძერწები. თიხაში ურევია კირი, კვარცი და ქარსი.

გვიანნეოლითური ეპოქალური ნიშნების განხილვისას მკაფიოდ გამოირჩევა ტრადიციული და ინოვაციური ელემენტები. ინოვაციურ ელემენტებს მიეკუთვნება: კერამიკა, ბარისებური იარაღი, მაკროლითები, ზურგათილი მალალი ტრაპეციები და მალალი ზურგათილი სწორკუთხედები, „მოკოდვის“ ტექნიკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამახასიათებელი ნიშნები ძეგლებში სხვადასხვა თანაფარდობით გვხვდება, იმის მიხედვით, თუ ძეგლს რა ადგილი უჭირავს ეპოქის ქრონოლოგიურ ჩარჩოში.

დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითურ ერთიან კულტურაში ცალკეულ ძეგლებს ან ძეგლების ჯგუფს ზოგად, საერთო ნიშნებთან ერთად ჰქონდა თავისი სპეციფიკური თავისებურებები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ამ კულტურაში ლოკალური ნიშნების გამოვლენა⁶². დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითურ კულტურაში გამოყოფილ იქნა ორი ლოკალური ვარიანტი. პირველი მათგანი მოიცავდა დღევანდელი გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიას (ოდიში, ურთა, ანასეული II, გურიანთა, მამათი), მეორე კი, აფხაზეთისა და ადღერის რ-ს (კისტრიკი, ქვ. შილოვკა).

ძეგლების პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია ორნამენტირებული კერამიკა, — „წიწვისებურ-თავთავისებური“, უფრო იშვიათად ტალღისებური და ტეხილხაზიანი ორნამენტი. ჭურჭლებს ხშირად ჭდეებიანი, ღრმულეებიანი ან ტალღისებური ბაკო ჰქონდა. მეორე ლოკალური ჯგუფის კერამიკას ორნამენტი არ ახასიათებს. ჭურჭლებს გლუვი პირი ჰქონდა. შემოჩნევა განსხვავება ზურგათილ გეომეტრიულ ფორმებში. პირველ ჯგუფში ისინი წარმოდგენილია მალალი, ზურგათილი სწორკუთხედებით, მეორე ჯგუფში კი მალალი ზურგათილი ტრაპეციებით. პირველისაგან განსხვავებით, მეორე ჯგუფი ხა-

62 ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

სიათდება რეტუშით თავგამოყვანილი ლამელებით. მართალია, ეს ნიშნებზე ჯერ კიდევ მთლიანად საკმარისი არ არის, მაგრამ დასავლეთ ამერიკაეკსისის ნეოლითური ძეგლების შემდგომი გამოკვლევები უფრო მკაფიოდ გამოავლენს ამ თავისებურებებს და დააზუსტებს, როგორც მთელი კულტურის, ასევე მისი ლოკალური ვარიანტების გავრცელების საზღვრებს.

უკანასკნელ წლებში არქეოლოგიურ ლიტერატურაში არის ცდა დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითურ კულტურაში მთის ნეოლითის გამოყოფისა⁶³. მაგრამ იმის გამო, რომ ეს საკითხი ჯერჯერობით სადისკუსიოა და მოითხოვს ღრმა კვლევასა და საფუძვლიან დასაბუთებას სხვა პრობლემატურ საკითხებთან ერთად იგი არ შევიდა წინამდებარე ნაშრომში.

გვიანნეოლითური ნამოსახლარები მეურნეობის ხასიათით მიეკუთვნება შერეულ ტიპს, რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო მითვისებითი და მწარმოებლური მეურნეობის დარგების შერწყმით. ნადირობა, შემგროვებლობა და მეთევზეობა კვლავინდებურად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. რაც შეეხება მწარმოებლურ მეურნეობას, კერძოდ მიწათმოქმედებას, უკვე ადრენეოლითშია ჩასახული და აღმავალი ხაზით ვითარდება, რისი მათუწყებელიცაა ამ ძეგლებზე ნაპოვნი სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღები — წერაქვისებული მაკროლითები, ბარისებური, თოხისებური, დაკბილული იარაღები, ხელსაფქვაკები. სამკელი დანების ჩასართები (ტრასოლოგიური ანალიზი გააკეთა ქ. ესაკიამ).

მიწათმოქმედების დამადასტურებელია კისტრიკის ნამოსახლარის სამეურნეო ორმომში ნაპოვნი დანახშირებული მარცვლეული⁶⁴.

მოტანილი მასალის საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ გვიანნეოლითში, ადრენეოლითთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწათმოქმედების ხედილითი წონა. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ნესტიანი, სუბტროპიკული ჰავის პირობებში ვითარდებოდა ურწყავი მიწათმოქმედება. ასეთი იყო იგი ისტორიულ ეპოქაში და ასეთად რჩება იგი დღესაც.

იმის გამო, რომ დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითურ ღია ნამოსახლარებზე, მკაფიო ნიადაგების პირობებში ძლოვანი მასალა არ ინახება, პირდაპირი მონაცემები მესაქონლეობის შესახებ არა გვაქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ადრენეოლითში ცხოველთა მოშინაურებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს გვიანნეოლითში უკვე გარკვეული გზა აქვს გავლილი. ამის მოწმობას უნდა წარმოადგენდეს დარკვეთის ეხის ზედა ფენებში შინაური ცხოველების ძვლების აღმოჩენა.

მითვისებითი და მწარმოებლური მეურნეობის ძირითადი დარგების გარდა, განვითარებული იყო, აგრეთვე, მეთუნეობა, ძელის, რქის, ხისა და ტყავის დამუშავება.

⁶³ გ. გრიგოლია. ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი, პალური. თბ., 1977.

⁶⁴ Л. Н. Соловьев. Неолитические поселения Черноморского побережья Кавказа, Нижнешиловское и Кистрик, Материалы по археологии Абхазии, Тбилиси, 1967, с. 27.

არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებს, რომ უძველესი ადრესამიწათმოქმედო კულტურების განვითარება მიმდინარეობდა წინა აზიის სინქრონულ კულტურებთან კავშირში.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე წარმოებულმა კვლევა-ძიებამ დღის წესრიგში უკვე ორჯერ დააყენა ნეოლითის ქრონოლოგიური საზღვრების დაძველების საკითხი. ამ გამოკვლევებამდე, ნეოლითის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი „მტკვარ-არეზისა“ და ნეოლითურ კულტურას შორის შუალედური ძეგლების არარსებობის გამო, უშუალოდ „მტკვარ-არეზის“ კულტურის ძეგლებს ებჯინებოდა, რომლის თარიღადაც ძვ. წელთაღრიცხვის IV—III ათასწლეულები იყო მიღებული. იყო შემთხვევები, როდესაც ცდილობდნენ კიდევაც „მტკვარ-არეზის“ კულტურის ფესვების უშუალოდ ნეოლითიდან გამოყვანას⁶⁵. ნეოლითური ინდუსტრიის ტიპოლოგიურ-შედარებითი შესწავლა კი აშკარად ცხადყოფდა „მტკვარ-არეზის“ კულტურის ძეგლებსა და ნეოლითურს შორის დიდი ქრონოლოგიური წყვეტილის არსებობას.

60-იანი წლების შუა ხანებში ქვემო ქართლში „მტკვარ-არეზის“ წინარე პერიოდის, ძვ. წ. V ათასწლეულით დათარიღებული ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების აღმოჩენამ ნაწილობრივ შეავსო ეს ხარვეზი და, ამასთან ერთად, პირველად დააყენა საკითხი ნეოლითის ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დაძველების შესახებ.

როგორც ცნობილია, სადღეისოდ აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებისათვის უკვე გვაქვს ნახშირბადული (C₁₄) თარიღების მთელი სერიაები, მათ შორის, შესწორებული თარიღებიც.

უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, შესწორებული ნახშირბადული (C₁₄) თარიღების საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოს ადრენეოლითური ხანის კულტურა ძვ. წ. VI ათასწლეულით თარიღდება და ზოგადად თანადროული იჩანს წინა აზიის ადრეხალყოლითის ხანის კულტურებისა⁶⁶, ხოლო მისი საწყისები შესაძლებელია ძვ. წ. VII ათასწლეულშიც გადადიოდეს⁶⁷. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა, როგორც ძვ. წ. VII ათასწლეულით დათარიღებული წინააზიური ანალოგები, ასევე ხრამის დიდი გორის ზედა პორიზონტისა და არახლოს შესწორებული ნახშირბადული (C₁₄) თარიღებიც. ეს ძეგლები ძვ. წ. VI ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. აღნიშნულ ძეგლთა კულტურულ ფენათა სიმძლავრე მათი ქვედა ფენების საკმაოდ ადრეულ დათარიღებაზე უნდა მიგვითითებდეს⁶⁸. ამდენად, თუ გავითვალისწინებთ მოსაზრებას აღმოსავლეთ საქართველოს ადრენეოლითური ხანის კულტურის აბსო-

65 გ. ფხაკაძე. ქვემო ქართლის ენეოლითი. თბ., 1964.

66 გ. ქავთარაძე. საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შექმნე. თბ., 1981, გვ. 35.

67 იქვე, გვ. 36.

68 იქვე.

ლუბტური თარიღის დაძველების შესახებ, რაც სავსებით დასაშვებია, მაშინ ისმის საკითხი საქართველოს ნეოლითური კულტურის დაძველების შესახებაც.

აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს, აგრეთვე, უკანასკნელ ხანებში მიღებული მღვიმე ძუძუანის (ჭიათურის რ-ნი) ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენის ნახშირბადული თარიღიც — 4366 ± 217 (TB-315).

აქვე საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ნეოლითური კულტურის თარიღის დაძველება არ ემყარება მარტო ზემოთ მოტანილ თარიღებს. ამის უფლებას პირველ რიგში იძლევა დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლების მასალის დეტალური შესწავლა და შედარება წინა აზიის ნეოლითურ ძეგლებთან. დასავლეთ საქართველოსა და წინა აზიის ნეოლითური კომპლექსების შედარება-შეჯერება გვიჩვენებს, რომ ამ კულტურების განვითარება აღნიშნულ რეგიონებში დაახლოებით ერთ დონეზე და ერთდროულად მიმდინარეობდა, რომ ტექნიკური პროგრესი ქვის დამუშავების ტექნიკასა და პირველყოფილ ეკონომიკაში თითქმის ერთდროული იყო, რაც კარგად ჩანს ქვის ინდუსტრიების შედარებიდან.

უკერამიკო ნეოლითის უადრესი ძეგლები წინა აზიაში თარიღდება ძვ. წ. მე-9—8 ათასწლეულებით. ამიტომ ნეოლითური კულტურის თარიღი პირველ რიგში ძველდება წინააზიური ძეგლების ანალოგების საფუძველზე და ამავე დროს ვიყენებთ, აგრეთვე, საქართველოს ენეოლითური კულტურის ნახშირბადულ (C_{14}) თარიღებსაც, რაც უკანასკნელის სასარგებლოდ შეტყვევებს. წინა აზიის უკერამიკო ნეოლითის ძეგლების ანალოგიით, კვლევის დღევანდელ დონეზე, უკვე შესაძლებელია დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითური ძეგლების თარიღის ჩატანა მერვე ათასწლეულში.

სურათების აღწერილობა

- სურ. 1. საქართველოს ქვედაპალეოლითური ძეგლების გავრცელების რუკა.
სურ. 2. ორთვალა კლდე.
სურ. 3. ნეანდერტალელი ადამიანის ზედა ყბის ფრაგმენტი საკაუიას მღვიმედან.
სურ. 4. წონას მღვიმე.
სურ. 5. წონას მღვიმე. კირქვის ფილაზე გრავირებული ჯვრისებური გამოსახულება.
მუსტიე.
სურ. 6. ზიარი; 1. გათხრილი ფართობის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი. 2. დასავლეთი კრილი.
სურ. 7. საქართველოს ზედა პალეოლითის ძეგლების გავრცელების რუკა.
სურ. 8. საგვარჯილე.
სურ. 9. სენათა სავანე.
სურ. 10. ხერგულის კლდე.
სურ. 11. საკაუიას მღვიმე.
სურ. 12. საკაუიას მღვიმის ფენათა კრილი.
სურ. 13. ჭრუჭულას ხეობა.
სურ. 14. სამერცხლე კლდე.
სურ. 15. ძუძუანას მღვიმე.
სურ. 16. საგვარჯილე, ტურიტელები.
სურ. 17. გვარჯილას კლდე.
სურ. 18. ოქუმი I.
სურ. 19. თეთრი მღვიმე.
სურ. 20. საქართველოს მეზოლითური ძეგლების გავრცელების რუკა.
სურ. 21. წონას მღვიმე.
სურ. 22. ქვაპარის მღვიმე.
სურ. 23. Homo sapiens-ის ქვედა ყბები ქვაპარის მღვიმედან.
სურ. 24. ჯამბალის ეხის საერთო ხედი.
სურ. 25. დარკვეთის ეხის საერთო ხედი.
სურ. 26. ეძანის ეხის საერთო ხედი.
სურ. 27. აფიანის მღვიმის საერთო ხედი.
სურ. 28. საქართველოს ნეოლითური ძეგლების გავრცელების რუკა.

ილუსტრაციების აღწერილობა

რუკა 1. საქართველოს ქვედაპალეოლითური ძეგლების არქეოლოგიური რუკა

- ნახ. 1. 1 — ხელნაწახი ოვალური; 2 — ხელნაწახი ნუშისებური.
ნახ. 2.1 — ნუკლეუსი დისკოსებური; 2 — ხელნაწახი მსხლისებური; 3 — ორმხრივ-დამუშავებული უხეში საჩეხი იარაღი.
ნახ. 3. მთა იაშთხვას თხემზე პალეოლითური ნაშთების გავრცელების გეგმა.
ნახ. 4. 1,2 — ანატკეები.
ნახ. 5.1 — ანატკეცი ლამელისებური. ლევალუური; 2 — ანატკეცი კლექტონური.
ნახ. 6. 1, 2 — ანატკეები ამოღარული; 3 — ანატკეცი; 4 — სახოკი.
ნახ. 7. 1 — უხეში ცალმხრივი საჩეხი; 2 — უხეში ორმხრივი საჩეხი; 3 — ანატკეცი.
ნახ. 8. ხელნაწახი ნუშისებური.
ნახ. 9. 1, 4, 7, 8 — ანატკეები; 2 — ნუკლეუსი ორფუძიანი; 3, 5, 6, 9 — ნუკლეუსები ერთფუძიანი.
ნახ. 10. 1—3, ანატკეები ლევალუური; 4, 7, 9 — ანატკეები ლამელისებური; 8, 13 — ანატკეები; 10, 12 — ნუკლეუსები.
ნახ. 11. 1 — ნუკლეუსი დისკოსებური; 2, 3 — წვეტანები; 4 — ანატკეცი ლევალუური შუაში ამოზნექილი ფაეტირებული დარტყმის მოედნით.
ნახ. 12. 1—12 — წვეტანები.
ნახ. 13. 1—3, 5—9, 11 — სახოკები; 4, 10 — ლიმასები.
ნახ. 14. 1, 2, 5, 9, 11—14 — წვეტანები; 3, 10 — საკრისები, 4 — დანა რეტუშირებულზურგაიანი.
ნახ. 15. ორთვალა კლდე. კულტურული ფენების განივი ქრილი.
ნახ. 16. 1—21, იარაღ-ანატკეები და ნუკლეუსები;
ნახ. 17. 1 — ამოღარული იარაღი; 2, 3, 8 — იარაღი დაკბილული; 4 — სახერტი; 5—7 — სახოკები; 9—10 — ნუკლეუსები ლევალუური; 11—12 — ნუკლეუსი დისკოსებური; 13 — ნუკლეუსი ერთფუძიანი, არალევალუური; 14 — ანატკეცი ლევალუური; 15—16 — წვეტანები ლევალუური; 17 — წვეტანა ლევალუური რეტუშირებული; 18—19 — წვეტანები მუსტიერული.
ნახ. 18. 1—4 — ანატკეები.
ნახ. 19. საკუიას მღვიმე. მუსტიერული ფენების განივი ქრილი.
ნახ. 20. 1 — ნუკლეუსი ერთფუძიანი; 2, 3, 5, 10, 11 — სახოკები; 4, 12 — იარაღები ამოღარულ-დაკბილული; 6—9, 13 — წვეტანები.
ნახ. 21. ორთვალა მღვიმე, მუსტიერული ფენების ქრილი.
ნახ. 22. 1 — ნუკლეუსი; 2—5, 9—10 — სახოკები; 6 — იარაღი ამოღარულ-დაკბილული; 7 — ანატკეცი რეტუშირებული; 8 — წვეტანა ლევალუური რეტუშირებული.
ნახ. 23. 1—2, 5—6, 9—10 — წვეტანები; 3—4, 7—8, 11 — ანატკეები.
ნახ. 24. 1 — ანატკეცი რეტუშირებული; 2—8 — წვეტანები; 9 — ლამელა.

- ნახ. 25. 1—4, 6—8, 11 — წვეტანები; 5—9 — დანები; 10, 12 — სახოკები; 13 — ლამელა.
- ნახ. 26. 1—4 — ნუკლეუსები; 2, 3, 5 — ანატკეები.
- ნახ. 27. 1 — უხეში საჩეხი, ორმხრივი; 2 — ხელნაწახი, ოვალური.
- ნახ. 28. 1 — ხელნაწახი ნუშისებური; 2 — ხელნაწახი ოვალური.
- ნახ. 29. 1 — ნუკლეუსი დისკოსებური; 2, 3 — ნუკლეუსები ორფუძიანი; 4 — ნუკლეუსი ერთფუძიანი.
- ნახ. 30. წონას მღვიმე კულტურული ფენების განივი და გრძივი კრილები.
- ნახ. 31. 1, 3—5 — სახოკები; 2, 6, 12 — უხეში მკრელი იარაღები; 7—11 — ანატკეები.
- ნახ. 32. ხელნაწახი.
- ნახ. 33. ხელნაწახი.
- ნახ 34. წონას ტიპის „ხელტული“ ან წალდი.
- ნახ. 35. 1—4 — წვეტანები.
- ნახ. 36. 1 — მღვიმე კუდარო I, გეგმა. დაშტრიხულია მღვიმის გათხრილი ფართობი; 2 — მღვიმე კუდარო, I, აღმოსავლეთი დერეფანი. მუსტიური და აშელური ფენების განივი კრილი.
- ნახ 37. 1—8 — იარაღები და ანატკეები; 9 — ხელნაწახი.
- ნახ. 38. 1—5, 14, 17 — ლამელები; 6, 7, 9, 13, 15, 16, 19, წვეტანები; 18 — ანატკეი.
- ნახ. 39. 1—4 — ლამელები; 5, 7, 9—13 — წვეტანები; 6, 8, დანები ნატურალურზურგაინი; 14 — სახოკი კონვერგენტული.
- ნახ. 40. 1—5, 8 — სახოკები; 6, 9, 10 — დანები. 7 — წვეტანის ფრაგმენტი.
- ნახ. 41. 1—6, 9 — წვეტანები ლევალუური; 7—8, 10—11 — ლამელები ლევალუური, 12—13 — სახოკები.
- ნახ. 42. 1, 9 — სახოკები; 2—4 — ლამელები ლევალუური; 5 — დანა ნატურალურზურგაინი; 6 — 8 — წვეტანები ლევალუური; 10 — ნუკლეუსი ორფუძიანი.
- ნახ. 43. 1, 2 — ნუკლეუსები; 3—5 — ანატკეები; 6—8 — ლამელები; 9 — საფხეკი; 10 — სახოკი; 11 — წვეტანა.
- ნახ. 44. 1 — წოფი. კულტურული ფენების გრძივი კრილი; 2 — განივი კრილი.
- ნახ. 45. 1—6 — წვეტანები; 7—9 — ორმაგი წვეტანები; 10 — სეგმენტისებური იარაღი; 11 — სახვრეტი.
- ნახ. 46. 1, 2 — ბოლო საფხეკი; 3, 5, 6 — დანა-სახოკები; 4 — წრიული საფხეკი; 7—9, 13 — სახოკები; 10 — დანისებური იარაღი; 11 — სახოკ-სახვრეტი; 12 — მინიატურული ხელნაწახისებური იარაღი.
- ნახ. 47. 1 — ნუკლეუსი დისკოსებური ორმხრივი; 2 — ნუკლეუსი ერთფუძიანი, სამკუთხედისებური; 3, 5 — ანატკეები ლამელისებური; 4 — სახოკი; 6 — ხელნაწახი.
- ნახ. 48. 1, 2 — ხელნაწახები; 3 — ნუკლეუსი ორფუძიანი; 4—6 — სახოკები; 7—9 — წვეტანები.
- ნახ. 49. ხელნაწახი ნუშისებური.
- ნახ. 50. 1, 3 — სახოკები; 2 — პრეტოლიმასი; 4 — ანატკეი ამოღარული.
- ნახ. 51. ხელნაწახი.
- ნახ. 52. 1 — ხელნაწახი ნუშისებური; 2 — ხელნაწახი ოვალური.
- ნახ. 53. 1 — წვეტანა ლევალუური რეტუშირებელი. წვერმოტეხილი; 2 — სახოკი; 3 — წვეტანა ლევალუური რეტუშირებელი; 4 — წვეტანა მუსტიური; 5 — ანატკეი ფატირებელი დარტემის მოედნით; 6 — ნუკლეუსი ერთფუძიანი; 7 — ნუკლეუსი დისკოსებური.
- ნახ. 54. 1 — ჩოპერი; 2 — ლამელა ლევალუური რეტუშირებელი. 3 — წვეტანა ლევალუური რეტუშირებელი.

რუკა II. საქართველოს ზედაპალოლოთური ძეგლების არქეოლოგიური რუკა.

ნახ. 55. საგვარჯილს ფენათა ცენტრალური სტრატეგრაფიული კრილი.

ნახ. 56. საგვარჯილე. 1—2 — დისკური ნეკლეუსი; 3 — საფხეკი; 4 — სოლისებური იარაღი რეტუმით; 5—7 — ლამელები.

ნახ. 57. საგვარჯილე. 1 — საქრისი, მუსტიერ ანამტერევეზე; 2—3, 6—7 — წვეტანები; 4—5 — საფხეკები მუსტიერ ანატეკეზე.

ნახ. 58. საგვარჯილე. 1 — საქრისი; 2 — ზურგიანი დანა; 3 — ლამელა ორკბილიანი; 4 — წვეტან-საქრისი; 4 ა—7 — საქრისები; 5, 6, 10 — ლამელები; 8, 9 — ლამელები რეტუმით.

ნახ. 59. საგვარჯილე. 1 — თეზის ძელის გამოსახულება; 2 — ძელის ქინძისთავი ორნამენტით; 3 — გულსაიკი ორნამენტით, ტალკის გულსაიკი.

ნახ. 60. ტურიტელები საგვარჯილედან.

ნახ. 61. სვანთა სავანე, გეგმა.

ნახ. 62. სვანთა სავანე, ფენათა კრილი.

ნახ. 63. სვანთა სავანე. 1—3 — ნეკლეუსები.

ნახ. 64. სვანთა სავანე. 1—6 — ნეკლეუსები;

ნახ. 65. სვანთა სავანე. 1, 2, 4—7 — საფხეკები; 3, 8 — ლამელები; 9—10 — კომბინირებული იარაღები; 11 — ზურგიანი ლამელა.

ნახ. 66. სვანთა სავანე. 1—5 — საქრისები; 6—7 — სახოკები; 8 — წვეტანა; 9 — საფხეკი; 10—12 — ლამელები.

ნახ. 67. ხერგულის კლდის გეგმა; ფენათა კრილები.

ნახ. 68. ხერგულის კლდე. 1, 2, 6, 7 — ნეკლეუსები სხვადასხვა; 3 — დაბილული ლამელა; 4, 9 — საფხეკები; 5 — კომბინირებული იარაღი; 8 — ლამელა.

ნახ. 69. ხერგულის კლდე. 1, 7—10 — საფხეკები; 2 — გვერდრეტშიანი ლამელა; 3—4 — გვერდამოღარული მიკროიარაღები; 5 — მიკროსაფხეკი; 6 — მიკროლამელა რეტუმით; 11 — სახოკი; 12, 14, 18 — ნეკლეუსები; 13 — ლამელა; 15 — დისკური ნეკლეუსი; 16 — წვეტანა; 17 — თესწორრეტეშიანი საფხეკი.

ნახ. 70. ტოლონ კლდე. 1, 20 — წვეტანები; 2 — სიგრძივი ჩამონატები; 3—4 — ნეკლეუსები; 5—10, 12, 17, 18 — საქრისები; 11 — სახოკი; 19 — ლამელა ორფერდა; 21—28 — მიკროლამელები; 13—16 — ძელის იარაღები; 29 — ზურგიანი დანა.

ნახ. 71. დევისხერელი.

ნახ. 72. დევისხერელის გეგმა, მღვიმისა და ფენების განივი და გრძივი კრილები.

ნახ. 73. დევისხერელი. 1, 4 — პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიანი ნეკლეუსები; 2, 3, 5, 7, 8 — ორფუძიანი ნეკლეუსები; 6, 9 — კონუსური ნეკლეუსები.

ნახ. 74. დევისხერელი. 1—17 — სხვადასხვა ტიპის საფხეკები.

ნახ. 75. დევისხერელი. 1—15 — სხვადასხვა ტიპის საქრისები.

ნახ. 76. დევისხერელი. 1 — შატელერონის ტიპის დანა; 2—15, 22—26 — გრავეტის ტიპის მსგავსი დანები, რეტეშირებული ლამელები და სხვადასხვა მიკროლითები; 16—17 — სახერტები; 18—21 — ძელის იარაღები.

ნახ. 77. საჯაიას მღვიმე. ნეკლეუსები. 1—3 — მიკროლითური; 4 — ორფუძიანი პრიზმული; 5—7 — ერთფუძიანი პრიზმული.

ნახ. 78. საჯაიას მღვიმე. სხვადასხვა ტიპის საფხეკები.

ნახ. 79. საჯაიას მღვიმე. სხვადასხვა ტიპის საქრისები.

ნახ. 80. საჯაიას მღვიმე. 1—2 — სათელისებური იარაღები; 3—6 — შალაშინები; 7 — ტირიფის ფოთლის მაგვარი ორმხრივდამუშავებული იარაღი; 8 — დაფნის ფოთლის-მაგვარი იარაღი; 9 — ისრისწერი; 10 — დაბილული იარაღი; 11 — ქვედაპალოლოთური იერის ანატეკი.

ნახ. 81. საკაიას მღვიმე. 1—5,7 — თავგვერდ და გვერდობლაგველი ლამელები; 6— სეგმენტისებური იარაღი; 8 — 12 — გრავეტის ტიპის და მათი მსგავსი იარაღები; 13, 14 — გრავეტწვეტანები; 15—19 — შატელპერონის ტიპისა და მათი მსგავსი იარაღები; 20 — მიკროლითი; 21 — სამკუთხა გეომეტრიული მიკროლითი; 22—25 — გვერდამოღარული ლამელები.

ნახ. 82. საკაიას მღვიმე, ძელისა და რქის იარაღები.

ნახ. 83. მღვიმევის ფენათა ჭრილი.

ნახ. 84. მღვიმევი. 1 — ძელის იარაღები; 2, 4 — ნუკლეუსები; 3 — გვერდებამოღარული ლამელა; 5 — საფხეკი; 6—8 — ლამელები; 9—10 — საჭრისები.

ნახ. 85. მღვიმევი. 1—4 — თავგვერდრეტუშიანი ლამელები; 5, 7, 14 — საფხეკები; 6, 8, 9, 15 — საჭრისები; 10, 11, 29 — ლამელები; 12, 13 — გვერდრეტუშიანები ლამელები; 16, 20 — გვერდებამოღარული ლამელები; 17, 35 — მშვილდწვეტანები; 18, 19, 27 — რეტუშიანები ლამელები; 21, 23 — გვერდობლაგველი ლამელები; 22 — ლამელა-ბურღი; 24 — გრავეტის ტიპის იარაღი; 25, 28 — სახერტები; 26, 30, 31, 32 — გვერდამოღარული ლამელა-სახერტები; 33—34 — საფხეკები; 36—37 — მიკროიარაღები; 38—39 — მიკროსაფხეკები.

ნახ. 86. მღვიმევი. 1, 5 — ნუკლეუსები; 2—4, 6, 7, 17 — სხვადასხვა ტიპის საფხეკები; 9, 10 — რეტუშიანი ლამელები; 11—12 — გრავეტის ტიპის იარაღები; 13—16 — მიკროგრავეტები; 18 — ლამელა; 19 — ლამელა რეტუშით, 20 — ზურგობლაგველი ლამელა; 8, 21 — საჭრისები.

ნახ. 87. მღვიმევი. 1 — შუბისპირი; 2 — საჭრისი; თავირბრეტუშიანი; 3 — ლამელა მრავალფერადა; 4 — მშვილდწვეტა; 5, 6, 7 — საფხეკები; 8 — გვერდებამოღარული ლამელა; 9 — საფხეკ-სახერტი; 10, 14, 19 — მიკროლამელები; 11, 13 — ნემსისებური ლამელები; 12 — მიკროსაფხეკი; 15—18 — რეტუშიანი მიკროლამელები.

ნახ. 88. სამერცხლე კლდის გეგმა.

ნახ. 89. სამერცხლე კლდე. მღვიმის ფენების გრძივი ჭრილი.

ნახ. 90. სამერცხლე კლდე. ნუკლეუსები. 1—5 — პრიზმის მოყვანილობის ერთფუძიანი; 6 — პრიზმული ორფუძიანი; 7 — სოლისებური; 8 — კონუსის ფორმის; 9—10 — უტილიზებული.

ნახ. 91. სამერცხლე კლდე. 1—7 — ლამელები სხვადასხვა ტიპის; 8 — სათლესებური იარაღი; 9, 11 — კომბინირებული იარაღები; 10 — შალაშინი; 12 — ზურგობლაგველი ლამელა; 13—14, 16 — მიკროლამელები დამუშავების გარეშე; 17 — მკრთალრეტუშიანი მიკროლამელა, 15 — სახერტი.

ნახ. 92. სამერცხლე კლდე. სხვადასხვა ტიპის საფხეკები.

ნახ. 93. სამერცხლე კლდე. სხვადასხვა ტიპის საჭრისები.

ნახ. 94. სამერცხლე კლდე. ძელის იარაღები. 1—4 — სადგისები; 5—6 — სახერტები; 7—8 — შუბისპირები; 9—10 — რქისა და ძელის საპრიალებლები.

ნახ. 95. ძუძუნას მღვიმის ფენების განივი და გრძივი ჭრილები.

ნახ. 96. ძუძუნას მღვიმე, ნუკლეუსები. 1 — პრიზმული, ერთფუძიანი; 2 — პრიზმული, ორფუძიანი; 3 — კონუსისმაგვარი; 4 — სოლისებური; 5 — დისკური; 6—11 — ლამელები.

ნახ. 97. ძუძუნას მღვიმე. 1—4 — ოვალურსამუშაობიანი საფხეკები; 5 — სახეი სწორი და ამოღარულსამუშაობიანი; 6 — თავრეტუშიანები ირიბი საჭრისი; 7—8 — მრავალწახანავა საჭრისები; 9 — თავრეტუშიანები ხიწვიანი საჭრისი; 10 — ორმაგი საჭრისი; 11 — კომბინირებული იარაღი; 12—14 — მიკროლამელები.

ნახ. 98. ძუძუნას მღვიმე. 1 — სახერტი; 2—3 — ძელის სადგისები; 4 — პრიზმული მოყვანილობის ერთფუძიანი ნუკლეუსი; 5—6 — კონუსის მსგავსი ნუკლეუსები; 7—8, 10 — სოლისებური ნუკლეუსები; 9 — ნუკლეუსი, ლევალუური, ერთფუძიანი; 11 — დისკური ნუკლეუსი.

ნახ. 99. ძუძუნას მღვიმე. 1—6 — ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები; 7 — ირგვლივრეტუშირებული მომრგვალო საფხეკი; 8 — სახოკი; 9—10 — შალასამუშაოპირიანი საფხეკები; 11—12 — სახოკები; 13—15 — ორმაგი საფხეკები; 16—17 — შალაპინები.

ნახ. 100. ძუძუნას მღვიმე. სხედასხვა ტიპის საჭრისები.

ნახ. 101. ძუძუნას მღვიმე. 1 — ორმაგი საჭრისი; 2 — საფხეკ-საჭრისი; 3 — სახერტი; 4 — სათლესებური იარაღი; 5 — დანა; 6 — ზურგდაბლაგველი და გვერდდაბლაგველი ანატეკი; 7 — გრავების ტიპის წვეტანა; 8 — ზურგდაბლაგველი მიკროლაშელი; 9 — წვეტანა (მუსტიურის); 10 — ორმხრივ დამუშავებული სატეხისებური იარაღის ფრაგმენტი; 11 — ძვლის სადგისი.

ნახ. 102. გვარჯილას კლდის ფენების ჭრილი.

ნახ. 103. გვარჯილას კლდე. 1 — აკვარი ნუკლუსად მომზადებული (I ფ.); 2 — ნუკლუსი, პრიზმული ერთფუძიანი (I ფ.); 3 — ლამელა დანისებური (I ფ.); 4 — მიკროლაშელი (I ფ.); 5, 9 — ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკი (I ფ.); 6 — თავირბრეტუშირებული საფხეკი (I ფ.); 7 — ლამელა (I ფ.); 8 — ფართოოვალურსამუშაოპირიანი ბრეტელი საფხეკი (I ფ.); 10 — მიკროსაფხეკი (I ფ.); 11 — მომრგვალო საფხეკი (I ფ.).

ნახ. 104. გვარჯილას კლდე. 1—6 — სხედასხვა ტიპის საჭრისები (I ფ.); 7—11 — კომბინირებული იარაღები (7—8; 10—11 (I ფ.), 9 — (II ფ.).

ნახ. 105. გვარჯილას კლდე. 1 — გვარჯილას კლდის ტიპის სატევი (I ფ.); 2 — შუბისპირი (I ფ.); 3 — შალაპინი (I ფ.); 4 — რგანული ტიპის დანა (II ფ.); 5 — ხერხი (II ფ.); 6 — სახერტი ფართო წვერისანი (II ფ.); 7 — სახერტი ბურღის შავარი (II ფ.).

ნახ. 106. გვარჯილას კლდე. 1—3 — ისრისპირები (I ფ.); 4—5 — სახერტები (I ფ.); 6 — მიკროლოთური სახერტი (II ფ.); 7 — სეგმენტი წაგრძელებული მოყვანილობის (II ფ.); 8—9 — სამკუთხედის მოყვანილობის მიკროიარაღები (II ფ.); 10 — სეგმენტი მაღალი მოყვანილობის (II ფ.); 11 — ტრაპეციის მსგავსი იარაღი (II ფ.); 12 — სეგმენტი (I ფ.); 13 — სეგმენტი, მოგვაგონებს სამკუთხედს (I ფ.); 14—15 — სამკუთხედის გამოყენებული ქილები (II ფ.).

ნახ. 107. გვარჯილას კლდე. ძვლის იარაღები. 1 — მეთაურის კერძი (I ფ.); 2 — საპირიარაღი იარაღი (I ფ.); 3—18 — სადგისები (12 ხელშუბისპირი) (I ფ.).

ნახ. 108. ოქუმი I-ის ფენების ჭრილი.

ნახ. 109. ოქუმი I-ის აკვისა და ძვლის ნაწარმი.

ნახ. 110. თეთრი მღვიმე, გეგმა.

ნახ. 111. თეთრი მღვიმე. 1—3 — წვეტანისებური იარაღი; 2 — კომბინირებული იარაღი; 3—7 — ძვლის იარაღები; 8—15 — მიკროლაშელები; 16 — ლამელა რეტუშის კვალი; 17—23 — სხედასხვა სახის ლამელები; 24—27 — ნუკლუსები; 28 — სახერტი; 29 — საფხეკი; 30—31 — მიკროლოთური საჭრისები.

საპარტემლოს მუხოლითური ძებუბის გავრცელების რუკა

ნახ. 112. საგვარჯილე: 1—6 — სეგმენტისებური იარაღები; 7—9 ასიმეტრიული სამკუთხედები; 14—15 — მიკროლაშელები გვერდდაბლაგველი; 11 — გრავებისნაირი წვეტანა; 12 — ლამელა რეტუშისანი თავბოლოგამტერული; 13, 18, 20—22, 24—26 საფხეკები; 16—17—18 საჭრისები; 19—22, 24—25 საფხეკები; 6 — ლამელა გვერდრეტუშისანი; 27—29 სადგისები ძვლის; 30 — შუბისპირი ძვლის.

ნახ. 113. უბანი: 1—3 საჭრისები; 4—7 ლამელები გვერდდაბლაგველი; 8 — სეგმენტი; 9, 14—15, 19, 23, 29 მიკროლაშელები ურეტუშო; 10—11 ძვლის სადგისების ფრაგმენტები; 12 — ლამელა რეტუშისანი თავბოლოგამტერული; 13, 18, 20—22, 24—26 საფხეკები; 16 — ისრისწვერი; 17, 27—28 ნუკლუსები; 30 — ლამელა გამოყენების კვალი; 31 — ლამელა გვერდრეტუშისანი; 32 — სახერტი; 33 — ლამელა გვერდ და ფუძედაბლაგველი.

ნახ. 114. წონა: 1, 8 — ლამელები ფუძედაბლაგველი; 3 — ლამელები გვერდ და ფუძე-დაბლაგველი; 2, 11 — სახერტები; 4—6 — ლამელები ნაწილობრივ გვერდრეტუშიანი; 5—7 — ასიმეტრიული სამკუთხედები; 9 — სეგმენტისებური ჩასართი; 10 — ლამელა გვერდ-დაბლაგველი; 13—14, 16 — ლამელები გვერდრეტუშიანი; 15 — მიკროლამელა ორგვერდრე-ტუშიანი; 12 — ორგვერდ და ფუძერეტუშიანი ლამელა. ქეედი: 17 — მიკროანატყცი; 16 — მიკროსაფხეცი; 19 — ლამელის ფრაგმენტი; 20 — მიკროანატყცი რეტუშიანი; 21, 26—28 მიკროლამელები ურეტუში; 22—23, 29 — მიკროლამელები გვერდრეტუშიანი; 24 — მი-კროლამელა თავიობრეტუშიანი და გვერდაბლაგველი. იაშთხე: 31 — გვერდაფუძედაბ-ლაგველი მიკროლამელის ფრაგმენტი; 32—33 — მიკროლამელები გვერდრეტუშიანი; 34 — ლა-მელა თავგვერდრეტუშიანი; 35 — წვეტანა გრავეტისნაირი (გვარჯილის კლდის ტიპის); 36 — მიკროლამელა გრავეტისებური; 37—39 — სახერტები; 38 — მიკროლამელა რეტუშიანი; 40—42 — მიკროლამელები გვერდრეტუშიანი; 43—44 — მიკროლამელები ურეტუში; 45 — რეტუშიანი ლამელის თავის ფრაგმენტი.

ნახ. 115. 1. იაშთხეის მღვიმის საძიებო თხრილის კრილი; 2 — ქეედის მღვიმის საძიებო თხრილის კრილი.

ნახ. 116. 1 — ქვაპარის გრძივი კრილი; 2 — ქვაპარის ვანივი კრილი.

ნახ. 117. ქვაპარა: 1—2 ნუკლეუსები; 3—4 მიკროლამელები ურეტუში; 5, 39, 42 — სა-ხერტები; 6—8, 15 მიკროლამელები გვერდაბლაგველი; 10, 19 — მიკროლამელები ორ-გვერდრეტუშიანი; 9, 20 მიკროლამელები ორივე სიბრტყიდან დამუშავებული; 12—13 წვე-ტანები გვარჯილას კლდის ტიპის; 14 — ლამელა დაკბილული, 16 — ლამელა თავგვერდრე-ტუშიანი; 17—41 — ლამელები გვერდაბლაგველი; 18 — თავმოღრული ლამელის ფრაგ-მენტი; 21 მიკროლამელა თავგვერდრეტუშიანი; 22—26 მიკროლამელები თავბოლოგვერდრე-ტუშიანი (ტრაპეციის პროტობები); 27—28 სეგმენტები; 29—30 ასიმეტრიული სამკუთხე-დები; 32—33 ისრისწვერები ფრთისებური; 34—35 ისრისწვერები (?); 36—38 ისრისწვერები; 39—43 სახერტები; 40 წვეტანა გრავეტისებური; 44—53 — საფხეკები; 54 — ლამელა კაქრის-კანიანი; 55—59 — საჭრისები.

ნახ. 118. 1—3 ლამელები ურეტუში; 4—5 ლამელები თავბოლოგადამტყრეული; 6—9 — ლამელები გვერდაბლაგველი ვატეხილი; 10—13; 16—17; 19, 3; — სახერტები; 20 წვეტანა გვარჯილას კლდის ტიპის; 21—22 ასიმეტრიული სამკუთხედები; 23 ისრისწვერები; 24—27, 33 — საფხეკები; 28—32 საჭრისები; 35 — ლამელა გამოყენების კვადრით; 36 — ლამელა ურე-ტუში.

ნახ. 119. 1, 3—6, 8 — ხელშუბისპირები ძელის; 2, 7, 9—10 სადგისები ძელის; 11—12 საპირალიბლები ძელის; 13 — ნიჩბისნაირი იარაღი რქისაგან.

ნახ. 120. ჭამპალის გეგმა.

ნახ. 121. 1 — ზურტაკეტის ეხის თხრილის გაშლილი კრილი; 2 — ჭამპალის ეხის გრძივი კრილი.

ნახ. 122. ჭამპალი. 1, 21—24 — საჭრისები; 2 — მიკროლამელა გვერდრეტუშიანი; 3—4 ლამელები გვერდრეტუშიანი; 5 — ნუკლეუსი; 6, 30—31 სახერტები; 7—20 საფხეკები; 21—24, 26 — საჭრისები; 25 სეგმენტი; 27—29 ტრაპეციები.

ნახ. 123. ზურტაკეტი. 1—2, 4—9 საფხეკები; 3 საფხეკ-საჭრისი; 10 — ორგვერდ-რეტუშიანი ლამელის ფრაგმენტი; 13 საჭრისი; 14—15 სახერტები; 16—17, 21—22 მიკრო-ლამელები ურეტუში; 18, 20 გვერდაბოლორეტუშიანი მიკროლამელები; 19 — მიკროლამელა გვერდრეტუშიანი; 23 — ლამელა ურეტუში; 24—27 — ხოწები; 28—29 ლამელები ურე-ტუში კაქრისქერქმერჩენილი; 30—31 — ნუკლეუსები; 32 — ძელის გახერტული იარაღის ფრაგმენტი.

ნახ. 124. ცივი მღვიმე. ა) მღვიმის გეგმა, ბ) 1—2 კვილები; 3 — მიკროლამელა გვერდრეტუშიანი; 4—10 ლამელები თავგვერდრეტუშიანი; 5, 8, 12 — საფხეკები; 6—7 — ტრაპეციები; 9, 11, 14 — ლამელები ურეტუში.

ნახ. 125. ცივი მღვიმის კრილი.

ნახ. 126. დარკვეთის ეხის განივი და გრძივი კრილები.

ნახ. 127. დარკვეთი: 1—3, 23—24 საფხეკები; 4—8, 10—12 საკრისები; 9 ნეკლეუსი; 13—17 ასიმეტრიული სამკუთხედები; 18—19. ლამელები გვერდდაბლაგვეული; 20—22 ლამელები დაკბილული; 23—24, 28—29 ლამელები თაერეტუშინანი; 25 ბურღი; 26 მიკროლაშელა გვერდრეტუშირებული; 27 ასიმეტრიული იარალი; 30—31 — ძელის ნივთები.

ნახ. 128. ეძანი. გრძივი კრილი.

ნახ. 129. 1—12 — ნეკლეუსები სხვადასხვა სახის.

ნახ. 130. 1—23 მიკროლაშელები და ლამელები სხვადასხვა სახის რეტუშინანი და ურეტუშო.

ნახ. 131. 1—3, 5—10 — მიკროგრავეტები და გვერდდაბლაგვეული მიკროლაშელები; 4, 11—17 — ასიმეტრიული სამკუთხა ჩასართები; 19 — გვერდდაბლაგვეული ლამელის ფრაგმენტი; 20—21, 23—24 — ლამელები დაკბილული; 22 — მიკროლაშელა ქვედა სიბრტყიდან შემღწევი რეტუშით დამუშავებული; 25—26 საკრისები; 27—28 კომბინირებული იარალები; 29—31 ხოწები.

ნახ. 132. 1—5 ლამელები მოპირდაპირე რეტუშით; 6—18 სეგმენტები და სეგმენტისებური ჩასართები; 19—25 ტრაპეციები; 26 პარალელოგრამი; 27—28 სამკუთხედები ტოლფერდა; 29—32 ასიმეტრიული სამკუთხა ჩასართები;

ნახ. 133. 1—19 — საფხეკები და ბურღები; 20—28 საკრისები.

ნახ. 134. 1—20 — სახერტები და ბურღები; 21 — ისრისწერი.

ნახ. 135. აფიანჩას მღვიმის გრძივი კრილი.

ნახ. 136. აფიანჩა. 1—2, 6—7 სეგმენტისებური ჩასართები; 3—5, 8, 10 ტრაპეციისებური ჩასართები; 9 მიკროწვეტანი; 11—12 საფხეკები; 13—15, 17 — მიკროლაშელები გვერდრეტუშინანი; 16; 19, 21 — მიკროლაშელები ორგვერდრეტუშინანი; 18—22 სახერტები; 24 ქვილთის ფრაგმენტი; 25 — ძელის ნივთი გახერტილი; 23, 26, 27 — სადგისები ძელის; 28—30 სპარიალები ძელის.

ნახ. 137. სელო — ქერმუხი. 1—11, 13 — საფხეკები; 14 — მიკრონანტეცი; 15, 20—21 საკრისები; 16—17 — ლამელები უხეში; 18 ანტეცი გამოყენების კვალით; 19 — მრუდე იარალი — „ლუკალო“; 22 სეგმენტისებური იარალი; 23 — სამკუთხედი ტოლფერდა.

ნახ. 138. პეტროგლიფები, 1 — შელის გამოსახულება; 2, 3 ირმისა და შელის პარციალური გამოსახულებები.

ნახ. 139. ა); ლომის გამოსახულება; ბ). ცხენისა და კუზინი კვიცის გამოსახულება; გ). ცხენის გამოსახულება.

ნახ. 140. მშვილდისრიანი კაცის, წიხვისა და ვირის (?) გამოსახულებები.

საპართელონ ნეოლითური ძეგლების ბაჰრკელების რუკა

ნახ. 141. ხეტუბანი. 1—2 — ნეკლეუსები; 3—19 — საფხეკები; 20—21 — ლამელები; 22—24 — თაერეტუშინანი ლამელები; 25—36 — საკრისები; 37—39 — დაკბილული იარალები; 40 — სახერტი. კობულეთი. 41—43 — ნეკლეუსები; 44—48 — საფხეკები; 49—53 — საკრისები; 54 — სახერტი; 55—57 — დაკბილული იარალები; 58—60 — ლამელები; 61—62 — ლამელის განივკვეთები.

ნახ. 142. ანასელი I. 1—2 — ნეკლეუსები; 3—11 — ლამელები; 12—21 — საფხეკები; 22, 24—27, 29 — საკრისები; 23, 31, 36 — ბლაგეზურგა ლამელები; 28 — დანი; 30 — დაიბილული იარალი; 32—35 — ტრაპეციები.

ნახ. 143. ანასელი I. 1 — ცული; 2—3 — სათლელები; 4 — სახეხ-სპარიალები; 5 — სახეხი.

ნახ. 144. დარკვეთი IV. 1—4 საფხეკები; 5—7 — სახერტები; 8 — დაბილული იარაღი; 9 — რეტუშოანი ლამელა; 10—11 — ბურლები, 12—17 — ლამელები, 18—21, 34—38 საკრისები; 22—29 — იარაღები; 30—33 — თავრეტუშოანი იარაღები.

ნახ. 145. დარკვეთი IV. 1 — ცული; 2—7, 15—16 — ძელის იარაღები; 8—14 — ნუკლეუსები; 17—18 — იარაღები; 9 — ჩასართი; 20—23 — ტრაპეციები.

ნახ. 146. აფინჩა. 1—4 — ტრაპეციები; 5—6 — სეგმენტები; 7—11 — საფხეკები; 12, 14, 16 — ნუკლეუსები; 15 — დანა; 17—18 — ძელის იარაღები; 19—21 — რიყის ქვის იარაღთა ფრაგმენტები.

ნახ. 147. მელოური გრძივი და განივი კრილები.

ნახ. 148. მელოური. 1—4 — ნუკლეუსები; 5—13 — ტრაპეციები; 14—19 — საფხეკები; 20—23 — საკრისები; 24—25, 27—28, 31 — თავრეტუშოანი ლამელები 26, 32 — სახერტები; 29—30, 32—35 — დაბილული იარაღები; 36—38 — ლამელები.

ნახ. 149. მელოური. 1 — ცული; 2—3 — სათლლები; 4 — სახეხები; 5 — ხელსაფქვავის ქვა.

ნახ. 150. ხორში. 1 — ნამოსახლარის ვეგმა; ნახ. 2. 1—4 — რიყის ქვის იარაღები.

ნახ. 151. ლემსა. 1—5 — ნუკლეუსები; 6—10 — ტრაპეციები; 11—12 — სეგმენტები; 13—14, 18 — საფხეკები; 15—17 — საკრისები; 19 — სახერტი; 20 — დაბილული იარაღი; 21 — რეტუშირებული ლამელა; 23 — ლამელა; 24 — სათლელი.

ნახ. 152. ხევი. 1 — ნუკლეუსი; 2 — საფხეკი; 3 — სახერტი; 4 — სახეხი; 5—6 — წვეტანისებური იარაღები; 7 — საკრისი; 8 — რიყის ქვის იარაღთა ფრაგმენტები; 9 — ხელსაფქვავის ფრაგმენტი.

ნახ. 153. ლემურიში. 1—2 — ნუკლეუსები; 3—7 — ტრაპეციები. 8—9 — სეგმენტები; 10, 2 — სახერტები; 11—14, 26 — საფხეკები; 15—19 — საკრისები; 20 — დანა; 21, 23, 25 — თავრეტუშოანი ლამელები; 22, 24 — დაბილული იარაღები; 28 — ისრისპირი.

ნახ. 154. ლემურიში. 1—4 — ცულების ფრაგმენტები; 5 — სათლელი; 6, 8, 9 — სახეხები; 7 — თოხისებური იარაღი; 10 — წერაქვისებური იარაღი.

ნახ. 155. გალი I. 1—3 — ნუკლეუსები; 4—11 — ტრაპეციები; 12—15 — საფხეკები; 16—21 — საკრისები; 22—25, 28—30 — თავრეტუშოანი ლამელები; 26—27 — დაბილული იარაღები, 31—32, 34, 35 — სახეხები; 33 — ცულის ფრაგმენტი; 36 — ორმხრივმოლარული ნეოთი.

ნახ. 156. გალი I. 1 — მაკროლითი, 2 — ცული; 3 — სახეხ-საპრიალებელი; 4 — ხელსაფქვავის ქვა.

ნახ. 157. ოდიში. 1—2 — ნუკლეუსები; 3—8 — საფხეკები; 9—16 — საკრისები; 17 — თავრეტუშოანი ლამელა; 18—19 — დაბილული იარაღები; 20—21 — გრძელი ტრაპეციები; 22—25 — ტრაპეციები; 26—28 — ზურგათილი სწორკუთხედები; 29—32 — სეგმენტები; 33—38 — სახერტ-ბურლები; 39 — ისრისპირი.

ნახ. 158. ოდიში. 1—3 — ცულები; 4 — სათლელი; 5—6 — სატეხები; 7 — ხელსაფქვავის ქვა; 8 — სახეხი.

ნახ. 159. ოდიში. 1—3 — წერაქვისებური მაკროლითები; 2 — შუბისებური მაკროლითი.

ნახ. 160. ოდიში. 1—7 — თიხის კურკლის ორნამენტირებული ფრაგმენტები; 8—9 — თიხის კურკლის ძირები.

ნახ. 161. კისტრიკი. 1 — ნუკლეუსი; 2—8 — ტრაპეციები; 9—12 — სეგმენტები; 13—14 — ზურგათილი ტრაპეციები; 15 — თავიირბირეტუშოანი ლამელა; 16 — საფხეკი; 17 — ნუკლეუს-სატეხი; 18, 20—24 — ლამელები; 19 — საკრისი, 25—26 — სახერტები; 27 — თოხი; 28 — საწაფი; 29 — კაქის იარაღი.

ნახ. 162. კისტრიკი. 1—6 — ცულები; 7 — თოხი.

ნახ. 163. კისტრიტი. — 1 — მაკროლითი, 2, 4 — სატეხი, 3, 5, 7 — სათლლები, 8—10 — თიხის კურკლის ძირები.

ნახ. 164. ანასეული II. 1—2 — ნუკლეუსები; 3—7 — თავრეტუშიანი ლამელები; 8, 10 — დაკბილული იარაღები; 9 — ლამელა; 11—17 — საჭრისები; 18—25 — საფხეკები; 26—32 — სახერტებურლები; 33—35 — 'დანები; 39—44' — ტრაპეციები; 45—51 — სეგმენტები; 52—56 — ზურგათილი სწორკუთხედები და ტრაპეციები.

ნახ. 165. ანასეული II. 1—3 ცულები; 4 — სატები; 5 — სათლეი; 6 — სახეხი.

ნახ. 166. ანასეული II. 1—12 — თიხის კურკლის პირდაპდეული და ორნამენტირებული ფრაგმენტები; 13 — თიხის კურკლის ძირები.

ნახ. 167. გურიანთა. 1—2 — ნუკლეუსები, 3—4, 7—8 — საფხეკები, 5, 11—12, 14 — საჭრისები; 6, 15—19 — სახერტები; 9—10 — თავრეტუშიანი ლამელები; 13 — რეტუშიანი ლამელები; 20 — ტრაპეცია; 21—24 — სეგმენტები; 25—29 — თიხის კურკლის პირდაპდეული და ორნამენტირებული ფრაგმენტები; 30—31 — თიხის კურკლის ძირები.

ნახ. 168. გურიანთა. 1—3 — ცულები; 4 — სათლეი; 5 — ხელსაფქვაის ქვა.

ნახ. 169. შამათი. 1—2 — ცულის ფრაგმენტები; 3—4 — სახერტები; 5 — საფხეკი; 7 — ტრაპეცია; 6 — თიხის კურკლის ფრაგმენტი; 8—10 — თიხის კურკლის ძირები.


ნახ. 170. მახვილაური, 1 — ნუკლეუსი; 2—4 — საფხეკები; 5—6 — სახერტები; 7—9 — ტრაპეციები; 10—12 — ზურგათილი სწორკუთხედები; 13 — ზურგათილი სეგმენტი; 14—16 — საჭრისები; 17—19 — ლამელები; 20 — გვერდრეტუშიანი ლამელა; 21 — თავგვერდრეტუშიანი ლამელა; 22 — თავრეტუშიანი ლამელა; 23—24 — საწაფები; 25—26 — თიხის კურკლის ძირები.

ნახ. 171. მახვილაური. 1—3 — ცულები; 4 — გახერტილი რიყის ქვა.

ნახ. 172. ჩხორთოლი. 1—2 — ნუკლეუსები; 3—8 — ტრაპეციები; 9—10 — სეგმენტები; 11—13 — საფხეკები; 14—16 — საჭრისები; 17—18 — თავრეტუშიანი ლამელები; 19—20 — დაკბილული იერაღები; 21 — ისრისპირი; 22—23 — სახერტები.

ნახ. 173. ჩხორთოლი. 1—6 — ცულები; 7—8, 13—14 სახეხ-სანაყები; 9—10 — შურდულის ქეები; 11 — საჩეხი; 12 — საწაფი; 15 — ორმხრივამოღარული ნივთი; 16—17 — სათლელები; 18 — ამოღარული ნივთი; 18 — საპრიალებელი; 20 — თიხის კურკლის პირის ფრაგმენტი.


1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 30. 31. 32. 33. 34. 35. 36. 37. 38. 39. 40. 41. 42. 43. 44. 45. 46. 47. 48. 49. 50. 51. 52. 53. 54. 55. 56. 57. 58. 59. 60. 61. 62. 63. 64. 65. 66. 67. 68. 69. 70. 71. 72. 73. 74. 75. 76. 77. 78. 79. 80. 81. 82. 83. 84. 85. 86. 87. 88. 89. 90. 91. 92. 93. 94. 95. 96. 97. 98. 99. 100.




2





3






5






1




საქართველოს ზედაკალათის რეგიონის ადგილობრივი რუკა



- 1 ბაქა
- 2 გურია
- 3 აბაზა
- 4 იმერეთი
- 5 ცხეთი
- 6 კუთხის
- 7 თბილისი
- 8 სანჯი-სანჯი
- 9 რაჭა
- 10 მთიანეთი
- 11 მთიანეთი
- 12 მთიანეთი
- 13 სანჯი-სანჯი
- 14 მთიანეთი
- 15 მთიანეთი
- 16 საქართველო
- 17 მთიანეთი
- 18 მთიანეთი
- 19 სანჯი-სანჯი
- 20 მთიანეთი
- 21 მთიანეთი
- 22 მთიანეთი
- 23 სანჯი-სანჯი
- 24 მთიანეთი
- 25 მთიანეთი
- 26 მთიანეთი
- 27 მთიანეთი
- 28 მთიანეთი
- 29 მთიანეთი
- 30 მთიანეთი
- 31 მთიანეთი
- 32 მთიანეთი
- 33 მთიანეთი
- 34 მთიანეთი


8



9



10



11




12




13




14




15




16




17





21



22






1

2


24




25




26





27




სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გეგმის გეგმის რუკა




- | | | | | |
|------------|---------------|---------------|-----------|------------|
| 1. კიხინი | 16. უღი | 21. ანაკლი I | 26. მულა | 31. ჰეჩოხი |
| 2. აბოშა | 17. ურა | 22. ანაკლი II | 27. თორა | 32. ჩოქო |
| 3. მუხრან | 18. სოფი | 23. ხუტუნი | 28. ზღა | 33. მანასი |
| 4. ლეჩხუმი | 19. ბარანა | 24. კოხტუნი | 29. დარჯი | 34. მუხრან |
| 5. ანაკლი | 20. კახეთი | 25. კახეთი | 30. ხევი | 35. |
| 6. მუხრან | 21. ანაკლი I | | | |
| 7. მუხრან | 22. ანაკლი II | | | |
| 8. ლეჩხუმი | 23. ხუტუნი | | | |
| 9. მუხრან | 24. კოხტუნი | | | |
| 10. მუხრან | 25. კახეთი | | | |
| 11. მუხრან | | | | |
| 12. მუხრან | | | | |
| 13. მუხრან | | | | |
| 14. მუხრან | | | | |
| 15. მუხრან | | | | |
| 16. მუხრან | | | | |
| 17. მუხრან | | | | |
| 18. მუხრან | | | | |
| 19. მუხრან | | | | |
| 20. მუხრან | | | | |
| 21. მუხრან | | | | |
| 22. მუხრან | | | | |
| 23. მუხრან | | | | |
| 24. მუხრან | | | | |
| 25. მუხრან | | | | |
| 26. მუხრან | | | | |
| 27. მუხრან | | | | |
| 28. მუხრან | | | | |
| 29. მუხრან | | | | |
| 30. მუხრან | | | | |
| 31. მუხრან | | | | |
| 32. მუხრან | | | | |
| 33. მუხრან | | | | |
| 34. მუხრან | | | | |
| 35. | | | | |






1




2




3








Гоб. 4







Баб. 6

















Tab. 10












ორთველას კლდე

პერიოდის უფრო არქეოლოგიური შესწავლისათვის
1979 წ.



განვიჭრილი C-7 - C-10 კვადრატების დასაწყისი
A-11 - A-15 კვადრატების დასაწყისი


- 1) ქუბუსი, ორჯვ შავი უფერიოვანი, მღვიმეში მდებარე ქუბური თიხანის სახით, ნივთიერებისა და ფერის განსაზღვრის მიზნით, ლოხი, საშუალო და ღირსი ზომის კიჩვის ნაგებობები, კამ-ში მდებარე კამუსა და კმდის მასალები, ლოხიანი, ოთხ მთავარი თიხანით შემოსილი, კიჩვის მსხვილი (25x35) ნაგებობის ჩანაჩვენებით. II(?) მუსტიური ფენა
- 2) მუსტიური თიხანის, ლოხისა და კიჩვის საშუალო ზომის ნაგებობის ჩანაჩვენებით. საშუალო ზომის ლოხი, ლოხი მდებარეობს (ფანსიონით 60?) II მუსტიური ფენა.
- 3) ოთხ მთავარი-მთვითი თიხანის, ლოხის (2,3 სმ), მსხვილი ნაგებობის და ლოხი მდებარეობს ჩანაჩვენებით. III მუსტიური ფენა.
- 4) მუსტიური თიხანის, ლოხის ჩანაჩვენებით, მდებარეობს ქუბის, კამ-ში მდებარე კიჩვის ნაგებობის ჩანაჩვენებით, ქუბური ფენა.


6) ნაქანი, შავი უფერიოვანი ფენა, ნაქანი ლოხისა და კიჩვის საშუალო ზომის ნაგებობის ჩანაჩვენებით. IV მუსტიური ფენა.


7) ლოხიანი საშუალო ზომის კიჩვის ნაგებობით, მუსტიური თიხანით დასაბამ უფასობა.


8) მუსტიური ფენის, მუსტიური თიხანის, საშუალო ზომის კიჩვის ნაგებობის ჩანაჩვენებით. V(?) მუსტიური ფენა.


9) ოთხ მთავარი-მთვითი თიხანის, ლოხისა და საშუალო ზომის ლოხის ჩანაჩვენებით. VI მუსტიური ფენა.



































1








1




2
















Биб. 32














ნახ. 36













Tab. 40











1



2




3



5




9



4



8




6



7




10




11


a = 1:50



1



2





1



2




3




4




5




6



7



8



9



10



11




12




13





1



3



2



4



5



—





—






6



















1




2







1



3



1




4




5






2





6



7









1



2






3




4

Tab. 60







„სხანთა სავანა“,
 1963-1965 წ.წ.
 გათხრილი ფართობის გეგმა





- გეგმა გათხრების დაწყებამდე
- გეგმა დამთავრების შემდეგ
- ▨ ფერღობი
- ▧ ქარაფი
- ▩ კირქვის ძირითადი ქანი


ნახ. 62



















სერგულის - კლდე
1972წ.













606. 71

















1




2




3



4



5





6





7













65b. 82




მღვიმეები


1 ტრილი ჩს

1. კულტურული ფენა, პალეოლითი
2. ღორღის მქლავრი ფენა






1



2

3

4



5


6


7


8

9

10








სამეცნიერო კვლევის გეგმა

გიათურის რაიონი
სოფ. ქვემო ზოლი
1963წ.











სამეგრესლე კლდე


გრძივი ჭრილი II-II


სოფ. ქვემო ზოდი, გიათურის რაიონი

1963წ.


კირიტილი ნიშნები

-  სილიქი უნა, კირიტილი ნიშანი.
-  ანთხანი, ლორწა და ფანტაზიანი ასეოლოგიები.
-  თიხისა და ანთხანი, ფანტაზიანი და ლორწის ასეოლოგიები.
-  ანთხანი, ლორწა, ფანტაზიანი და ლორწის ასეოლოგიები (სამეგრესლე უნა).
-  ლორწა, ანთხანი, ფანტაზიანი და ლორწის ასეოლოგიები.
-  თიხისა და ანთხანი, ფანტაზიანი და ლორწის ასეოლოგიები.
-  ირა და ფანტაზიანი, თიხისა და ლორწის ასეოლოგიები.
-  ქვიშის ასეოლოგიები.







1




2




3




4




5




6



7



8





9




10











1




2




3



4



5



6



7



8




9





10







8-1:20














656. 100






გამომჟავაული გვარჯილას კლდე
რგანის არქეოლოგიური ექსპედიცია
1953 წ


I-I




- | | | | | | | | |
|---|--|---|--|---|--|---|--|
| 1 | | 2 | | 3 | | 4 | |
| 5 | | 6 | | 7 | | 8 | |

0 1 2 3 4 5 ..









1

2



3

4



5





6




7










ნახ. 108






თეთრი მღვიმე
 არქეოლოგიური მასალების
 გავრცელების გეგმა
 წვალტუბოს რაიონი
 1975 წ.

- ქერა
- ძვალი
- ისრისპირი
- სადგისი
- კერამიკა
- ავგაროზი
- ქვის იარაღი






1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20




21



22



23



24



25



26



27



28




29








30



31












ი ა შ თ ხ ვ ა

გამოქვაბულის გრძივი ტრილი










-  **კაუხი**
-  **თიხაში სტრატოგრაფიული წარმოშობით**
-  **თიხაში ლორღის მანარეობით**
-  **აკმორბეობა ვახ. შეესაბამება თიხაში**

1

ძ ვ ე ლ ი


საძიებო თხრილის ტრილები AB





-  **კაუხის წყალი, შეესაბამება სტრატოგრაფიული წარმოშობის წყალს**
-  **ღია შიშვალისებრი, შიშვალის, პარალელური ვიწრო წყალს**
-  **ღია ნაბიჯისებრი შიშვალის, პარალელური ვიწრო თხელი წყალს**
-  **ღია შიშვალისებრი - შიშვალის თიხაში, შეესაბამება შიშვალისებრი წყალს**
-  **ვერტიკული წყალს, ალბ-ალბ რივი კონკრეტული წარმოშობით**
-  **ღია შიშვალისებრი თიხაში, შეესაბამება ლორღის და ნაბიჯის წარმოშობით, შეესაბამება კონკრეტული წყალს**


2


606. 116












ჟურტაკატის საღებო


თხრილი №2

მ 1:15

ჭრილი



ჯამბალი





- ჯამბალი
- თიხნარები ქალაქული ფენა
- დეკამბო

- ჰუმუსი ლორანაკაჰო
- თიხნარები ლორანაკაჰო
- კულტურული ფენა (ბაგბერ. მინერატი)
- მინერატი ბაგბერ. მინერატი
- ანაკონი ფენი ბაგბერ. მინერატი
- მონეტალური ფენის ბაგბერ. მინერატი
- კალატის ლორი

1

2







აჭარის მუზეუმი

პეგმა


მაშტაბი 1:50











პირბოძის ნაშენები
 მახვილი კარქები
 ქროლას ხაზი
 მღვიმის წინა კედლის ფონის ხაზი




ბ




ღარკვეთის ქსი
განივი ტრილი

- I  ნაცროვანი ღორღნარევი
- II  წითლად გამომწვარი
- III  მოუეითალო უავისფერი თიხნარი
- IV  დამწვარი შავი ნახშირნარევი
- V  ნაცროვანი მოტკეპნილი
- VI  ნაცროვანი ფხვიერი
- VII  ღორღნარევი
- VIII  ნაცროვანი მკვრივი


E D C B A O




ქსის გვივი ტრილი





ღარღვეული
ფენები





ეკანი (აბგანკსიცი)





















აფიანრას კარსტული მღვიმე










1




δ





δ


2














1





2




3




4





5





0 1 2 3 4 5

























2





4

















1




2





3





4




































1



2




3



4



5



6



7



8





9




10








1




2



4



3





ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|--|-----|
| მთავარი რედაქტორისაგან | 5 |
| შესავალი. საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია (გ. გამყრელიძე) | 12 |
| პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ე ი. ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორია ნ. ბერძენიშვილი) | 46 |
| მ ე ო რ ე თ ა ე ი. საქართველოს ბუნებრივი გარემო ქვის ხანაში (ვ. ჭანელიძე) | 50 |
| მ ე ს ა მ ე თ ა ე ი. ქვედა პალეოლითი (თ. ბუგიანიშვილი) | 70 |
| შ ე ო თ ხ ე თ ა ე ი. ზედა პალეოლითი (ნ. ბერძენიშვილი, მ. ნიორაძე) | 130 |
| მ ე ხ უ თ ე თ ა ე ი. მეზოლითი (მ. გაბუნია, ლ. წერეთელი) | 196 |
| მ ე ე კ ვ ს ე თ ა ე ი. ნეოლითი (ლ. ნებიერიძე) | 226 |
| სურათების აღწერილობა | 262 |
| ილუსტრაციების აღწერილობა | 263 |

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4164

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი ნ. კერძიაძე
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. შაბუნიშვილი
გამომწვები ელ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 10.02.1989; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.04.1991;
ქალაქის ზომა 70×90¹/₁₆; ქალაქი № 2; ბეჭდვა შალაღი;
გარნიტურა ეენური; პირობით საბეჭდი თაბახი 33.93;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 28.46;
ტირაჟი 1200; შეკვეთა № 2882;
ფასი 9 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19